უფალი ჩაიტანჯას მოძღვრება

ტრაქტატი ჭეშმარიტი სულიერი
ცხოვრების შესახებ

მისი ღვთაებრივი მოწყალება
ა.ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი პრაბჰუპადა
კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი-აჩარია

THE BHAKTIVEDANTA BOOK TRUST

Teachings of Lord Caitanya (Georgian)

ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველებს
ცნობებისა და წიგნების მისაღებად
შეუძლიათ მიმართონ:

სოხუმი, ლადარიას ქ.20, ბ.103
ტელ. 3-30-41

მოსკოვი 125 284,
ხოროშევსკოე შოსე 8, კორ.3
ტელ. 945-47-55

©1991 THE BHAKTIVEDANTA BOOK TRUST reg.
All Rights Reserved
ISBN 5-7122-0015-5

მისი ღვთაებრივი მოწყალების ა.ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი პრაბჰუპადას წიგნები:

Bhagavad-gītā As It Is
Śrīmad Bhāgavatam, 1-10 (12 ტომად)
Śrī Caitanya-caritāmṛta (17 ტომად)
Teachings of Lord Caitanya
The Nectar of Devotion
The Nectar of Instruction
Śrī Īśopaniṣad
Easy Journey to Other Planets
Kṛṣṇa Consciousness: The Topmost Yoga System
Kṛṣṇa, The Supreme Personality of Godhead
Perfect Questions, Perfect Answers
Teachings of Lord Kapila, the Son of Devahūti
Transcendental Teachings of Prahlāda Mahārāja
Dialectic Spiritualism – A Vedic View of Western Philosophy
Teachings of Queen Kuntī
Kṛṣṇa, the Reservoir of Pleasure
The Science of Self-Realization
The Path of Perfection
Search for Liberation
Life Comes from Life
The Perfection of Yoga
Beyond Birth and Death
On the Way to Kṛṣṇa
Rāja-vidyā: The King of Knowledge
Elevation to Kṛṣṇa Consciousness
Kṛṣṇa Consciousness: The Matchless Gift
Magazine: Back to Godhead

ქართულ ენაზე თარგმნილია:

ბჰაგავად-გიტა როგორც ასეთი
შრი იშოპანიშადი
სწავლების ნექტარი
სიცოცხლე მოდის სიცოცხლისგან
უფალი ჩაიტანიას მოძღვრება
ჯოგას სრულქმნა

ეძღვნება

შრᲘᲚᲐ ᲡᲐᲩᲩᲘᲓᲐ̄ᲜᲐᲜᲓᲐ ᲑᲰᲐᲙᲢᲘᲕᲘᲜᲝᲓᲐ ᲗᲰᲐ̄ᲙᲣᲠᲐᲡ

წმინდა სამსახურს,

რომელმაც საფუძველი დაუდო

უფალი ჩაიტანḋას მოძღვრების

ქადაგებას დასავლეთის ქვეყნებში

(მაკ'გილლას უნივერსიტეტი, კანადა)

1896 წელს,

ჩემი დაბადების წელიწადს.

Ა.Ჩ. ᲑᲰᲐᲙᲢᲘᲕᲔᲓᲐᲜᲢᲐ ᲡᲕᲐᲛᲘ

შინაარსი

წინასიტყვაობა 9
პროლოგი 17
უფალი ჩაიტანდას მისია 31
შესავალი 35

თავი 1	რუპა გოსვამის დამოძღვრა	67
თავი 2	სანატანა გოსვამი	95
თავი 3	სანატანა გოსვამის დამოძღვრა	107
თავი 4	ბრძენი	114
თავი 5	როგორ მივუახლოვდეთ ღმერთს	121
თავი 6	მისი ფორმები ერთი და იგივეა	131
თავი 7	ღმრთეების უსასრულო ფორმები	136
თავი 8	ავატარები	144
თავი 9	კრშნას სიდიადენი	157
თავი 10	კრშნას სილამაზე	169
თავი 11	უფლის სამსახური	177
თავი 12	ერთგული	191
თავი 13	სპონტანური სასიყვარულო სამსახური	206
თავი 14	უფლისა და მისი ერთგულების ექსტაზი	219
თავი 15	განმარტება „შრიმად-ბჰაგავატამის“ ლექსისა ატმარამა	234
თავი 16	სანატანა გოსვამის მოძღვრებათა დასკვნა	250
თავი 17	უფალი ჩაიტანდა, ღმრთეების უზენაესი პიროვნება	274
თავი 18	საუბრები პრაკაშანანდასთან	286
თავი 19	შემდგომი საუბრები პრაკაშანანდასთან	301
თავი 20	ვედანტას შესწავლის მიზანი	313

თავი 21	მაჲაკადრ ფილოსოფოსების მოქცევა	328
თავი 22	„შრიმად-ბჰაგავატამი“	338
თავი 23	რატომ უნდა შევისწავლოთ „ვედანტა-სუტრა“?	346
თავი 24	საუბრები სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარიასთან	373
თავი 25	პიროვნული და უპიროვნო რეალიზაცია	381
თავი 26	ბჰატტაჩარიას მოქცევა	390
თავი 27	უფალი ჩაიტანია და რამანანდა რაია	404
თავი 28	უზენაესთან ურთიერთობა	412
თავი 29	კრშნას წმინდა სიყვარული	421
თავი 30	რადჰასა და კრშნას ტრანსცენდენტული გართობები	429
თავი 31	უმაღლესი სრულყოფილება	438
თავი 32	დასკვნა	464

ავტორი 479
მანტრა-მედიტაცია 483
კვების ჯოგა 489
ციტირებული ლიტერატურის საძიებელი 493
ლექსიკონი 495
როგორ გამოითქმის სანსკრიტი 507

წინასიტყვაობა

არ არსებობს განსხვავება უფალი ჩაიტანდას აქ წარმოდგენილ სწავლებასა და „ბჰაგავად-გიტაში“ უფალი კრშნას სწავლებას შორის. უფალი ჩაიტანდას სწავლება უფალი კრშნას სწავლების პრაქტიკულ დემონსტრირებას წარმოადგენს. „ბჰაგავად-გიტაში“ უფალი კრშნას საბოლოო დარიგება ის გახლავთ, რომ ყველა უნდა მიენდოს მას, უფალ კრშნას. კრშნა გვპირდება, რომ იგი მაშინათვე ითავებს მზრუნველობას მისადმი მინდობილ სულზე. უფალი უკვე ზრუნავს ამ სამყაროს არსებობის შენარჩუნებაზე თავისი სრული ექსპანსიის, კშროდაკაშანი ვიშნუს შემწეობით, მაგრამ ასეთი მზრუნველობა უშუალო არ არის. ხოლო როდესაც უფალი ამბობს, რომ იზრუნებს თავის წმინდა ერთგულზე, იგი მართლაც უშუალოდ ზრუნავს მასზე. წმინდა ერთგული ის სულია, რომელიც სამუდამოდ არის მინდობილი უფალზე, ისევე, როგორც ბავშვია მინდობილი მშობლებს ან ცხოველი — პატრონს. მინდობისათვის აუცილებელია: (1) მივიღოთ ის, რაც სასიკეთოა ერთგული სამსახურის შესასრულებლად, (2) ვუარყოთ არასასიკეთო ერთგული სამსახურის შესასრულებლად, (3) მტკიცედ გვჯეროდეს უფლის მფარველობისა, (4) ვიგრძნოთ სრული დამოკიდებულება უფლის წყალობაზე, (5) არ გაგვაჩნდეს უფლის ინტერესისაგან განსხვავებული ინტერესები, და (6) მუდამ მოკრძალებულნი და მორჩილნი ვიყოთ.

უფალი მასზე ექვსი მუხლის მიხედვით მიდნობას მოითხოვს, მაგრამ მსოფლიოს უგუნურ ეგრეთ წოდებულ მეცნიერებს სწორად არ ესმით ამ მოთხოვნების მნიშვნელობა და ხალხს მათ უარყოფაზე აქეზებენ. „ბჰაგავად-გიტას“

მეცხრე თავის დასკვნაში უფალი კრშნა პირდაპირ აცხადებს: „მუდამ ჩემზე ფიქრით დაასაქმე ჭკუა, ქედი მოიხარე ჩემს წინაშე და თაყვანი მეცი. ჩემში სრულიად დანთქმული აუცილებლად მოხვალ ჩემთან“ (ბ.გ. 9.34). მაგრამ სწავლულმა დემონებმა მცდარი გზით წაიყვანეს ხალხი, მიმართეს რა უპიროვნო, გამოუვლენელი, მარადიული, არშობილი ჭეშმარიტებისკენ, ნაცვლად იმისა, რომ ღმრთეების პიროვნებისკენ მიემართათ ისინი. იმპერსონალისტი მაიავადი ფილოსოფოსები არ აღიარებენ, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების უმაღლეს ასპექტს ღმრთეების უზენაესი პიროვნება წარმოადგენს. მზის გაგება თუკი გსურთ, უპირველეს ყოვლისა მის შუქს უნდა შეხედოთ, შემდეგ — პლანეტა მზეს, პლანეტაზე შეღწევის შემდეგ კი პირისპირ უნდა შეხვდეთ მზის განმგებელ ღვთაებას. ცოდნის მცირე მარაგის გამო მაიავადი ფილოსოფოსები ვერ სცდებიან ბრაჰმანის სიკაშკაშეს, რომელიც მზის შუქს შეიძლება შევადაროთ. *უპანიშადების* მტკიცებით, ღმრთეების პიროვნების ჭეშმარიტი სახის დანახვამდე ბრაჰმანის დამაბრმავებელი სიკაშკაშის გავლაა საჭირო.

ამიტომ უფალი ჩაიტანიას გვასწავლის, უშუალოდ ვცეთ თაყვანი უფალ კრშნას, რომელიც ვრაჯას მეფის შვილობილად მოევლინა. იგი იმასაც ამბობს, რომ ვრნდავანის სახელით ცნობილი ადგილი არ განსხვავდება უფალი კრშნასაგან, ვინაიდან არაა განსხვავება უფალი კრშნას სახელს, თვისებას, ფორმას, გართობებს, გარემოცვას, ატრიბუტებსა და თავად უფალ კრშნას შორის. ასეთია აბსოლუტური ჭეშმარიტების აბსოლუტური ბუნება.

უფალი ჩაიტანია იმასაც მიუთითებს, რომ თაყვანისცემის უმაღლეს სახეს ვრაჯას ქალწულების მიერ შესრულებული თაყვანისცემა წარმოადგენს. ამ ქალიშვილებს (*გოპებს* ანუ მენახირე გოგონებს) უბრალოდ უყვარდათ კრშნა, ისე რომ მატერიალური თუ სულიერი მოგების

არავითარი განზრახვა არ ჰქონიათ. ჩაიტანიკა გვირჩევდა „შრიმად-ბჰაგავატამსაც“, როგორც ტრანსცენდენტული ცოდნის უნაკლო მოთხრობას და ამბობდა, რომ ადამიანის სიცოცხლის უმაღლესი მიზანი არის კრიშნას, ღმრთეების უზენაესი პიროვნების წმინდა სიყვარულის განვითარება.

უფალი ჩაიტანიკას სწავლება იგივეა, რაც უფალი კაპილას — *სანქჰია-იოგას, სანქჰიას* სისტემის ფილოსოფიის დამაარსებელის სწავლება. *იოგას* ეს ავტორიტეტული სისტემა უფლის ტრანსცენდენტულ ფორმაზე მედიტაციას მოგვიწოდებს. სიცარიელეზე ან რაიმე უპიროვნოზე მედიტაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უფალი ვიშნუს ტრანსცენდენტულ ფორმაზე მედიტაცია შესაძლებელია ჯადომითი პოზების შესრულების გარეშეც. ასეთი მედიტაცია სრულყოფილი *სამადჰი* გახლავთ. ამ *სამადჰის* სრულყოფილება მტკიცდება „ბჰაგავად-გიტას“ მეექვსე თავის ბოლოს, სადაც უფალი კრიშნა ამბობს: „და ყველა *იოგს* შორის ის, ვინც მუდამ ჩემი ერთგულია დიდი რწმენით, ვინც თაყვანს მცემს ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურით, *იოგაში* ყველაზე მჭიდროდ არის ჩემთან დაკავშირებული და უმაღლესი გახლავთ“ (ბ.გ. 6.47).

უფალი ჩაიტანიკა ხალხთა მასებს ასწავლიდა *აჩინტიაბჰედაბჰედა-ტატტვას სანქჰიას* ფილოსოფიას, რომელშიც დამტკიცებულია, რომ უზენაესი უფალი ერთდროულად განსხვავდება და არ განსხვავდება მის მიერ შექმნილი სამყაროსაგან. უფალი ჩაიტანიკა ამ ფილოსოფიას უფლის წმინდა სახელთა გალობით გვასწავლიდა. იგი მიგვითითებდა, რომ უფლის წმინდა სახელი არის უფლის ბგერითი ინკარნაცია და რადგან უფალი აბსოლუტური მთელი გახლავთ, არ არსებობს განსხვავება მის წმინდა სახელსა და მის ტრანსცენდენტულ ფორმას შორის. ამიტომ უფლის წმინდა სახელის გალობით ბგერითი ვიბრაციის საშუალებით უშუალო ურთიერთობა შეიძლება უფალთან.

ამ ბგერითი ვიბრაციის პრაქტიკის გზაზე ადამიანი განვითარების სამ სტადიას გადის: შეურაცხყოფით გალობის, განწმენდისა და ტრანსცენდენტულ სტადიას. შეურაცხყოფით გალობის სტადიაზე ადამიანს შეიძლება მატერიალური ბედნიერების უამრავი სურვილი გააჩნდეს, მაგრამ მეორე სტადიაზე იგი ყოველგვარი მატერიალური სიბინძურისგან იწმინდება. ტრანსცენდენტულ სტადიაზე აღმართვისას კი აღწევს ყველაზე სანუკვარ მდგომარეობას — ღმერთის სიყვარულის სტადიას. უფალი ჩაიტანია გვასწავლიდა, რომ ეს არის ადამიანის სრულყოფილების უმაღლესი საფეხური.

ჯოგას პრაქტიკის არსებითი დანიშნულება არის გრძნობათა მართვა. გრძნობათა მთავარი მაკონტროლებელი ფაქტორია ჭკუა; ამიტომ თავიდან საჭიროა ჭკუის კონტროლირების პრაქტიკა მისი კრშნას ცნობიერებაში დასაქმების გზით. ჭკუის უხეში ქმედებები ცოდნის შეძენის ან სურვილის თანახმად გრძნობათა ფუნქციონირების შემთხვევაში გარეგანი გრძნობების საშუალებით ვლინდება. ჭკუის ნატიფ ქმედებებს წარმოადგენს აზროვნება, გრძნობა და ნება. ცნობიერების მიხედვით ინდივიდი შეიძლება იყოს გაბინძურებული ან წმინდა. თუკი ადამიანის ჭკუა მიმართულია კრშნასაკენ (მისი სახელის, თვისების, ფორმის, გართობების, გარემოცვისა და ატრიბუტებისაკენ), ყოველი მისი საქმიანობა — უხეშიც და ნატიფიც — სასიკეთო ხდება. ცნობიერების განწმენდის პროცესი, რომელიც მოწოდებულია „ბჰაგავად-გიტაში", გულისხმობს ჭკუის კრშნასკენ მიმართვას მის ტრანსცენდენტულ საქმიანობებზე საუბრის საშუალებით, მისი ტაძრის დასუფთავებით, მის ტაძარში სიარულით, უფლის ლამაზად მორთული ფორმის ხილვით, მისი ტრანსცენდენტული დიდების მოსმენით, მისადმი შეთავაზებული საჭმლის მირთმევით, მის ერთგულებთან ურთიერთობით, მისადმი მირთმეული ყვავილებისა და *ტულასის* ფოთლების ყნოსვით, უფლის ინტერესებისათვის განკუთვნილი საქმიანობის

შესრულებით და სხვ. ჭკუისა და გრძნობების ქმედებათა შეჩერება გამორიცხულია, მაგრამ ცნობიერების შეცვლით ამ ქმედებათა განწმენდა შეიძლება. ამ ცვლილებაზე ლაპარაკია „ბჰაგავად-გიტაში“, სადაც კრშნა უყვება არჯუნას *დოგას* ცოდნის შესახებ, რომლის საშუალებითაც კარმიული შედეგების გარეშე შრომა არის შესაძლებელი. „ო პრთჰას შვილო, როდესაც ასეთი ცნობიერებით იმოქმედებ, შრომის ტყვეობიდან განთავისუფლდები“ (ბ.გ. 2.39). ზოგჯერ, გარკვეულ გარემოებათა გამო, როგორიცაა ავადმყოფობა და ა.შ., ადამიანი ზღუდავს გრძნობათა დაკმაყოფილებას, მაგრამ ასეთი რამ არ არის დაწესებული. იმ ჭეშმარიტი პროცესის ცოდნის გარეშე, რომლის საშუალებითაც ჭკუისა და გრძნობების კონტროლირება შეიძლება, ნაკლებად გონიერი ხალხი ჭკუისა და გრძნობების ან ძალით შეჩერებას ცდილობს, ან ნებდება მათ და გრძნობათა დაკმაყოფილების ტალღებში იძირება.

დოგას მარეგულირებელი პრინციპები და წესები, ათასგვარი ჯდომითი პოზები და სუნთქვითი ვარჯიშები, რომლებიც გრძნობათა ობიექტებისაგან გრძნობათა ჩამოცილების მიზნით სრულდება, განკუთვნილია მათთვის, ვინც მეტისმეტად არიან ჩაფლულნი სიცოცხლეზე სხეულისეულ წარმოდგენაში. კრშნას ცნობიერი გონიერი ადამიანი არ ცდილობს გრძნობათა მოქმედების შეწყვეტას. პირიქით, იგი კრშნას სამსახურში ასაქმებს გრძნობებს. ბავშვი არ შეწყვეტს თამაშს, თუ უსაქმოდ დავტოვებთ. ბავშვმა სულელური მოქმედებები მაშინ შეიძლება შეწყვიტოს, როცა უკეთეს საქმეს მივცემთ. *დოგას* რვა პრინციპის შესრულებით გრძნობათა ქმედებების იძულებითი შეკავება დაბალ დონეზე მყოფი ადამიანებისთვის არის მოწოდებული. კრშნას ცნობიერების მაღალი საქმიანობით დაკავების შედეგად გამორჩეულ დონეზე მყოფი ხალხი ძალდაუტანებლად ანებებს თავს მატერიალური ყოფიერების დაბალ საქმიანობებს.

ასე გვასწავლის უფალი ჩაიტანჲა კრშნას ცნობიერე-

ბის მეცნიერებას. ეს მეცნიერება აბსოლუტურია. მშრალი სპეკულაციური მოაზროვნეები მატერიალური მიჯაჭვულობებისაგან თავის შეკავებას ცდილობენ, მაგრამ, როგორც წესი, ჭკუის კონტროლირება უაღრესად ძნელია და მას გრძნობათა ქმედებების დონემდე ჩამოჰყავს ეს ხალხი. კრ̣შ̣ნას ცნობიერებაში მყოფ პიროვნებას ასეთი საფრთხე არ ემუქრება. საჭიროა ჭკუისა და გრძნობების კრ̣შ̣ნას ცნობიერების საქმიანობით დაკავება. უფალი ჩაიტანíაც ამის პრაქტიკულად განხორციელებას გვასწავლიდა.

სანნíასას (განდეგილის წესის) მიღებამდე უფალ ჩაიტანíას ვიშ̣ვამბჰარა ერქვა. სახელი *ვიშ̣ვამბჰარა* ნიშნავს მას, ვინც მთელ სამყაროს ასულდგმულებს და ყოველ ცოცხალ არსებას მიუძღვება. ეს მასულდგმულებელი და წინამძღვარი უფალი შ̣რ̄ კრ̣შ̣ნა ჩაიტანíას სახით მოევლინა, რათა კაცობრიობისთვის ამაღლებული მოძღვრება მოეტანა. უფალი ჩაიტანíა იდეალური მოძღვარია იმისა, თუ რაში მდგომარეობს სიცოცხლის უმთავრესი საჭიროება. იგია კრ̣შ̣ნას სიყვარულის ყველაზე გულუხვი მომნიჭებელი. იგია მთელი წყალობისა და კეთილი ბედის საუნჯე. როგორც დამტკიცებულია „შ̣რ̄მად-ბჰაგავატამში“, „ბჰაგავად-გ̣ītაში“, „მაჰაბჰარატასა“ და *უპანიშადებში*, იგია ღმრთეების უზენაესი პიროვნება, თავად კრ̣შ̣ნა და უთანხმოების ამ ეპოქაში მას ყველამ თაყვანი უნდა სცეს. ყველას შეუძლია მის მოძრაობაში, *სანკ̣īრტანაში* შემოსვლა. არავითარი წინასწარი მომზადება არ არის საჭირო. მხოლოდ მისი სწავლების გაყოლითაც კი ყველას შეუძლია სრულყოფილი ადამიანი გახდეს. თუკი კაცს იმდენად გაულიმებს ბედი, რომ მისი თვისებები მიიზიდავს, იგი აუცილებლად წარმატებით დაასრულებს თავისი ცხოვრების მისიას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ, ვინც სულიერი ყოფიერების მიღწევით არიან დაინტერესებული, უფალი ჩაიტანíას წყალობით ადვილად შეუძლიათ მაჯას კლანჭებიდან განთავისუფლება. ამ წიგნში წარმოდგენილი ეს სწავლება არ განსხვავდება თავად უფლისაგან.

მატერიალურ სხეულში ჩაფლული განპირობებული სული ათასგვარი მატერიალური საქმიანობის გამო ისტორიის ახალ ფურცლებს წერს. უფალი ჩაიტანიას სწავლება ასეთი უსარგებლო და დროებითი საქმიანობების შეწყვეტაში დაეხმარება ადამიანთა საზოგადოებას. მისი წყალობით კაცობრიობა სულიერი მოქმედების უმაღლეს საფეხურზე ავა. სინამდვილეში, ეს სულიერი საქმიანობა მატერიალური ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ იწყება. კრშ̣ნას ცნობიერებაში შესრულებული ასეთი განთავისუფლებული საქმიანობა ადამიანის სრულყოფილების მიზანს წარმოადგენს. მატერიალურ ბუნებაზე ბატონობის მცდელობისას შეძენილი ცრუ პრესტიჟი ილუზორულია. წყვდიადის გამფანტველი ცოდნის შეძენა უფალი ჩაიტანიას სწავლებიდან შეიძლება და ასეთი ცოდნა სულიერ ყოფიერებაში წინსვლის საშუალებას იძლევა.

ყოველი არსება უნდა დაიტანჯოს ან დატკბეს საკუთარ მოქმედებათა ნაყოფების გამო; არავის შეუძლია შეჩერება ბუნების კანონებისა, რომლებიც ამ მოვლენებს მართავენ. სანამ ადამიანი კარმიულ საქმიანობას ეწევა, სიცოცხლის უმაღლესი მიზნის მიღწევის მისი მცდელობა აუცილებლად მარცხით დამთავრდება. მე გულითადად მჯერა, რომ უფალი ჩაიტანიას ამ სწავლების გაგებით ადამიანთა საზოგადოება სულიერი ცხოვრების ახალ სინათლეს მიიღებს, რაც მოქმედების ასპარეზს გაუხსნის წმინდა სულს.

ომ̇ ტატ სატ

ა.ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი

14 მარტი, 1968 წ.

უფალი ჩაიტანიას დაბადების დღე

შრი̄-შრი̄-რა̄ḍჰა̄-კრშ̣ნას ტაძარი

ნიუ-იორკი

პროლოგი

(ბჰაკტივინოდა თჰაკურა)

[თავდაპირველად ეს ნარკვევი გამოქვეყნდა შრილა ბჰაკტივინოდა თჰაკურას ნაშრომის სახით სათაურით „შრი ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუ: ცხოვრება და მოძღვრება“ (1896 წლის 20 აგვისტო)]

ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუ დაიბადა მაჲაპურის ქალაქ ნადიაში მზის ჩასვლისთანავე 1407 შაკაბდას 23 ფჰალგუნა საღამოს, ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1486 წლის 18 თებერვალს. მისი დაბადება მთვარის დაბნელებას დაემთხვა და, როგორც ასეთ დროს ნადიაში ხდებოდა ხოლმე, ხალხი ბჰაგირათჰიში ბანაობდა *ჰარიბოლის* ხმამაღალი შეძახილებით. მამამისი ჯაგანნათჰა მიშრა, ვედური წესის ღარიბი *ბრაჰმანი* და დედამისი შაჩი-დევი, სახე სათნო ქალისა — სილეთის მკვიდრ *ბრაჰმანთა* გვარს ეკუთვნოდნენ. მაჰაპრაბჰუ ლამაზი ბავშვი იყო და მის სანახავად ქალები საჩუქრებით მოდიოდნენ ქალაქიდან. დედამისის მამამ, პანდიტა ნილამბარა ჩაკრავარტიმ, სახელგანთქმულმა ასტროლოგმა იწინასწარმეტყველა, რომ ბავშვი თავის დროზე დიდი პიროვნება გახდებოდა; ამიტომ დაარქვა მას ვიშვამბჰარა. მეზობლის ქალებმა ოქროსფერი სხეულის გამო გაურაჰარით მონათლეს, ხოლო დედამისი ნიმაის ეძახდა, რადგან იგი ნიმბას ხის სიახლოვეს დაიბადა. ბავშვი ლამაზი იყო, ამიტომ ყველა გულით მოისწრაფოდა მის სანახავად. როცა წამოიზარდა, თავნება და ცელქი გახდა. ხუთი წლისა *პაუთჰაშალაში* მიიღეს, სადაც სულ მოკლე ხანში აითვისა ბენგალიური.

მისი თანამედროვე მრავალი ბიოგრაფი იგონებდა ჩაიტანიასთან დაკავშირებულ გარკვეულ ამბებს, რაც მისი ადრეული სასწაულების უბრალო ჩანაწერებს წარმოადგენს. ამბობენ, რომ ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა გამუდმებით ტიროდა და როგორც კი მეზობლის ქალები *ჰარიბოლს* დაიძახებდნენ, უმალ წყნარდებოდა. ამდენად, სახლში განუწყვეტლივ ისმოდა გმირის მომავალი მისიის მაუწყებელი *ჰარიბოლ*. ისიც ნათქვამია, რომ ერთხელ დედამისმა შაქარლამა მისცა და ამის მაგივრად მან თიხა შეჭამა. როცა დედამ მიზეზი ჰკითხა, მან განაცხადა, რომ რადგან შაქარლამა გადაკეთებული თიხა იყო, თიხის ჭამაც შეეძლო. დედამისმა, რომელიც *პანდიტის* მეუღლე გახლდათ, აუხსნა, რომ ყოველ ნივთიერებას გარკვეულ მდგომარეობაში გარკვეული დანიშნულება გააჩნია. დოქის მდგომარეობაში შეიძლება გამოვიყენოთ როგორც წყლის ჭურჭელი, მაგრამ ავურის სახით მისი გამოყენება შეუძლებელია. ამიტომ თიხა როგორც შაქარლამა გამოდგება საკვებად, სხვა მდგომარეობაში კი — არა. ბავშვი დარწმუნდა და მან აღიარა, რომ თიხის ჭამა სისულელე იყო და პირობა დადო, მომავალში შეცდომას არ გაიმეორებდა. კიდევ ერთი სასწაულის შესახებ ჰყვებიან. ამბობენ, რომ მის სახლს მწირი *ბრაჰმანი* ეწვია. მან მოამზადა კერძი და კრშნაზე ფიქრით, ლოცვების წარმოთქმა დაიწყო. ამ დროს ბავშვი მოვიდა და მოხარშული ბრინჯი შეჭამა. მისი მოქმედებით განცვიფრებულმა *ბრაჰმანმა* ჯაგანნათჰა მიშრას თხოვნით საჭმელი ხელახლა მოამზადა. ვიდრე *ბრაჰმანი* მედიტაციით კრშნას ბრინჯს სთავაზობდა, ბავშვმა კერძი ისევ შეჭამა. *ბრაჰმანი* მესამეჯერ მომზადებაზე დაითანხმეს. ამ დროს სახლში ყველას ეძინა, ბავშვი მოგზაურს კრშნას სახით ეჩვენა და დალოცა იგი. თაყვანისცემის საგნის გამოჩენამ ექსტაზში ჩაძირა *ბრაჰმანი*. იმასაც ამბობენ, რომ ორმა ქურდმა ბავშვი მამის სახლიდან გაიტაცა მისთვის ძვირფასეულობის წართმევის მიზნით. გზაზე

მას შაქარლამებს აძლევდნენ და ამით იტყუებდნენ. ბიჭ-
მა თავისი ილუზორული ენერგია გამოიყენა და ქურდე-
ბი საკუთარ სახლში უკან შეიტყუა. ქურდებს დაკავების
შეეშინდათ, მიაგდეს ბიჭი და გაიქცნენ. აღწერენ კიდევ
ერთ სასწაულს. ბავშვმა ჰირანდასა და ჯაგადიშას ეკადა-
შის დღეს კრშნას თაყვანისცემისთვის შეგროვილი ძღვე-
ნი მოსთხოვა და მიიღო. როდესაც მხოლოდ ოთხი წლისა
იყო, დაჯდა გადაგდებულ ქოთნებზე, რომლებიც დედა-
მისს უწმინდურად მიაჩნდა. მან განუმარტა დედას, რომ
გამორიცხული იყო თიხის ქოთნების სიწმინდე და უწმინ-
დურება, თუკი მათ საჭმლის მომზადების შემდეგ გადააგ-
დებდნენ. ეს შემთხვევები ეხება მის ადრეულ ასაკს, ხუთ
წლამდე.

რვა წლისა იყო, როდესაც სოფელ მუჯუპურის მახლობ-
ლად განგანაგარაში განგუდასა პანდიტას *ტოლაში* მიიღეს.
ორ წელიწადში კარგად შეისწავლა სანსკრიტის გრამატი-
კა და რიტორიკა. ამის შემდეგ თვითონ განაგრძო სწავლა
სახლში, სადაც მამამისის, აგრეთვე *პანდიტის*, კუთვნილი
წიგნები ნახა. როგორც ჩანს, მეგობრებს ეჯიბრებოდა და
დამოუკიდებელი სწავლების დროს წაიკითხა *სმრტი*, ასე-
ვე *ნგუჯაც*, რომლებსაც იმ დროს ცნობილი პანდიტი რაგ-
ჰუნუთჰა შირომანის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ.

ათი წლის ჩაიტანგა გრამატიკის, რიტორიკის, *სმრტი-
სა* და *ნგუჯას* დიდი მცოდნე გახდა. ამის შემდეგ მისმა
უფროსმა ძმამ ვიშვარუპამ დატოვა სახლი და *სანნგუსა*
(ასკეტის) *ჯშრამა* (სტატუსი) მიიღო. თუმცა ჩაიტანგა პა-
ტარა ბიჭი იყო, აწყნარებდა მშობლებს, ამბობდა რა, რომ
მოემსახურებოდა მათ, რათა ღმერთისათვის სიამოვნება
მოეგვარა. მალე მამამისი გარდაიცვალა. დედამისი მეტის-
მეტად დანაღვლიანდა და დაქვრივებულ დედას მაჰუპრაბ-
ჰუ ჩვეული კმაყოფილი გარეგნობით ამშვიდებდა.

14-15 წლისა იყო მაჰუპრაბჰუ, ლაკშმიდევიზე, ვალლაბ-
ჰუჩარგას ქალიშვილზე რომ იქორწინა. წარმოშობით ისიც

ნადიადან გახლდათ. იმ დროისათვის მაჰაპრაბჰუ ნადიას ერთ-ერთ საუკეთესო სწავლულად ითვლებოდა, ნადია კი *ნიაიას* ფილოსოფიისა და სანსკრიტის ცოდნის ადგილად იყო აღიარებული. *სმარტა პანდიტებზე* რომ აღარაფერი ვთქვათ, *ნიაიაიკებსაც* კი ეშინოდათ მისი კამათში გამოწვევა. დაოჯახებული აღმოსავლეთ ბენგალიაში პადმას ნაპირებზე ქონების საშოვნელად წავიდა. იქ მან თავისი ცოდნა გამოავლინა და დიდი ფული იშოვა. სწორედ ამ პერიოდში დროდადრო ვაიშნავიზმს ქადაგებდა. ვაიშნავიზმის პრინციპების სწავლების შემდეგ ტაპანა მიშრას ბენარესში წასვლა და ცხოვრება უბრძანა. სანამ იგი აღმოსავლეთ ბენგალიაში ცხოვრობდა, გველის მიერ დაგესლილმა მისმა ცოლმა ლაკშმიდევიმ ეს ქვეყანა დატოვა. შინ დაბრუნებისას დედა მგლოვიარე დახვდა. მან ადამიანთა საქმეების ამაოებაზე საუბრით დაამშვიდა იგი. დედამისის თხოვნით იქორწინა ვიშნუპრიიაზე, რაჯა პანდიტა სანატანა მიშრას ქალიშვილზე. როდესაც *პრავასადან* ანუ შინიდან დროებით წასული დაბრუნდა, მას მეგობრები შეუერთდნენ. ამ დროს იგი ნადიაში საუკეთესო პანდიტად იყო აღიარებული. კეშავა მიშრა კაშმირიდან, რომელიც თავს დიად *დიგვიჯაიის* უწოდებდა, ნადიაში ადგილობრივ *პანდიტებთან* კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა. ეგრეთ წოდებული დაუმარცხებელი *პანდიტის* შიშით ნადიას *ტოლას* სწავლულებმა მიწვევის საბაბით ქალაქი დატოვეს. კეშავა მაჰაპრაბჰუს მაჯაპურში *ბაროკონა-გჰატაში* შეხვდა და მასთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ დამარცხდა ბიჯის მიერ. შერცხვენილი გაუჩინარდა. ნიმაი პანდიტი ახლა თავისი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი *პანდიტი* გახლდათ.

16-17 წლისა მრავალ მოწაფესთან ერთად გაიაში გაემგზავრა და იქ მიიღო სულიერი ინიციაცია იშვარა პურისგან, ვაიშნავი *სანნიასისა* და სახელგანთქმული მადჰავენდრა პურის მოწაფისგან. ნადიაში დაბრუნებული ნიმაი

პანდიტა რელიგიურ მქადაგებლად იქცა და მისი რელიგიური ბუნება იმდენად ძლიერად წარმოჩინდა, რომ ადვაიტა პრაბჰუ, შრივასა და სხვები, რომელთაც ჩაიტანიას დაბადებამდე მიიღეს ვაიშნავის რწმენა, გაკვირვებულნი იყვნენ ახალგაზრდა კაცში მომხდარი ცვლილებებით. იგი აღარ იყო *კმაყოფილი ნიპაიკა*, მოლაყბე *სმარტა* და გესლიანი რიტორიკოსი. *კრშნას* სახელი გონებას აკარგვინებდა და თავისი სულიერი განცდებისაგან შთაგონებული ადამიანივით იქცეოდა. მურარი გუპტამ, რომელმაც იგი საკუთარი თვალით იხილა, აღწერა როგორ გამოამჟღავნა მან თავისი ზეციური ძალები შრივასა პანდიტის სახლში ასობით მიმდევრის თანდასწრებით, რომლებიც უმეტესად ღრმად ნაკითხი სწავლულები იყვნენ. ეს ის დრო იყო, როდესაც მან შრივასა პანდიტისა და მის გულწრფელ მიმდევრებთან ერთად, *კირტანის* საღამოს სკოლა გახსნა. იქ იგი ქადაგებდა, მღეროდა, ცეკვავდა და ათასგვარ რელიგიურ გრძნობებს გამოხატავდა. მას შეუერთდა ნიტიანანდა პრაბჰუ, ვაიშნავიზმის მქადაგებელი, რომელსაც იმჟამად მთელი ინდოეთი შემოევლო. ფაქტიურად, მას ბენგალიის მრავალი კუთხიდან ვაიშნავიზმის უამრავი გულწრფელი მქადაგებელი შეუერთდა. ახლა ნადია გადაიქცა მუდმივ საქადაგო ადგილად ვაიშნავა *აჩარიათათვის*, რომელთა მისიასაც ვაიშნავთა რწმენის ამაღლებული გავლენით კაცობრიობის განსულიერება წარმოადგენდა.

პირველი მითითება, რომელიც მან პრაბჰუ ნიტიანანდასა და ჰარიდასას მისცა, შემდეგი იყო: „წადით, მეგობრებო, მოიარეთ ქალაქის ქუჩები, თითოეულ კაცს თავის სახლთან მოუხმეთ და სთხოვეთ, იგალობოს ჰარის სახელი და წმინდა ცხოვრებით იცხოვროს. შემდეგ მოდით და ყოველ საღამოს თქვენი ქადაგების შედეგები მომახსენეთ“. მოისმინეს რა ეს ბრძანება, ორი მქადაგებელი გზას დაადგა და შეხვდა ჯაგაისა და მადჰაის, უსაზიზღრეს პიროვნებებს. მაჰაპრაბჰუს მითითების მოსმენის შემდეგ მათ შეუ-

რაცხყოფა მიაყენეს მქადაგებლებს, მაგრამ მათი უფლის მიერ შთაგონებული *ბჰაკტის* (ერთგულების) გავლენით მალე მოექცნენ. ნადიას მაცხოვრებლები განცვიფრებულნი იყვნენ. მათ თქვეს: „ნიმაი პანდიტი არა მარტო უდიდესი გენიოსია, იგი ჭეშმარიტად ყოვლისშემძლე ღმერთის მიერაა წარმოგზავნილი“. ამ დროიდან მოყოლებული ოცდასამ წლამდე მაჰაპრაბჰუ ქადაგებდა თავის პრინციპებს არა მარტო ნადიაში, არამედ ქალაქის გარშემო არსებულ ყველა მნიშვნელოვან სოფელსა და ქალაქში. თავისი მიმდევრების სახლებში იგი სასწაულებს აჩვენებდა, *ბჰაკტის* ეზოტერიკულ პრინციპებს ასწავლიდა და სხვა *ბჰაკტებთან* ერთად *სანკირტანას* მღეროდა. მისმა მიმდევარმა ნადიას მცხოვრებლებმა ქუჩებსა და ბაზრებში ჰარის წმინდა სახელის გალობა დაიწყეს. ამან სენსაცია გამოიწვია და სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა გამოხმაურება მოჰყვა. *ბჰაკტები* უაღრესად კმაყოფილნი იყვნენ. *სმარტა ბრაჰმანებს* შეშურდათ ნიმაი პანდიტის წარმატებისა და ჩჰანდ კაზისთან უჩივლეს ჩაიტანდას, ბრალს დებდნენ მას როგორც არა-ინდუსს. კაზი შრირვასა პანდიტის სახლში მოვიდა, გაუტეხა *მრდანგა* (*ქჰოლა* დოლი) და გამოაცხადა, რომ ვიდრე ნიმაი პანდიტი უცნაური რელიგიის გამო ხმაურს არ შეწყვეტდა, იძულებული იქნებოდა მუსულმანობა მოეხვია თავზე ჩაიტანდასა და მისი მიმდევრებისათვის. ამან მაჰაპრაბჰუს ყურამდე მიაღწია. მან უბრძანა თავის თანამოქალაქეებს საღამოს გამოსულიყვნენ და ყოველ მათგანს ხელში ჩირაღდანი სჭეროდა. ასეც მოიქცნენ და ნიმაი 14 ჯგუფად დაყოფილი *სანკირტანათი* გაემართა. კაზის სახლში მისულმა ხანგრძლივი საუბარი გამართა მასთან და ბოლოს მის სხეულზე შეხებით ვაიშნავის გავლენა გადასდო გულში. შემდეგ კაზი ატირდა და აღიარა, რომ ღრმა სულიერი გავლენა განიცადა, რამაც ყოველგვარი ეჭვი გაუფანტა, რელიგიური გრძნობები

აღუძრა და ამით უმაღლესი ექსტაზი მიანიჭა. შემდეგ კაზი *სანკირტანის* ჯგუფს შეუერთდა. მრავალი გაოცებული იყო დიადი უფლის სულიერი ძალით. ამ შემთხვევის შემდეგ ასობით ერეტიკოსი მოექცა და შეუერთდა ვიშვამბჰარას ჯგუფს.

სწორედ ამის შემდეგ კულიას რამოდენიმე შურიანმა და ნაკლებად გონიერმა *ბრაჰმანმა* მაჰაპრაბჰუსთან ჩხუბის საბაბის ძებნა დაიწყო და მის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი ჩამოაყალიბა. ნიმაი პანდიტი ბუნებით გულჩვილი პიროვნება იყო, თუმცა მტკიცედ იცავდა თავის პრინციპებს. მან განაცხადა, რომ დაჯგუფებები და სექტანტიზმი პროგრესის ორი დიდი მტერია და ვიდრე გარკვეული ოჯახის წევრი და ქალაქ ნადიას მაცხოვრებელი იქნებოდა, მის მისიას სრული წარმატება არ ხვდებოდა წილად. მაშინ მან განიზრახა, გაეწყვიტა კავშირი გარკვეულ ოჯახთან, კასტასთან, თემთან და სამყაროს მოქალაქე გამხდარიყო და ამ გადაწყვეტილებით 24 წლის ასაკში, კატვაში (ქალაქი ბენგალიაში) მიიღო *სანნიასა* ამავე ქალაქის მცხოვრები კეშავა ბჰარატისგან. მისი დედა და ცოლი მწარედ მოთქვამდნენ განშორების გამო, მაგრამ ჩვენი გმირი, თუმცა გულჩვილი, არასოდეს ღალატობდა თავის პრინციპებს. მან დატოვა თავისი სახლის პატარა სამყარო კრშნას უსაზღვრო სულიერი სამყაროსათვის მთელ კაცობრიობასთან ერთად.

სანნიასას მიღების შემდეგ იგი აიძულეს შანტიპურაში ადვაიტა პრაბჰუს სახლს სწვეოდა. ადვაიტამ ნადიაში ყველა მეგობრისა და თაყვანისმცემლის მიპატიჟება მოახერხა და შაჩიდევი შვილის სანახავად მიიყვანა. *სანნიასის* სამოსელში გამოწყობილი შვილის დანახვამ გული ნეტარებითა და ტკივილით აუვსო. როგორც *სანნიასს*, კრშნა ჩაიტანიას მხოლოდ *კაუპინა* და *ბაჰირვასა* (გარე სამოსელი) ეცვა. თმა გადაპარსული ჰქონდა, ხელებ-

ში *დანდა* (ჯოხი) და *კამანდალუ* (მწირის წყლის მათარა) ეჭირა. წმინდანი შვილი საყვარელი დედის ფეხებთან დაეცა და უთხრა: „დედა! ეს სხეული შენ გეკუთვნის და მე შენს ბრძანებებს ვემორჩილები. მომეცი ნება, სულიერი მიღწევებისათვის ვრინდავანში წავიდე“. დედამ ადვაიტასა და სხვებთან მოილაპარაკა და შვილს პურიში (ქალაქი ჯაგანნათჰა) დარჩენა სთხოვა, რათა ხანდახან მისი ამბების გაგება შესძლებოდა. მაჰაპრაბჰუ დაეთანხმა ამ წინადადებას და რამოდენიმე დღეში შანტიპურიდან ორისაში გაემგზავრა. მის ბიოგრაფებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი კრშნა ჩაიტანიას (ეს იყო მისი სახელი *სანნიასას* მიღების შემდეგ) მოგზაურობა შანტიპურიდან პურიში. მან იმოგზაურა ბჰაგირათჰის მხარეს ჩჰატრაბჰოგამდე, რომელიც ამჟამად თჰანა მათჰურაპურაში (ალმასის ყურე, 24 პარგანა) მდებარეობს. იქედან ნავით გაეშურა პრაიაგა-გჰატამდე მიდნაპურას რაიონში. შემდეგ ბალასორისა და კატტაკის გავლით პურიში ფეხით ჩავიდა და გზად ბჰუვანეშვარას ტაძარი მოინახულა. პურიში ტაძარში ჯაგანნათჰა იხილა და სარვაბჰაუმასთან დასახლდა ამ უკანასკნელის თხოვნით.

სარვაბჰაუმა იმ დროის უდიდესი *პანდიტი* იყო. მისი სწავლულობა უსაზღვრო გახლდათ. თავისი დროის საუკეთესო *ნაიიკა*, შანკარაჩარიას სკოლის *ვედანტას* ფილოსოფიის ყველაზე დიდ სწავლულად იყო ცნობილი. იგი ნადიაში (ვიდიანაგარაში) დაიბადა და იქ უამრავ ხალხს ასწავლიდა *ნიაიას* ფილოსოფიას *ტოლაში*. იქიდან პურიში იგი ნიმაი პანდიტის დაბადებამდე წამოვიდა. მისმა სიძემ, გოპინათჰა მიშრამ ჩვენი ახალი *სანნიასი* გააცნო, რომელიც განაცვიფრა მისმა მშვენიერებამ და შეშინდა, რომ ახალგაზრდა კაცს გაუჭირდებოდა დიდი ხნის განმავლობაში *სანნიასა-დჰარმას* შენარჩუნება. გოპინათჰა, რომელიც ნადიადან იცნობდა მაჰაპრაბჰუს, დიდი მოკრძალებით იყო მის მიმართ განწყობილი და განაცხადა, რომ

სანნიასი ჩვეულებრივი ადამიანი არ გახლდათ. ამის თაობაზე გოპინათჰამ და სარვაბჰაუმამ ცხარე კამათი გამართეს. შემდეგ სარვაბჰაუმამ სთხოვა მაჰაპრაბჰუს, მოესმინა მისგან „ვედანტა-სუტრები“ და ეს უკანასკნელი მორჩილად დაეთანხმა. ჩაიტანია შვიდი დღის განმავლობაში უსიტყვოდ უსმენდა დიადი სარვაბჰაუმას სერიოზულ საუბარს; დასასრულს სარვაბჰაუმამ განაცხადა: „კრშნა ჩაიტანია! ვგონებ, შენ არ გესმის „ვედანტა“, ვინაიდან არაფერს ამბობ ჩემი წაკითხულისა და განმარტებების მოსმენის შესახებ. ჩაიტანიამ უპასუხა, რომ ძალიან კარგად ესმოდა *სუტრები*, მაგრამ ვერ გაეგო, რას გულისხმობდა თავის კომენტარებში შანკარაჩარია. ამით გაკვირვებულმა სარვაბჰაუმამ თქვა: „როგორ არის, რომ *სუტრების* მნიშვნელობები გესმის და ვერ იგებ კომენტარებს, რომლებიც *სუტრებს* განმარტავს? კარგი, თუ გესმის *სუტრები*, გთხოვ, შენი განმარტებები მომასმენინე“. მაშინ მაჰაპრაბჰუმ თავისებურად ახსნა *სუტრები*, ისე რომ შანკარას პანთეისტურ კომენტარებს არ შეხებია. მახვილმა გონებამ დაანახვა სარვაბჰაუმას ჩაიტანიას განმარტებებში მოყვანილი არგუმენტების ჭეშმარიტება, მშვენიერება და ჰარმონია და აიძულა ელიარებინა, რომ პირველად შეხვდა პიროვნებას, რომელსაც „ბრაჰმა-სუტრების“ ასე მარტივად ახსნა შეეძლო. მან ისიც აღიარა, რომ შანკარას კომენტარები არასოდეს იძლეოდა „ვედანტა-სუტრების“ ისეთ ბუნებრივ განმარტებებს, როგორც ეს მაჰაპრაბჰუმ შეძლო. შემდეგ იგი მისი მომხრე და მიმდევარი გახდა. რამდენიმე დღეში სარვაბჰაუმა იმ დროის ერთ-ერთ საუკეთესო ვაიშნავად იქცა. როდესაც ეს ცნობა გავრცელდა, მთელი ორისა (შტატი ინდოეთში) კრშნა ჩაიტანიას სადიდებელს მღეროდა, ასობით ადამიანი მიდიოდა მასთან და მისი მიმდევარი ხდებოდა. ამასობაში მაჰაპრაბჰუმ სამხრეთ ინდოეთის სტუმრობა განიზრახა და კრშნადასა ბრაჰმანთან ერთად გაუყვა გზას.

ბიოგრაფები მგზავრობის დაწვრილებით ცნობებს გვაწვდიან. პირველად კურმაკშეტრას გაეშურა, სადაც სასწაული მოიმოქმედა — განკურნა კეთროვანი, რომელსაც ვასუდევა ერქვა. მდინარე გოდავარის ნაპირზე იგი შეხვდა რამანანდა რაჯას, ვიდჯანაგარას განმგებელს და მასთან ფილოსოფიური საუბარი გამართა *პრემა-ბჰაკტის* საკითხზე. მან მეორე სასწაული ჩაიდინა — შეეხო და უმალვე გააქრო შვიდი *ტალას* ხე, რომელთა შორისაც რამაჩანდრამ, დაშარათჰას ვაჟმა ისარი გაისროლა და სიცოცხლეს გამოასალმა დიდი ბალი რაჯა. მთელი მოგზაურობის მანძილზე იგი ვაიშნავიზმსა და *ნამა-სანკირტანას* ქადაგებდა. რანგაკშეტრაში ოთხი თვე დაჰყო — ვინმე ვენკატა ბჰატტას ოჯახში გაატარა წვიმის სეზონი. იქ მან ვენკატას მთელი ოჯახი რამანუჯა ვაიშნავიზმიდან *კრშნა-ბჰაკტისკენ* მოაქცია, მათ შორის ვენკატას ვაჟიშვილი, ათი წლის ბიჭი გოპალაც, რომელიც შემდგომ ვრნდავანში წავიდა და გახდა ერთ-ერთი ექვსი გოსვამთაგანი ანუ წინასწარმეტყველი, რომლებიც თავიანთი წინამძღოლის, შრი კრშნა ჩაიტანიას ხელმძღვანელობით მსახურობდნენ. თავისი ბიძის, პრაბოდჰანანდა სარასვატის მიერ სანსკრიტში განსწავლულმა გოპალამ რამდენიმე წიგნი დაწერა ვაიშნავიზმზე.

ჩაიტანია სამხრეთ ინდოეთში კომორინის კონცხამდე მრავალ ადგილს ესტუმრა და ორ წელიწადში ბჰიმაზე პანდეპურას გზით პურიში დაბრუნდა. ამ ქალაქში სულიერი განათლება მისცა ვინმე ტუკარამას, რომელიც იქედან მოყოლებული რელიგიური მქადაგებელი გახდა. ამ ფაქტს აღიარებს იგი თავის „აბჰანგებში“, რომელიც ერთ წიგნში თავმოყრილია ბომბეის სამოქალაქო სამსახურის თანამშრომელ ბატონ სატჯენდრა ნათჰ თაგორის მიერ. ამ მოგზაურობის დროს იგი სხვადასხვა ადგილებში ესაუბრებოდა ბუდისტებს, ჯაინისტებსა და მაჯავადებს და თავის მოწინააღმდეგეებს ვაიშნავიზმისკენ აქცევდა.

პურიში დაბრუნებისას ჩაიტანია მაჰარაბჰუს დროშას

რაჯა პრატაპარუდრა-დევა შეუერთდა. იმ დროს იგი ოცდაშვიდი წლის გახლდათ. ოცდარვა წლისა ბენგალიაში წავიდა მალდაში გაუდამდე. იქ შეხვდა ორ დიად პიროვნებას, რუპასა და სანატანას. ძმები *კარნატიკელ ბრაჰმანთა* ხაზს ეკუთვნოდნენ, მაგრამ მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ ჰუსეინ შაჰთან, რომელიც იმ დროს გაუდას იმპერატორი გახლდათ. და ამის შედეგად ისინი თითქმის გამუსულმანდნენ. იმპერატორმა მათ სახელები შეუცვალა და დაბირ ქჰასა და საკარა მალლიკი უწოდა. მათ ბატონს მთელი გულით უყვარდა ისინი, ვინაიდან სპარსულში, არაბულსა და სანსკრიტში განსწავლულები და სახელმწიფოს ერთგული მსახურები იყვნენ. ამ ორ კეთილშობილს ინდოელებთან დაბრუნების გზა მოჭრილი ჰქონდათ და პურიში ყოფნისას მისწერეს და სულიერი დახმარება სთხოვეს მაჰაპრაბჰუს. პასუხად მაჰაპრაბჰუმ მისწერა, რომ მივიდოდა მათთან და სულიერი სირთულეებისგან დაიხსნიდა. ახლა გაუდაში ჩასულს ძმები გრძელი ლოცვით წარუდგნენ წინ. მაჰაპრაბჰუმ ისინი ვრნდავანში გაგზავნა, რათა იქ შეხვედროდა მათ.

პურიში ჩაიტანიჲა შანტიპურის გავლით დაბრუნდა, სადაც კვლავ შეხვდა თავის საყვარელ დედას. პურიში ცოტა ხანს დაჰყო და ვრნდავანში გაემგზავრა. ამჯერად მას თან ახლდა ვინმე ბალაბჰადრა ბჰატტაჩარიჲა. იგი ესტუმრა ვრნდავანს და ჩავიდა პრაიაგში (ალაჰაბადში), სადაც „ყურანში“ მოყვანილი არგუმენტის საფუძველზე მრავალი მუსულმანი მოაქცია ვაიშნავიზმისაკენ. ამ მოქცეულთა შთამომავლებს დღესაც პათჰანა ვაიშნავებს უწოდებენ. რუპა გოსვამი მას ალაჰაბადში შეხვდა. ათ დღეში ჩაიტანიჲამ სულიერებაში გაწვრთნა იგი და მისიების შესასრულებლად ვრნდავანში გაგზავნა. პირველ მოვალეობას წარმოადგენდა ფილოსოფიური ნაშრომის დაწერა, რომელშიც მეცნიერულად იქნებოდა ახსნილი წმინდა *ბჰაკტი* და *პრემა*. მეორე მოვალეობა გახლდათ იმ ადგილების აღმოჩენა, სადაც კრშნაჩანდრამ დვაპარა-იუგას ბოლოს

რელიგიური სამყაროს სასიკეთოდ თავისი სულიერი *ლილა* (გართობები) წარმოაჩინა. რუპა გოსვამი ალაჰაბადიდან ვრინდავანში გაეშურა, ხოლო მაჰაპრაბჰუ ბენარესში წავიდა. იქ იგი ჩანდრაშექჰარას სახლში ცხოვრობდა და ყოველდღიურ *ბჰიკშას* (საკვებს) ტაპანა მიშრას სახლში შეექცეოდა. სწორედ აქ შეუერთდა მას სანატანა გოსვამი. იგი ორი თვის განმავლობაში სწავლობდა უფლისგან სულიერ საკითხებს. ბიოგრაფებმა, განსაკუთრებით კრშნადასა კავირაჯამ, დაწვრილებით მოგვაწოდეს მოძღვრება, რომელიც ჩაიტანიამ რუპასა და სანატანას მისცა. კრშნადასა არ გახლდათ მისი თანამედროვე მწერალი, მაგრამ ცნობები მან თავად გოსვამებისგან, მაჰაპრაბჰუს უშუალო მოწაფეებისგან შეაგროვა. ჯივა გოსვამიმ, რომელმაც ძვირფასი ნაშრომი „შატ-სანდარბჰა“ დაგვიტოვა, თავისი დიდი წინამძღოლის მოძღვრებას ფილოსოფიური საფუძველი დაუდო. ჩვენ ამ დიდი მწერლების წიგნებიდან შევაგროვეთ და შევაჯამეთ ჩაიტანიას მოძღვრება.

ბენარესში მაჰარაშტრელი *ბრაჰმანის* სახლში ჩაიტანია სწავლულ *სანნიასებს* შეხვდა, რომელსაც ყველა *სანნიასი* მოეწვია. ამ შეხვედრისას ჩაიტანიამ სასწაული აჩვენა, რითაც ყველანი მიიზიდა. ამას საუბარი მოჰყვა. *სანნიასებს* სათავეში ედგათ მათი ყველაზე სწავლული მეთაური პრაკაშანანდა სარასვატი. ხანმოკლე კამათის შემდეგ მათ თავი მაჰაპრაბჰუს მიერ დამარცხებულებად აღიარეს და დაეთანხმენ, რომ შანკარაჩარიას კომენტარების მიერ შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი. თვით სწავლულებისთვისაც შეუძლებელი იყო ჩაიტანიასათვის დიდი ხნით წინააღმდეგობის გაწევა, ვინაიდან მასში იყო ხიბლი, რომელიც გულში ხვდებოდათ და სულიერი წინსვლის უდიდეს სურვილს აღუძრავდათ. მალე ბენარესის *სანნიასები* ჩაიტანიას ტერფებთან დაემხნენ და წყალობა (*კრპა*) სთხოვეს. შემდეგ ჩაიტანიამ წმინდა *ბჰაკტი* უქადაგა და გულებში კრშნას სიყვარული ჩაუნერგა, რამაც აიძულა

უარი ეთქვათ სექტანტურ გრძნობებზე. *სანნდასების* საოცარმა საუბარმა ბენარესის ყველა მოსახლე ვაიშნავად აქცია და მათ თავიანთ ახალ უფალთან ერთად დიდი *სანკირტანა* მოაწყვეს. სანჯტანას ვრნდავანში გაგზავნის შემდეგ მაჰაპრაბჰუ თავის მეგობარ ბალაბჰადრასთან ერთად ჯუნგლების გავლით კვლავ პურიში გაემგზავრა. ბალაბჰადრას ცნობით, პურის გზაზე მაჰაპრაბჰუმ მრავალი სასწაული უჩვენა — კრშნას სახელის გაგონებაზე ვეფხვებსა და სპილოებს აცეკვებდა.

ამ დროიდან მოყოლებული, ე.ი. 31 წლიდან, მაჰაპრაბჰუ განუწყვეტლივ პურიში ცხოვრობდა კაში მიშრას სახლში, ვიდრე ორმოცდამერვე წელს ტოტა გოპინათჰას ტაძარში *სანკირტანას* დროს არ გაუჩინარდა. ამ 18 წლის მანძილზე მისი სიცოცხლე მტკიცე სიყვარულისა და ღვთისმოსაობის ნიმუშს წარმოადგენდა. მას გარს ერტყა უამრავი მიმდევარი, რომელთაგან ყველა ვაიშნავთა უმაღლეს საფეხურზე იდგა და რომლებიც ჩვეულებრივი ხალხისაგან თავიანთი უწმინდესი თვისებებითა და განსწავლულობით, მტკიცე რელიგიური პრინციპებითა და რადჰა-კრშნას სულიერი სიყვარულით გამოირჩეოდნენ. სვარუპა დამოდარა, რომელიც მაჰაპრაბჰუს ნადიაში ცხოვრებისას პურუშოტტამაჩარიას სახელით იყო ცნობილი, მას ბენარესიდან შეუერთდა და მისი მდივნობა იკისრა. ვერც ერთი პოეტისა თუ ფილოსოფოსის ნაშრომი ვერ მიაღწევდა მაჰაპრაბჰუს, ვიდრე სვარუპა არ ჩათვლიდა მას წმინდად და სასარგებლოდ. რამა რამანანდა მისი მეორე თანაშემწე იყო. ის და სვარუპა მღეროდნენ, როცა თაყვანისცემის გარკვეული განწყობილების დროს მაჰაპრაბჰუ თავის გრძნობებს გამოხატავდა. პარამანანდა პური გახლდათ მისი მდივანი რელიგიურ საკითხებში. ბიოგრაფები აღწერენ ასობით შემთხვევას, რომელთაც აქ არ მოვიყვანთ. მაჰაპრაბჰუს ცოტა ეძინა. დღისით თუ ღამით გრძნობებს იგი შორს, სულიერების ზეცაში მიჰ-

ყავდა და ყოველი მისი თაყვანისმცემელი და მიმდევარი თვალყურს ადევნებდა ამას. იგი ლოცულობდა, კავშირი ჰქონდა ვრნდავანში მყოფ მისიონერებთან და ესაუბრებოდა მასთან ახლად მოსულ მორწმუნე ადამიანებს. ჩაიტანიას მღეროდა და ცეკვავდა, ყურადღებას არ აქცევდა საკუთარ თავს და ხშირად სულიერ ნეტარებაში იძირებოდა. მასთან მისულს, ყველას სჯეროდა მისი, როგორც ყოვლადმშვენიერი ღმერთისა, რომელიც კაცობრიობის სასიკეთოდ მოვიდა ამ დაბალ სამყაროში. მას არასოდეს განელებია დედის სიყვარული და დროდადრო ნადიაში მიმავალთ მასთან *მაჰაპრასადს* ატანდა. ბუნებით ძლიერ კეთილმოსურნე გახლდათ. მასში თავმდაბლობა იყო გაპიროვნებული. მისი სასიამოვნო შესახედაობა ამხიარულებდა ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობა უხდებოდა. პრაბჰუ ნიტიანანდას მან ბენგალიაში მისიონერული საქმის წარმართვა დაავალა. ექვსი მოწაფე (*გოსვამი*) მან ვრნდავანში გაგზავნა, რათა ქვეყანაში სიყვარული ექადაგათ. სჯიდა ყველა მოწაფეს, რომელიც წმინდა ცხოვრების გზიდან უხვევდა. აშკარად ასე მოხდა ყმაწვილი ჰარიდასას შემთხვევაში. საჭირო ცოდნის მიცემაზე უარს არასოდეს ეუბნებოდა ვინმეს. ამას რაგჰუნათჰა დასა გოსვამის სწავლებაში ვნახავთ. მისი დამოკიდებულება ჰარიდასასთან (უფროსთან) დაგვანახვებს, როგორ უყვარდა სულიერი ადამიანები და როგორ არაფრად აგდებდა კასტურ განსხვავებულობებს სულიერ ძმობაში.

უფალი ჩაიტანḍას მისია

უფალი ჩაიტანḍა მაჰაპრაბჰუ მოწაფეებს ასწავლიდა დაეწერათ წიგნები კრშṇას მეცნიერების შესახებ და ეს ამოცანა მისმა მიმდევრებმა დღემდე მოიტანეს. მოწაფეობრივი თანმიმდევრობის სისტემის არსებობის წყალობით, უფალი ჩაიტანḍას მიერ მოცემულ ფილოსოფიაზე შესრულებული ნაშრომები და ახსნა-განმარტებები ყველაზე სრული, ზუსტი და თანმიმდევრულია. თუმცა უფალი ჩაიტანḍა ახალგაზრდობაშივე ფართოდ ცნობილი სწავლული გახლდათ, მხოლოდ რვა ლექსი დატოვა, რომელსაც *შიკშაშტაკა* ეწოდება. ეს რვა ლექსი ნათლად გამოხატავს მის მისიასა და მცნებებს. ქვემოთ მოცემულია ამ უაღრესად ძვირფასი ლოცვების თარგმანი.

1

დიდება შრი კრშṇა *სანკირტანას*, რომელიც გულს წლების მანძილზე დაგროვილ მტვერს აშორებს და განპირობებული სიცოცხლის, განმეორებული დაბადებისა და სიკვდილის ცეცხლს აქრობს. ეს *სანკირტანა* მოძრაობა უდიდესი მადლია მთელი კაცობრიობისათვის, რამეთუ იგი ფართოდ ჰფენს წყალობის მთვარის სხივებს. ისაა სიცოცხლე ყოველგვარი ტრანსცენდენტული ცოდნისა. იგი ტრანსცენდენტული ნეტარების ოკეანეს ზრდის და გვანიჭებს უნარს ბოლომდე ვიგემოთ ნექტარი, რომელიც მუდამ გვწადია.

2

ო ჩემო უფალო, ერთ შენს წმინდა სახელს შეუძლია მთელი მადლი მოჰფინოს ცოცხალ არსებებს და ამიტომ გაქვს ასობითა და მილიონობით სახელი, როგორიცაა კრშნა და გოვინდა. ამ ტრანსცენდენტულ სახელებში მთელი შენი ტრანსცენდენტული ენერგიები ჩააქსოვე. მათი გალობის მკაცრი წესებიც კი არ არსებობს. ო უფალო ჩემო, შენი სიკეთით ძალგვიძს ადვილად მოგიახლოვდეთ შენი წმინდა სახელებით, მაგრამ მე იმდენად უბედური ვარ, რომ მათდამი არავითარი მიზიდულობა არ გამაჩნია.

3

ადამიანმა უფლის წმინდა სახელი მორჩილებით უნდა იგალობოს, თავი გზაზე ამოსულ ბალახზე მდაბლად მიაჩნდეს, ხეზე ამტანი იყოს, ცრუ სახელის ყოველგვარ გრძნობას მოკლებული და მზად მყოფი პატივი მიაგოს სხვებს. ასეთ მდგომარეობაში ადამიანს გამუდმებით შეუძლია უფლის წმინდა სახელის გალობა.

4

ო ყოვლისშემძლე უფალო, მე არც ქონების დაგროვება მსურს და არც ლამაზმანები მწადია. არც მიმდევრებს გთხოვ. მე მხოლოდ შენი უმიზეზო ერთგული სამსახური მინდა დაბადებიდან დაბადებაში.

5

ო მაჰარაჯა ნანდას შვილო [კრშნა], მე შენი მარადიული მსახური ვარ, თუმცა როგორღაც დაბადებისა და სიკვდილის ოკეანეში ჩავვარდი. გევერდები, ამომიყვანე

სიკვდილის ამ ოკეანედან და შენი ლოტოსის ტერფებთან პაწაწინა ნაწილაკად მიმიჩინე ბინა.

6

ო ჩემო უფალო, როდის გამილამაზებს თვალებს შენი წმინდა სახელის გალობისას უსასრულოდ ჩამოღვრილი სიყვარულის ცრემლები? როდის წამერთმევა ხმა და ყალყზე დამიდგება თმა შენი სახელის წარმოთქმისას?

7

ო გოვინდა! შენთან წამით განშორება თორმეტი წელი და მეტი მეჩვენება. თვალთაგან ცრემლები ნიაღვრებივით მდის და მთელი სამყარო ცარიელდება უშენოდ.

8

კრშ̣ნაა ჩემი ერთადერთი უფალი. ასე იქნება მარად, უხეშადაც რომ შემომხვიოს მკლავები ან გული მატკინოს გაუჩინარებით. იგი სრულიად თავისუფალია აკეთოს ყველაფერი რაც სურს, რამეთუ განუპირობებლად მუდამ ჩემი სათაყვანებელი უფალია.

2 Заказ 1227

შესავალი

(წაკითხული იქნა ხუთი დილის ლექციის სახით კრშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, ნიუ-იორკში, 1967 წ. 10-14 აპრილს, უფალი ჩაიტანიას მაჰაპრაბ-ჰუს ავტორიტეტულ ბიოგრაფიაზე, კრშნადასა კავირაჯა გოსვამის „ჩაიტანია-ჩარიტამრტაზე“)

სიტყვა „ჩაიტანია“ ნიშნავს „სასიცოცხლო ძალას“. ჩვენ, როგორც ცოცხალ არსებებს, შეგვიძლია მოძრაობა, მაგრამ მაგიდას მოძრაობა არ შეუძლია, რადგან მას სასიცოცხლო ძალა არ გააჩნია. მოძრაობა და მოქმედება სასიცოცხლო ძალის ნიშნებად ან გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს. უნდა ითქვას, რომ სასიცოცხლო ძალის გარეშე არ არსებობს მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ სასიცოცხლო ძალა მატერიალურ პირობებში იმყოფება, იგი არ არის *ამრტა* ანუ უკვდავი. მაშასადამე, სიტყვები „ჩაიტანია-ჩარიტამრტა“ შეიძლება ითარგმნოს როგორც „სასიცოცხლო ძალის უკვდავების თვისება“.

მაგრამ როგორ ავლენს ეს სასიცოცხლო ძალა უკვდავებას? ამ მატერიალურ სამყაროში ამის უნარი არც ადამიანს შესწევს და არც რომელიმე სხვა არსებას, ვინაიდან ამ სხეულებში არც ერთი ჩვენგანი არ არის უკვდავი. ჩვენ სასიცოცხლო ძალა გაგვაჩნია, მოქმედებებს ვასრულებთ და საკუთარი ბუნებითა და აღნაგობით უკვდავები ვართ, მაგრამ ის მატერიალური პირობები, რომელშიც მოქცეულნი გახლავართ, ჩვენი უკვდავების გამოვლენის საშუალებას არ იძლევა. „კათჰა უპანიშადში“ ნათქვამია, რომ მარადისობა და სასიცოცხლო ძალა გვახასიათებს

ჩვენც და ღმერთსაც. მართალია, ღმერთიც და ჩვენც ჭეშ-მარიტად უკვდავები ვართ, განსხვავება მაინც არსებობს. როგორც ცოცხალი არსებები, ათასგვარ საქმიანობებს ვე-წევით, მაგრამ მატერიალურ ბუნებაში ჩამოვარდნის მიდ-რეკილება გვახასიათებს. ღმერთს ასეთი მიდრეკილება არ გააჩნია. რადგან ყოვლისშემძლეა, იგი არასოდეს ექცევა მატერიალური ბუნების კონტროლის ქვეშ. სინამდვილე-ში, მატერიალური ბუნება მისი წარმოუდგენელი ენერ-გიების ერთ-ერთი გამოვლინებაა მხოლოდ.

მიწიდან მხოლოდ ღრუბლებს ვხედავთ ცაზე, მაგრამ ღრუბლებზე მაღლა თუ ავფრინდებით, მანათობელი მზე გამოჩნდება. ციდან ცათამბჯენები და ქალაქები წერტი-ლებს ჰგავს; ღმერთის თვალით ასევე უმნიშვნელოა მთე-ლი მატერიალური სამყაროც. განპირობებულ ცოცხალ არსებებს ახასიათებთ იმ სიმაღლეებიდან დაცემა, საიდა-ნაც ყველაფრის პერსპექტივაში დანახვა შეიძლება. მაგ-რამ ღმერთს ასეთი მიდრეკილება არა აქვს. უზენაესი უფ-ალი არ ექცევა ილუზიის (*მაჲას*) გავლენაში, ისევე რო-გორც მზე არ ეცემა ღრუბლებს ქვემოთ. ვინაიდან უზე-ნაესი უფალი ილუზიის გავლენაში არ ხვდება, იგი განუპირობებელია; რადგან ჩვენ, შეზღუდულ ცოცხალ არსებებს, ილუზიაში ჩამოვარდნის მიდრეკილება გვახა-სიათებს, განპირობებული არსებები გვეწოდება. იმპერსო-ნალისტი ფილოსოფოსები (*მაჲავადები*) აცხადებენ, რომ ამ მატერიალურ სამყაროში მოსვლისას ცოცხალი არსე-ბაც და ღმერთიც *მაჲას* კონტროლის ქვეშ ექცევიან. ცო-ცხალი არსების შემთხვევაში ეს შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ ღმერთის მიმართ შეცდომას წარმოადგენს, ვინაიდან მატერიალური ენერგია ნებისმიერ ვითარებაში მისი ზედამხედველობის ქვეშ მოქმედებს. მათ, ვისაც მი-აჩნიათ, რომ უზენაესი უფალი მატერიალურ პირობებში ექცევა, „ბჰაგავად-გიტაში“ კრშნა სულელებს უწოდებს:

ავაჯანანტი მამ მუდჰა
მანუშიმ ტანუმ აშრიტამ
პარამ ბჰავამ აჯანანტო
მამა ბჰუტა-მაჰეშვარამ

„სულელები დამცინიან, როდესაც ადამიანის სახით მოვდივარ. მათ არ იციან ჩემი ტრანსცენდენტული ბუნება და ჩემი უმაღლესი ზეგანმგებლობა ყოველივე არსებულზე“ (ბ.გ. 9.11).

უფალი ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუ არ შეიძლება ერთ-ერთ ჩვენგანად ჩაითვალოს. იგი თავად კრშნაა, უზენაესი ცოცხალი არსება და, როგორც ასეთი, არასოდეს ექცევა *მაჯას* ღრუბლის ქვეშ. კრშნა, მისი ექსპანსიები და მისი ამაღლებული ერთგულებიც კი არასოდეს ექცევიან ილუზიის კლანჭებში. უფალი ჩაიტანდა დედამიწას მხოლოდ *კრშნა-ბჰაკტის*, კრშნას სიყვარულის ქადაგებისათვის მოევლინა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი თავად უფალი კრშნაა, რომელიც ცოცხალ არსებებს კრშნასთან მიახლოების სწორ გზას ასწავლის. იგი ჰგავს მასწავლებელს, რომელიც, ცუდი მოსწავლის შემყურე, ხელში იღებს კალამს და ასწავლის: „დაწერე ასე: ა, ბ, გ, დ“. ამის გამო სულელურად არ უნდა გვეგონოს, რომ მასწავლებელი ანბანს სწავლობს. თუმცა იგი ერთგულის სახით მოგვევლინა, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი ჩაიტანდა თავად კრშნაა (ღმერთი), რომელიც გვასწავლის, როგორ გავხდეთ კრშნას ცნობიერნი; ასეთი გაგებით უნდა შევისწავლოთ იგი.

„ბჰაგავად-გიტაში“ უფალი კრშნა უმაღლეს რელიგიურ პრინციპს გვასწავლის:

სარვა-დჰარმან პარიტჯაჯა
მამ ეკამ შარანამ ვრაჯა

აჰამ ტვამ სარვა-პაპებჰიო
მოკშაიშიამი მა შუჩაჰ

„მიატოვე ყოველგვარი რელიგია და უბრალოდ მომენდე. მე გაგანთავისუფლებ ყოველგვარი ცოდვითი რეაქციისაგან. ნუ გეშინია“ (ბ.გ. 18.66).

ეს დარიგება შეიძლება მარტივად მოგვეჩვენოს, მაგრამ ჩვენ ასე ვრეაგირებთ მასზე: „რაო, მინდობა? არა, მე მრავალი სხვა პასუხისმგებლობა მაკისრია“. *მაჯა*, ილუზია კი გვეუბნება: „არ მიენდო, თორემ კლანჭებიდან დამისხლტები. დარჩი ჩემს კლანჭებში და წიხლებს არ მოგაკლებ“. ფაქტია, რომ *მაჯა* მუდამ წიხლებით გვცემს, ისევე როგორც მამალ ვირს სცემს დედალი, როდესაც მამალს სქესობრივი ურთიერთობა უნდა. ძაღლებიც და კატებიც ასევე წკმუიან და ყმუიან სექსის დროს. ეს ბუნების ოინებია. ჯუნგლებში სპილოს იჭერენ გაწრთვნილი დედალი სპილოს საშუალებით, რომელიც სექსისთვის ორმოში იტყუებს მას. *მაჯა* უამრავ რამეს აკეთებს, მატერიალურ სამყაროში კი მისი უძლიერესი იარაღი მდედრობითი სქესი გახლავთ. ცხადია, ჩვენ არც მდედრობით და არც მამრობით სქესს არ მივეკუთვნებით, ვინაიდან ეს დასახელებები მხოლოდ გარეგან სამოსელს, სხეულს ეხება. სინამდვილეში ჩვენ კრშნას მსახურები ვართ. მაგრამ განპირობებულ ცხოვრებაში რკინის ბორკილები გვადევს ლამაზი ქალების სახით. ამგვარად, ყოველი მამრი სექსით არის შებოჭილი, ამიტომ, მატერიალური მარწუხებიდან თავის დაღწევის მცდელობისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სქესობრივი წადილის კონტროლირება. შეუზღუდავი სექსი ილუზიის სრულ ტყვეობაში აქცევს სულს. უფალი ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ ოფიციალურად განუდგა ამ ილუზიას ოცდაოთხი წლის ასაკში, თუმცა მისი მეუღლე თექვსმეტი წლის გახლდათ, დედა კი სამოცდაათისა და იგი ერთადერთი მამაკაცი იყო ოჯახში. მართალია, იგი

იყო *ბრაჰმანი* და არც სიმდიდრეს ფლობდა, მან *სანნიასა*, განდეგილის ცხოვრების წესი მიიღო და ამგვარად ჩამოშორდა ოჯახურ ხლართებს.

თუკი კრშნას სრულ ცნობიერებაში ყოფნა გვსურს, უნდა მივატოვოთ *მაიას* ბორკილები, ანდა, თუ ადამიანი *მაიაში* იმყოფება, ისე უნდა იცხოვროს, რომ ილუზიის გავლენაში არ მოექცეს. ოჯახის მიტოვება არ არის აუცილებელი, რადგან უფალი ჩაიტანიას უახლოეს ერთგულთა შორის მრავალი მეოჯახე იყო. მატერიალური სიამოვნების მიდრეკილებაზე უნდა ვთქვათ უარი. თუმცა უფალი ჩაიტანია აღიარებდა ქორწინების შემთხვევაში მოწესრიგებულ სქესობრივ კავშირს, იგი უაღრესად მკაცრი იყო განდეგილის ცხოვრების წესში მყოფთა მიმართ. მან დასაჯა კიდეც უმცროსი ჰარიდასა ახალგაზრდა ქალზე ავხორცული მზერის გამო. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა უნდა აირჩიოს გარკვეული გზა და მიჰყვეს მას, დაემორჩილოს წესებსა და რეგულაციებს, რომლებიც სულიერ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევადაა საჭირო. უფალი ჩაიტანიას მისიაც ის გახლდათ, რომ მთელი კაცობრიობისათვის კრშნას ცნობიერების გზა ესწავლებინა, რაც სულიერი ცხოვრების უკვდავებასთან ზიარების საშუალებას იძლევა.

„ჩაიტანია-ჩარიტამრტადან“ ჩვენ ვგებულობთ, როგორ ასწავლიდა ჩაიტანია ხალხს უკვდავების მიღწევას; ამიტომ სათაური სწორად შეიძლება ითარგმნოს როგორც „სასიცოცხლო ძალის უკვდავების თვისება“. უმაღლესი სასიცოცხლო ძალა ღმრთეების უზენაესი პიროვნებაა. იგია უმაღლესი არსებაც. არსებობს უამრავი ცოცხალი არსება და ყოველი მათგანი ინდივიდუალურია. ეს ადვილი გასაგებია: ფიქრებსა და სურვილებში ყველას ინდივიდუალობა გვახასიათებს და უზენაესი უფალიც ინდივიდუალური პიროვნებაა. მაგრამ ჩვენგან იმით განსხვავდება, რომ უმთავრესია და მას ვერავინ აღემატება. შექმნილ

არსებათა შორის ერთმა შეიძლება მეორეს აჯობოს. უფალიც ცოცხალი არსებებივით ინდივიდუალურია, მაგრამ მათგან განსხვავდება იმით, რომ უმაღლესი ინდივიდი გახლავთ. ღმერთი უნაკლოცაა. „ბჰაგავად-გიტაში“ მას ჰქვია აჩიუტა, რაც ნიშნავს „მას, ვინც არასოდეს ეცემა“. ეს ხაზგასმით არის ნათქვამი, ვინაიდან „ბჰაგავად-გიტაში“ არჯუნა ილუზიაში მოექცა, კრშნა კი — არა. ჩვენ ხშირად გვესმის, რომ ღმერთი უნაკლოა და „ბჰაგავად-გიტაშიც“ კრშნა აცხადებს:

ნანდამ გუნებჰიაჰ კარტარამ
იადა დრაშტანუპაშიატი
გუნებჰიაშ ჩა პარამ ვეტტი
მად-ბჰავამ სო 'დჰიგაჩჩჰატი

„როდესაც დაინახავ, რომ ნებისმიერ მოქმედებაში არაფერია ბუნების ამ მოდუსს მიღმა და რომ უფალი ტრანსცენდენტულია ყოველი მოდუსის მიმართ, მაშინ შეიცნობ ჩემს სულიერ ბუნებას“ (ბ.გ. 14.19).

ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც მატერიალურ სამყაროში იმყოფება, კრშნაზე მატერიალური პოტენცია იმარჯვებს. კრშნა და მისი ინკარნაციები არ ექვემდებარებიან მატერიალური ბუნების კონტროლს. ისინი სრულიად თავისუფლები არიან. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ღვთაებრივი ბუნების მქონე პიროვნებად წოდებულია ის, ვისზედაც არ მოქმედებს მატერიალური ბუნება, თუმცა იგი მატერიალურ ბუნებაში იმყოფება. თუკი ერთგულსაც შეუძლია ასეთი თავისუფლების მიღწევა, რაღა გვეთქმის უზენაესზე?

ნამდვილ პრობლემას წარმოადგენს ის, თუ როგორ დავიცვათ თავი მატერიალურ სამყაროში მატერიალური სიბინძურისგან. რუპა გოსვამიმ განმარტა, რომ ამ სამყაროში სიბინძურისგან თავის დაცვა მხოლოდ მაშინ არის

შესაძლებელი, როცა კრშნას სამსახურს გავიხდით მიზნად. მაშინ, თავის გასამართლებლად, ვიღაცამ შეიძლება იკითხოს: „როგორ ვემსახურო კრშნას?“ ცხადია, ეს არის არა უბრალო მედიტაცია, რაც ჭკუის ქმედებას წარმოადგენს, არამედ პრაქტიკული შრომა. კრშნას სამსახურისადმი სიყვარულის მიღწევა მხოლოდ კრშნასათვის შრომით შეიძლება. ასეთ შრომაში არავითარი საშუალება არ უნდა დავტოვოთ გამოუყენებელი. რაც კი არსებობს, რაც გაგვაჩნია, ყველაფერი კრშნასათვის უნდა მოვიხმაროთ. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ყველაფერი: საბეჭდი მანქანები, ავტომანქანები, თვითმფრინავები, რაკეტები — ყველაფერი. თუკი უბრალოდ მოვუყვებით ხალხს კრშნას ცნობიერების შესახებ, ესეც სამსახურია. თუკი ჩვენი ჭკუა, გრძნობები, მეტყველება, ფული და ენერგია კრშნას სამსახურით იქნება დაკავებული, ვერ ვიტყვით, რომ მატერიალურ სამყაროში ვიმყოფებით. სულიერი ცნობიერების ანუ კრშნას ცნობიერების წყალობით, ჩვენ მატერიალური ბუნების საფეხურზე მაღლა ვდგავართ. ფაქტია, რომ კრშნა, მისი ექსპანსიები და მისი ერთგულები — ანუ ისინი, ვინც მისთვის შრომობენ — არ იმყოფებიან მატერიალურ ბუნებაში, თუმცა მცირე ცოდნის მქონე ხალხს ეს არ ესმის.

„ჩაიტანჲა-ჩარიტამრტა“ გვასწავლის, რომ სული უკვდავია. უკვდავია ჩვენი საქმიანობაც სულიერ სამყაროში. მჰაჰვაჰდები, რომლებიც აბსოლუტს უპიროვნოდ და უფორმოდ მიიჩნევენ, აცხადებენ, რომ რეალიზებულ სულს ლაპარაკი არ სჭირდება. მაგრამ ვაიშნავები, რომლებიც კრშნას ერთგულები არიან, ამტკიცებენ, რომ რეალიზაციის სტადიის მიღწევის შემდეგ იწყებს ცოცხალი არსება ჭეშმარიტად ლაპარაკს. „აქამდე მხოლოდ სისულელეს ვლაპარაკობდით“, — ამბობენ ვაიშნავები. „ახლა ჭეშმარიტად ვილაპარაკოთ, ვილაპარაკოთ კრშნას შესახებ“. მჰაჰვაჰდებს დოქის მაგალითის მოყვანაც უყვართ.

ისინი აცხადებენ, რომ ცარიელი დოქი ხმას გამოსცემს, მაგრამ ავსების შემდეგ — აღარა. მაგრამ რა არის დოქი? როგორ შეიძლება მისი ჩვენთან შედარება? კარგ ანალოგიაში გამოიყენება რაც შეიძლება მეტი მსგავსება ორ საგანს შორის. დოქი აქტიური სასიცოცხლო ძალა არ არის, ჩვენ კი სასიცოცხლო ძალა ვართ. ჩუმი მედიტაცია დოქს შეიძლება მიესადაგებოდეს, მაგრამ ჩვენ არა. სინამდვილეში, როდესაც ადამიანი რეალიზაციას მიაღწევს, მას იმდენი ექნება სალაპარაკო კრშნას შესახებ, რომ ოცდაოთხი საათიც არ ეყოფა დღეში. სულელი ჭკვიანს ჰგავს, სანამ არ ლაპარაკობს, რადგან როცა სიჩუმეს დაარღვევს, გამოჩნდება მისი უცოდინრობა. „ჩაიტანდა-ჩარიტამრტა“ გვიჩვენებს, რომ უზენაესის ქება-დიდებით უამრავი საოცრების აღმოჩენა შეიძლება.

„ჩაიტანდა-ჩარიტამრტას“ დასაწყისში კრშნადასა კავირაჯა გოსვამი წერს: „მე მოწიწებით ვცემ თაყვანს ჩემს სულიერ მოძღვრებს“. მოწაფეობრივი თანმიმდევრობის აღსანიშნავად იგი მრავლობით რიცხვს ხმარობს. იგი არა მარტო თავის სულიერ მოძღვარს სცემს თაყვანს, არამედ მთელ *პარამპარას*, მოწაფეობრივ თანმიმდევრობას, დაწყებულს თავად უფალი კრშნათი. ამგვარად, *გურუ* ნახსენებია მრავლობითში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი უდიდეს პატივს სცემს ყოველ ვაიშნავს. მოწაფეობრივი თანმიმდევრობის წინაშე ქედის მოხრის შემდეგ ავტორი ქედს იხრის ყველა დანარჩენი ერთგულის, სულიერი ძმების, ღმრთეების ექსპანსიებისა და კრშნას ენერგიის პირველი გამოვლინების მიმართ. უფალი ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუ (რომელსაც ზოგჯერ კრშნა ჩაიტანდას უწოდებენ) ყოველი მათგანის განსახიერებაა; იგია ღმერთი, *გურუ*, ენერგიის პირველი გამოვლინება; მისი თანამგზავრის, ნიტჰანანდას სახით, ენერგიის პირველი გამოვლინებაა; ადვაიტას სახით არის ინკარნაცია; გადაუდჰარას

სახით შინაგანი პოტენცია გახლავთ; შრივასას სახით კი იგია მოსაზღვრე ცოცხალი არსება. ამიტომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კრშნა მარტოა; უნდა გვესმოდეს, რომ იგი მარადიულად არსებობს მის ყოველ გამოვლენასთან ერთად, როგორც ამას რამანუჯაჩარია აღწერს. *ვიშიშტადვაიტას* ფილოსოფიაში ღმერთის ენერგიები, ექსპანსიები და ინკარნაციები განხილულია მათ ერთიანობასა და განსხვავებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთი არ არის განცალკევებული ყოველივე ამისგან; ერთად აღებული, ყველაფერი ღმერთია.

სინამდვილეში, „ჩაიტანია-ჩარიტამრტა“ ახალბედასათვის არ არის განკუთვნილი, რადგან იგი სულიერი ცოდნის „ასპირანტურას“ წარმოადგენს. იდეალურ შემთხვევაში კაცი იწყებს „ბჰაგავად-გიტას“ შესწავლას, შემდეგ გადადის „შრიმად-ბჰაგავატამზე“ და აღწევს „ჩაიტანია-ჩარიტამრტას“. თუმცა ყოველი ეს დიადი წმინდა წერილი ერთ დონეზე იმყოფება, შედარებითი შესწავლისათვის „ჩაიტანია-ჩარიტამრტა“ უმაღლეს დონეზე მყოფად ითვლება. მისი ყოველი ლექსი სრულყოფილად არის აგებული. უფალი ჩაიტანია და ნიტიანანდა შედარებულნი არიან მზესა და მთვარეს, რადგან მატერიალური სამყაროს წყვდიადს ფანტავენ. ამ შემთხვევაში მზეც და მთვარეც ერთდროულად ამოვიდა ჰორიზონტზე, ამიტომ სწორი იქნება, თუ ერთდროულად ვცემთ თაყვანს უფალ ჩაიტანიასა და ნიტიანანდას.

დასავლეთში, სადაც უფალი ჩაიტანიას დიდება შედარებით ნაკლებად არის ცნობილი, ვინმემ შეიძლება იკითხოს: „ვინ არის კრშნა ჩაიტანია?“ წმინდა წერილები ამ კითხვაზე პასუხად ამტკიცებს, რომ იგი არის ღმრთეების უზენაესი პიროვნება. როგორც წესი, *უპანიშადებში* უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება უპიროვნო სახით არის აღწერილი, მაგრამ აბსოლუტური ჭეშმარიტების პი-

როვნულ ასპექტზე ლაპარაკია „ᾱშოპანიშადში“, სადაც ყოვლისგამჭოლის აღწერილობის შემდეგ გვხვდება ასეთი ლექსი:

ჰირაṇმაḍენა პაṭრენა
სატḍასḍაპიჰიṭამ მუქჰამ
ṭატ ṭვამ პუშანნ აპავრṇუ
სატḍა-დჰარმაḍა დრშṭაḍე

„ო ჩემო უფალო, ყოველი ცოცხალის მასულდგმულებელო, შენი ჭეშმარიტი სახე დაფარულია შენივე თვალისმომჭრელი სიკაშკაშით. გთხოვ, მოიცილე ეს საფარველი და ეჩვენე შენს წმინდა ერთგულს“ („ᾱრᾱ ᾱშოპანიშადი“, მანტრა 15).

იმპერსონალისტებს არ შესწევთ ძალა, გასცდნენ ღმერთის სიკაშკაშეს და მივიდნენ იმ პიროვნებასთან, რომლისგანაც ეს სიკაშკაშე მომდინარეობს. მაგრამ „ᾱრᾱ ᾱშოპანიშადის“ ბოლოს არის ჰიმნი ღმრთეების უზენაესი პიროვნებისადმი. უპიროვნო ბრაჰმანი არ არის უარყოფილი; იგიც აღწერილია, მაგრამ ბრაჰმანი ჩაიტანḍას სხეულის კაშკაშა ბრწყინვალებად არის განხილული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრშṇა ჩაიტანḍა უპიროვნო ბრაჰმანის საფუძველს წარმოადგენს. კრშṇაც ამბობს „ბჰაგავად-გᾱṭაში“, რომ უპიროვნო ბრაჰმანი მასზე განისვენებს (*ბრაჰმაṇო ჰი პრაṭიშṭჰაჰამ*, ბ.გ. 14.27). პარამაṭმა ანუ ზესული, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებაში და სამყაროს ყოველ ატომში იმყოფება, ჩაიტანḍას ნაწილობრივი განსახიერებაა მხოლოდ. ამიტომ კრშṇა ჩაიტანḍა არის ბრაჰმანის საფუძველიცა და ღმრთეების უზენაესი პიროვნებაც. რამეთუ უზენაესია, აღსავსეა ექვსი სახის დიდებულებით: სიმდიდრით, სახელმოხვეჭილობით, ძალით, სილამაზით, ცოდნითა და განდეგილობით. მოკლედ, უნდა ვიცოდეთ, რომ იგია კრშṇა, ღმერთი, ვერავინ

გაუტოლდება მას და ვერავინ იქნება მასზე დიდი. წარმოუდგენელია მასზე დიადის არსებობა. იგია უზენაესი პიროვნება.

რუპა გოსვამიმ, უახლოესმა ერთგულმა, რომელსაც უფალი ჩაიტანდა ათი დღის განმავლობაში მოძღვრავდა, დაწერა:

ნამო მაჰა-ვადანდანდა
კრშნა-პრემა-პრადანდა ტე
კრშნანდა კრშნა-ჩაიტანდა-
ნამნე გაურა-ტვიშე ნამაჰ

„მე მოწიწებით ვცემ თაყვანს უზენაეს უფალ შრი კრშნა ჩაიტანდას, რომელიც ნებისმიერ სხვა *ავატარაზე*, თავად კრშნაზეც უფრო გულუხვია, ვინაიდან უფასოდ არიგებს იმას, რაც სხვას არავის მოუცია — კრშნას წმინდა სიყვარულს“.

უფალი ჩაიტანდა ღმერთის შეცნობის გრძელ და რთულ გზას როდი გვასწავლის. იგი არ მისდევს *კარმა-დოგას, ჯნანა-დოგასა* თუ *ჰათჰა-დოგას* გზას; იგი იწყებს მატერიალური ყოფიერების ბოლოდან, იმ საფეხურიდან, რომელზეც ცოცხალი არსება ყოველგვარ მატერიალურ მიჯაჭვულობებს მიატოვებს. „ბჰაგავად-გიტაში“ კრშნამ თავისი მოძღვრება სულსა და მატერიას შორის არსებული განსხვავების ახსნით დაიწყო, მეთვრამეტე თავში კი იმ სტადიაზე დაასრულა, რომელზედაც სული ერთგულებით მიენდობა მას. ასეთ დროს მანავანადები ყოველგვარ საქმიანობას შეწყვეტდნენ, მაგრამ ჭეშმარიტი მსჯელობა მხოლოდ ამ საფეხურზე იწყება. „ვედანტა-სუტრა“ იწყება ასე: *ათჰატო ბრაჰმა-ჯიჯნასა* — „ახლა ვიკითხოთ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ“. ამგვარად, რუპა გოსვამი ადიდებს ჩაიტანდას როგორც ყველაზე გულუხვ ინკარნაციას, ვინაიდან იგი იძლევა უდიდეს საჩუ-

ქარს, გვიჩვენებს რა ერთგული სამსახურის უმაღლეს საზეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი პასუხობს ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე, რომელიც ვინმეს შეიძლება დაებადოს.

ერთგული სამსახურისა და ღმერთის შეცნობის სხვადასხვა სტადიები არსებობს. მკაცრად რომ ვთქვათ, ყოველი, ვინც ღმერთის არსებობას აღიარებს, ერთგული სამსახურის დონეზე იმყოფება. იმის აღიარება, რომ ღმერთი დიადია, კარგია, მაგრამ ეს ბევრი არაფერია. ჩაიტანია, როგორც ᳬᳫᳬᳫᳬ, დიადი მოძღვარი, გვასწავლიდა, რომ ღმერთთან ურთიერთობაში შესვლა და სინამდვილეში ღმერთთან მეგობრობა შეგვიძლია. „ბჰაგავად-გიტაში“ კრშნამ არჯუნას თავისი სამყაროსეული ფორმა უჩვენა, რადგან არჯუნა მისი „ძვირფასი მეგობარი“ იყო. მაგრამ როდესაც არჯუნამ იხილა, რომ კრშნა სამყაროების უფალია, პატიება სთხოვა მას, რომ მეგობრობაში ეთამამებოდა. ჩაიტანია ამაზე შორს მიდის. უფალი ჩაიტანიას დახმარებით ჩვენ შეგვიძლია კრშნას მეგობრები გავხდეთ. ასეთ მეგობრობას საზღვარი არა აქვს. შეგვიძლია გავხდეთ კრშნას მეგობრები არა შიშითა და მოკრძალებით, არამედ სრულიად თავისუფლად. შეგვიძლია ღმერთს მამასავით მოვექცეთ. ეს არის არა მხოლოდ „ჩაიტანია-ჩარიტამრტას“, არამედ „შრიმად-ბჰაგავატამის“ ფილოსოფიაც. მსოფლიოში არ არსებობს სხვა ნაწარმოები, რომელშიაც ღმერთს ისე ექცეოდნენ, როგორც ერთგულის შვილს. როგორც წესი, ღმერთი წარმოდგენილია ყოვლისშემძლე მამის სახით, რომელიც შვილების მოთხოვნებს ასრულებს. მაგრამ ერთგული სამსახურის დროს დიადი ერთგულები ზოგჯერ შვილივით ეპყრობიან ღმერთს. შვილი რაიმეს სთხოვს, მამა კი მის მოთხოვნას აკმაყოფილებს. კრშნას დაკმაყოფილებისას ერთგული მამასავით იქცევა. ნაცვლად იმისა, რომ ღმერთს რაიმე ვთხოვოთ,

ჩვენ ვაძლევთ ღმერთს. ასეთ ურთიერთობაში ეუბნებოდა კრშნას დედამისი, ᲫᲐᲨᲝᲓᲘ: „ᲭᲐᲛᲔ, თორემ მოკვდები. კარგად ᲭᲐᲛᲔ“. ასე რომ, კრშნა, რომელსაც ყველაფერი ეკუთვნის, თავისი ერთგულის წყალობაზეა დამოკიდებული. ეს მეგობრობის განსაკუთრებით მაღალი დონეა, რომელშიაც ერთგული მართლა დარწმუნებულია, რომ იგი კრშნას მამაა.

მაგრამ უფალი ჩაიტანᲫას უდიდესი ძღვენი არის მისი მოძღვრება იმის შესახებ, რომ კრშნას შეიძლება შეყვარებულივით მოვექცეთ. ამ ურთიერთობაში უფალი იმდენადაა დატყვევებული, რომ არ ძალუძს ამ გრძნობაზე პასუხის გაცემა. კრშნა ისე იყო დავალებული *გოპებისგან*, ვრნდᲐვანის მენახირე გოგონებისგან, რომ გრძნობდა, არ შეეძლო მათთვის სიყვარულის დაბრუნება. „მე ვერ გადაგიხდით სიყვარულს“, — უთხრა მათ. „მე მეტი აღარაფერი არა მაქვს, რომ დაგიბრუნოთ“. ამგვარად, ერთგული სამსახური ამ საუცხოო დონეზე სრულდება და ცოდნა ერთგულისა და კრშნას, როგორც შეყვარებულისა და სატრფოს ურთიერთობის შესახებ უფალმა ჩაიტანᲫა მაᲰᲐპრაბᲰუმ მოგვცა. იგი არ მოუციათ არც წინამორბედ ინკარნაციებსა და არც *ᲐᲩᲐრᲫებს*. ამიტომ რᲣპა გოსვᲐმᲘმ უთხრა უფალ ჩაიტანᲫას: „ერთგული სამსახური თავად არის უმაღლესი, დიდებული საფეხური, რომელსაც შენ ქადაგებ. შენ ხარ კრშნა ყვითელ ფერში და შენ ხარ შაჩინანდანა, დედა შაჩის შვილი. ვინც „ჩაიტანᲫაჩარიტᲐმრტას“ ისმენს, გულში ეყოლები. შენით ადვილია კრშნას შეცნობა“. ამრიგად, უფალი ჩაიტანᲫა მოევლინა, რათა მოეცა კრშნა. გადმოცემის მის მეთოდს წარმოადგენდა არა მედიტაცია, კარმიული მოღვაწეობა თუ წმინდა წერილთა შესწავლა, არამედ სიყვარული.

ხშირად გვსმენია გამოთქმა „ღმრთეების სიყვარული“. ᲭᲔᲨᲛᲐრიტად შესწავლა იმისა, თუ რამდენად შეიძლება ამ

სიყვარულის განვითარება, ვაიშნავური ფილოსოფიიდან შეიძლება. ღმერთის სიყვარულის თეორიული ცოდნა მრავალ ადგილას და მრავალ წმინდა წერილში მოიძებნება, მაგრამ იმას, თუ რა არის სინამდვილეში ღმრთეების სიყვარული და როგორ შეიძლება მისი განვითარება, ვაიშნავურ ნაწარმოებებში ვიხილავთ. ეს ღმერთის სიყვარულის განვითარების განუმეორებელი და უმაღლესი გზაა, რომელიც ჩაიტანიას მაჰაპრაბჰუმ მოგვცა.

სიყვარულის გამოცდა მატერიალურ სამყაროშიც შეიძლება. როგორ არის ეს შესაძლებელი? ეს იმ სიყვარულის გამოა, რომელიც ღმრთეებას ახასიათებს. რასაც კი ამ განპირობებულ სიცოცხლეში ჩვენი გამოცდილებით აღვიქვამთ, არის უზენაეს უფალში, რომელიც ყველაფრის უმაღლეს სათავეს წარმოადგენს. უზენაეს უფალთან ჩვენს თავდაპირველ დამოკიდებულებაში არის სიყვარული, ეს სიყვარული კი გაუკუღმართებულად მატერიალურ პირობებშია არეკლილი. ჩვენი ჭეშმარიტი სიყვარული შეუწყვეტელი და დაუსრულებელია, მაგრამ ვინაიდან მატერიალურ სამყაროში სიყვარული გაუკუღმართებულად არის არეკლილი, მას უწყვეტობა აკლია და დამათრობელია. თუკი ჭეშმარიტი ტრანსცენდენტული სიყვარული გვსურს, ჩვენი სიყვარული სიყვარულის უმაღლეს საგანზე — ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე უნდა გადავიტანოთ. ეს არის კრშნას ცნობიერების ძირითადი პრინციპი.

მატერიალურ ცნობიერებაში ვცდილობთ გვიყვარდეს ის, რაც სრულიად არ არის სიყვარულის ღირსი. გვიყვარს ძაღლები და კატები, თუმცა გვემუქრება იმის საფრთხე, რომ სიკვდილის ჟამს შეიძლება მათზე გავიფიქროთ და შესაბამისად ძაღლების ან კატების ოჯახში დავიბადოთ. ამგვარად, იმ სიყვარულს, რომელსაც მიზნად კრშნა არ გააჩნია, დაბლა მივყავართ. კრშნა ანუ ღმერთი რაიმე ბუნდოვანი ან მხოლოდ რამოდენიმე კაცისთვის მისაწვდომი კი არ არის. ჩაიტანიას მაჰაპრაბჰუ გვეუბნება, რომ

ყოველ ქვეყანასა და ყოველ წმინდა წერილში არის გარკვეული მინიშნება ღმრთეების სიყვარულისა. სამწუხაროდ, არავინ იცის, რა არის სინამდვილეში ღმრთეების სიყვარული. მაგრამ ვედური წერილები იმით განსხვავდება, რომ შეუძლია სწორი გზით წაიყვანოს ინდივიდი ღმერთის სიყვარულისკენ. სხვა წმინდა წერილები არ იძლევა ცნობებს იმის თაობაზე, თუ *როგორ* შეიძლება ღმერთის სიყვარული, არც იმას განმარტავენ, თუ *რა* ან *ვინ* არის სინამდვილეში ღმრთეება. თუმცა ოფიციალურად წამოყენებული აქვთ ღმრთეების სიყვარულის იდეა, არ იციან, როგორ განახორციელონ იგი. მაგრამ უფალი ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუ პრაქტიკულად გვიჩვენებს, როგორ გვიყვარდეს ღმერთი სატრფიალო ურთიერთობაში. დგება რა რადჰარანის ადგილას, ჩაიტანდა ცდილობს ისე უყვარდეს კრშნა, როგორც რადჰარანის უყვარდა იგი. კრშნას მუდამ აოცებდა რადჰარანის სიყვარული. „როგორ მანიჭებს რადჰარანი ასეთ სიამოვნებას?“ — კითხულობდა იგი. რადჰარანის შესასწავლად კრშნა მის როლში ცხოვრობდა და საკუთარი თავის გაგებას ცდილობდა. ესაა უფალი ჩაიტანდას მოვლინების საიდუმლო. ჩაიტანდა კრშნაა, მაგრამ მან რადჰარანის სული ან როლი მიიღო, რათა ეჩვენებინა ჩვენთვის, როგორ უნდა გვიყვარდეს კრშნა. ამიტომ მას ასე მიმართავენ: „მე მოწიწებით ვცემ თაყვანს უზენაეს უფალს, რომელიც რადჰარანის ფიქრებშია ჩაფლული“.

ამის შედეგად იბადება კითხვა, თუ ვინ არის რადჰარანი და რა არის რადჰა-კრშნა. სინამდვილეში, რადჰა-კრშნა სიყვარულის გაცვლას წარმოადგენს. ეს უბრალო სიყვარული არ არის; კრშნას უზარმაზარი პოტენციები აქვს, რომელთაგან მთავარია სამი: შინაგანი, გარეგანი და მოსაზღვრე. შინაგან პოტენციაში არსებობს სამი განაყოფი: *სამვიტ*, *ჰლადინი* და *სანდჰინი*. პოტენცია *ჰლადინი* არის სიამოვნების მომნიჭებელი პოტენცია. სიამოვნების

ძიების ეს პოტენცია გააჩნია ყოველ ცოცხალ არსებას, რადგან თითოეული მათგანი ცდილობს ისიამოვნოს. სწორედ ასეთია ცოცხალი არსების ბუნება. ამჟამად, მატერიალურ პირობებში სხეულის საშუალებით ვცდილობთ ჩვენი სიამოვნების მომნიჭებელი პოტენციით დატკბობას. სხეულისეული კონტაქტის გზით მატერიალურ გრძნობათა ობიექტებისაგან სიამოვნების მიღებას ვცდილობთ. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კრშნა, რომელიც მუდამ სულიერია, მატერიალურ დონეზე ჩვენსავით ცდილობს სიამოვნებას. კრშნა მატერიალურ სამყაროს ახასიათებს როგორც გაჭირვებებით აღსავსე წარმავალ ადგილს. მაშ რატომ უნდა ეძებოს მან სიამოვნება მატერიალურ ფორმაში? იგია ზესული, უმაღლესი სული და მისი სიამოვნება მატერიალურ წარმოდგენებს სცდება.

იმისათვის, რომ გავიგოთ, როგორ ღებულობს კრშნა სიამოვნებას, უნდა წავიკითხოთ „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეათე სიმღერა, რომელშიც ნაჩვენებია კრშნას სიამოვნების მომნიჭებელი პოტენცია მის გართობებში რადჰარანისა და ვრაჯას დანარჩენ ქალწულებთან. სამწუხაროდ, უგუნური ხალხი უმალვე კრშნას იმ თამაშებს მიმართავს, რომელიც *დაშამა-სკანდჰაში*, მეათე სიმღერაშია წარმოდგენილი. როგორც წესი, უბრალო ხალხს არ ესმის კრშნასა და რადჰარანის ხვევნა ან მენახირე გოგონებთან *რასა* ცეკვა, ვინაიდან ამ გართობებს ისინი ამქვეყნიური ავხორცობის შუქზე იხილავენ. მათ მცდარად მიაჩნიათ, რომ კრშნა ერთ-ერთი მათგანია და ისევე ეხვევა *გოპებს*, როგორც უბრალო კაცი — ახალგაზრდა გოგოს. ამიტომ ზოგიერთებს კრშნა იმიტომ აინტერესებთ, რომ თითქოს მისი რელიგია სქესობრივი ცხოვრების უფლებას იძლევა. ეს არ არის *კრშნა-ბჰაკტი*, კრშნას სიყვარული, არამედ *პრაკრტა-საჰაჯიდა* — მატერიალისტური ავხორცობაა.

ასეთი შეცდომების თავიდან ასაცილებლად უნდა გავიგოთ, თუ ვინ არიან სინამდვილეში რადჰა-კრშნა. რადჰა და კრშნა თავიანთ გართობებს კრშნას შინაგანი ენერგიის

საშუალებით ავლენენ. კრ̣შ̣ნას შინაგანი ენერგიის სიამოვ-ნების მომნიჭებელი პოტენცია ყველაზე რთული საკითხია და მისი გაგება შეუძლებელია კრ̣შ̣ნას გაგების გარეშე. კრ̣შ̣ნა არავითარ სიამოვნებას არ ღებულობს ამ მატერი-ალურ სამყაროში, მაგრამ მას აქვს სიამოვნების მომნი-ჭებელი პოტენცია. რადგან კრ̣შ̣ნას განუყოფელი ნაწილა-კები ვართ, სიამოვნების მომნიჭებელი პოტენცია ჩვენც გაგვაჩნია, მაგრამ სიამოვნების მომნიჭებელ ამ პოტენციას მატერიაში ვავლენთ. კრ̣შ̣ნა კი არ ეწევა ასეთ ამაო მცდე-ლობას. კრ̣შ̣ნას სიამოვნების მომნიჭებელი პოტენციის ობიექტია რადჰარანი. კრ̣შ̣ნა თავის პოტენციას ანუ თავის ენერგიას რადჰარანის სახით ავლენს და შემდეგ სასიყ-ვარულო საქმეებში ებმება მასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრ̣შ̣ნა არ ტკბება ამ გარეგან ენერგიაში, არამედ თავის შინაგან ენერგიას, სიამოვნების მომნიჭებელ თავის პოტენციას რადჰარანის სახით ავლენს. ამრიგად, კრ̣შ̣ნა საკუთარ თავს რადჰარანის სახით წარმოაჩენს, რათა სია-მოვნების მომნიჭებელი თავისი შინაგანი პოტენცია გა-მოავლინოს. უფლის უამრავ ექსტენციას, ექსპანსიასა და ინკარნაციას შორის სიამოვნების მომნიჭებელი ეს პოტენ-ცია ძირითადია და უმთავრესი.

რადჰარანი არ არის კრ̣შ̣ნასგან განცალკევებული. რადჰარანიც კრ̣შ̣ნაა, ვინაიდან არ არსებობს განსხვავება ენერგიასა და ენერგიის წყაროს შორის. ენერგიის გარე-შე ენერგიის წყაროს აზრი არა აქვს, ენერგიის წყაროს გარეშე კი არ არსებობს ენერგია. სწორედ ასევე, რადჰას გარეშე აზრი არა აქვს კრ̣შ̣ნას, კრ̣შ̣ნას გარეშე კი აზრი არა აქვს რადჰას. ამიტომ ვაიშ̣ნავთა ფილოსოფია უპირ-ველეს ყოვლისა ქედს უხრის და თაყვანს სცემს უზენა-ესი უფლის სიამოვნების მომნიჭებელ პოტენციას. ამრი-გად, უფალსა და მის პოტენციას ყოველთვის მიმართავენ, როგორც რადჰა-კრ̣შ̣ნას. სწორედ ასევე, ისინი, ვინც ნარა-ᲫაᲜ̣ას სახელს სცემენ თაყვანს, უპირველეს ყოვლისა წარ-მოთქვამენ ლაკშმის სახელს — ლაკშმი-ნარაᲫაᲜ̣ა. სწორედ

ასევე, ისინი, ვინც უფალ რაშას ეთაყვანებიან, უპირველეს ყოვლისა სიტას სახელს წარმოთქვამენ. ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ეს სიტა-რაშა, ლაკშმი-ნარაჯანა თუ რადჰა-კრშნა, პირველ ადგილას პოტენცია დგას.

რადჰა და კრშნა ერთი და იგივე არიან და როდესაც კრშნა სიამოვნებას მოისურვებს, საკუთარ თავს რადჰარანის სახით ავლენს. რადჰასა და კრშნას შორის არსებული სულიერი სიყვარული კრშნას სიამოვნების მომნიჭებელი პოტენციის ჭეშმარიტ გამოვლინებას წარმოადგენს. თუმცა ჩვენ ვამბობთ „როცა კრშნა მოისურვებს“, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ სინამდვილეში როდის მოისურვებს. ასე მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ განპირობებულ სიცოცხლეში ყველაფერს დასაწყისი აქვს; მაგრამ აბსოლუტურ, ანუ სულიერ სიცოცხლეში არ არსებობს არც დასაწყისი და არც დასასრული. და მაინც, იმის გასაგებად, რომ რადჰა და კრშნა ერთი და იგივენი არიან და თანაც გაყოფილი, აზროვნებაში თავისთავად წამოიჭრება კითხვა „როდის?“. როდესაც კრშნამ სიამოვნების მომნიჭებელი თავისი ენერგიით განცხრომა მოინდომა, იგი რადჰარანის განცალკევებულ ფორმაში წარმოგვიდგა და როდესაც რადჰას დახმარებით საკუთარი თავის გაგება სურდა, მაშინ გაერთიანდა რადჰარანისთან. ამ გაერთიანებას ეწოდება უფალი ჩაიტანდა.

რატომ მიიღო კრშნამ ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს სახე? განმარტებულია, რომ კრშნას რადჰას სიყვარულის სიდიადის გაგება სურდა. „რატომ ვუყვარვარ ასე ძლიერ მას?“ — იკითხა კრშნამ. „რა არის ჩემში, რაც მას ასე იზიდავს? და როგორია სინამდვილეში მისი სიყვარული ჩემდამი?“ უცნაურად ჟღერს, რომ კრშნას, უზენაესს, ვიღაცის სიყვარული იზიდავს. ჩვენ კაცის ან ქალის სიყვარულს ვეძებთ, რამეთუ არასრულყოფილნი ვართ და რაღაცა გვაკლია. ქალის სიყვარული, ეს პოტენცია და სიამოვნება კაცს არ ახასიათებს, ამიტომ კაცს ქალი სჭირდება, მაგრამ ეს არ ეხება კრშნას, რომელიც სრულია თავის

თავში. ამრიგად, კრშნა განცვიფრდა: „რატომ ვიზიდავ რადჰარანის? და რას გრძნობს რადჰარანი ჩემი სიყვარულისას?“ ამ სასიყვარულო საქმეების არსის შესაგრძნობად კრშნა მოევლინა სწორედ ისე, როგორც მთვარე ეფინება ზღვის ჰორიზონტს. ისევე, როგორც მთვარე წარმოიშვა ზღვის ადღვების შემდეგ, სულიერი სასიყვარულო საქმეების ადღვების შედეგად გამოჩნდა ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუს მთვარე. მართლაც, ჩაიტანჲას ფერი მთვარის მსგავსად ოქროსფერი იყო. თუმცა ეს ხატოვანი ენაა, იგი გულისხმობს იმ აზრს, რომელიც ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუს მოვლინების უკან დგას. მისი მოვლინების სრული მნიშვნელობა მომდევნო თავებში იქნება განხილული.

„ჩაიტანჲა-ჩარიტამრტაში“ უზენაესის გამოვლინებებიც არის აღწერილი. უფალი ჩაიტანჲასადმი ქედის მოხრის შემდეგ კრშნადასა კავირაჯა ნიტჲანანდას უხრის ქედს. იგი განმარტავს, რომ ნიტჲანანდა არის გამოვლინება სანკარშანასი, რომელიც მაჰა-ვიშნუს დასაბამს წარმოადგენს. კრშნას პირველი გამოვლინებაა ბალარამა, შემდეგ მოდის სანკარშანა, სანკარშანას შემდეგ კი პრადჲუმნა ვლინდება. ამრიგად, მომდინარეობს ურიცხვი ექსპანსია. მართალია არსებობს ურიცხვი ექსპანსია, მათი წყარო არის უფალი შრი კრშნა, როგორც „ბრაჰმა-სამჰიტაშია“ დადასტურებული. იგი ჰგავს თავდაპირველ სანთელს, რომლისგანაც მილიონობითა და მილიარდობით სხვა სანთელი აინთო. თუმცა უამრავი სხვა სანთლის დანთება შეიძლება, საწყისს მაინც თავდაპირველი სანთელი წარმოადგენს. ამრიგად, კრშნა საკუთარ თავს უამრავი სინათლის სახით ავრცელებს და ყოველ ასეთ ექსპანსიას *ვიშნუ-ტატტვა* ეწოდება. ვიშნუ დიდი სინათლეა, ჩვენ კი პატარა სინათლეები ვართ, მაგრამ ყოველი ჩვენგანი კრშნას ექსპანსიას წარმოადგენს.

როდესაც მატერიალური სამყაროს შექმნის საჭიროება დგება, ვიშნუ თავად ვრცელდება მაჰა-ვიშნუს სახით. მაჰა-ვიშნუ მიზეზთა ოკეანეში განისვენებს და საკუთარი

ნესტოებიდან ამოისუნთქავს ყოველ სამყაროს. ამრიგად, ყოველი სამყარო მაჰპ-ვიშ̣ნუსა და მიზეზთა ოკეანედან წარმოიშობა და ყოველი ეს სამყარო მიზეზთა ოკეანეში ლივლივებს. ამასთან დაკავშირებით არსებობს ვპმანას ამბავი, რომელმაც სამი ნაბიჯი გადადგა და ფეხის თითით სამყაროს საფარველი გახვრიტა. მიზეზთა ოკეანის წყალი მის მიერ შექმნილ ნახვრეტში ჩამოვიდა და ნათქვამია, რომ წყლის ეს ნაკადი მდინარე განგად იქცა. ამიტომ განგა ვიშ̣ნუს უწმინდეს წყლად ითვლება და მას თაყვანს სცემს ყოველი ინდოელი, ჰიმალაებიდან მოყოლებული ბენგალიის ყურემდე.

ის მაჰპ-ვიშ̣ნუ, რომელიც მიზეზთა ოკეანეში განისვენებს, სინამდვილეში ექსპანსიაა ბალარპმასი, კრ̣შ̣ნას პირველი ექსპანსიისა, რომელიც ვრ̣ნდპვანის გარეთობებშ̣ი კრ̣შ̣ნას ძმა გახლავთ. *მაჰპ-მანტრაში:* ჰარე კრ̣შ̣ნა, ჰარე კრ̣შ̣ნა, კრ̣შ̣ნა კრ̣შ̣ნა, ჰარე ჰარე / ჰარე რპმა, ჰარე რპმა, რპმა რპმა, ჰარე ჰარე სიტყვა რპმა ბალარპმას ეხება. რადგან უფალი ნიტ̣ჲნანდა ბალარპმას ექსპანსიაა, რპმა ეხება უფალ ნიტ̣ჲნანდასაც. ამრიგად ჰარე კრ̣შ̣ნა, ჰარე რპმათი მივმართავთ არა მხოლოდ კრ̣შ̣ნასა და ბალარპმას, არამედ უფალ ჩაიტანდასა და უფალ ნიტ̣ჲნანდასაც.

„ჩაიტანდა-ჩარიტპმრ̣ტა“ ძირითადად იმას ეხება, რაც მატერიალური ქმნილების მიღმაა. კოსმოსურ მატერიალურ ექსპანსიას ეწოდება *მპ̣ჲ*, ვინაიდან იგი მარადიული არ არის. რადგან ხან ვლინდება, ხან კი გამოუვლენელია, განიხილება, როგორც ილუზორული. მაგრამ ამ დროებითი გამოვლინების მიღმა არსებობს უმაღლესი ბუნება, რაზედაც „ბჰაგავად-გ̣ი̄ტპ“ მიგვანიშნებს:

პარას ტასმპ̄ტ ტუ ბჰპ̄ვო ’ნ̣ჲო
’ვ̣ჲაკ̣ტო ’ვ̣ჲაკ̣ტპ̄ტ სანპ̄ტანაჰ̣
ჲაჰ̣ სა სარვეშუ ბჰ̄უტ̣ეშუ
ნაშ̄ჲატ̣სუ ნა ვინაშ̄ჲატ̣ი

„და მაინც, არსებობს სხვა ბუნება, რომელიც მარადიული და ტრანსცენდენტულია ამ გამოვლენილი და გამოუვლენელი ბუნების მიმართ. იგია უმაღლესი და არასოდეს ნადგურდება. ამ სამყაროში ყველაფრის მოსპობის შემდეგ ეს ნაწილი უცვლელი რჩება“ (ბ.გ. 8.20).

ეს უმაღლესი ბუნება გამოვლენილსა (*ვიაკტაჰ*) და გამოუვლენელს (*ავიაკტაჰ*) მიღმაა. ეს უმაღლესი ბუნება, რომელიც შექმნისა და განადგურების მიღმა დგას, არის სასიცოცხლო ძალა, რომელიც ყოველი ცოცხალი არსების სხეულშია გამოვლენილი. თავად სხეული უმდაბლესი ბუნების, მატერიისგან არის შემდგარი, მაგრამ სხეულს სწორედ უმაღლესი ბუნება ამოძრავებს. ამ უმაღლესი ბუნების მაჩვენებელ ნიშანს ცნობიერება წარმოადგენს. ამრიგად, სულიერ სამყაროში, სადაც ყველაფერი უმაღლესი ბუნებისგან არის შემდგარი, ყველაფერი ცნობიერი გახლავთ. მატერიალურ სამყაროში უსულო საგნები მოკლებულნი არიან ცნობიერებას, მაგრამ სულიერ სამყაროში ეს ასე არ არის. იქ მაგიდაც ცნობიერია, მიწაც ცნობიერია, ხეებიც ცნობიერნი არიან — ყველაფერი ცნობიერია.

შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ სადამდე გრძელდება ეს მატერიალური გამოვლინება. მატერიალურ სამყაროში ყველაფრის გამოთვლა წარმოსახვით ან რაიმე არასრულყოფილი მეთოდით ხდება, მაგრამ ვედური ლიტერატურა გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, თუ რა იმყოფება მატერიალური სამყაროს მიღმა. მათ, ვისაც ექსპერიმენტული ცოდნისა სჯერათ, შეიძლება ეჭვი შეეპაროთ ვედურ დასკვნებში, რადგან იმის გამოთვლაც კი არ შეუძლიათ, თუ სადამდე გრძელდება ეს სამყარო, არც თავად ამ სამყაროს ფარგლებში შორეული მხარეების მიღწევის უნარი შესწევთ. ექსპერიმენტული ხერხებით შეუძლებელია ცნობების მიღება იმის თაობაზე, თუ რა იმყოფება ამ მატერიალური ბუნების მიღმა. მას, რაც შემეცნების

ჩვენს უნარს სცილდება, ჰქვია *აჩინტია*, წარმოუდგენელი. ის, რაც ჭეშმარიტად წარმოუდგენელია, არ ემორჩილება მსჯელობებს ან ექსპერიმენტირებას. ჩვენი ენერგია, ჩვენი გრძნობათა აღქმაც შეზღუდულია; ამიტომ წარმოუდგენელ საკითხებთან დაკავშირებით ვედურ დასკვნებს უნდა დავეყრდნოთ. ცოდნა უმაღლესი ბუნების შესახებ უკამათოდ უნდა იქნას აღიარებული. როგორ შეიძლება იმაზე კამათი, რაზედაც ხელი სრულიად არ მიგვიწვდება? ტრანსცენდენტული საკითხების გაგების მეთოდს გვაძლევს თავად უფალი კრშნა „ბჰაგავად-გიტაში", სადაც მეოთხე თავის დასაწყისში არჯუნას ეუბნება:

იმამ ვივასვატე დოგამ
პროკტავან აჰამ ავიაჰამ
ვივასვან მანავე პრაჰა
მანურ იკშვაკავე 'ბრავიტ

„მე ვასწავლე *დოგას* ეს უკვდავი მეცნიერება მზის ღმერთს, ვივასვანს, ვივასვანმა ასწავლა იგი მანუს, კაცობრიობის მამამთავარს, მანუმ კი, თავის მხრივ, იგი იკშვაკუს ასწავლა" (ბ.გ. 4.1).

ასეთია *პარამპარას* ანუ მოწაფეობრივი თანმიმდევრობის მეთოდი. სწორედ ასევე, „შრიმად-ბჰაგავატამში" კრშნამ გულში ჩაუნერგა ცოდნა ბრაჰმას, პირველ შექმნილ არსებას ამ სამყაროში. ბრაჰმამ ასწავლა ეს თავის მოსწავლეს, ნარადას, ნარადამ ეს ცოდნა ვიასადევას მიაწოდა. ვიასადევამ ასწავლა მადჰვაჩარიას, მადჰვაჩარიასგან კი ცოდნა მივიდა მადჰავენდრა პურიმდე, შემდგომ იშვარა პურიმდე, მისგან კი იგი ჩაიტანია მაჰაპრაბჰუმ მიიღო.

ვინმეს შეიძლება დაებადოს კითხვა, რომ თუკი ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ თავად კრშნაა, რატომ სჭირდება მას სულიერი მოძღვარი? ცხადია, სულიერი მოძღვარი მას არ სჭირდება, მაგრამ ვინაიდან *აჩარიას* (ის, ვინც საკუთა-

რი მაგალითით ასწავლის) როლს თამაშობდა, მაინც მიიღო იგი. თვითონ კრშნამაც კი მიიღო სულიერი მოძღვარი, რადგან ასეთია წესი. ამგვარად, უფალი მაგალითს უჩვენებს ხალხს. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს უფალი სულიერ მოძღვარს იმიტომ ღებულობს, რომ მას ცოდნა აკლია. იგი უბრალოდ ხაზს უსვამს მოწაფეობრივი თანმიმდევრობის მიღების აუცილებლობას. მოწაფეობრივ თანმიმდევრობაში ცოდნა სინამდვილეში თავად უფლისგან მომდინარეობს და თუკი შეუცვლელი სახით აღწევს ჩვენამდე, იგი სრულყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიმყოფებით უშუალო კავშირში იმ პიროვნებასთან, რომელმაც პირველად გადმოსცა ეს ცოდნა, გადაცემის ამ პროცესის საშუალებით იგივე ცოდნას მივიღებთ. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ნათქვამია, რომ კრშნამ, აბსოლუტურმა ჭეშმარიტებამ, ღმრთეების პიროვნებამ, ბრაჰმას გულში გადასცა ტრანსცენდენტული ცოდნა. მაშასადამე, ეს არის ცოდნის მიღების ერთი გზა — გულიდან. ამრიგად, არსებობს ცოდნის მიღების ორი გზა: ერთი დამოკიდებულია ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე, რომელიც ყოველი ცოცხალი არსების გულში იმყოფება, მეორე კი — *გურუზე* ანუ სულიერ მოძღვარზე, რომელიც კრშნას ექსპანსიას წარმოადგენს. ამრიგად, კრშნა ცოდნას შიგნიდან და გარედან გადმოგვცემს. ჩვენ მხოლოდ მისი მიღება მოგვეთხოვება. თუკი ცოდნას ასეთი გზით მივიღებთ, მნიშვნელობა არა აქვს, შეუცნობელია იგი თუ არა.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ მოცემულია უამრავი ცნობა ვაიკუნთჰას პლანეტარულ სისტემებზე, რომელიც მატერიალური სამყაროს მიღმა მდებარეობს. სწორედ ასევე, „ჩაიტანია-ჩარიტამრტაში“ გონებისათვის მიუწვდომელი უამრავი ცნობაა მოცემული. ექსპერიმენტული ცოდნით ამ ცნობების მიღების ყოველი მცდელობა ამაოა. უბრალოდ ცოდნის მიღებაა საჭირო. ვედური მეთოდის თანახმად, შაბდა, ანუ ტრანსცენდენტული ბგერა მტკიცებად განიხილება. ბგერა მეტად მნიშვნელოვანია ვედების

შემეცნებისთვის, რადგან სიწმინდის შემთხვევაში იგი ავტორიტეტულად ითვლება. მატერიალურ სამყაროშიც კი ჩვენ უზარმაზარ ინფორმაციას ვიღებთ, რომელიც ათასობით მილის მანძილზე ტელეფონით ან რადიოთი იგზავნება. ასე რომ, ბგერას ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ვცნობთ მტკიცებად. თუმცა ინფორმაციის გადმომცემს ვერ ვხედავთ, ბგერაზე დაყრდნობით მის ინფორმაციას მართებულად მივიჩნევთ. მაშასადამე, ბგერითი ვიბრაცია მეტად მნიშვნელოვანია ვედური ცოდნის გადაცემისათვის.

ვედები გვასწავლის, რომ ამ კოსმოსური გამოვლინების მიღმა არის ვრცელი პლანეტები და სულიერი ზეცა. ეს მატერიალური გამოვლინება მთელი ქმნილების მცირე ნაწილად ითვლება მხოლოდ. მატერიალური გამოვლინება მოიცავს არა მარტო ამ სამყაროს, არამედ ურიცხვ სხვა სამყაროსაც, მაგრამ ერთად აღებული ყოველი მატერიალური გამოვლინება მთელი ქმნილების მხოლოდ ნაწილს შეადგენს. სამყაროს უმეტესი ნაწილი სულიერ ზეცაზეა განლაგებული. ამ ზეცაზე ურიცხვი პლანეტა ლივლივებს, რომელთაც ვაიკუნ̣ṭჰალოკები ეწოდება. ყოველ ვაიკუნ̣ṭჰალოკას განაგებს ნარაჰანა̣ თავის ოთხხელიან ექსპანსიებში, როგორებიცაა სან̣კარშან̣ა, პრადჲუმნა, ანირუდდჰა და ვასუდევა.

როგორც უკვე დადასტურებული იქნა, მატერიალურ სამყაროებს მაჰა-ვიშ̣ṇუს სახით თავად უფალი ავლენს. როგორც ქმარი და ცოლი ერთდებიან შთამომავლობის გასაჩენად, მაჰა-ვიშ̣ṇუც ერთდება თავის მეუღლე მაჰასთან ანუ მატერიალურ ბუნებასთან. ესეც დამტკიცებულია „ბჰაგავად-გი̄ṭაში“, სადაც კრშ̣ṇა ამბობს:

სარვა-ḍონიშუ კაუნტეჲა
მა̄ურṭაḍაჰ̣ სამბჰავანტი ḍაჰ̣
ṭასა̄ṁ ბრაჰმა მაჰად ḍონირ
აჰა̄ṁ ბი̄ჯა-პრადაჰ̣ პიṭა̄

„უნდა გესმოდეს, რომ სიცოცხლის ყოველი სახეობა, ო კუნტრის შვილო, ამ მატერიალურ ბუნებაში იბადება და რომ მე ვარ თესლის მიმცემი მამა“ (ბ.გ. 14.4).

ვიშნუ მაჲაჳს ანუ მატერიალურ ბუნებას უბრალოდ იმით ანაყოფიერებს, რომ მზერას ავლებს მას. ასეთია სულიერი მეთოდი. მატერიალური თვალსაზრისით ჩვენ შეზღუდულები ვართ და ჩასახვა სხეულის მხოლოდ ერთი ნაწილით ძალგვიძს, მაგრამ უზენაეს უფალს, კრშნას, ანუ მაჰაჳ-ვიშნუს ნებისმიერი ნაწილის ნებისმიერი ნაწილით ჩასახვა შეუძლია. უბრალოდ მზერის მოვლებით უფალს მატერიალური ბუნების მუცელში ურიცხვი ცოცხალი არსების ჩასახვა შეუძლია. „ბრაჰმა-სამჰიტაჴშიც“ დადასტურებულია, რომ უზენაესი უფლის სულიერი სხეული იმდენად ძლიერია, რომ მის ნებისმიერ ნაწილს ნებისმიერი სხვა ნაწილის დანიშნულების შესრულება შეუძლია. შეხება ჩვენ მხოლოდ ხელებით ან კანით შეგვიძლია, მაგრამ კრშნას უბრალოდ მზერით შეხების უნარი აქვს. ჩვენ მხოლოდ თვალებით ვხედავთ; მათი საშუალებით არ შეგვიძლია შეხება ან ყნოსვა. მაგრამ კრშნას თვალებით ყნოსვა და ჭამაც კი შეუძლია. როდესაც კრშნას კერძებს ვთავაზობთ, ვერ ვხედავთ მის ჭამას, მაგრამ იგი ჭამს უბრალოდ იმით, რომ მზერას ავლებს საჭმელს. ჩვენ არ შეგვიძლია იმის წარმოდგენა, თუ როგორ მიმდინარეობს ყველაფერი სულიერ სამყაროში, სადაც *ყველაფერი* სულიერია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრშნა არ ჭამს, არც ის არის ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი, რომ კრშნა ჭამს; სინამდვილეში იგი ჭამს, მაგრამ მისი ჭამა განსხვავდება ჭამის ჩვენი პროცესისგან. როდესაც ბოლომდე მივაღწევთ სულიერ საფეხურს ჩვენც მის მსგავსად შევჭამთ. ამ საფეხურზე სხეულის ნებისმიერ ნაწილს ნებისმიერი სხვა ნაწილის საქმის შესრულება შეუძლია.

ვიშნუს არაფერი სჭირდება შექმნისათვის. ბრაჰმას გაჩენისათვის არ სჭირდება ქალღმერთი ლაკშმი, რადგან

ბრაჰმꣳ იშვა ლოტოსის ყვავილისგან, რომელიც ვიშṇუს ჭიპიდან იზრდება. ქალღმერთი ლაკშმი ვიშṇუს ლოტოსის ტერფებთან ზის და ემსახურება მას. მატერიალურ სამყაროში ბავშვთა გაჩენისათვის აუცილებელია სქესობრივი ცხოვრება, მაგრáმ სულიერ სამყაროში ცოლის გარეშე უამრავი შვილის გაჩენა არის შესაძლებელი. რადგან არ ვიცნობთ სულიერ ენერგიას, ვთვლით, რომ ბრაჰმꣳს დაბადება ვიშṇუს ჭიპიდან ფანტასტიკური ამბავია. ჩვენ არ გვესმის, რომ სულიერი ენერგია იმდენად ძლიერია, რომ ყველაფრის გაკეთება შეუძლია. მატერიალური ენერგია გარკვეულ კანონებზეა დამოკიდებული, სულიერი ენერგია კი სრულიად დამოუკიდებელია.

ბრაჰმꣳ იშვა გარბჰოდაკáშꣳḍი ვიშṇუს ჭიპიდან, რომელიც მáჰꣳ-ვიშṇუს ნაწილობრივ გამოვლინებას წარმოადგენს. მáჰꣳ-ვიშṇუს კანის ფორებში ურიცხვი სამყაროა მოთავსებული და ისინი მისი ამოსუნთქვის შედეგად ვლინდება. მატერიალურ სამყაროში ასეთი რამ არსად გვინახავს, მაგრამ ამის დამახინჯებული ანარეკლი ოფლდენის ფენომენში გვაქვს გამოცდილი. ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ მáჰꣳ-ვიშṇუს ამოსუნთქვის ხანგრძლივობას. ყოველი სამყარო ერთი ამოსუნთქვის მანძილზე იქმნება და ნადგურდება. უფალი ბრაჰმꣳ მხოლოდ ერთი სუნთქვის მანძილზე ცხოვრობს. ჩვენი ჟამთაღრიცხვის თანახმად 4 320 000 000 წელი ბრაჰმꣳს მხოლოდ თორმეტ საათს შეადგენს, ბრაჰმꣳ კი თავის ას წელიწáდს ცოცხლობს. მიუხედავად ამისა, ბრაჰმꣳს მთელი სიცოცხლე მáჰꣳ-ვიშṇუს ერთი სუნთქვის მანძილზე მიმდინარეობს. ამრიგად, უზენაესი უფლის სუნთქვის ძალის წარმოდგენა ჩვენ არ შეგვიძლია. ეს მáჰꣳ-ვიშṇუ კი კṛშṇას ნაწილობრივი გამოვლინებაა მხოლოდ.

ამდენად, კṛშṇადꣳსა კავირꣳჯა გოსვꣳმი უფალ ჩაიტანḍას განიხილავს როგორც თავად შṛი კṛშṇას, ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, უფალ ნიტḍꣳნანდას კი — როგორც

ბალარამას, კრშნას პირველ ექსპანსიას. უფალი ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს მეორე მოსწავლე, ადვაიტაჩარდა მაჰავიშნუს ექსპანსიად ითვლება. ამრიგად, ადვაიტაჩარდაც უფალია, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უფლის ექსპანსიაა. სიტყვა „ადვაიტა“ ნიშნავს „არაორმაგს“ და მას ასეთი სახელი იმიტომ ჰქვია, რომ იგი არ განსხვავდება უზენაესი უფლისგან. მას *ჯჩარდაც*, მოძღვარიც ეწოდება, ვინაიდან იგი კრშნას ცნობიერებას ავრცელებდა. ამ თვალსაზრისით იგი არ განსხვავდება ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუსაგან. თუმცა ჩაიტანდა თავად შრი კრშნაა, იგი ამ ქვეყანას ერთგულის სახით ევლინება, რათა ხალხს კრშნას სიყვარული ასწავლოს. სწორედ ასევე, ადვაიტაჩარდაც იმისათვის გამოჩნდა, რომ კრშნას ცნობიერების ცოდნა გაევრცელებინა. მაშასადამე, იგიც უფალია, რომელიც ერთგულის სახით მობრძანდა. კრშნა ხუთი სხვადასხვა ექსპანსიის სახით ვლინდება და იგი და ყოველი მისი თანამგზავრი უზენაესი უფლის ერთგულებად მოდიან შრი კრშნა ჩაიტანდას, ნიტდანანდას, ადვაიტაჩარდას, გადაჰარას, შრივასასა და სხვათა სახით. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუ ენერგიის წყაროს წარმოადგენს ყოველი მისი ერთგულისათვის. ამის გამო, თუკი კრშნას ცნობიერების წარმატებით განხორციელების მიზნით ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს თავშესაფარს ვპოვებთ, აუცილებლად მივაღწევთ წინსვლას. ნაროტტამა დასა ფჰაკურას ღვთის ერთგულებით დაწერილ ერთ-ერთ სიმღერაში ნათქვამია: „ძვირფასო უფალო ჩაიტანდა, გთხოვ, იყავი მოწყალე ჩემდამი. არავინაა შენზე მოწყალე. ჩემი თხოვნა ყოვლად გადაუდებელია, ვინაიდან შენი მისია არის დაცემულ სულთა განთავისუფლება, მე კი ყველაზე დაცემული ვარ. გევედრები, პირველი მე მიხსენი“.

„ჩაიტანდა-ჩარიტამრტას“ ავტორი, კრშნადასა კავირაჯა გოსვამი ვრნდავანის მაცხოვრებელი და დიადი ერთგული იყო. იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ბენგალიის

ერთ-ერთი მხარის, ბურდვანის პატარა ქალაქ კატვაში. მისი ოჯახის წევრებიც რაჴჰა-კრშნას ეთაყვანებოდნენ. ერთხელ, როდესაც ერთგულ სამსახურთან დაკავშირებით მის ოჯახში გაუგებრობა წარმოიშვა, კრშნადასა კავირაჯას ნიტíანანდა პრაბჰუმ სიზმარში სთხოვა, დაეტოვებინა სახლი და წასულიყო ვრნდავანში. თუმცა იგი ძალზე ხნიერი იყო, იმავე ღამეს გაემგზავრა და ვრნდავანში დასახლდა. იქ იგი შეხვდა გოსვამებს, უფალი ჩაიტანíა მაჰაპრაბჰუს მთავარ მოსწავლეებს. ვრნდავანში მცხოვრებმა ერთგულებმა მას „ჩაიტანíა-ჩარიტამრტას“ დაწერა სთხოვეს. მართალია, შრომას ღრმად მოხუცებულ ასაკში შეუდგა, უფალი ჩაიტანíას წყალობით მან დაამთავრა იგი. დღეისათვის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია ჩაიტანíას ფილოსოფიისა და ცხოვრების შესახებ.

იმ დროისათვის, როდესაც კრშნადასა კავირაჯა გოსვამი ვრნდავანში ცხოვრობდა, იქ ბევრი ტაძარი არ იყო. მაშინ სამი მთავარი ტაძარი — მადანა-მოჰანა, გოვინდაჯი და გოპინათჰა გახლდათ. როგორც ვრნდავანის მაცხოვრებელი, ამ ტაძრებში იგი მოწიწებით სცემდა ღვთაებებს და ღმერთს წყალობას სთხოვდა: „ ჩემი წარმატებები სულიერ ცხოვრებაში უმნიშვნელოა, ამიტომ შველას გთხოვ“. „ჩაიტანíა-ჩარიტამრტაში“ კრშნადასა კავირაჯა პირველად ქედს უხრის მადანა-მოჰანა *ვიგრაჰას*, ღვთაებას, რომელიც კრშნას ცნობიერებაში წინსვლაში გვეხმარება. კრშნას ცნობიერების განსახორციელებლად ჩვენი უპირველესი მოვალეობა არის კრშნასა და მასთან ჩვენი ურთიერთობის შეცნობა. კრშნას შეცნობა საკუთარი მეობის შეცნობას ნიშნავს, საკუთარი მეობის შეცნობა კი კრშნასთან ჩვენი ურთიერთობის შეცნობას წარმოადგენს. რადგან ამ ურთიერთობის შესწავლა მადანა-მოჰანა *ვიგრაჰას* თაყვანისცემით შეიძლება, კრშნადასა კავირაჯა გოსვამი თავიდან მასთან ამყარებს ურთიერთობას.

ამ ურთიერთობის დამყარების შემდეგ კრშნადასა კავირავჯა გოსვამი თაყვანს სცემს მოქმედ ღვთაებას, გოვინდას. გოვინდა მარადიულად ცხოვრობს ვრნდავანში. ვრნდავანის სულიერ სამყაროში სახლები ფილოსოფიური ქვით არის აგებული, ძროხებს ჰქვიათ *სურაბჰი* ძროხები, რომლებიც აურაცხელ რძეს იწველიან, ხეებს კი ნატვრის ხეები ეწოდებათ, რადგან ისინი ნებისმიერ ნატვრას ასრულებენ. ვრნდავანში კრშნა *სურაბჰი* ძროხებს მწყემსავს და მას ეთაყვანება ასობით და ათასობით *გოპი*, მენახირე გოგონა, რომლებიც ბედის ქალღმერთები არიან. როდესაც კრშნა მატერიალურ სამყაროში ეშვება, ვრნდავანიც მასთან ერთად მოდის, ისევე როგორც მნიშვნელოვან პირს ახლავს თავისი ამალა. რაკი კრშნას მოვლენისას მისი სამყოფელიც ვლინდება, ითვლება, რომ ვრნდავანი მატერიალურ სამყაროში არ მდებარეობს. ამიტომ ერთგულები ინდოეთის ვრნდავანში პოულობენ თავშესაფარს, რამეთუ იგი თავდაპირველი ვრნდავანის განმეორებადაა მიჩნეული. ვინმემ შეიძლება შემოგვჩივლოს, რომ იქ არავითარი *კალპა-ვრკშა* ანუ ნატვრის ხე არ არსებობს. მაგრამ როდესაც იქ გოსვამები იმყოფებოდნენ, *კალპა-ვრკშებიც* იქ იყო. არ გეგონოთ, რომ შეიძლება ამ ხესთან მიხვიდეთ და რაიმე მოთხოვოთ; თავიდან ერთგული უნდა გახდეთ. გოსვამები თითო ხის ძირას თითო ღამეს ათევდნენ და ხეებიც ყოველ მათ სურვილს ასრულებდნენ. უბრალო კაცს ეს დიდ საოცრებად შეიძლება ეჩვენოს, მაგრამ ერთგულ სამსახურში წინსვლასთან ერთად ყოველივე ამის შეცნობა შესაძლებელი გახდება.

ვრნდავანის ჭეშმარიტი განცდა მათ შეუძლიათ, ვინც აღარ ტკბებიან მატერიალური განცხრომით. „როდის განიწმინდება ჩემი ჭკუა მატერიალური სიამოვნების ყოველგვარი ლტოლვისაგან, რათა ვრნდავანის ხილვა შევძლო?“ — კითხულობს ერთი დიადი ერთგული. რაც უფრო

კრშნას ცნობიერნი გავხდებით და წინ წავიწევთ, მით უფრო სულიერად გაგვენდობა ყველაფერი. ამრიგად, კრშნადასა კავირაჯა გოსვამი ინდოეთის ვრნდავანს არ ანსხვავებს სულიერ ზეცაზე მყოფი ვრნდავანისაგან. „ჩაიტანიაჩარიტამრტაში“ კი აღწერს, რომ ვრნდავანში რადჰარანი და კრშნა ნატვრის ხის ქვეშ, ძვირფასი ქვებით შემკულ ტახტზე სხედან. იქ კრშნას ძვირფასი მეგობრები მენახირე ბიჭები და *გოპები* რადჰასა და კრშნას იმით ემსახურებიან, რომ უმღერიან, ცეკვავენ, ბეტელის კაკალსა და საუზმეს სთავაზობენ, ყვავილებით ამკობენ მათ მეუფებას. ინდოეთში ივლისის თვეში დღესაც კი რთავენ ტახტებს და აწყობენ ამ სცენას. როგორც წესი, ამ დროს ხალხი ვრნდავანში მიდის, რათა იქ სცეს ღვთაებას თაყვანი.

კრშნადასა კავირაჯა გოსვამი ადასტურებს, რომ რადჰასა და კრშნას ღვთაებები რადჰასა და კრშნას მსახურებას გვასწავლიან. ღვთაებები მადანა-მოჰანა უბრალოდ ამტკიცებენ, რომ „მე ვარ შენი (კრშნას) მარადიული მსახური“. მაგრამ გოვინდა რეალურად ღებულობს სამსახურს, ამიტომ მას მოქმედი ღვთაება ეწოდება. ღვთაება გოპინათჰა არის კრშნა, რომელიც *გოპების* მეუფე და მფლობელია. მან თავისი ფლეიტის ხმით ყოველი *გოპი* ანუ მენახირე გოგონა მიიზიდა და როდესაც ისინი მოვიდნენ, იცეკვა მათთან. ყოველი ეს საქმიანობა „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეათე სიმღერაშია აღწერილი. *გოპები* კრშნას ბავშვობის მეგობრები იყვნენ და ყოველი მათგანი გათხოვილი გახლდათ, რადგან ინდოეთში გოგონებს თორმეტი წლის ასაკში ათხოვებენ. მაგრამ ბიჭები ცოლს თვრამეტ წლამდე არ ირთავენ, მაშასადამე, კრშნა, რომელიც ამ დროისთვის თხუთმეტი-თექვსმეტი წლის იყო, უცოლო გახლდათ. მიუხედავად ამისა, მან ამ გოგონებს სახლებიდან მოუხმო და საცეკვაოდ მოიწვია. ამ ცეკვას *რასა-ლილა* ცეკვა ეწოდება და ვრნდავანის გართობებიდან ყველაზე ამაღლებული გართობა გახლავთ. ამიტომ

კრშნ̣ას გოპინათჰა ჰქვია, ვინაიდან იგი არის *გოპების* საყვარელი მეუფე.

კრშნ̣ადასა კავირაჯა გოსვამი კურთხევას სთხოვს უფალ გოპინათჰას: „გოპინათჰამ, *გოპების* მეუფემ, კრშნ̣ამ დაგლოცოთ. დალოცვილნი იყავით გოპინათჰას მიერ“. ისევე, როგორც კრშნ̣ა იზიდავს *გოპებს* თავისი ფლეიტის ტკბილი ჰანგებით, „ჩაიტანჲა-ჩარიტამრ̣ტას“ ავტორიც ლოცულობს, რომ კრშნ̣ამ მკითხველთა ჯკუა თავისი ტრანსცენდენტული ვიბრაციით მიიზიდოს. მიზანი წიგნისა „უფალი ჩაიტანჲას მოძღვრება“, ამ ვიბრაციის არსის ადვილად საკითხავი შეჯამებული ნარკვევის სახით გადმოცემაში მდგომარეობს.

3 Заказ 1227

თავი პირველი

რუპა გოსვამის დამოძღვრა

სანატანა გოსვამის უმცროსი ძმა, შრილა რუპა გოსვამი თავის უმცროს ძმა ვალლაბჰასთან ერთად გაემგზავრა პრაჲაგში (დღევანდელი ალაჰაბადი). როდესაც ძმებმა შეიტყვეს, რომ უფალი შრი ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუ პრაჲაგში იყო გაჩერებული, ორივეს გაუხარდა და უფლის სანახავად გაეშურნენ. ამ დროს უფალი ტაძარ ბინდუმადჰავასკენ მიემართებოდა. იგი გალობითა და ცეკვით მიდიოდა ტაძრისაკენ და ათასობით ადამიანი მიჰყვებოდა მას. ზოგი ტიროდა, ზოგი იცინოდა. ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, ზოგი მიწაზე ეცემოდა და ქედს უხრიდა უფალს. ყოველი მათგანი კრშნას წმინდა სახელს გასძახოდა. ამბობენ, რომ თუმცა პრაჲაგი მდინარე განგისა და ჲამუნას შეერთების ადგილას იმყოფება, იქ წყალდიდობა არასოდეს მომხდარა ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუს გამოჩენამდე, რომელმაც ქალაქი კრშნას სიყვარულით დატბორა.

ორი ძმა, რუპა გოსვამი და ვალლაბჰა მოშორებით იდგნენ და იქიდან შეჰყურებდნენ ხალხსა და ამ საოცარ სანახაობას. ცეკვისას უფალი ხელებს აღმართავდა და შესძახოდა: *„ჰარიბოლ! ჰარიბოლ!“* გარშემო მყოფი ხალხი განცვიფრებაში იყო მოსული მისი საოცარი ქმედებების გამო. ტაძარში სტუმრობის შემდეგ უფალმა დეკკანელი (სამხრეთელი) *ბრაჰმანის* სახლში *პრასადი* მიირთვა.

ბრაჰმანის სახლში ყოფნისას უფალს რუპა გოსვამი და ვალლაბჰა ესტუმრნენ. ძმები შორიდან დაემხვნენ მიწაზე, რათა თაყვანი ეცათ უფლისათვის და წმინდა წერილებიდან არა ერთი სანსკრიტული ლექსი იგალობეს. როდესაც უფალმა იხილა, რომ რუპა გოსვამი თაყვანს სცემდა, ძლიერ ესიამოვნა და ადგომა სთხოვა. შემდეგ უფალმა რუპა გოსვამის ამცნო, რომ მას კრშნას უმიზეზო წყალობა ჰქონდა მიღებული, რადგან კრშნამ ეს-ეს იყო გამოიხსნა იგი მატერიალისტური ცხოვრებიდან, რომელიც მხოლოდ ფულზეა დამყარებული.

უფალმა ორივე ძმა თავის ერთგულებად ცნო და მოიყვანა ლექსი წმინდა წერილებიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ *ბრაჰმანი*, რომელმაც ოთხივე *ვედა* შეისწავლა, შეიძლება არ იქნას აღიარებული უფლის ერთგულად, წმინდა ერთგული კი წარმოშობით შეიძლება მდაბიოთა ოჯახიდან იყოს, მაგრამ უფალმა მაინც აღიაროს იგი. შემდეგ უფალი ორივე ძმას მოეხვია და თავისი უმიზეზო წყალობით ლოტოსის ტერფებით შეეხო მათ თავებს. უფლის დალოცვის შემდეგ ძმებმა თავიანთი ლოცვანი აღუვლინეს მას. ლოცვებში ნათქვამი იყო, რომ უფალი შრი კრშნა ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუ თავად კრშნაა, რომ მან ჩაიტანდას სახე და სხეულის ფერი მიიღო, რის გამოც გაურანგა (ოქროსფერი) ჰქვია და რომ იგი კრშნას ყველაზე გულუხვი ინკარნაციაა, ვინაიდან კრშნას სიყვარულს ავრცელებს. შრილა რუპა გოსვამიმ მოიყვანა აგრეთვე ლექსი, რომელიც მოგვიანებით აღმოჩნდა წიგნში „გოვინდა-ლილამრტა“ (1.2):

დო 'ჯნანა-მატტამ ბჰუვანამ დადალურ
ულლაგჰადანნ აპა აკაროტ პრამატტამ
სვაპრემა-სამპატ-სუდჰადადბჰუტეჰამ
შრი-კრშნა-ჩაიტანდამ ამუმ პრაპადე

„დაე მივენდო შრი კრშნა ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს ლოტო-

სის ტერფებს, რომელიც ღმრთეების ყველაზე მოწყალე პიროვნებაა. იგი ათავისუფლებს უგუნურებაში ჩაფლულ სულებს და აძლევს მათ უმაღლეს საჩუქარს, კრშნას სიყვარულს, რითაც სიგიჟემდე აწყურებს კრშნას ცნობიერებას".

ამის შემდეგ ვალლაბჰა ბჰატტამ უფალი განგის მეორე ნაპირას მიიწვია და უფალიც წავიდა. აქედან მოყოლებული, რუპა გოსვამი მუდამ უფალს დაჰყვებოდა და არ შორდებოდა მას. რადგან ხალხმრავალ ადგილებში უფალი თავს უხერხულად გრძნობდა, მან რუპა გოსვამის განგის ნაპირას, დაშვამედჰა-გჰატად წოდებულ ადგილას გაყოლა სთხოვა. ათი დღის განმავლობაში ასწავლიდა იგი რუპა გოსვამის ჭეშმარიტებას კრშნას შესახებ, ერთგული სამსახურის პრინციპებს და ტრანსცენდენტულ ურთიერთობებს კრშნასთან. ყველაფერი ეს დაწვრილებით იქნა აღწერილი, რათა მომავალში რუპა გოსვამის განევრცო მეცნიერება კრშნას შესახებ თავის წიგნში „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუ", რომელშიაც იგი იხსენიებს უფლის უმიზეზო წყალობას მასზე.

უზენაესი უფალი ცნობიერი და ყოვლისშემძლეა და თავისი უმიზეზო წყალობით ცოცხალ არსებას მისი წყალობის მიღების უნარს აძლევს. განპირობებული ცხოვრებით მოჯადოებულ ხალხს არ გააჩნია მიდრეკილება ერთგული სამსახურისა და კრშნას ცნობიერების განხორციელებისაკენ. სინამდვილეში, ხალხის უმრავლესობა არ იცნობს კრშნას ცნობიერების ძირითად სწავლებას ღმრთეების უზენაეს პიროვნებასთან ჩვენი მარადიული ურთიერთობისა და სიცოცხლის საბოლოო მიზნის შესახებ, რომელიც ღმრთეებასთან დაბრუნებაში მდგომარეობს. ხალხმა არც ის პროცესი იცის, რომლითაც სულიერ სამყაროში დაბრუნება შეიძლება. რადგან ეს მნიშვნელოვანი საკითხები უცნობია განპირობებული სულისთვის, თავისი უმიზეზო წყალობით უფალმა ჩაიტანდამ, ერთგული სამსახურის პრინციპები რუპა გოსვამის ასწავლა.

მოგვიანებით, ხალხის საკეთილდღეოდ, რუპა გოსვამიმ გა-ნავრცო ეს ცოდნა ერთგული სამსახურის შესახებ.

„ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუს“ შესავალში (ბჰ.რ.ს. 1.1.2) რუპა გოსვამიმ დაწერა შემდეგი რამ:

ჰრდი იასია პრერან�პრავარტიტო
'ჰამ ვარჯა-რუპო 'პი
ტასია ჰარეჭ ჰადა-კამალამ
ვანდე ჩაიტანიადევასია

„მოწიწებით ვცემ თაყვანს ლოტოსის ტერფებს ღმრთეებ-ების უზენაესი პიროვნებისა, რომელსაც ჰქვია უფალი ჩაი-ტანიადევა, რადგან მისი შთაგონების წყალობით გულში ერთგული სამსახურის შესახებ რაიმეს დაწერის სურვი-ლი გამიჩნდა. ამიტომაც ვწერ ერთგულების მეცნიერების ამ წიგნს, რომელსაც *ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუ* ჰქვია“.

როდესაც უფალმა ჩაიტანიამ რუპა გოსვამის დარიგე-ბა დაიწყო, პირველად ეს უთხრა: „ძვირფასო რუპა, ერთ-გული სამსახურის მეცნიერება დიდ ოკეანეს ჰგავს, ამი-ტომ მის მთელ სიგრძე-სიგანეს ვერ გიჩვენებ. მაგრამ ამ ოკეანის ბუნების ახსნას მისი წვეთის მაგალითზე შევეც-დები. შენ იგემებ მას და გაიგებ, რას წარმოადგენს სი-ნამდვილეში ერთგული სამსახურის ოკეანე“.

შემდეგ უფალმა განმარტა, რომ ამ *ბრაჰმანდაში* ანუ სამყაროში ურიცხვი ცოცხალი არსებაა, რომელიც თავი-სი კარმიული საქმიანობის გამო სიცოცხლის ერთი სახე-ობიდან მეორე სახეობაში, პლანეტიდან პლანეტაზე გადა-დის. მათი ტყვეობა მატერიალურ ყოფიერებაში უხსოვა-რი დროიდან მიმდინარეობს. სინამდვილეში, ეს ცოცხალი არსებები უზენაესი სულის ატომარული განუყოფელი ნა-წილაკები არიან. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ნათქვამია, რომ ინდივიდუალური სულის ზომები თმის წვერის დაახლოე-ბით 1/ 10 000 ნაწილს წარმოადგენს — სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, იგი იმდენად მცირეა, რომ უხილავი გახლავთ. ეს „შვეტაშვატარა უპანიშადშიც“ დადასტურებულია. „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეათე სიმღერაში დიდი მსხვერპლშეწირვის ჩატარების შემდეგ ოთხ კუმარადან ერთ-ერთმა, სანანდანამ, ასეთი რამ წარმოთქვა: „ო უზენაესო ჭეშმარიტებავ! ცოცხალი არსებები უზენაესი სულის განუყოფელი ნაწილაკები რომ არ იყვნენ, ყოველი უმცირესი ნაწილაკი ყოვლისგამჭოლი იქნებოდა და არ დაემორჩილებოდა უმაღლესი ძალის განმგებლობას. მაგრამ თუკი ცოცხალ არსებას უზენაესი უფლის უმცირეს განუყოფელ ნაწილაკად ვაღიარებთ, იგი თავისთავად მოექცევა უმაღლესი ენერგიის ან ძალის განმგებლობაში. უკანასკნელი დებულება მის ჭეშმარიტ კონსტიტუციურ მდგომარეობას გამოხატავს და თუკი იგი ამ მდგომარეობაში დარჩება, სრულ თავისუფლებას მიაღწევს“ (ბჰაგ. 10.87.30). თუკი ცოცხალი არსება შეცდომით გაუტოლებს თავს ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, შეიბილწება არადუალიზმის მოძღვრებით და ტრანსცენდენტულ ცხოვრებაში მისი მცდელობა ფუჭად ჩაივლის.

უფალმა ჩაიტანიამ განავრცო „შრიმად-ბჰაგავატამის“ ეს მოძღვრება და აღნიშნა, რომ არსებობენ ორი სახის ცოცხალი არსებები: მარადიულად განთავისუფლებულნი და მარადიულად განპირობებულნი. მარადიულად განპირობებული ცოცხალი არსებები შეიძლება დაიყონ ორ ჯგუფად: მოძრავები და უძრავები. არსებები, რომელთაც გადაადგილება არ შეუძლიათ (მაგ. ხეები), ადგილს არ იცვლიან და უძრავ არსებათა ჯგუფს მიეკუთვნებიან. მათ კი, რომლებიც გადაადგილდებიან (ფრინველებსა და მხეცებს), ეწოდებათ ჯანგამა (მოძრავი არსებები), რომლებიც შემდგომ სამ კატეგორიად იყოფიან: ვინც ცაში დაფრინავენ, წყალში ცურავენ და მიწაზე დადიან. მრავალ მილიონობითა და მილიარდობით ცოცხალ არსებას შორის მხოლოდ მცირე ნაწილი მიეკუთვნება ადამიანებს.

ადამიანთა ამ მცირე რიცხვში, უმრავლესობას წარმოდგენა არ გააჩნია სულიერი ცხოვრების შესახებ, უწმინდური ჩვევები ახასიათებს და არა სწამს ღმრთეების უზენაესი პიროვნების არსებობისა. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანთა უმრავლესობა ცხოველებივით ცხოვრობს. ამ დასკვნამდე მივალთ, თუკი გავითვალისწინებთ იმ ადამიანთა რიცხვს, რომელიც ადამიანურ ანუ ცივილიზებულ ცხოვრებას ეწევა. ძალიან ძნელად აღმოაჩენთ რამდენიმე კაცს, რომელთაც სწამთ წმინდა წერილებისა და ღმერთის არსებობისა ანდა, ამ შემთხვევაში, სწორი ქცევისა. ვისაც ამ ფასეულობის რწმენა აქვთ, *პრიებად* არიან წოდებულნი. ეს სიტყვა მიუთითებს მათზე, ვისაც სულიერ ცხოვრებაში წინსვლისა სწამთ. იმ ადამიანებს შორის, რომელთაც წმინდა წერილების ფასეულობისა და ადამიანთა ცივილიზაციის განვითარების სწამთ, ორი კლასი არსებობს: ღვთისმოსავები და ბიწიერნი. ღვთისმოსავები, როგორც წესი, კარმიულ საქმიანობას ეწევიან, რათა გრძნობათა დაკმაყოფილებისათვის რაიმეს მიაღწიონ. უამრავ ასეთ ადამიანს შორის, რომელიც გრძნობათა დაკმაყოფილებისათვის ღვთისმოსავ საქმიანობას ეწევა, მხოლოდ რამოდენიმე შეიცნობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. მათ ეწოდებათ *ჯნანები*, ემპირიული ფილოსოფოსები. მრავალ ასობითა და ათასობით ასეთ ემპირიულ ფილოსოფოსს შორის მხოლოდ რამოდენიმე აღწევს რეალურ განთავისუფლებას. განთავისუფლების მიღწევის შემდეგ, ადამიანი თეორიულად ხვდება, რომ ცოცხალი არსება მატერიალური ელემენტებისგან კი არ არის შემდგარი, არამედ მატერიისგან განსხვავებულ სულს წარმოადგენს. ამ მოძღვრების თეორიული გაგებისთვისაც კი ცოცხალ არსებას შეიძლება განთავისუფლებული ეწოდოს, მაგრამ ჭეშმარიტი *მუკტა* ანუ განთავისუფლებული სული ისაა, ვისაც ესმის, რომ თავისი არსით უფლის მარადიული მსახურია.

ასეთი განთავისუფლებული სულები რწმენითა და ერთგულებით ემსახურებიან უფალს და *კრშნა-ბჰაკტები* ანუ კრშნას ცნობიერი პიროვნებები ეწოდებათ.

კრშნა-ბჰაკტები ბოლომდე განწმენდილნი არიან მატერიალური სურვილებისაგან. თეორიულად განთავისუფლებულ სულებს, რომელთაც იციან, რომ ცოცხალი არსება მატერიალური არ არის, შეიძლება მაინც გააჩნდეთ მატერიალური სურვილები, მაგრამ ისიც დასაშვებია, ტერმინოლოგიურად კლასიფიცირებულნი იქნან განთავისუფლებულ სულთა ჯგუფში. მათი მთავარი სურვილი ღმრთეების უზენაეს პიროვნებასთან გაერთიანებაა. როგორც წესი, ასეთი პიროვნებები ძლიერ არიან მიჯაჭვულნი ვედურ რიტუალებსა და ღვთისმოსავ საქმიანობებს, რომელთაც ისინი მატერიალური კეთილდღეობით განცხრომის მიზნით ასრულებენ. ზოგიერთი მათგანი შეიძლება მატერიალურ სიამოვნებაზე მაღლა ავიდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში სულიერი სამყაროთი განცხრომას ცდილობს, რადგან უზენაესი უფლის ყოფიერებაში ეფლობა; ზოგიერთ მათგანს *ჯოგას* გზით მისტიკური ძალების შეძენაც სურს. თუკი გულში ასეთი სურვილები არსებობს, წმინდა ერთგული სამსახურის ბუნების გაგება შეუძლებელი იქნება. სანამ ცოცხალ არსებას გამუდმებით ასეთი სურვილები აფორიაქებს, მას სიმშვიდე არ უწერია. მშვიდობა გამორიცხულია მატერიალური სრულყოფის მცირედი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი. რადგან უფალი კრშნას ერთგულებს არ სურთ არაფერი მატერიალური, ისინი ერთადერთი მშვიდობიანი პიროვნებები არიან მატერიალურ სამყაროში. ეს დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“:

მუკტანამ აპი სიდდჰანამ
ნარაიანა-პარაიანჰ

სუდურლაბჰაჰ პრაშანტატმა
კოტიშვ აპი მაჰამუნე

„ო დიადო ბრძენო, მრავალ მილიონობით განთავისუფლებულ და მისტიკურ *ჲოგაში* წარმატებულ პიროვნებას შორის უაღრესად ძნელია იმის პოვნა, ვინც ღმრთეების უზენაესი პიროვნებისათვის ბოლომდე თავდადებული და მშვიდობით აღსავსეა“ (ბჰაგ. 6.14.5).

ამრიგად, უფალმა ჩაიტანიამ განმარტა, რომ მატერიალურ სამყაროში მოხეტიალე მრავალ ათასობითა და მილიონობით ცოცხალ არსებას შორის მეტად იშვიათი და იღბლიანია ის, ვინც უფალი კრშნასა და სულიერი მოძღვრის წყალობით ერთგული სამსახურის თესლს ღებულობს. ღვთისმოსავი ან რელიგიური ხალხი, როგორც წესი, სხვადასხვა ტაძრებში ღვთაებებს თაყვანს სცემს, მაგრამ თუ ადამიანები შემთხვევით, გაუცნობიერებლადაც კი, ქედს მოიხრიან უფალ ვიშნუს წინაშე ან ვაიშნავის, უფლის ერთგულის წყალობას მიიღებენ, ამით დაიგროვებენ ქონებას, რომელიც ღმრთეების უზენაეს პიროვნებასთან მიახლოებისთვისაა საჭირო. ეს ნათლად ჩანს ნარადა მუნის წინა ცხოვრების ისტორიიდან, რომელიც „შრიმად-ბჰაგავატამშია“ მოთხრობილი. წინა ცხოვრებაში ვაიშნავთა სამსახურის წყალობით უფლის ერთგულებმა მადლი მოჰფინეს ნარადას და იგი დიდი ბრძენი გახდა. ბრძენთა შორისაც კი ნარადა მუნი უდიდეს ბრძენად ითვლება.

ვაიშნავები ანუ ერთგულები მეტად მოწყალენი არიან განპირობებული სულების მიმართ. ერთგული დაუპატიჟებლადაც კი კარდაკარ დადის, რათა ხალხი გაანათლოს და გამოიყვანოს უმეცრების წყვდიადიდან, უნერგავს რა ცოდნას იმის შესახებ, რომ თავისი არსით ცოცხალი არსება უფალი კრშნას მარადიული მსახურია. ასეთ ერთგულებს უფლის მიერ აქვთ მინიჭებული ხალხთა მასებ-

ში ღვთის ერთგულების ცნობიერების ანუ კრშნას ცნობიერების გავრცელების უფლება. ისინი ცნობილი არიან უფლებამოსილ სულიერ მოძღვრებად და სწორედ მათი წყალობით ღებულობენ განპირობებული სულები ერთგული სამსახურის თესლს. ღმრთეების უზენაესი პიროვნების უმიზეზო წყალობა პირველად მაშინ აღიქმევა, როდესაც ცოცხალი არსება ურთიერთობას იწყებს ჭეშმარიტ სულიერ მოძღვართან, რომელსაც ერთგული სამსახურის უმაღლეს მდგომარეობამდე შეუძლია განპირობებული სულის ამაღლება. ამიტომ უფალმა ჩაიტანდამ თქვა, რომ სულიერი მოძღვრის წყალობით უფლის უმიზეზო წყალობის მიღება შეიძლება, ღმრთეების უზენაესი პიროვნების წყალობით კი ცოცხალი არსება ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის წყალობას ღებულობს.

ამრიგად, სულიერი მოძღვრისა და კრშნას წყალობით ცოცხალი არსება ერთგული სამსახურის თესლს ღებულობს. მას მხოლოდ ის მოეთხოვება, რომ თესლი ჩაიგდოს გულის „ველში“, ისევე როგორც მებაღე თესავს ძვირფასი ხის თესლს. ჩათესვის შემდეგ საჭიროა თესლის მორწყვა უზენაესი უფლის წმინდა სახელის გალობისა და მოსმენის ან წმინდა ერთგულთა წრეში ერთგული სამსახურის მეცნიერებაზე მსჯელობის საშუალებით. როდესაც ერთგულების თესლიდან ერთგული სამსახურის ნერგი ამოიზრდება, იგი ლაღად იწყებს ზრდას. როდესაც სრულ განვითარებას მიაღწევს, გასცდება ამ სამყაროს ზღვარს და ტრანსცენდენტულ ატმოსფეროში შეაღწევს, სადაც ყველაფერი *ბრაჰმაჯიოტის* კაშკაშა სხივებში ცურავს. მცენარე სცდება *ბრაჰმაჯიოტისაც* და თანდათანობით გოლოკა ვრნდავანად წოდებულ პლანეტას აღწევს. იქ მცენარე კრშნას ლოტოსის ტერფთა თავშესაფარს პოულობს. ეს არის ერთგული სამსახურის საბოლოო მიზანი. ამ მდგომარეობის მიღწევის შემდეგ მცენარე ისხამს

ნაყოფს, რომელიც ღმრთეების სიყვარულის სახელითაა ცნობილი. მაგრამ ერთგულმა, ანუ ტრანსცენდენტულმა მებაღემ ყოველდღიურად უნდა მორწყას მცენარე მოსმენითა და გალობით. თუკი მოსმენითა და გალობით არ მოვრწყავთ, მისი გახმობა სრულიად შესაძლებელი იქნება.

უფალმა ჩაიტანიამ მიუთითა რუპა გოსვამის, რომ ერთგული სამსახურის ნერგის მორწყვისას გარკვეული საშიშროებაა მოსალოდნელი. მას შემდეგ, რაც მცენარე ოდნავ წამოიზრდება, შეიძლება ცხოველი მოვიდეს და შეჭამოს ან გასრისოს. თუკი ნერგის მწვანე ფოთლებს ცხოველი შეჭამს, როგორც წესი, ნერგი კვდება. ყველაზე საშიშ ცხოველად სპილო ითვლება, რადგან ბაღში შესული გაგიჟებული სპილო ძლიერ აზიანებს ნერგებსა და ხეებს. უფლის წმინდა ერთგულისადმი მიყენებულ შეურაცხყოფას *ვაიშნავა-პარადჰა*, გაგიჟებული სპილოს შეურაცხყოფა ეწოდება. წმინდა ერთგულის ტერფებისადმი მიყენებულმა ერთმა შეურაცხყოფამ შეიძლება ყველაფერი გაანადგუროს ერთგული სამსახურის გზაზე. მაშასადამე, ადამიანმა *ბჰაკტის* მცენარე სათანადო მოვლით უნდა დაიცვას და არ დაუშვას შეურაცხყოფები. თუკი ფრთხილად მოვიქცევით, მცენარე აყვავდება.

არსებობს ათი ძირითადი შეურაცხყოფა, რომელიც წმინდა სახელის მიმართ შეიძლება იქნას დაშვებული. პირველი მათგანი არის შეურაცხყოფა დიადი ერთგულებისა, რომლებიც მთელ მსოფლიოში ცდილობდნენ წმინდა სახელის დიდების გავრცელებას. კრშნას წმინდა სახელი არ განსხვავდება კრშნასაგან და მისთვის ძვირფასია ის, ვინც მთელ მსოფლიოში წმინდა სახელთა გავრცელებას ცდილობს. თვითონ კრშნა არ ითმენს თავისი წმინდა ერთგულებისადმი მიყენებულ შეურაცხყოფებს. მეორე შეურაცხყოფა არის იმის უარყოფა, რომ უფალი ვიშნუ

აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. არ არსებობს განსხვავება მის სახელს, თვისებას, ფორმას, გართობებსა და საქმიანობებს შორის. ის კი, ვინც განსხვავებას ხედავს, მკრეხელად ითვლება. უფალი უზენაესი პიროვნებაა და არავინ არის მისი თანასწორი ან მასზე დიადი. მაშასადამე, თუკი ვინმე თვლის, რომ უფლის სახელები არ განსხვავდება ნახევარღმერთთა სახელებისგან, იგი მკრეხელი გახლავთ. უზენაესი უფალი და ნახევარღმერთები არასოდეს უნდა გავუტოლოთ ერთმანეთს.

მესამე შეურაცხყოფა ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის უბრალო ადამიანად მიჩნევაში მდგომარეობს. მეოთხე შეურაცხყოფა ვედური ლიტერატურისა და *პურანების* მსგავსი ავტორიტეული ლიტერატურის შეურაცხყოფა გახლავთ. მეხუთე შეურაცხყოფა არის წმინდა სახელთა დიდების გადამეტებად ჩათვლა. მეექვსე შეურაცხყოფა წმინდა სახელის შესახებ მცდარი თეორიების გამოგონებას გულისხმობს. მეშვიდე შეურაცხყოფა წმინდა სახელის ძალის იმედით ცოდვათა ჩადენაში მდგომარეობს. ცნობილია, რომ წმინდა სახელთა გალობით ცოცხალი არსება ცოდვითი რეაქციებისაგან თავისუფლდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წმინდა სახელის იმედით ცოდვის ჩადენა შეიძლება. ეს უდიდესი შეურაცხყოფაა. მერვე შეურაცხყოფა რელიგიური რიტუალების, ასკეტიზმის, მსხვერპლშეწირვებისა და განდეგილობის დანარჩენი ფორმების წმინდა სახელთა გალობის ტოლფასად გამოცხადებაა. წმინდა სახელის გალობა იგივეა, რაც ღმრთეების უზენაეს პიროვნებასთან ურთიერთობა. ღვთისმოსავი საქმიანობა ღმრთეების უზენაეს პიროვნებასთან მიახლოების ხერხია მხოლოდ და ზოგჯერ გარკვეული მატერიალური მიზნებისთვისაც კი სრულდება. მეცხრე შეურაცხყოფა ნიშნავს იმას, რომ ღმერთის წმინდა სახელის შესახებ ვუქადაგოთ ურწმუნოს, რომელსაც ამის მოსმენა

არ აინტერესებს. მეათე და ბოლო შეურაცხყოფა ღმერთის წმინდა სახელთა მოსმენისა და გალობის შემდეგაც კი მატერიალური მიჯაჭვულობების შენარჩუნება გახლავთ. საქმე ისაა, რომ შეურაცხყოფების გარეშე წმინდა სახელთა გალობით განთავისუფლების საფეხურზე აღმართვა არის შესაძლებელი. ამრიგად, თუკი ადამიანი წმინდა სახელებს გალობს და მაინც მატერიალური მიჯაჭვულობები გააჩნია, უნდა გვესმოდეს, რომ იგი შეურაცხყოფას ჩადის.

ერთგული სამსახურის მცენარის შემაწუხებელი სხვა ფაქტორებიც არსებობს. ამ მცენარესთან ერთად მატერიალური სურვილების სარეველებიც იზრდება. როდესაც პიროვნება *ბჰაკტიში* წინ მიიწევს, ბუნებრივია, არა ერთი ადამიანი მოსთხოვს მოსწავლედ გახდომას და მატერიალურ ძღვენებს მიართმევს მას. თუკი მას მოსწავლეთა დიდი რიცხვი და მათ მიერ შემოთავაზებული მატერიალური პირობები მიიზიდავს და ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის მოვალეობა დაავიწყდება, მცენარის ზრდა შეფერხდება. მატერიალური ხელსაყრელი პირობებით სარგებლობის შემთხვევაშიც კი იგი მატერიალური კეთილდღეობით განცხრომის მიდრეკილებას განივითარებს.

დაბრკოლებად ითვლება განთავისუფლების სურვილიც. ერთადერთი სურვილი მსახურების სურვილი უნდა იყოს. შეზღუდვებისა და აკრძალვების უგულვებელყოფაც არასასიკეთოა. აკრძალვები ავტორიტეტულ წმინდა წერილებშია მოცემული: არ შეიძლება უკანონო სქესობრივი ცხოვრება, დამათრობელი და აღმგზნები საშუალებების გამოყენება, ხორცის ჭამა და აზარტული თამაშები. მას, ვინც ერთგულ სამსახურს აპირებს, ეს ყველაფერი ეკრძალება. თუკი ადამიანი მკაცრად არ დაიცავს ამ პრინციპებს, ერთგული მსახურებისას დიდი სირთულეები წარმოიშვება.

თუკი განსაკუთრებით ყურადღებიანი არ ვიქნებით, ერთგული სამსახურის მცენარის მორწყვისას არასასურველი სარეველები ამოვა და პროგრესი გაძნელდება. საქმე იმაშია, რომ ბაღის მორწყვისას სწრაფად იზრდება არა მარტო სასურველი მცენარეები, არამედ არასასურველიც. თუკი მებაღე ამ დაბრკოლებებს ვერ შეამჩნევს და არ მოიცილებს, ისინი მომრავლდებიან და ჩაახშობენ ერთგულების მცენარეს. მაგრამ თუკი ადამიანი საგულდაგულოდ იზრუნებს იმაზე, რომ არასასურველი მცენარეები არ გაიზარდოს, ერთგულების მცენარე ტანს აიყრის და მიაღწევს საბოლოო მიზანს, გოლოკა ვრნდავანს. როდესაც ერთგული სამსახურით დაკავებული ცოცხალი არსება ღმრთეების სიყვარულის ნაყოფით ტკბება, იგი ივიწყებს ყოველგვარ რელიგიურ რიტუალებს და საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მას უკვე აღარ უნდა მატერიალური გრძნობების დაკმაყოფილება და აღარც უზენაესი უფლის კაშკაშა სხივებთან შერწყმის გზით უფალთან გაერთიანების სურვილი გააჩნია.

სულიერი ცოდნისა და ტრანსცენდენტული ნეტარების სხვადასხვა საფეხურები არსებობს. *ვედებში* რეკომენდირებული რიტუალური მსხვერპლშეწირვები, ასკეზებისა და ღვთისმოსავი მოვალეობების შესრულება და მისტიკური *ჯოგას* პრაქტიკა ერთ საფეხურს მიეკუთვნება. ყოველ მათგანს სხვადასხვა შედეგი მოაქვს შემსრულებლებისათვის. მაგრამ ამ პრაქტიკათა შედეგები მხოლოდ მანამ არის მიმზიდველი, სანამ ცოცხალი არსება უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურის საფეხურამდე არ ავა. ღმერთის სიყვარული ყოველ არსებაშია მიძინებული და მისი გამოღვიძება წმინდა ერთგული სამსახურით შეიძლება, ისევე, როგორც გველის მიერ დაკბენილ კაცს აღვიძებს ნიშადური.

მას შემდეგ რაც უფალმა ჩაიტანჯამ რუპა გოსვამის

ერთგული სამსახურის შესახებ ეს უამბო, იგი ერთგული სამსახურისა და მისი ნიშნების დახასიათებას იწყებს. იგი აღწერს, რომ წმინდა ერთგულ სამსახურს კრშნ̣ას ცნობიერებაში წინსვლის სურვილის გარდა არ შეიძლება სხვა რაიმე სურვილი გააჩნდეს. კრშნ̣ას ცნობიერებაში არ არსებობს რომელიმე ნახევარლმერთისა თუ კრშნ̣ას რომელიმე სხვა ფორმის თაყვანისცემა, მას არ ახასიათებს არც სპეკულაციური ემპირიული ფილოსოფია და არც კარმიული საქმიანობები. ყოველი ასეთი სიბინძურისაგან განწმენდაა საჭირო. ერთგულმა უნდა მიიღოს ის, რაც სხეულისა და სულის გატანაში დაეხმარება და უარყოს ის, რაც სხეულის მოთხოვნილებებს გაზრდის. სხეულის მხოლოდ მინიმალური მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს. სხეულის მოთხოვნილებათა მინიმუმამდე დაყვანის შედეგად მას ეძლევა საშუალება იმისა, რომ ძირითადი დრო ღმერთის წმინდა სახელთა გალობას დაუთმოს და ამით კრშნ̣ას ცნობიერებაში განვითარდეს. წმინდა ერთგული სამსახური სხეულის ყოველი ნაწილის უფლის სამსახურში დასაქმებას ნიშნავს. ამჟამად ჩვენს ყოველ გრძნობას დასახელება აქვს მიწერილი, რადგან სხეულს გააჩნია დასახელება. ამიტომაც ვთვლით, რომ ეს სხეული გარკვეულ საზოგადოებას, ქვეყანას ან ოჯახს მიეკუთვნება. ამგვარად, სხეული უამრავი დასახელებითაა შებოჭილი. სწორედ ასევე, გრძნობები სხეულს მიეკუთვნება და თუკი სხეული ამ დასახელებების გავლენაში მოექცევა, გრძნობებსაც იგივე მოუვა. ასე რომ, გრძნობები ოჯახის, საზოგადოების, ეროვნებისა და სხვათა სამსახურით ხდება დაკავებული. ასეთ შემთხვევაში მათი საშუალებით კრშნ̣ას ცნობიერების კულტივირება შეუძლებელია. საჭიროა გრძნობათა განწმენდა, რაც შესაძლებელია მაშინ, როცა ადამიანს ნათლად ესმის, რომ იგიც და მისი სიცოცხლეც კრშნ̣ას ეკუთვნის. ერთგული უნდა ხედავდეს სა-

კუთარ ჭეშმარიტ ვინაობას — რომ იგი კრშნას მარადიული მსახურია. ამ შემთხვევაში შესაძლებელია საკუთარი გრძნობების უფლის სამსახურში დასაქმება. ასეთ საქმიანობას წმინდა ერთგული სამსახური ეწოდება.

წმინდა ერთგული უფლის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურს ღებულობს, მაგრამ საკუთარ გრძნობათა დაკმაყოფილებისთვის უარს ამბობს ნებისმიერი სახის განთავისუფლებაზე. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (3.29.11-13) უფალი კაპილა განმარტავს, რომ როგორც კი წმინდა ერთგული ყველას გულში მყოფი ღმრთეების უზენაესი პიროვნების დიდებას და ტრანსცენდენტულ თვისებებს მიხვდება, მისი ჭკუა უმალვე მიედინება უფლისაკენ, ისევე როგორც განგის წყლები ზღვისაკენ. ღმრთეების უზენაესი პიროვნების სამსახურისადმი ასეთი სპონტანური მიჯაჭვულობა ყველაზე მნიშვნელოვანია წმინდა ერთგულ სამსახურში. ერთგული სამსახური მაშინ არის წმინდა, როდესაც ცოცხალი არსება უფალს რაიმე მოტივის გარეშე ემსახურება, ისე რომ მატერიალური სიძნელეები ვერ აბრკოლებს მას. წმინდა ერთგულს არ სურს იმ პლანეტაზე ცხოვრება, სადაც უფალი ცხოვრობს, არც უფლის სიმდიდრის ქონა უნდა, არც მასთან ერთად ცხოვრებას ნატრობს, არც მის ყოფიერებაში შერწყმას ელტვის და ა.შ. უფალმა რომც შესთავაზოს ასეთი ანაზღაურება, ერთგული უარს იტყვის. საქმე ის გახლავთ, რომ ერთგული იმდენადაა ჩაფლული უფლის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო ერთგულ სამსახურში, რომ მოცემულ მომენტში გაწეული საქმიანობის გარდა რაიმე სხვა სარგებლობაზე ფიქრის დრო არ რჩება. ისევე როგორც ბიზნესის დროს რიგითი მატერიალისტი საქმოსანი სხვა არაფერზე ფიქრობს, უფლის სამსახურით დაკავებული წმინდა ერთგულიც არ ფიქრობს არაფერზე ამ საქმიანობის გარდა.

უნდა გვესმოდეს, რომ მსახურებაში ასე ჩაფლული

ცოცხალი არსება *ბჰაკტის* უმაღლეს საფეხურზეა აღმართული. მხოლოდ ასეთი ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურით შეიძლება *მჯიპს* ზეგავლენის დაძლევა და ღმრთეების წმინდა სიყვარულის გამოცდა. სანამ არსებობს მატერიალური სარგებლის ან განთავისუფლების სურვილი, რომელთაც ცდუნების ორი ეშმაკი ეწოდება, უზენაესი უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურის გემოს გამოცდა შეუძლებელი გახლავთ.

არსებობს ერთგული სამსახურის სამი სტადია: პირველია განვითარების საწყისი სტადია, მეორე — სამსახურის განხორციელების სტადია, მესამე ანუ უმაღლესი სტადია კი ღმრთეების სიყვარულის მიღწევას წარმოადგენს. ერთგული სამსახურის განვითარების ცხრა სხვადასხვა მეთოდი არსებობს: მოსმენა, გალობა, გახსენება და სხვ. და ყოველი მათგანი პირველ სტადიაში გამოიყენება. თუკი ცოცხალი არსება რწმენითა და ერთგულებით გალობს და ისმენს, მისი მატერიალური წინათგრძნობები თანდათანობით გაქრება. ერთგულ სამსახურში რწმენის განმტკიცებასთან ერთად იგი მეტად რწმუნდება უფრო მაღალი სრულყოფილების არსებობაში. ამგვარად იგი შეურყევლად მტკიცდება ერთგულებაში, უვითარდება ერთგული სამსახურის გემო, უჩნდება მიჯაჭვულობა და ექსტაზს გრძნობს. ეს ექსტაზი ღმრთეების სიყვარულის წინარე სტადიაზე ვლინდება. ექსტაზს ერთგული სამსახურის შესრულება იწვევს. როდესაც ადამიანი მოსმენასა და გალობას აგრძელებს, მისი მიჯაჭვულობა იზრდება და ღმრთეების სიყვარულის სახელს ღებულობს.

როდესაც ადამიანი ღმერთის ტრანსცენდენტული სიყვარულის მესამე სტადიას აღწევს, ადგილი აქვს შემდგომ განვითარებას, რომელიც ტრანსცენდენტული სიყვარულის, განცდის, ექსტაზისა და უკიდურესი და ინტენსიური მიჯაჭვულობის სახელებით არის ცნობილი. ტერმინოლოგიურად მათ *რაგა, ანურაგა, ბჰავა* და *მაჰაბჰავა* ეწოდება.

ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლა შაქრის წვენის გასქელებას შეიძლება შევადაროთ. პირველ სტადიაში შაქრის წვენი თხელი სითხეა. აორთქლებისას უფრო და უფრო სქელდება და ბადაგი ხდება. ბოლოს იგი მარცვლებად იქცევა და გამოდის შაქარი, შაქარყინული და ა.შ. ისევე, როგორც თხევადი შაქარი გადადის სტადიიდან სტადიაში, სწორედ ასევე ვითარდება უზენაესი უფლის ტრანსცენდენტული სიყვარულიც.

როდესაც ცოცხალი არსება ჭეშმარიტად მიაღწევს ტრანსცენდენტულ საფეხურს, იგი მტკიცე ხდება. ასეთი საფეხურის მიუღწევლად იგი არამტკიცე იქნება და შეიძლება დაეცეს. როდესაც ჭეშმარიტად მიაღწევს ტრანსცენდენტულ მდგომარეობას, მისთვის დაცემის საშიშროება აღარ იარსებებს. შემეცნების ამ სტადიას ეწოდება *სთჰაჲი-ბჰავა*. არსებობს ამ მდგომარეობაზე მაღალი სტადიებიც, რომელთაც ეწოდება *ვიბჰავა*, *ანუბჰავა*, *სატტვიკა* და *ეჲაბჰიჩარი*. მათი მიღწევის შემდეგ იწყება უზენაეს უფალთან *რასას* ანუ ტრანსცენდენტული მოქმედების გაცვლა-გამოცვლა. შეყვარებულსა და საგრფოს შორის ასეთ სასიყვარულო გაცვლა-გამოცვლას *კრშნა-ბჰაკტი-რასა* ეწოდება. უნდა ითქვას, რომ ტრანსცენდენტული სასიყვარულო გაცვლა-გამოცვლა *სთჰაჲი-ბჰავას* ურყევ საფეხურს მიეკუთვნება, როგორც ეს უკვე განმარტებული იქნა. *ვიბჰავას* ძირითადი პრინციპი არის *სთჰაჲი-ბჰავა*, ყოველი დანარჩენი მოქმედება კი ტრანსცენდენტული სიყვარულის განვითარების დამხმარე ქმედებებს წარმოადგენს.

ტრანსცენდენტული სიყვარულის ექსტაზი ორი ნაწილისაგან შედგება: გარემო და აღგზნების მიზეზი. გარემო, თავის მხრივ, შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: თემა და ობიექტი. ერთგული სამსახურის გაცვლა-გამოცვლა არის თემა, კრშნა კი ობიექტს წარმოადგენს. ტრანსცენდენტული თვისებები აღგზნების მიზეზებია. ეს იმას ნიშნავს,

რომ კრშნას ტრანსცენდენტული თვისებები ერთგულს მის მსახურებაზე აღაგზნებს. იმპერსონალისტი (მაჰავადი) ფილოსოფოსების აზრით, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას განსაკუთრებული თვისებები არ გააჩნია, მაგრამ ვაიშნავი ფილოსოფოსები ამბობენ, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება დახასიათებულია *ნირგუნად* (თვისებებს მოკლებულად), ვინაიდან მატერიალური თვისებები არ გააჩნია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სულიერი თვისებები არა აქვს. სინამდვილეში, უფლის სულიერი თვისებები იმდენად დიადი და მომხიბვლელია, რომ განთავისუფლებულ პიროვნებასაც კი იზიდავს. ეს განმარტებულია „შრიმადბჰაგავატამის“ ლექსში *ატმარამა*, სადაც ნათქვამია, რომ თვითრეალიზაციის საფეხურზე მყოფ პიროვნებებსაც კი იზიდავს კრშნას ტრანსცენდენტული თვისებები. ეს იმას ნიშნავს, რომ კრშნას თვისებები არ არის მატერიალური, არამედ წმინდა და ტრანსცენდენტული გახლავთ.

ექსტაზის უფრო მაღალი სტადია ხასიათდება შემდეგი ცამეტი ტრანსცენდენტული ქმედებით: (1) ცეკვა, (2) მიწაზე გორაობა, (3) სიმღერა, (4) ტაშის დაკვრა, (5) სხეულზე თმების ყალყზე დადგომა, (6) ხმამაღალი ყვირილი, (7) მთქნარება, (8) ღრმა სუნთქვა, (9) საზოგადოებრივი პირობითობის დავიწყება, (10) ნერწყვდენა, (11) სიცილი, (12) ტკივილის შეგრძნება და (13) ხველება. ეს ნიშნები ერთდროულად არ იღვიძებს; ისინი ტრანსცენდენტულ ურთიერთობათა გაცვლა-გამოცვლის შესაბამისად ახდენენ მოქმედებას. ზოგჯერ ერთი ნიშანი სჭარბობს, ზოგჯერ კი სხვა ნიშანია გაბატონებული.

ტრანსცენდენტული *რასები* ანუ ურთიერთობები შეიძლება ხუთად დაიყოს. საწყის სტადიას ეწოდება *შანტარატი*, რომლის დროსაც უწმინდურებისაგან განწმენდილი ცოცხალი არსება ღმრთეების უზენაესი პიროვნების სიდიადეს აფასებს. ამ სტადიაზე ცოცხალი არსება არ

არის უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურით დაკავებული, რადგან ეს ნეიტრალური სტადია გახლავთ. მეორე სტადიაში, რომელსაც *დასდა-რატი* ეწოდება, ცოცხალი არსება ხვდება, რომ მარადიულად უზენაეს უფალს ექვემდებარება და ესმის, რომ მუდამ უზენაესი პიროვნების წყალობაზეა დამოკიდებული. ამავე დროს იღვიძებს ბუნებრივი მიჯაჭვულობა, როგორსაც შვილი გრძნობს, როცა ასაკი ემატება და მამის ამაგის დაფასებას იწყებს. ამ სტადიაზე მას *მიდან* სამსახურის ნაცვლად უზენაესი უფლის სამსახური სურს. *საქჰა-რატიდ* წოდებულ მესამე სტადიაზე ტრანსცენდენტული სიყვარული ვითარდება და ცოცხალი არსების უზენაესთან ურთიერთობა სიყვარულისა და პატივისცემის თანაბარ დონეზე მიმდინარეობს. ამ სტადიის განვითარებასთან ერთად ადგილი აქვს ხუმრობას და ისეთ ლაღ ურთიერთობებს, როგორიცაა სიცილი და სხვ. ამ საფეხურზე არსებობს მეგობრული ურთიერთობა უზენაეს პიროვნებასთან და ცოცხალი არსება ყოველგვარი ტყვეობისაგან თავისუფლდება. იგი სრულიად ივიწყებს საკუთარ, ცოცხალი არსების დაბალ მდგომარეობას, მაგრამ ერთდროულად უდიდეს პატივსაც სცემს უზენაეს პიროვნებას.

მეოთხე სტადიაზე, რომელსაც *ვანტსალდა-რატი* ეწოდება, წინა სტადიაზე გამომჟღავნებული მეგობრული სიყვარული მშობლიურ სიყვარულში გადადის. ამ დროს ცოცხალი არსება ცდილობს ღმერთის მშობელი გახდეს. ნაცვლად იმისა, რომ უფალს სცეს თაყვანი, როგორც უზენაესის მშობელი, თავად ცოცხალი არსება ხდება უზენაესი პიროვნების თაყვანისცემის ობიექტი. ამ სტადიაზე უფალი თავისი წმინდა ერთგულის წყალობაზეა დამოკიდებული და ერთგულს აღსაზრდელად აბარებს თავს. ამ სტადიაზე ერთგული ისეთ მდგომარეობას აღწევს, რომლის დროსაც შეუძლია უზენაეს უფალს მოეხვიოს და

თავზე აკოცოს კიდეც. მეხუთე სტადიაზე, რომელსაც *მადჰურა-რატი* ჰქვია, ადგილი აქვს ჭეშმარიტ ტრანსცენდენტულ სატრფიალო სიყვარულს შეყვარებულსა და სატრფოს შორის. სწორედ ამ სტადიაზე კრშნა და ვრაჯას ქალწულები მზერას ავლებენ ერთმანეთს, რადგან ამ საფეხურზე ადგილი აქვს სასიყვარულო მზერათა გაცვლა-გამოცვლას, თვალების თამაშს, სასიამოვნო სიტყვებს, მომხიბვლელ ღიმილს და მისთ.

ამ ხუთი ძირითადი *რასის* ანუ ურთიერთობის გარდა არსებობს შვიდი მეორადი *რასაც*, რომელთაც მიეკუთვნება სიცილი, გასაოცარი სანახაობების ხილვა, რაინდული ურთიერთობა, სიბრალულის გრძნობა, განრისხება და საშინელების და განადგურების შეგრძნება. მაგალითად, ბჰიშმას კრშნასთან მეომრის ურთიერთობა აკავშირებდა რაინდულ *რასაში*. ჰირანიაკაშიპუმ კი საშინელებისა და განადგურების *რასა* გამოსცადა. ხუთი ძირითადი *რასა* გამუდმებით რჩება წმინდა ერთგულის გულში, შვიდი მეორადი *რასა* კი ძირითადი *რასების* სურნელისა და გემოს გასამდიდრებლად ხან ჩანს, ხან — არა. ძირითადი *რასების* გამდიდრების შემდეგ ისინი ქრება.

შანტა-ბჰაკტების, ანუ ნეიტრალურ სტადიაში მყოფი ერთგულების მაგალითები არიან ცხრა *ბოგი:* კავი, ჰავი, ანტარიკშა, პრაბუდდჰა, პიპპალაჯანა, ავირჰოტრა, დრავიდა ანუ დრუმილა, ჩამასა და კარაბჰაჯანა. ოთხი კუმარაც (სანაკა, სანანდანა, სანატკუმარა და სანატანა) ამ სტადიის მაგალითებს წარმოადგენენ. მეორე — *დასიას*, ანუ მსახურების სტადიის ერთგულთა მაგალითები არიან რაკტაკა, ჩიტრაკა და პატრაკა გოკულას *რასაში*. ყოველი მათგანი კრშნას მოსამსახურე გახლავთ. დვარაკაში მოსამსახურე არის დარუკა, ვაიკუნთჰა პლანეტებზე კი — ჰანუმანი და სხვები. მესამე სტადიის ანუ მეგობრობის სტადიის ერთგულები არიან შრიდამა ვრინდავანში და ბჰიმა და არჯუნა დვარაკასა და კურუკშეტრას ბრძოლის ველზე. მათი მსგავსი კიდევ მრავალი არსებობს. კრშნას მიმართ

მშობლიური სიყვარულის მქონეთა რიცხვს მიეკუთვნებიან ისეთი ერთგულები, როგორებიც არიან დაშოდა და ნანდა მაჰარაჯა — ე.ი. კრშნას დედა, მამა, ბიძა და სხვა ნათესავები. სატრფიალო სიყვარულის ურთიერთობა აქვთ ვრაჯას, ვრნდავანის ქალწულებს, დედოფლებს და ბედის ქალღმერთებს დვარაკაში. ამ *რასაში* მყოფი ერთგულების რიცხვის გამოთვლა შეუძლებელია.

კრშნასადმი მიჯაჭვულობაც შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს. ერთია მიჯაჭვულობა რიდითა და მოკრძალებით. ასეთი სახის მიჯაჭვულობას გარკვეულ წილად თავისუფლება აკლია და მას მათჰურასა და ვაიკუნ̣ṭhას პლანეტებზე ვხვდებით. უფლის ამ სავანეებში შეზღუდულია ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურის სულისკვეთება. მაგრამ გოკულა ვრნდავანში თავისუფალ სიყვარულს ვხვდებით და თუმცა ვრნდავანის მენახირე ბიჭებმა და ქალწულებმა იციან, რომ კრშნა ღმრთეების უზენაესი პიროვნებაა, კრშნასთან ძალზე ახლო ურთიერთობის გამო ისინი რიდსა და მოკრძალებას ამჟღავნებენ. ხუთ ძირითად ტრანსცენდენტულ ურთიერთობაში რიდი და მოკრძალება ზოგჯერ უფლის ჭეშმარიტ სიდიადეს ფარავს, ზოგჯერ კი უფლის სამსახურსაც აბრკოლებს. მაგრამ როდესაც მეგობრობას, მშობლიურ სიყვარულსა და სატრფიალო სიყვარულს აქვს ადგილი, რიდი და მოკრძალება მცირდება. მაგალითად, როდესაც კრშნა ვასუდევასა და დევაკის შვილად მოევლინა, მშობლები შიშითა და მოკრძალებით შეეეედრნენ უფალს, ვინაიდან მიხვდნენ, რომ უზენაესი უფალი კრშნა, ანუ ვიშნუ მოევლინა მათ პატარა შვილის სახით. ეს დამტკიცებულია „შრიმადბჰაგავატამში“ (10.44.51). თუმცა უზენაესი უფალი შვილის სახით იმყოფებოდა მათ წინაშე, დევაკიმ და ვასუდევამ ლოცვათა აღვლენა დაიწყეს. სწორედ ასევე, როდესაც არჯუნამ უფლის სამყაროსეული ფორმა იხილა, ისე შეეშინდა, რომ პატიება სთხოვა კრშნას, რადგან ახლო მეგობარივით ექცეოდა. როგორც მეგობარი, იგი ხშირად

უცერემონიოდ ექცეოდა უფალს და შიშის მომგვრელი სამყაროსეული ფორმის ხილვის შემდეგ არჯუნამ თქვა:

საქჰეტი მატვჳ პრასაბჰამ̀ ჲად უკტამ̀
ჰე კრ̀შ̌ნა ჰე ჲჳ̀დავა ჰე საქჰეტი
აჯჳ̀ნატჳ მაჰიმჳ̀ნამ̀ ტავედამ̀
მაჲჳ̀ პრამჳ̀დჳ̀ტ̀ პრან̀ჲენა ვჳ̀პი

ჲაჩ ჩჳ̀ვაჰჳ̀სჳ̀რთჰამ ასატკრ̀ტო 'სი
ვიჰჳ̀რა-შ̀ადჳ̀სანა-ბჰოჯანეშუ
ეკო 'თჰავჳ̀ჰჲ აჩ̀ჲუტა ტატ̀-სამაკშამ̀
ტატ̀ კშ̀ჳ̀მაჲე ტ̀ვჳ̀მ აჰამ აპრამეჲამ

„უწინ ასე მოგმართავდი: ო კრ̀შ̌ნა, ო ჲჳ̀დავა, ო მეგობარო, ისე რომ არ ვიცოდი შენი სიდიადე. გთხოვ, მაპატიე ყველაფერი, რაც სიგიჟით ან სიყვარულით ჩამიდენია. ხშირად უპატივცემულოდ მოგმართავდი დასვენებისას, ერთ საწოლზე წოლისას ან ჭამისას, ზოგჯერ მარტო, ზოგჯერ კი არა ერთი მეგობრის წინაშე. გთხოვ, მომიტევე ყოველი შეურაცხყოფა“. (ბ.გ. 11.41–42)

სწორედ ასევე, როდესაც კრ̀შ̌ნა რუკმინ̀ის ეხუმრებოდა, მას შეეშინდა, კრ̀შ̌ნას არ მიეტოვებინა და ისე აღელდა, რომ მარაო დაუვარდა, რომლითაც კრ̀შ̌ნას უნიავებდა. მას გული წაუვიდა და უგონოდ დაეცა მიწაზე. რაც შეეხება ჲაშ̀ოდჳ̀ს, კრ̀შ̌ნას დედას, „შ̀რ̀იმად-ბჰჳ̀გავატამში“ (10.8.45) ნათქვამია:

ტრაჲჲჳ̀ ჩოპანიშადბჰიშ̀ ჩა
სჳ̀ნ̀ქჰჲა-ჲოგაიშ̀ ჩა სჳ̀ტ̀ვატაიჭ̀
უპაგ̀ჲამჳ̀ნა-მჳ̀ჰჳ̀ტ̀მჲამ̀
ჰარიმ̀ სჳ̀მანჲატჳ̀ტ̀მაჯამ

ითვლება, რომ ღმრთეების პიროვნება, რომელსაც თაყვანს სცემენ მთელ *ვედებში* და *უპანიშადებში*, აგრეთვე

სანქჰიას ფილოსოფიის სისტემასა და ყოველ ავტორიტეტულ წმინდა წერილებში, *ადჰოდჯს* მუცლიდან დაიბადა. ნათქვამია ისიც, რომ დედა *ადჰოდჯმ* თოკით დააბა პატარა *კრშნა*, თითქოს იგი მისი სხეულიდან შობილი ჩვეულებრივი შვილი ყოფილიყო (ბჰაგ. 10.9.12). არსებობს ისეთი აღწერილობებიც, რომელშიაც *კრშნას* ჩვეულებრივი ადამიანივით ეპყრობიან (ბჰაგ. 10.18.24). მართლაც, როდესაც მას მეგობრები, მენახირე ბიჭები თამაშებში ამარცხებდნენ, *კრშნას* ისინი, *კერძოდ შრიდჯმა*, მხრებით დაჰყავდა.

რაც *ვრნდავანში შრი კრშნას* *გოპებთან* ურთიერთობას შეეხება, აღწერილია, რომ (ბჰაგ. 10.30.36–40) როდესაც *კრშნამ* მარტო გაიყვანა *შრიმატი რადჰიკა* *რასა* ცეკვიდან, მას ეგონა, რომ *კრშნამ* დანარჩენი *გოპები* მიატოვა. თუმცა ყოველი მათგანი ერთნაირად მშვენიერი იყო, *კრშნამ* ასეთი უპირატესობა მიანიჭა მას და მან ამაყად გაიფიქრა: „ჩემმა ძვირფასმა უფალმა *კრშნამ* მშვენიერი *გოპები* მიატოვა და მარტო მე მასიამოვნა“. ტყეში მან უთხრა *კრშნას*: „ჩემო ძვირფასო *კრშნა*, მეტი სიარული არ შემიძლია. სადაც გინდა იქ წამიყვანე“. *კრშნამ* მიუგო: „მხარზე დამეყრდენი“ და ამის თქმისთანავე გაქრა, რაზედაც დიდად დარდობდა *შრიმატი რადჰიკა*.

როდესაც *კრშნა* *რასა* ცეკვიდან გაუჩინარდა, *გოპებმა* სინანული დაიწყეს და ამბობდნენ: „ძვირფასო *კრშნა*, ჩვენ აქ მოვედით და ქმრები, შვილები, ნათესავები, ძმები და მეგობრები მივატოვეთ! მათი რჩევის მიუხედავად, შენთან მოვედით და შენ ყველაზე უკეთ იცი ჩვენი მოსვლის მიზეზი. მოგეხსენება, აქ იმიტომ მოვედით, რომ შენი ფლეიტის ტკბილმა ხმამ მოგვაჯადოვა. მაგრამ ისეთი ცბიერი ხარ, გოგოები და ქალები შუალამისას მიგვატოვე! ეს არ შეგშვენის“.

სიტყვა „შამა“ ნიშნავს ჭკუის მართვას და მის ისე დაოკებას, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნებისაგან არ

გაგვექცეს. როდესაც ადამიანის ჭკუა უზენაეს უფალზეა მიპყრობილი, ამბობენ, რომ იგი *შამას* საფეხურზე იმყოფება. ამ საფეხურზე ერთგულს ესმის, რომ კრშნაა ძირითადი პრინციპი ყოვლისა, რაც მისი გამოცდილების ფარგლებში იმყოფება. ეს განმარტებულია „ბჰაგავად-გიტაშიც“ (ბ.გ. 7.19). ასეთ პიროვნებას ესმის, რომ კრშნა ყველაფერში იმყოფება და მთელ კოსმოსურ გამოვლინებაშია გავრცელებული. თუმცა ყველაფერი უზენაესი უფლის კონტროლის ქვეშაა და მის ენერგიაში ძევს, ყველაფერი მაინც განსხვავდება კრშნას პიროვნული ფორმისაგან. „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუშიც“ დადასტურებულია, რომ მას, ვისაც ესმის ეს, ვისი გონებაც კრშნაზეა მიპყრობილი, *შამას* საფეხურისთვის აქვს მიღწეული. უფრო მეტიც, ღმრთეების უზენაესი პიროვნება ამბობს: *შამო მანნიშთჰატა ბუდდჰეჰ — „შანტა-რატის* საფეხურამდე აღმართვის გარეშე შეუძლებელია იმის გაგება თუ რაოდენ დიდია კრშნა და როგორ ვრცელდება მისი მრავალფეროვანი ენერგიები“. ყველაფერი, რასაც ვხედავთ ამ ენერგიების საშუალებით ვლინდება. ენერგიები ყოველგვარი გამოვლინებების მიზეზებს წარმოადგენს. იგივე აზრი განმარტებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“ (ბჰაგ.11.19.36):

შამო მანნიშთჰატა ბუდდჰერ
დამა ინდრიდა-სამდამაჰ
ტიტიკშა დუჰქჰა-სამმარშო
ჯიჰვოპასთჰა-ჯადო დჰრტიჰ

ჭკუის განმტკიცება მას შეუძლია, ვინც მივიდა დასკვნამდე, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება არის ყველაფრის პირველადი სათავე. და როდესაც ადამიანს გრძნობათა მართვა ძალუძს, ამას ეწოდება *შამა*. როდესაც ადამიანი გრძნობათა მართვისა და ჭკუის სიმტკიცის

შენარჩუნებისთვის მზადაა ყოველგვარი ტანჯვის გადასატანად, ამას ეწოდება *ტიტიკშა* ანუ მოთმინება. და როდესაც მას ენისა და სასქესო ორგანოების წადილების მოთმენა შეუძლია, ამას ეწოდება *დჰრტიჰ. დჰრტის* შემდეგ მოდის *დჰირა*, სიმშვიდე. მშვიდ ადამიანს აღარ აწუხებს ენისა და სასქესო ორგანოების წადილები.

თუკი ცოცხალ არსებას შეუძლია განუზრელად მიმართოს ჭკუა კრშნასკენ, იგი კრშნას ცნობიერებაში მტკიცე მდგომარეობას, *შანტა-რასას* აღწევს. *შანტა-რასას* მიღწევის შემდეგ მყარდება ურყევი რწმენა კრშნასადმი და ქრება ყოველგვარი მატერიალური სურვილები. *შანტა-რასას* ეს დამახასიათებელი ნიშნები — კრშნას ურყევი რწმენა და გაქრობა ყოველგვარი სურვილისა, რომელიც კრშნასთან არ არის დაკავშირებული — საერთოა ყოველი დანარჩენი *რასისათვის*, ისევე როგორც ბგერა იმყოფება ყოველ დანარჩენ ელემენტში (ჰაერში, ცეცხლში, წყალში და მიწაში), ვინაიდან იგი ცისგან არის წარმოქმნილი. სწორედ ასევე, *შანტა-რასას* ეს ორი ნიშანი ახასიათებს დანარჩენ ტრანსცენდენტულ ურთიერთობებსაც, როგორებიცაა *დასდა* (მსახურება), *საქჰა* (მეგობრობა), *ვატსალა* (მშობლიური სიყვარული) და *მადჰურა* (საბრფიალო სიყვარული).

როდესაც ვლაპარაკობთ იმაზე, რაც კრშნა არ არის, ანუ სურვილზე, რომელიც კრშნასთან არ არის დაკავშირებული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმე შეიძლება კრშნას გარეშე არსებობდეს. სინამდვილეში, არ არსებობს რაიმე „არა-კრშნა“, ვინაიდან ყველაფერი კრშნას ენერგიის პროდუქტს წარმოადგენს. რადგან კრშნა და მისი ენერგიები იდენტურნი არიან, არაპირდაპირ ყველაფერი კრშნაა. მაგალითად, ცნობიერება ყოველ ცოცხალ არსებას ახასიათებს, მაგრამ როდესაც ცნობიერება მთლიანად კრშნას ირგვლივ მოიყრის თავს (კრშნას ცნობიერება), იგი წმინდაა, ხოლო როდესაც ცნობიერება გრძნობათა

დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული, მას შეიძლება არა-კრშნას ცნობიერება ეწოდოს. ამრიგად, არა-კრშნას კონცეფცია სწორედ მატერიით გაბინძურებულ მდგომარეობაში აღმოცენდება. მაგრამ წმინდა მდგომარეობაში არ არსებობს არაფერი კრშნას ცნობიერების გარდა.

კრშნას მიმართ აქტიური ინტერესი ანუ გაგება იმისა, რომ კრშნა ჩემია და მე კრშნასი ვარ, რის გამოც ჩემი ვალია, სიამოვნება მოვგვარო კრშნას გრძნობებს, ნეიტრალობის *შანტა-რასას* სტადიაზე მაღალ სტადიებს ახასიათებს. ცოცხალი არსება უბრალოდ კრშნას სიდიადის გაგებითაც კი აღწევს *შანტა-რასას* სტადიას, რომლის დროსაც თაყვანისცემის ობიექტი შეიძლება უპიროვნო ბრაჰმანი ან პარამატმა იყოს. უპიროვნო ბრაჰმანსა და პარამატმას ისინი ეთაყვანებიან, ვინც ემპირიული ფილოსოფიური სპეკულაციებითა და მისტიკური *დოგათი* არიან დაკავებულნი. მაგრამ კრშნას ცნობიერებაში ანუ სულიერ შემეცნებაში შემდგომ განვითარებასთან ერთად ადამიანს ესმის, რომ პარამატმა, ზესული არის თაყვანისცემის მარადიული საგანი და იგი ენდობა მას. *ბაჰუნამ ჯანმანამ ანტე ჯნანავან მამ პრაპადიატე* (ბ.გ. 7.19) — „მრავალი, მრავალი დაბადების მანძილზე ბრაჰმანის ან პარამატმას თაყვანისცემის შემდეგ, როდესაც ცოცხალი არსება მიენდობა ვასუდევას როგორც უზენაეს მბრძანებელს და საკუთარ თავს ვასუდევას მარადიულ მსახურად სცნობს, იგი ტრანსცენდენტულად რეალიზებული დიადი სული ხდება.“ ამ დროს უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან მისი ურთიერთობის სიძლიერის შესაბამისად, იგი ღმრთეების უზენაესი პიროვნების გარკვეული სახის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურში ებმება. ამრიგად, *შანტა-რასად* ცნობილი ნეიტრალური ურთიერთობა *დასია-რასად*, მსახურებად გარდაიქმნება.

დასია-რასას საფეხურზე უზენაესი უფლისადმი უდიდესი მოკრძალება ვლინდება. ე.ი. *დასია-რასაში* ადამიანი

უზენაესი უფლის სიდიადეს ხვდება. აქვე უნდა ითქვას, რომ *შანტა-რასას* საფეხურზე ჯერ კიდევ არ არსებობს სულიერი საქმიანობა, მაგრამ *დასდა-რასას* საფეხურზე მსახურება იწყება. ამრიგად, *დასდა-რასაში* ვლინდება *შანტა-რასას* თვისება და ამას მსახურების ტრანსცენდენტული გემოს ცნობიერებაც ემატება.

უდაოა, რომ *შანტა-რასა* და *დასდა-რასაში* შეიმჩნევა ტრანსცენდენტული თვისებები, მაგრამ ამაზე მაღლა დგას კიდევ ერთი თვისება, ინტიმური მიჯაჭვულობა, რომელიც წმინდა ტრანსცენდენტულ სიყვარულს წარმოადგენს. ღმრთეების პიროვნებისადმი ასეთი სასიყვარულო სიახლოვის გამოსახატად იხმარება ტერმინი *ვიშრამბჰა. ვიშრამბჰას*, მეგობრობის საფეხურზე ქრება რიდი და მოკრძალება ღმრთეების უზენაესი პიროვნებისადმი. ამრიგად, *საქჰა-რასად* ცნობილ ტრანსცენდენტულ მეგობრულ ურთიერთობას ახასიათებს სამი თვისება: სიდიადის გრძნობა, მსახურების გრძნობა და ინტიმურობის გრძნობა, რომელიც მოკლებულია რიდსა და მოკრძალებას. ამგვარად, *საქჰა-რასაში*, მეგობრულ ურთიერთობაში ტრანსცენდენტულ თვისებათა რიცხვი იზრდება.

სწორედ ასევე, მშობლიურ მიჯაჭვულობას (*ვატსალა-რასას*) ოთხი თვისება აქვს. ზემოაღნიშნულ სამ თვისებასთან ერთად ერთგული ხვდება, რომ უზენაესი უფალი მის წყალობაზეა დამოკიდებული. როგორც ღმრთეების უზენაესი პიროვნების მშობელი, ერთგული ზოგჯერ ტუქსავს უფალს და საკუთარ თავს უფლის მარჩენლად თვლის. უმაღლესი მარჩენალის მარჩენლად საკუთარი თავის ტრანსცენდენტული გაცნობიერება დიდ სიამოვნებას ჰგვრის ერთგულსაც და უზენაეს უფალსაც.

უფალმა შრილა რუპა გოსვამის დაავალა, დაეწერა ტრანსცენდენტული ნაწარმოები, „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუ“, მეცნიერება ერთგული სამსახურის შესახებ და მასში ხუთი ტრანსცენდენტული ურთიერთობის არსი

გადმოეცა. ამ დიად ნაწარმოებში განმარტებულია, თუ ტრანსცენდენტული ურთიერთობა, *შანტა-რასა*, რომელიც კრშნას ურყევი რწმენის სახეს ღებულობს, როგორ გადადის მსახურების სულით გამსჭვალულ *დასია-რასაში*, შემდეგ *საქჰია-რასაში* ანუ პირობითობისაგან თავისუფალ მეგობრობაში და შემდეგ ტრანსცენდენტულ მშობლიურ სიყვარულში, როდესაც ცოცხალი არსება საკუთარ თავს უფლის მარჩენლად თვლის. ყოველი ეს ურთიერთობა მწვერვალს აღწევს სატრფიალო სიყვარულის უმაღლეს საფეხურზე (*მადჰურა-რასაში*), რომელსაც ერთდროულად ყოველი ეს ტრანსცენდენტული ურთიერთობა ახასიათებს.

თავი მეორე

სანპტანა გოსვამი

ვანდე ’ნანტადბჰუტაიშვარდამ
შრი-ჩაიტანდა-მაჰაპრაბჰუმ
ნიჩო ’პი დატ-პრასადატ სდად
ბჰაკტი-შასტრა-პრავარტაკაჰ

მე მოწიწებით ვცემ თაყვანს უფალ ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს, რომლის წყალობითაც სიცოცხლის უმდაბლეს სახეობაში მყოფი პიროვნებაც კი ჰპოვებს წინამძღოლობას უფლის ტრანსცენდენტულ ერთგულ სამსახურში.

განდეგილის ცხოვრების წესის (*სანნდასას*) მიღების შემდეგ უფალმა ჩაიტანდამ მთელი ინდოეთი შემოიარა. ამ დროს იგი მალდაში (ბენგალიის ოლქში) ჩავიდა. იმ მხარეში იყო ერთი სოფელი რამაკელი, სადაც ნავაბ ჰუსეინ შაჰის მთავრობის ორი მინისტრი ცხოვრობდა. მათი სახელები იყო დაბირ ქჰასა და საკარა მალლიკი, რომელთაც მოგვიანებით სანპტანა გოსვამი და რუპა გოსვამი შეერქვათ. უფალი ჩაიტანდას შთაგონებით მათ მთავრობის სამსახურზე უარის თქმა და უფლის *სანკირტანის* მოძრაობაში ჩაბმა გადაწყვიტეს.

ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ძმებმა ყველაფერი მოიმოქმედეს მატერიალური საქმიანობების მისატოვებლად და გარკვეული ვედური რიტუალების ჩასატარებლად ორი სწავლული *ბრაჰმანი* მოიწვიეს, რაც კრშნას

ერთგული სამსახურისთვის საჭირო თავისუფლებას მოუპოვებდა მათ. ასეთ მოსამზადებელ საქმიანობებს *პურაშ-ჩარḋა* ეწოდება. ამ რიტუალური ცერემონიების ჩასატარებლად საჭიროა დღეში სამჯერ წინაპრების თაყვანისცემა, ცეცხლისთვის შესაწირის გაღება და სწავლული *ბრაჰმანისადმი* პატივისცემით საჭმლის შეთავაზება. ამრიგად, *პურაშჩარḋა* შედგება ხუთი რამისგან — დროის, თაყვანისცემის, პატივისცემის გამოხატვის, ცეცხლის მსხვერპლშეწირვისა და *ბრაჰმანისათვის* საჭმლის შეთავაზებისაგან. ეს და კიდევ სხვა წესები „ჰარი-ბჰაკტი-ვილასაში", ავტორიტეტულ სახელმძღვანელოში არის ნახსენები.

ამ რელიგიური რიტუალების ჩატარების შემდეგ უმცროსი ძმა სუკარა მალლიკი (რუპა გოსვამი) მთავრობის სამსახურში მიღებული დიდძალი ფულით შინ დაბრუნდა. ოქროსა და ვერცხლის მონეტები, რომელიც მან სახლში მოიტანა, ერთ დიდ ნავს ავსებდა. სახლში მოსვლის შემდეგ მან დაგროვილი ქონება ორად გაყო და ერთი ნაწილი *ბრაჰმანებსა* და ვაიშნავებს დაურიგა. მაშასადამე, ღმრთეების უზენაესი პიროვნების დასაკმაყოფილებლად მან საკუთარი ქონების ორმოცდაათი პროცენტი უზენაესი უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურით დაკავებულ ხალხს დაურიგა. *ბრაჰმანების* დანიშნულება აბსოლუტური ჭეშმარიტების შეცნობაში მდგომარეობს და ჭეშმარიტების შეცნობისა და უფლის ერთგულ სამსახურში რეალურად ჩაბმის შემდეგ მათ ვაიშნავები ეწოდებათ. *ბრაჰმანებიცა* და ვაიშნავებიც ბოლომდე ტრანსცენდენტული სამსახურით უნდა იქნან დასაქმებული და რუპა გოსვამმა, გაითვალისწინა რა მათი მნიშვნელოვანი ტრანსცენდენტული მდგომარეობა, ქონების ორმოცდაათი პროცენტი მისცა. დარჩენილი ორმოცდაათი პროცენტი კვლავ ორად გაყო — ერთი ნაწილი ნათესავებსა და მასზე

დამოკიდებულ ოჯახის წევრებს მისცა, მეორე კი გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის დაიტოვა.

სულიერ ცოდნაში ამაღლების მსურველებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ პირადი ქონების ასეთი დაყოფით. როგორც წესი, ადამიანმა დაგროვილი ქონება ოჯახის წევრებს უნდა უანდერძოს და საოჯახო საქმეებს ჩამოშორდეს, რათა წინ წაიწიოს სულიერ ცოდნაში. მაგრამ ამ შემთხვევაში რუპა გოსვამის საქციელი სამაგალითო გახლავთ; ქონების ორმოცდაათი პროცენტი მან სულიერი მიზნებისთვის გასცა. ყველამ აქედან უნდა აიღოს მაგალითი. დაგროვილი ქონების ოცდახუთი პროცენტი, რომელიც გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის თავისთვის დაიტოვა, სანდო სავაჭრო სახლს მიაბარა, რადგან იმ დროისათვის ბანკები არ არსებობდა. ათი ათასი მონეტა მისი უფროსი ძმის, სანპტანა გოსვამის ხარჯებისათვის იყო გადადებული.

ამ დროს რუპა გოსვამიმ შეიტყო, რომ უფალი ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ ჯაგანნათჰა პურიდან ვრნდავანში წასასვლელად ემზადებოდა. რუპა გოსვამიმ ორი შიკრიკი გაგზავნა უფლის გზის დასაზუსტებლად და მათჰურაში უფლის შესახვედრად წასვლა გადაწყვიტა. როგორც ჩანს, რუპა გოსვამიმ მიიღო უფალთან შეერთების უფლება, მაგრამ სანპტანა გოსვამიმ — არა. ამიტომ სანპტანა გოსვამიმ თავის უშუალო დამხმარეებს გადააბარა სახელმწიფოს მოვალეობანი და „შრიმად-ბჰაგავატამისა“ შესასწავლად სახლში დარჩა. მან ათი-თორმეტი სწავლული *ბრაჰმანი* მოიწვია და მათთან ერთად ინტენსიურად შეუდგა „შრიმად-ბჰაგავატამის“ შესწავლას. შესწავლისთვის საკმარისი დრო რომ ჰქონოდა, თავის უფროსს, ნავაბს აცნობა, თითქოს ავად იყო. მაგრამ ნავაბს სახელმწიფო საკითხთან დაკავშირებით იმდენად სჭირდებოდა სანპტანა გოსვამის რჩევა, რომ მოულოდნელად სახლში ესტუმრა.

როდესაც ნავაბი შევიდა სახლში, სადაც სანჯტანა გოსვამი და *ბრაჰმანები* იყვნენ შეკრებილნი, ისინი წამოდგნენ, რათა პატივით მიეღოთ იგი და დასაჯდომი ადგილი შესთავაზეს.

— შენ შემატყობინე, რომ ავად ხარ, — უთხრა ნავაბმა სანჯტანა გოსვამის, — მაგრამ მე ჩემი ექიმი გამოგიგზავნე და მან თქვა, რომ არავითარი სენი არა გჭირს. ვერ გამიგია, რატომ მაცნობე ავადმყოფობის ამბავი და რად არ მოდიხარ სამუშაოდ, ამიტომ პირადად გესტუმრე. მართალი გითხრა, შენმა საქციელმა ძალიან შემაშფოთა. ხომ იცი, მთლიანად შენზე და შენს საპასუხისმგებლო სახელმწიფო სამსახურზე ვარ დამოკიდებული. შენი წყალობით სხვა საქმეების მოგვარების დრო მქონდა, მაგრამ თუკი არ შემომიერთდები, შენი ერთგულება წყალში გადაიყრება. გთხოვ, მითხარი ახლა რას აპირებ?

ამის გამგონე სანჯტანა გოსვამიმ უპასუხა, რომ სამუშაოს გაგრძელება არ შეეძლო და ნავაბი დიდ მოწყალებას მოიღებდა, თუკი სხვას გადააბარებდა მასზე მინდობილ სამუშაოს. ამის გამგონე, ნავაბი ძლიერ განრისხდა და თქვა: „შენი უფროსი ძმა მონადირესავით ცხოვრობს და თუკი შენც ჩამოსცილდები მმართველობას, ყველაფერი დაიღუპება“. ამბობენ, რომ ნავაბი სანჯტანა გოსვამის უმცროს ძმასავით ეპყრობოდა. რადგან ნავაბი ძირითადად ქვეყნის სხვადასხვა მხარეების დაპყრობითა და ნადირობით გახლდათ დაკავებული, სახელმწიფოს მართვის მხრივ ძირითადად სანჯტანა გოსვამის იმედზე იყო. ამიტომ სთხოვდა: „მთავრობის სამსახურს შენც რომ ჩამოშორდე სამსახურს, მმართველობას რაღა ეშველება?“

— შენ გაუდას მმართველი ხარ, — წყნარად უპასუხა სანჯტანა გოსვამიმ, — და სხვადასხვა სასჯელს აძლევ სხვადასხვა სახის დამნაშავეებს. ამიტომ შენი ნებაა, ვის როგორ დასჯი მათი საქციელის გამო. ამ პასუხით სანჯტანა გოსვამიმ მიანიშნა მას, რომ რადგან მმართველი ნადირობდა და თავისი სამეფოს საზღვრების გასადიდებლად

ხალხს ხოცავდა, დაე ორივენი დატანჯულიყვნენ მათ მიერ ჩადენილი საქმეების შესაბამისად.

ნავაბი გონიერი იყო და ესმოდა სანჯტანა გოსვამის აზრი. განრისხებულმა დატოვა სახლი და მალე ორისას* დასაპყრობად გაემგზავრა. მან ბრძანა, დაეპატიმრებინათ სანჯტანა გოსვამი და მის ჩამოსვლამდე არ გამოეშვათ. როცა რუპა გოსვამიმ შეიტყო, რომ მისი უფროსი ძმა ნავაბმა დააპატიმრა, შეუთვალა, რომ გაუდაში (ბენგალიაში) ერთი ვაჭარი ათი ათას მონეტას ინახავდა, რისი გამოყენებაც ძმის გამოსასყიდად შეიძლებოდა. სანჯტანამ ხუთი ათასი მონეტაც იმ ციხის მცველსაც მისცა, რომელშიც დატუსაღებული იყო. მან ურჩია მეციხოვნეს, დაუფიქრებლად აეღო ხუთი ათასი მონეტა და გაეშვა, რადგან ფულის აღებით არა მხოლოდ მატერიალურ მოგებას ნახავდა, არამედ სანჯტანა გოსვამის სულიერი მიზნით განთავისუფლებისთვის დიდ ღვთისმოსავ საქმესაც ჩაიდენდა.

— ცხადია, შემიძლია შენი გაშვება, — უპასუხა მეციხოვნემ, — რადგან ბევრი რამ გაქვს ჩემთვის გაკეთებული და მთავრობის სამსახურში იმყოფები. მაგრამ ნავაბის მეშინია. რას იზამს, როცა გაიგებს, რომ თავისუფალი ხარ? იძულებული ვიქნები, სიმართლე ვუთხრა. როგორ დავთანხმდე ასეთ წინადადებაზე?

მაშინ სანჯტანამ მოიგონა ამბავი მისი გაპარვის შესახებ, რომელიც მეციხოვნეს შეეძლო ნავაბისთვის მოეყოლა და კიდევ ათი ათასი მონეტა შესთავაზა. ამაზე ფულს დახარბებული მეციხოვნე დათანხმდა და გაუშვა. ამ დროს რუპა გოსვამი თავის უმცროს ძმასთან, შრი ვალლაბჰასთან ერთად, ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუსთან შესახვედრად ვრნდავანს გაემგზავრა.

ამის შემდეგ სანჯტანა უფლის სანახავად წავიდა. იგი მიდიოდა არა გზებით, არამედ ჯუნგლებით და მიაღწია

---

*ინდოეთის ერთ-ერთი შტატი.

ბიჰარში ადგილს, რომელსაც პუტადუ ერქვა. იქ იგი სასტუმროში გაჩერდა, მაგრამ სასტუმროს პატრონს დაქირავებულმა ასტროლოგმა ამცნო, რომ სანუტანა გოსვამის ოქროს მონეტები ჰქონდა. ფულის ხელში ჩაგდების მიზნით სასტუმროს პატრონმა ლაქუცური პატივისცემით მიმართა სანუტანა გოსვამის.

„დაისვენე ამაღამ", — უთხრა მან, „დილით კი ხალხს მოგცემ, რომელიც ჯუნგლებიდან გაგიყვანს". მაგრამ სანუტანა დააეჭვა მისმა საქციელმა და ჰკითხა თავის მსახურს, იშუნას, ჰქონდა თუ არა ფული. იშუნამ თქვა, რომ შვიდი ოქროს მონეტა გააჩნდა. სანუტანას არ მოეწონა, რომ მსახური ფულს დაატარებდა, გაბრაზდა და თქვა: „რას დაატარებ გზაზე ამ სიკვდილის მომასწავებელს?"

სანუტანამ მაშინათვე ჩამოართვა ოქროს ფული და სასტუმროს პატრონს მისცა. შემდეგ სთხოვა, ჯუნგლებში გასვლაში დახმარებოდა. ამცნო, რომ მთავრობის სამსახურში განსაკუთრებული მოგზაურობა ჰქონდა დავალებული და რადგან ღია გზებზე სიარული არ შეეძლო, კარგი იქნებოდა, თუ სასტუმროს პატრონი ჯუნგლებსა და მთებზე გადასვლაში დაეხმარებოდა.

— ვიცოდი, რომ რვა მონეტა გქონდა თან და მოკვლას გიპირებდი მათ ხელში ჩასაგდებად, — გამოტყდა სასტუმროს პატრონი, — მაგრამ მესმის, რომ კარგი კაცი ხარ, ამიტომაც ჩემთვის ფულის მოცემა არ გჭირდება.

— თუკი შენ ამ ფულს არ აიღებ, სხვა წამართმევს, — უპასუხა სანუტანამ. — ვიღაც სხვა მომკლავს მისი გულისთვის, ამიტომ ჯობს შენ აიღო. გაძლევ.

მაშინ სასტუმროს პატრონმა ყველაფერი იღონა და იმავე ღამეს დაეხმარა გორებზე გადასვლაში.

როდესაც სანუტანამ გორები გადალახა, მსახურს სახლში წასვლა და იმ მონეტის წაღება სთხოვა, რომელიც მსახურმა მაინც დაიტოვა, რადგან სანუტანას მარტო

მოგზაურობა ჰქონდა გადაწყვეტილი. მსახურის წასვლის შემდეგ სანატანამ სრული თავისუფლება იგრძნო. დახეული ტანსაცმლითა და წყლის ჭურჭლით ხელში, სანატანა უფალი ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუსკენ გაეშურა. გზად სიძე შეხვდა, რომელიც აგრეთვე მთავრობის სამსახურში იდგა და რომელმაც შესანიშნავი მოსასხამი მისცა. სანატანამ ეს განსაკუთრებულ საჩუქრად მიიღო. შემდეგ დაემშვიდობა და მარტო გაემგზავრა ბენარესს უფალი ჩაიტანდას სანახავად.

როდესაც ბენარესს მიაღწია, მიხვდა, რომ უფალი იქ იმყოფებოდა და სიხარულით აღივსო. ხალხმა უთხრა, რომ უფალი ჩანდრაშექჰარა ვჩვრდას სახლში იყო გაჩერებული და სანატანაც იქ წავიდა. თუმცა ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუ შინ იყო, იგი მიხვდა, რომ კარებთან იდგა სანატანა და ჩანდრაშექჰარას სთხოვა, შინ მოეხმო კართან მდგომი კაცი. „იგი ვაიშნავია, უფლის დიადი ერთგული“. — თქვა ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუმ. ჩანდრაშექჰარა კაცის სანახავად გარეთ გამოვიდა, მაგრამ კართან ვაიშნავი ვერ იხილა. მხოლოდ მათხოვარი მწირის მსგავსი კაცი იდგა სიახლოვეს. მაშინ უფალმა სთხოვა, მწირი მოეხმო და როდესაც სანატანა ეზოში შემოვიდა, უფალი ჩაიტანდა მისკენ გაიქცა და მოეხვია. როცა უფალი მოეხვია, სანატანა სულიერმა ექსტაზმა შეიპყრო და თქვა: „ჩემო ძვირფასო უფალო, გთხოვ, ნუ შემეხები“. მაგრამ ორივე ერთმანეთს ჩაეხვია და ტირილი დაიწყო. სანატანასა და უფალი ჩაიტანდას ასეთმა საქციელმა განაცვიფრა ჩანდრაშექჰარა. ბოლოს ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუმ სთხოვა სანატანას, მასთან ერთად ჩამომჯდარიყო. იგი ხელით ეხებოდა სანატანას სხეულს და სანატანამ კვლავ სთხოვა: „ჩემო ძვირფასო უფალო, გთხოვ, ნუ შემეხები“.

— მე გეხები, რათა გავიწმინდო, — უპასუხა უფალმა, — რადგან შენ უფლის დიადი ერთგული ხარ. შენი ერთგული

სამსახურით შეგიძლია მთელი მსოფლიო გაათავისუფლო და ყველას მისცე საშუალება შინ, ღმრთეებასთან დაბრუნებისა.

შემდეგ უფალმა მოიყვანა ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ იმის თაობაზე, რომ უფალი კრშნას ერთგული, რომელიც ასი პროცენტით ერთგული სამსახურითაა დაკავებული, გაცილებით მაღლა დგას *ბრაჰმანზე*, რომელიც განსწავლულია მთელ ვედურ ლიტერატურაში, მაგრამ უფლის ერთგულ სამსახურს არ ეწევა. რადგან ერთგული გულით დაატარებს უზენაეს უფალს, მას ყველასა და ყოველი ადგილის განწმენდა შეუძლია.

ვედურ ლიტერატურაში ისიც ნათქვამია, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება არ ცნობს მას, ვინც უაღრესად არის განსწავლული *ვედების* ყოველ ნაწილში, მაგრამ მოსწონს ის, ვინც ერთგულია, ასეთი პიროვნება მდაბიო ოჯახშიც რომ იყოს დაბადებული. თუკი მოწყალებას გავიღებთ *ბრაჰმანისადმი*, რომელიც ერთგული არ არის, უფალი არ მიიღებს ამას; მაგრამ თუკი ერთგულს მივართმევთ რაიმეს, უფალი მიიღებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის, რისი მირთმევაც ადამიანს უფლისათვის უნდა, შეიძლება უფლის ერთგულებს მივცეთ. ჩაიტანიამ მაჰაპრაბჰუმ მოიყვანა კიდევ ერთი ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“, სადაც ნათქვამია, რომ *ბრაჰმანი*, რომელიც უზენაესი უფლის ერთგული არ არის, მდაბიოა მდაბიოთა შორის, თორმეტი ბრაჰმანული თვისებით შემკული და მაღალ ოჯახში დაბადებულიც რომ იყოს. ერთგული სამსახურის ძალით *ჩანდალთა* (ძაღლისმჭამელთა) ოჯახში დაბადებულ ერთგულსაც კი მთელი თავისი ოჯახის განწმენდა შეუძლია წარსულში და მომავალში ასი თაობის ჩათვლით, მაშინ როცა ამაყ *ბრაჰმანს* საკუთარი თავის განწმენდაც არ ძალუძს. „ჰარი-ბჰაკტი-სუდჰოდაიაში“ (13.2) ნათქვამია:

აკშნოჯ ფჰალამ ტკვედრშა-დარშანამ ჰი
ტანოჯ ფჰალამ ტკვედრშა-გჯტრასანგაჯ
ჯიჰვჯ-ფჰალამ ტკვედრშა-კირტანამ ჰი
სუდურლაბჰჯ ბჰჯგავატჯ ჰი ლოკე

„ო უფლის ერთგულო, შენი დანახვა სრულყოფაა თვალებისთვის, შენი სხეულის შეხება სხეულის ქმედებათა სრულყოფაა და შენი თვისებების ქება-დიდება სრულყოფაა ენისა, რადგან იშვიათად თუ ვინმე ნახავს შენისთანა წმინდა ერთგულს“.

შემდეგ უფალმა უთხრა სანჯანას, რომ კრშნა მეტად მოწყალეა და დაცემულ სულთა მხსნელი გახლავთ. „მან მაჰჯრაურავადან გადაგარჩინა“. — თქვა უფალმა. ეს მაჰჯრაურავა ანუ ჯოჯოხეთი აღწერილია „შრიმად-ბჰჯგავატამში“. ეს ადგილი მათთვის არის განკუთვნილი, ვინც ცხოველებს ხოცავს, რადგან ნათქვამია, რომ ყასბები და ცხოველთა მჭამელები ჯოჯოხეთში მიდიან.

— მე არ ვიცი კრშნას წყალობა, — უპასუხა სანჯანამ,— მაგრამ მესმის, რომ უმიზეზოა შენი წყალობა ჩემდამი. შენ მატერიალური სიცოცხლის ტყვეობიდან გადამარჩინე.

შემდეგ უფალმა ჰკითხა: „როგორ დააღწიე თავი პატიმრობას? შენ ხომ დაპატიმრებული იყავი“. სანჯანამაც თავისი განთავისუფლების მთელი ამბავი უამბო. „მე შენი ორი ძმა ვნახე“, — შეატყობინა უფალმა, „და ვრნდავანში წასვლა ვურჩიე“.

შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ ჩანდრაშექჰარა და ტაპანამიშრა გააცნო სანჯანას და ტაპანამიშრამ სანჯანა თავაზიანად მოიწვია თავისთან სადილად. უფალმა სთხოვა ჩანდრაშექჰარას, დალაქთან წაეყვანა სანჯანა და „ჯენტლმენად“ ექცია, რადგან სანჯანას გრძელი წვერი გაეზარდა, რაც შრი ჩაიტანიას მაჰჯრაბჰუს არ მოსწონდა.

მან სთხოვა ჩანდრაშექჰარას, ეზრუნა არა მხოლოდ იმაზე, რომ სანჯტანას დაებანა და წვერი გაეპარსა, არამედ ტანსაცმელიც გამოეცვალა.

დაბანის შემდეგ, ჩანდრაშექჰარამ მას კარგი ტანსაცმელი მისცა. როდესაც უფალმა ჩაიტანḍამ შეიტყო, რომ სანჯტანამ უარი თქვა ახალ ტანსაცმელზე და მოგვიანებით მხოლოდ ნახმარი სამოსი მიიღო ტაპანამიშრასგან, ძალიან გაუხარდა. უფალი სადილად ტაპანამიშრას სახლში წავიდა და სთხოვა, სანჯტანასთვის შეენახა საჭმელი. ტაპანამიშრამ მაშინათვე არ მიართვა საჭმელი სანჯტანას, არამედ როდესაც უფალმა სადილობა დაამთავრა, მისი საჭმლის ნარჩენები შესთავაზა. ამ დროს უფალი ისვენებდა.

დასვენების შემდეგ უფალმა ჩაიტანḍამ თავისი ერთგული, მაჰჯრაშტრიელი *ბრაჰმანი* გააცნო სანჯტანას და მაჰჯრაშტრიელმა *ბრაჰმანმა* სთხოვა სანჯტანას, ბენარესში ყოფნისას ყოველდღიურად მის სახლში ესადილა.

— სანამ ბენარესში ვიქნები, კარდაკარ ვიმათხოვრებ, — თქვა სანჯტანამ, — მაგრამ უფალი გამოიჩენს მოწყალებას და დათანხმდება შენს სახლში სადილობაზე.

უფალ ჩაიტანḍას დიდად ესიამოვნა სანჯტანას ასეთი საქციელი, მაგრამ თვალი მოჰკრა ძვირფას მოსასხამს, რომელიც სანჯტანას ბენარესში მგზავრობისას სიძემ უსაჩუქრა. თუმცა უფალმა ჩაიტანḍამ მოსასხამი არ შეიმჩნია, სანჯტანა მიხვდა, რომ უფალს მის სხეულზე ასეთი ძვირფასი მოსასხამი არ მოეწონა, ამიტომაც მისი თავიდან მოცილება გადაწყვიტა. უმალვე გაეშურა განგის ნაპირზე. იქ ერთი ღარიბი იყო, რომელიც ძველ, დალიანდაგებულ საბანს რეცხავდა. როდესაც სანჯტანამ ძველი საბნის ძვირფას მოსასხამში გაცვლა შესთავაზა, ღარიბმა იფიქრა, სანჯტანა დამცინისო. „რას ამბობ?“ — უსაყვედურა მწირმა. „კეთილშობილი ადამიანი ჩანხარ, მაგრამ უზრდელად კი დამცინი“.

„არ გეხუმრები“, — მიუგო სანჯანამ. „მართალს გეუბნები. გამიცვალე, გეთაყვა, ეს დახეული საბანი ამ მოსასხამში“. საბოლოოდ მწირმა გაუცვალა თავისი გაქუცული საბანი მოსასხამში და სანჯანა უფალთან დაბრუნდა.

„სად არის შენი ძვირფასი მოსასხამი?“ — მაშინათვე ჰკითხა უფალმა. სანჯანამ გაცვლის ამბავი მოუთხრო, ეს უფალსაც მოეწონა და მადლობა გადაუხადა. „საკმაოდ გონიერი ხარ და ახლა აღარ გიზიდავს მატერიალური ქონება“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფალი მხოლოდ მაშინ ღებულობს ვინმეს ერთგულ სამსახურს, როდესაც ეს უკანასკნელი სრულიად განთავისუფლდება მატერიალური ქონებისაგან. შემდეგ უფალმა უთხრა სანჯანას: „არ იქნებოდა ლამაზი, თუკი შენ, ღარიბი მწირი კარდაკარ იმათხოვრებდი და თან ძვირფასი მოსასხამი გექნებოდა. ეს ორი რამ ერთმანეთის შეუთავსებელია და ხალხის ზიზღს გამოიწვევდა“.

„რასაც მატერიალური მიჯაჭვულობისაგან თავის დასაღწევად ვაკეთებ, შენი წყალობაა მხოლოდ“, — მიუგო სანჯანამ. მან ძლიერ ასიამოვნა უფალს და ორივემ სულიერი წინსვლის შესახებ მსჯელობა დაიწყო.

უფალი ჩაიტანდასა და სანჯანა გოსვამის ამ შეხვედრამდე უფალმა ნახა მეოჯახე ერთგული, რამანანდა რაჯა. ამ შეხვედრისას, რომელიც მომდევნო თავებში იქნება აღწერილი, უფალი ჩაიტანდა რამანანდა რაჯას ეკითხებოდა და რამანანდაც პასუხობდა, თითქოს უფლის მასწავლებელი ყოფილიყო. მაგრამ ამ შემთხვევაში სანჯანა უსვამდა უფალს კითხვებს და უფალიც თავად პასუხობდა მათ.

უფალი ჩაიტანდას დარიგებები და მოძღვრება ხალხისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. იგი გვასწავლის ერთგული სამსახურის გზას, რომელიც ყოველი ცოცხალი არსების კონსტიტუციურ საქმიანობას წარმოადგენს, რადგან სულიერ მეცნიერებაში განვითარება თითოეული

ადამიანის ვალია. უფალი ჩაიტანიასა და სანჯანა გოსვამის შორის საუბრისას მრავალი საკითხი იქნა განხილული. უფალი ჩაიტანიას წყალობით, სანჯანამ უფლისთვის მნიშვნელოვანი კითხვების დასმა შეძლო და ამ კითხვებზე სათანადო პასუხები იქნა გაცემული.

სანჯანასა და უფალი ჩაიტანიას შეხვედრა გვასწავლის, რომ სულიერი საკითხების შესასწავლად ადამიანმა უნდა მიმართოს ისეთ სულიერ მოძღვარს, როგორიცაა უფალი ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ და მორჩილად უნდა დაუსვას შეკითხვები. ამას ამტკიცებს „ბჰაგავად-გიტაც“ (4.34) — უნდა მივმართოთ ავტორიტეტს და მისგან უნდა ვისწავლოთ სულიერი ცხოვრების მეცნიერება.

თავი მესამე

სანტანა გოსვამის დამოძღვრა

იმ დარიგებიდან, რომელიც უფალმა ჩაიტანდამ სანტანა გოსვამის მისცა, შეგვიძლია გავიგოთ მეცნიერება ღმერთის შესახებ, რომელიც ღმერთის ტრანსცენდენტულ ფორმას, მის სიდიადეებსა და მის ერთგულ სამსახურს ეხება. სინამდვილეში თავად უფალმა განუმარტა ყველა ფერი სანტანა გოსვამის. ამ დროს სანტანა გოსვამი უფლის ტერფებთან დაეცა და დიდი მორჩილებით ჰკითხა საკუთარი არსის შესახებ. „მე მდაბიო ოჯახში ვარ შობილი“, — თქვა სანტანამ. „მხოლოდ საძაგელ ხალხთან მაქვს ურთიერთობა და დაცემული ვარ, ადამიანთა შორის ყველაზე საბრალო. მატერიალური სიამოვნების ბნელ ჭაში ვიტანჯებოდი და არასოდეს მესმოდა ჩემი ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი. ისიც კი არ ვიცი, რა არის ჩემთვის კარგი. თუმცა ამქვეყნად განსწავლულ კაცად ვარ ცნობილი, სინამდვილეში იმდენად სულელი ვარ, რომ თვითონ ვთვლი საკუთარ თავს განსწავლულად. შენ მსახურად მიმიღე და განმათავისუფლე მატერიალური სიცოცხლის ტყვეობიდან. ახლა, გეთაყვა, მითხარი, რაში მდგომარეობს ჩემი მოვალეობა ამ განთავისუფლებულ მდგომარეობაში“.

ამ ვედრების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ განთავისუფლება სრულყოფილების ბოლო სიტყვა არ არის.

განთავისუფლებულ მდგომარეობაში რაღაც საქმიანობები უნდა სრულდებოდეს. სანäტანამ გარკვევით თქვა: „შენ მატერიალურ ყოფიერებას გადამარჩინე. ახლა, განთავისუფლების შემდეგ, *რა არის ჩემი მოვალეობა?*“ შემდგომ სანäტანამ იკითხა: „ვინა ვარ მე? რატომ მაწუხებს გამუდმებით სამი სახის ტანჯვა? და ბოლოს, მითხარი, როგორ შემიძლია ამ მატერიალური ხლართებიდან თავის დაღწევა? მე არ ვიცი, რა კითხვები დაგისვა სულიერ ცხოვრებაში წინსვლის შესახებ, მაგრამ გევედრები, შენი წყალობით გამაგებინე ყველაფერი, რისი ცოდნაც მჭირდება“.

ასეთია სულიერი მოძღვრის მიღების გზა. ადამიანმა სულიერ მოძღვარს უნდა მიმართოს, მოკრძალებით დაემორჩილოს და გამოჰკითხოს სულიერი პროგრესის შესახებ.

უფალს სიამოვნება მოჰგვარა სანäტანას მორჩილმა საქციელმა და უპასუხა: „შენ უკვე კურთხეული ხარ უფალი კრშნäას მიერ, ამიტომ ყველაფერი იცი და თავისუფალი ხარ მატერიალური ყოფიერების ყოველგვარი ტანჯვისაგან“. შემდეგ უფალმა აღნიშნა, რომ რადგან სანäტანა კრშნäას ცნობიერებაში იყო, ბუნებრივია, კრშნäას წყალობით უკვე ყველაფერი ესმოდა. „რადგან თავმდაბალი ერთგული ხარ“, — გააგრძელა უფალმა, „იმის დადასტურებას მთხოვ, რაც უკვე იცი. ეს მშვენიერია“. ამით ხასიათდება ჭეშმარიტი ერთგული. „ნäრადა-ბჰაკტი-სუტრაში“ ნათქვამია, რომ მას, ვისაც სერიოზულად სურს საკუთარ თავში კრშნäას ცნობიერების განვითარება, უფლის წყალობით მალე აუსრულდება კრშნäას შეცნობის სურვილი.

„შენ შესაფერისი პიროვნება ხარ იმისათვის, რომ უფლის ერთგული სამსახური დაიცვა“, — გააგრძელა ჩაიტანäა მაჰäპრაბჰუმ, „ამიტომ ჩემი ვალია, ღმერთის მეცნიერება გასწავლო და ყველაფერს თანდათანობით აგიხსნი“.

მოწაფე, რომელიც სულიერ მოძღვარს მიმართავს, ვალდებულია გამოჰკითხოს მას საკუთარი კონსტიტუციური მდგომარეობის შესახებ. სანპტანას მიერ დასმული კითხვები სრულიად შეესაბამებოდა ამ სულიერ პროცესს: „ვინა ვარ მე და რაკტომ ვიტანჯები სამი სახის ტანჯვებით?“ სამი სახის ტანჯვას ეწოდება *ადჰიპტმიკა, ადჰიბჰაუტიკა* და *ადჰიდაივიკა*. სიტყვა „ადჰიპტმიკა“ გამოხატავს იმ ტანჯვებს, რომლებსაც ჭკუა და სხეული იწვევს. ცოცხალ არსებას ხან სხეული ტანჯავს, ხან კი — ჭკუა. ორივე სახის ტანჯვა *ადჰიპტმიკას* წარმოადგენს. ეს ტანჯვები დედის მუცელშიც გვაწუხებს. ცნობილია, რომ არსებობს უამრავი სახის გასაჭირი, რომელიც ადამიანის სხეულის ნატიფი აღნაგობის გამო გვაწვალებს. სხვა ცოცხალი არსებების მიერ მოყენებულ ტანჯვებს *ადჰიბჰაუტიკა* ეწოდება. აუცილებელი არ არის, რომ ცოცხალი არსება ზომით დიდი იყოს, რადგან მრავალი მათგანი, მაგალითად, ბაღლინჯოები ძილშიაც კი გვაწუხებენ. ბაღლინჯოების მსგავსი მრავალი მცირე ცოცხალი არსება გვაყენებს ტკივილს. არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა პლანეტებზე არიან დაბადებულნი და აგრეთვე გვაწვალებენ. რაც შეეხება *ადჰიდაივიკა* ტანჯვებს, ეს ბუნებრივი უბედურებებია, რომლებიც მაღალ პლანეტებზე მცხოვრები ნახევარღმერთებისგან მომდინარეობს. მაგალითად, ზოგჯერ ძლიერი სიცივის ან მწველი სიცხის, მეხის, მიწისძვრების, ქარბორბალას, გვალვისა და ათასგვარი ბუნებრივი უბედურების გამო ვიტანჯებით. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველთვის გვაწუხებს ამ სამი სახის ტანჯვიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე ერთად.

ამიტომ სანპტანას კითხვა გონივრული იყო. „რა მდგომარეობა უკავიათ ცოცხალ არსებებს?“ — იკითხა მან. „რატომ გადიან ისინი მუდამ ამ სამი სახის ტანჯვას?“ სანპტანამ აღიარა თავისი სისუსტე. თუმცა ხალხი მას დიდ

სწავლულად იცნობდა (სინამდვილეში იგი სანსკრიტში დიდად განსწავლული მეცნიერი გახლდათ) და თუმცა იგიც ამგვარად თვლიდა საკუთარ თავს, სინამდვილეში არ იცოდა თავისი კონსტიტუციური მდგომარეობა და ის, თუ რატომ უხდებოდა სამი სახის ტანჯვის გადატანა.

სულიერ მოძღვართან მიახლოება მოდის საკითხი არ არის, ეს აუცილებლობაა მისთვის, ვისაც სერიოზულად ესმის მატერიალური ტანჯვები და მათგან განთავისუფლება სურს. ასეთი კაცი ვალდებულია სულიერ მოძღვარს მიმართოს. ამ თვალსაზრისით მსგავს სურათს „ბჰაგავად-გიტაშიც“ ვხედავთ. როდესაც არჯუნა საგონებელში ჩავარდა იმ პრობლემის გამო, ებრძოლა თუ არა, უფალი კრშნა თავის სულიერ მოძღვრად აღიარა. ამ შემთხვევაშიც, უზენაესი სულიერი მოძღვარი ასწავლიდა არჯუნას ცოცხალი არსების კონსტიტუციურ მდგომარეობას.

„ბჰაგავად-გიტადან“ ვგებულობთ, რომ ინდივიდუალური არსება თავისი არსით სულს წარმოადგენს. იგი არ არის მატერია. როგორც სული, იგი უზენაესი სულის, აბსოლუტური ჭეშმარიტების, ღმრთეების პიროვნების განუყოფელი ნაწილაკი გახლავთ. ჩვენ ვხვდებით იმასაც, რომ სულის მოვალეობა არის მინდობა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება იგი ბედნიერი. „ბჰაგავად-გიტას“ საბოლოო დარიგება იმაში მდგომარეობს, რომ სული ბოლომდე უნდა მიენდოს უზენაეს სულს, კრშნას და ამგვარად იგემოს ბედნიერება.

აქაც, სანატანას კითხვებზე პასუხისას უფალი ჩაიტანíა, იგივე ჭეშმარიტებას იმეორებს. მაგრამ არსებობს გარკვეული განსხვავებაც. აქ უფალი ჩაიტანíა არ იძლევა ცოდნას სულის შესახებ, რომელიც უკვე განმარტებულია „ბჰაგავად-გიტაში“. პირიქით, იგი იქედან იწყებს, სადაც კრშნა ასრულებს თავის სწავლებას. დიადი ერთგულები აღიარებენ, რომ უფალი ჩაიტანíა თავად კრშნაა და ამ თვალსაზრისით იგი სანატანას დამოძღვრას იქედან

იწყებს, სადაც არჯუნას დამოძღვრა დაასრულა „ბჰაგავად-გიტაში“.

— თავდაპირველი კონსტიტუციური მდგომარეობით შენ წმინდა ცოცხალი სული ხარ. — უთხრა უფალმა სანჯანას. — არ შეიძლება მატერიალური სხეულის შენს ჭეშმარიტ არსთან გაიგივება; არც შენი ჭკუა, არც შენი გონება და არც ცრუ ეგო არ არის შენი ჭეშმარიტი მეობა. უზენაესი უფალი კრშნას მარადიული მსახური ხარ. შენი ჭეშმარიტი მდგომარეობა ტრანსცენდენტულია. კრშნას უმაღლესი ენერგია არსით სულიერია, უმდაბლესი ენერგია კი — მატერიალური. რადგან შენ მატერიალურ ენერგიასა და სულიერ ენერგიას შორის იმყოფები, მოსაზღვრე მდგომარეობა გიკავია. რაკი კრშნას მოსაზღვრე ენერგიას მიეკუთვნები, ერთდროულად ერთიანი ხარ კრშნასთან და განსხვავებულიც. რადგან სული ხარ, არ განსხვავდები კრშნასგან და რადგან მხოლოდ მცირე ნაწილაკი ხარ, განსხვავდები უფლისგან.

ეს ერთდროული ერთიანობა და განსხვავება მუდამ არსებობს ცოცხალ არსებებსა და უზენაეს უფალს შორის. „ერთდროული ერთიანობისა და განსხვავების“ ამ ცნების გაგება ცოცხალ არსებათა მოსაზღვრე მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება. ცოცხალი არსება მზის შუქის მოლეკულურ ნაწილაკს ჰგავს, მაშინ როდესაც კრშნა შეგვიძლია მოგიზგიზე, მანათობელ მზეს შევადაროთ. უფალმა ჩაიტანიამ ცოცხალი არსებები ცეცხლიდან გამომავალ ანთებულ ნაპერწკლებს შეადარა, უზენაესი უფალი კი — მზის მოგიზგიზე ცეცხლს. ამასთან დაკავშირებით უფალს მოჰყავს ლექსი „ვიშნუ პურანადან“ (ვ.პ. 1.22.52):

ეკა-დე�-სთჰიტასიაგნერ
ჯიოტსნა ვისტარინი იათჰა
პარასია ბრაჰმანაჰ შაკტის
ტათჰედამ აქჰილამ ჯაგატ

„ყველაფერი, რაც ამ კოსმოსურ სამყაროში ვლინდება, უზენაესი უფლის ენერგიაა მხოლოდ. მსგავსად ცეცხლისა, რომელიც ერთი ადგილიდან ავრცელებს ირგვლივ შუქსა და სითბოს, უფალიც, თუმცა სულიერ სამყაროში ერთ ადგილას იმყოფება, ყველგან ავლენს თავის ენერგიებს. სინამდვილეში, მთელი კოსმოსური სამყარო მისი ენერგიის სხვადასხვა გამოვლინებებისაგან შედგება“.

უზენაესი უფლის ენერგია ტრანსცენდენტულია და სულიერი და ცოცხალი არსებები ამ ენერგიის განუყოფელ ნაწილაკებს წარმოადგენენ. მაგრამ არსებობს სხვა ენერგიაც, წოდებული მატერიალურ ენერგიად, რომელიც უგუნურების ღრუბლით არის დაფარული. ეს მატერიალური ენერგია, სამ მოდუსად ანუ *გუნáდ* (სათნოებად, ვნებად და უგუნურებად) იყოფა. უფალმა ჩაიტანíáმ მოიყვანა ციტატა „ვიშñუ პურáñáდან“ (ვ.პ. 1.3.2) იმის საჩვენებლად, რომ ყოველი წარმოუდგენელი ენერგია ღმრთეების უზენაეს პიროვნებაში განისვენებს და რომ მთელი კოსმოსური გამოვლინების მოქმედება უფლის წარმოუდგენელი ენერგიის გამო ხდება.

უფალმა თქვა ისიც, რომ ცოცხალ არსებებს *კშეტრáჯñá*, ანუ „მოქმედებათა ველის მცოდნეები“ ეწოდებათ. „ბჰაგავად-გíტáს“ მეცამეტე თავში სხეული დახასიათებულია მოქმედებათა ველად, ცოცხალი არსება *კი — კშეტრáჯñáდ*, ამ ველის მცოდნედ. თუმცა თავისი არსით, ცოცხალ არსებას გაცნობიერებული აქვს სულიერი ენერგია, ანუ სულიერი ენერგიის გაგების უნარი შესწევს, იგი დაფარულია მატერიალური ენერგიით და ამიტომაც საკუთარ თავს სხეულთან აიგივებს. ამ ცრუ გაიგივებას „ცრუ ეგო“ ეწოდება. ამ ცრუ ეგოთი მოტყუებული, გაოგნებული ცოცხალი არსება სხვადასხვა სხეულებს იღებს მატერიალურ ყოფიერებაში და ათასგვარი გაჭირვებით იტანჯება. სხვადასხვა სახის ცოცხალი არსებები სხვადასხვა ოდენობით ფლობენ ცოდნას ცოცხალი არსების ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა გვესმოდეს, რომ ცოცხალი არსება უზენაესი უფლის სულიერი ენერგიის განუყოფელ ნაწილაკს წარმოადგენს. რადგან მატერიალური ენერგია უმდაბლესია, ადამიანს შეუძლია მოიცილოს საფარველი და სულიერი ენერგიით ისარგებლოს. „ბჰაგავად-გიტაში“ ნათქვამია, რომ უმაღლესი ენერგია უმდაბლესი ენერგიით არის დაფარული. ამ საფარველის გამო ცოცხალი არსება მატერიალური ვნებისა და უგუნურების სხვადასხვა დონის შესაბამისად მატერიალური სამყაროს ტანჯვებს გადის. ისინი, ვინც ოდნავ გასხივოსნებულნი არიან, ნაკლებად იტანჯებიან, მაგრამ მთლიანობაში მატერიალური ენერგიის საფარველის გამო ყველა მატერიალურ ტანჯვებს ექვემდებარება.

ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუმ მოიყვანა ლექსი „ბჰაგავად-გიტას“ მეშვიდე თავიდანაც, სადაც ნათქვამია, რომ მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, ეთერი, ჭკუა, გონება და ეგო ერთად უზენაესი უფლის უმდაბლეს ენერგიას შეადგენს. მაგრამ უმაღლესი ენერგია ცოცხალი არსების ჭეშმარიტი მეობაა და მატერიალური სამყარო სწორედ ამ ენერგიის გამო მოქმედებს. მატერიალური ელემენტებისგან შემდგარ კოსმიურ გამოვლინებას არ შესწევს მოქმედების ძალა, სანამ მას უმაღლესი ენერგია, ცოცხალი არსება არ აამოძრავებს. ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალი არსების განპირობებული ცხოვრების მიზეზს უზენაეს უფალთან ამ სულიერ ენერგიაში ურთიერთობის დაკარგვა წარმოადგენს. ამ ურთიერთობის დაკარგვას შედეგად განპირობებული ცხოვრება მოჰყვება. ადამიანი თავისუფლდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღიდგენს თავის ჭეშმარიტ არსს, რაც უფლის მარადიულ მსახურებაში მდგომარეობს.

თავი მეოთხე

ბრძენი

რადგან ცოცხალი არსების მატერიალურ ენერგიაში დატყვევების წარსულის დადგენა არავის ძალუძს, უფალი ამბობს, რომ იგი დაუსაბამოა. დაუსაბამობაში იგულისხმება ის, რომ განპირობებული სიცოცხლე სამყაროს შექმნამდე არსებობდა; იგი უბრალოდ ვლინდება ქმნილების დროს და მის შემდეგ. საკუთარი ბუნების დავიწყების გამო, ცოცხალი არსება, თუმცა სულია, ათასგვარი გაჭირვებებით იტანჯება განპირობებულ ყოფიერებაში. უნდა გვესმოდეს, რომ არიან ისეთი ცოცხალი არსებებიც, რომლებიც იმყოფებიან არა ამ მატერიალური ენერგიის ტყვეობაში, არამედ სულიერ სამყაროში. მათ განთავისუფლებული სულები ჰქვიათ და ისინი მუდამ კრშნას ცნობიერებით, ერთგული სამსახურით არიან დაკავებული.

მატერიალური ბუნებით განპირობებულ არსებათა ყოველ საქმიანობას ანგარიში ეწევა და ამ საქმიანობათა საფუძველზე, მომდევნო ცხოვრებაში მათ სხვადასხვა სახის მატერიალური სხეულები ეძლევათ. მატერიალურ სამყაროში განპირობებული სული სხვადასხვა სახის ჯილდოსა და სხვადასხვა სახის სასჯელს ღებულობს. ღვთისმოსავ საქმიანობათა საზღაურად იგი ადის მაღალ პლანეტებზე, სადაც ერთ-ერთი ნახევარღმერთი ხდება, ხოლო როდესაც თავისი საძაგელი საქმიანობის სასჯელი ეწევა, მას ჯოჯოხეთში გზავნიან, სადაც ძლიერ ტანჯავს მატერიალური

ყოფიერება. უფალ ჩაიტანდას ამის საჩვენებლად მშვენიერი მაგალითი მოჰყავს. უწინ მეფე დამნაშავეს იმით სჯიდა, რომ მდინარეში ძირავდა, შემდეგ ჩასასუნთქად თავს ამოაყოფინებდა და კვლავ წყალში აყურყუმალავებდა. მატერიალური ბუნებაც სწორედ ასე ასაჩუქრებს და სჯის ინდივიდუალურ არსებას. სასჯელის დროს იგი მატერიალური გაჭირვებების წყალში იძირება, დაჯილდოებისას კი დროებით თავი აქვს ამოყოფილი. მაღალ პლანეტებზე, ანუ მაღალ მდგომარეობამდე ასვლა არასოდეს არ არის მუდმივი. ადამიანი იძულებულია კვლავ დაეშვას წყალში ჩასაძირად. მატერიალურ ყოფიერებაში ყოველივე ეს განუწყვეტლივ მიმდინარეობს; ზოგჯერ არსება მაღალ პლანეტარულ სისტემებზე ადის, ზოგჯერ კი მატერიალური სიცოცხლის ჯოჯოხეთურ პირობებში იგზავნება.

ამ თვალსაზრისით ჩაიტანდა მაჰპარაბჰუ წარმოთქვამს ლექსს „შრიმად-ბჰაგავატამიდან“, ნარადა მუნის მიერ ვასუდევას, კრშნას მამისათვის მიცემული დარიგებებიდან:

ბჰადამ დვიტიდაბჰინივეშატაჰ სადა
იშად აპეტასდა ვიპარდადო ’სმრტიჰ
ტან მადადატო ბუდჰა ბჰაჯეტ ტამ
ბჰაკტიკადეშამ გურუ-დევატატმა
(ბჰაგ. 11.2.37)

ამ ციტატიდან, რომელიც ცხრა ბრძენის მიერ მაჰარაჯა ნიმისთვის მიცემული დარიგებებიდან არის ამოღებული, *მადა* განმარტებულია როგორც „კრშნასთან საკუთარი ურთიერთობის დავიწყება“. სინამდვილეში, *მადა* ნიშნავს იმას, „რაც არ არსებობს“. მას არსებობა არ გააჩნია. ამრიგად, მცდარია იმის ფიქრი, რომ ცოცხალ არსებას არავითარი კავშირი არა აქვს უზენაეს უფალთან. მას შეიძლება არ სწამდეს ღმერთის არსებობა, ან იფიქროს,

რომ ღმერთთან არავითარი ურთიერთობა არ აკავშირებს, მაგრამ ეს ყველაფერი „ილუზია“ ანუ *მაჯა*. სიცოცხლის შესახებ ასეთი მცდარი წარმოდგენების გამო ადამიანი მუდამ შიშითა და მღელვარებითაა შეპყრობილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცოცხლის შესახებ უღმერთო წარმოდგენა *მაჯა* გახლავთ. ის, ვინც ჭეშმარიტად განსწავლულია ვედურ ლიტერატურაში, დიდი ერთგულებით ენდობა უზენაეს უფალს და უმაღლეს მიზნად აღიარებს მას. როდესაც ცოცხალი არსება ივიწყებს კონსტიტუციურ ბუნებას ღმერთთან თავის მარადიულ ურთიერთობაში, უმალვე გარეგანი მარადიული ენერგია ეუფლება. ეს არის მისი ცრუ ეგოს, მისი მეობის სხეულთან ცრუ გაიგივების მიზეზი. მართლაც, მთელი მისი წარმოდგენა მატერიალური სამყაროს შესახებ სხეულთან ამ ცრუ გაიგივების გამო აღმოცენდება, რადგან იგი ეჯაჭვება სხეულს და მის თანაპროდუქტებს. ამ ტყვეობიდან თავის დასაღწევად მან მხოლოდ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს და გონებით, ერთგულებითა და გულწრფელი კრშნას ცნობიერებით უნდა მიენდოს უზენაეს უფალს.

განპირობებული სული შეცდომით ფიქრობს, რომ ბედნიერია მატერიალურ სამყაროში, მაგრამ თუკი მას წმინდა ერთგულის წყალობა შეხვდება და დარიგებებს მიიღებს მისგან, იგი უარს იტყვის მატერიალური სიამოვნების სურვილზე და გასხივოსნდება კრშნას ცნობიერებაში. კრშნას ცნობიერებაში შესვლისთანავე, მატერიალური სიამოვნების სურვილი უმალვე ესპობა და იგი თანდათანობით თავისუფლდება მატერიალური ტყვეობიდან. სინათლეში წყვდიადი არ არსებობს, კრშნას ცნობიერება კი სწორედ სინათლეა, რომელიც მატერიალურ გრძნობათა სიამოვნების წყვდიადს ფანტავს.

კრშნას ცნობიერი პიროვნება მცდარად არასოდეს თვლის, რომ ერთიანია ღმერთთან. ესმის რა, რომ საკუთარი თავისთვის შრომისას ბედნიერი ვერ იქნება, იგი

მთელ თავის ენერგიას უზენაესი უფლის სამსახურში ასაქმებს და ამით თავისუფლდება ილუზორული მატერიალური ენერგიის კლანჭებიდან. ამ თვალსაზრისით უფალ ჩაიტანიას შემდეგი ლექსი მოჰყავს „ბჰაგავად-გიტაᲓან“:

დაივი ჰი ეშა გუნამაჲი
მამა მაჲა დურატჲაჲა
მამ ევა ჲე პრაპადჲანტე
მაჲამ ეტამ ტარანტი ტე

„ეს ჩემი ღვთაებრივი ენერგია, რომელიც მატერიალური ბუნების სამი მოდუსისგან შედგება, ძნელი გადასალახავია. მაგრამ ისინი, ვინც მომენდობიან, ადვილად გადალახავენ მას“ (ბ.გ. 7.14).

ჩაიტანიას მაჰაპრაბჰუმ გააგრძელა სწავლება იმის შესახებ, რომ გარკვეული კარმიული საქმიანობის გაწევის ყოველ წამს განპირობებული სული ივიწყებს თავის ჭეშმარიტ ვინაობას. ზოგჯერ, როდესაც დაიქანცება, დაიღლება მატერიალური საქმიანობებით, მას განთავისუფლების სურვილი უჩნდება და უნდა ერთიანი გახდეს უზენაეს უფალთან, მაგრამ სხვა დროს მიაჩნია, რომ გრძნობათა დაკმაყოფილების მიზნით გაწეული მძიმე შრომა ბედნიერს გახდის. იგი ორივე შემთხვევაში, მატერიალური ენერგიითაა დაფარული. ასეთი განპირობებული სულების გასანათლებლად უზენაესმა უფალმა მსხვილტანიანი ვედური ლიტერატურა მოგვაწოდა, როგორიცაა *ვედები, პურანები* და „ვედანტა-სუტრა“. მათ დანიშნულებას ადამიანის ღმრთეებასთან დასაბრუნებლად გაძღოლა წარმოადგენს. თავის შემდგომ სწავლებაში ჩაიტანიას მაჰაპრაბჰუმ განაგრძო, რომ როდესაც განპირობებული სული სულიერი მოძღვრის წყალობით მიღებული იქნება, როდესაც მას მიუძღვება ზესული და სხვადასხვა ვედური წმინდა წერილები, იგი განათლებას იძენს და სულიერი შემეცნე-

ბის გზაზე წინ მიიწევს. იმის გამო, რომ უფალი კრშ̣ნა მუდამ წყალობს თავის ერთგულებს, მან მოგვცა ეს ვედური ნაწარმოებები, რომლებიც მასთან ჩვენი ურთიერთობის გაგებისა და ამ ურთიერთობის საფუძველზე მოქმედების საშუალებას გვაძლევს. ამგვარად ადამიანს სიცოცხლის საბოლოო მიზანი ეძლევა საჩუქრად.

სინამდვილეში უზენაესი უფლის მიღწევა ყოველ ცოცხალ არსებას უწერია. ყველას შეუძლია უზენაესთან საკუთარი ურთიერთობის გაგება. სრულყოფილების მიღწევისათვის განკუთვნილი მოვალეობების შესრულებას ერთგული სამსახური ეწოდება და მომწიფებულ სტადიაზე ასეთი ერთგული სამსახური გადაიზრდება ღმერთის სიყვარულში, რაც ყოველი ცოცხალი არსების სიცოცხლის ჭეშმარიტ მიზანს წარმოადგენს. სინამდვილეში ცოცხალი არსება რელიგიურ რიტუალებში, ეკონომიკურ განვითარებასა თუ გრძნობათა დაკმაყოფილებაში წარმატების მისაღწევად არ არის განკუთვნილი. ცოცხალ არსებას განთავისუფლებაშიც კი არ უნდა სურდეს წარმატების მიღწევა, და რაღა უნდა ვთქვათ წარმატებაზე რელიგიაში, ეკონომიკურ განვითარებასა და გრძნობათა დაკმაყოფილებაში. მისი ჭეშმარიტი სურვილი მხოლოდ უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურის საფეხურის მიღწევა უნდა იყოს. ამ ტრანსცენდენტული სამსახურის მიღწევაში მას უფალი კრშ̣ნას მთელი მიმზიდველი ნიშან-თვისებები ეხმარება და კრშ̣ნას ცნობიერებაში გაწეული სწორედ ასეთი სამსახურის წყალობით არის შესაძლებელი კრშ̣ნასა და ცოცხალ არსებას შორის ურთიერთობის შეცნობა.

სიცოცხლის საბოლოო მიზნის ძიებასთან დაკავშირებით ჩაიტანიამ მაჰაპრაბჰუს მოჰყავს ამბავი მადჰვას კომენტარებიდან, რომელიც „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეხუთე სიმღერაში გვხვდება (მადჰვა-ბჰაშია, 5.5.10-13). ეს ამბავი ეხება ასტროლოგ სარვაჯ̣ნას დარიგებებს ღარიბი კაცისადმი, რომელიც მომავლის გასაგებად მივიდა მასთან.

როდესაც სარვაჯნამ მისი ჰოროსკოპი იხილა, გაუკვირდა, რომ კაცი ასე ღარიბი იყო და უთხრა: „რატომ ხარ ასე უბედური? შენს ჰოროსკოპში ვხედავ, რომ მამაშენს განძი აქვს დამალული. მაგრამ ჰოროსკოპში ჩანს, რომ მამაშენმა ეს არ გაგინდო, რადგან შორს, უცხო მხარეში გარდაიცვალა. მოძებნე ეს განძი და ბედნიერი იქნები". ეს ამბავი იმიტომ არის მოყვანილი, რომ ცოცხალი არსება თავისი უზენაესი მამის, კრშნას დამალული განძის შესახებ არცოდნის გამო იტანჯება. ეს განძი ღმრთეების სიყვარულია და ყოველ ვედურ წმინდა წერილში განპირობებულ სულს მისი მიგნების რჩევა ეძლევა. როგორც „ბჰაგავად-გიტაშია" ნათქვამი, თუმცა განპირობებული სული უმდიდრესი პიროვნების — ღმრთეების პიროვნების — შვილია, მას ეს არ ესმის. ამიტომ მამისა და მამისეული სიმდიდრის ძიებაში დასახმარებლად მას ვედური ლიტერატურა ეძლევა.

შემდეგ ასტროლოგმა სარვაჯნამ ურჩია ღარიბს: „ნუ გათხრი განძს სახლის სამხრეთ მხარეს, რადგან შხამიანი კრაზანა გიკბენს და საწადელს ვერ აისრულებ. ეძებე აღმოსავლეთით, სადაც ჭეშმარიტი სინათლეა, რომელსაც ერთგული სამსახური ანუ კრშნას ცნობიერება ეწოდება. სამხრეთით ვედური რიტუალებია, დასავლეთით — სპეკულაციური მსჯელობები, ჩრდილოეთით კი — მედიტაციური *ჲოგა*".

ყველამ დიდი ყურადღებით უნდა ისმინოს სარვაჯნას რჩევა. თუკი ადამიანი საბოლოო მიზანს რიტუალური პროცესების გზით ეძებს, აუცილებლად დამარცხდება. ასეთი პროცესი გულისხმობს რიტუალების შესრულებას მღვდელთმსახურის ზედამხედველობით, რომელიც სამსახურში ფულს იღებს. კაცს შეიძლება ეგონოს, რომ ასეთი რიტუალების შესრულებით ბედნიერი იქნება, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით შედეგს მისცემს. მისი მატერიალური ტანჯვები გაგრძელდება. ამრიგად, იგი რიტუალური პროცესის შესრულებით ჭეშმარიტად ბედნიერი ვერასო-

დეს გახდება. ამის ნაცვლად უფრო და უფრო გაიმწვავებს მატერიალურ ტკივილებს. იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთით გათხრაზე, ან საგანძურის მედიტაციური *დოგას* პროცესით ძიებაზე. ამ პროცესის მეშვეობით პიროვნება თვლის, რომ ერთიანი გახდა უზენაეს უფალთან, მაგრამ უზენაესში ასეთი შერწყმა უზარმაზარი გველის მიერ გადაყლაპვას ჰგავს. ზოგჯერ დიდი გველი პატარას გადაყლაპავს და უზენაესის სულიერ ყოფიერებასთან შერწყმაც ამის ანალოგიურია. როდესაც პატარა გველი სრულყოფილებას ეძებს, მას დიდი გველი გადასანსლავს. აშკარაა, რომ აქ არავითარი გამოსავალი არ არსებობს. დასავლეთითაც დაბრკოლებაა *დაკშას*, ბოროტი სულის სახით, რომელიც საგანძურს იცავს. აქ იდეა ის გახლავთ, რომ დამალულ საგანძურს ვერ მიაგნებს ის, ვინც მის საპოვნელად *დაკშას* სთხოვს წყალობას. ამას უბრალოდ მისი სიკვდილი მოჰყვება. ეს *დაკშა* სპეკულაციებს მიჩვეულ ჭკუას წარმოაჩენს და ამ შემთხვევაში თვითრეალიზაციის სპეკულაციური პროცესი, ანუ *ჯნანას* პროცესიც თვითმკვლელობას ნიშნავს.

დამალული საგანძურის ძიება შეიძლება მხოლოდ აღმოსავლეთით, სრულ კრშნას ცნობიერებაში ერთგული სამსახურის მეშვეობით. სინამდვილეში, ერთგული სამსახურის ეს პროცესი მარადიულ-დამალულ განძს წარმოადგენს და მისი მპოვნელი ადამიანი სამარადისოდ მდიდარი გახდება. მას, ვინც ღარიბია კრშნას ერთგულ სამსახურში, მუდამ რაღაც მატერიალური მოგებები ესაჭიროება. ხან შხამიანი არსებების ნაკბენების გამო იტანჯება და ხან გეგმები ეშლება; ზოგჯერ მონიზმის ფილოსოფიას მიჰყვება და ამით კარგავს თავის პირადობას, ხან კი უზარმაზარი გველი ყლაპავს. თუკი ყოველივე ამას უბრალოდ მიატოვებს და კრშნას ცნობიერებაში, უფლის ერთგულ სამსახურში განმტკიცდება, სიცოცხლეში ნამდვილად მიაღწევს სრულყოფილებას.

თავი მეხუთე

როგორ მივუახლოვდეთ ღმერთს

სინამდვილეში მთელი ვედური ლიტერატურა ადამიანს ერთგულების სრულყოფილ საფეხურამდე მიუძღვება. კარმიული საქმიანობების, სპეკულაციური შემეცნებისა და მედიტაციის გზებს არ მიჰყავს ადამიანი სრულყოფილების საფეხურამდე, მაგრამ ერთგული სამსახურის პროცესით უფალთან მიახლოება რეალურად არის შესაძლებელი. ამიტომ მთელი ვედური ლიტერატურა ამ პროცესის მიღებას გვირჩევს. ამასთან დაკავშირებით, ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს მოჰყავს ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“, სადაც უფალი ასწავლის უდდჰავას:

ნა სადჰ�ტი მამ̇ დოგო
ნა სანქჰამ̇ დჰარმა უდდჰავა
ნა სვადჰიაია ტაპას ტიაგო
ათჰა ბჰაკტირ მამორჯიტა

„ჩემო ძვირფასო უდდჰავა, არც ფილოსოფიური მსჯელობები, არც მედიტაციური დოგა, არც ეპითიმიები არ მანიჭებს ისეთ სიამოვნებას, როგორიც ცოცხალ არსებათა მიერ შესრულებულ ერთგულ სამსახურს მოაქვს ჩემთვის“

(ბჰაგ. 11.14.20). კრშნა მხოლოდ ერთგულებისთვის არის ძვირფასი და მისი მიღწევა მხოლოდ ერთგული სამსახურით შეიძლება. თუკი მდაბიო წარმოშობის ადამიანი ერთგულია, იგი თავისთავად იწმინდება ყოველგვარი ჭუჭყისაგან. ერთგული სამსახური ერთადერთი გზაა, რომლითაც უზენაესი პიროვნების მიღწევა შეიძლება. ეს ვედურ ლიტერატურაში აღიარებული ერთადერთი სრულყოფილება გასლავთ. ისევე როგორც ღარიბ კაცს აბედნიერებს ქონების შეძენა, ასევე, ერთგული სამსახურის მიღწევის შემდეგ ცოცხალი არსების მატერიალური ტკივილები თავისთავად ქრება. ერთგულ სამსახურში წინსვლით ადამიანი აღწევს ღმრთეების სიყვარულს და ამ სიყვარულში განვითარებასთან ერთად, ყოველგვარი მატერიალური ტყვეობიდან თავისუფლდება. მაგრამ არ შეიძლება იმის ფიქრი, თითქოს სიღარიბისგან თავის დაღწევა და განთავისუფლება კრშნას სიყვარულის საბოლოო მიზნები იყოს. კრშნას სიყვარული მხოლოდ სასიყვარულო მსასურების ორმხრივ ტკბობაში საზრდოობს. მთელ ვედურ ლიტერატურაში ვხედავთ, რომ ერთგული სამსახურის დანიშნულებას უზენაეს უფალსა და ცოცხალ არსებებს შორის ამ სასიყვარულო ურთიერთობის მიღწევა წარმოადგენს. ჩვენი ჭეშმარიტი დანიშნულება ერთგული სამსახურია და საბოლოო მიზანი — ღმრთეების სიყვარული. მთელი ვედური ლიტერატურა იმას ამბობს, რომ კრშნა ყველაფრის ცენტრია, რადგან კრშნას ცოდნით ცხოვრების ყოველი პრობლემის გადაჭრა შეიძლება.

ჩაიტანია მაჰაპრაბჰუმ აღნიშნა, რომ თუმცა („პადმა პურანას“ მიხედვით) სხვადასხვა ნახევარღმერთების თაყვანისცემისთვის სხვადასხვა წმინდა წერილები არსებობს, ასეთი დარიგებები ხალხს მხოლოდ აბნევს და აფიქრებინებს, რომ ნახევარღმერთები უზენაესი არიან. მიუხედავად ამისა, თუკი ადამიანი გულდასმით გააანალიზებს

და შეისწავლის *პურანებს*, მიხვდება, რომ თაყვანისცემის ერთადერთი ობიექტი არის კრშნა. ღმრთეების უზენაესი პიროვნება თაყვანისცემის ერთადერთი ობიექტია. მაგალითად, „მარკანდეია პურანაში“ ნახსენებია დევი ანუ ქალღმერთ დურგას, კალის თაყვანისცემა, მაგრამ იმავე „ჩანდიკაში“ ნათქვამია ისიც, რომ ყოველი ნახევარღმერთი — დურგასა და კალის ჩათვლითაც კი — უზენაესი ვიშნუს სხვადასხვა ენერგიაა მხოლოდ. ამრიგად, *პურანების* შესწავლის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ თაყვანისცემის ერთადერთი ობიექტი არის ვიშნუ, ღმრთეების უზენაესი პიროვნება. დასკვნა ის გახლავთ, რომ უშუალოდ თუ არაუშუალოდ, ყოველი სახის თაყვანისცემა მეტ-ნაკლებად ღმრთეების უზენაესი პიროვნებისკენ, კრშნასკენ არის მიმართული. „ბჰაგავად-გიტაში“ დამტკიცებულია, რომ ნახევარღმერთების თაყვანისმცემელი, სინამდვილეში მხოლოდ კრშნას ეთაყვანება, რადგან ნახევარღმერთები სინამდვილეში ვიშნუს ანუ კრშნას სხეულის სხვადასხვა ნაწილები არიან. „ბჰაგავად-გიტაში“ (ბ.გ. 7.20-23, 9.23) ნათქვამია ისიც, რომ ნახევარღმერთთა ასეთი თაყვანისცემა არასწორია. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ამის მცდარობა ასეთი კითხვითაა დადასტურებული: „რა არის სხვადასხვა ნახევარღმერთთა თაყვანისცემის მიზანი?“ ვედური ლიტერატურა რიტუალურ საქმიანობათა სხვადასხვა ნაწილს შეიცავს; ერთია *კარმა-კანდა* ანუ წმინდა რიტუალისტური საქმიანობები, შემდეგია *ჯნანა-კანდა* ანუ სპეკულაციური მსჯელობები უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. მაშ, რა არის ვედური ლიტერატურის რიტუალური განყოფილების მიზანი და რა არის სხვადასხვა ნახევარღმერთთა თაყვანისცემაზე მიმანიშნებელი ათასგვარი *მანტრებისა* თუ ჰიმნების მიზანი? და რა მიზანი აქვს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ფილოსოფიურ სპეკულაციურ მსჯელობებს? ამაზე „შრიმად-ბჰაგავატამი“ პასუხობს, რომ *ვედებ-*

ში მოცემული ყოველი მეთოდი სინამდვილეში უზენაესი უფლის, ვიშ̣ნუს თაყვანისცემაზე მიგვანიშნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი მათგანი ღმრთეების უზენაესი პიროვნების თაყვანისცემის არაპირდაპირ მეთოდს წარმოადგენს. ამ ნაწარმოებთა რიტუალურ ნაწილებში მოცემული მსხვერპლშეწირვები უზენაესი უფლის, ვიშ̣ნუს დასაკმაყოფილებლად არის განკუთვნილი. მართლაც, რადგან *ია̄ჯნა*, მსხვერპლშეწირვა, საგანგებოდ ვიშ̣ნუს დაკმაყოფილებას ემსახურება, ვიშ̣ნუს ერთ-ერთი სახელი *ია̄ჯნეშვარა* ანუ მსხვერპლშეწირვათა უფალი გახლავთ.

რადგან ნეოფიტები ერთ ტრანსცენდენტულ დონეზე არ იმყოფებიან, მათ მატერიალური ბუნების სხვადასხვა მოდუსში თავიანთი მდგომარეობის შესაბამისად სხვადასხვა ნახევარღმერთების თაყვანისცემას ურჩევენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თანდათანობით ასეთი ნეოფიტები შეიძლება ტრანსცენდენტულ დონემდე ამაღლდნენ და ვიშ̣ნუს, ღმრთეების უზენაესი პიროვნების სამსახური დაიწყონ. მაგალითად, ზოგიერთ ნეოფიტს, რომელიც ხორცის ჭამას ვერ ელევა, ეძლევა რჩევა, ხორცი მხოლოდ ღვთაება კალი̄სათვის შეთავაზების მერე ჭამოს.

ვედური საგალობლების ფილოსოფიური ნაწილის დანიშნულება ადამიანისათვის უზენაესი უფლის *მა̄ია̄სგან* გამორჩევის შესაძლებლობის მიცემაში მდგომარეობს. *მა̄ია̄ს* მდგომარეობის გაგების შემდეგ მას წმინდა ერთგულ სამსახურში უზენაეს უფალთან მიახლოება შეუძლია. სწორედ ეს არის ფილოსოფიურ მსჯელობათა ჭეშმარიტი მიზანი, რაც დამტკიცებულია „ბჰაგავად-გი̄ტა̄ში“:

ბა̄ჰუნა̄ṁ ჯანმანა̄ṁ ანტე
ჯ̃ნა̄ნავა̄ნ მა̄ṁ პრაპადია̄ტე
ვა̄სუდევაჰ̣ სარვამ იტი
სა მა̄ჰა̄ტმა̄ სუდურლაბჰაჰ̣

„მრავალი დაბადებისა და სიკვდილის შემდეგ, ის, ვინც ჭეშმარიტ ცოდნას ფლობს, მე მომენდობა, რადგან იცის, რომ მე ვარ ყოველ მიზეზთა და ყოველი არსებულის მიზეზი. ასეთი დიადი სული ძალზე იშვიათია“ (ბ.გ. 7.19).

როგორც ვხედავთ, მთელი ვედური რიტუალების და სხვადასხვა სახის თაყვანისცემისა და ფილოსოფიური სპეკულაციების საბოლოო მიზანი არის კრშნა.

შემდეგ ჩაიტანიჲა მაჰაპრაბჰუმ სანატანა გოსვამის კრშნას ურიცხვი ფორმისა და მისი უსაზღვრო სიდიადის შესახებ მოუთხრო. მან განმარტა სულიერი გამოვლინების ბუნებაც, მატერიალური გამოვლინებაც და ცოცხალი არსების გამოვლინებაც. მან ასწავლა ისიც, რომ ვაიკუნ̇ṭ̇ჰებად წოდებული სულიერი ზეცის პლანეტები და მატერიალური სამყაროები სხვადასხვა სახის არის, რადგან ორი განსხვავებული სახის ენერგიის — მატერიალურისა და სულიერი ენერგიისგან შედგენილ გამოვლინებებს წარმოადგენს. რაც შეეხება თავად კრშნას, იგი უშუალოდ თავის სულიერ ენერგიაში, ანუ კონკრეტულად, თავის შინაგან პოტენციაში იმყოფება. სულიერსა და მატერიალურ ენერგიებს შორის განსხვავების გაგების გასაადვილებლად, „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეორე სიმღერაში ორივე მათგანი წვრილადაა გარჩეული. შრიდჰარა სვამიც გარკვევით აანალიზებს ამ საკითხს თავის კომენტარებში „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეათე სიმღერის პირველ ლექსზე. უფალი ჩაიტანიჲა შრიდჰარა სვამის „შრიმად-ბჰაგავატამის“ ავტორიტეტულ კომენტატორად აღიარებდა. ჩაიტანიჲა მაჰაპრაბჰუს ციტატები მოჰყავდა მისი ნაშრომებიდან და განმარტავდა, რომ „ბჰაგავატამის“ მეათე სიმღერაში აღწერილია კრშნას ცხოვრება და საქმიანობები, რადგან კრშნა ყოველი გამოვლინების თავშესაფარს წარმოადგენს. იცოდა რა ეს, შრიდჰარა სვამი თაყვანს სცემდა და ქედს უხრიდა კრშნას, როგორც ყოვლის თავშესაფარს.

ამ სამყაროში ორი პრინციპი მოქმედებს: ერთი პრინციპი არის ყოვლის სათავე ან თავშესაფარი, მეორე პრინციპი კი ამ პირველადი პრინციპისგან მომდინარეობს. უზენაესი ჭეშმარიტება ყოველგვარი გამოვლინების თავშესაფარია და მას *ᳬრაᳬა* ეწოდება. ყოველ დანარჩენ პრინციპს, რომელიც *ᳬრაᳬა-ტატტვას* ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტების განმგებლობის ქვეშ იმყოფება, ეწოდება *ᳬრიტა* ანუ დაქვემდებარებული უშუალო შედეგები და რეაქციები. მატერიალური გამოვლინების დანიშნულება განპირობებული სულისათვის განთავისუფლების და *ᳬრაᳬა-ტატტვას* ანუ აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან დაბრუნების შესაძლებლობის მიცემაში მდგომარეობს. რადგან ამ სამყაროში ყველაფერი დამოკიდებულია *ᳬრაᳬა-ტატტვაზე* — შემოქმედ გამოვლინებაზე ანუ ვიშ̣ნუს გამოვლინებაზე — სხვადასხვა ნახევარღმერთები და ენერგიის გამოვლინებები, ცოცხალი არსებები და ყოველი მატერიალური ელემენტი კრ̣შ̣ნაზე არის დამოკიდებული, რადგან კრ̣შ̣ნა უზენაეს ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ამრიგად, „შრიმად-ბჰაგავატამი“ გვასწავლის, რომ უშუალოდ ან არაუშუალოდ ყველაფერი კრ̣შ̣ნაში პოულობს თავშესაფარს. ამიტომაც სრულყოფილი ცოდნის მიღება მხოლოდ კრ̣შ̣ნას ანალიტიკური შესწავლით არის შესაძლებელი, რაც „ბჰაგავად-გიტაში“ დასტურდება.

შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ კრ̣შ̣ნას სხვადასხვა ნიშანთვისებები აღწერა და სთხოვა სანატანა გოსვამის, ყურადღებით ესმინა მისთვის. ამის მერე მან უთხრა, რომ კრ̣შ̣ნა, ნანდა მაჰარაჯას შვილი, უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, ყოველ მიზეზთა და ყოველგვარი ემანაციისა და ინკარნაციის მიზეზი. მიუხედავად ამისა, ვრაჯაში, გოლოკა ვრ̣ნდავანში იგი ახალგაზრდა ბიჭივით და ნანდა მაჰარაჯას ვაჟიშვილივით გამოიყურება. მაგრამ მისი ფორმა მარადიულია და ნეტარებითა და აბსოლუტური ცოდნით სავსე. იგია ყველაფრის თავშესაფარი და მფლობელი.

ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ იმოწმებს „ბრაჰმა-სამჰიტაასაც“, სადაც უფალი კრშნას სხეულის ტრანსცენდენტული თვისებების შესახებ არის საუბარი:

ეშვარაჰ პარამაჰ კრშნაჰ
საჩ-ჩიდ-ანანდა-ვიგრაჰაჰ
ანადირ ადირ გოვინდაჰ
სარვა-კარანა-კარანამ

„კრშნა, ცნობილი გოვინდად, უზენაესი ღმრთეებაა. მას აქვს მარადიული, ნეტარი სულიერი სხეული. იგია ყოველივეს საწყისი. მას სხვა საწყისი არ გააჩნია და იგი ყოველ მიზეზთა თავდაპირველ მიზეზს წარმოადგენს“ („ბრაჰმა-სამჰიტა“, 5.1). ამგვარად, ჩაიტანია მაჰაპრაბჰუს მოჰყავს მოწმობა, რომ კრშნა ღმრთეების უზენაესი პიროვნებაა, ყოველი ექვსი სიდიადით აღსავსე. სწორედ შრი კრშნა გახლავთ ის, ვისი სავანეც, წოდებული გოლოკა ვრნდავანად, უმაღლესი პლანეტარული სისტემაა სულიერ ზეცაზე.

ამასთან ერთად, უფალ ჩაიტანიას მოჰყავს ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (ბჰაგ. 1.3.28):

ეტე ჩამშა-კალაჰ პუმსაჰ
კრშნას ტუ ბჰაგავან სვაიამ
ინდრარი-ვიაკულამ ლოკამ
მრდაიანტი იუგე იუგე

ყოველი ინკარნაცია ან კრშნას უშუალო ექსპანსიაა, ან არაუშუალოდ კრშნას ექსპანსიის ექსპანსიას წარმოადგენს. მაგრამ სახელი კრშნა მიუთითებს ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე. სწორედ იგი ევლინება დედამიწაზე, როდესაც ამ სამყაროში თუ სხვა სამყაროებში არეულობას ქმნიან დემონები, მუდამ რომ ცდილობენ ნახევარღმერთთა მმართველობის დარღვევას.

არსებობს სამი სხვადასხვა პროცესი, რომლითაც კრშნას შეცნობა შეიძლება: ფილოსოფიური სპეკულაციების ემპირიული პროცესი, მისტიური *ჯოგას* სისტემის თანახმად შესრულებული მედიტაციის პროცესი და კრშნას ცნობიერების ანუ ერთგული სამსახურის პროცესი. ფილოსოფიური სპეკულაციების მეთოდით შეიძლება კრშნას უპიროვნო ბრაჰმანის ნიშან-თვისების გაგება. მედიტაციით ანუ მისტიკური *ჯოგას* პროცესით ზესულის, კრშნას ყოვლისგამჭოლი ექსპანსიის გაგება არის შესაძლებელი. სრულ კრშნას ცნობიერებაში ერთგული სამსახურით კი თავდაპირველი ღმრთეების პიროვნება შეიცნობა. უფალ ჩაიტანიას მოჰყავს აგრეთვე ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (ბჰაგ. 1.2.11):

ვადანტი ტატ ტატტვა-ვიდას
ტატტვამ ადვაჯ ჯ्ञანამ ადვაჯამ
ბრაჰმეტი პარამატმეტი
ბჰაგავან იტი შაბდჯატე

„ისინი, ვინც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას იცნობენ, სამ ასპექტში აღწერენ მას — როგორც უპიროვნო ბრაჰმანს, ლოკალიზებულ ყოვლისგამჭოლ პარამატმას და ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, კრშნას“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრაჰმანი, უპიროვნო გამოვლინება, პარამატმა, ლოკალიზებული გამოვლინება და ბჰაგავანი, ღმრთეების უზენაესი პიროვნება, ერთი და იგივეა. მაგრამ, გამოყენებული პროცესის შესაბამისად, იგი შეიცნობა როგორც ბრაჰმანი, პარამატმა და ბჰაგავანი.

უპიროვნო ბრაჰმანის შეცნობით ადამიანი უბრალოდ კრშნას ტრანსცენდენტული სხეულიდან წარმომავალ სიკაშკაშეს შეიცნობს. ეს სიკაშკაშე შედარებულია მზის შუქს. არსებობს მზის ღმერთი, თავად მზე და მზის შუქი, რომელიც ამ თავდაპირველი მზის ღმერთის ბრწყინვალე კაშკაშა სხივებია. სწორედ ასევე, სულიერი სიკაშკაშე

(*ბრაჰმაჯდოტი*), უპიროვნო ბრაჰმანი, კრშნას პიროვნული სიკაშკაშეა მხოლოდ. ამ ანალიზის დასადასტურებლად უფალ ჩაიტანდას მოჰყავს მნიშვნელოვანი ლექსი „ბრაჰმა-სამჰიტადან“, სადაც უფალი ბრაჰმა ამბობს:

დასდა პრაბჰა პრაბჰავატო ჯაგადანდა-კოტი-
კოტიშვ აშეშა-ვასუდჰადი-ვიბჰუტი-ბჰინნამ
ტად-ბრაჰმა ნიშკალამ ანანტამ აშეშა-ბჰუტამ
გოვინდამ ადი-პურუშამ ტამ აჰამ ბჰაჯამი

„მე თაყვანს ვცემ ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, ვისი პიროვნული სიკაშკაშითაც ვლინდება უსასრულო *ბრაჰმაჯდოტი*. ამ *ბრაჰმაჯდოტიში* ურიცხვი სამყაროა გაბნეული და ყოველი მათგანი ურიცხვი პლანეტებითაა სავსე“ (ბ.ს. 5.40).

შემდგომ უფალი ჩაიტანდა გვიჩვენებს, რომ პარამატმა, ყოვლის გულში მყოფი ყოვლისგამჭოლი ასპექტი, კრშნას ნაწილობრივი გამოვლინება ანუ ექსპანსიაა მხოლოდ, მაგრამ რადგან კრშნა ყოველი სულის სულია, მას პარამატმა, უზენაესი მეობა ეწოდება. ამასთან დაკავშირებით ჩაიტანდას მოჰყავს ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“, მაჰარაჯა პარიკშიტისა და შუკადევა გოსვამის საუბრიდან. კრშნას მიერ ვრნდავანში შესრულებული ტრანსცენდენტული გართობების შესახებ მოსმენის შემდეგ მაჰარაჯა პარიკშიტმა ჰკითხა თავის სულიერ მოძღვარს, შუკადევა გოსვამის, რატომ იყვნენ ვრნდავანის მობინადრენი ასე მიჯაჭვული კრშნაზე. შუკადევა გოსვამიმ ასეთი პასუხი გასცა:

კრშნამ ენამ ავეჰი ტვამ
ატმანამ აქჰილატმანამ
ჯაგადდჰიტადა სო 'ჰდ ატრა
დეჰიგაბჰატი მადადა

(ბჰაგ. 10.14.55)

„კრშნას უნდა ვიცნობდეთ, როგორც ყოველი სულის სულს, რადგან იგი სულია ყოველი ინდივიდუალური სულისა და ლოკალიზებული პარამპტმასიც. ვრნდავანში იგი ადამიანივით იქცეოდა, რათა ხალხის ყურადღება მიეპყრო და ეჩვენებინა, რომ უფორმო არ არის“.

უზენაესი უფალი იმდენადვე ინდივიდუალურია, რამდენადაც სხვა ცოცხალი არსებები, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ უზენაესია, დანარჩენი ცოცხალი არსებები კი დაქვემდებარებულნი არიან მასზე. მასთან ურთიერთობაში ყოველ სხვა ცოცხალ არსებასაც შეუძლია სულიერი ნეტარებით, მარადიული სიცოცხლითა და სრული ცოდნით განცხრომა. უფალ ჩაიტანიას მოჰყავს ლექსი „ბჰაგავად-გიტადან“, სადაც კრშნა, უყვება რა არჯუნას თავისი ათასგვარი სიდიადის შესახებ, აღნიშნავს, რომ იგი თავად შედის ამ სამყაროში თავისი ერთი სრული ნაწილით, გარბჰოდაკამპადი ვიშნუს სახით და აგრეთვე ყოველ სამყაროში კშიროდაკამპადი ვიშნუს სახით, შემდეგ კი ზესულის სახით ყველას გულში ვრცელდება. უფალი კრშნა თავად მიგვითითებს, რომ თუკი ვინმეს უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების სრულად გაგება სურს, მან სრულ კრშნას ცნობიერებაში ერთგული სამსახური უნდა დაიწყოს. მაშინ იგი აბსოლუტური ჭეშმარიტების საბოლოო სიტყვის გაგებას შეძლებს.

თავი მეექვსე

მისი ფორმები ერთი და იგივეა

ერთგული სამსახურის საშუალებით შეიძლება იმის გაგება, რომ პირველ რიგში კრშნა თავს *სვაჲამ-რუპას*, თავისი პიროვნული ფორმის სახით ავლენს, შემდეგ კი — *ტადეკუტმა-რუპასა* და შემდეგ *ვეშა-რუპას* სახით. სწორედ ამ სამი ასპექტით ავლენს იგი საკუთარ თავს თავის ტრანსცენდენტულ ფორმაში. ასპექტი *სვაჲამ-რუპას* ფორმით კრშნას შეცნობა მას შეუძლია, ვისაც მისი დანარჩენ ასპექტებში შეცნობა არ ძალუძს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორმას, რომლითაც კრშნა უშუალოდ შეიცნობა, *სვაჲამ-რუპა* ანუ მისი პიროვნული ფორმა ეწოდება. *ტადეკუტმა-რუპა* ფორმა ყველაზე მეტად ჰგავს *სვაჲამ-რუპას*, მაგრამ სხეულის ნაკვთებში გარკვეული განსხვავებები არსებობს. *ტადეკუტმა-რუპა* იყოფა ორ გამოვლინებად — პიროვნულ ექსპანსიად (*სვუმშად*) და გართობის ექსპანსიად (*ვილუსად*). რაც შეეხება *ვეშა-რუპას*, როდესაც კრშნა თავის წარმოსადგენად რომელიმე შესაფერის ცოცხალ არსებას მოსავს ძალაუფლებით, ამ ცოცხალ არსებას *ვეშა-რუპა*, ანუ *შაკტჲავეშა-ავატარა* ჰქვია.

კრშნას პიროვნული ფორმა შეიძლება ორად დაიყოს: *სვაჲამ-რუპა* და *სვაჲამ-პრაკუშა*. რაც შეეხება მის *სვაჲამ-რუპას* (ანუ გართობის ფორმას), სწორედ ამ ფორმაში რჩება იგი მარადიულად ვრნდავანში მის მაცხოვრებლებთან ერთად. ეს პიროვნული ფორმა (*სვაჲამ-რუპა*)

შეიძლება კვლავ დაიყოს *პრაბჰავა* და *ვაიბჰავა* ფორმებად. მაგალითად, *რასა* ცეკვის დროს კრშნამ საკუთარი თავი ურიცხვ ფორმაში გააკრცელა, რათა თითოეულ *გოპისთან* ეცეკვა. სწორედ ასევე, დვარაკაში თავისი 16 108 მეუღლის დასაკმაყოფილებლად 16 108 ფორმაში გავრცელდა. არის შემთხვევები, როდესაც დიდი მისტიკოსებიც ავრცელებენ სხვადასხვაგვარად თავიანთი სხეულის ფორმას, მაგრამ კრშნა ადგური პროცესით არ გავრცელებულა. კრშნას ყოველი ექსპანსია ცალკეული ინდივიდი გახლდათ. ვედურ ისტორიაში ბრძენმა საუბჰარი რშიმ *ადგას* საშუალებით რვა ფორმა მიიღო, მაგრამ საუბჰარი რში მაინც ერთი რჩებოდა. რაც შეეხება კრშნას, მის მიერ გამოვლენილი ყოველი ფორმა ცალკეული ინდივიდი გახლდათ. როდესაც ნარადა მუნი დვარაკაში კრშნას სხვადასხვა სასახლეებს ესტუმრა, განცვიფრებული დარჩა, თუმცა *ადგნს* სხეულის ექსპანსიები ნარადას არასოდეს არ ანცვიფრებს, რადგან თავად იცის ეს ხერხი. და მაინც, „შრიმად-ბჰაგავატამში" ნათქვამია, რომ კრშნას ექსპანსიების ხილვამ განაცვიფრა ნარადა. მას ვერ გაეგო, როგორ იმყოფებოდა უფალი თითოეულ დედოფალთან 16 108-ვე სასახლეში. ყოველ დედოფალთან კრშნა სხვადასხვა სახით იყო და სხვადასხვაგვარად იქცეოდა. ერთ ფორმაში ბავშვებს ეთამაშებოდა, მეორეში კი საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული. ამ სხვადასხვა საქმეებს უფალი ასრულებს თავის „ემოციურ" ფორმებში ყოფნისას, რომელთაც *ვაიბჰავა-პრაკაშა* ექსპანსიები ეწოდებათ. სწორედ ასევე არსებობს კრშნას ფორმის სხვა უსასრულო ექსპანსიები, მაგრამ უსასრულოდ დაყოფილ ან გავრცელებულ მდგომარეობაშიც კი ერთი და იგივე რჩებიან. ფორმებს შორის განსხვავება არ არსებობს. ასეთია ღმრთეების უზენაესი პიროვნების აბსოლუტური ბუნება.

„შრიმად-ბჰაგავატამში" ნათქვამია, კრშნასა და ბალარამას გოკულადან მათჰურაში წაყვანისას, აკრურა მდინარე ადამუნაში შევიდა და წყალში სულიერი ზეცის ყოვე-

ლი პლანეტა იხილა. იქ თავის ვიშნუს ფორმაში უფალიც დაინახა, აგრეთვე ნარადა და ოთხი კუმარაც, რომლებიც ეთაყვანებოდნენ მას. როგორც „ბჰაგავატა პურანაშია“ ნათქვამი:

ანდე ჩა სამსკრტამანო
ვიდჰინაბჰიჰიტენა ტე
დაჯანტი ტვან-მადას ტვამ ვაი
ბაჰუმურტდ-ეკამურტიკამ
(ბჰაგ. 10.40.7)

არსებობს თაყვანისცემის სხვადასხვა პროცესებით განწმენდილი მრავალი თაყვანისმცემელი. ასეთები არიან ვაიშნავები ან არიელები, რომლებიც თავიანთი რწმენისა და სულიერი გაგების საფუძველზე ასევე უზენაეს უფალს სცემენ თაყვანს. თაყვანისცემის თითოეული პროცესი გულისხმობს უფლის სხვადასხვა ფორმის გაგებას, როგორც წმინდა წერილებშია აღწერილი, მაგრამ საბოლოო მიზანი თავად უზენაესი უფლის თაყვანისცემაში მდგომარეობს.

თავის *ვაიბჰავა-პრაკაშა* ასპექტში უფალი თავს ბალარამას სახით ავლენს. ასპექტი ბალარამა ფაქტიურად თავად კრშნაა; ერთადერთი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კრშნას ფორმას მუქი ელფერი აქვს, ბალარამასი კი ღია ფერისაა. *ვაიბჰავა-პრაკაშა* ფორმა კრშნას ქვეყნად მოსვლისას იქნა გამოვლენილი, როდესაც იგი ოთხხელიანი ნარაიანას სახით მოევლინა დედამის დევაკის. მაგრამ თავისი მშობლების თხოვნით მან ორხელიანი ფორმა მიიღო. ასე რომ, ხან ოთხ ხელს ავლენს, ხან კი — ორს. ორხელიანი ფორმა სინამდვილეში *ვაიბჰავა-პრაკაშაა*, ოთხხელიანი კი — *პრაბჰავა-პრაკაშა*. თავის პიროვნულ ფორმაში, კრშნა უბრალოდ მენახირე ბიჭს ჰგავს და სწორედ ასე ფიქრობს იგი საკუთარ თავზე. მაგრამ ვასუდევას ფორმაში ყოფნისას თავს *კშატრიას* შვილად თვლის და სამეფო ხელმწიფესავით მოქმედებს.

თავის ორხელიან ფორმაში როგორც ნანდა მაჰარაჯას მენახირე შვილი, კრშნა სრულად ავლენს თავის სიდიადეს, ფორმას, სილამაზეს, სიმდიდრეს, მიმზიდველობასა და გართობებს. მართლაც, ზოგიერთ ვაიშნავურ ნაწარმოებში ნათქვამია, რომ ხანდახან თავის ვასუდევა ფორმაში, მას ვრინდავანში გოვინდას ფორმა ხიბლავს. ამრიგად, როგორც ვასუდევას ზოგჯერ ისე სურს ტკბობა, როგორც მენახირე ბიჭი გოვინდა ტკბება, თუმცა ფორმა გოვინდა და ფორმა ვასუდევა ერთი და იგივეა. ამასთან დაკავშირებით „ლალიტა-მადჰავას“ მეოთხე თავში (4.19) არის ადგილი, სადაც კრშნა ასე მიმართავს უდდჰავას: „ჩემო ძვირფასო მეგობარო, გოვინდას, მენახირე ბიჭის ფორმა მიზიდავს მე. მართლაც ვრაჯას გოგონებივით ყოფნა მსურს, რომლებსაც ასევე იზიდავს ეს ფორმა გოვინდა“. სწორედ ასევე, მერვე თავში კრშნა ამბობს: „ო რა მშვენიერია! ვინ არის ეს პიროვნება? მისმა ხილვამ ისე მომხიბლა, რომ მსურს რადჰიკასავით მოვეხვიო“.

კრშნას ოდნავ განსხვავებული ფორმებიც არსებობს და მათ *ტადეკატმა-რუპა* ფორმები ეწოდებათ. ისინი შეიძლება შემდგომ *ვილასა* და *სვამშა* ფორმებად დაიყონ, რომლებსაც, თავის მხრივ, მრავალგვარი ასპექტი ახასიათებთ და *პრაბჰავა* და *ვაიბჰავა* ფორმებად იყოფიან. რაც შეეხება *ვილასა* ფორმებს, არსებობს ურიცხვი *პრაბჰავა-ვილასები*, რომელთა საშუალებითაც კრშნა ვასუდევას, სანკარშანას, პრადიუმნასა და ანირუდდჰას სახით ვრცელდება. ზოგჯერ უფალი საკუთარ თავზე ფიქრობს, რომ მენახირე ბიჭია, ზოგჯერ თვლის, რომ ვასუდევას შვილია, *კშატრია* უფლისწული და ამ „ფიქრს“ მისი „გართობები“ ეწოდება. სინამდვილეში თავის *ვაიბჰავა-პრაკაშასა* და *პრაბჰავა-პრაკაშაშიც* იგი ერთ ფორმაში იმყოფება, მაგრამ განსხვავებულად გამოიყურება: როგორც ბალარამა და კრშნა. მისი ექსპანსიები როგორც ვასუდევა, სანკარშანა, პრადიუმნა და ანირუდდჰა თავდაპირველ *ჩატურ-ვიუჰას* ანუ ოთხხელიან ფორმებს წარმოადგენენ.

სხვადასხვა პლანეტებზე და სხვადასხვა ადგილებში ურიცხვი ოთხხელიანი ფორმა არსებობს და დვარაკა-ში და მათჰურაში ისინი მარადიულად არიან გამოვლენილი. ოთხი ძირითადი ოთხხელიანი ფორმიდან (ვასუდევა, სანკარშანა, პრადიუმნა და ანირუდდჰა) *ვაიბჰავა-ვილა-სად* წოდებული ოცდაოთხი ძირითადი ფორმა ვლინდება და იმისდა მიხედვით, თუ რა თანმიმდევრობით უკავიათ ხელებში სხვადასხვა სიმბოლოები (ნიჟარა, კვერთხი, ლოტოსი და დისკო), მათ სხვადასხვა სახელები ჰქვიათ. კრშნას ოთხი ძირითადი გამოვლინება სულიერი ზეცის ყოველ პლანეტაზე გვხვდება და ამ პლანეტებს ნარაიანა-ლოკები, ანუ ვაიკუნთჰალოკები ეწოდება. ვაიკუნთჰალო-კაზე იგი ოთხხელიანი ნარაიანას სახით იმყოფება. თი-თოეული ნარაიანასაგან ვლინდება ვასუდევა, სანკარშანა, პრადიუმნა და ანირუდდჰა. ამრიგად, ნარაიანა ცენტრ-შია, ვასუდევას, სანკარშანას, პრადიუმნასა და ანირუდდ-ჰას ფორმები კი მის ირგვლივ არიან განლაგებული. თი-თოეული ეს ფორმა თავის მხრივ სამად ვრცელდება და ყოველ მათგანს, კეშავათი დაწყებული, სხვადასხვა სახე-ლი ჰქვია. ეს ფორმები თორმეტია და ხელებში სიმბო-ლოთა განლაგების მიხედვით, სხვადასხვა სახელები ეწო-დებათ.

რაც შეეხება ვასუდევას ფორმას, მისგან ვლინდება სა-მი ექსპანსია: კეშავა, ნარაიანა და მადჰავა. სანკარშანას სამი ფორმა გოვინდას, ვიშნუსა და მადჰუსუდანას სახე-ლებითაა ცნობილი. (მაგრამ უნდა ითქვას, რომ გოვინდას ეს ფორმა არ არის ვრნდავანში ნანდა მაჰარაჯას შვილის სახით გამოვლენილი გოვინდას ფორმა.) სწორედ ასევე, პრადიუმნაც სამ ფორმად იყოფა, როგორც ტრივიკრამა, ვამანა და შრიდჰარა; ანირუდდჰას სამ ფორმას კი ჰრში-კეშა, პადმანაბჰა და დამოდარა ეწოდება.

თავი მეშვიდე

ღმრთეების უსასრულო ფორმები

ვაიშნავური კალენდრის მიხედვით, წელიწადის თორმეტ თვეს უფალი კრშნას თორმეტი ვაიკუნთჰას ფორმის სახელები ჰქვია და ამ ფორმებს თორმეტი თვის განმგებელი ღვთაებები ეწოდებათ. ეს კალენდარი იწყება თვე მარგაშირშათი, რომელიც გვიან ოქტომბერსა და ადრეულ ნოემბერს შეესაბამება. ნოემბრის დარჩენილ ნაწილს ვაიშნავები უწოდებენ კეშავას. დეკემბერს ჰქვია ნარაჯანა, იანვარს — მადჰავა, თებერვალს — გოვინდა, მარტს — ვიშნუ, აპრილს — შრი მადჰუსუდანა, მაისს — ტრივიკრამა, ივნისს — ვამანა, ივლისს — შრიდჰარა, აგვისტოს — ჰრშიკეშა, სექტემბერს — პადმანაბჰა და ადრეულ ოქტომბერს — დამოდარა. (სახელი დამოდარა შეერქვა კრშნას მაშინ, როდესაც დედამისმა თოკებით დააბა, მაგრამ ოქტომბრის თვის დამოდარას ფორმა სხვა გამოვლინებაა). ისევე, როგორც წელიწადის თორმეტ თვეს ჰქვია უზენაესი უფლის თორმეტი სხვადასხვა სახელი, ვაიშნავებიც სხეულის თორმეტ ადგილას ამ სახელების ნიშნებს იწერენ. მაგალითად, შუბლზე ნიშან *ტილაკას* ეწოდება კეშავა, მუცელზე, მკერდზე და მხრებზე კი სხვა სახელები აქვს. ეს იგივე სახელებია, რაც თვეებს აქვს მიცემული.

ოთხი ფორმისაგან (ვასუდევა, სანკარშანა, პრადიუმნა და ანირუდდჰა) ასევე *ვილასა-მურტის* ფორმები მომდინარეობს. ისინი რვაა და მათ ჰქვიათ პურუშოტტამა,

აჩჲუტა, ნრსიმჰა, ჯანარდანა, ჰარი, კრშნა, ადჰოკშაჯა და უპენდრა. ამ რვადან ადჰოკშაჯა და პურუშოტტამა ვასუდევას *ვილასა* ფორმებია. სწორედ ასევე, უპენდრა და აჩჲუტა სანკარშანას ფორმებს წარმოადგენენ; ნრსიმჰა და ჯანარდანა პრადჲუმნას ფორმებია, ჰარი და კრშნა კი — ანირუდდჰას *ვილასა* ფორმები. (ეს კრშნა თავდაპირველი კრშნა არ არის.)

ამ ოცდაოთხ ფორმას ეწოდება *პრაბჰავას* (ოთხხელიანი) ფორმის *ვილასა* გამოვლინებები და სიმბოლოების (კვერთხის, დისკოს, ლოტოსის ყვავილისა და ნიჟარის) ასე განსხვავებულად განლაგების მიხედვით იწოდებიან. ამ ოცდაოთხ ფორმაში შედის *ვილასა* და *ვაიბჰავა* ფორმები. აქ ნახსენები სახელები, როგორებიცაა პრადჲუმნა, ტრივიკრამა, ვამანა, ჰარი და კრშნა, გარეგნობითაც განსხვავდებიან. მაშასადამე, დაწყებული *კრშნას პრაბჰავა-ვილასადან* (ვასუდევას, სანკარშანას, პრადჲუმნასა და ანირუდდჰას ჩათვლით), მთლიანობაში ოცდაოთხი შემდგომი ვარიაცია არსებობს. ყოველი მათგანი არის სულიერ ზეცაში ვაიკუნფჰა პლანეტებზე და სამყაროს რვა სხვადასხვა მხარესაა განლაგებული. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მარადიულად სულიერ ზეცაზე იმყოფება, ზოგიერთი მათგანი მატერიალურ სამყაროშიც ვლინდება.

სულიერ ზეცაზე ყოველი პლანეტა, რომელზედაც ნარაჰანას ასპექტი ბატონობს, მარადიულია. სულიერ ზეცაზე უმაღლეს პლანეტას ეწოდება კრშნალოკა და იგი სამ განსხვავებულ ნაწილადაა დაყოფილი: გოკულად, მათჰურად და დვარაკად. მათჰურას ნაწილში მუდამ იმყოფება კეშავას ფორმა. იგი ამ დედამიწაზეც წარმოდგენილია. მათჰურაში, ინდოეთში თაყვანს სცემენ კეშავას *მურტის* და სწორედ ასევე, ჯაგანნათჰა პურიში, ორისაში, არის პურუშოტტამას ფორმა. ანანდარანჲაში არის ვიშნუს ფორმა, მჰაპურში კი, უფალი ჩაიტანჲას დაბადების ადგილას — ჰარის ფორმა. დედამიწის სხვადასხვა ადგილასაც სხვა ფორმები იმყოფებიან. კრშნას ფორმები არა

მარტო ამ სამყაროში, არამედ ყოველ დანარჩენ სამყაროებშიაცაა. ნათქვამია, რომ ეს დედამიწა შვიდ კუნძულად არის დაყოფილი, რომლებიც შვიდ კონტინენტს წარმოადგენს და უნდა გვესმოდეს, რომ მსგავსი ფორმები არსებობს თითოეულ კუნძულზე, მაგრამ დღეისათვის ისინი მხოლოდ ინდოეთში გვხვდება. თუმცა ვედური ლიტერატურიდან ვგებულობთ, რომ ეს ფორმები არის მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც, ამჟამად მათი ადგილმდებარეობის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

კრშნას სხვადასხვა ფორმები გავრცელებულია მთელ სამყაროში, რათა ერთგულებს სიამოვნება მოჰგვარონ. ერთგულები მხოლოდ ინდოეთში კი არ იბადებიან. ერთგულები მსოფლიოს ყოველ ნაწილში არიან, მაგრამ დავიწყებული აქვთ თავიანთი ვინაობა. ეს ფორმები ევლინებიან არა მხოლოდ იმისათვის, რომ სიამოვნება მოჰგვარონ თავიანთ ერთგულებს, არამედ იმისათვის, რომ აღადგინონ ერთგული სამსახური და შეასრულონ სხვა საქმიანობები, რომლებიც ღმრთეების უზენაესი პიროვნების ცხოველ ინტერესს წარმოადგენს. ზოგიერთი ეს ფორმა წმინდა წერილებში ნახსენებ ინკარნაციებს წარმოადგენს, როგორიცაა ვიშნუს ინკარნაცია, ტრივიკრამას ინკარნაცია, ნრსიმჰას ინკარნაცია და ვამანას ინკარნაცია.

„სიდღჰარტჰა-სამჰიტაში“ აღწერილია ვიშნუს ოცდაოთხი ფორმა და ეს ფორმები მათ ოთხ ხელში განლაგებული სიმბოლური გამოსახულების შესაბამისად სხვადასხვა სახელებს ატარებენ. ვიშნუ *მურტის* ხელებში არსებული საგნების აღწერა მარჯვენა ქვემოთა ხელით იწყება და შემდეგ გადადის მარჯვენა ზემოთა ხელზე, მარცხენა ზემოთა ხელზე და ბოლოს მარცხენა ქვემოთა ხელზე. ამგვარად, ვასუდევა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც კვერთხით, ნიჟარით, დისკოთი და ლოტოსის ყვავილით წარმოდგენილი. სანკარშანა წარმოდგენილია კვერთხით, ნიჟარით, ლოტოსის ყვავილითა და დისკოთი. სწორედ

ასევე, პრადჲუმნა წარმოდგენილია დისკოთი, ნიჟარით, კვერთხით და ლოტოსის ყვავილით. ანირუდდჰა წარმოდგენილია დისკოთი, კვერთხით, ნიჟარითა და ლოტოსის ყვავილით. სულიერ ზეცაზე ნარაჲანას ოცდაოთხი წარმომადგენელი არსებობს და ისინი ასე არიან აღწერილნი: შრი კეშავა (ყვავილი, ნიჟარა, დისკო და კვერთხი), ნარაჲანა (ნიჟარა, ყვავილი, კვერთხი და დისკო), შრი მადჰავა (კვერთხი, დისკო, ნიჟარა და ყვავილი), შრი გოვინდა (დისკო, კვერთხი, ყვავილი და ნიჟარა), ვიშნუ-მურტი (კვერთხი, ყვავილი, ნიჟარა და დისკო), მადჰუსუდანა (დისკო, ნიჟარა, ყვავილი და კვერთხი), ტრივიკრამა (ყვავილი, კვერთხი, დისკო და ნიჟარა), შრი ვამანა (ნიჟარა, დისკო, კვეთრხი და ყვავილი), შრიდჰარა (ყვავილი, დისკო, კვერთხი და ნიჟარა), ჰრშიკეშა (კვერთხი, დისკო, ყვავილი და ნიჟარა), პადმანაბჰა (ნიჟარა, ყვავილი, დისკო და კვერთხი), დამოდარა (ყვავილი, დისკო, კვერთხი და ნიჟარა); პურუშოტტამა (დისკო, ყვავილი, ნიჟარა და კვერთხი), აჩიუტა (კვერთხი, ყვავილი, დისკო და ნიჟარა); ნრსიმჰა (დისკო, ყვავილი, კვერთხი და ნიჟარა), ჯანარდანა (ყვავილი, დისკო, ნიჟარა და კვერთხი), შრი ჰარი (ნიჟარა, დისკო, ყვავილი და კვერთხი), შრი კრშნა (ნიჟარა, კვერთხი, ყვავილი და დისკო), ადჰოკშაჯა (ყვავილი, კვერთხი, ნიჟარა და დისკო) და უპენდრა (ნიჟარა, კვერთხი, დისკო და ყვავილი).

„ჰაიაშირშა-პანჩარატრას“ თანახმად, არსებობს თექვსმეტი ფორმა და ამ ფორმებს დისკოსა და კვერთხის სხვადასხვა განლაგების მიხედვით სხვადასხვა სახელები ჰქვიათ. დასკვნა ის გახლავთ, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება არის კრშნა. მას ჰქვია *ლილა-პურუშოტტამა* და როგორც ნანდას შვილი იგი ძირითადად ვრნდავანში ცხოვრობს, როგორც ნანდას შვილი. *ჰაიაშირშა-პარჩარატრადან* ვგებულობთ იმასაც, რომ ორ პურის: მათჰურა პურისა და დვარაკა პურის ცხრა ფორმა იცავს. პირველს

იცავენ ვესუḍევა, სანკარშანა, პრადḍუმნა და ანირუḍḍჰა, მეორეს კი — ნარაḍანა, ნრსიმჰა, ჰაḍაგრივა, ვარაჰა და ბრაჰმა. ისინი უფალი *კრშნას პრაკაშა* და *ვილასა* ფორმების სხვადასხვა გამოვლინებებს წარმოადგენენ.

უფალმა ჩაიტანḍამ ამცნო სანატანა გოსვამის, რომ არსებობს *სვაᳬᳬას* სხვადასხვა გამოვლინებებიც და ისინი სანკარშანას განაყოფად და ინკარნაციათა განაყოფად იყოფიან. პირველი განაყოფიდან მოდის სამი *პურუშა-ავატარა* — კარანოდაკაშაḍი ვიშნუ, გარბჰოდაკაშაḍი ვიშნუ და კშიროდაკაშაḍი ვიშნუს მეორე განაყოფიდან კი მოდიან *ლილა-ავატარები*, როგორებიც არიან უფლის ინკარნაცია თევზის, კუს სახით და ა.შ.

არსებობენ ექვსი სახის ინკარნაციები: (1) *პურუშა-ავატარები*, (2) *ლილა-ავატარები*, (3) *გუნა-ავატარები*, (4) *მანვანტარა-ავატარები*, (5) *ḍუგა-ავატარები* და (6) *შაქტḍავეშა-ავატარები*. *კრშნას* ექვსი *ვილასა* გამოვლინებიდან ორი განაყოფი მის ასაკზეა დამყარებული და მათ *ბალḍა* და *პაუგანდა* ეწოდებათ. როგორც ნანდა მაჰარაჯას შვილი, *კრშნა* თავის თავდაპირველ ფორმაში ბავშვობის ორივე ასპექტში ტკბება, სახელდობრ, *ბალḍასა* და *პაუგანდაში*.

მართებული იქნება დავასკვნათ, რომ *კრშნას* ექსპანსიებსა და ინკარნაციებს ბოლო არა აქვს. უფალი ჩაიტანḍა ზოგიერთ მათგანს სანატანას უხსნის, რათა ამ უკანასკნელს წარმოდგენა შეექმნას უფლის გავრცელებასა და გართობებზე. ეს დასკვნები დადასტურებულია „შრიმადბჰაგავატამშიც“ (1.3.26). მასში ნათქვამია, რომ უზენაესი უფლის ინკარნაციებს ბოლო არა აქვს, ისევე როგორც უსასრულოა ტალღები ოკეანეში.

თავიდან *კრშნა* როგორც ინკარნაცია *პურუშა-ავატარების* სახით მოდის, კერძოდ, როგორც მაჰა-ვიშნუ, ანუ *კარანოდაკაშაḍი ავატარა*, *გარბჰოდაკაშაḍი ავატარა* და

კშიროდაკაშპაი ავატარა. ეს დამტკიცებულია „სპტეატა-ტანტრაში“. კრშნას ენერგიებიც სამად შეიძლება დაიყოს: მისი ფიქრის, გრძნობისა და მოქმედების ენერგიებად. როდესაც იგი თავისი ფიქრის ენერგიას ავლენს, იგი უზენაესი უფალია; გრძნობის ენერგიის გამოვლინებისას, იგი უფალი ვასუდევაა; როდესაც თავის მოქმედების ენერგიას ავლენს, სანკარშანა ბალარამა გახლავთ. მისი ფიქრის, გრძნობისა და მოქმედების გარეშე რაიმეს შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა სულიერ სამყაროში არაფრის შექმნის საჭიროება არ არსებობს — რადგან პლანეტები იქ დაუსაბამოა — ქმნილება მატერიალურ სამყაროში ხორციელდება. მაგრამ სულიერიცა და მატერიალური სამყაროებიც მოქმედების ენერგიის გამოვლინებებს წარმოადგენს, რომელშიაც კრშნა სანკარშანას და ბალარამას ფორმით მოქმედებს.

ვაიკუნთჰა პლანეტების სულიერი სამყარო და კრშნალოკა, უზენაესი პლანეტა, მის ფიქრის ენერგიაში იმყოფება. თუმცა მარადიულ სულიერ სამყაროში არაფერი იქმნება, მაინც ცნობილია, რომ ვაიკუნთჰა პლანეტები უზენაესი უფლის ფიქრის ენერგიაზეა დამოკიდებული. ეს ფიქრის ენერგია აღწერილია „ბრაჰმა-სამჰიტაში“ (5.2), სადაც ნათქვამია, რომ უზენაესი სავანე, ცნობილი გოლოკად, ათასფურცლიანი ლოტოსის ყვავილის სახით ვლინდება. იქ ყველაფერს ანანტას, ბალარამას ან სანკარშანას ფორმა ავლენს. მატერიალური კოსმოსური გამოვლინება და მისი სხვადასხვა სამყაროები *მაჰან*, ანუ მატერიალური ენერგიის საშუალებით ვლინდება. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მატერიალური ბუნება ანუ მატერიალური ენერგია იყოს ამ კოსმოსური გამოვლინების მიზეზი. პირიქით, მისი მიზეზია უზენაესი უფალი, რომელიც მატერიალური ბუნების საშუალებით იყენებს თავის სხვადასხვა ექსპანსიებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

უზენაესი უფლის ზეგანმგებლობის გარეშე რაიმეს შექმნა გამორიცხულია. ფორმას, რომლის შექმნისათვის მატერიალური ბუნების ენერგია მოქმედებს, სანკარშანას ფორმა ეწოდება და ცნობილია, რომ ეს კოსმოსური გამოვლინება უზენაესი უფლის ზეგანმგებლობით იქმნება.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.46.31) ნათქვამია, რომ ბალარამა და კრშნა ყოველი ცოცხალი არსების დასაბამს წარმოადგენენ და რომ ეს ორი პიროვნება ყველაფერში შედის. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (1.3) მოცემულია ინკარნაციათა სია. აი ისინიც: (1) კუმარები, (2) ნარადა, (3) ვარაჰა, (4) მატსია, (5) იაჯნა, (6) ნარა-ნარაიანა, (7) კარდამი კაპილა, (8) დატტატრეია, (9) ჰაიაშირშა, (10) ჰამსა, (11) დჰრუვაპრიია, ანუ პრშნიგარბჰა, (12) რშაბჰა, (13) პრთჰუ, (14) ნრსიმჰა, (15) კურმა, (16) დჰანვანტარი, (17) მოჰინი, (18) ვამანა, (19) ბჰარგავა (პარაშურამა), (20) რაგჰავენდრა, (21) ვიასა, (22) პრალამბარი ბალარამა, (23) კრშნა, (24) ბუდა, (25) კალკი. რადგან თითქმის ოცდახუთივე ლილა-ავატარა კალპად წოდებული ბრაჰმას ერთი დღის მანძილზე ვლინდება, ზოგჯერ მათ კალპა-ავატარები ეწოდებათ. მათ შორის — ინკარნაცია ჰამსა და მოჰინი ყოველთვის არ გვხვდება, მაგრამ კაპილა, დატტატრეია, რშაბჰა, დჰანვანტარი და ვიასა ხუთი მარადიული ფორმაა და ისინი უფრო სახელგანთქმულნი არიან. კუ კურმას, თევზი მატსიას, ნარა-ნარაიანას, ვარაჰას, ჰაიაშირშას, პრშნიგარბჰასა და ბალარამას ინკარნაციები *ვაიბჰავას* ინკარნაციებად ითვლებიან. სწორედ ასევე, არსებობს სამი *გუნა-ავატარაც*, ანუ ბუნების თვისობრივ მოდუსთა ინკარნაციაც და მათ შეადგენენ ბრაჰმა, ვიშნუ და შივა.

არსებობს თოთხმეტი *მანვანტარა-ავატარა*: (1) იაჯნა, (2) ვიბჰუ, (3) სატიასენა, (4) ჰარი, (5) ვაიკუნთჰა, (6) აჯიტა, (7) ვამანა, (8) სარვაბჰაუმა, (9) რშაბჰა, (10) ვიშ-

ვაკსენა, (11) დჰარმასეტუ, (12) სუდჰუმ, (13) ჲოგეშვარა, (14) ბრ̣ჰადბჰუნუ. ამ თოთხმეტი *მანვანტარა-ავატუ-რადან* ჲაჯ̣ნ̄ა და ვუმანა *ლ̄ილუ-ავატურებადაც* ითვლებიან, დანარჩენები კი *მანვანტარა-ავატურებს* წარმოადგენენ. ეს თოთხმეტი *მანვანტარა-ავატურები ვაიბჰავა-ავატურების* სახით არიან ცნობილნი.

„შ̄რ̄იმად-ბჰუგავატამში“ აღწერილია აგრეთვე ოთხი *ჲუგა-ავატურა.* სატ̣ჲა-ჲუგაში ღმერთის ინკარნაცია თეთრია; ტრეტ̣ა-ჲუგაში იგი წითელია; დვუპარა-ჲუგაში შავია; კალი-ჲუგაშიც იგი შავია, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებულ *კალი-ჲუგაში,* ყვითელი ფერი აქვს (როგორც ჩაიტანჲა მაჰუპრაბჰუს შემთხვევაში). რაც შეეხებათ *შაკ-ტ̣ჲუშა-ავატურებს,* მათ რიცხვში შედიან კაპილა და რ̣შაბჰა, ანანტა, ბრაჰმუ (ზოგჯერ თავად უფალი ხდება ბრაჰმუ), ჩატ̣უჰ̣სანა (ცოდნის ინკარნაცია), მეფე პ̣რ̣თ̣ჰუ (მმართველი ძალის ინკარნაცია) და პარაშ̄ურუმა (ინკარნაცია, რომელიც ბოროტ̣ პრინციპებს სპობს).

თავი მერვე

ავატარები

შემდგომ უფალმა ჩაიტანდამ აუხსნა სანატანა გოსვამის, რომ უფალი კრშნას ექსპანსიებს, რომლებიც მატერიალურ ქმნილებაში მოდიან, *ავატარები*, ანუ ინკარნაციები ეწოდებათ. სიტყვა „ავატარა“ ნიშნავს „მას, ვინც ეშვება“ და ამ შემთხვევაში ეს სულიერი ზეციდან ჩამოსულს ეხება. სულიერ ზეცაზე ურიცხვი ვაიკუნთჰა პლანეტაა და ღმრთეების უზენაესი პიროვნების ექსპანსიები იქედან ამ სამყაროში ეშვებიან.

ღმრთეების უზენაესი პიროვნება პირველად სანკარშანას ექსპანსიიდან დაეშვა *პურუშა* ინკარნაციის, მაჰავიშნუს სახით. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (1.3.1) დამტკიცებულია, რომ როდესაც ღმრთეების უზენაესი პიროვნება ეშვება პირველი მატერიალური ქმნილების *პურუშა* ინკარნაციის სახით, დაშვებისთანავე ავლენს თექვსმეტ ელემენტარულ ენერგიას. მაჰა-ვიშნუდ წოდებული, იგი მიზეზთა ოკეანეში წევს და სწორედ იგია მატერიალურ სამყაროში თავდაპირველი ინკარნაცია. ის გახლავთ დროის, ბუნების, მიზეზისა და შედეგის, ჭკუის, ეგოს, ხუთი ელემენტის, ბუნების სამი მოდუსის, გრძნობებისა და სამყაროსეული ფორმის უფალი. თუმცა მატერიალურ სამყაროში ყოველივე მოძრავისა და უძრავის მბრძანებელია, თვითონ სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს.

მატერიალური ბუნების ზეგავლენა ვერ სცილდება ვირაჯას, ანუ მიზეზთა ოკეანეს, როგორც ეს „შრიმად-ბჰა-

გავატამშია“ დამტკიცებულია (2.9.10). მატერიალური ბუ-ნების მოდუსებს (სათნოებას, ვნებასა და უგუნურებას), ისევე როგორც მატერიალურ დროს, არაეითარი გავლე-ნა არა აქვს ვაიკუნ̣ṭ̣ჰა პლანეტებზე. ამ პლანეტებზე მა-რადიულად ცხოვრობენ კრ̣შ̣ნ̣ას განთავისუფლებული თა-ნამგზავრები და მათ ნახევარღმერთებიცა და დემონებიც ეთაყვანებიან.

მატერიალური ბუნება მოქმედებს ორი სახით, რო-გორც *მაჲა* და *პრადჰანა*. *მაჲა* უშუალო მიზეზია, *პრადჰა-ნა* კი მატერიალური გამოვლინების ელემენტებს გამ̣ოხ-ატავს. როდესაც პირველი *პურუშა-ავატარა*, მაჰა-ვიშ̣ნ̣უ, მზერას ავლებს მატერიალურ ბუნებას, მატერიალური ბუნება აღიგზნება და ამგვარად *პურუშა-ავატარა* მატე-რიას ცოცხალი არსებებით ანაყოფიერებს. უბრალოდ მა-ჰა-ვიშ̣ნ̣უს მზერით იქმნება ცნობიერება და ამ ცნობიერე-ბას *მაჰატ-ტატტვა* ეწოდება. *მაჰატ-ტატტვას* განმგებელი ღვთაება არის ვასუდევა. ეს შექმნილი ცნობიერება შემდ-გომ *გუნ̣ების*, ანუ მატერიალური ბუნების მოდუსების შე-საბამისი მოქმედების სამ ფორმად იყოფა. ცნობიერება სათნოების მოდუსში აღწერილია „შრ̄იმად-ბჰაგავატამის“ მეთერთმეტე სიმღერაში. სათნოების მოდუსის განმგებელ ღვთაებას ჰქვია ანირუდდჰა. მატერიალური ვნების მო-დუსში ცნობიერება გონებას წარმოქმნის და ამ შემთხ-ვევაში განმგებელი ღვთაება პრადჲუმნა გახლავთ. იგია გრძნობათა მბრძანებელი. უგუნურების მოდუსში ცნობიე-რება ეთერის, ცისა და სმენის ორგანოს წარმოქმნას იწ-ვევს. კოსმოსური გამოვლინება ამ სამივე მოდუსის ნა-ერთს წარმოადგენს და ამგვარად ურიცხვი სამყარო იქმ-ნება. სამყაროთა რიცხვის გამოთვლა არავის ძალუძს.

ეს ურიცხვი სამყარო მაჰა-ვიშ̣ნ̣უს სხეულის ფორები-დან წარმოიქმნება. როგორც მტვრის ურიცხვი ნაწი-ლაკი გადის საცრის მცირე ნახვრეტში, სწორედ ასევე,

მაჰა-ვიშ̇ნუს სხეულის ფორებიდანაც ურიცხვი სამყარო მოედინება. მისი ამოსუნთქვისას ურიცხვი სამყარო იქმნება და მისი ჩასუნთქვისას კი ისპობა. მაჰა-ვიშ̇ნუს ყოველი ენერგია სულიერია და არაფერი ესაქმება მატერიალურ ენერგიასთან. „ბრაჰმა-სამ̇ჰიტ̇ა̄ში“ (5.48) ნათქვამია, რომ ყოველი სამყაროს განმგებელი ღვთაება, ბრაჰმა̄, მაჰა-ვიშ̇ნუს მხოლოდ ერთი ამოსუნთქვის განმავლობაში ცოცხლობს. ამრიგად, მაჰა-ვიშ̇ნუა ყოველი სამყაროს თავდაპირველი ზესული და ყოველი სამყაროს მბრძანებელიც.

ვიშ̇ნუს მეორე ინკარნაცია, გარბ̇ჰოდაკაშ̄ა̄ი̄ ვიშ̇ნუ, შედის ყოველ სამყაროში, სხეულიდან წყალს გამოჰყოფს და ამ წყალზე წვება. მისი ჭიპიდან იზრდება ლოტოსის ყვავილის ღერო და ამ ლოტოსის ყვავილზე იბადება პირველი ცოცხალი ქმნილება, ბრაჰმა̄. ამ ლოტოსის ყვავილის ღეროში ბრაჰმა̄ს მიერ შექმნილი თოთხმეტი პლანეტარული სისტემის განყოფილებაა. თითოეულ სამყაროში უფალი გარბ̇ჰოდაკაშ̄ა̄ი̄ ვიშ̇ნუს სახით იმყოფება და იგი ასულდგმულებს ყოველ სამყაროსა და ზრუნავს მის მოთხოვნილებებზე. თუმცა ყოველ მატერიალურ სამყაროში იმყოფება, მატერიალური ენერგიის ზეგავლენა ვერ ეხება მას. როდესაც საჭიროა, იგივე ვიშ̇ნუ ღებულობს უფალი შ̇ივას ფორმას და ანადგურებს კოსმოსურ ქმნილებას. სამი მეორადი ინკარნაცია — ბრაჰმა̄, ვიშ̇ნუ და შ̇ივა — მატერიალური ბუნების სამი მოდუსის განმგებელი ღვთაებები არიან. მაგრამ სამყაროს მბრძანებელია გარბ̇ჰოდაკაშ̄ა̄ი̄ ვიშ̇ნუ, რომელსაც თაყვანს სცემენ როგორც ჰირან̇ჲაგარბ̇ჰა ზესულს. ვედურ ჰიმნებში აღწერილია, რომ მას ათასობით თავი აქვს. თუმცა მატერიალურ ბუნებაში იმყოფება, მატერია ვერც კი ეხება მას.

ვიშ̇ნუს მესამე ინკარნაციაც, კშ̇ი̄როდაკაშ̄ა̄ი̄ ვიშ̇ნუ, სათნოების მოდუსის ინკარნაცია გახლავთ. იგიც ყოველი ცოცხალი არსების ზესულს წარმოადგენს და ამ სამყარო-

ში რძის ოკეანეში განისვენებს. ასე დაახასიათა ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუმ *პურუშა-ავატარები.*

შემდეგ უფალმა ჩაიტანდამ აღწერა *ლილა-ავატარები,* ანუ „გართობათა“ *ავატარები* და მიუთითა, რომ მათ ბოლო არა აქვთ. იგი აღწერს რამოდენიმე მათგანს — მაგალითად, მატსიას, კურმას, რაგჰუნათჰას, ნრსიმჰას, ვამანასა და ვარაჰას.

რაც შეეხება *გუნა-ავატარებს,* ანუ ვიშნუს თვისობრივ ინკარნაციებს, ისინი სამია — ბრაჰმა, ვიშნუ და შივა. ბრაჰმა ერთ-ერთი ცოცხალ არსებათაგანია, მაგრამ თავისი ერთგული სამსახურის გამო დიდ ძალას ფლობს. ეს თავდაპირველი ცოცხალი არსება, მატერიალური ვნების განმგებელი, უშუალოდ გარბჰოდაკაშაჲი ვიშნუს მიერ არის უფლებამოსილი, რათა ურიცხვი ცოცხალი არსება შექმნას. „ბრაჰმა-სამჰიტაში“ (5.49) ბრაჰმა შედარებულია ძვირფას ქვას, რომელიც მზის სხივების გავლენის ქვეშ იმყოფება, უზენაესი უფალი გარბჰოდაკაშაჲი ვიშნუ კი მზესაა შედარებული. თუკი რომელიმე *კალპაში* არ მოიპოვება ბრაჰმას მოვალეობის შესრულებისთვის შესაფერისი ცოცხალი არსება, მაშინ გარბჰოდაკაშაჲი ვიშნუ თავად ევლინება ბრაჰმას სახით და შესაბამისად მოქმედებს.

სწორედ ასევე, ვრცელდება რა თავად უფალი შივას სახით, საჭიროების დროს უზენაესი უფალი სამყაროს ანადგურებს. *მაჰასთან* ურთიერთობაში უფალ შივას მრავალი, ჩვეულებრივ, თერთმეტი ფორმა გააჩნია. უფალი შივა ცოცხალ არსებათა რიცხვს არ მიეკუთვნება; მეტნაკლებად, იგი თავად კრშნაა. ამასთან დაკავშირებით ხშირად მოჰყავთ რძისა და მაწვნის მაგალითი — მაწონი რძის ნაწარმია, მაგრამ რძის ნაცვლად მისი გამოყენება მაინც არ შეიძლება. სწორედ ასევე, უფალი შივა კრშნას ექსპანსიაა, მაგრამ მას არ ძალუძს კრშნასავით მოქმედება,

არც იმ სულიერი აღორძინების მოტანა შეუძლია, რასაც კრშნასგან ვღებულობთ. არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ უფალ შივას კავშირი აქვს მატერიალურ ბუნებასთან, ხოლო ვიშნუს ან უფალ კრშნას მატერიალურ ბუნებასთან არაფერი აქვთ საერთო. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.88.3) ნათქვამია, რომ უფალი შივა ნაერთია სამი სახის გარდაქმნილი ცნობიერებისა, რომელთაც ეწოდება *ვაიკარიკა, ტაიჯასა* და *ტამასა*.

თუმცა ინკარნაცია ვიშნუ ყოველ სამყაროში სათნოების მოდუსის განმგებელია, არც ერთ შემთხვევაში არ იმყოფება მატერიალური ბუნების ზეგავლენის ქვეშ. თუმცა ვიშნუ კრშნას თანასწორია, კრშნა თავდაპირველ წყაროს წარმოადგენს. ვიშნუ ნაწილია, კრშნა კი — მთელი. ეს ვერსია მთელ ვედურ ლიტერატურაშია მოცემული. „ბრაჰმა-სამჰიტაში“ მოყვანილია თავდაპირველი სანთლის მაგალითი, რომელიც მეორე სანთელს ანთებს. თუმცა ორივე სანთელს თანაბარი ძალა აქვს, ერთ-ერთი მათგანი თავდაპირველად არის მიჩნეული, მეორეზე კი ამბობენ, რომ პირველისგან ანთია. ექსპანსია ვიშნუ მეორე სანთელს ჰგავს. იგი ისევე ძლიერია, როგორც კრშნა, მაგრამ თავდაპირველი ვიშნუ არის კრშნა. ბრაჰმა და უფალი შივა უზენაესი უფლის მორჩილი მსახურები არიან და ვიშნუ, რომელიც უზენაესი უფალია, კრშნას ექსპანსიას წარმოადგენს.

ლილა და *გუნა-ავატარების* აღწერის შემდეგ უფალი ჩაიტანია *მანვანტარა-ავატარების* შესახებ უყვება სანატანა გოსვამის. თავიდან იგი აცხადებს, რომ *მანვანტარა-ავატარების* დათვლა შეუძლებელია. ერთ *კალპაში*, ანუ ბრაჰმას ერთ დღეში თოთხმეტი მანუ ვლინდება. ბრაჰმას ერთი დღე 4 მილიარდ 320 მილიონი წელია და ბრაჰმა ამ შკალით ას წელს ცოცხლობს. ე.ი. თუკი ბრაჰმას ერთ დღეში თოთხმეტი მანუ ვლინდება, ბრაჰმას ერთ თვეში 420 მანუ არსებობს, ბრაჰმას ერთ წელიწადში კი 5 040

მანუა. რადგან ბრაჰმა ას ამგვარ წელიწადს ცოცხლობს, ითვლება, რომ ერთი ბრაჰმას სიცოცხლის განმავლობაში 504 000 მანუ ვლინდება. რადგან ურიცხვი სამყარო არსებობს, *მანვანტარა* ინკარნაციების რიცხვის გამოთვლა შეუძლებელია. რადგან მთელი სამყაროები მაჰა-ვიშნუს ამოსუნთქვასთან ერთად იქმნება, არავის ძალუძს იმის გამოთვლა, თუ რამდენი მანუ ვლინდება ერთდროულად. მაგრამ თითოეულ მანუს სხვადასხვა სახელი აქვს. პირველ მანუს ჰქვია სვაჲამბჰუვა და იგი ბრაჰმას შვილია. მეორე მანუ, სვაროჩიშა, არის ცეცხლის განმგებელი ღვთაების შვილი. მესამე მანუა უტტამა და იგი მეფე პრიჲავრატას შვილი გახლავთ. მეოთხე მანუ, ტამასა, უტტამას ძმაა. მეხუთე მანუ, წოდებული რაივატად და მეექვსე მანუ, ჩაკშუშა, ტამასას ძმები არიან, მაგრამ ჩაკშუშა ჩაკშუს შვილია. მეშვიდე მანუს ჰქვია ვაივასვატა და არის მზის ღმერთის შვილი. მერვე მანუს ეწოდება სავარნი და იგიც მზის ღმერთის შვილია, შობილი ჩჰაჲად წოდებული ცოლისაგან. მეცხრე მანუ, დაკშასავარნი, ვარუნას შვილია. მეათე მანუ, ბრაჰმასავარნი — უპაშლოკასი. ოთხ დანარჩენ მანუს ეწოდებათ რუდრასავარნი, დჰარმასავარნი, დევასავარნი და ინდრასავარნი.

მანუს ინკარნაციების აღწერის შემდეგ, უფალმა ჩაიტანჲამ *ჲუგა-ავატარები* დაუხასიათა სანატანა გოსვამის. არსებობს ოთხი *ჲუგა*, ანუ ეპოქა — სატჲა, ტრეტა, დვაპარა და კალი — და უზენაესი უფალი ყოველ ეპოქაში ევლინება და *ჲუგას* შესაბამისად ყოველ ინკარნაციაში სხვადასხვა ფერი აქვს. სატჲა-ჲუგაში ძირითადი ინკარნაციის ფერი თეთრი გახლავთ. ტრეტა-ჲუგაში — წითელი, დვაპარა-ჲუგაში — მოშავო (კრშნა) და კალი-ჲუგაში ძირითადი ინკარნაციის ფერი ყვითელია (ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუ). ეს დაამტკიცა „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.8.13) ასტროლოგმა გარგამუნიმ, რომელმაც ნანდა მაჰარაჯას სახლში კრშნას ჰოროსკოპი გამოითვალა.

სატია-იუგაში თვითრეალიზაციის პროცესი მედიტაცია იყო და ღმერთის თეთრი ინკარნაცია ამ პროცესს ასწავლიდა. ამ ინკარნაციამ აკურთხა კარდამა მუნი, რომ მას შვილად ღმრთეების პიროვნება ეყოლებოდა. სატია-იუგაში კრშნაზე მედიტაციას ყველა ასრულებდა და ყოველი ცოცხალი არსება სრულ ცოდნას ფლობდა. ახლანდელ ეპოქაში, კალი-იუგაში, ისინი, ვინც სრულ ცოდნას არ ფლობენ, მაინც ცდილობენ ამ მედიტაციური პროცესის განხორციელებას, რომელიც წინა ეპოქისთვის იყო რეკომენდირებული. ეპოქა ტრეტაში თვითრეალიზაციისათვის რეკომენდირებული იყო მსხვერპლშეწირვათა შესრულება და ამას ასწავლიდა ღმერთის წითელი ინკარნაცია. ეპოქა დვაპარაში კრშნა პირადად იმყოფებოდა და ყველა თაყვანს სცემდა მას ამ *მანტრით:*

ნამას ტე ვასუდევაია
ნამაჰ სანკარშანაია ჩა
პრადიუმნაიანირუდჰაია
ტუბჰიამ ბჰაგავატე ნამაჰ

„მოწიწებით ვცემ თაყვანს ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, ვასუდევას, სანკარშანას, პრადიუმნასა და ანირუდჰას“. ასეთი იყო თვითრეალიზაციის პროცესი დვაპარა იუგაში. შემდეგ ეპოქაში — ახლანდელ ეპოქა კალი-იუგაში — უფალი მოდის, რათა კრშნას წმინდა სახელის გალობა იქადაგოს. ამ ეპოქაში უფალი ყვითელი ფერისაა (ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ) და კრშნას სახელთა გალობით ხალხს ღმერთის სიყვარულს ასწავლის. კრშნა თავად ასრულებს ამ მეთოდს და ათასობით მიმდევართან ერთად გალობით, სიმღერითა და ცეკვით ღმერთის სიყვარულს ავლენს. ღმრთეების უზენაესი პიროვნების ეს კონკრეტული ინკარნაცია ნაწინასწარმეტყველია „შრიმად-ბჰაგავატამში“ (11.5.32):

კრშნა-ვარნამ ტვიშუკრშნამ
სუნგოპუნგუსტრა-პურშადამ
დაჯნაიჰ სანკირტანა-პრუდაირ
დაჯანტი ჰი სუმედჰასაჰ

„კალის ამ ეპოქაში უფალი მოდის ერთგულის სახით, ყვითელი ფერით და მუდამ გალობს ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს. თუმცა კრშნაა, კრშნასგან განსხვავებით, რომელიც დვაპარა-იუგაში შავი იყო, მისი სხეულის ფერი შავი არ არის, არამედ ოქროსფერი გახლავთ. სწორედ კალი-იუგაში ქადაგებს უფალი ღმრთეების სიყვარულს *სანკირტანის* მოძრაობის გზით და გონიერი ცოცხალი არსებები თვითრეალიზაციის ამ პროცესს ჰკიდებენ ხელს“. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ნათქვამია აგრეთვე (12.3.52):

კრტე დად დჰიანატო ვიშნუმ
ტრეტანამ დაჯატო მაქჰაიჰ
დვაპარე პარიჩარიანამ
კალაუ ტადდჰარი-კირტანატ

„თვითრეალიზაცია, რომელიც ეპოქა სატიაში მიიღწეოდა მედიტაციით, ეპოქა ტრეტაში — ათასგვარი მსხვერპლშეწირვების შესრულებით და ეპოქა დვაპარაში — უფალი კრშნას თაყვანისცემით, ეპოქა კალიში შეიძლება უბრალოდ წმინდა სახელთა გალობით, ჰარე კრშნათი იქნას მიღწეული“. ეს დადასტურებულია „ვიშნუ პურანაშიც“ (6.2.17), სადაც ნათქვამია:

დჰიანან კრტე დაჯან დაჯნაის
ტრეტანამ დვაპარე 'რჩიანან
ად პანოტი ტად პანოტი
კალაუ სანკირტია კეშავამ

„ამ ეპოქაში აზრი არა აქვს მედიტაციას, მსხვერპლშეწირვას და ტაძარში თაყვანისცემას. სრულყოფილი თვითრეალიზაციის მიღწევა შეიძლება უბრალოდ კრშṇას წმინდა სახელის გალობით — ჰარე კრშṇა, ჰარე კრშṇა, კრშṇა კრშṇა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე“.

უფალი ჩაიტანḍას მიერ ეპოქა კალის ინკარნაციის დახასიათებისას, სანაṭანა გოსვამი, რომელიც უწინ მთავრობის მინისტრი იყო და მშვენიერად შეეძლო დასკვნების გამოტანა, პირდაპირ შეეკითხა უფალს: „როგორ ვიცნოთ ინკარნაციის მოვლენა?“ ეპოქა კალის ინკარნაციის აღწერილობიდან სანაṭანა გოსვამი მიხვდა, რომ უფალი ჩაიტანḍა მართლაც კრშṇას ინკარნაცია იყო. იგი იმასაც მიხვდა, რომ მომავალში არა ერთი ადამიანი მიბაძავდა უფალ ჩაიტანḍას, რადგან უფალი უბრალო *ბრაჰმაṇის* როლს თამაშობდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთგულები მას ინკარნაციად აღიარებდნენ. სანაṭანამ იცოდა, რომ მრავალი თვალთმაქცი გამოჩნდებოდა და ამიტომ ჰკითხა უფალს: „რა ნიშნებით ვიცნოთ ინკარნაცია?“

„როგორც სხვადასხვა ეპოქების სხვადასხვა ინკარნაციათა გაგება შეიძლება ვედური ლიტერატურის დამოწმებით“, — მიუგო უფალმა, „ასევე შეიძლება იმის გაგება, თუ ვინ არის ღმრთეების ჭეშმარიტი ინკარნაცია ამ ეპოქა კალიში“. მაშასადამე, უფალი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ავტორიტეტულ წმინდა წერილებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინმეს თვითნებურად ინკარნაციად აღიარება არ შეიძლება, ინკარნაციის დამახასიათებელი თვისებების გაგება წმინდა წერილთა დამოწმებით უნდა ვცადოთ. უზენაესი უფლის ინკარნაცია არასოდეს იტყვის, რომ ინკარნაციაა, მაგრამ მისმა მიმდევრებმა ავტორიტეტული წმინდა წერილების დამოწმებით უნდა დაადასტურონ ვინ არის ინკარნაცია და ვინ არის თვალთმაქცი.

ორი ნიშან-თვისების — პიროვნებად წოდებული ძირითადი ნიშან-თვისებისა და პერიფერიული ნიშან-თვისებების გაგების საფუძველზე *ავატარას* დამახასიათებელი ნიშნების მიხვედრა ნებისმიერ გონიერ ადამიანს შეუძლია. წმინდა წერილებში აღწერილია ინკარნაციის სხეულის დამახასიათებელი ნიშნები და მოქმედებები. სხეულის აღწერილობა ძირითადი ნიშან-თვისებაა, რომლის საფუძველზეც ინკარნაციის პიროვნების დადგენა შეიძლება. ინკარნაციის მოქმედებები პერიფერიული ნიშან-თვისებებია. ეს დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამის“ დასაწყისში (1.1.1), სადაც მშვენივრად არის აღწერილი *ავატარას* ნიშან-თვისებები. ამ ლექსში ნახმარია ორი ცნება, „პარამ“ და „სატჲამ“ და უფალი ჩაიტანჲა მიგვანიშნებს, რომ ამ ხიტყვებით კრშნას ძირითადი ნიშან-თვისება იხსნება. დანარჩენი პერიფერიული ნიშან-თვისებები მიუთითებს იმაზე, რომ მან ასწავლა ვედური ცოდნა ბრაჰმას და მოევლინა *პურუშა-ავატარას* სახით, რათა კოსმოსური გამოვლინება შეექმნა. ეს იშვიათი ნიშან-თვისებებია, რომლებიც საგანგებო მიზნებისთვის ვლინდება. ადამიანს *ავატარას* ძირითადი და პერიფერიული ნიშან-თვისებების გაგება და გარჩევა უნდა შეეძლოს. ამ ორი ნიშან-თვისების გარეშე საკუთარ თავს ინკარნაციად ვერავინ გამოაცხადებს. ძირითადი და პერიფერიული ნიშან-თვისებების შესწავლის გარეშე გონიერი ადამიანი არავის აღიარებს *ავატარად*. როდესაც სანატანა გოსვამიმ სცადა იმის დადასტურება, რომ უფალი ჩაიტანჲას პიროვნული ნიშან-თვისებები ამ ეპოქის ინკარნაციის ნიშან-თვისებებს შეესაბამებოდა, უფალმა ჩაიტანჲამ ირიბად თვითონვე დაადასტურა ეს უბრალოდ იმით, რომ თქვა: „თავი დავანებოთ ამ საკითხებს და განვიხილოთ *შაკტჲავეშა-ავატარები*“.

შემდეგ უფალმა აღნიშნა, რომ *შაკტჲავეშა-ავატარების* რიცხვი უსასრულოა. მაგრამ ზოგიერთი შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ. არსებობს ორი სახის *შაკტჲავეშა*

ინკარნაციები — პირდაპირი და არაპირდაპირი. როდესაც თავად უფალი მოდის, მას ეწოდება *სკუშუტ*, ანუ პირდაპირი *შაკტიავეშა-ავატარა* და როდესაც იგი რომელიმე ცოცხალ არსებას აძლევს თავისი წარმომადგენლის ძალაუფლებას, ამ ცოცხალ არსებას არაპირდაპირი, ანუ *ავეშა* ინკარნაცია ეწოდება. არაპირდაპირი *ავატარების* მაგალითებია ოთხი კუმარა, ნარადა, პრთუ და პარაშურამა. სინამდვილეში ისინი ცოცხალი არსებები არიან, მაგრამ ღმრთეების უზენაესი პიროვნებისგან განსაკუთრებული ძალა აქვთ მიღებული. როდესაც გარკვეულ ცოცხალ არსებებს ღმრთეების უზენაესი პიროვნების განსაკუთრებული ძალა აქვთ მომადლებული, მათ *ავეშა-ავატარები* ეწოდებათ. ოთხი კუმარა საგანგებოდ წარმოადგენენ უზენაესი უფლის ერთ-ერთ სიდიადეს, ცოდნას. ნარადა წარმოადგენს უზენაესი უფლის ერთგულ სამსახურს. ერთგულ სამსახურს წარმოადგენს უფალი ჩაიტანიაც, რომელიც ამ სიდიადის სრულ გამოვლინებად ითვლება. ბრაჰმუ აღჭურვილია შემოქმედებითი ძალით, მეფე პრთუ კი — ცოცხალ არსებათა საზრდოობის ძალით. სწორედ ასევე, პარაშურამა ბოროტთა ხოცვის ძალითაა აღჭურვილი. რაც შეეხება *ვიბჰუტის*, ანუ ღმრთეების უზენაესი პიროვნებისგან არაჩვეულებრივი უნარით მომადლებას, „ბჰაგავად-გიტას“ მეათე თავის მიხედვით უნდა ჩაითვლოს, რომ უზენაესი უფალი განსაკუთრებით კეთილგანწყობილია ძალით ან მშვენიერებით გამორჩეული ცოცხალი არსებისადმი.

უშუალო, ანუ *სკუშად-ავატარების* მაგალითებია ინკარნაცია შეშა და ინკარნაცია ანანტა. ანანტა აღჭურვილია პოტენციით, რომელსაც მთელი პლანეტები უკავია, ინკარნაცია შეშა კი უზენაესი უფლის მსახურების პოტენციითაა აღჭურვილი.

შაკტიავეშა ინკარნაციების აღწერის შემდეგ ჩაიტანია

მაჰაპრაბჰუმ უზენაესი უფლის ასაკის შესახებ დაიწყო საუბარი. მან თქვა, რომ უზენაესი უფალი კრშნა მუდამ თექვსმეტი წლის ბიჭივით გამოიყურება და როდესაც ამ სამყაროში ჩამოსვლა სურს, ჯერ თავის დედასა და მამას აგზავნის, რომლებიც მისი ერთგულები არიან, შემდეგ კი თავად ეშვება, ან ინკარნაციის სახით, ან პირადად. ყოველი მისი საქმიანობა — დაწყებული დემონ პუტანას მოკვლით — ურიცხვ სამყაროებში მიმდინარეობს და უსასრულოა. მართლაც, მისი გამოვლინებები და სხვადასხვა გართობები ყოველ მომენტში, ყოველ წამს სხვადასხვა სამყაროებში (*ბრაჰმანდებში*) ჩანს. ამრიგად, მისი საქმიანობები განგის ტალღებს ჰგავს. როგორც განგის ტალღებს არა აქვს სასრული, ასევე არ წყდება უფალი კრშნას ინკარნაციები სხვადასხვა სამყაროებში. ბავშვობიდანვე იგი მრავალ გართობას ავლენს და საბოლოოდ გვიჩვენებს ცეკვა *რასას*.

ნათქვამია, რომ კრშნას ყოველი გართობა მარადიულია, რასაც ყოველი წმინდა წერილი ადასტურებს. როგორც წესი, ხალხს არ ესმის, როგორ ასრულებს კრშნა თავის გართობებს, მაგრამ უფალი ჩაიტანდა ნათელს ჰფენს ამ საკითხს მისი გართობების მზის ირგვლივ დედამიწის ორბიტასთან შედარებით. ვედური ასტროლოგიური გამოთვლების თანახმად, დღისა და ღამის ოცდაოთხი საათი სამოც *დანდად* იყოფა. შემდგომ დღეები 3 600 *პალად* იყოფა. მზის დისკოს აღქმა ყოველ სამოც *პალაში* შეიძლება და ეს დრო *დანდას* შეადგენს. რვა *დანდა* ერთ *პრაჰარას* წარმოადგენს და მზე ოთხი *პრაჰარას* მანძილზე ამოდის და ჩადის. სწორედ ასევე, ოთხი *პრაჰარა* ერთ ღამეს შეადგენს და ამის შემდეგ მზის ამოსვლა ხდება. სწორედ ასევე, კრშნას გართობების ნახვა შეიძლება ყოველ სამყაროში, ისევე როგორც მზე ჩანს თავისი მოძრაობისას 3 600 *პალის* მანძილზე.

უფალი კრშნა ამ სამყაროში მხოლოდ 125 წლის განმავლობაში რჩება, მაგრამ ამ პერიოდის ყოველი მისი გართობა თითოეულ სამყაროში ვლინდება. ეს გართობები მოიცავს მის მოვლინებას, ბავშვობის საქმეებს, ყმაწვილობას და უფრო გვიანდელ გართობებს დვარაკას გართობებამდე. რადგან ყოველი ეს გართობა ნებისმიერ დროის მონაკვეთში სამყაროთა მირიადებიდან რომელიმეში ვლინდება, მათ მარადიული ეწოდება. მზე მარადიულად არსებობს, თუმცა ამ პლანეტიდან ვხედავთ, რომ მზე ამოდის და ჩადის, ჩნდება და უჩინარდება. სწორედ ასევე, უფლის გართობები გრძელდება, თუმცა ამ კონკრეტულ სამყაროში ისინი მხოლოდ გარკვეული დროის მონაკვეთში ვლინდებიან. მისი სავანე უმაღლესი პლანეტა გოლოკა ვრნდავანია და მისი ნებით ეს გოლოკა ვრნდავანი ამ სამყაროში და სხვა სამყაროებშიაც ვლინდება. ამრიგად, უფალი მუდამ მის უმაღლეს სავანეში, გოლოკა ვრნდავანში იმყოფება და თავისი უმაღლესი ნებით, ურიცხვ სამყაროებში ავლენს თავის საქმიანობებს. როდესაც გარკვეულ ადგილებში ჩნდება, თავის ექვს სიდიადესაც ყოველ გამოვლინებაში ავლენს.

თავი მეცხრე

კრშნას სიდიადენი

რადგან უფალი ჩაიტანდა განსაკუთრებით წყალობს უმანკო, უშმაკო ადამიანებს, მას აგრეთვე პატიტაპავანა, ყველაზე დაცემული განპირობებული სულების მხსნელი ჰქვია. უმდაბლეს დონემდე დაცემულ განპირობებულ სულსაც შეუძლია სულიერ მეცნიერებაში განვითარება, თუკი უმანკოა. ინდუისტური საზოგადოების თვალში სანატანა გოსვამი დაცემულად ითვლებოდა, რადგან მუსულმანურ მთავრობაში მსახურობდა. მართლაც, თავისი საქმიანობის გამო ბრაჰმანული საზოგადოებიდანაც კი გამორიცხეს. მაგრამ ვინაიდან გულწრფელი სული იყო, უფალმა ჩაიტანდამ სულიერი ცოდნის საგანძური უსაჩუქრა და ამით განსაკუთრებული მადლი მოჰფინა მას.

შემდეგ უფალმა სულიერ ზეცაზე სხვადასხვა სულიერ პლანეტათა განლაგება ახსნა. სულიერ პლანეტებს ვაიკუნ̣ṭჰებიც ეწოდება. მატერიალური ქმნილების სამყაროებს გარკვეული სიგრძე-სიგანე ახასიათებს, ხოლო რაც შეეხება ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტებს, მათი ზომები უსასრულოა, რადგან ისინი სულიერია. უფალმა ჩაიტანდამ ამცნო სანატანა გოსვამის, რომ თითოეული ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტის სიგრძე და სიგანე მილიონობითა და მილიარდობით მილია. ყოველი ეს პლანეტა უსასრულოდ ვრცელია და ყოველი მათგანის მობინადრენი აღსავსენი არიან ექვსივე სიდიადით: სიმდიდრით, ძალით, ცოდნით, სილამაზით, სა-

ხელმოხვეჭილობითა და განდეგილობით. კრშნას ექსპანსიას თითოეულ ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტაზე აქვს თავისი მარადიული სავანე და თავად კრშნას კი აქვს თავისი თავდაპირველი, მარადიული სავანე, წოდებული კრშნალოკად, ანუ გოლოკა ვრნდავანად.

ამ სამყაროში უდიდეს პლანეტასაც კი კოსმოსის მხოლოდ მცირე ნაწილი უკავია. თუმცა მზე ათასჯერ დიდია დედამიწაზე, კოსმოსში მაინც მცირე სივრცეს იკავებს. სწორედ ასევე, თუმცა ყოველი უსასრულო პლანეტა უსასრულო სიგრძითა და სიგანით ხასიათდება, ისინი *ბრაჰმაჯიოტიდ* წოდებული სულიერი ზეცის მხოლოდ ერთ კუთხეშია მოქცეული. „ბრაჰმა-სამ̣ჰიṭაში“ ეს *ბრაჰმაჯიოტი* აღწერილია როგორც *ნიშკალამ ანანტამ აშეშა-ბჰუṭამ* ანუ დაუყოფელი და უსასრულო და მოკლებული მატერიალური ბუნების მოდუსების კვალსაც კი. თითოეული ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტა ლოტოსის ყვავილის ფოთოლს ჰგავს და ამ ლოტოსის ძირითადი ნაწილი, წოდებული კრშნალოკად, ანუ გოლოკა ვრნდავანად, ყოველი ვაიკუნ̣ṭჰას ცენტრს წარმოადგენს. ამრიგად, აქ აღწერილი აურაცხელი ფორმის მქონე კრშნას ექსპანსიები და მისი მრავალგვარი სავანეებიც სულიერ ზეცაზე მდებარე სულიერ პლანეტებზე უსასრულო გახლავთ. ისეთ ნახევარღმერთებსაც კი, როგორებიც არიან ბრაჰმა და შივა, არ შეუძლიათ ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტების შეფასება. ეს დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.14.21): „ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტების სიგრძისა და სიგანის შეფასება არავის შეუძლია“. იქვე ნათქვამია ისიც, რომ არა მხოლოდ ბრაჰმასა და შივას მსგავს ნახევარღმერთებს, არამედ ანანტასაც კი, რომელიც უფლის ძლევამოსილების ინკარნაციას წარმოადგენს, არ შეუძლია უფლის პოტენციის ან სხვადასხვა ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტების ფართობის დადგენა.

ამის სარწმუნო დასტურია ბრაჰმას ლოცვები, ნახსენები „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.14.21), სადაც უფალი ბრაჰმა ამბობს:

კო ვეტტი ბჰუმან ბჰაგავან პარუტმან
დოგეშვაროტირ ბჰავატას ტრი-ლოკჲმ
კვა ვუ კათჰამ ვუ კატი ვუ კადეტი
ვისტურაჲან კრიდასი დოგა-მუჲმ

„ო ჩემო ძვირფასო უფალო, ო ღმრთეების უზენაესო პიროვნებავ, ო ზესულო, ო ყოველი მისტიური ძალის მეუფევ, არავის შეუძლია ცოდნა ან განმარტება შენი ექსპანსიებისა, რომელთაც შენი ენერგია *დოგამუჲს* საშუალებით ავლენ. ეს ექსპანსიები სამივე სამყაროში ვრცელდება“. ბრაჰმუ ამასაც ამბობს თავის ლოცვებში:

გუნუტმანას ტე 'პი გუნუნ ვიმუტუმ
ჰიტუვატირნასჲა კა რშირე 'ნჲა
კულენა ჲაირ ვუ ვიმიტუჰ სუკალპაირ
ბჰუ-პუმსავაჰ ქჰე მიჰიკუ დჲუბჰუსაჰ
(ბჰაგ. 10.14.7)

„მეცნიერებსა და სწავლულებს ერთი პლანეტის ატომური აღნაგობის შეფასებაც კი არ შეუძლიათ. მათ ცაში თოვლის მოლეკულები ან კოსმოსში ვარსკვლავთა რიცხვიც რომ დაეთვალათ, ვერ მიხვდებოდნენ იმას, თუ როგორ ეშვები ამ დედამიწაზე ან ამ სამყაროში შენი ურიცხვი ტრანსცენდენტული პოტენციებით, ენერგიებითა და თვისებებით“. უფალმა ბრაჰმუმ ამცნო ნარადას, რომ არც ერთ დიად ბრძენს, მისი ჩათვლითაც, არ შეუძლია უზენაესი უფლის პოტენციის ძალისა და ენერგიის შეფასება. როგორც მან აღიარა, თავისი ათასი ენით ანანტაც რომ ცდილიყო უფლის ენერგიების გამოთვლას, ამით ვერაფერს გახდებოდა. ამიტომ გაპიროვნებული *ვედებიც* ამას ლოცულობენ:

დჲუპატაჲა ეკა ტე ნა ჲაჲურ ანტაჲ ანანტატაჲუ
ტვაჲ აპი ჲად ანტარუნდა-ნიჩაჲუ ნანუ სუვარანუჰ

ქჰა იეა რაჯუმსი ვუნტი ეადასუ საჰა ადაჩ ჩჰრუტადას
ტეადი ჰი ფჰალანტდ ატანნირასანენა ბჰავან-ნიდჰანუჰ
(ბჰუგ. 10.87.41)

„ჩემო უფალო, შენ უსასრულო ხარ და არავის შეუძლია შენი პოტენციების განფენილობის დადგენა. ვფიქრობ, თვითონაც არ იცი შენი პოტენციური ენერგიების ზღვარი. უსასრულო პლანეტები ატომებივით ლივლივებენ ცაში და დიადი ვედანტისტები, რომლებიც შენს მისაგნებად კვლევა-ძიებას ატარებენ, პოულობენ იმას, რაც განსხვავდება შენგან. ამრიგად, ისინი ბოლოს იმ დასკვნამდე მიდიან, რომ შენ ყველაფერი ხარ“.

როდესაც უფალი კრშნა ამ სამყაროში იმყოფებოდა, ბრაჰმუმ ოინი მოაწყო, რათა დაედასტურებინა, რომ ვრნდავანის მენახირე ბიჭი მართლაც თავად კრშნა იყო. თავისი მისტიკური ძალით, ბრაჰმუმ ყველა ძროხა, ხბო და კრშნას მეგობარი მენახირე ბიჭი მოიპარა და დამალა. მაგრამ როცა მობრუნდა იმის სანახავად, თუ რას აკეთებდა კრშნა, იხილა, რომ უფალმა კრშნამ საკუთარი თავი მთელი მოპარული ძროხების, ხბოებისა და მეგობრების სახით გაავრცელა. მართლაც, ბრაჰმუმ დაინახა მილიონობითა და მილიარდობით მათგანი და იხილა აგრეთვე მილიონობითა და მილიარდობით ტონა შაქრის ლერწამი და ხილი, ლოტოსის ყვავილები და მენახირეთა საყვირები. მენახირე ბიჭები ათასფერი სამოსელითა და სამკაულებით იყვნენ მორთულნი და მათ რიცხვს ბოლო არ უჩანდა. შემდგომ ბრაჰმუმ დაინახა, რომ თითოეული მენახირე ბიჭი ოთხხელიან ნარუაიანად გადაიქცა, რომელიც თითოეული *ბრაჰმანდის* განმგებელი ღვთაებაა და უთვალავი ბრაჰმუ ქედს უხრიდა უფალს. მან იხილა ისიც, რომ ყოველი მათგანი კრშნას სხეულიდან გამოდიოდა და იმავე წამს შედიოდა კიდეც მის სხეულში. ამან უფალი ბრაჰმუ განაცვიფრა და თავის ლოცვებში აღიარა, რომ თუმცა

სხვებს შეუძლიათ იმის თქმა, რომ კრშ̣ნაზე რაიმე იციან, რაც შეეხება მას, მან არაფერი იცის მის შესახებ. „ჩემო ძვირფასო უფალო“, თქვა მან, „შენი პოტენციები და სიდიადენი, რომლებიც ახლა გამომიმჟღავნე, აღემატება ჩემს შემეცნების უნარს“.

შემდგომ უფალმა ჩაიტანდამ ისიც განმარტა, რომ შეუძლებელია არა მხოლოდ კრშ̣ალოკას, არამედ ვრ̣ნდავანის, ამ პლანეტაზე უფალი კრშ̣ნას სავანის ძლევამოსილების შეფასებაც. ერთი შეხედვით, ვრ̣ნდავანი ოცდათორმეტი კვადრატული მილის ფართობის მომცველ ადგილად ითვლება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ვრ̣ნდავანის ერთ ნაწილში მთელი ვაიკუნ̣ṭჰებია მოთავსებული. თანამედროვე ვრ̣ნდავანის მხარე თორმეტ ტყეს მოიცავს და შეადგენს დაახლოებით ოთხმოცდაოთხ *კროშას*, ანუ 168 მილის ფართობს, ქალაქი ვრ̣ნდავანი კი — დაახლოებით თექვსმეტ *კროშას*, ანუ 168 მილს. ის საკითხი, თუ როგორ არსებობს მასში მთელი ვაიკუნ̣ṭჰები, მატერიალურ გამოანგარიშებას არ ექვემდებარება. ამგვარად, უფალმა ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუმ განაცხადა, რომ კრშ̣ნას პოტენციები და სიდიადენი უსასრულოა. რაც მან სანატანა გოსვამის უთხრა, მხოლოდ ნაწილობრივ ცნობებს წარმოადგენს, მაგრამ ასეთი ნაწილობრივი ცნობები მთელის წარმოდგენის საფუძველსაც იძლევა.

სანატანა გოსვამისათვის კრშ̣ნას სიდიადეთა მოყოლისას უფალი ჩაიტანდა ღრმა ექსტაზში იყო და ამ ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში წარმოთქვა ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (3.2.21), რომელშიც უდდჰავამ კრშ̣ნას გაუჩინარების შემდეგ ვიდურას უთხრა:

სვადამ ტვ ასამდანტიშადას ტრადადჰიშაჰ
სვარუჯდა-ლაკშმდანტა-სამასტა-კამაჰ
ბალიმ ჰარადბჰიშ ჩირა-ლოკაპალაიჰ
კირიტა-კოტ̣ედიტა-პადაპიṭჰაჰ

„კṛშṇა ყოველი ნახევარღმერთის მეუფეა, უფალი ბრაჰმას, უფალი შივასა და სამყაროში არსებული ვიშṇუს ყოველი ექსპანსიის ჩათვლითაც. ამიტომ მას ვერავინ შეედრება ან აღემატება და იგი ექვსი სიდიადითაა აღსავსე. თითოეული სამყაროს [*ბრაჰმაṇდას*] მმართველობით დაკავებული ყოველი ნახევარღმერთი მოწიწებით სცემს მას თაყვანს. სინამდვილეში მათ თავებზე მუზარადები მხოლოდ იმიტომაა მშვენიერი, რომ უზენაესი უფლის ლოტოსის ტერფთა ანაბეჭდებითაა დამშვენებული“. მსგავსი რამ დადასტურებულია „ბრაჰმა-სამჰიტაშიც“ (5.1), სადაც ნათქვამია, რომ კṛშṇა არის ღმრთეების უზენაესი პიროვნება და რომ მას ვერავინ შეედრება ან აღემატება. თუმცა ბრაჰმა, შივა და ვიშṇუ თითოეული სამყაროს მბრძანებლები არიან, ისინი უზენაესი უფალი კṛშṇას მსახურები გახლავთ. ასეთია დასკვნა. როგორც ყოველ მიზეზთა მიზეზი, უფალი კṛშṇა არის მაჰა-ვიშṇუს მიზეზი, რომელიც პირველ ინკარნაციას და ამ მატერიალური ქმნილების განმგებელს წარმოადგენს. მაჰა-ვიშṇუსგან გარბჰოდაკაშაიი ვიშṇუ და კშიროდაკაშაიი ვიშṇუ მომდინარეობენ; ამრიგად, კṛშṇა გახლავთ გარბჰოდაკაშაიი ვიშṇუსა და კშიროდაკაშაიი ვიშṇუს მეუფე და იგია სამყაროში ყოველი ცოცხალი არსების ზესულიც. „ბრაჰმა-სამჰიტაში“ (5.48) ნათქვამია, რომ მაჰა-ვიშṇუს სუნთქვით ურიცხვი სამყარო იქმნება და თითოეულ სამყაროში ურიცხვი *ვიშṇუ-ტატტვაა*, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ უფალი კṛშṇა ყოველი მათგანის მეუფეა და ისინი კṛშṇას ნაწილობრივი ექსპანსიები არიან მხოლოდ.

განდობილი წერილებიდან ვგებულობთ, რომ კṛშṇა სამ ტრანსცენდენტულ ადგილას ცხოვრობს. კṛშṇას ყველაზე ინტიმურ სავანეს გოლოკა ვṛნდავანი წარმოადგენს. სწორედ იქ არის იგი თავის მამასთან, დედასთან და მეგობრებთან ერთად, ავლენს თავის ტრანსცენდენტულ ურთიერთობებს და წყალობს თავის მარადიულ გარემოცვას. იქ

რაჯა ცეკვაში *ჯოგამაჯა* მის მოახლესავით იქცევა. ვრაჯაბჰუმის მოსახლეები ფიქრობენ: „უფალს აქებენ მისი ტრანსცენდენტული წყალობისა და სიყვარულის ნაწილაკები და ჩვენ, ვრნდავანის მობინადრენი, მისი მოწყალე არსებობის გამო უმცირეს მღელვარებასაც კი არ განვიცდით“. როგორც „ბრაჰმა-სამჰიტაშია“ (5.43) ნათქვამი, ვიშნულოკად ცნობილი სულიერი ზეცის ყოველი ვაიკუნთჰა პლანეტა განლაგებულია პლანეტა კრშნალოკაზე, გოლოკა ვრნდავანზე. ამ უმაღლეს პლანეტაზე უფალი ურიცხვ ფორმებში ტკბება თავისი ტრანსცენდენტული ნეტარებით და ამ ერთ პლანეტაზე სრულად ვლინდება ვაიკუნთჰების მთელი სიდიადე. კრშნას თანამგზავრებიც ექვსი სიდიადით არიან აღსავსე. „პადმოტტარა-ქჰანდაში“ (225.57) ნათქვამია, რომ მატერიალური ენერგია სულიერი ენერგიისგან გაყოფილია წყლით, რომელსაც მდინარე ვირაჯა ეწოდება. ეს მდინარე პირველი *პურუშა* ინკარნაციის ოფლის სახით მოედინება. ვირაჯას ნაპირას არის მარადიული ბუნება, უსასრულო და ყოვლადნეტარი, წოდებული სულიერ ზეცად და ეს სულიერ სასუფეველს, ანუ ღმერთის სასუფეველს წარმოადგენს. სულიერ პლანეტებს ვაიკუნთჰები ეწოდება, რადგან იქ არ არსებობს მწუხარება ან შიში; ყველაფერი მარადიულია. გამოთვლილია, რომ სულიერი სამყარო უზენაესი უფლის ენერგიის სამ მეოთხედს შეადგენს, მატერიალურ სამყაროზე კი ამბობენ, მისი ენერგიის ერთი მეოთხედიაო, მაგრამ არავის ესმის, რა არის ეს სამი მეოთხედი, რადგან შეუძლებელია ამ მატერიალური სამყაროს აღწერაც კი, რომელიც მისი ენერგიის მხოლოდ ერთ მეოთხედს შეადგენს. სანატანა გოსვამისთვის კრშნას ენერგიის ერთი მეოთხედის შესახებ რაიმე წარმოდგენის შექმნის მიზნით ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუმ მოიყვანა „შრიმად-ბჰაგავატამში“ აღწერილი ამბავი, რომელშიც ბრაჰმა, სამყაროს უფალი, კრშნას სანახავად წავიდა დვარაკაში. როდესაც ბრაჰმა კრშნასთან მივიდა,

კარისკაცმა ამცნო კრშნას, რომ ბრაჰმა მოვიდა მის სანახავად. ამის გამგონე კრშნამ იკითხა, თუ *რომელი* ბრაჰმა იყო ის. კარისკაცი მიუბრუნდა ბრაჰმას და ჰკითხა: „კრშნამ იკითხა, რომელი ბრაჰმა ხარო?“

ბრაჰმას ძლიერ გაუკვირდა. რატომ დასვა კრშნამ ასეთი კითხვა? მან კარისკაცს უთხრა: „გადაეცი, გეთაყვა, რომ მის სანახავად მოსულია ბრაჰმა, რომელიც ოთხი კუმარას მამაა და რომელსაც ოთხი თავი აქვს“.

კარისკაცმა ეს მოახსენა კრშნას და შემდეგ ბრაჰმა შინ მოიწვია. ბრაჰმა მიწაზე დაემხო კრშნას ლოტოსის ტერფთა წინაშე და მთელი პატივით მიღების შემდეგ კრშნამ სტუმრობის მიზეზის შესახებ გამოჰკითხა.

— გეტყვი, რატომაც გესტუმრე, — მიუგო უფალმა ბრაჰმამ, — მაგრამ ჯერ ერთი ეჭვი მაქვს და გთხოვ, მომაშორებინე. შენმა კარისკაცმა თქვა, რომ გიკითხავს, რომელი ბრაჰმა მოვიდაო ჩემს სანახავად. შეიძლება გკითხო, არსებობენ თუ არა სხვა ბრაჰმებიც ჩემს გარდა?

ამის მოსმენის შემდეგ კრშნამ გაიღიმა და უამრავი სამყაროდან უამრავ ბრაჰმას მოუხმო. მაშინ ოთხთავიანმა ბრაჰმამ დაინახა მრავალი სხვა ბრაჰმა. ისინი კრშნას სანახავად მოდიოდნენ და თაყვანს სცემდნენ მას. ზოგიერთ მათგანს ათი თავი ჰქონდა, ზოგიერთს — ოცი, ზოგს — ასი და ზოგს — მილიონი თავიც კი. სინამდვილეში ოთხთავიანი ბრაჰმა ვერც კი ითვლიდა რამდენი ბრაჰმა მოდიოდა კრშნას თაყვანისცემისთვის. შემდეგ კრშნამ სხვადასხვა სამყაროებიდან უამრავ ნახევარღმერთს მოუხმო და ყოველი მათგანი მოვიდა, რათა თაყვანი ეცა უფლისათვის. ამ საოცარი სანახაობის შემყურე ოთხთავიანი ბრაჰმა მღელვარებამ აიტანა და საკუთარი თავი სპილოთა ჯოგში კოღოდ ჩათვალა. რადგან კრშნას ლოტოსის ტერფებს ამდენი ნახევარღმერთი სცემდა თაყვანს, ბრაჰმამ დაასკვნა, რომ კრშნას უსასრულო პოტენციის გამოანგარიშება შეუძლებელია. დიდ თავყრილობაში სხვადასხვა ნახევარღმერთთა და ბრაჰმათა მუზარადები კაშკაშა შუქით

ბრწყინავდა და ნახევარღმერთთა ლოცვები ძლიერ ხმაურს გამოსცემდა.

— ძვირფასო უფალო, — ამბობდნენ ნახევარღმერთები, — შენი დიდი წყალობაა, რომ აქ მოგვიხმე. გვიბრძანებ რაიმეს? თუკი ასეა, უმალვე შევასრულებთ.

— განსაკუთრებული არაფერი მოგეთხოვებათ, — მიუგო უფალმა კრშნამ. — მხოლოდ მსურდა, ერთბაშად ყველა ერთად მენახეთ. დამილოცნიხართ. ნუ გეშინიათ დემონების.

— შენი წყალობით, ყველაფერი კარგად მიდის, — უპასუხა ყოველმა მათგანმა. — ამჟამად არავითარი არეულობა არ არის, რადგან შენი ინკარნაციით ყველაფერი არასასიკეთო მოსპე.

რამეთუ თითოეულმა ბრაჰმაამ იხილა კრშნა, ყოველ მათგანს ეგონა, რომ ამ სამყაროში თვითონ ერთადერთი იყო. მერე კრშნა ყოველ მათგანს დაემშვიდობა და მისი თაყვანისცემის შემდეგ ისინი თავიანთ სამყაროებს დაუბრუნდნენ. ამის მხილველი ოთხთავიანი ბრაჰმა უმალვე დაემხო კრშნას ლოტოსის ტერფებთან და თქვა: „რაც თავიდან შენს შესახებ მეგონა, ყველაფერი სისულელეა. ვისაც უნდა იმან თქვას, რომ სრულყოფილად გიცნობს, მაგრამ, რაც მე მეხება, ვერც კი დავიწყებ იმის წარმოდგენას, თუ რაოდენ დიადი ხარ. შენ ჩემი წარმოდგენისა და შემეცნების მიღმა დგახარ“.

„ეს კონკრეტული სამყარო მხოლოდ ოთხი ათასი მილიონი მილის სიგრძისაა“, — უთხრა შემდეგ კრშნამ, „მაგრამ არსებობს მრავალი მილიონობითა და მილიარდობით სამყარო, ამაზე გაცილებით, გაცილებით დიდი. ზოგიერთი მათგანი მრავალ ტრილიონჯერ ვრცელია და მათ ძლიერი ბრაჰმა ესაჭიროება და არა უბრალოდ ოთხთავიანი“. შემდეგ კრშნამ ბრაჰმას ამცნო: „ეს მატერიალური ქმნილება ჩემი შემოქმედებითი ენერგიის მხოლოდ ერთი მეოთხედის გამოვლინებას წარმოადგენს. ჩემი შემოქმედებითი ენერგიის სამი მეოთხედი სულიერ სასუფეველშია“.

თაყვანისცემის შემდეგ ოთხთავიანი ბრაჰმა დაშორდა კრშნას და მან გაიგო, თუ რას ნიშნავს კრშნას „ენერგიის სამი მეოთხედი“.

ამიტომ უფალს ეწოდება ტრიადჰიშვარა, სახელი, რომელიც მის ძირითად სავანეებზე — გოკულაზე, მათჰურასა და დვარაკაზე მიუთითებს. ეს სავანეები აღსავსეა სიდიადეებით და უფალი კრშნა ყოველი მათგანის მეუფეა. თავის ტრანსცენდენტულ პოტენციაში მყოფი უფალი კრშნა ყოველი ტრანსცენდენტული ენერგიის მეუფეა და იგი ექვსი სიდიადით არის აღსავსე. ამიტომ მთელი ვედური ლიტერატურა აცხადებს, რომ კრშნა არის ღმრთეების უზენაესი პიროვნება.

შემდეგ უფალმა ჩაიტანḍამ მშვენიერი სიმღერა იმღერა კრშნას სიდიადეების შესახებ და სანატანა გოსვამი უსმენდა მას. „კრშნას ყოველი გართობა სწორედ ადამიანების საქმიანობებს ჰგავს“, — მღეროდა უფალი, „ამიტომ უნდა გვესმოდეს, რომ მისი ფორმა ადამიანის მსგავსია. მართლაც, ადამიანი მისი ფორმის იმიტაციაა მხოლოდ. კრშნა სწორედ მენახირე ბიჭივით არის ჩაცმული. ხელში ფლეიტა უჭირავს და ყმაწვილს გვაგონებს. იგი მუდამ მხიარულია და უბრალო ბიჭივით თამაშობს“. შემდეგ უფალმა ჩაიტანḍამ სანატანა გოსვამის კრშნას მშვენიერების ასპექტების შესახებ უამბო. მან თქვა, რომ ამ მშვენიერი თვისებების შემცნობი ნექტარის ოკეანეთი დატკბება. კრშნას პოტენცია ḍოგამაჰḍა ტრანსცენდენტულია და მატერიალური ენერგიის მიღმა იმყოფება, მაგრამ უფალი თავის ტრანსცენდენტულ პოტენციას მატერიალურ სამყაროშიაც ავლენს, რათა თავისი უახლოესი ერთგულები დააკმაყოფილოს. ამრიგად, იგი მატერიალურ სამყაროში თავისი ერთგულების დასაკმაყოფილებლად მოდის და მისი თვისებები იმდენად მიმზიდველია, რომ თავად კრშნას უჩნდება საკუთარი თავის გაგების წადილი. როდესაც სავსებით მორთული სამ ადგილას მოხრილი სხეუ-

ლით დგას — მისი წარბები მუდამ მოძრაობს და მისი თვალები ესოდენ მიმზიდველია — *გოპები* იხიბლებიან. მისი სულიერი სავანე სულიერი ზეცის წვერზეა და იგი იქ თავის თანამგზავრებთან, მენახირე ბიჭებთან, *გოპებთან* და ბედის ყოველ ქალღმერთთან ერთად ცხოვრობს. სწორედ იქაა იგი მადანა-მოჰანად ცნობილი.

კრშნას სხვადასხვა სახის უამრავი გარეგნობა არსებობს — როგორიცაა მისი გარეგნობები ვასუდევასა და სანკარშანას ფორმებში — და მატერიალურ ზეცაზე მის გარეგნობებს პირველი *პურუშა* ინკარნაცია, მატერიალური სამყაროს შემოქმედი აგრძელებს. არის აგრეთვე ისეთი გარეგნობები, რომლის დროსაც იგი თევზის ან კუს სახით ევლინება და არსებობს გარეგნობები, რომელშიაც იგი უფალი ბრაჰმასა და უფალი შივას მატერიალური თვისებების ინკარნაციების ფორმებს ღებულობს. ძალაუფლებით აღჭურვილი ინკარნაციების გარეგნობებში, იგი მეფე პრთჰუს ფორმას იღებს და აგრეთვე ყველას გულში მყოფი ზესულის სახით და უპიროვნო ბრაჰმანის სახითაც ასრულებს გარეგნობებს. თუმცა ურიცხვი გარეგნობა აქვს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის კრშნას გარეგნობები ადამიანის ფორმაში, როდესაც იგი ანცობს ვრნდავანში, ცეკვავს *გოპებთან*, ერთობა პანდავებთან კურუკშეტრას ბრძოლის ველზე და თამაშობს მათჰურასა და დვარაკაში. ადამიანის ფორმაში შესრულებულ მის მნიშვნელოვან გარეგნობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, როდესაც ევლინება იგი მენახირე ბიჭის, ყმაწვილის სახით, ფლეიტაზე რომ უკრავს. უნდა გვესმოდეს, რომ გოლოკაში, მათჰურასა და დვარავატიში ანუ დვარაკაში მის მიერ შესრულებული გარეგნობების უბრალოდ მცირე გამოვლინებაც კი წალეკავს მთელ სამყაროს ღმრთეების სიყვარულით. კრშნას მშვენიერ თვისებებს ყოველი ცოცხალი არსების მიზიდვა შეუძლია.

მისი შინაგანი პოტენცია ღმერთის სასუფეველში ანუ

ვაიკუნ̣ṭ̣ჰა პლანეტებზედაც კი არ ვლინდება, მაგრამ თავისი წარმოუდგენელი წყალობით, თავის პირადი სავანიდან დაშვებისას მას ამ სამყაროში ავლენს. კრ̣შ̣ნ̣ა იმდენად საოცარი და მიმზიდველია, რომ მას თავად იზიდავს საკუთარი სილამაზე და ეს დასტურია იმისა, რომ იგი ყოველი წარმოუდგენელი პოტენციითაა აღსავსე. რაც შეეხება კრ̣შ̣ნ̣ას სამკაულებს, მისი სხეულის მორთვისას, თითქოს ისინი კი არ ალამაზებს მას, არამედ თავად სამკაულები ხდება მშვენიერი იმის გამო, რომ მის სხეულზე იმყოფება. სამგან მოხრილ მდგომარეობაში მდგომი, ყოველ ცოცხალ არსებას, მათ შორის ნახევარღმერთებსაც იზიდავს. სინამდვილეში, იგი იზიდავს ნარაჯ̣ან̣ას ფორმასაც, რომელიც ყოველ ვაიკუნ̣ṭ̣ჰა პლანეტას განაგებს.

თავი მეათე

კრშნას სილამაზე

კრშნას ჰქვია მადანა-მოჰანა, რადგან იგი კუპიდონის ჭკუას იპყრობს. მადანა-მოჰანად იმიტომაც არის ცნობილი, რომ ვრაჯას ქალწულთა ერთგულ სამსახურს იღებს და წყალობს მათ. კუპიდონის სიამაყის დამონების შემდეგ უფალი, როგორც ახალი კუპიდონი იწყებს *რასა* ცეკვას. იმიტომაც არის მადანა-მოჰანას სახელით ცნობილი, რომ ქალთა ჭკუების ხუთი ისრით: ფორმით, გემოთი, სუნით, ბგერით და შეხებით დაპყრობის უნარი შესწევს. კრშნას კისერზე ჩამოკიდებული ყელსაბამის მარგალიტები იხვივით თეთრია და ფარშევანგის ბუმბული, რომელიც მის თავს ამშვენებს, ცისარტყელასავით არის შეფერილი. მისი ყვითელი სამოსი ზეცაზე გაელვებას ჰგავს და თავად კრშნა ახლად გამოჩენილი ღრუბლის მსგავსია. *გოპები* ხორბლის თავთავებს ჰგვანან და როდესაც ღრუბელი ხორბლის ყანაზე წვიმას ასხამს, თითქოს კრშნა კვებავსო *გოპების* გულებს მათზე გართობის წყალობის წვიმის გამოგზავნით. სინამდვილეში, იხვები ცაში წვიმის სეზონის დროს დაფრინავენ და ამ დროს ცისარტყელებიც შეიმჩნევა. კრშნა თავისუფლად მოძრაობს თავის მეგობრებს შორის როგორც ვრნდავანის მენახირე ბიჭი და როდესაც თავის ფლეიტაზე უკრავს, ,ყოველ ცოცხალ არსებას, მოძრავსაც და უძრავსაც, ექსტაზი იპყრობს. ისინი თრთიან და მათი თვალებიდან ცრემლები მოედინება. კრშნას სხვადასხვა სიდიადეთა მწვერვალს მისი სატრფიალო სიყვარული წარმოადგენს. იგია ყოველი სიმდიდრის, ყოველგვარი ძალის, მთელი სახელმოხვეჭილობის, მთე-

ლი სილამაზის, მთელი ცოდნისა და მთელი განდეგილობის მეუფე და მათგან მისი სრულყოფილი სილამაზე მის სატრფიალო მიმზიდველობას წარმოადგენს. კრშნ̣ას ფორმა, სატრფიალო სილამაზე, მარადიულად არსებობს მხოლოდ კრშნ̣აში, შაშინ როდესაც მისი სხვა სიდიადეები მის ნარაჰ̣ან̣ას ფორმასაც ახასიათებს.

როდესაც უფალმა ჩაიტანდამ აღწერა კრშნ̣ას სატრფიალო მიმზიდველობის აღმატებულება ყველაფერზე, ტრანსცენდენტული ექსტაზი იგრძნო, ჩაეჭიდა სანატანა გოსვამის ხელებს და დაიწყო ლაპარაკი, თუ რაოდენ ილბლიანები არიან ვრაჯას ქალწულები, მოიყვანა რა ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (10.44.14):

გოპ̣ან̣ას ტაპ̣ან̣ჭ კიმ აჩარან ̣ად ამუშ̣ა რუპ̣ამ̣
ლავან̣ა-სარამ ასამორდჭვამ ანანდა-სიდდჭამ
დრ̣გბჰიჭ ჰიბან̣ტ̣ ან̣უსავაბჰინავამ̣ დურაპ̣ამ
ეკან̣ტა-დჭარმა ̣ამ̣ასაჭ შრიდ̣ა აიშვარასდ̣ა

„რა დიადი ეპითიმიები და ასკეზები აქვთ შესრულებული ვრნ̣დავანის ქალწულებს, რომ შეუძლიათ შესვან ნექტარი კრშნ̣ასი, რომელიც მთელი სილამაზე, მთელი ძალა, მთელი სიმდიდრე, მთელი სახელმოხვეჭილობაა და ვისი სხეულის ბრწყინვალებაც მთელი სილამაზის გულია“.

კრშნ̣ას სხეული, სიჭაბუკის მარადიული სილამაზის ოკეანე, შეიძლება სილამაზის ტალღებში მოძრაობისას ვიხილოთ. მისი ფლეიტის ხმაზე გრიგალი ამოვარდება ხოლმე და ეს ტალღები და გრიგალი ისევე აფანცქალებს *გოპების* გულებს, როგორც ხმელ ფოთლებს ხეზე და კრშნ̣ას ლოტოსის ტერფებთან დაცემულ ამ ფოთლებს, ადგომა აღარ უწერიათ. ვერავითარი სილამაზე ვერ შეედრება კრშნ̣ას სილამაზეს, რადგან არავის გააჩნია მისი დარი ან მასზე უკეთესი სილამაზე. რადგან იგი ყოველი ინკარნაციის, ნარაჰ̣ან̣ას ფორმის წყაროც არის, ბედის ქალღმერთი, რომელიც ნარაჰ̣ან̣ას მარადიული თანამგ-

ზავრია, ტოვებს ნარაჲანას საზოგადოებას და ეპითიმიებს გადის, რათა კრშნასთან ურთიერთობაში იქნას დაშვებული. ასეთია კრშნას, სილამაზის მარადიული საბადოს შეუდარებელი ღირსების მქონე სილამაზის სიდიადე. სწორედ ამ სილამაზიდან მომდინარეობს ყოველივე ლამაზი.

გოპების გუნება სარკეს ჰგავს, რომელზედაც ყოველ წამს მჟღავნდება კრშნას სილამაზე. *კრშნაცა* და *გოპებიც* თავიანთ ტრანსცენდენტულ სილამაზეს ყოველ წამს ზრდიან და მათ შორის მუდამ ტრანსცენდენტული პაექრობა მიმდინარეობს. დაწესებული მოვალეობების შესრულებით, ასკეზებით, მისტიური *ჲოგათი*, ცოდნის გაღრმავებით ან ლოცვებით კრშნას სილამაზის შეფასება შეუძლებელია. მხოლოდ მათ, ვინც ღმერთის სიყვარულის ტრანსცენდენტულ საფეხურზე იმყოფებიან, ვინც სიყვარულის გამო არიან ერთგულ სამსახურში დასაქმებული, შეუძლიათ კრშნას ტრანსცენდენტული სილამაზის შეფასება. ასეთი სილამაზე არსია ყოველი სიდიადისა და მისი გაგება შეიძლება მხოლოდ გოლოკა ვრნდავანზე და სხვაგან არსად. ნარაჲანას ფორმას მოწყალების, სახელმოხვეჭილობისა და სხვ. მშვენიერებას კრშნა აძლევს, მაგრამ კრშნას სინაზე და დიდსულოვნება არ არსებობს ნარაჲანაში. ისინი მხოლოდ კრშნაშია.

უფალმა ჩაიტანჲამ, დიდად რომ ტკბებოდა „შრიმადბჰაგავატამის“ ყოველი ლექსით, რომელსაც სანატანა გოსვამის უხსნიდა, მოიყვანა კიდევ ერთი ლექსი (ბჰაგ. 9.24.65):

ჲასჲანანამ მაკარა-კუნდალა-ჩარუ-კარნა-
ბჰრაჯატ-კაპოლა-სუბჰაგამ საგილასა-ჰასამ
ნიტჲოტსავამ ნა ტატრპურ დრშიბჰიჭ პიბანტჲო
ნარჲო ნარაშ ჩა მუდიტაჭ კუპიტა ნიმეშ ჩა

„*გოპები* ტკბებოდნენ კრშნას სილამაზით, როგორც მარადიული განცხრომის ცერემონიით. ისინი ტკბებოდნენ

კრშნას ლამაზი სახით, საყურეებით მორთული ლამაზი ყურებით, მისი ფართე შუბლით, მისი ღიმილით და კრშნას სილამაზის ამ სანახაობით ტკბობისას კიცხავდნენ შემოქმედ ბრაჰმას, რადგან თვალების ხამხამის გამო წამიერად კარგავდნენ მხედველობიდან კრშნას“.

ვედური ჰიმნი, წოდებული *კამა-განატრრიდ*, აღწერს კრშნას სახეს, როგორც ყოველი მთვარის მეფეს. ხატოვნად რომ ვთქვათ, არსებობს მრავალი მთვარე, მაგრამ ყოველი მათგანი ერთია კრშნაში. არსებობს მისი პირის მთვარე, მთვარე მისი ლოყებისა, სანდალის ნელსაცხებელის მთვარის ლაქები მის სხეულზე, მთვარეები მისი ხელის თითების წვერებზე და მთვარეები მისი ფეხის თითების წვერებზე. ამგვარად, არსებობს ოცდაოთხ-ნახევარი მთვარე და კრშნა მთავარი ფიგურაა მათ შორის.

კრშნას საყურეების, თვალებისა და წარბების მოცეკვავე მოძრაობები ძალიან იზიდავს ვრაჯას ქალწულებს. მოქმედებები ერთგულ სამსახურში ერთგული სამსახურის გრძნობას ზრდის. მაშ რისთვის გვეძლევა ორი თვალი, თუ არა და იმისთვის, რომ კრშნას სახე ვიხილოთ? რადგან ორი თვალით კრშნას სწორად დანახვა შეუძლებელია, ადამიანი უუნარობას გრძნობს და ამით გული უკვდება. ასეთი გულისკვდომა ოდნავ მცირდება, როდესაც ადამიანი შემოქმედის ქმედით უნარს კიცხავს. კრშნას სახის დაუცხრომელი მხილველი მაინც ნაღვლობს: „მე არა მაქვს ათასი თვალი, მაქვს მხოლოდ ორი და ქუთუთოების მოძრაობა ხელს უშლის მათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ სხეულის შემქმნელი გონიერი არ არის. მას არ ესმის ექსტაზის ხელოვნება, უბრალოდ პროზაიკოსი შემოქმედია. მან არ იცის, რა გააკეთოს იმისათვის, რომ ადამიანი მხოლოდ კრშნას ხედავდეს“.

გოპების ჭკუა მუდამ კრშნას სხეულის სიტკბოებას განიცდის. იგია სილამაზის ოკეანე და მისი ლამაზი სახე, ღიმილი და სხეულის ბრწყინვალება ყოველმხრივ იზიდავს *გოპების* ჭკუას. „კრშნა-კარნამრტაში“ აღწერილია,

რომ მისი სახე, ღიმილი და სხეულის ბრწყინვალება ტკბილი, უფრო ტკბილი და უტკბესია. კრშნას სრულყოფილი ერთგული კრშნას სხეულის ბრწყინვალების ხილვით, მისი სახით და ღიმილით არის შეპყრობილი და ტრანსცენდენტული კრუნჩხვების ოკეანეში დაცურავს. კრშნას სილამაზის წინაშე ეს კრუნჩხვები ხშირად მკურნალობის გარეშე რჩება, მსგავსად ჩვეულებრივი კრუნჩხვებისა, რომლის გაგრძელებასაც ექიმი ნებას რთავს, ისე რომ დასაწყნარებლად წყლის დალევის უფლებასაც არ იძლევა.

ერთგული სულ უფრო და უფრო მეტად გრძნობს კრშნას არყოფნას, რადგან მის გარეშე მისი სილამაზის ნექტარის შესმა შეუძლებელია. როდესაც კრშნას ფლეიტის ტრანსცენდენტული ხმა აჟღერდება, ერთგულის სურვილი, კვლავ და კვლავ ისმინოს ამ ფლეიტის ხმა, უნარს აძლევს მას, გააღწიოს მატერიალური სამყაროს საფარველს და შეიჭრას სულიერ ზეცაში, სადაც ფლეიტის ტრანსცენდენტული ხმა *გოპების* მიმდევართა ყურებში იღვრება. კრშნას ფლეიტის ხმა მუდამ გაისმის *გოპების* ყურებში და ზრდის მათ ექსტაზს. როდესაც იგი ჟღერს, ვერავითარი სხვა ხმა ვერ შევა მათ ყურებში და ოჯახში ყოფნისას ისინი კითხვებზე სწორად ვერ პასუხობენ, რადგან მათ ყურებში ათასგვარი მშვენიერი ხმა ვიბრირებს.

ამგვარად, უფალმა ჩაიტანჲამ განმარტა კრშნას ტრანსცენდენტული აღნაგობა, მისი ექსპანსიები, მისი სხეულის ბრწყინვალება და ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული. მოკლედ, უფალმა ჩაიტანჲამ განმარტა კრშნა როგორიც არის, და ის პროცესიც, რომლითაც მასთან მიახლოება შეიძლება. ამასთან დაკავშირებით ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუმ აღნიშნა, რომ კრშნას ერთგული სამსახური ერთადერთი პროცესია, რომლითაც მასთან მიახლოება შეიძლება. ეს არის ვედური ლიტერატურის დასკვნა. როგორც ბრძენები აცხადებენ: „თუკი ვინმე ვედურ ლიტერატურას ტრანსცენდენტული რეალიზაციის პროცესის შესახებ კითხვებით მიმართავს ან თუკი ვინმე

მიმართავს *პურუნენს* (რომლებიც ნათესაურ ლიტერატურად ითვლება), ნახავს, რომ ყოველი მათგანის დასკვნა ისაა, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება კრშნა თაყვანისცემის ერთადერთ ობიექტს წარმოადგენს".

კრშნა აბსოლუტური ჭეშმარიტება, ღმრთეების უზენაესი პიროვნებაა და იმყოფება თავის შინაგან პოტენციაში, რომელიც წოდებულია *სვარუპა-შაკტიდ*, ანუ *პტმა-შაკტიდ*, როგორც ეს „ბჰაგავად-გიტაშია" აღწერილი. იგი საკუთარ თავს ათასგვარ ფორმაში ავრცელებს და ზოგიერთ მათგანს მისი პიროვნული ფორმები ეწოდება, ზოგიერთს კი — მისი განცალკევებული ფორმები. ამრიგად, იგი მთელ სულიერ პლანეტებზეც და მატერიალურ სამყაროებშიც ტკბება. მისი განცალკევებული ფორმების ექსპანსიებს ეწოდებათ ცოცხალი არსებები და ეს ცოცხალი არსებები უფლის ენერგიების შესაბამისად არიან კლასიფიცირებული. ისინი იყოფიან ორ კლასად — მარად განთავისუფლებულად და მარად განპირობებულად. მარად განთავისუფლებული ცოცხალი არსებები არასოდეს მოდიან მატერიალურ ბუნებასთან ურთიერთობაში, ამიტომ მატერიალური სიცოცხლის არავითარი გამოცდილება არ გააჩნიათ. ისინი მარად კრშნას ცნობიერებით, ანუ უფლის ერთგული სამსახურით არიან დაკავებული და კრშნას თანამგზავრთა რიცხვს მიეკუთვნებიან. სიამოვნებას, სიცოცხლეში ერთადერთ განცხრომას ისინი კრშნას ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურით იღებენ. მეორეს მხრივ, მარად განპირობებულნი მუდამ გაყრილნი არიან კრშნას ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურს და ამდენად მატერიალური ყოფიერების სამგვარ გაჭირვებას ექვემდებარებიან. რაკი განპირობებული სული მარად ჩამოშორებულია კრშნას სამსახურს, მატერიალური ენერგიით მოჯადოებული, იგი ორი სახის სხეულს ღებულობს — ხუთი ელემენტისგან შემდგარ უხეშ სხეულს და

ნატიფ სხეულს, რომელიც ჭკუის, გონებისა და ეგოსაგან შედგება. ამ ორი სხეულით დაფარული განპირობებული სული მარად იტანჯება მატერიალური ყოფიერების ტკივილებისაგან, რომელსაც სამგვარი ტანჯვები ეწოდება. იგი ემორჩილება ექვს მტერსაც (ავხორცობას, მრისხანებას და სხვ.). ასეთია განპირობებული სულის განუწყვეტელი დაავადება.

დაავადებული და განპირობებული ცოცხალი არსება მთელ სამყაროში გადასახლდება. ხან მაღალ პლანეტარულ სისტემებშია, ხან კი — დაბალში. ამგვარად ეწევა იგი თავის ავადმყოფურ სიცოცხლეს. მისი სნეულების განკურნება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი შეხვდება და გაჰყვება გამოცდილ ექიმს, ჭეშმარიტ სულიერ მოძღვარს. როდესაც განპირობებული სული რწმენით მიჰყვება ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის დარიგებებს, მისი მატერიალური სნეულება იკურნება, იგი განთავისუფლების საფეხურზე მაღლდება, კვლავ კრშნას ერთგულ სამსახურს აღწევს და შინ, კრშნასთან ბრუნდება. განპირობებულ ცოცხალ არსებას უნდა ესმოდეს თავისი ჭეშმარიტი მდგომარეობა და ლოცულობდეს უფლისადმი: „კიდევ რამდენ ხანს ვიქნები სხეულის ამ ფუნქციების, ავხორცობისა და მრისხანების მბრძანებლობის ქვეშ?“ როგორც განპირობებული სულების მბრძანებლები, ავხორცობა და მრისხანება მუდამ უმოწყალონი არიან. სინამდვილეში, განპირობებული სული ვერასოდეს შეწყვეტს ასეთ ბოროტ ბატონთა სამსახურს. მაგრამ როდესაც იგი თავის ჭეშმარიტ ცნობიერებაში, კრშნას ცნობიერებაში მოვა, იგი უარყოფს ამ ბოროტ ბატონებს და კრშნასთან თავშესაფრის მოსაპოვებლად წრფელი და ღია გულით მიმართავს კრშნას. ამ დროს იგი ეკვედრება კრშნას, დაასაქმოს მის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურში.

ზოგჯერ როგორც თვითრეალიზაციის სხვადასხვა გზები, ვედურ ლიტერატურაში კარმიული საქმიანობები, მისტიური ჯოგა და ცოდნის სპეკულაციური გზით ძიება არის ხოტბაშესხმული, მაგრამ ასეთი ქება-დიდების მიუხედავად, ამ ლიტერატურაში უმაღლეს გზად ერთგული სამსახურის გზა არის აღიარებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითრეალიზაციის უმაღლესი სრულქმნის გზას უფალი კრშნას ერთგული სამსახური წარმოადგენს და მისი უშუალოდ შესრულება არის რეკომენდირებული. კარმიული საქმიანობა, მისტიკური მედიტაცია და ფილოსოფიური სპეკულაცია თვითრეალიზაციის არაუშუალო მეთოდები გახლავთ. ისინი არაუშუალოა, რადგან ერთგული სამსახურის გარეშე თვითრეალიზაციის უმაღლეს სრულყოფილებამდე ვერ მიუძღვება ადამიანს. მართლაც, თვითრეალიზაციის ყოველი გზა საბოლოო ჯამში ერთგულ სამსახურზეა დამოკიდებული.

თავი მეთერთმეტე

უფლის სამსახური

როდესაც ვედური ცოდნის უამრავი წიგნის დაწერის შემდეგაც კი ვჲასადევა უკმაყოფილო დარჩა, ნარადა მუნიმ, მისმა სულიერმა მოძღვარმა, განუმარტა, რომ არ არსებობს თვითრეალიზაციის გზა, რომელსაც ერთგული სამსახურის გარეშე წარმატების მოტანა შეეძლოს. გულდამძიმებული ვჲასადევა მდინარე სარასვატის ნაპირას იჯდა და ამ დროს მივიდა ნარადა მუნი. იხილა რა დამწუხრებული ვჲასა, ნარადამ აუხსნა მის მიერ შედგენილი წიგნების ნაკლი.

— წმინდა ცოდნაც კი არ არის საკმარისი ტრანსცენდენტული ერთგული სამსახურის გარეშე, — თქვა ნარადამ. — და რაღა უნდა ითქვას ერთგულ სამსახურს მოკლებულ კარმიულ საქმიანობებზე? რა სიკეთეს მოუტანს ისინი მათ შემსრულებელს?

მსხვერპლშეწირვათა შესრულებაში გამოცდილი მრავალი ბრძენი არსებობს; არსებობს მრავალი ადამიანი, რომელიც ხელგაშლილად გასცემს მოწყალებას; არსებობს მრავალი სახელგანთქმული პიროვნება, მეცნიერი და მოაზროვნე და ვედური ჰიმნების წარმოთქმაში უაღრესად გაწაფული ადამიანი. ეს საქმიანობები სასიკეთოა, მაგრამ თუკი ადამიანი არ გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს და უფლის ერთგული სამსახურის მისაღწევად არ იმოქმედებს, სასურველ შედეგებს ვერ მიიღებს. ამიტომ „შრიმად-ბჰაგავატამში“ (ბჰაგ. 2.4.17) შუკადეუა გოსვამი მოწი-

წებით ეთაყვანება უზენაეს უფალს როგორც ერთადერთ პიროვნებას, რომელსაც ჩვენთვის წარმატების მოტანა შეუძლია.

ყველა სახის ფილოსოფოსები და ტრანსცენდენტალისტები აღიარებენ, რომ ცოდნის უკმარობის შემთხვევაში მატერიალური ტყვეობიდან განთავისუფლება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ერთგული სამსახურის გარეშე ცოდნა განთავისუფლებამდე ვერ მიგვიყვანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *ჯ̃ნ̃ანას* ანუ ცოდნის კულტივირებას ადამიანის განთავისუფლების ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესწევს, როდესაც ერთგული სამსახურის გზაზე დააყენებს მას. ამას ადასტურებს ბრაჰმ̃აც „შრ̃იმად-ბჰ̃აგავატამში“ (ბჰაგ. 10.14.4):

შრეიაჰ̣-შრუტიმ̣ ბჰაკტიმ უდასიჲა ტე ვიბჰო
კლიშ̣ჲანტი ჲე კევალა-ბოდჰა-ლაბდჰაჲე
ტეშ̣ამ ასაუ კლეშ̣ალა ევა შიშ̣ჲატე
ნ̃ან̣ჲად ჲათჰ̃ სთჰ̣ულა-ტუშ̣ა̃ვაგჰ̃ატინ̃ამ

„ჩემო ძვირფასო უფალო, შენი ერთგული სამსახური თვითრეალიზაციის საუკეთესო გზაა. თუკი ვინმე მიატოვებს ამ გზას და ცოდნის განვითარების ან სპეკულაციური მსჯელობის გზას დაადგება, უბრალოდ ძნელ პროცესს გაივლის და სასურველი შედეგების მიღწევას ვერ შეძლებს. ის, ვინც ხორბლის უმარცვლო ჩენჩოს ბერტყავს, ვერ მიიღებს მარცვალს და ის, ვინც სპეკულაციური ცოდნითაა დაკავებული, ვერ მიაღწევს თვითრეალიზაციის სასურველ შედეგს. ერთადერთი მონაპოვარი გაჭირვება იქნება“.

„ბჰაგავად-გ̃ითა̃ში“ (ბ.გ. 7.14) ნათქვამია, რომ მატერიალური ბუნება იმდენად ძლიერია, რომ უბრალო ცოცხალ არსებას მისი გადალახვა არ ძალუძს. მატერიალური ყოფიერების ოკეანეს მხოლოდ ისინი გადალახავენ, ვინც

კრშნას ლოტოსის ტერფებს მიენდობიან. ცოცხალ არსებას ავიწყდება, რომ მარადიულად კრშნას მსახურია და მისი გულმავიწყობის გამო მას მატერიალური ენერგია იზიდავს და იგი განპირობებული ცხოვრების ტყვეობაში იმყოფება. მართლაც, ეს მიმზიდველობა მატერიალური ენერგიის ბორკილებია. სანამ მატერიალურ ბუნებაზე ბატონობის სურვილი არსებობს, განთავისუფლება ძალიან ძნელი გახლავთ. ამიტომ რეკომენდირებულია მივმართოთ სულიერ მოძღვარს, რომელსაც ერთგულ სამსახურში ადამიანის გაწვრთნა, მატერიალური ბუნების კლანჭებიდან თავის დახსნისა და კრშნას ლოტოსის ტერფების მიღწევის უნარის მიცემა შეუძლია.

ადამიანთა საზოგადოებაში მოვალეობის შესრულების გასაადვილებლად არსებობს რვა განაყოფი (*ბრაჰმანები*, ანუ ინტელექტუალური ხალხი; *კშატრიჲები*, ანუ მმართველები; *ვაიშჲები*, ანუ საქმოსნები და ფერმერები; და *შუდრები*, ანუ მუშები; აგრეთვე ოთხი *აშრამი: ბრაჰმაჩარრი*, ანუ მოწაფეობის ხანა; *გრჰასთჰა*, ანუ მეოჯახეობის ხანა; *ვანაპრასთჰა*, ანუ ამქვეყნიურ ცხოვრებას ჩამოშორებული; და *სანნჲასი*, ანუ განდეგილის ცხოვრების წესში მყოფი ადამიანი), მაგრამ თუკი ადამიანს ერთგულება, ანუ კრშნას ცნობიერება აკლია, იგი ვერ განთავისუფლდება მატერიალური ტყვეობიდან, მაშინაც კი, თუ მასზე დაწესებულ მოვალეობას ასრულებს. უფრო მეტიც, მატერიალური ცნობიერების გამო დაწესებული მოვალეობის შესრულებითაც კი ჯოჯოხეთში ჩაეშვება. ამიტომ მან, ვინც მასზე დაწესებულ მოვალეობას ასრულებს, ერთდროულად ერთგულ სამსახურში კრშნას ცნობიერება უნდა განივითაროს, თუკი მატერიალური კლანჭებიდან განთავისუფლება სურს.

ამ თვალსაზრისით, უფალ ჩაიტანჲას მოჰყავს ნარადა მუნის მიერ წარმოთქმული ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“, რაც *ბჰაგავატას* განვითარების გზას მიგვასწავლის.

ნარადა მუნიმ აღნიშნა, რომ ადამიანთა საზოგადოების ოთხი განაყოფი, ისევე როგორც სიცოცხლის ოთხი საფეხური, უფლის გიგანტური ფორმისგან არის შობილი. *ბრაჰმანები* უფლის სამყაროსეული ფორმის პირიდან იშვნენ, *კშატრიḍები* — ხელებიდან, *ვაიშḍები* — წელიდან და *შუḍრები* — ფეხებიდან. როგორც ასეთნი, *ვირაṭა-პურუშას* ფორმაში ისინი მატერიალური ბუნების სხვადასხვა მოდუსთა თვისებებს ფლობენ. თუკი პიროვნება უფლის ერთგული სამსახურით არ არის დაკავებული, იგი ეცემა თავისი მდგომარეობიდან, მიუხედავად იმისა, ასრულებდა მასზედ დაწესებულ პროფესიულ მოვალეობებს თუ არა.

შემდგომ უფალი ჩაიტანḍა გვასწავლის, რომ მაḍავადების ანუ იმპერსონალისტების სკოლის წარმომადგენლებს საკუთარი თავი ღმერთი ან განთავისუფლებულები ჰგონიათ, მაგრამ თავად ჩაიტანḍა მაჰაპრაბჰუსა და „შრიმად-ბჰაგავატამის“ აზრით, ისინი არ არიან ჭეშმარიტად განთავისუფლებულები. ამასთან დაკავშირებით ჩაიტანḍა მაჰაპრაბჰუს კვლავ მოჰყავს ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (10.2.32):

ḍე ’ნḍე ’რავინḍაკშა ვიმუკტა-მანინას
ტვაḍḍ ასტა-ბჰავად ავიშუḍḍჰა-ბუḍḍჰაḍაჰ
არუჰḍა კრჩჩჰრენა პარამ პადამ ტატაჰ
პატანტḍ ადჰო ’ნადრტა-ḍუშმად-ანგჰრაḍაჰ

„ისინი, ვისაც საკუთარი თავი მაḍავადთა ფილოსოფიის მიხედვით განთავისუფლებულებად მიაჩნიათ, მაგრამ უფლის ერთგულ სამსახურს არ ჰკიდებენ ხელს, ეცემიან ერთგული სამსახურის შეუსრულებლობის გამო, უმკაცრესი ეპითიმიებისა და ასკეზების გავლისას და უმაღლესი მდგომარეობის მიღწევის შემდეგაც კი“.

ჩაიტანḍა მაჰაპრაბჰუ განმარტავს, რომ კრშნა მზეს

ჰგავს, *მაჲა* ანუ მატერიალური ილუზორული ენერგია კი — წყვდიადს. მას, ვინც გამუდმებით კრშნას მზის შუქში იმყოფება, მატერიალური ენერგიის წყვდიადი ვერ შეაცდენს. ეს მეტად გარკვევით არის განმარტებული „შრიმად-ბჰაგავატამის“ ოთხ ძირითად ლექსში და ასევე დადასტურებულია სხვაგანაც „შრიმად-ბჰაგავატამში“ (ბჰაგ. 2.5.13), სადაც ნათქვამია: „ილუზორულ ენერგიას ანუ *მაჲას* რცხვენია უფლის წინაშე დგომა“. მიუხედავად ამისა, ცოცხალი არსებები სწორედ ამ ილუზორული ენერგიის მიერ განუწყვეტლივ არიან მოტყუებულნი. თავის განპირობებულ სტადიაში ცოცხალი არსება ათასგვარ სიტყვათა თამაშს იგონებს, რათა *მაჲას* კლანჭებიდან მოჩვენებითი განთავისუფლება მოიპოვოს, მაგრამ თუკი გულწრფელად მიენდობა კრშნას უბრალოდ იმით, თუ ერთხელ ეტყვის: „ჩემო ძვირფასო უფალო კრშნა, დღეიდან შენი ვარ“, იგი უმალვე განთავისუფლდება მატერიალური ენერგიის კლანჭებიდან. ეს დადასტურებულია აგრეთვე „რამაჲანაში“, „ლანკა-კანდაში“ (18.33), სადაც უფალი ამბობს:

საკრდევა პრაპანნო დას
ტავასმიტი ჩა დაჩატე
აბჰაჲამ სარვადა ტასმაი
დადამჲ ეტად ვრატამ მამა

„ჩემი დაპირება და მოვალეობაა ყოველმხრივ დავიცვა ის, ვინც უსიტყვოდ მომენდობა“. ადამიანი შეიძლება კარმიული საქმიანობებით, განთავისუფლებით, *ჯნანათი* ან *ბოგას* სისტემის სრულყოფილებით ტკბებოდეს, მაგრამ თუკი გონიერი გახდება, უარს იტყვის ყოველ ამ გზაზე და უფლის გულწრფელ ერთგულ სამსახურს დაიწყებს. „შრიმად-ბჰაგავატამშიც“ (2.3.10) დადასტურებულია, რომ მა-

შინაც კი, როცა ადამიანს მატერიალური განცხრომა ან განთავისუფლება სურს, იგი ერთგულ სამსახურს უნდა ეწეოდეს. ისინი, ვისაც ერთგული სამსახურის სანაცვლოდ მატერიალური შედეგების მიღება სურთ, წმინდა ერთგულები არ არიან, მაგრამ რადგან ისინი ერთგულ სამსახურს ეწევიან, იღბლიან არსებებად უნდა ჩაითვალონ. მათ არ იციან, რომ ერთგული სამსახურის შედეგი მატერიალური კეთილდღეობა არ არის, მაგრამ რადგან ისინი უფლის ერთგულ სამსახურს ეწევიან, საბოლოო ჯამში ხვდებიან, რომ მატერიალური განცხრომა არ წარმოადგენს ერთგული სამსახურის მიზანს. თავად კრშნა ამბობს, რომ ისინი, ვისაც ერთგული სამსახურის სანაცვლოდ გარკვეული მატერიალური სარგებელი სურთ, უდაოდ სულელები არიან, რადგან უნდათ ის, რაც მოშხამავთ. ერთგული სამსახურის ჭეშმარიტი მიზანი ღმრთეების სიყვარულია და ვინმეს კრშნასგან მატერიალური სარგებელიც რომ სურდეს, ყოვლისშემძლე უფალი ითვალისწინებს მის მდგომარეობას და თანდათანობით ანთავისუფლებს მას მატერიალური მისწრაფებებისგან და სულ უფრო მეტად ასაქმებს ერთგულ სამსახურში. ერთგული სამსახურით რეალურად დაკავებულ ადამიანს ავიწყდება თავისი მატერიალური მისწრაფებები და სურვილები. ეს აგრეთვე დადასტურებულია „შრიმად-ბჰაგავატამშიც“ (5.19.27):

სატდამ დიშატდ ართჰიტამ ართჰიტო ნრნჳმ
ნაიჳრთჰადო დატ პუნარ ართჰიტჳ დატაჭ
სვადამ ვიდჰატტე ბჰაჯატჳმ ანიჩჩჰატჳმ
იჩჩჰჳ-პიდჰჳნამ ნიჯა-პჳდა-პალლავამ

„უფალი კრშნა უდაოდ უსრულებს სურვილებს თავის ერთგულებს, რომლებიც მის ერთგულ სამსახურში მოდიან, მაგრამ არ აუსრულებს იმ სურვილებს, რომლებიც

კვლავ ტანჯვებს მოუტანს. მატერიალური მისწრაფებების მიუხედავად, ტრანსცენდენტული სამსახურის შესრულებით ასეთი ერთგულები თანდათანობით იწმინდებიან მატერიალური სიამოვნებისაგან და მათ ერთგული სამსახურით სიამოვნების სურვილი უჩნდებათ".

როგორც წესი, ხალხი ერთგულებთან იმისათვის იწყებს ურთიერთობას, რომ გარკვეული მატერიალური მოთხოვნილებები შეიმსუბუქოს, მაგრამ წმინდა ერთგულის გავლენა იმდენად ათავისუფლებს ადამიანს ყოველგვარი მატერიალური სურვილისაგან, რომ თანდათანობით იგი ერთგული სამსახურის გემოთი ტკბობას იწყებს. ერთგული სამსახური იმდენად წმინდაა, რომ ასპეტაკებს ერთგულს და ავიწყებინებს ყოველგვარ მატერიალურ მისწრაფებას, როგორც კი სრულიად ჩაერთვება კრშნას ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურში. ამის პრაქტიკული მაგალითია დჰრუვა მაჰარაჯა, რომელსაც კრშნასგან მატერიალური რამ უნდოდა და ამიტომ ერთგული სამსახური დაიწყო. როდესაც უფალი ოთხხელიანი ვიშნუს სახით მოევლინა დჰრუვას, დჰრუვამ უთხრა უფალს: „ჩემო ძვირფასო უფალო, რადგან დიდი ეპითიმიებითა და ასკეზებით შენს ერთგულ სამსახურს ვეწეოდი, ახლა შენ გხედავ. დიდ ნახევარღმერთებსა და დიად ბრძენებსაც უჭირთ შენი დანახვა. ახლა დავკმაყოფილდი და ჩემი ყოველი სურვილი ასრულებულია. სხვა არაფერი მინდა. დამსხვრეულ შუშებს ვეძებდი, სანაცვლოდ კი დიდი და ძვირფასი თვალი აღმოვაჩინე". ამრიგად, დჰრუვა მაჰარაჯა სრულიად დაკმაყოფილდა და უფლისათვის რაიმეს თხოვნაზე უარი თქვა.

ცოცხალ არსებას, რომელიც სიცოცხლის 8 400 000 სახეობაში გადასახლდება, ზოგჯერ მდინარის დინებას მოყოლილ მორს ადარებენ. ზოგჯერ მორი ნაპირს ეჯახება და ამის გამო გადაურჩება კვლავ დინების გაყოლას. „შრი-

მად-ბჰაგავატამში“ (10.38.5) არის ლექსი, რომელიც ასე მოუწოდებს განპირობებულ სულს: „არავის უნდა გაუტყდეს გული იმის ფიქრით, რომ ვერასოდეს დააღწევს თავს მატერიის კლანჭებს, რადგან არსებობს ხსნის შესაძლებლობა, ისევე როგორც მდინარის დინებას გაყოლილი მორის ნაპირზე გამოსვლაა შესაძლებელი“. ამ ხელსაყრელ შესაძლებლობას იხილავს უფალი ჩაიტანდაც. ასეთი იღბლიანი შემთხვევები ცოცხალი არსების განპირობებული ცხოვრების დასასრულის საწყისად ითვლება და ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანი უფლის წმინდა ერთგულებთან ურთიერთობას იწყებს. წმინდა ერთგულებთან ურთიერთობაში იგი ნამდვილად ინვითარებს კრშ̣ნასადმი ლტოლვას. არსებობს სხვადასხვა სახის რიტუალები და საქმიანობები და ზოგიერთი მათგანი კარმიულ საქმიანობებში გადადის, ზოგი კი — მატერიალურ განთავისუფლებაში, მაგრამ თუკი ცოცხალი არსება იმ რიტუალურ საქმიანობებს მოჰკიდებს ხელს, რომლითაც წმინდა ერთგულებთან ურთიერთობაში უფლის წმინდა ერთგული სამსახური ვითარდება, მაშინ ერთგული სამსახური ბუნებრივად მიიზიდავს მის ჭკუას. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.51.54) მუჩუკუნდა ამბობს:

ბჰავაპავარგო ბჰრამატო დადა ბჰავეჯ
ჯანასდა ტარჰდ აჩდუტა სატ-სამაგამაჭ
სატ-სანგამო დარჰი ტადაივა სად-გატაუ
პარავარეშე ტვადი ჯაადატე მატიჭ

„ჩემო ძვირფასო უფალო, ამ მატერიალურ სამყაროში სიცოცხლის სხვადასხვა სახეობაში მოგზაურობისას ცოცხალმა არსებამ შეიძლება განთავისუფლებისკენ წაიწიოს. მაგრამ თუკი შემთხვევით, წმინდა ერთგულთან ურთიერთობაში მოვა, ჭეშმარიტად განთავისუფლდება მატერიალური ენერგიის კლანჭებიდან და შენი, ღმრთეების პიროვნების ერთგული გახდება“.

როდესაც განპირობებული სული კრშნას ერთგული ხდება, უფალი, თავისი უმიზეზო წყალობით, ორგვარად წვრთნის მას: გარედან სულიერი მოძღვრის საშუალებით და შიგნიდან — ზესულის სახით. როგორც „შრიმად-ბჰაგავატამშია“ (11.29.6) ნათქვამი: „ჩემო ძვირფასო უფალო, თუკი ვინმე ბრაჰმანს სიცოცხლის განმავლობაში იცოცხლებს, მაინც ვერ გამოხატავს თავის მადლიერებას იმ სიკეთის გამო, რასაც შენი გახსენება იძლევა. შენი უმიზეზო წყალობით აქრობ ყოველგვარ არასასიკეთო პირობებს, ვლინდები რა გარედან სულიერი მოძღვრისა და შიგნიდან ზესულის სახით“.

თუკი ცოცხალი არსება როგორმე სულიერ მოძღვარს მიუახლოვდება და ამით კრშნას ერთგული სამსახურის სურვილს განივითარებს, თანდათანობით ღმრთეების სიყვარულის საფეხურამდე ავა და ამით თავს დააღწევს მატერიალური ენერგიის კლანჭებს. ეს განმარტებულია „შრიმად-ბჰაგავატამშიც“ (11.20.8), სადაც უფალი თავად ამბობს: „ვისაც თავისთავად იზიდავს ჩემი საქმიანობები — ვისაც მატერიალური საქმიანობები არ აცთუნებს და არც ეზიზღება — მისთვის იხსნება ღმერთის სიყვარულის სრულქმნისაკენ მიმავალი ერთგული სამსახურის გზა“. მაგრამ წმინდა ერთგულის ანუ *მაჰატმას*, დიადი სულის წყალობის გარეშე სრულყოფილების საფეხურის მიღწევა შეუძლებელია. დიადი სულის წყალობის გარეშე გამორიცხულია მატერიის კლანჭებიდან განთავისუფლება და რაღა გვეთქმის ღმრთეების სიყვარულის საფეხურზე აღმართვაზე. ეს დადასტურებულია „შრიმად-ბჰაგავატამშიც“ (5.12.12) საუვირას პროვინცია სინდის მეფე რაჰუგანას საუბარში მეფე ბჰარატასთან. როდესაც მეფე რაჰუგანამ განცვიფრება გამოხატა მეფე ბჰარატას სულიერი მიღწევების ხილვის გამო, ბჰარატამ უპასუხა:

რაჰუგანაიტატ ტაპასა ნა ადატი
ნა ჩეჯდადა ნირვაპან�დ გრჰად ვა

ნა ჩჩჰანდასჯ ნაივა ჯალჯგნი-სურიაირ
ვინჯ მაჰატ-ჰჯდა-რაჯო 'ბჰიშეკამ

„ჩემო ძვირფასო რაჰუგანა, დიადი სულის, ანუ წმინდა ერთგულის წყალობის გარეშე ვერავინ მიაღწევს ერთგული სამსახურის სრულყოფილ სტადიას. ვერავინ მიაღწევს სრულყოფილების სტადიას უბრალოდ წმინდა წერილთა მარეგულირებელი პრინციპების დაცვით, განდეგილის ცხოვრების წესის მიღებით, მეოჯახის ცხოვრების წესისათვის არსებული მოვალეობების შესრულებით, სულიერი მეცნიერების დაწვრილებით შესწავლით, რეალიზაციის მიზნით მკაცრი ასკეზებისა და ეპითიმიების შესრულებით“. სწორედ ასევე, როდესაც ათეისტმა მამამ, ჰირანიაკაშიპუმ ჰკითხა თავის შვილს, პრაჰლადა მაჰარაჯას, როგორ მიიზიდა იგი ერთგულმა სამსახურმა, ბავშვმა მიუგო: „სანამ ადამიანი წმინდა ერთგულთა ტერფთა მტვრის წყალობას არ მიიღებს, ვერც კი მიუახლოვდება ერთგული სამსახურის გზას, რომელიც მატერიალური სიცოცხლის ყოველი პრობლემის ამოხსნას იძლევა“ (ბჰაგ. 7.5.32).

ამრიგად, უფალმა ჩაიტანიამ უთხრა სანატანა გოსვამის, რომ ყოველი წმინდა წერილი ღმრთეების წმინდა ერთგულებთან ურთიერთობას უსვამს ხაზს. უზენაესი უფლის წმინდა ერთგულთან ურთიერთობის შესაძლებლობა ცოცხალი არსების სრულყოფილების დასაწყისი გახლავთ. ეს დადასტურებულია „შრიმად-ბჰაგავატამშიც“ (1.18.13), სადაც ნათქვამია, რომ წმინდა ერთგულთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ სიკეთესა და კურთხევებს ვერაფერი შეედრება ვერც ზეციურ სამეფომდე ასვლა და ვერც მატერიალური ენერგიისგან განთავისუფლება. ამას ადასტურებს უფალი კრშნაც „ბჰაგავად-გიტას“ ყველაზე საკრალურ დარიგებაში, სადაც ეუბნება არჯუნას:

მანმანꣳ ბჰავა მად-ბჰაკტო
მად-ꣳꣳ꣯ჯი მꣳꣳ ნამასკურუ
მꣳꣳ ევაისꣳꣳ꣯ასი სატꣳꣳ꣯ტე
პრატიჯꣳꣳ꣯ნე პრიꣳꣳ꣯ო ꣳꣳ꣯ი მე

„მუდამ ჩემზე იფიქრე და ჩემი ერთგული გახდი. თაყვანი მეცი და ქედი მოიხარე ჩემს წინაშე. ასე უდაოდ მოხვალ ჩემთან. მე გპირდები ამას, რადგან შენ ჩემი მეტად ძვირფასი მეგობარი ხარ“ (18.65).

კრშნასგან მიღებული ასეთი უშუალო მითითება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი ვედური დარიგება ან მოწესრიგებული სამსახურიც კი. ცხადია, არსებობს მრავალი ვედური დანაწესი, რიტუალისტური და სამსხვერპლო ცერემონია, მარეგულირებელი მოვალეობა, მედიტაციის ტექნიკა და ცოდნის მისაღწევი სპეკულაციური პროცესი, მაგრამ კრშნას უშუალო ბრძანება — „მუდამ ჩემზე იფიქრე და ჩემი ერთგული გახდი“ — უფლის საბოლოო ბრძანებად უნდა ვაღიაროთ და შევასრულოთ იგი. თუკი ადამიანი უბრალოდ დარწმუნებულია ამ განკარგულებაში, ტოვებს ყოველგვარ სხვა საქმიანობას და ერთგულ სამსახურს იწყებს, უეჭველად მიაღწევს წარმატებას. ამ განაცხადის დასადასტურებლად „შრიმად-ბჰაგავატამი“ (11.20.9) ამბობს, რომ ადამიანი სხვა გზებს მანამ უნდა გაჰყვეს, სანამ არ დარწმუნდება უფალი შრი კრშნას უშუალო ბრძანებაში. „შრიმად-ბჰაგავატამისა“ და „ბჰაგავად-გიტას“ დასკვნა ის გახლავთ, რომ უფლის უშუალო ბრძანებაა, მივატოვოთ ყველაფერი და ერთგულ სამსახურს შევუდგეთ.

უფლის ბრძანების შესასრულებლად მტკიცე დაჯერებულობას რწმენა ეწოდება. თუკი კაცს რწმენა აქვს, იგი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ უბრალოდ უფალი კრშნასადმი ერთგული სამსახურის გაწევით თავისთავად

შესრულდება ყოველი სხვა საქმიანობა — რიტუალური მოვალეობები, მსხვერპლშეწირვები, *დოგასა* და ცოდნის სპეკულაციური გზით ძიება. თუკი ადამიანი დარწმუნებულია, რომ უფლის ერთგული სამსახური ყველაფერს მოიცავს, არავითარი სხვა საქმიანობა არ არის საჭირო. როგორც „შრიმად-ბჰაგავატამშია“ ნათქვამი (4.31.14):

დათჰა ტარორ მულა-ნიშეჩანენა
ტრპდანტი ტატ-სკანდჰა-ბჰუჯოპაშაქჰა
პრანოპაჰარაჩ ჩა დათჰენდრიდანამ
ტათჰაიეა სარვარჰანამ აჩდუტეჯდა

„ხის ფესვის მორწყვით ტოტები, ყლორტები და ნაყოფები თავისთავად იკვებება და კუჭისათვის საჭმლის მიწოდებით ყოველი გრძნობა კმაყოფილდება. სწორედ ასევე, კრშნასადმი ერთგული სამსახურის მიზღვით ცოცხალი არსება თავისთავად აკმაყოფილებს დანარჩენი სახის თაყვანისცემის ყოველ მოთხოვნილებასაც“. ვისაც სწამს და მტკიცედ დაჯერებულია ამაში, ღირსია წმინდა ერთგულის დონეზე ამაღლებისა.

რწმენის ხარისხის მიხედვით ერთგულთა სამი კლასი არსებობს. პირველი კლასის ერთგულმა იცის მთელი ვედური ლიტერატურა და ამავე დროს ზემოაღნიშნული მტკიცე დაჯერებულობა აქვს. მას მატერიალური გაჭირვებიდან სხვების დახსნა შეუძლია. მეორე კლასის ერთგული მტკიცედ დარწმუნებულია და ურყევი რწმენა აქვს, მაგრამ დასამოწმებლად განდობილი წმინდა წერილებიდან ადგილების მოყვანა არ ძალუძს. მესამე კლასის ერთგული ისაა, ვისაც ძლიერი რწმენა არ გააჩნია, მაგრამ ერთგული სამსახურის თანდათანობითი გაღრმავებით, ბოლოს მეორე ან პირველი კლასის მდგომარეობამდე ამაღლების ღირსი ხდება. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (11.2.45-47)

ნათქვამია, რომ პირველი კლასის ერთგული მუდამ ხედავს უზენაეს უფალს ყოველი ცოცხალი არსების სულად. ამრიგად, ყოველი ცოცხალი არსების ხილვისას, კრშნას ხედავს და სხვას არაფერს. მეორე კლასის ერთგულს სრული რწმენა აქვს ღმრთეების უზენაესი პიროვნებისა, მეგობრობს წმინდა ერთგულებთან, წყალობს უმანკოებს და ერიდება ათეისტებს ან მათ, ვინც ერთგულ სამსახურს ეწინააღმდეგებიან. მესამე კლასის ერთგული დაკავებულია ერთგული სამსახურით სულიერი მოძღვრის დარიგებათა თანახმად ან ოჯახური ტრადიციის გამო და თაყვანს სცემს უფლის ღვთაებას, მაგრამ ერთგული სამსახურის ცოდნა არა აქვს განვითარებული და ვერ არჩევს ერთგულს არაერთგულისგან. ასეთი მესამე კლასის ერთგული სინამდვილეში წმინდა ერთგულად არ შეიძლება ჩაითვალოს; იგი თითქმის ერთგულების სფეროში იმყოფება, მაგრამ მისი მდგომარეობა მეტად სახიფათოა.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც პიროვნება ღმერთის სიყვარულისა და ერთგულებთან მეგობრობის ნიშნებს ავლენს, წყალობას იჩენს უმანკოთა მიმართ და გაურბის არაერთგულებთან ურთიერთობას, იგი წმინდა ერთგულად უნდა ჩაითვალოს. ერთგული სამსახურის განვითარებით, ასეთ პიროვნებას შეუძლია იმის დანახვა, რომ ყოველი ცოცხალი არსება უზენაესის განუყოფელ ნაწილაკს წარმოადგენს. მას შეუძლია ყოველ ცოცხალ არსებაში უზენაესი პიროვნება დაინახოს და ამიტომ იგი მეტად ამაღლებულია კრშნას ცნობიერებაში. ამ საფეხურზე იგი აღარ ანსხვავებს ერთგულსა და არაერთგულს, რადგან ყველას უფლის სამსახურში ხედავს. იგი ყოველი დიადი თვისების განვითარებას აგრძელებს და ამავე დროს კრშნას ცნობიერებითა და ერთგული სამსახურით არის დაკავებული. როგორც „შრიმად-ბჰაგავატამშია“ (5.18.12) ნათქვამი:

ᲓᲐᲡᲓᲔᲡᲢᲘ ᲑᲭᲐᲙᲢᲘᲠ ᲑᲭᲐᲒᲐᲕᲐᲢᲓ ᲐᲙᲘᲜᲩᲐᲜᲔ
ᲡᲐᲠᲕᲐᲘᲠ ᲒᲣᲜᲐᲘᲡ ᲢᲐᲢᲠᲐ ᲡᲐᲛᲔᲡᲐᲢᲔ ᲡᲣᲠᲔᲭ
ᲭᲐᲠᲔᲕ ᲐᲑᲭᲐᲙᲢᲐᲡᲓᲐ ᲙᲣᲢᲝ ᲛᲐᲭᲐᲓ-ᲒᲣᲜᲔ
ᲛᲐᲜᲝ-ᲠᲐᲗᲭᲔᲜᲔᲡᲐᲢᲘ ᲓᲭᲔᲕᲐᲢᲝ ᲑᲐᲭᲘᲭ

„ის, ვინც უზენაესი უფლის წმინდა, შეურეველ ერთგულ სამსახურს აღწევს, ივითარებს ნახევარღმერთთა ყოველ კარგ თვისებას, მაშინ როდესაც პიროვნება, რომელიც ასეთ სამსახურს არ მიჰყვება, მთელი მატერიალური ღირსებების მიუხედავად აუცილებლად აცდება ჭეშმარიტ გზას, რადგან მენთალურ სიბრტყეზე დახეტიალობს“. ამრიგად, მატერიალურ ღირსებებს ერთგულ სამსახურში არავითარი ფასი არ გააჩნია.

თავი მეთორმეტე

ერთგული

კრშნას ცნობიერებაში მყოფი პიროვნება, რომელიც ბოლომდე თავდადებულია უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურისადმი, ნახევარღმერთთა ყოველ კარგ თვისებას ივითარებს. მრავალი ღვთაებრივი თვისება არსებობს, მაგრამ უფალი ჩაიტანდა მხოლოდ რამოდენიმე მათგანს უხასიათებს სანპტანა გოსვპმის. უფლის ერთგული მუდამ კეთილია ყველას მიმართ და არავისთან არ ჩხუბობს. მას სიცოცხლის არსი აინტერესებს, რომელიც სულიერია. თანაბრად არის განწყობილი ყველასადმი და ვერავინ მოუნახავს რაიმე ნაკლს. მისი დიდსულოვანი ჭკუა მუდამ საღია და წმინდა და თავისუფალი მატერიალური აკვიატებული აზრებისაგან. იგი არის ყოველი ცოცხალი არსების კეთილისმყოფელი, მშვიდი და მუდამ კრშნაზე მინდობილი. მატერიალური სურვილები არ გააჩნია. უაღრესად თავმდაბალი და განმტკიცებულია თავის მიზანში. იმარჯვებს ექვს მატერიალურ თვისებაზე, როგორიცაა ავხორცობა და მრისხანება და არ ჭამს იმაზე მეტს, რაც საჭიროა. მუდამ საღად აზროვნებს და პატივს სცემს სხვებს, მაგრამ საკუთარ პატივისცემას არ მოითხოვს. სერიოზული, მწყალობელი, მეგობრული, პოეტური, მარჯვე და ჩუმია.

უფლის ერთგული დახასიათებულია „შრიმად-ბჰაგავატამშიც“ (3.25.21), სადაც ნათქვამია, რომ იგი მუდამ ამტანი და მწყალობელია. როგორც ყოველ ცოცხალ არსებათა მეგობარს, მას მტერი არა ჰყავს. მშვიდია და ყოველ

კარგ თვისებას ფლობს. ეს კრშნას ცნობიერებაში მყოფი ერთგულის დამახასიათებელი რამოდენიმე თვისებაა მხოლოდ.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ ნათქვამია, რომ ადამიანისთვის, რომელსაც დიადი სულის — *მაჰატმას* — მსახურების შესაძლებლობა ეძლევა, განთავისუფლების კარები ხსნილია. მაგრამ მატერიალისტებს მიჯაჭვულნი წყვდიადის გზას ადგანან. ჭეშმარიტი წმინდანები ტრანსცენდენტულები, თავშეკავებულები, მშვიდები, ყოველი ცოცხალი არსების მეგობრები არიან და მრისხანების გავლენაში არ ექცევიან. უბრალოდ ასეთ წმინდანებთან ურთიერთობით კრშნას ცნობიერ ერთგულად გახდომა შეიძლება. მართლაც, ღმრთეების სიყვარულის განვითარებისთვის წმინდან ერთგულებთან ურთიერთობაა საჭირო. სულიერ ცხოვრებაში სრულყოფის გზა ხსნილია ყველასათვის, ვინც კი წმინდანთან ურთიერთობაში მოვა და ერთგულის გზის გაყოლით ადამიანი აუცილებლად განივითარებს კრშნას ცნობიერებას სრულ ერთგულ სამსახურში.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ (11.2.28) ვასუდევა, კრშნას მამა, ნარადა მუნის ყოველი ცოცხალი არსების კეთილდღეობის შესახებ ეკითხება და პასუხად ნარადა მუნის მოჰყავს ადგილი მაჰარაჯა ნიმის საუბრიდან ცხრა ბრძენთან. „ო წმინდანო ბრძენებო“, — თქვა მეფე ნიმიმ, „მე უბრალოდ ყოველი ცოცხალი არსების კეთილდღეობის გზის მიგნებას ვცდილობ. წმინდან ადამიანებთან წამით ურთიერთობა ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში, რადგან ეს წამი სულიერი ცხოვრების განვითარების გზას ხსნის“. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (3.25.25) ეს სხვაგანაც არის დამტკიცებული. წმინდანებთან ურთიერთობისა და მათთან ერთად ტრანსცენდენტული თემების განხილვის შედეგად ადამიანი სულიერი სიცოცხლის ფასში რწმუნდება. კრშნას შესახებ მოსმენა ძალიან მალე ყურისთვის სასიამოვნო ხდება და გულის დაკმაყოფილებას იწყებს. თუკი

წმინდანების, ანუ წმინდა ერთგულებისგან ასეთი სულიერი ეპისტოლეების მოსმენის შემდეგ ადამიანი მათ ცხოვრებაში გამოყენებას შეეცდება, კრშნას ცნობიერების გზა ბუნებრივად გადაიზრდება რწმენაში, მიჯაჭვულობასა და ერთგულ სამსახურში.

შემდეგ უფალმა ერთგულის მოქცევის შესახებ უამბო სანპტანა გოსვამის. მთავარი ისაა, რომ იგი მუდამ ჩამოშორებული უნდა იყოს არაწმინდანთა ურთიერთობას. ამაში მდგომარეობს ერთგულის ქცევის არსი. და რა არის უწმინდური ურთიერთობა? ესაა ურთიერთობა მასთან, ვინც მეტადაა მიჯაჭვული ქალებს და არ არის უფალი კრშნას ერთგული. ესენი არაწმინდანი პიროვნებები არიან. რეკომენდირებულია, ურთიერთობა მხოლოდ უფლის წმინდან ერთგულებთან ვიქონიოთ და გულდასმით ვერიდოთ არაერთგულებთან ურთიერთობას. კრშნას წმინდა ერთგულები მუდამ ფრთხილობენ, რომ არ დაამყარონ ურთიერთობა ამ ორი სახის არაერთგულებთან. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (3.31.33-35) ნათქვამია, რომ ადამიანმა უნდა მიატოვოს ყოველგვარი ურთიერთობა პიროვნებასთან, რომელიც სათამაშოა ქალების ხელში, რადგან ასეთ არაწმინდა პიროვნებასთან ურთიერთობით იგი დაკარგავს ყოველ კარგ თვისებას, როგორიცაა სიმართლე, სიწმინდე, მოწყალება, სერიოზულობა, გონიერება, მორცხვობა, სილამაზე, სახელმოხვეჭილობა, შემწყნარებლობა, ჭკუისა და გრძნობების კონტროლი და ყოველი სიდიადე, რომელსაც ერთგული თავისთავად იძენს. ადამიანი ყველაზე მეტად მაშინ დეგრადირდება, როცა ქალებზე მეტისმეტად მიჯაჭვულ პიროვნებებთან აქვს ურთიერთობა.

ამასთან დაკავშირებით უფალ ჩაიტანიას მოჰყავს ლექსი „კუტ�ანა-სამჰიტაdანაც“: „კაცს უჯობს, ცეცხლით სავსე გალიაში იყოს დამწყვდეული, ვიდრე ურთიერთობა იქონიოს მათთან, ვინც უფლის ერთგულები არ

არიან“. აგრეთვე იმასაც გვირჩევენ, სახეზეც არ შევხედოთ მათ, ვინც არარელიგიურნი ან უზენაესი უფლისადმი ერთგულებას მოკლებულნი არიან. უფალი ჩაიტანḍა გვირჩევს ყოველმხრივ ჩამოვშორდეთ არასასურველ პიროვნებებს და უზენაესი უფალი კრშṇას სრული თავშესაფარი ვპოვოთ. იგივე დარიგება ეძლევა არჯუნასაც „ბჰაგავად-გīტāს“ ბოლო ლექსებში, სადაც კრშṇა ამბობს: „უბრალოდ მიატოვე ყველაფერი და მე მომენდე. მე ვიზრუნებ შენზე და დაგიცავ ცოდვითი მოქმედებების ყოველგვარი შედეგებისაგან“ (18.66). უფალი მეტად კეთილია თავისი ერთგულებისადმი და მეტად მადლიერი, შემძლე და დიდსულოვანია. ჩვენი ვალია, გვჯეროდეს მისი სიტყვებისა და თუკი გონიერები და საკმარისად განათლებულები ვართ, უყოყმანოდ გავყვებით მის დარიგებებს. „შრīმად-ბჰāგავატამში“ (10.48.36) აკრურა ეუბნება კრშṇას:

კაჰ პან̣ḍიტას ტვად აპარამ̇ შარან̣ам̇ სამīḍād
ბჰაკტა-პრიḍād ṛṭa-gīrāḥ̇ suḥṛdāḥ̇ kṛṭa-jñīṭa
sarvān̄ dadāṭi suḥṛdo bhajaṭo 'bhīkṣamāṇān
āṭmānaṁ apī ḍ upāhṛḍāpāhṛāḍau na ḍāsḍa

„ვის შეუძლია შენს გარდა ვინმე სხვას მიენდოს? ვინ არის შენსავით ძვირფასი, მართალი, მეგობრული და მადლიერი? შენ იმდენად სრულყოფილი და სრული ხარ, რომ თუმცა საკუთარ თავს შენს ერთულებს აძლევ, მაინც სრული და სრულყოფილი რჩები. შენი ერთგულის ყოველი სურვილის დაკმაყოფილება და მისადმი თავის განდობაც კი შეგიძლია“. პიროვნება, რომელიც გონიერია და კრშṇას ცნობიერების ფილოსოფიის გაგების ძალა შესწევს, ბუნებრივად ანებებს ყველაფერს თავს და კრშṇას თავშესაფარს ღებულობს. ამასთან დაკავშირებით, უფალ ჩაიტანḍას მოჰყავს უდḍჰავას მიერ „შრīმად-ბჰāგავატამში“

(3.2.23) ნათქვამი ლექსი: „როგორ უნდა შეაფაროს კაცმა თავი ვინმეს კრშნას გარდა? იგი ესოდენ კეთილია. მიუხედავად იმისა, რომ როცა კრშნა ჩვილი ბავშვი იყო, ბაკჯსურას დამ მისი მოკვლა ჩაიფიქრა, ძუძუებზე შხამი წაისვა, კრშნას მოსაწოვად მისცა და ამის გამო მოკვდა, ეს საზარელი ქალი მაინც განთავისუფლდა და კრშნას დედის დონემდე იქნა ამაღლებული“. ეს ლექსი ეხება იმ დროს, როდესაც პუტანამ კრშნას მოკვლა განიზრახა. კრშნამ მიიღო ამ დემონი ქალის შხამიანი ძუძუები და რძესთან ერთად სიცოცხლეც გამოსწოვა. მიუხედავად ამისა, პუტანა კრშნას დედის მდგომარეობამდე ამაღლდა.

სრულიად მინდობილ სულსა და განდეგილის ცხოვრების წესში მყოფ ადამიანს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. ერთადერთი განსხვავება ის გახლავთ, რომ სრულიად მინდობილი სული ბოლომდე კრშნაზეა დამოკიდებული. მინდობის ექვსი ძირითადი რეკომენდაცია არსებობს. პირველი ის გახლავთ, რომ ადამიანმა უნდა მიიღოს ყველაფერი, რაც სასიკეთოა ერთგული სამსახურის შესრულებისათვის და მზად იყოს ამ პროცესის მიღებისათვის. მეორე იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა უარი უნდა თქვას ყველაფერზე, რაც არასასიკეთოა ერთგული სამსახურის შესრულებისთვის და მზად უნდა იყოს ყოველივე ამის მიტოვებისათვის. მესამე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მხოლოდ კრშნას შეუძლია მისი დაცვა და ბოლომდე უნდა სწამდეს უფლის მფარველობისა. იმპერსონალისტი ფიქრობს, რომ თავისი ჭეშმარიტი არსით ერთიანია კრშნასთან, მაგრამ ერთგული მეობას ასე არ ისპობს. იგი ცოცხლობს იმ სრული რწმენით, რომ კრშნა ყოველმხრივ მოწყალედ დაიცავს მას. მეოთხე — ერთგულს ყოველთვის უნდა ესმოდეს, რომ კრშნა ასულდგმულებს მას. საქმიანობათა ნაყოფებით დაინტერესებულნი, როგორც წესი, მფარველობას ნახევარღმერთებისგან ელიან, მაგრამ კრშნას ერთგული არც ერთ ნახევარღმერთს არ

სთხოვს მფარველობას. იგი სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ კრშნა დაიცავს მას ყოველგვარი არასასიკეთო პირობებისგან. მეხუთე — ერთგულს მუდამ ესმის, რომ მისი სურვილები დამოუკიდებელი არ არის; თუკი კრშნას არ სურს მათი ასრულება, ისინი ვერ ასრულდება. და ბოლოს, მან საკუთარი თავი მუდამ ყველაზე დაცემულ სულად უნდა ჩათვალოს, რათა კრშნამ იზრუნოს მასზე.

ასეთმა მინდობილმა სულმა თავშესაფარი უნდა ჰპოვოს წმინდა ადგილებში, როგორიცაა ვრნდავანი, მათჰურა, დვარაკა, მაḍაპური და ა.შ. და უფალს ამ სიტყვებით მიენდოს: „ჩემო ძვირფასო უფალო, დღეიდან მე შენი ვარ. შეგიძლია დამიცვა ან მომკლა, როგორც მოისურვებ“. წმინდა ერთგული ასე აფარებს თავს კრშნას და კრშნა იმდენად მადლობელია, რომ ღებულობს და ყოველგვარ მფარველობას უწევს მას. ეს დამტკიცებულია „შრიმადბჰაგავატამში“ (11.29.34), სადაც ნათქვამია, რომ თუკი სიკვდილის პირას მისული პიროვნება თავს შეაფარებს უზენაეს უფალს და ბოლომდე მიენდობა მის მზრუნველობას, უკვდავებას მიაღწევს და უზენაეს უფალთან ურთიერთობისა და ტრანსცენდენტული ნეტარებით ტკბობის ღირსი გახდება.

შემდეგ უფალმა პრაქტიკული ერთგული სამსახურის სხვადასხვა სახეები და ნიშნები განუმარტა სანატანა გოსვამის. როდესაც ერთგული სამსახური ჩვენი ახლანდელი გრძნობებით სრულდება, მას პრაქტიკული ერთგული სამსახური ეწოდება. სინამდვილეში ერთგული სამსახური ცოცხალი არსების მარადიულ სიცოცხლეს წარმოადგენს და ყველას გულშია მიძინებული. პრაქტიკას, რომელიც ამ მიძინებულ ერთგულ სამსახურს აღვიძებს, პრაქტიკული ერთგული სამსახური ეწოდება. ამის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი არსება თავისი არსით არის უზენაესი უფლის განუყოფელი ნაწილაკი; უფალი

შეიძლება მზეს შეეადაროთ, ცოცხალი არსებები კი — მზის შუქის მოლეკულებს. ილუზორული ენერგიით მოჯადოებული სულიერი ნაპერწკალი თითქმის ჩამქრალია, მაგრამ პრაქტიკული ერთგული სამსახურით თავისი ბუნებრივი კონსტიტუციური მდგომარეობის გამოცოცხლება შეუძლია. უნდა გვესმოდეს, რომ როდესაც ერთგული სამსახურის პრაქტიკას ეწევა, თავის თავდაპირველ და ნორმალურ განთავისუფლებულ მდგომარეობას უბრუნდება. ერთგული სამსახურის შესრულება ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის ხელმძღვანელობით საკუთარი გრძნობებით შეიძლება.

კრშნას ცნობიერებაში წინსვლისთვის განკუთვნილ სულიერ საქმიანობებს ადამიანი მოსმენით იწყებს. მოსმენა წინსვლის ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია და ადამიანს კრშნას შესახებ კეთილგანწყობილებით მოსმენა უნდა სწყურდეს. ყოველგვარი სპეკულაციისა და კარმიული საქმიანობის მიტოვებით, მან უბრალოდ თაყვანი უნდა სცეს უფალს და ღმერთის სიყვარულის მიღწევა უნდა სურდეს. ღმერთის ეს სიყვარული მარადიულად ყველაში არსებობს; უბრალოდ მოსმენის საშუალებით მისი გაღვიძებაა საჭირო. მოსმენა და გალობა ერთგული სამსახურის ძირითადი მეთოდები გახლავთ.

ერთგული სამსახური შეიძლება იყოს მოწესრიგებული ან სიყვარულის გამო შესრულებული. ვისაც კრშნასადმი ტრანსცენდენტული მიჯაჭვულობა არ განუვითარებია, თავისი სიცოცხლე წმინდა წერილთა, სულიერი მოძღვრის დარიგებათა და რეგულაციათა თანახმად უნდა მოაწყოს. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (2.1.5) შუკადევა გოსვამი ურჩევს მაჰარაჯა პარიკშიტს:

ტასმად ბჰარატა სარვატმა
ბჰაგავან იშვარო ჰარიჰ

შროტავდაჴ კირტიტავდაშ ჩა
სმარტავდაშ ჩეჩჩჰატუბჰადამ

„ო ბჰურატათა შორის საუკეთესოვ, იმ პიროვნებათა პირველი ვალი, ვისაც სურთ უშიშრები გახდნენ, იმაში მდგომარეობს, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნების, ჰარის შესახებ ისმინონ, იგალობონ და ყოველთვის ახსოვდეთ იგი. უფალი ვიშნუ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს; სინამდვილეში, მისი წამითაც დავიწყება არ შეიძლება. იგია მთელი არსი ყოველი მარეგულირებელი პრინციპისა“. დასკვნა ის გახლავთ, რომ თუკი ერთად ავიღებთ წმინდა წერილებში განდობილ ყოველ წესს, რეგულაციას, რეკომენდირებულ და აკრძალულ საქმიანობებს, ყველაფრის არსი უზენაესი უფლის ხსოვნა იქნება. გულში ღმრთეების უზენაესი პიროვნების ხსოვნა ერთგული სამსახურის მიზანს წარმოადგენს. როდესაც ერთგული სამსახური წმინდად და სიყვარულით სრულდება, ლაპარაკიც არ არის მარეგულირებელ პრინციპებზე. ამ დროს არავითარი დანაწესები ან აკრძალვები არ არსებობს.

მაგრამ, როგორც წესი, ერთგული სამსახურის სწორად შესასრულებლად საჭიროა შემდეგი პრინციპების დაცვა: (1) ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის მიღება, (2) სულიერი მოძღვრისგან ინიციაციის მიღება, (3) სულიერი მოძღვრის სამსახური, (4) სულიერი მოძღვრისადმი კითხვების დასმა და მისგან სიყვარულის შესწავლა, (5) იმ წმინდანთა ნაკვალევის გაყოლა, რომლებმაც საკუთარი თავი უფლის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურს მიუძღვნეს, (6) კრშნას დასაკმაყოფილებლად ყოველგვარ სიამოვნებასა და გაჭირვებაზე უარის თქმისათვის მზადყოფნა, (7) იმ ადგილებში ცხოვრება, სადაც კრშნა თავის გართობებს ატარებდა, (8) დაკმაყოფილება იმით, რასაც კრშნა გვაძლევს სხეულისა და სულის გასატანად, (9) ეკადაშის დღეს მარხვის დაცვა (რომელიც სავსე და ახალი მთვარის შემდეგ მეთერთმეტე დღეებზე დგება. ასეთ

დღეებში არ შეიძლება არავითარი ხორბლეულის, მარცვლეულისა ან პარკოსნების ჭამა; შეიძლება ზომიერად მივირთვათ ბოსტნეული და რძე. ჰარე კრშნას გალობას და წმინდა წერილების კითხვას მეტი დრო უნდა დავუთმოთ), (10) ერთგულების, ძროხებისა და ბანიანის ხის მსგავსი წმინდა ხეების პატივისცემა.

ახალბედა ერთგულისათვის, რომელიც ერთგული სამსახურის გზას იწყებს, ამ ათი პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანია. უფლის მსახურებისა და მისი წმინდა სახელების გალობისას შეურაცხყოფების თავიდან არიდებასაც უნდა ვეცადოთ. წმინდა სახელის გალობისას ათი სახის შეურაცხყოფა არსებობს და საჭიროა მათი თავიდან აცილება. ეს შეურაცხყოფებია: (1) უფლის ერთგულის ლანძღვა, (2) უფლისა და ნახევარღმერთების ერთმანეთთან გატოლება ან იმის ფიქრი, რომ მრავალი ღმერთი არსებობს, (3) სულიერი მოძღვრის ბრძანების უგულვებელყოფა, (4) წმინდა წერილების (*ვედების*) ავტორიტეტის შემცირება, (5) ღმერთის წმინდა სახელთა ინტერპრეტირება, (6) გალობის იმედზე ცოდვების ჩადენა, (7) უფლის სახელთა დიდების ურწმუნოებისათვის სწავლება, (8) წმინდა სახელის მატერიალურ ღვთისმოსაობასთან შედარება, (9) უყურადღებობა წმინდა სახელის გალობისას, (10) წმინდა სახელთა გალობის მიუხედავად მატერიალური საგნებისადმი მიჯაჭვულობების შენარჩუნება. არსებობს ათი დამატებითი წესი: (1) ადამიანმა უფლის მსახურებისა და უფლის წმინდა სახელთა გალობისას შესაძლო შეურაცხყოფებისათვის თავის არიდება უნდა სცადოს; (2) უნდა ერიდოს უწმინდურ არაერთგულებთან ურთიერთობას; (3) არ უნდა ეცადოს ბევრი მოწაფის ყოლას; (4) არ უნდა გაისარჯოს ბევრი წიგნის გაგებით ან თუნდაც ნებისმიერი წიგნის ნაწილობრივ გაგებით და ერიდოს სხვადასხვა სწავლებების განხილვას; (5) თავშეკავებული უნდა იყოს მოგებასა და წაგებაშიც; (6) არაფერზე არ უნდა იდარდოს; (7) უდიერად არ უნდა მოეპყრას არც ერთ

ნახევარღმერთს ან სხვა წმინდა წერილებს; (8) არ უნდა მოითმინოს უზენაესი უფლისა და მისი ერთგულების ლანძღვა; (9) უნდა ერიდოს ჩვეულებრივი რომანებისა და ნაწარმოებების კითხვას, მაგრამ არ არსებობს იმის დანაწესი, რომ ახალი ამბების მოსმენას ერიდოს; (10) არც ერთ ცოცხალ არსებას არ უნდა მიაყენოს უსიამოვნება, პატარა მწერის ჩათვლითაც კი.

შრი რუპა გოსვამის მიერ შედგენილ „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუში“ ნათქვამია, რომ ადამიანი საქციელით მეტად დიდსულოვანი უნდა იყოს და ერიდოს ნებისმიერ არასასურველ საქმიანობებს. ყველაზე მნიშვნელოვანი დადებითი პუნქტები ის გახლავთ, რომ ადამიანმა ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის თავშესაფარი ჰპოვოს, მისგან ინიციაცია მიიღოს და ემსახუროს მას.

ამათთან ერთად, ერთგული სამსახურის ოცდათხუთმეტი მუხლი არსებობს: (1) მოსმენა, (2) გალობა, (3) ხსოვნა, (4) თაყვანისცემა, (5) ლოცვა, (6) მსახურება, (7) მსახურის მოვალეობის შესრულება, (8) მეგობრობა, (9) ყველაფრის შეთავაზება, (10) ცეკვა ღვთაების წინაშე, (11) სიმღერა, (12) ამბების შეტყობინება, (13) ქედის მოხრა, (14) ერთგულის პატივსაცემად ფეხზე ადგომა, (15) ერთგულის გაცილება, როდესაც იგი კარისაკენ გაეშურება, (16) უფლის ტაძარში შესვლა, (17) უფლის ტაძრის გარშემოვლა, (18) ლოცვათა კითხვა, (19) ჰიმნების წარმოთქმა, (20) *სანკირტანის* ანუ ერთობლივი გალობის ჩატარება, (21) ღვთაებისადმი შეთავაზებული ჩინარისა და ყვავილების ყნოსვა, (22) *პრასადის* (კრშნასადმი შეთავაზებული საჭმლის) მიღება, (23) *არატიკას* ცერემონიაზე დასწრება, (24) ღვთაების ყურება, (25) უფლისადმი გემრიელი კერძების შეთავაზება, (26) მედიტაცია, (27) ხე *ტულასისადმი* წყლის შეთავაზება, (28) ვაიშნავების ანუ წინწასული ერთგულებისადმი თაყვანისცემის გამოხატვა,

(29) მათჰურაში ან ვრ̣ნდავანში ცხოვრება, (30) „შ̇რ̄მად-ბჰაგავატამის“ გაგება, (31) კრ̣შ̣ნას მისაღწევად მთელი ძალ-ღონის მოხმარება, (32) კრ̣შ̣ნას წყალობის ლოდინი, (33) კრ̣შ̣ნას ერთგულებთან ერთად ცერემონიალური დღესასწაულების დაცვა, (34) ყოველმხრივ მინდობა, (35) სხვადასხვა ცერემონიალური დღესასწაულების ჩატარება. ამ ოცდათხუთმეტ მუხლს შეიძლება კიდევ ოთხი დავუმატოთ: (1) სხეულზე სანდალის ხის ნელსაცხებლის ნიშნების წასმა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ვაიშ̣ნავია, (2) სხეულზე უფლის წმინდა სახელების მოხატვა, (3) სხეულის დაფარვა ღვთაების სამოსის ნარჩენებით, (4) *ჩარან̇ამ̇რ̣ტის* ანუ იმ წყლის მიღება, რომლითაც ღვთაება იქნა განბანილი. ეს ოთხი დამატებითი მუხლი მთლიანობაში ერთგული სამსახურის ოცდაცხრამეტ მუხლს შეადგენს და მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი ხუთი: (1) ერთგულებთან ურთიერთობა, (2) უფლის წმინდა სახელის გალობა, (3) „შ̇რ̄მად-ბჰაგავატამის“ მოსმენა, (4) ისეთ წმინდა ადგილებში ცხოვრება, როგორებიცაა მათჰურა ან ვრ̣ნდავანი, (5) დიდი ერთგულებით ღვთაების მსახურება. ამ მუხლებს განსაკუთრებით იხსენიებს რუპა გოსვამ̄ თავის წიგნში „ბჰაკტი-რასამ̇რ̣ტა-სინდჰუ“. ზემოაღნიშნულ ოცდაცხრამეტ მუხლს დამატებული ხუთი მუხლი ორმოცდაოთხ მუხლს შეადგენს. თუკი მათ ოც მოსამზადებელ საქმიანობას დავუმატებთ, ერთგული სამსახურის შესასრულებლად სამოცდაოთხი სხვადასხვა მუხლი გამოვა. ადამიანს შეუძლია ეს სამოცდაოთხი მუხლი თავისი სხეულით, ჭკუითა და გრძნობებით მიიღოს და ამრიგად თანდათანობით განწმინდოს თავისი ერთგული სამსახური. ზოგიერთი ეს მუხლი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან, ზოგიერთი მსგავსია და დანარჩენები შერეული ჩანს.

შ̇რ̄ილა რუპა გოსვამ̄მ გვირჩია, ვიცხოვროთ მათთან

ერთად, ვისაც მსგავსი ცნობიერება გააჩნიათ; ამიტომ აუ-
ცილებელია ჩამოვაყალიბოთ გარკვეული საზოგადოება
კრშ̣ნას ცნობიერებისათვის და ერთად ვიცხოვროთ კრშ̣ნა-
სა და ერთგული სამსახურის ცოდნის გასავითარებლად.
ასეთ საზოგადოებაში ცხოვრების უმნიშვნელოვანეს
მუხლს „ბჰაგავად-გიტასა“ და „შრიმად-ბჰაგავატამის“ ერ-
თობლივი გაგება წარმოადგენს. როდესაც რწმენა და ერთ-
გულება განვითარდება, ისინი გადაიზრდება ღვთაების
თაყვანისცემაში, წმინდა სახელის გალობაში და ისეთ
წმინდა ადგილას ცხოვრებაში, როგორიც მათჰურა და
ვრ̣ნდავანია.

ბოლო ხუთი მუხლი — პირველი ოცდაცხრამეტის შემ-
დეგ ნახსენები — ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია.
თუკი ადამიანს უბრალოდ ამ ხუთი მუხლის შესრულე-
ბა ძალუძს, იგი სრულყოფილების უმაღლეს საფეხურზე
ამაღლდება, მაშინაც კი, თუკი მათ არასრულყოფილად
შეასრულებს. საკუთარი უნარის მიხედვით ადამიანმა შე-
იძლება მხოლოდ ერთი ან მრავალი მუხლის შესრულე-
ბა შეძლოს, მაგრამ ამ გზაზე განვითარების ძირითადი
ფაქტორი არის ერთგული სამსახურისადმი სრული მი-
ჯაჭვულობა. ისტორიაში მოცემულია მრავალი ერთგუ-
ლის მაგალითი, რომლებმაც ერთგულ სამსახურში სრულ-
ყოფილებას ერთი მუხლის ვალდებულების შესრულებით
მიაღწიეს და არსებობს მრავალი ისეთი ერთგულიც, მა-
გალითად, მაჰარავჯა ამბარიშა, რომლებიც ყოველ მუხლს
ასრულებდნენ. აი, ის ერთგულები, რომლებმაც ერთგულ
სამსახურში სრულყოფილებას მხოლოდ ერთი მუხლის
შესრულებით მიაღწიეს: მაჰარავჯა პარიკშიტი, რომელიც
განთავისუფლდა და სრულ სრულქმნას მიაღწია უბრა-
ლოდ მოსმენით; შუკადევა გოსვამი — განთავისუფლდა და
ერთგულ სამსახურში უბრალოდ გალობით მიაღწია
სრულქმნას; პრაჰლადა მაჰარავჯა, რომელმაც ხსოვნით
მიაღწია სრულყოფილებას; ლაქშმი, რომელმაც უფლის
ლოტოსის ტერფების სამსახურით მიაღწია წარმატებას;

მეფე პრთჰუ, რომელმაც უბრალოდ თაყვანისცემით მიაღწია სრულქმნას; აკრურა, რომელმაც წარმატებას უბრალოდ ლოცვით მიაღწია; ჰანუმანი, რომელმაც სრულქმნას მიაღწია უბრალოდ იმით, რომ უფალი რამას მსახური გახდა; არჯუნა, რომელმაც სრულქმნას მიაღწია უბრალოდ იმით, რომ კრშნას მეგობარი გახდა; და ბალი მაჰარაჯა, რომელმაც სრულქმნას მიაღწია უბრალოდ იმით, რომ ყველაფერი მიუძღვნა უფალს, რაც მფლობელობაში გააჩნდა. რაც შეეხება მაჰარაჯა ამბარიშას, იგი სინამდვილეში ასრულებდა ერთგული სამსახურის ყოველ მუხლს. უპირველეს ყოვლისა, მან ჭკუა კრშნას ლოტოსის ტერფებისკენ მიმართა. სიტყვებით, მეტყველების უნარით, ღმრთეების უზენაესი პიროვნების ტრანსცენდენტულ თვისებებს აღწერდა. ხელებით ღვთაების ტაძარს ასუფთავებდა, ყურებით კრშნას სიტყვებს ისმენდა და თვალებით ღვთაებას შეჰყურებდა. შეხების გრძნობა ერთგულთა სამსახურში ჰქონდა დასაქმებული და ყნოსვის გრძნობა კრშნასადმი შეთავაზებული ყვავილების სურნელით განცხრომით. ენით კრშნას ლოტოსის ტერფებისადმი შეთავაზებულ *ტულასის* ფოთლებს მიირთმევდა, ფეხებით კრშნას ტაძარს მიეშურებოდა და თავით ქედს უხრიდა კრშნას ღვთაებას. რადგან ყოველი მისი სურვილი და მისწრაფება ამრიგად იქნა დასაქმებული უფლის ერთგულ სამსახურში, ამბარიშა მაჰარაჯა ერთგული სამსახურის ყოველი სახის შესრულების საუკეთესო მაგალითად ითვლება.

ვინც სრულ კრშნას ცნობიერებაში ერთგულ სამსახურს იწყებს, თავისუფლდება ბრძენების, ნახევარღმერთებისა და წინაპრების მიმართ ყოველგვარი ვალებისაგან, რომელთა მიმართაც, როგორც წესი, ყველაა დავალებული. ეს დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“ (11.5.41):

დევარში-ბჰუტაპატა-ნრნამ პიტრნამ
ნა კინკარო ნაგამ რნი ჩა რაჯან

სარვაჯმანუ ჯაჰ შარანამ შარანიამ
გატო მუკუნდამ პარიჰრტია კარტამ

„ვინც ბოლომდეა დაკავებული უფლის ერთგულ სამსახურში, ო მეფეო, აღარ არის დავალებული ნახევარღმერთების, ბრძენების, სხვა ცოცხალი არსებების, საკუთარი ნათესავების, წინაპრებისა და რომელიმე ადამიანისაგან“. ყოველი ადამიანი, დაბადებიდან მოყოლებული, უმალვე დავალებული ხდება უამრავი ადამიანისაგან და მას ათასვვარი რიტუალისტური ფუნქციის შესრულება ევალება მოვალეობის გამო. მაგრამ, თუკი იგი ბოლომდე მიენდობა კრშნას, მოვალეობები გაქრება. იგი ყოველგვარი ვალისაგან განიწმინდება.

მაგრამ ყურადღებით უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ადამიანი თავს ანებებს ყველა სხვა ვალდებულებას და უბრალოდ კრშნას ტრანსცენდენტულ სამსახურს იწყებს, მას სურვილი უქრება, არ ასრულებს ცოდვით საქმიანობებს და ნაკლებად შესაძლებელია, რომ ხელი მიჰყოს მათ. მაგრამ თუკი (არა ნებით, არამედ შემთხვევით) ცოდვით საქმიანობას ჩაიდენს, კრშნა ყოველნაირად იცავს მას. იგი არ საჭიროებს რაიმე სხვა მეთოდით განწმენდას, რაც დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“ (11.5.42): „ერთგული, რომელიც ბოლომდე დაკავებულია უზენაესი პიროვნების ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურით, დაცულია უზენაესი პიროვნების მიერ, მაგრამ თუკი იგი წინასწარი განზრახვის გარეშე ჩაიდენს რაიმე ცოდვას ან გარკვეული ვითარების გამო იძულებული იქნება ცოდვა ჩაიდინოს, ღმერთი, რომელიც მის გულში იმყოფება, ყოველმხრივ დაიცავს მას“.

სპეკულაციური შემეცნებისა და განდეგილობის პროცესები არ არის ერთგულ სამსახურში ამაღლების მთავარი მუხლები. საჭირო არ არის არაძალმომრეობისა და გრძნობათა კონტროლის პრინციპების მიღება, თუმცა

სხვა პროცესებში ამ თვისებების განვითარებისათვის წესები და რეგულაციებია მოცემული. ამ პროცესების შესრულების გარეშეც კი, ერთგული ყოველ კარგ თვისებას ივითარებს უბრალოდ ერთგული სამსახურის შესრულებით. „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეთერთმეტე სიმღერაში (11.20.31) უფალი თავად ამბობს, რომ თუკი ადამიანი მართლა დაკავებულია უფლის ერთგული სამსახურით, საჭირო არ არის სპეკულაციური ცოდნისა და განდეგილობის განვითარება.

თავი მეცამეტე

სპონტანური სასიყვარულო სამსახური

აშკარა გაუგებრობის გამო ზოგიერთი ტრანსცენდენტალისტი თვლის, რომ ერთგული სამსახურის საფეხურზე აღმართვისათვის ცოდნა და განდეგილობა აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ ეს სწორი არ არის. ცოდნისა და კარმიული საქმიანობებისაგან განდგომა შეიძლება სიცოცხლეზე მატერიალისტურ შეხედულებასთან დაპირისპირებით საკუთარი სულიერი ვინაობის გაგებისათვის იყოს საჭირო, მაგრამ ერთგული სამსახურის ნაწილებს არ წარმოადგენს. ცოდნასა და კარმიულ საქმიანობებს შესაბამისად განთავისუფლება და მატერიალურ გრძნობათა დაკმაყოფილება მოჰყვება. ამიტომაც ისინი ერთგული სამსახურის ნაწილები ვერ იქნება; პირიქით, ერთგული სამსახურის შესრულებაში მათ არავითარი ჭეშმარიტი ფასი არა აქვს. ცოდნისა და კარმიული საქმიანობების ტყვეობიდან განთავისუფლებული ადამიანი ერთგული სამსახურის დონეს აღწევს. ვინაიდან უფალი კრშნას ერთგული ბუნებით უწყინარია და მისი ჭკუა და გრძნობები

კონტროლის ქვეშ იმყოფება, ამიტომ მას არ სჭირდება განსაკუთრებული ძალისხმევა კარგი თვისებების შესაძენად, ცოდნის განვითარებასა და კარმიული საქმიანობების შესრულებას რომ მოჰყვება.

როდესაც უდდჰავა *ვედებში* მოცემული წესებისა და რეგულაციების შესახებ ეკითხებოდა კრშნას, მან თქვა: „მაშ რატომ უბიძგებს ვედური ჰიმნები ადამიანს მატერიალური განცხრომისაკენ, თუკი ამავე დროს ვედური დარიგებები მას ყოველგვარი ილუზიისაგან იხსნის და განთავისუფლების მიღწევისაკენ მოუწოდებს?“ აღიარებულია, რომ ვედური წესები ღმრთეების უზენაესი პიროვნების მიერ არის მოცემული, მაგრამ მათში აშკარად არსებობს წინააღმდეგობები, ამიტომ უდდჰავას აინტერესებდა, როგორ შეუძლია ადამიანს ასეთი წინააღმდეგობების გადაჭრა. პასუხად უფალმა მოუთხრო იმის შესახებ, რომ ერთგული სამსახური ყოველ საქმიანობაზე მაღლა დგას.

„მისთვის, ვინც უკვე დაკავებულია ჩემი ერთგული სამსახურით და ვისი ჭკუაც ჩემზეა მოპყრობილი, ცოდნისა და განდეგილობის განვითარების მცდელობა არც პრაქტიკულია და არც აუცილებელი“. ამრიგად, უფლის დასკვნა ის გახლავთ, რომ ერთგული სამსახური არც ერთ სხვა პროცესზე არ არის დამოკიდებული. ცოდნის განვითარება, განდეგილობა ან მედიტაცია დასაწყისში შეიძლება ოდნავ სასარგებლო იყოს, მაგრამ არ უნდა ჩაითვალოს, რომ ერთგული სამსახურისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთგული სამსახურის შესრულება ცოდნისა და განდეგილობის განვითარების .გარეშეც შეიძლება. ამასთან დაკავშირებით, „სკანდა პურანაშიც“ არის ლექსი, სადაც პარვატა მუნი მონადირეთა ტომის წევრს ეუბნება: „ო მონადირევ, თვისებები, რომლებიც ახლახან შეიძინე — როგორიცაა არაძალმომ-

რეობა და სხვ. — სრულიად არ არის გასაკვირი, რადგან უზენაესი უფლის ერთგული სამსახურით დაკავებულ პიროვნებას არავითარ პირობებში არავისთვის მოაქვს უსიამოვნება“.

ამ საკითხების განხილვის შემდეგ, უფალმა ჩაიტანიამ სანატანა გოსვამის უთხრა: „აქამდე მარეგულირებელი პრინციპებით შესრულებულ ერთგულ სამსახურს გიხსნიდი. ახლა ტრანსცენდენტული სასიყვარულო მიჯაჭვულობის ცნებებით დაგიხასიათებ ერთგულ სამსახურს“.

ვრნდავანის მობინადრენი, ვრაჯავასები, ერთგული სამსახურის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენენ. ისინი სასიყვარულო მიჯაჭვულობის მდგომარეობაში იდეალურ ერთგულ სამსახურს ეწევიან და ასეთი ერთგულება მხოლოდ ვრაჯაბჰუმიში, ვრნდავანში გვხვდება. ვრაჯავასების ნაკვალევზე ერთგული სამსახურისა და მიჯაჭვულობის განვითარებით, ადამიანი *რაგა-მარგა-ბჰაკტის* ანუ უფლისადმი სასიყვარულო მიჯაჭვულობის მდგომარეობაში ერთგულ სამსახურს მიაღწევს. „ბჰაკტი-რასამრტასინდჰუს“ თანახმად (1.2.270), „ერთგულ სამსახურს, რომელიც ამ სამსახურისადმი ექსტაზური მიჯაჭვულობით ხასიათდება და რომელიც ბუნებრივი ხდება ერთგულისათვის, ეწოდება *რაგა* ანუ ტრანსცენდენტული მიჯაჭვულობა“. ღრმა მიჯაჭვულობით შესრულებულ ერთგულ სამსახურს ეწოდება *რაგატმიკა*, *რაგატმიკას* ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს კი სიყვარულის ობიექტში დანთქმა წარმოადგენს. ამის მაგალითებს ვრაჯაბჰუმის მაცხოვრებლებში ვხვდებით. ის, ვისაც ასეთი მიჯაჭვულობის შესახებ მოსმენის შედეგად კრშნა მიიზიდავს, უდაოდ მეტად იღბლიანია. როდესაც ადამიანს გულის სიღრმემდე ჩასწვდება ვრაჯაბჰუმის მაცხოვრებელთა ერთგულება და იგი მათი ნაკვალევის გაყოლას ცდილობს, მას აღარ ადარდებს განდობილ წერილთა აკრძალვები ან რეგულაციები. ამით ხასიათდება *რაგა-ბჰაკტის* შემსრულებელი.

მიჯაჭვულობით შესრულებული ერთგული სამსახური ბუნებრივად სრულდება და ასეთი პიროვნება არ ეკამათება საწინააღმდეგო შეხედულების მქონეთ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სხვებმა წმინდა წერილთა დანაწესების დამოწმებით იკამათონ კიდეც. ერთგული სამსახურისადმი ბუნებრივი მიდრეკილებაც წმინდა წერილთა დანაწესზეა დაფუძნებული და ასეთ ერთგულ სამსახურს მიჯაჭვული, უბრალოდ წმინდა წერილთა საფუძველზე მოყვანილი არგუმენტების გამო არ ანებებს მას თავს. ამ თვალსაზრისით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგრეთ წოდებულ ერთგულთა კლასის წარმომადგენლები (ცნობილნი *პრაკრტა-საჰაჯიძებად*) თავიანთ გამოგონილ იდეებს მიჰყვებიან და, მოაქვთ რა თავი კრშნ̣ად და რადჰად, გარყვნილებას ეწევიან. ამგვარი ერთგული სამსახური და მიჯაჭვულობა ყალბია და ასეთი საქმიანობით დაკავებულნი ჯოჯოხეთში ეშვებიან. ეს არ არის *რაგატმიკს* ანუ ერთგულების დონე. *პრაკრტა-საჰაჯიძების* ერთობის წევრები სინამდვილეში მოტყუებულნი და უაღრესად უიღბლონი არიან.

სასიყვარულო მიჯაჭვულობით შესრულებული ერთგული სამსახური შეიძლება ორი სახით განხორციელდეს — გარეგნულად და შინაგანად. გარეგნულად ერთგული მკაცრად იცავს მარეგულირებელ პრინციპებს, დაწყებული გალობითა და მოსმენით, შინაგანად კი ფიქრობს იმ სასიყვარულო მიჯაჭვულობაზე, რომელიც უზენაესი უფლის ერთგული სამსახურისკენ იზიდავს. მართლაც, იგი მუდამ თავის კონკრეტულ ერთგულ სამსახურსა და სასიყვარულო მიჯაჭვულობაზე ფიქრობს. ასეთი სასიყვარულო მიჯაჭვულობა არ გულისხმობს ერთგული სამსახურის მარეგულირებელი პრინციპების დარღვევას — ჭეშმარიტი ერთგული მათ მკაცრად იცავს; მიუხედავად ამისა, იგი მუდამ თავის კონკრეტულ სასიყვარულო მიჯაჭვულობაზე ფიქრობს.

რადგან ვრაჯაბჰუმის, ვრნდავანის ყოველი მაცხოვრებელი მეტად ძვირფასია კრშნასათვის, ერთგული ერთ-ერთ მათგანს ირჩევს და ერთგულ სამსახურში წარმატების მისაღწევად მის ნაკვალევს მიჰყვება. უფალზე მიჯაჭვული წმინდა ერთგული მუდამ ვრაჯაბჰუმის რომელიმე მაცხოვრებლის ნაფეხურს მისდევს. „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუში“ (1.2.294) ერთგული სამსახურისადმი მიჯაჭვულ წმინდა ერთგულს რჩევა ეძლევა, მუდამ ახსოვდეს ვრაჯას რომელიმე მაცხოვრებლის საქმიანობები, თუნდაც თვითონ არ შეეძლოს ვრაჯაბჰუმში, ანუ ვრნდავანში ცხოვრება. ამგვარად იგი გამუდმებით ვრაჯაბჰუმსა და ვრნდავანზე ფიქრობს.

უფლის სამსახურს მიჯაჭვული უახლოესი ერთგულები რამოდენიმე კატეგორიად იყოფიან: ზოგი მსახურია, ზოგი — მეგობარი, მშობელი და ზოგი — სატრფო. მიჯაჭვულობით შესრულებული ერთგული სამსახურისას ვრაჯაბჰუმის გარკვეული კლასის ერთგულს უნდა გავყვეთ. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (3.25.38) უფალი ამბობს:

ნა კარჰიჩინ მატ-პარაჰ შანტა-რუპე
ნანკშჲანტი ნო მე ’ნიმიშო ლედჰი ჰეტიჰ
ჲეშამ აჰამ პრიჲა ჯტმჯ სუტამ ჩა
საქჰჯ გურუჰ სუჰრდო დაივამ იშტამ

„*მატ-პარა* ეწოდებათ მხოლოდ მათ, ვინც კმაყოფილნი არიან იმის ფიქრითაც კი, რომ მხოლოდ ჩემი მიმდევრები გახდნენ. ისინი თვლიან, რომ მე მათი სული, მათი მეგობარი, მათი ვაჟიშვილი, მათი ბატონი, მათი კეთილისმსურველი, მათი ღმერთი და მათი უმაღლესი მიზანი ვარ. ჩემო ძვირფასო ღედა, დრო ვერ ეხება ასეთ ერთგულებს“. „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუში“ (1.2.308) რუპა გოსვამი მოწიწებით უხრის ქედს მათ, ვინც მუდამ ფიქრობენ კრშნაზე როგორც ასეთზე და მის ურთიერთობაზე, რომელშიც

იგი შვილის, კეთილისმსურველის, ძმის, მამის, მეგობრისა და ა.შ. სახით გვევლინება. ვინც მიჯაჭვულობით შესრულებული ერთგული სამსახურის პრინციპებს იცავს და ვრაჯაბჰუმის გარკვეულ ერთგულს მიჰყვება, ამ სულით აუცილებლად აღწევს ღმრთეების სიყვარულის უმაღლეს სრულყოფილებას.

არსებობს ორი დამახასიათებელი თვისება, რომელიც სწორედ ღმრთეების სიყვარულის თესლებს ზრდის; მათ ეწოდება *რატი* ანუ მიჯაჭვულობა და *ბჰავა*, ღმრთეების სიყვარულის წინა მდგომარეობა. სწორედ ასეთი მიჯაჭვულობით და *ბჰავათი* იპყრობენ უზენაეს უფალ შრი კრშნას თავისი ერთგულები. ეს ორი დამახასიათებელი თვისება ღმრთეების სიყვარულის ნიშნების გამოვლინებამდე ჩნდება. უფალმა ჩაიტანიამ ყველაფერი ეს განუმარტა სანატანა გოსვამის. მან უთხრა, რომ რადგან მიჯაჭვულობით შესრულებული ერთგული სამსახურის აღწერილობა უსასრულოა, იგი უბრალოდ მაგალითის მოყვანას ცდილობს. შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ განმარტა ერთგული სამსახურის საბოლოო მიზანი, რომელიც სრულყოფილების მიღწევის მსურველებმა უნდა დაისახონ. როდესაც ადამიანის კრშნასადმი მიჯაჭვულობა მეტად ღრმავდება, იგი აღწევს მდგომარეობას, რომელსაც ღმრთეების სიყვარული ეწოდება. ითვლება, რომ ერთგული მუდამ ამ დონეზეა. ამასთან დაკავშირებით კავირაჯა გოსვამი მოწიწებით უხრის ქედს უფალ ჩაიტანიას ღმრთეების სიყვარულის თავისი ამაღლებული მოძღვრების გამო. როგორც „ჩაიტანია-ჩარიტამრტაშია“ ნათქვამი (მადჰია 23.1): „ო ღმრთეების უზენაესო პიროვნებავ, ვის მოუცია ოდესმე შენს გარდა ასეთი წმინდა ერთგული სამსახური? ო ღმრთეების პიროვნების ყველაზე დიდსულოვანო ინკარნაციავ, ჩემი მხრიდან მე მოწიწებით ვუხრი ქედს ამ ინკარნაციას, რომელსაც გაურაკრშნა ჰქვია“.

„ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუში“ (1.3.1) ღმრთეების სი-

ყვარულში ყოფნის მდგომარეობა მზისაგან მომავალ მზის სხივებსაა შედარებული; ეს მზის შუქი ერთგულის გულს უფრო და უფრო ალამაზებს. ასეთი ერთგულის გული იმყოფება ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში, რომელიც თვით სათნოების მოდუსის მიღმაა. სიყვარულის მზის შუქით გულის კიდევ უფრო განწმენდას *ბჰავა* ეწოდება. *ბჰავა* რუპა გოსვამმ აღწერა. *ბჰავა* ცოცხალი არსების მუდმივ დამახასიათებელ თვისებას ეწოდება და *ბჰავას* განვითარების კრიტიკულ წერტილს ღმრთეების სიყვარულის მოსაზღვრე მდგომარეობა ჰქვია. როდესაც *ბჰავა* უფრო და უფრო ღრმავდება, სწავლული ერთგულები მას ღმრთეების სიყვარულს უწოდებენ. როგორც „ნარადა-პანჩარატრაშია“ ნათქვამი:

ანანḋა-მამატრ ვიშნუ
მამატრ პრემა-სანგატრ
ბჰაკტირ იტḋ უჩḋატე ბჰიშმა-
პრაჰლადოდḋჰავა-ნარადაიჰ

„როდესაც ადამიანი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ვიშნუა სიყვარულისა და თაყვანისცემის ერთადერთი ობიექტი და რომ სხვა არავინაა ერთგული სამსახურის მიზღვის ღირსი — ნახევარღმერთიც კი — იგი სიახლოვეს გრძნობს თავის სასიყვარულო ურთიერთობაში ღმერთთან, რასაც ადასტურებენ ისეთი პიროვნებები, როგორებიც არიან ბჰიშმა, პრაჰლადა, უდḋჰავა და ნარადა.

თუკი რაიმე სწორი მოქმედების შედეგად, რომელიც ხელს უწყობს ერთგული სამსახურის განვითარებას, მსახურებისადმი დამოკიდებულება გავლენას ახდენს ადამიანზე და იგი წმინდა ერთგულებთან სასიკეთო ურთიერთობაში აფარებს თავს, მას მოსმენისა და გალობისადმი მიჯაჭვულობა უვითარდება. გალობისა და მოსმენის განვითარებით ადამიანს უზენაესი უფლის მარეგულირებელ

ერთგულ სამსახურში შემდგომი წინსვლა შეუძლია. რაც უფრო წინ მიიწევს ადამიანი ამ გზაზე, მეტად უქრება ერთგული სამსახურის მიმართ ეჭვები და მიჯაჭვულობა მატერიალური სამყაროსადმი. მოსმენასა და გალობაში წინსვლით ერთგული თავის რწმენაში მტკიცდება და თანდათანობით მისი თავდაპირველი რწმენა ისე ვითარდება, რომ მას ერთგული მსახურებისადმი გემოვნება უჩნდება, რომელიც ნელ-ნელა მიჯაჭვულობაში იზრდება. როცა მიჯაჭვულობა იწმინდება, იგი ორ თვისებას — *ბჰავასა* და *რატის* ავლენს. როცა *რატი* იზრდება, მას ღმრთეების სიყვარული ეწოდება, ხოლო ღმრთეების სიყვარული ადამიანის სიცოცხლის უმაღლესი მიზანია.

ეს პროცესი რუპა გოსვამის მოკლედ აქვს გადმოცემული „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუში“ (1.4.15-16): „უმთავრესია რწმენა; რწმენის შედეგად ადამიანს ურთიერთობა აქვს წმინდა ერთგულებთან და ამგვარი ურთიერთობით იგი ერთგულ სამსახურს ივითარებს. ერთგული სამსახურის გაღრმავებას ეჭვების გაქრობა მოჰყვება. მაშინ ადამიანი მტკიცე რწმენას იძენს და ამ დარწმუნებულობიდან ერთგული სამსახურისადმი გემო უნვითარდება და მიჯაჭვულობის საფეხურს აღწევს, რაც მას საშუალებას აძლევს დაიცვას ერთგული სამსახურის მარეგულირებელი პრინციპები. ამის შემდეგ, მომდევნო წინსვლისას, *ბჰავას* მდგომარეობას აღწევს, რომელიც მარადიულია. როცა ღმერთისადმი ამგვარი სიყვარული იზრდება, იგი ღმრთეების სიყვარულის უმაღლეს საფეხურს აღწევს“.

სანსკრიტზე ამ უმაღლეს საფეხურს *პრემა* ეწოდება. *პრემა* შეიძლება განისაზღვროს როგორც ღმრთეების უანგარო სიყვარული. სინამდვილეში სიტყვები „პრემა“ და „სიყვარული“ სინონიმები არ არის, მაგრამ შეიძლება იმის თქმა, რომ „პრემა“ სიყვარულის უმაღლესი საფეხურია. ვინც *პრემას* მიაღწია, ყველაზე სრულყოფილი ადამიანია. „შრიმად-ბჰაგავატამიც“ (ბჰაგ. 3.25.25) ამ ნა-

თქვამს ადასტურებს: მხოლოდ წმინდა ერთგულებთან ურთიერთობით შეუძლია ადამიანს კრშნას ცნობიერებისადმი გემოს განვითარება და როცა კრშნას ცნობიერებას თავის სიცოცხლეში გამოყენებას ცდილობს, *ბჰაკვა* და *პრემას* საფეხურების ჩათვლით, ყველაფრის მიღწევა შეუძლია.

იმ პიროვნების ნიშნების დახასიათებისას, რომელმაც რწმენიდან *ბჰაკვას* საფეხურს მიაღწია, უფალი ჩაიტანდა აცხადებს, რომ ამგვარ პიროვნებას არაფერი აღაგზნებს უამრავი მიზეზიც რომ ჰქონდეს ამისათვის. იგი ერთ წამსაც არ კარგავს ფუჭად; მუდამ მიისწრაფვის რაიმე გააკეთოს კრშნასთვის. არაფერი საქმეც რომ არ ჰქონდეს, კრშნას დასაკმაყოფილებლად რაიმეს გამოძებნის გასაკეთებლად. ასეთ პიროვნებას არც არაფერი მოსწონს რაც კრშნასთან არ არის დაკავშირებული. თუმცა საუკეთესო მდგომარეობა უკავია, პატივისა და დიდებისაკენ არ მიისწრაფვის. მას სწამს თავისი საქმისა და არასოდეს ექცევა იმ შთაბეჭდილების ქვეშ, თითქოს არ მიიწევდეს წინ უმაღლესი მიზნისაკენ — ღმრთეებასთან დაბრუნებისაკენ. რადგან ბოლომდე სწამს თავისი წინსვლისა, იგი მუდამ რწმენითაა აღსავსე და უმაღლესი მიზნის მისაღწევად ყოველნაირად დასაქმებულია. ძლიერ სწადია უფლის დაკმაყოფილება და უფლის შესახებ გალობა და მოსმენა; მუდამ უფლის ტრანსცენდენტული თვისებების აღწერა სურს. ამასთანავე, ურჩევნია იცხოვროს ისეთ წმინდა ადგილებში, როგორიცაა მათჰურა, ვრნდავანი ან დვარაკა. ასეთი თვისებები ახასიათებს მას, ვინც *ბჰაკვას* საფეხურს მიაღწია.

მეფე პარიკშიტი *ბჰაკვას* მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს. განგის ნაპირზე სიკვდილის მოლოდინში მან თქვა: „შეკრებილო *ბრაჰმანებო* და დედაო განგა, იცოდეთ, რომ მე კრშნაზე ბოლომდე მინდობილი სული ვარ. დაე ახლავე დამგესლოს *ბრაჰმანის* ვაჟის წყევლით გამოგზავნილმა

მფრინავმა გველმა. დაე მომშხამოს. მე ბედნიერი ვიქნები, თუკი თქვენ, აქ შეკრებილნი, კრშნას შესახებ იგალობებთ". ასეთ ერთგულს მუდამ ეშინია, წამიც არ დაეკარგოს იმაში, რაც კრშნასთან არ არის დაკავშირებული. ამიტომაც არ მოსწონს კარმიული საქმიანობებით, ზოგური მედიტაციით ან ცოდნის განვითარებით მიღებული შედეგები. მას მოსწონს ის საუბრები, რომელიც სასიკეთოდ არის კრშნასთან დაკავშირებული. უფლის ასეთი წმინდა ერთგულები მუდამ თვალცრემლიანნი ლოცულობენ უზენაესი უფლისადმი; მათი ფიქრები მუდამ უფლის საქმიანობათა ხსენებაშია, მათი სხეულები კი ქედის მოხრითაა დაკავებული. ამგვარად ისინი კმაყოფილნი არიან. ნებისმიერი ერთგული, რომელიც ერთგულ სამსახურში მოქმედებს, უფლის საქმეს უძღვნის საკუთარ სიცოცხლესა და სხეულს.

მეფე ბჰარატა — რომლის შემდეგაც ინდოეთს ბჰარატა-ვარშა ეწოდება — აგრეთვე წმინდა ერთგული იყო და სიცოცხლის ადრეულ ხანაში ისე მიატოვა ოჯახი, მშვენიერი ერთგული ცოლი, ვაჟიშვილი, მეგობრები და სამეფო, თითქოსდა განავალი ყოფილიყო. ეს ბუნებრივია მისთვის, ვინც ერთგულ სამსახურში *ბჰავას* მიაღწია. ასეთი ადამიანი საკუთარ თავს ყველაზე საძაგელ პიროვნებად თვლის და სიამოვნებას მხოლოდ იმის ფიქრი ანიჭებს, რომ ოდესმე კრშნა მოწყალე იქნება და ერთგულ სამსახურში დაასაქმებს. „პადმა პურანაში" წმინდა ერთგულების კიდევ ერთი მაგალითია მოყვანილი. იქ მოთხრობილია ერთი მეფის შესახებ, რომელსაც თუმცა ყველაზე ამაღლებული მდგომარეობა ეკავა, კარდაკარ მათხოვრობდა და ევედრებოდა *ჩანდალებსაც* კი, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების უმდაბლესი წევრები არიან.

სწორედ სანატანა გოსვამიმ დაწერა მოგვიანებით ეს ლექსი:

ნა პრემპ შრავანპდი-ბჰაკტირ აპი
ვპ ჲოგო 'თჰავპ ვაიშḿავო
ჯḿპნამ ვპ შუბჰა-კარმა ვპ კიჲად
აჰო საჯ-ჯპტირ აპჲ ასტი ვპ
ჰḿნპრთჰპდჰიკა-სპდჰაკე ტვაჲი
ტათჰპპჲ აჩჩჰედჲა-მṮლპ სატḿ
ჰე გოპḿჯანავალლაბჰა ვჲათჰაჲატე
ჰპ ჰპ მადპშაივა მპმ

„მე ღარიბი ვარ ღმრთეების სიყვარულში და არაფრით დამიმსახურებია ერთგული სამსახურის შესახებ ვისმინო. არც არაფერი გამეგება ერთგული სამსახურის შესახებ, არც ცოდნა მაქვს, არც რაიმე ღვთისმოსავი საქმე მომეწერება. მაღალი დონის ოჯახშიც კი არა ვარ დაბადებული. და მაინც, ო ვრაჯას ქალწულთა საყვარელო, იმედი მაქვს, მოვაღწევ შენამდე და ეს იმედი მუდამ გონებას მირევს“. მსგავსი ერთგული, რომელსაც ასეთი ძლიერი სურვილებით აქვს გული შეძრული, მუდამ გალობს ჰარე კṛშḿა, ჰარე კṛშḿა, კṛშḿა კṛშḿა, ჰარე ჰარე / ჰარე რპმა, ჰარე რპმა, რპმა რპმა, ჰარე ჰარეს.

ამასთან დაკავშირებით, „კṛშḿა-კარḿპმṛტაში“ (32) ბილვამანგალას ასეთ ლექსს ვხვდებით:

ტვაჩ ჩჰაიშაvამ ტრი-ბჰუvანპდბჰუტამ იტჲ აvეჰი
ტაჩ ჩპჰალამ ჩა ტაvა vპ მამა vპდჰიგამჲამ
ტატ კიმ კარომი vირალამ მურალṛvილპსი
მუგდჰაჰ მუქჰპმბუჯამ უდṛკშიტუმ ṛკშაḿპბჰჲპმ

„ო კṛშḿა, ო საოცარო ფლეიტისტო, შენი ბავშვობის საქმეების მშვენიერება საოცარია ამ სამყაროში. შენ იცი, როგორ ღელავს ჩემი ჭკუა და მე ვიცი, ვინა ხარ შენ. არავინ უწყის, რაოდენ ახლოა ჩვენი ურთიერთობა. თუმცა ჩემს თვალებს მუდამ სწყურია შენი და შენი სახის ხილვა,

ვერ გხედავ. მითხარი, გეთაყვა, რა გზას დავადგე". მსგავს ადგილს ვხვდებით „ბჰაკტი-რასამრ̣ტა-სინდჰუში" (1.3.38), სადაც რუპა გოსვამი ამბობს:

როდანა-ბინდუ-მარანდა-სადანდი-
დრ̣გინდრ̣ივარადდა გოვინდა
ტავა მადჰურა-სვარა-კანთ̣ჰი
გადატი ნამავალრ̣ბ ბალა

„ო გოვინდა! ეს ახალგაზრდა გოგო ტკბილი ხმით ტირის შენი დიდების გალობისას". ასეთ წმინდა ერთგულებს მუდამ სწყურიათ კრ̣შ̣ნას თვისებების აღწერა და იმ ადგილებში ცხოვრება, სადაც იგი თავის გართობებს ავლენდა. მსგავსი ლექსი კვლავ გვხვდება „კრ̣შ̣ნა-კარ̣ნამრ̣ტა-შიც" (92): „კრ̣შ̣ნას სხეული ისეთი მშვენიერია და მისი სახე ისეთი ლამაზი. მასთან დაკავშირებული ყველაფერი სიტკბოებასა და სურნელს აფრქვევს". „ბჰაკტი-რასამრ̣ტა-სინდჰუში" (1.2.156) კი ნათქვამია: „ო ლოტოსისთვალებავ, როდის იქნება, რომ მუდამ შენს წმინდა სახელს ვიგალობებ და ამ გალობით შთაგონებული, ადამუნას ნაპირებზე ვიცეკვებ?"

იმისათვის, რომ დაეხასიათებინა ერთგული სამსახურის საფეხური *ბჰავა*, უფალმა ჩაიტანდამ ეს ლექსები უთხრა სანატანა გოსვამის. შემდეგ უფალი ჩაიტანდა კრ̣შ̣ნას ჭეშმარიტი სიყვარულის ნიშნების აღწერაზე გადავიდა. მან უთხრა სანატანა გოსვამის, რომ ვერავინ გაუგებს მას, ვისაც კრ̣შ̣ნას სიყვარული აქვს განვითარებული. ვერავინ გაიგებს მის სიტყვებს, მის მოქმედებებს ან მის ნიშ̣ნებს. ყველაზე განსწავლულ ადამიანსაც კი უაღრესად გაუჭირდება წმინდა ერთგულის გაგება, რომელიც უფლის სიყვარულით ცოცხლობს. ეს დადასტურებულია „ბჰაკტი-რასამრ̣ტა-სინდჰუშიც".

ერთგული სამსახურით დაკავებულ პიროვნებას გული

უტოკავს უზენაესი უფლის ქება-დიდების გალობისას. რადგან უფალი უაღრესად ძვირფასია მისთვის, უფლის სახელის, დიდების და ა.შ. ხოტბის შესხმისას ზოგჯერ ჭკუიდან გადადის და ამ მდგომარეობაში ხან იცინის და ხან ცეკვავს. ასე აგრძელებს იგი და ყურადღებას არ აქცევს გარემომცველ ვითარებას. ღმრთეების სიყვარულის თანდათანობით განვითარების გამო მიჯაჭვულობა, განცდა და ექსტაზი ეზრდება. ასეთი მიჯაჭვულობა, *მაჰაბჰავა*, ერთგული სამსახურის სიყვარულის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. იგი შეიძლება შაქარყინულს შევადაროთ, რომელიც შაქრის ყველაზე ტკბილი სახე გახლავთ. ღმრთეების სიყვარული შეიძლება თანდათანობით ისე განვითარდეს, რომ ტრანსცენდენტული ნეტარება უფრო და უფრო გაიზრდება, სანამ ჭეშმარიტი ერთგულისთვის უმაღლეს საფეხურს არ მიაღწევს“.

თავი მეთოთხმეტე

უფლისა და მისი ერთგულების ექსტაზი

ზოგჯერ ისინი, ვინც სინამდვილეში წმინდა ერთგულები არ არიან, წმინდა ერთგულების მიერ გამოვლენილი მაღალი დონის ერთგული სამსახურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ბაძავენ. ეს აღწერილია „ბჰაკტი-რასამრტასინდჰუში". კრშნას ერთგული სამსახურის გარეშე ადამიანმა შეიძლება გარკვეული მოტივით გამოავლინოს ეს ნიშნები, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ნიშნები ყალბია. ზოგჯერ ერთგული სამსახურის მეცნიერებაში გაურკვეველ ადამიანებს გამოვლენილი ექსტაზის ნიშნები იზიდავთ, მაგრამ ერთგული სამსახურის მეცნიერების მცოდნეთ ასეთი ნიშნები თვითმიზნად არ მიაჩნიათ. სწავლული ერთგულები აღიარებენ, რომ ამ ნიშნებით ერთგული სამსახური მხოლოდ იწყება.

ერთგულების სხვადასხვა სახეობისა და საფეხურის მიხედვით, ერთგულ სამსახურში მუდმივი მდგომარეობები შეიძლება ხუთ კატეგორიად დაიყოს: (1) სიმშვიდე, (2) კრშნას სამსახური, (3) კრშნასთან მეგობრობა, (4) მშობლიური მიჯაჭვულობა კრშნასადმი და (5) კრშნას სატრფიალო სიყვარული. თითოეულ სახეობას თავისი განსხვავებული გემო და სიტკბოება ახასიათებს და გარკვეულ დანაყოფში მყოფი ერთგული ამ მდგომარეობაში ბედნიერი გახლავთ. წმინდა ერთგულის მიერ გამოვლენილი დამახასიათებელი ნიშნები, როგორც წესი, არის სიცილი და

ტირილი; როდესაც ემოციები სასიკეთოა, წმინდა ერთგული იცინის და როდესაც ემოციები არასასიკეთოა — ტირის.

ამ ორ განცდაზე მაღლა დგას მუდმივი სიყვარული, რომელსაც *სთჰპდიბჰპვა* ეწოდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრშნასადმი მიჯაჭვულობა მუდმივია. ამ მუდმივ სასიყვარულო გუნება-განწყობილებას ხანდახან სხვადასხვა სახის გემოები ემატება, რომელთაც *ვიბჰპვა, ანუბჰპვა* და *ვდაბჰიჩარრ* ეწოდება. *ვიბჰპვა* კრშნასადმი მიჯაჭვულობის გარკვეული გემოა და თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად — *პლამბანა* და *უდდიპანა*. „აგნი პურანასა“ და სხვა ავტორიტეტულ წმინდა წერილებში ნათქვამია, რომ ის, რაც კრშნას სიყვარულს აძლიერებს, არის *ვიბჰპვა* და როდესაც ობიექტი კრშნა ხდება, *ვიბჰპვა* ძლიერდება და *პლამბანაში* გადადის. *უდდიპანას* იწვევს კრშნას ტრანსცენდენტული თვისებები, მისი საქმიანობები, მისი მშვენიერი მომლიმარი სახე და მისი სხეულის სურნელება, მისი ფლეიტის ხმა, მისი ნიჟარის ხმა, ნიშნები მის ტერფებზე, მისი საცხოვრებელი ადგილი და მისი ერთგული სამსახურის ატრიბუტები (როგორიცაა *ტულასი* ფოთლები, ერთგულები, ცერემონიალური ღონისძიებები და ეკადაში). *ანუბჰპვა* დგება მაშინ, როდესაც ადამიანის შინაგანი გრძნობები და ემოციები გარეთ გამოხეთქავს. *ანუბჰპვას* ცნობიერების დროს იგი ცეკვავს და ზოგჯერ მიწაზე ეცემა, ზოგჯერ ხმამაღლა მღერის, კრუნჩხვები უვლის, ამთქნარებს და ზოგჯერ მეტად ღრმად სუნთქავს — და არავითარ ყურადღებას არ აქცევს გარემომცველ პირობებს.

ერთგულების სხეულებზე გამოვლენილ გარეგნულ ნიშნებს *უდბჰპვარა* ეწოდება. *ვდაბჰიჩარრს* ოცდაცამეტი ნიშანი ახასიათებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ერთგულის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს და სხეულის სხვადასხვა

ნიშნებს მოიცავს. როდესაც სხეულის ეს სხვადასხვა ნიშნები — როგორებიცაა ცეკვა, კანკალი და სიცილი — *ვდაბჰიჩარრ̄ს* ნიშნებს ერევა, ამას *სანჩარრ̄* ეწოდება. როდესაც *ბჰავას, ანუბჰავას* და *ვდაბჰიჩარრ̄ს* ნიშნები ერთდება, ერთგული უკვდავების ოკეანეში იძირება. ამ ოკეანეს *ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუ*, ერთგული სამსახურის წმინდა ნექტარის ოკეანე ჰქვია და ამ ოკეანეში ჩაძირული მუდამ ტრანსცენდენტულ სიამოვნებას განიცდის მის ტალღებსა და ხმაზე. *ბჰაკტი-რასამრტას* ამ ოკეანეში ჩაძირულ ერთგულთა გარკვეულ *რასებს* (არომატებს ან გემოებს) ეწოდება ნეიტრალური მდგომარეობა, მსახურება, მეგობრობა, მშობლიური ურთიერთობა და სატრფიალო სიყვარული. სატრფიალო სიყვარული მეტად გამორჩეულია და ხასიათდება იმით, რომ ერთგული თავის სხეულს კრშ̄ნას ყურადღების მისაპყრობად რთავს. მსახურების გემო იზრდება და სიყვარულს, მრისხანებას, მეგობრობასა და მიჯაჭვულობას მოიცავს. მეგობრობის გემო იზრდება და მოიცავს სიყვარულს, მრისხანებას, მეგობრობას, მიჯაჭვულობასა და ერთგულებას. მშობლიური მიჯაჭვულობა კი იზრდება და სიყვარულს, მრისხანებას, მეგობრობას, მიჯაჭვულობასა და ერთგულებას მოიცავს. უზენაეს უფალთან მეგობრობაში განიცდება განსაკუთრებული გემოებიც, რომლებიც ვლინდება სუბალას მსგავს მეგობრებში, ვისი ერთგულებაც *ბჰავას* საფეხურს აღწევს. ამასთანავე სხვადასხვა *რასები* ორი სახის ექსტაზად იყოფა, რომელთაც *Ძოგა* და *ვიᲫოგა* ანუ შეხვედრა და განშორება ეწოდება. მეგობრობასა და მშობლიურ ურთიერთობას შეხვედრისა და განშორებისას სხვადასხვა გრძნობები ახასიათებს.

რუდჰად და *ადჰირუდჰად* ცნობილი მდგომარეობები შეიძლება სატრფიალო სასიყვარულო ურთიერთობაში არსებობდეს. დვარაკაში დედოფლების მიერ გამოვლენილ

სატრფიალო სიყვარულს ეწოდება *რუდჰა*, ვრნდავანში ვრაჯას ქალწულთა მიერ გამოვლენილ სატრფიალო სიყვარულს კი — *ადჰირუდჰა*. სატრფიალო სიყვარულში *ადჰირუდჰას* უმაღლესი სრულყოფილება მოიცავს შეხვედრას (*მადანას*) და განშორებას (*მოჰანას*). *მადანას*, შეხვედრის ექსტაზში ადგილი აქვს კოცნას, *მოჰანას*, განშორების ექსტაზში კი არის *უდგჰურნა* და *ჩიტრაჯალპა*. რაც შეეხება *ჩიტრაჯალპას*, „შრიმად-ბჰაგავატამში" არის ნაწილი, რომელსაც „ბჰრამარა-გიტა" ეწოდება, სადაც სხვადასხვა სახის *ჩიტრაჯალპაა* ნაჩვენები. *უდგჰურნა* განშორების ნიშანია და არსებობს ნიშანიც, რომელსაც ტრანსცენდენტული შეშლილობა ეწოდება. ამ ტრანსცენდენტული შეშლილობის დროს ადამიანი ფიქრობს, რომ იგი ღმრთეების უზენაესი პიროვნება გახდა. ასეთ ექსტაზში იგი სხვადასხვაგვარად ბაძავს კრშნას გარეგნულ ნიშნებს.

სატრფიალო სიყვარულის ურთიერთობაში ორი სახის სამოსელს იცვამენ და მათ *სამბჰოგა* და *ვიპრალამბჰა* ეწოდება. *სამბჰოგა* საფეხურზე სამოსელის რაოდენობა უსასრულოა, *ვიპრალამბჰას* შემთხვევაში კი ოთხი გახლავთ. სატრფოსა და მიჯნურის შეხვედრამდე, მათი შეხვედრის შემდეგ გამოვლენილ ექსტაზს, ცნობიერების მდგომარეობას, რომელიც განიცდება მაშინ, როდესაც მათ შეხვედრა არ შეუძლიათ და შეხვედრის შემდეგ განშორების შიშით განცდილ ცნობიერების მდგომარეობას *ვიპრალამბჰა* ეწოდება. ეს *ვიპრალამბჰა* მომავალი შეხვედრების მასაზრდოებლის მოვალეობას ასრულებს. როდესაც სატრფო და მიჯნური ერთმანეთს უეცრად ხვდებიან და ეხვევიან, ისინი ბედნიერების ექსტაზს გრძნობენ და ამ ექსტაზში გამოცდილ ჭკუის მდგომარეობას *სამბჰოგა* ეწოდება. ვითარების შესაბამისად, ექსტაზი *სამბჰოგაც* ოთხი სახელითაა ცნობილი: (1) *სანკშიპტა*, (2) *სანკირნა*, (3) *სამპანნა*, (4) *სამრდდჰიმანნ*. ასეთი ნიშნები სიზმარშიც გვხვდება.

შეხვედრამდე არსებულ მენთალურ მდგომარეობას ეწოდება *პურვარაგა*. დაბრკოლებებს, რომლებიც ზოგჯერ სატრფოსა და მიჯნურის შეხვედრას აფერხებს, *მანა* ანუ მრისხანება ეწოდება. სატფროსა და მიჯნურის განშორებისას განცდილ მენთალურ მდგომარეობას ეწოდება *პრავასა*. განშორების გრძნობებს, რომელიც გარკვეულ პირობებში ვლინდება, მაშინაც კი, როცა შეყვარებულნი ერთმანეთს ხვდებიან, სიყვარულის მღელვარებანი (*პრემა-ვაიჩიტტა*) ეწოდება. ასეთ სასიყვარულო მღელვარებას „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.90.15) დედოფლები ავლენენ — ღამეებს თეთრად ათენებდნენ და მძინარე კრშნას შესცქეროდნენ. მათ კრშნასთან განშორების შიში ჰქონდათ და ერთმანეთში მუდამ იმის შესახებ ლაპარაკობდნენ, თუ როგორ დაატყვევა ისინი კრშნას მშვენიერმა თვალებმა და ღიმილმა.

უმაღლესი მიჯნური არის კრშნა და იგი ვრნდავანში იმყოფება, უმაღლესი სატრფო კი რადჰარანი გახლავთ. კრშნას სამოცდაოთხი მნიშვნელოვანი თვისება აქვს და მისი ერთგული ტრანსცენდენტულ სიამოვნებას განიცდის მათ შესახებ მოსმენისას. როგორც „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუშია“ განმარტებული, არსებობს შემდეგი დამახასიათებელი თვისებები: (1) მისი სხეული მშვენიერი აღნაგობისაა; (2) მის სხეულს ყოველი სასიკეთო ნიშანი ახასიათებს; (3) მისი სხეული ლამაზია; (4) მისი სხეული ბრწყინვალეა; (5) მისი სხეული ძალიან ძლიერია; (6) მუდამ თექვსმეტი წლის ბიჭივით გამოიყურება; (7) კარგად იცის სხვადასხვა ენები; (8) ალალმართალია; (9) სასიამოვნო სიტყვები ამშვენებს; (10) მჭერმეტყველია; (11) დიდად განსწავლულია; (12) უაღრესად გონიერია; (13) გავლენიანია; (14) მხიარულია; (15) ეშმაკია; (16) მარჯვეა; (17) მადლიერია; (18) მტკიცედაა დარწმუნებული; (19) იცის, როგორ მოიქცეს სხვადასხვა ვითარებებში; (20) მუდამ ესმის წმინდა წერილთა დანაწესები; (21) წმინდაა; (22) თავის ერთგულებს ემორჩილება; (23) შეურყეველია;

(24) საკუთარ თავს ფლობს; (25) შემწყნარებელია; (26) სერიოზულია; (27) ფიქრისადმი მიდრეკილება აქვს; (28) თავის საქმეებში პატიოსანია; (29) დიდსულოვანია; (30) რელიგიურია; (31) დიადი გმირია; (32) მწყალობელია; (33) თავაზიანია; (34) გარკვეულია ყოველ საკითხში; (35) კეთილშობილია; (36) თავმდაბალია; (37) მისადმი მინდობილი სულების მფარველია; (38) განმათავისუფლებელია; (39) ერთგულთა მეგობარია; (40) სიყვარულს ემორჩილება; (41) ყოვლად სასიკეთოა; (42) ყველაზე ძლიერია; (43) სახელგანთქმულია; (44) ერთგულია ყოველი ცოცხალი არსებისა; (45) ყველას თაყვანისცემის ღირსია; (46) მეტად იზიდავს ყველა ქალს; (47) მიკერძოებულია ერთგულებისადმი; (48) აღსავსეა მთელი სიდიადეებით; (49) უმაღლესი განმგებელია; (50) ყველაზე პატივცემულია.

ეს ორმოცდაათი თვისება ანუ დამახასიათებელი ნიშანი ნაწილობრივ ყოველ ცოცხალ არსებასაც ახასიათებს. როდესაც ეს თვისებები სულიერად სრულიად თავისუფლდება და საკუთარ თავდაპირველ მდგომარეობას უბრუნდება, ადამიანის სიცოცხლეში მცირე რაოდენობით ყოველი მათგანი შეიმჩნევა. მაგრამ კრშნა მათ სრულად ფლობს. არსებობს კიდევ ხუთი ტრანსცენდენტული თვისება (ქვემოთ ჩამოთვლილი), რომლებიც უზენაეს უფალ ვიშნუს და ნაწილობრივ უფალ შივას ახასიათებს, მაგრამ ისინი ცოცხალ არსებებს არ გააჩნია. აი ეს თვისებებიც: (1) იგი მუდამ თავის თავდაპირველ მდგომარეობაში იმყოფება; (2) ყოვლისმცოდნეა; (3) მარად ახალგაზრდა და ნორჩია; (4) მარადიულად ნეტარია; (5) ყველაფერში გათვითცნობიერებული და მთელი სრულყოფილების მეუფე გახლავთ. ამ ხუთ ტრანსცენდენტულ თვისებასთან ერთად არსებობს ხუთი სხვა თვისებაც, რომლებიც სულიერ ზეცაზე, განსაკუთრებით ვაიკუნṫჰა პლანეტებზე გვხვდება, სადაც განმგებელი ღვთაება არის ნარაჲანა. ესენია:

მისი ღვთაებრივი მოწყალება

ა.ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი პრაბჰუპაადა

ქრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი-აჩარია



„კრშნა ხუთი სხვადასხვა ექსპანსიის სახით ვლინდება და
იგი და ყოველი მისი თანამგზავრი უზენაესი უფლის ერთ-
გულებად მოდიან შრი კრშნა ჩაიტანიას, ნიტიანანდას,
ადვაიტაჩარიას, გადაჰარას, შრივასასა და სხვათა სახით“.
(გვ. 61)



კრშნას სხვადასხვა ფორმები მთელ სამყაროში ვრცელ-
დება, რათა სიამოვნება მიანიჭოს ერთგულებს, აღადგინოს
ერთგული სამსახური და შესრულდეს სხვა საქმიანობები,
რაც სასიცოცხლოდ იქნება დაკავშირებული ღმრთეების
უზენაეს პიროვნებასთან. ზოგიერთი ეს ფორმა წმინდა
წერილებში მოხსენიებულ ინკარნაციებს განეკუთვნება.

„კაზის სახლში მისულმა ხანგრძლივი საუბარი გამართა მასთან...“ (გვ. 22)

სანპტანა გოსვამი ხვდება უფალ ჩაიტანეა მაჰაპრაბჰუს.

„მაშინ ოთხთავიანმა ბრაჰმამ დაინახა მრავალი სხვა ბრაჰმა. ისინი კრშნას სანახავად მოდიოდნენ და თაყვანს სცემდნენ მას. ზოგიერთ მათგანს ათი თავი ჰქონდა, ზოგიერთს — ოცი, ზოგს — ასი და ზოგს — მილიონი თავიც კი“. (გვ. 164)

„რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ მან იხილა მონადირე, რომელიც მშვილდ-ისრით ნადირობდა. მონადირე ძალიან შავი იყო და წითელი თვალები ჰქონდა. იგი მშვილდ-ისრით იდგა და დამარაჯას, სიკვდილის მხლებელს ჰგავდა“. (გვ. 261)

„იგი გალობითა და ცეკვით მიდიოდა ტაძრისაკენ და ათა-
სობით ადამიანი მიჰყვებოდა მას. ზოგი ტიროდა, ზოგი
იცინოდა. ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, ზოგი მიწაზე
ეცემოდა და ქედს უხრიდა უფალს. ყოველი მათგანი
კრშნას წმინდა სახელს გასძახოდა“. (გვ. 67)

„ჩემო ძვირფასო ბატონო, რატომ ზიხარ ბინძურ ადგილას?
— იკითხა მან. „ვთხოვ, ჩვენთან დაბრძანდი“. (გვ. 289)

„ამრიგად, უფალმა ჩაიტანიამ დაგმო „ვედანტა-სუტრას“ არაპირდაპირი ინტერპრეტაციის მცდელობები და იქ მყოფი ყოველი *სანნიასი* განაცვიფრა მის მიერ მოცემულმა ახსნა-განმარტებამ“. (გვ. 328)

„შენ ერთი კვირა ისმენ ჩემგან „ვედანტა-სუტრას“, მაგრამ კითხვა არ დაგისვამს და არც ჩემი განმარტებების მოწონება გამოგიხატავს. ამიტომ არ ვიცი, გაიგე თუ არა“. (გვ. 373)

„ძუნდაკა უპანიშადში“ ნათქვამია, რომ ერთ ხეზე ორი ჩიტი ზის და ერთ-ერთი მათგანი ხის ნაყოფებს ჭამს, მეორე კი უბრალოდ მოწმეა მისი საქმიანობისა. ნაყოყის მჭამელი ჩიტი მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება ყოველგვარი მღელვარებისაგან, როდესაც მეორე ჩიტს შეხედავს“. (გვ. 384)



„უფალ ჩაიტანდას მოეწონა ამ დიდი მეცნიერის თავმდაბ-
ლობა და ამიტომ ჯერ თავისი ოთხხელიანი, შემდეგ კი
ექვსხელიანი (შადჰუჯა) უჩვენა“. (გვ. 394)

„ამან ძალიან ასიამოვნა უფალი ჩაიტანდა. მან გაიღიმა და უჩვენა რამჰნანდას თავისი ჭეშმარიტი სახე, რომელშიც შრი რადჰა და კრშნა იყვნენ გაერთიანებულნი. მაშასადამე, უფალი ჩაიტანდა თავად შრი კრშნაა, რომელსაც შრიმატი რადჰარანის გარეგნული ნიშნები აქვს მიღებული“. (გვ. 473)



„მაჰაბჰავა-სკარუკა, მაჰაბჰავის გაპირიერნება, მხოლოდ რადჰარანის ახასიათებს. მაჰაბჰავა სიყვარულის გაძოვლინებას წარმოადგენს. ამიტომ მთელ სამყაროში კრშნასათვის რადჰარანი ყველაზე საყვარელია და მისი სახელი მუდამ კრშნასთანაა დაკავშირებული — რადჰა-კრშნა“. (გვ. 448)

(1) იგი წარმოუდგენელ პოტენციებს ფლობს; (2) შეუძლია ურიცხვი პლანეტა დაიკავოს; (3) იგია ყოველი ინკარნაციის თესლი; (4) უმაღლეს სრულყოფილებას ანიჭებს იმ მტრებს, რომლებსაც თავად ხოცავს; (5) იგი ყველაზე მიმზიდველია თვითრეალიზებული პიროვნებისათვის.

ზემოაღნიშნული თვისებები და დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც საბოლოო ჯამში სამოცია, ნარაჰანას საფეხურამდე გვხვდება. მაგრამ კრშნას შემდეგი ოთხი განსაკუთრებული თვისება აქვს: (1) საოცარი გართობების გამოვლინება შეუძლია; (2) სრულყოფილად ფლობს ფლეიტაზე დაკვრის ტრანსცენდენტულ ხელოვნებას; (3) გარშემორტყმულია მოსიყვარულე ერთგულებით; (4) შეუდარებელი პიროვნული სილამაზე გააჩნია.

ამრიგად, კრშნას სამოცდაოთხი ტრანსცენდენტული თვისება აქვს. შრიმატი რადჰარანი ოცდახუთი ტრანსცენდენტული თვისება აქვს, მაგრამ მათი საშუალებით შეუძლია თავად კრშნაც კი თავის ნებას დაუმორჩილოს. მისი ტრანსცენდენტული თვისებებია: (1) იგია სიტკბოების განსახიერება; (2) ნორჩი ახალგაზრდა გოგოა; (3) მისი თვალები მუდამ მოძრაობს; (4) მუდამ ღიმილით ბრწყინავს; (5) მის სხეულს ყოველი სასიკეთო ნიშანი ამშვენებს; (6) თავისი სხეულის სურნელით კრშნას აღელვება შეუძლია; (7) გაწაფულია სიმღერაში; (8) მშვენივრად და ტკბილად ლაპარაკობს; (9) მეტად ოსტატურად შეუძლია ქალური მიმზიდველობის გამომჟღავნება; (10) მოკრძალებული და ნაზია; (11) მუდამ უაღრესად მწყალობელია; (12) ტრანსცენდენტული ეშმაკობა ახასიათებს; (13) იცის, როგორ ჩაიცვას მოხდენილად; (14) მუდამ მორცხვია; (15) მუდამ თავაზიანია; (16) მუდამ მომთმენია; (17) მეტად სერიოზულია; (18) სიამოვნებას ანიჭებს კრშნას; (19) მუდამ ერთგული სამსახურის უმაღლეს საფეხურზე იმყოფება; (20) გოკულას მაცხოვრებელთა სიყვარულის

სავანეა; (21) შეუძლია თავშესაფარი მისცეს ყოველ ერთგულს; (22) მუდამ სიყვარულით ეპყრობა უფროსებსა და უმცროსებს; (23) მუდამ დავალებულად გრძნობს თავს თავისი თანამგზავრების მოპყრობის გამო; (24) კრშ̣ნ̣ას მეგობარ გოგონათა შორის უმაღლესია; (25) მუდამ თავის ნებას უმორჩილებს კრშ̣ნ̣ას.

ამრიგად, კრშ̣ნ̣აც და რ̄ადჰ̄ერ̄ან̣ī̄ც ტრანსცენდენტულ თვისებებს ფლობენ და ორივე ერთმანეთს იზიდავს. მიუხედავად ამისა, ამ ტრანსცენდენტულ მიმზიდველობაში რ̄ადჰ̄ერ̄ან̣ī̄ კრშ̣ნ̣აზე დიადია, ვინაიდან რ̄ადჰ̄ერ̄ან̣ī̄ს მიმზიდველობა სატრფიალო სიყვარულის ტრანსცენდენტულ გემოში მდგომარეობს. სწორედ ასევე, არსებობს მსახურების, მეგობრობისა და კრშ̣ნ̣ასთან სხვა ურთიერთობების ტრანსცენდენტული გემოები. მათი დახასიათება „ბჰაკტი-რასამრ̣ტა-სინდჰუს“ შინაარსის დამოწმებით შეიძლება.

მათ, ვინც ერთგული სამსახურით ბოლომდე განწმენდილნი და მუდამ მხიარულნი არიან, იმყოფებიან რა ამაღლებულ ცნობიერებაში, ვისაც უაღრესად უყვართ „შრ̄იმად-ბჰ̄აგავატამის“ შესწავლა, ვინც მუდამ მხიარულნი არიან ერთგულებთან ურთიერთობაში, ვინც ცხოვრების საბოლოო თავშესაფარად კრშ̣ნ̣ას ლოტოსის ტერფები გაიხადეს და ვინც კმაყოფილნი არიან ერთგული სამსახურის ყოველი წვრილმანის შესრულებით, თავიანთ წმინდა გულებში სასიყვარულო მიჯაჭვულობის ტრანსცენდენტული ექსტაზი აქვთ. როდესაც ყოფიერების ეს ექსტაზური მდგომარეობა კრშ̣ნ̣ას სიყვარულითა და ტრანსცენდენტული გამოცდილებით მდიდრდება, ადამიანი თანდათანობით სულიერი ცხოვრების უმაღლეს სრულყოფილებას აღწევს. ასეთი სულიერი ცხოვრება მიუწვდომელია მათთვის, ვინც კრშ̣ნ̣ას ცნობიერებასა და ერთგულ სამსახურში არ იმყოფებიან. ეს ფაქტი კიდევ უფრო დაწვრილებითაა განხილული „ბჰაკტი-რასამრ̣ტა-სინდჰუში“, სადაც

ნათქვამია: „არაერთგულს ძალიან უჭირს ერთგული სამსახურის გემოს გაგება. მხოლოდ მას შეუძლია ამ ტრანსცენდენტული ნეტარების გაგება, ვინც ბოლომდე შეაფარა თავი კრშნას ლოტოსის ტერფებს და ვისი სიცოცხლეც ერთგული სამსახურის ოკეანეშია ჩაძირული“.

ამრიგად, უფალმა ჩაიტანდამ მოკლედ განმარტა ტრანსცენდენტული მდგომარეობა და სიცოცხლეში სულიერი განცხრომა და გვასწავლა, რომ სრულყოფილების პირველ საფეხურზე ადამიანი, მატერიალურ სამყაროში გავრცელებული ჩვეულებრივი გაგებით, რელიგიური პიროვნება ხდება. სრულყოფილების მეორე საფეხურზე კაცი მატერიალურად მდიდრდება. მატერიალური სრულყოფილების მესამე საფეხურზე იგი გრძნობათა სრულ დაკმაყოფილებას ღებულობს, მეოთხე საფეხური კი განთავისუფლების შესახებ ცოდნით ხასიათდება. ამ საფეხურზე მაღლა დგანან ისინი, ვინც მეხუთე საფეხურზე იმყოფებიან და უკვე დამკვიდრებულნი არიან კრშნას ცნობიერებაში ანუ უფლის ერთგულ სამსახურში. კრშნას ცნობიერებაში შესრულებული ერთგული სამსახურის უმაღლესი სრულყოფილების დონეზე ადამიანი სულიერი განცხრომის ექსტაზის გემოს განიცდის.

ამის შემდეგ უფალმა ამცნო სანჯტანა გოსვამის, რასაც აქამდე უფალი მის უმცროს ძმას, რუპა გოსვამის ასწავლიდა პრაჲაგში (ალაჰაბადი). უფალმა უთხრა სანჯტანა გოსვამის, რომ რუპა გოსვამი უფლებამოსილი გახადა, გაევრცელებინა მის მიერ მიცემული ცოდნა. ამის შემდეგ უფალმა სანჯტანა გოსვამის დაავალა, დაეწერა წიგნები უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურის შესახებ და მათჰურას მხარეში კრშნას გართობათა სხვადასხვა ადგილების აღმოჩენა მიანდო. მან ასევე ურჩია სანჯტანა გოსვამის, ეშენებინა ტაძრები ვრნდავანში და დაეწერა წიგნი ვაიშნავიზმის პრინციპების შესა-

ხებ, რაც თავად უფალი ჩაიტანია მაჰპრაბჰუს მიერ იყო ნებადართული. სანატანა გოსვამიმ უფლის ყოველი სურვილი შეასრულა — ვრინდავანში მადანა-მოჰანას ტაძარი ააგო და დაწერა წიგნები ერთგული სამსახურის პრინციპების შესახებ — „ჰარი-ბჰაკტი-ვილასა“. შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ ასწავლა სანატანა გოსვამის, როგორ შეიძლება მატერიალურ სამყაროში ცხოვრება და ამავე დროს კრშნასთან სრული ურთიერთობის შენარჩუნება. ასწავლა ისიც, რომ მშრალი განდეგილობა საჭირო არ არის. ამ დარიგების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ეპოქაში მრავალნი ღებულობენ განდეგილის ცხოვრების წესს, მაგრამ ისინი არ არიან სულიერად განვითარებულნი. უფალი ჩაიტანია არ ამართლებდა კრშნას ცნობიერების შესახებ სრულყოფილი ცოდნის გარეშე *სანნიასს* მიღებას. მართლაც, არსებობს არაერთი *სანნიასი*, რომელთა მოქმედებებიც უბრალო ადამიანის ქცევაზე დაბალია, მაგრამ რომლებსაც თავი მოაქვთ, თითქოს განდეგილის ცხოვრების წესში იყვნენ. უფალი ჩაიტანია მაჰპრაბჰუ არ აღიარებდა ასეთ ფარისეველობას. მან ასწავლა სანატანა გოსვამის, დაწვრილებით დაეწერა სხვადასხვა წიგნებში ერთგული სამსახურის შესახებ.

სულიერი ცხოვრების სრულყოფილების საფეხური, რომლის გამოცდაც მატერიალურ სამყაროში ყოფნის დროსაც შეიძლება, აღწერილია „ბჰაგავად-გიტას“ მეთორმეტე თავში: „ის, ვინც არავის ემტერება, არამედ ყოველი ცოცხალი არსების კეთილი მეგობარია, ვისაც საკუთარი თავი რაიმეს მფლობელად არ მიაჩნია, ვინც თავისუფალია ცრუ ეგოსაგან და ერთნაირად შეჰყურებს ბედნიერებას და უბედურებას, ვინც მუდამ კმაყოფილია და შეუპოვრად არის დაკავებული ერთგული სამსახურით და ვისი ჭკუა და გონებაც ჩემთანაა შეთანხმებული — მეტად

ძვირფასია ჩემთვის. ის, ვინც არავის აყენებს უსიამოვნებას და ვისაც მღელვარება არ იტანს, ვინც ურყევია ბედნიერებასა და უბედურებაში, მეტად ძვირფასია ჩემთვის. ერთგული, რომელიც დამოკიდებული არ არის საქმეთა ჩვეულებრივ მსვლელობაზე, რომელიც წმინდაა, მარჯვე, უზრუნველი, თავისუფალია ყოველგვარი ტკივილისაგან და არავითარი შედეგისთვის არ იღწვის, მეტად ძვირფასია ჩემთვის. ვინც არ ეჭიდება არც სიამოვნებას და არც მწუხარებას, ვინც არც დასტირის და არც შენატრის რაიმეს და ვინც უარს ამბობს სასიკეთოსა და არასასიკეთოზე, მეტად ძვირფასია ჩემთვის. ვინც თანაბრად ეპყრობა მეგობრებსა და მტრებს, წონასწორობას ინარჩუნებს პატივსა და უპატივცემულობაში, სიცხესა და სიცივეში, ბედნიერებასა და უბედურებაში, სახელსა და უსახელობაში, ვინც მუდამ თავისუფალია ყოველგვარი უსუფთაობისაგან, მუდამ ჩუმი და ყველაფრით კმაყოფილია, ვისაც არ ადარდებს საცხოვრებელი ადგილი, განმტკიცებულია ცოდნაში და დაკავებულია ერთგული სამსახურით, მეტად ძვირფასია ჩემთვის. ვინც ერთგული სამსახურის ამ უკვდავ გზას მიჰყვება და ბოლომდე რწმენით არის დაკავებული, მხდის რა მე უმაღლეს მიზნად, მეტად, მეტად ძვირფასია ჩემთვის“ (ბ.გ. 12.13-20).

თუკი ადამიანი ასეთ ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში არ იმყოფება, მაგრამ უბრალოდ მოსწონს ასეთი ტრანსცენდენტული სიცოცხლე, იგიც მეტად ძვირფასი ხდება კრშნასათვის. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (2.2.5) ნათქვამია, რომ ერთგული მუდამ უზენაესი უფლის წყალობაზე უნდა იყოს დამოკიდებული და მატერიალური მოთხოვნილებების მხრივ, დაკმაყოფილდეს იმით, რასაც ძალისხმევის გარეშე ღებულობს. ამასთან დაკავშირებით, შუკადევა გოსვამი გვირჩევს, რომ ერთგულმა არავითარი დახმარებისთვის მატერიალისტს არ უნდა მიმართოს.

რაც შეეხება სხეულის მოთხოვნილებებს, შეიძლება ვიხმაროთ ქუჩაში გადაგდებული დახეული ტანისამოსი, ხის ნაყოფი მოვწყვიტოთ, მდინარის წყალი ვსვათ და ბუნების მიერ აგებულ გამოქვაბულში ვიცხოვროთ. ადამიანს ამის შესრულება რომც არ შეეძლოს, მაინც ბოლომდე უზენაეს უფალზე უნდა იყოს დამოკიდებული, ესმოდეს რა, რომ უზენაესი უფალი ყველას აძლევს საკვებსა და თავშესაფარს. ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ უფალი არასოდეს მოაკლებს მზრუნველობას თავის ერთგულებს, რომლებიც ბოლომდე არიან მასზე მინდობილნი. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთგული მუდამ დაცულია, ამიტომ სრულიად არ უნდა ღელავდეს საკუთარი თავის გატანაზე.

ამრიგად, სანჯანა გოსვამიმ ერთგული სამსახურის ყოველი საფეხურის შესახებ გამოიკითხა და უფალმა ჩაიტანიამ მისცა მას ყველაზე საკრალური ცოდნა ისეთი ავტორიტეტული წმინდა წერილიდან, როგორიცაა „შრიმად-ბჰაგავატამი“. უფალმა მოიშველია ისეთი ვედური ნაწარმოებიც, როგორიცაა „ჰარივამშა“, რომელიც კრშნას ტრანსცენდენტული სავანის შესახებ გვაწვდის ცნობებს. ეს ცნობები აღმოაჩინა ინდრამ, როდესაც კრშნას ძალის ბრძოლაში გამოწვევის შემდეგ დამარცხებულმა ლოცვები აღავლინა. „ჰარივამშაში“ ნათქვამია, რომ თუმცა ჩიტები და თვითმფრინავები დაფრინავენ, მათ მაღალი პლანეტარული სისტემების მიღწევა არ შეუძლიათ. მაღალი პლანეტარული სისტემები იწყება პლანეტა მზით, რომელიც სამყაროს შუაში იმყოფება. მზეზე მაღლა არის სხვა პლანეტარული სისტემები, სადაც დიდი ასკეზებისა და ეპითიმიების შესრულების შედეგად ამაღლებული პიროვნებები ცხოვრობენ. მთელ მატერიალურ სამყაროს ეწოდება დევიდჰამა და მასზე მაღლაა შივადჰამა, სადაც მარადიულად ცხოვრობენ შივა და მისი მეუღლე პარვატი. ამ პლანეტარულ სისტემაზე მაღლა არის სულიერი ზეცა, სადაც

ვაიკუნ̣ṭ̣ჰებად წოდებული ურიცხვი სულიერი პლანეტაა. ამ ვაიკუნ̣ṭ̣ჰა პლანეტებზე მაღლა იმყოფება კრ̣შ̣ნას პლანეტა, რომელსაც გოლოკა ვრ̣ნდავანა ეწოდება. სიტყვა „გოლოკა“ „ძროხების პლანეტას“ ნიშნავს. რადგან კრ̣შ̣ნას ძროხები ძალიან უყვარს, მის სავანეს გოლოკა ჰქვია. გოლოკა ვრ̣ნდავანა ერთად აღებულ ყოველ მატერიალურ და სულიერ პლანეტაზე დიდია. „პარიკამშაში“ მოცემულ ლოცვაში ინდრა აღიარებს, რომ ვერ გაიგო გოლოკა, მიუხედავად იმისა, რომ ბრაჰმასაც კი გამოჰკითხა მის შესახებ. კრ̣შ̣ნას ექსპანსია ნარაჰ̣ანა̣ს ერთგულები ვაიკუნ̣ṭ̣ჰა პლანეტებს აღწევენ, მაგრამ გოლოკა ვრ̣ნდავანას მიღწევა ძალიან ძნელია. სინამდვილეში ამ პლანეტის მიღწევა მხოლოდ უფალი ჩაიტანიას ან უფალი შრ̣ī კრ̣შ̣ნას ერთგულებს შეუძლიათ. სწორედ ინდრა გამოუტყდა უფალ კრ̣შ̣ნას: „შენ სულიერი ზეცის პლანეტა გოლოკადან ჩამოხვედი და მთელი ეს უსიამოვნება ჩემი სისულელით იყო გამოწვეული“. ამიტომ ინდრამ უფალ კრ̣შ̣ნას პატიება სთხოვა.

უფალი კრ̣შ̣ნას გართობათა ბოლო ხანა „შრ̣īმად-ბჰაგავატამში“ *მაუშალა-ლīლა̄ḍ* არის წოდებული. იგი ამ მატერიალური სამყაროდან კრ̣შ̣ნას გაუჩინარების საიდუმლოებას მოიცავს. ამ გართობაში უფალმა გაითამაშა, რომ მონადირემ მოკლა. უფალი კრ̣შ̣ნას გართობათა ბოლო ხანის მრავალი არასწორი განმარტება არსებობს (როგორიცაა კრ̣შ̣ნას თმის ინკარნაციის აღწერა), მაგრამ უფალმა ჩაიტანიამ ჯეროვნად დაახასიათა ეს გართობები და სწორი ახსნა მისცა მათ. რაც შეეხება კრ̣შ̣ნას თმის ინკარნაციას, იგი ნახსენებია „შრ̣īმად-ბჰაგავატამში“, „ვიშ̣ṇუ პურა̄ṇ̣ა̄ში“ და „მაჰაბჰარატაში“. მათში ნათქვამია, რომ უფალმა თავიდან მოიგლიჯა ჭაღარა და შავი თმა და ეს ორი თმა ḍადუს დინასტიის ორი დედოფლის, სახელდობრ, როჰინ̣ī̄სა და დევაკī̄ს საშოში შევიდა. ნათქვამია

ისიც, რომ უფალი კრშნა მატერიალურ სამყაროში მთელი დემონების მოსასპობად ეშვება, მაგრამ ზოგი ამბობს, რომ კრშნა ინკარნაციაა ვიშნუსი, რომელიც ამ სამყაროში რძის ოკეანეში წევს. თავის „ლაგჰუ-ბჰაგავატამრტაში“ შრილა რუპა გოსვამიმ და მისმა კომენტატორმა, შრი ბალადევა ვიდჰაბჰუშანამ ბოლომდე განიხილეს ეს საკითხები და ჭეშმარიტება დაამტკიცეს. ეს საკითხები შრი ჯივა გოსვამიმაც განიხილა „კრშნა-სანდარბჰაში“.

როდესაც უფალმა ჩაიტანḍამ სანატანა გოსვამის სწავლება დაასრულა, სანატანა, უფლებამოსილებით აღჭურვილი და გასხივოსნებული, ისეთ ტრანსცენდენტულ ბედნიერებას გრძნობდა, რომ უმალვე დაემხო უფალი ჩაიტანḍას ტერფებთან და თქვა: „მე მდაბიო ოჯახში ვარ შობილი და მუდამ მდაბიო ხალხთან მქონდა ურთიერთობა; ამიტომ უმდაბლესი ვარ ცოდვილთა შორის. მაგრამ შენ მაინც იმდენად მწყალობელი ხარ, რომ მასწავლი იმას, რაც უფალ ბრაჰმას, ამ სამყაროში უდიდეს პიროვნებასაც კი არ ესმის. შენი წყალობით გავიგე დასკვნები, რომლებიც მასწავლე, მაგრამ იმდენად მდაბიო ვარ, რომ შენი დარიგებების წვეთსაც კი ვერ ვეხები. ამიტომ თუ გსურს კოჭლი კაცი მაცეკვო, გთხოვ, დამლოცე და თავზე დამადგი შენი ლოტოსის ტერფები“.

ამრიგად, სანატანა გოსვამი ევედრებოდა უფალს, დაედასტურებინა ის, რომ მისი სწავლებანი მისი წყალობით რეალურად გაღვივდებოდა სანატანას გულში. მან იცოდა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შეძლებდა უფლის სწავლებათა აღწერას. ამის მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ *ᳬჩარḍები* (სულიერი მოძღვრები) მაღალი ავტორიტეტის მქონე პირთა მიერ არიან უფლებამოსილნი. მხოლოდ სწავლება ვერ გახდის კაცს სრულყოფილს. სულიერი მოძღვრის ანუ *ᳬჩარḍას* კურთხევის გარეშე ასეთი სწავლებები სრული სახით ვერ გამოვლინდება. ამიტომ

კაცმა სულიერი მოძღვრის წყალობა უნდა ეძებოს, რათა სულიერი მოძღვრის დარიგებები გაღვივდეს მასში. სანჯტანა გოსვამის ლოცვების მოსმენის შემდეგ უფალმა ჩაიტანდამ ტერფები თავზე დაადგა სანჯტანას და აკურთხა, რომ მთელი მისი სწავლებები სრულად გამოვლენილიყო.

ასე განმარტა უფალმა ღმრთეების სიყვარულის უმაღლესი საფეხური. უფალმა ჩაიტანდამ თქვა, რომ ამის უფრო დაწვრილებით დახასიათება შეუძლებელია, მაგრამ მან იმდენი გადასცა მას, რამდენიც შეეძლო. აქედან გამომდინარე დასკვნა ისაა, რომ ვინც გულდასმით მოისმენს ამ საუბრებსა და უფალი ჩაიტანდას მიერ სანჯტანა გოსვამისთვის მიცემულ სწავლებებს, ძალიან მალე მიაღწევს კრშნას ცნობიერებას და უფლის ერთგულ სამსახურში ჩაებმება.

თავი მეთხუთმეტე

განმარტება „შრიმად-ბჰაგავატამის“ ლექსისა ატმარამა

შემდეგ უფალმა ჩაიტანდამ განმარტა მეტად ცნობილი ლექსი *ატმარამა*, რომელიც „შრიმად-ბჰაგავატამში“ გვხვდება:

ატმარამაშ ჩა მუნაძო
ნირგრანთჰა აჰდ ურუკრამე
კურვანტდ აჰაიტუკიმ ბჰაკტიმ
იტთჰამბჰუტა-გუნო ჰარიჰ

ეს ლექსი გამოხატავს იმ აზრს, რომ განთავისუფლებული და საკუთარ თავში სრულიად კმაყოფილი სულები საბოლოოდ უფლის ერთგულები ხდებიან. ეს დანაწესი განსაკუთრებით იმპერსონალისტთა მისამართით არის ნახმარი, რადგან იმპერსონალისტებს არავითარი ცნობები არ მოეპოვებათ ღმრთეების უზენაესი პიროვნების შესახებ. ისინი უპიროვნო ბრაჰმანით ცდილობენ დაკმაყოფილებას, მაგრამ კრშნა იმდენად მიმზიდველი და ძლიერია, რომ იზიდავს მათ ჭკუას. ამაში მდგომარეობს ამ ლექსის შინაარსი.

აქამდე უფალმა ეს ლექსი დიდ ვედანტისტ სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარიას განუმარტა. უფალი ჩაიტანიას დარიგებათა მოსმენის შემდეგ სანატანა გოსვამიმ ეს ამბავი მოიგონა და სთხოვა უფალს, კვლავ განემარტა მისთვის ლექსი *ატმარამა*. *კავირაჯა* გოსვამიმაც, „ჩაიტანია-ჩარიტამრტას“ ავტორმა, რომელიც დიდად აფასებდა უფლის მიერ განმარტებას ლექსისა *ატმარამა*, ხოტბა შეასხა უფალს თავის ლოცვებში. დაემხო რა მიწაზე მის ტერფებთან, სანატანა გოსვამიმ სთხოვა უფალ ჩაიტანიას, ეს ლექსი ისე განემარტა, როგორც უწინ სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარიას განუმარტა. ამ ლექსის მოსმენის ძლიერი წადილი სანატანამ იმით ახსნა, რომ ამას მისთვის გასხივოსნების მოტანა შეეძლო. სანატანას თხოვნას უფალმა ასე უპასუხა: „მე არ მესმის რატომ მოეწონა სარვაბჰაუმას ჩემი განმარტება. აღარც მახსოვს, რა ვუთხარი. მაგრამ რადგან შენ მთხოვ ამას, შენთან ურთიერთობის წყალობით, შევეცდები განვმარტო რაც მახსოვს“. მაშასადამე, მთხრობელი და მსმენელი მეტად მჭიდრო კავშირში იმყოფებიან; მთხრობელს მსმენელები შთააგონებენ. მთხრობელს ან მოძღვარს შეგნებული მსმენელის წინაშე შეუძლია მშვენივრად ისაუბროს ტრანსცენდენტულ თემებზე; ამიტომ უფალმა ჩაიტანიამ თქვა, რომ არ იცოდა, როგორ განემარტა სანსკრიტული ლექსი, მაგრამ სანატანასთან ურთიერთობის გამო მაინც შეეცდებოდა ამას.

ამის შემდეგ უფალმა თქვა, რომ ლექსი *ატმარამა* თერთმეტ მუხლს შეიცავს: (1) *ატმარამჯ*, (2) *ჩა*, (3) *მუნიდაჯ*, (4) *ნირგრანთჰჯ*, (5) *აპი*, (6) *ურუკრამე*, (7) *კურვანტი*, (8) *აჰაიტუკიმ*, (9) *ბჰაკტიმ*, (10) *იტთჰამბჰუტაგუნაჯ*, (11) *ჰარიჯ*. შემდეგ უფალმა თითოეული მუხლის განმარტება დაიწყო. რაც შეეხება სიტყვას „ატმარამა“, უფალმა განმარტა, რომ სიტყვა „ატმა“ გამოიყენება: (1) უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების, (2) სხეულის, (3)

ჭკუის, (4) ძალისხმევის, (5) დარწმუნებულობის, (6) გონებისა და (7) ბუნების გამოსახატავად. სიტყვა „ᳬრᳬმა“ განმცხრომელს ნიშნავს; ამიტომ ის, ვისაც ამ თერთმეტი მუხლის შესახებ ცოდნის განვითარება სიამოვნებს, *ᳬტმᳬრᳬმადაა* ცნობილი. შემდეგ უფალმა *ᳬტმᳬრᳬმათა*, ანუ ტრანსცენდენტალისტთა სახეები განმარტა. *მუნაḍაჰ*, ანუ *მუნი* დიდ მოაზროვნეებს ჰქვიათ. ზოგჯერ სიტყვა „მუნი“ მეტად სერიოზული პიროვნების მისამართითაც იხმარება. დიდი ბრძენები, დიდი ასკეტები, დიდი მისტიკოსები და დიდი სწავლული მეცნიერები *მუნებად* იწოდებიან.

მომდევნო სიტყვაა „ნირგრანთჰა“, რაც ილუზიის ტყვეობიდან თავისუფლებაზე მიუთითებს. *ნირგრანთჰა* არის აგრეთვე „ის, ვისაც არავითარი კავშირი არ გააჩნია წმინდა წერილთა დანაწესებთან“. *გრანთჰა* განდობილ წერილებს ნიშნავს, *ნრ* კი აფიქსია, რომელიც „კავშირის არქონის“, „აშენებისა“ და „აკრძალვის“ მნიშვნელობითაც იხმარება. სულიერ რეალიზაციასთან დაკავშირებული მრავალი დარიგება არსებობს, ხოლო წმინდა წერილთა დანაწესებთან ყოველგვარ კავშირს მოწყვეტილ პიროვნებებსაც *ნირგრანთჰა* ეწოდებათ. არსებობს მრავალი სულელი, დაბალი წარმოშობისა და ცუდი ყოფაქცევის ადამიანი, აგრეთვე ისინი, ვისაც განდობილი წერილები და დანაწესები არ ესმით და ამიტომაც მათ *ნირგრანთჰა* ჰქვიათ. რადგან *გრანთჰა* სიმდიდრის დაგროვების აღსანიშნავადაც იხმარება, სიტყვა „ნირგრანთჰა“ ნიშნავს ღარიბ, ყოველგვარ სიმდიდრეს მოკლებულ კაცსაც, რომელიც სიმდიდრის შეგროვებას ცდილობს.

სიტყვას „ურუკრამა“ უაღრესად ძლიერი პიროვნების გამოსახატავად ხმარობენ. სიტყვა „კრამა“ ნაბიჯის გადადგმის მნიშვნელობით გამოიყენება, სიტყვა „ურუკრამა“ კი მიუთითებს მასზე, ვისაც ძალიან შორს შეუძლია ნაბიჯის გადადგმა. ყველაზე დიდი ნაბიჯი უფალმა ვᳬმანᳬḍევამ გადადგა — ორი ნაბიჯით დაფარა მთელი სამყარო.

ამრიგად, სიტყვა „ურუკრამა“ უზენაეს უფალ ვამანადევაზე მიუთითებს. უფალი ვამანადევას ეს არაჩვეულებრივი თვისება ასეა განმარტებული „შრიმად-ბჰაგავატამში“ (2.7.40):

ვიშ̇ნორ ნუ ვირჲა-გან̇ანამ̇ კატამო ’რჰატიჰა
ჲაჭ̇ პართჰივანჲ აპი კავირ ვიმამე რაჯამ̇სი
ჩასკამბჰა ჲაჭ̇ სვა-რამ̇ჰასანქჰალატა ტრი-პრშ̇ჰამ̇
ჲასმატ ტრი-სამჲა-სადანად ურუ-კამპაჲანამ

„უფალი ვიშ̇ნუს წარმოუდგენელი სიძლიერის შეფასება არავის შეუძლია. ვინმემ მატერიალური სამყაროს ატომების კომბინაციათა რიცხვიც რომ გამოითვალოს, მაინც ვერ დაითვლის უზენაესი უფლის მრავალფეროვან ენერგიებს. ვამანადევას სახით, უფალი იმდენად ძლიერია, რომ უბრალოდ ნაბიჯის გადადგმით დაფარა მთელი სამყარო, ბრაჰმალოკადან პატალალოკამდე“.

უფლის წარმოუდგენელი ენერგიები მთელ სამყაროსაა მოფენილი. იგი ყოვლისგამჭოლია და თავისი ენერგიით ყოველ პლანეტარულ სისტემას უნარჩუნებს არსებობას, თუმცა მისი სიამოვნების მომნიჭებელი პოტენციით თავის სავანე გოლოკაში რჩება. მისი სიდიადის გავრცელებით იგი ნარაჲან̇ას სახით ყოველ ვაიკუნ̇ṭჰა პლანეტაზე იმყოფება. თავისი მატერიალური ენერგიის გავრცელებით ურიცხვ სამყაროებს ქმნის, მათში არსებული ურიცხვი პლანეტებით. ამრიგად, უზენაესი უფლის საოცარი საქმიანობების შეფასება არავის ძალუძს, ამიტომაც უზენაესი უფალი ცნობილია როგორც *ურუკრამა*, საოცარი შემსრულებელი. ლექსიკონ „ვიშ̇ვაპრაკაშ̇აში“ სიტყვა „კრამა“ განმარტებულია როგორც „ენერგიების მარჯვე გამოვლინება“ და აგრეთვე როგორც „ნაბიჯის წინ სწრაფად გადადგმა“.

სიტყვა „კურვანტი“ იხმარება „სხვათა გულისთვის

შრომის“ მნიშვნელობით. არსებობს მსგავსი სიტყვაც, რომელიც მაშინ გამოიყენება, როდესაც საქმიანობები საკუთარ გრძნობათა დასაკმაყოფილებლად სრულდება, მაგრამ სიტყვა „კურვანტი“ გამიზნულია იმ შემთხვევისათვის, როდესაც საქმიანობები უზენაესის დაკმაყოფილებას ემსახურება. ამრიგად, ამ ლექსში ეს სიტყვა მხოლოდ უფლის ტრანსცენდენტულ სამსახურზე მიუთითებს.

სიტყვა „ჰეტუ“ მიზეზის ან მოტივის გამოსახატავად გამოიყენება. როგორც წესი, ხალხი ტრანსცენდენტულ საქმიანობებს სამი მიზეზით ასრულებს: ზოგს მატერიალური ბედნიერება სურს, ზოგს — მისტიკური სრულყოფილება, ზოგს კი — მატერიალური ტყვეობიდან განთავისუფლება. რაც შეეხება მატერიალურ სიამოვნებას, იგი ისეთი ურიცხვი ნაირსახეობისაა, რომ მათი დათვლაც კი არავის შეუძლია. რაც შეეხება მისტიკური ძალის სრულყოფილებებს, ისინი თვრამეტია, მატერიალური ტყვეობიდან განთავისუფლება კი ხუთი სახისა არსებობს. ყოფიერების მდგომარეობას, რომელშიც სიამოვნების ყველა ეს ნაირსახეობა მათი არყოფნით აღიქმება, *აჰაიტუკი* ეწოდება. თვისება *აჰაიტუკი* განსაკუთრებით არის მოხსენიებული, რადგან უფლის *აჰაიტუკი* სამსახურით უფლის კეთილგანწყობილების დამსახურება შეიძლება.

სიტყვა „ბჰაკტი“ შეიძლება ათი სხვადასხვა მნიშვნელობით ვიხმაროთ. ამ ათიდან ერთ-ერთია *სუდჰანა-ბჰაკტი*, ანუ წესებისა და რეგულაციების თანახმად შესრულებული ერთგული სამსახური. დანარჩენ ცხრას *პრემა-ბჰაკტი*, ღმრთეების სიყვარული ეწოდება. ნეიტრალურ მდგომარეობაში მყოფნი ღმრთეების სიყვარულამდე არსებულ სრულყოფილებას აღწევენ. სწორედ ასევე, ისინი, ვისაც ბატონისა და მსახურის ურთიერთობა აქვთ, ღმრთეების სიყვარულს სასიყვარულო მიჯაჭვულობის საფეხურამდე აღწევენ. ისინი, ვისაც მეგობრობა აკავში-

რებთ, ღმერთის სიყვარულს მეგობრობის საფეხურამდე აღწევენ. ისინი, ვისაც ღმერთი უყვართ როგორც მშობლებს, ტრანსცენდენტულ განცდებამდე ამაღლებულნი არიან. მაგრამ მხოლოდ მათ შეუძლიათ უმაღლესი ექსტაზის განცდა, ვისაც უზენაესთან სატრფიალო სიყვარული აკავშირებთ. ასეთია სიტყვა „ბჰაკტის“ სხვადასხვა მნიშვნელობები.

შემდეგ უფალმა განმარტა სხვადასხვა მნიშვნელობები სიტყვისა „იტთჰამბჰუტა-გუნა“. *იტთჰამ ბჰუტა* მიუთითებს ბოლომდე ტრანსცენდენტულ სიამოვნებაზე, რომელთან შედარებითაც უმნიშვნელოა *ბრაჰმანანდად* წოდებული ტრანსცენდენტული სიამოვნება. „ჰარი-ბჰაკტი-სუდჰოდაჲაში“ (14.36) ერთგული ამბობს:

ტვატ-საკშატ-კარანპჰლადა-
ვიშუდდჰბდჰისთჰიტასჲა მე
სუქჰნი გოშპადაჲანტე
ბრაჰმანჲ აპი ჯაგად გურო

„ჩემო უფალო, ო უზენაესო, უბრალოდ შენი გაგებით ან შენი დანახვით განცდილი სიამოვნება იმდენად დიდია, რომ სიამოვნება *ბრაჰმანანდა* უმნიშვნელოდ იქცევა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც ჭეშმარიტი სახით გაიგებს კრშნას — როგორც მთელი სიამოვნების ყოვლისმიმზიდველ წყაროსა და სიამოვნების მომნიჭებელი ყოველი გემოს ტრანსცენდენტული თვისებების მქონე საუნჯეს — ამით მიღებული სიამოვნება იზიდავს პიროვნებას, გახდეს მისი ერთგული. ასეთი მომხიბვლელობის მადლით ადამიანმა შეიძლება მიატოვოს კარმიული საქმიანობები და განთავისუფლებისათვის გაწეული ყოველი ძალისხმევა და ჲოგური მისტიკური ძალების შეძენის ძლიერ სურვილზეც უარი თქვას. კრშნას მომხიბვლელობა იმდენად ძლიერია,

რომ ადამიანი კარგავს პატივისცემას თვითრეალიზაციის ყოველი სხვა მეთოდის მიმართ და უბრალოდ ენდობა ღმრთეების უზენაეს პიროვნებას.

უფალმა განმარტა აგრეთვე სიტყვა „გუṅა“, მისი სხვადასხვა მნიშვნელობები. „გუṅა“ კრშṅას უსასრულო ტრანსცენდენტულ თვისებებს ნიშნავს, ძირითადად კი მის *საჩ-ჩიდ-ანანდა* ფორმას. თავის ტრანსცენდენტულ ნეტარ ცოდნასა და მარადისობაში იგი ბოლომდე სრულყოფილია და ეს სრულყოფილება იზრდება, როდესაც მისი ერთგულის ყურადღების ზედამხედველობის ქვეშ ექცევა. ღმერთი იმდენად კეთილი და მწყალობელია, რომ ერთგულის მიერ შესრულებული ერთგული სამსახურის სანაცვლოდ მის ხელში გადასვლა შეუძლია. მას ისეთი ტრანსცენდენტული თვისებები ახასიათებს, რომ მისი სილამაზის სრულყოფილება, მასსა და მის ერთგულებს შორის სიყვარულის გაცვლა-გამოცვლა და მისი ტრანსცენდენტული თვისებების სურნელი ათასგვარი სახის ტრანსცენდენტალისტსა და განთავისუფლებულ სულს იზიდავს. მაგალითად, სანაკა-კუმარას ჭკუა უბრალოდ მისადმი შეთავაზებული ყვავილების სურნელით მიიზიდა. შუკადევა გოსვამის ჭკუა უფალი კრშṅას ტრანსცენდენტულმა გართობებმა დაატყვევა, ვრნდავანის ქალწულთა ჭკუა კი მისმა პიროვნულმა სილამაზემ მიიზიდა. რუკმიṅის ყურადღება მისი სხეულის ნაკვთებმა და ტრანსცენდენტულმა თვისებებმა მიიპყრო, ბედის ქალღმერთის ჭკუა კი ფლეიტაზე მისმა დაკვრამ და სხვა ტრანსცენდენტულმა ნიშან-თვისებებმა მიიზიდა. თავისი ბავშვობის საქმეებით უფალი კრშṅა ყოველი ახალგაზრდა გოგონასა და უფროსი ქალის ჭკუას იზიდავს. მეგობრული მოქმედებებით იგი თავისი მეგობრების ჭკუასაც იზიდავს. ვრნდავანში მოვლენილ ჩიტებს, ცხოველებს, ხეებს და მცენარეებსაც იზიდავდა. სინამდვილეში ყველა კრშṅას სიყვარულით იყო მოხიბლული.

სიტყვას „ჰარი“ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ორია მთავარი. *ჰარი* ნიშნავს, რომ ერთგულის ცხოვრებიდან მას ყველაფერი არასასიკეთო მიაქვს და რომ ღმრთეების ტრანსცენდენტული სიყვარულის მიცემით ერთგულის ჭკუას იზიდავს. კრშნა იმდენად მიმზიდველია, რომ ყველა, ვისაც კი იგი ახსოვს რომელიმე სახით, თავისუფლდება ოთხი სახის მატერიალური გაჭირვებისაგან. უფალი განსაკუთრებულ ყურადღებას თავისი ერთგულის მიმართ იჩენს და დევნის ერთგულის ათასგვარ ცოდვით საქმიანობას, ერთგული სამსახურის განვითარების გზაზე დიდ დაბრკოლებას რომ წარმოადგენს. ამას უგუნურების ზეგავლენის ამოძირკვა ეწოდება. უბრალოდ მის შესახებ მოსმენით ადამიანი მისადმი სიყვარულს ივითარებს. ასეთია უფლის საჩუქარი. ერთის მხრივ მას არასასიკეთო რამეები მიაქვს და მეორეს მხრივ ყველაზე სასიკეთოს იძლევა. ამაში მდგომარეობს სიტყვა „ჰარის“ მნიშვნელობა. როდესაც ადამიანი ღმრთეების სიყვარულს განივითარებს, მისი სხეული, ჭკუა და ყველაფერი უფლის ტრანსცენდენტული თვისებებით ხდება დატყვევებული. ასეთია კრშნას მწყალობელი მოქმედებებისა და ტრანსცენდენტული თვისებების ძალა. იგი იმდენად მიმზიდველია, რომ ტრანსცენდენტული მიჯაჭვულობის გამო ერთგული სულიერი ცხოვრების ოთხივე პრინციპზე უარს ამბობს — რელიგიურობაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, გრძნობათა დაკმაყოფილების წესებსა და ხსნაზე.

სიტყვები „აპი“ და „ჩა“ ზმნიზედებია და ფაქტიურად ნებისმიერი მიზნით შეიძლება იყოს გამოყენებული. სიტყვას „ჩა“, ანუ „და“ შეუძლია შვიდი სხვადასხვა მნიშვნელობა მიანიჭოს მთელ კონსტრუქციას.

ამგვარად მოგვცა უფალმა ლექს *ᲐᲢᲛᲐᲠᲐᲛᲐᲡ* თერთმეტი სიტყვის მნიშვნელობა და შემდეგ თითოეული მუხლის მნიშვნელობის განმარტებას შეუდგა. სიტყვა „ბრაჰმანი“

„ყოველმხრივ უდიდესს“ ნიშნავს. უფალი ყოველ სიდიადეში უდიდესია. ვერავინ აღემატება მას სიმდიდრეში, ძალაში, სახელმოხვეჭილობაში, სილამაზეში, ცოდნასა და განდეგილობაში. ამრიგად, სიტყვა „ბრაჰმანი“ ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე, კრშ̣ნაზე მიუთითებს. „ვიშ̣ნუ პურაჯ̣ნაში“ (1.12.57) სიტყვა „ბრაჰმანი“ მოცემულია უდიდესის მნიშვნელობით; უზენაესი უფალი უდიდესია და მის სიდიადეს საზღვარი არა აქვს. ადამიანს შეუძლია ბრაჰმანის სიდიადის აღქმა, მაგრამ ეს სიდიადე ისეთნაირად იზრდება, რომ ვერავინ შეაფასებს, რაოდენ დიადია სინამდვილეში უფალი.

ღმრთეების უზენაესი პიროვნება სამ ასპექტში შეიცნობა, მაგრამ ყოველი მათგანი ერთი და იგივეა. აბსოლუტური ჭეშმარიტება, უზენაესი პიროვნება, კრშ̣ნა მარად არსებობს. „შ̄რიმად-ბჰ̄აგავატამში“ (2.9.33) ნათქვამია, რომ იგი არსებობდა ამ კოსმოსური სამყაროს გამოვლენამდე, არსებობს ამ ქმნილების არსებობის და მისი განადგურების შემდეგაც იარსებებს. ამიტომ იგი ყოველივე დიადის სული გახლავთ. იგია ყოვლისგამჭოლი და ყველაფრის მოწმე და ყველაფრის უმაღლესი ფორმა.

ვედურ ლიტერატურაში ნახსენებია სამი სახის ტრანსცენდენტული პროცესი, რომლითაც აბსოლუტური ჭეშმარიტების უმაღლესი სრულყოფილების შეცნობა და მიღწევა შეიძლება. მათ ეწოდებათ შემეცნების პროცესი, მისტიკური *დოგას* პროცესი და ერთგული სამსახურის პროცესი. ამ სამი პროცესის მიმდევრები სამ სხვადასხვა ასპექტში შეიცნობენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ისინი, ვინც ცოდნის განვითარების პროცესს მიჰყვებიან, მას უპიროვნო ბრაჰმანის სახით შეიცნობენ; *დოგას* პროცესის მიმდევრები მას ლოკალიზებული ზესულის სახით შეიცნობენ; და ისინი, ვინც ერთგული სამსახურის პროცესს მიჰყვებიან, შეიცნობენ მას როგორც ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, შ̄რ̄ კრშ̣ნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუმცა სიტყვა „ბრაჰმანი“ მიუთითებს კრშ̣ნაზე და სხვა

არაფერზე, არჩეული პროცესის შესაბამისად, უფალი მაინც სამ სხვადასხვა ასპექტში შეიცნობა.

რაც შეეხება ერთგულ სამსახურს, მასში ორი განაყოფი არსებობს. იგი იწყება *ვიდჰი-ბჰაკტით*, ანუ მარეგულირებელი პრინციპებით შესრულებული ერთგული სამსახურით. უფრო მაღალ საფეხურზე დგას *რაგა-ბჰაკტი*, ანუ ერთგული სამსახური წმინდა სიყვარულით.

ღმრთეების უზენაესი პიროვნება აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, მაგრამ თავისი სხვადასხვა ენერგიების ექსპანსიების სახით ვლინდება. ისინი, ვინც ერთგული სამსახურის მარეგულირებელ პრინციპებს მიჰყვებიან, საბოლოო ჯამში სულიერ სამყაროში ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტებს აღწევენ, მაგრამ ერთგულ სამსახურში სიყვარულის პრინციპების მიმდევარი მიაღწევს უმაღლეს სავანეს, სულიერი სამყაროს უმაღლეს პლანეტას, რომელსაც კრშṇალოკა, ანუ გოლოკა ვრ̣ndᲐვანა ეწოდება.

ტრანსცენდენტალისტებიც სამ კატეგორიად შეიძლება დაიყონ. სიტყვა „აკᲐმა“ ეხება მას, ვისაც არავითარი მატერიალური სურვილები არ გააჩნია. „მოკშა-კᲐმა“ ეხება მას, ვინც მატერიალური გაჭირვებებიდან ხსნას ეძებს, „სარვა-კᲐმა“ კი — მას, ვისაც მატერიალური სიამოვნება სურს. ყველაზე გონიერი ტრანსცენდენტალისტი უარს ამბობს ყოველ სხვა პროცესზე და უფლის ერთგულ სამსახურში ერთვება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მრავალი სურვილი ჰქონდეს. არ არის მართალი, თითქოს ერთგული სამსახურის გარეშე ნებისმიერი სახის სულიერი საქმიანობით — იქნება ეს კარმიული მოქმედება, ცოდნის განვითარება თუ მისტიკური *Ძოგა* — ადამიანი უმაღლეს სრულყოფილებას მიაღწევს. მაგრამ ერთგულ სამსახურთან შედარებით ყოველი დანარჩენი ტრანსცენდენტული პროცესი თხის კისერზე დვრილებს ჰგავს. თხის კისერზე არსებულ დვრილებს რომც დავაწვეთ, იქიდან რძე მაინც არ გამოვა. თუკი ადამიანს ამ პროცესით ჭეშმარიტი სრულყოფილების მიღწევა სურს, მან

კრშნას ერთგულ სამსახურს უნდა მოჰკიდოს ხელი. „ბჰაგავად-გიტაში“ ნათქვამია:

ჩატურ-ვიდჰა ბჰაჯანტე მამ
ჯანაჰ სუკრტინო 'რჯუნა
პრტო ჯიჯნასურ ართჰართჰი
ჯნანი ჩა ბჰარატარშაბჰა

„ო ბჰარატათა შორის საუკეთესოვ [არჯუნა], ოთხი სახის ღვთისმოსავი ადამიანები ერთგულად მემსახურებიან — გაჭირვებულნი, სიმდიდრის მოსურნენი, ცნობისმოყვარენი და აბსოლუტის ცოდნის მაძიებელნი“ (ბ.გ. 7.16).

როდესაც ამ ოთხი სახის ადამიანები ღვთისმოსავ საქმიანობებს აგროვებენ, უფლის ერთგულ სამსახურში მოდიან. ამ ოთხიდან გაჭირვებულთ და სიმდიდრის მოსურნეთ სურვილების მქონე ერთგულები ჰქვიათ, მაშინ როდესაც დანარჩენი ორი — ცნობისმოყვარე და სიბრძნის მაძიებელი — განთავისუფლებას ეძებს. რადგან კრშნას სცემენ თაყვანს, ყოველი მათგანი მეტად იღბლიანად ითვლება. თუკი დროთა განმავლობაში უარს იტყვიან ყოველ სურვილზე და უზენაესი უფლის წმინდა ერთგულები გახდებიან, შეიძლება ყველაზე იღბლიან ხალხად ჩაითვალონ. ასეთი იღბლიანი დამწყებები მხოლოდ უფალი კრშნას წმინდა ერთგულებთან ურთიერთობაში შეიძლება განვითარდნენ. როდესაც ადამიანი წმინდა ერთგულთან ამყარებს კავშირს, იგი თავად წმინდა ერთგული ხდება. ეს დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“ (1.10.11):

სატ-სანგან მუკტა-დუჰსანგო
ჰატუმ ნოტსაჰატე ბუდჰაჰ
კირტიამანამ იაშო იასია
საკრდ ვკარნია როჩანამ

„ჭეშმარიტად გონიერ პიროვნებას წმინდა ერთგულებთან

ურთიერთობის წყალობით შეუძლია უფალი კრშნასა და მისი საქმიანობების შესახებ მოისმინოს“. ეს საქმიანობები იმდენად მიმზიდველია, რომ მათი მოსმენით ადამიანი არასოდეს მიატოვებს უფალთან ურთიერთობას.

მაგრამ წმინდა ერთგულებთან ურთიერთობის გარდა ყოველი სხვა სახის ურთიერთობა არის *კაიტავა* ანუ ტყუილი. ეს დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამის“ პირველ სიმღერაში, სადაც ნათქვამია, რომ ტრანსცენდენტული რეალიზაციის შემაფერხებელი ყოველი სახის მატყუარა პროცესი, უარყოფილი უნდა იქნას. „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ შეიძლება რეალობის გაგება და ა'ᲔᲗᲘ გაგება ადამიანს სამი სახის მატერიალურ გაჭირვებებზე აღმართვაში ეხმარება. „შრიმად-ბჰაგავატამი“ უდიდესმა ბრძენმა, ვᲔᲡᲐᲓᲔᲕᲐᲛ შეადგინა და ეს ის ნაშრომია, რომელიც მისი მწიფე გამოცდილებიდან მოდის. „შრიმად-ბჰაგავატამის“ გაგებითა და ერთგული სამსახურის შესრულებით ადამიანი უზენაეს უფალს უმალვე იპყრობს საკუთარ გულში.

შემდეგ უფალმა ჩაიტანᲐᲐმ განმარტა, რომ სიტყვა „პროჯჯჰიტა“ „განთავისუფლების სურვილს“ ნიშნავს. ერთმა დიადმა კომენტატორმა ახსნა, რომ განთავისუფლების სურვილი ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ღმერთის შემეცნების გზაზე. თუკი ვინმე როგორღაც კრშნასთან მოვა და მის შესახებ მოსმენას დაიწყებს, კრშნა იმდენად კეთილია, რომ თავის ლოტოსის ტერფებს აძლევს, რაც ადამიანის სიცოცხლის ცენტრად იქცევა. მათზე ყურადღების მიპყრობის საშუალებით ერთგული ან ტრანსცენდენტალისტი ყველაფერს ივიწყებს და უფლის ერთგულ სამსახურში ერთვება. უფალთან ერთგულ სამსახურში, ანუ სრულ კრშნას ცნობიერებაში მოსული ადამიანი ჯილდოდ თავად უზენაესს ღებულობს. უზენაესისათვის დასაქმების შემდეგ იგი აღარ ითხოვს სხვა რამეს, როგორც ამას გაჭირვებულნი და მატერიალური ქონების მოსურნენი აკეთებენ. ერთგული სამსახურის მეთოდი, თა-

ვად სამსახური, წმინდა ერთგულებთან ურთიერთობა და უფლის უმიზეზო წყალობა ისე საოცრად მოქმედებს, რომ გაჭირვებულმა, მატერიალური ქონების მოსურნემ, ცნობისმოყვარემ ან ცოდნის გაღრმავებით დაკავებულმა ჭეშმარიტმა ბრძენმაც კი შეიძლება უარი თქვას ყოველგვარ საქმიანობაზე და კრშნათი მოცული გახდეს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ლექსში *ჯტმპრჯმა* კრშნა არის ყოველი სიტყვის მიღმა არსებული მნიშვნელობა. აქამდე უფალი ჩაიტანია *ჯტმპრჯმას* შესავალზე საუბრობდა მხოლოდ. შემდეგ მან ამ ლექსის ნამდვილი არსი განმარტა.

ცოდნის განვითარებით დაკავებული ორი სახის ტრანსცენდენტალისტები არსებობენ. ერთნი უპიროვნო ბრაჰმანს ეთაყვანებიან, სხვებს კი განთავისუფლება სურთ. რადგან მონისტები ბრაჰმანის უპიროვნო ასპექტს სცემენ თაყვანს, მათ ბრაჰმანის თაყვანისმცემლები ჰქვიათ. ბრაჰმანის ეს თაყვანისმცემელები შემდგომ სამ კატეგორიად იყოფიან: ნეოფიტი, ბრაჰმანის შემეცნებაში ჩაფლული და ის, ვინც ბრაჰმანი ჭეშმარიტად შეიცნო. როდესაც ამას ერთგული სამსახური დაემატება, ბრაჰმანის მცოდნე განთავისუფლდება; სხვა შემთხვევაში განთავისუფლება გამორიცხულია. ითვლება, რომ მას, ვინც ბოლომდეა კრშნას ცნობიერებაში ერთგულ სამსახურში ჩართული, ბრაჰმანი უკვე შეუცვნია. ერთგული სამსახური იმდენად ძლიერია, რომ ადამიანს კრშნა ბრაჰმანის თაყვანისცემის საფეხურიდანაც იზიდავს. უფალი ერთგულს სრულყოფილი სულიერი სხეულით ასაჩუქრებს და იგი მარადიულად კრშნას ტრანსცენდენტულ სამსახურს ეწევა. ერთგული მთელი სულით და გულით სწორედ მაშინ ერთვება ერთგულ სამსახურში, როდესაც გებულობს და კრშნას ტრანსცენდენტული თვისებებით ხდება მოჯადოებული. მაგალითად, ოთხი კუმარა და შუკადევა გოსვამი თავიდანვე განთავისუფლებულნი იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით ისინი კრშნას გართობებმა მიიზიდა და ერთგულები გახდნენ. სანაკა კუმარა კრშნასადმი შეთავაზებული

ყვავილების სურნელმა მიიზიდა, დანარჩენი კუმპრები კი — უფლის ტრანსცენდენტულმა თვისებებმა და ამის გამო ისინი ერთგულ სამსახურში ჩაებნენ. „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეთერთმეტე სიმღერაში ნახსენები ცხრა მისტიკოსი დაბადებიდან ტრანსცენდენტალისტებად ითვლებიან, რადგან უფალი ბრაჰმას, უფალი შივასა და ნარადასაგან ისმენდნენ კრშნას ტრანსცენდენტული თვისებების შესახებ.

ზოგჯერ უბრალოდ კრშნას სხეულის მშვენიერი ნაკვთების ხილვის შედეგადაც კი ადამიანს კრშნა და მისი ტრანსცენდენტული თვისებები იზიდავს. ამ დროს იგი განთავისუფლების სურვილს კარგავს და უფლის ერთგულ სამსახურში ერთვება. ერთგული ნანობს, რომ ეგრეთ წოდებული ცოდნის განვითარებაში დრო ტყუილად დაკარგა და უფლის წმინდა ერთგული ხდება.

არსებობენ ორი სახის განთავისუფლებული სულები, რომელთაც მატერიალური სხეული აქვთ: ერთგული სამსახურით განთავისუფლებული სული და ცოდნის განვითარების შედეგად განთავისუფლებული სული. ერთგული სამსახურით განთავისუფლებული სული, რომელსაც კრშნას ტრანსცენდენტული თვისებები იზიდავს, უფრო და უფრო მაღლდება, მაშინ როდესაც ისინი, ვინც მშრალ სპეკულაციებსა და ერთგულების გარეშე უბრალო ცოდნის განვითარებას ეწევიან, ეცემიან მათ მიერ დაშვებული მრავალი შეურაცხყოფის გამო. ეს დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.2.32), სადაც ნათქვამია:

ჲე ’ნჲე ’რავინდაჯშა ვიმუკტა-მანინას
ტვაჲჲ ასაბჰავად ავიშუდდჰა-ბუდდჰაჲაჰ
არუჰჲა კრჩჩჰრენა პარამ პადამ ტატაჰ
პატანტჲ ადჰო ’ნადრტა-ჲუშმად-ანგჰრაჲაჰ

„ო უფალო, უწმინდურია მათი გონება, ვისაც საკუთარი თავი განთავისუფლებული ჰგონიათ, მაგრამ ერთგულება

არა აქვთ. თუმცა მკაცრი ეპითიმიებისა და ასკეზების საშუალებით განთავისუფლების უმაღლეს დონეზე ადიან, აუცილებლად დაეცემიან კვლავ ამ მატერიალურ ყოფიერებაში, რადგან არ ეძებენ შენი ლოტოსის ტერფთა თავშესაფარს". ამას ადასტურებს „ბჰაგავად-გიტაც":

ბრაჰმა-ბჰუტაჰ პრასანნატმა
ნა შოჩატი ნა კანკშატი
სამაჰ სარვეშუ ბჰუტეშუ
მად-ბჰაკტიმ ლაბჰატე პარამ

„ის, ვინც ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში იმყოფება, უმალვე შეიცნობს უზენაეს ბრაჰმანს. იგი არასოდეს მისტირის ან შენატრის რაიმეს; ერთნაირადაა განწყობილი ყოველი ცოცხალი არსების მიმართ. ასეთ მდგომარეობაში იგი ჩემს წმინდა ერთგულ სამსახურს აღწევს" (ბ.გ. 18.54).

ამრიგად მას, ვისაც ბრაჰმანი რეალურად შეუცვნია, დარდისა და სურვილის მიზეზი არ გააჩნია. იგი ერთნაირად ეპყრობა ყველას და ამით ერთგული სამსახურის ღირსი ხდება. ამას ადასტურებდა ბილვამანგალა ფჰაკურაც, რომელიც მისი სიცოცხლის ბოლოსკენ, დიდად განიცდიდა: „მონისტი ვიყავი, რათა ერთიანი გავმხდარიყავი უზენაესთან, მაგრამ როგორღაც ცელქ ბიჭთან მომიხდა ურთიერთობა და მისი მარადიული მსახური გავხდი". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი, ვინც ერთგული სამსახურით აღწევენ თვითრეალიზაციას, ტრანსცენდენტულ სხეულს იღებენ და კრშნას ტრანსცენდენტული თვისებებით მოხიბლულნი ბოლომდე ერთვებიან წმინდა ერთგულ სამსახურში.

უნდა გვესმოდეს, რომ ის, ვისაც კრშნა არ იზიდავს, ილუზორული ენერგიით (*მაჰათი*) არის მოჯადოებული, მაგრამ ვინც ერთგული სამსახურის პროცესით განთავისუფლებას ცდილობს, ჭეშმარიტად თავისუფალია *მაჰას*

ტყვეობიდან. „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეთერთმეტე სიმღერაში მაგალითად მრავალი ერთგულია მოყვანილი, რომლებიც უბრალოდ ერთგული სამსახურის შესრულებით განთავისუფლდნენ ამ ცხოვრებაში.

თავი მეთექვსმეტე

სანპტანა გოსვამის მოძღვრებათა დასკვნა

არსებობენ ადამიანები, რომელთაც უბრალოდ განთავისუფლება სურთ, რომელნიც მატერიალურ ყოფიერებაში არსებობის მიუხედავად უკვე განთავისუფლებულნი არიან და ჭეშმარიტად თვითშეცნობილნი. ამ სამყაროში მრავალ პიროვნებას სურს განთავისუფლება და ზოგჯერ ამ მიზნით ისინი ერთგულ სამსახურს იწყებენ. „შრიმადბჰაგავატამი“ (1.2.26) ამტკიცებს, რომ ისინი, ვისაც მართლა უნდათ განთავისუფლება, უარს ამბობენ ნახევარღმერთთა თაყვანისცემაზე და ბოროტი განზრახვის გარეშე, ჭკუას ნარაჰიანას, ღმრთეების უზენაესი პიროვნების თაყვანისცემისაკენ მიმართავენ. წმინდა ერთგულთან შეხვედრის შემდეგ ასეთი პიროვნებები კრშნას ერთგულ სამსახურს იწყებენ და უარს ამბობენ განთავისუფლების იდეაზე. „ჰარი-ბჰაკტი-სუდჰოდაჰაში“ ნათქვამია:

ნაჰო მაჰპტმან ბაჰუ-დოშა-დუშტო
'ჰჰ ეკენა ბჰპტჰ ეშა ბჰავო გუნ̣ენა
სატ-სანგამ ვქჰჰენა სუქჰპბაჰენა
კრ̣ტპდჰა ნო ჰენა კრ̣შპ მუმუკშპ

„ო დიადო სულო, თუმცა ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში მრავალი ნაკლია, მაინც არის ერთი დიდი ღირსება—

წმინდა ერთგულებთან ურთიერთობა. გაიღრმავე ასეთი ურთიერთობა. იგი განთავისუფლების სურვილს გვიმცირებს“.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ (11.2.37) ნათქვამია, რომ ადამიანის შიში სიცოცხლეზე მატერიალისტური შეხედულებით და უზენაეს უფალთან მისი მარადიული ურთიერთობის დავიწყებითაა გამოწვეული. შესაბამისად მის მეხსიერებაში მხოლოდ დამახინჯებული მოგონებები არსებობს. ეს მატერიალური ენერგიის ხიბლის გამო ხდება. საკმარისი გონების მფლობელი სრულ ერთგულ სამსახურს დაიწყებს და უზენაეს უფალს საკუთარ სულიერ მოძღვრად და სათაყვანებელ ღმერთად აღიარებს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ უფლის ერთგულ სამსახურში დასაქმების გარეშე ცნობიერებას ვერავინ გარდაიქმნის. როდესაც პიროვნება მატერიალური სიბინძურისგან ჭეშმარიტ განთავისუფლებას მიაღწევს, იგი ბოლომდე დასაქმდება კრშნას ცნობიერებაში.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.14.4) კვლავ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ის, ვინც სულიერ ცხოვრებას ჭეშმარიტების გაგების მიზნით ეწევა, მაგრამ კრშნას ცნობიერებაში დასაქმება არა აქვს განზრახული, უსიამოვნების გარდა ვერაფერს მიაღწევს. მის სიცოცხლეს აზრი არა აქვს. ყოველი ცოცხალი არსება უზენაესი უფლის განუყოფელი ნაწილაკია, ამიტომაც მისი მოვალეობა ამ უზენაესი მთელის მსახურებაში მდგომარეობს. ასეთი სამსახურის გარეშე ცოცხალი არსება მატერიალურ უწმინდურებაში ვარდება.

უფალმა ჩაიტანიამ სანპტანა გოსვამის დარიგებათა დასკვნად თქვა, რომ ექვსი სახის *პტმპრამები* კრშნას გარკვეული ერთგული სამსახურით არიან დაკავებულნი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადრე თუ გვიან ყოველი ტრანსცენდენტალისტი იგებს კრშნას ერთგული სამსახურის აუცილებლობას და ბოლომდე კრშნას ცნობიერი

ხდება. მეტად განსწავლული ან ექსტრავაგანტული პიროვნებაც კი შეიძლება უფლის ერთგული სამსახურით იქნას დაკავებული.

ტრანსცენდენტალისტები ექვს ძირითად სახედ შეიძლება დაიყონ: ახალბედა ტრანსცენდენტალისტი; ღრმა ტრანსცენდენტალისტი; ის, ვინც ჭეშმარიტად ტრანსცენდენტულ დონეზე იმყოფება; ის, ვისაც მართლა სურს განთავისუფლება; ის, ვინც რეალურად განთავისუფლებულია; და ის, ვინც რეალურად არის დაკავებული მისი კონსტიტუციური მდგომარეობის შესაბამისი საქმიანობებით. ყოველ მათგანს *ᳬტმᳬრᳬმა* ეწოდება. როდესაც ადამიანი კრᳬშᳬას ცნობიერებაში დიადი მოაზროვნე, ანუ *ᳬტმᳬრᳬმა* ხდება, იგი ბოლომდე ებმება ერთგულ სამსახურში. გრამატიკის კანონების თანახმად, არსებობს მრავალი *ᳬტმᳬრᳬმა*, მაგრამ სიტყვის ერთი მნიშვნელობა საკმარისია დანარჩენი მნიშვნელობების წარმოსადგენად. კრებითი მნიშვნელობით, ყოველ *ᳬტმᳬრᳬმას* უზენაესი უფლის, კრᳬშᳬას თაყვანისცემის მიდრეკილება აქვს.

მისტიკოსსაც, რომელიც საკუთარ თავში ზესულს ეთაყვანება, *ᳬტმᳬრᳬმა* ეწოდება. *ᳬტმᳬრᳬმა ḋოგები* ორი სახის არიან: *საგარბჰა* და *ნიგარბჰა*. „შრᳬმად-ბჰაგავატამში“ (2.2.8) ნათქვამია: „ზოგიერთი *ḋოგᳬ* მედიტაციას ასრულებს საკუთარ თავში ლოკალიზებულ ვიშᳬუზე, რომელსაც ოთხი ხელი აქვს და ოთხი სიმბოლო: ნიჟარა, დისკო, კვერთხი და ლოტოსი უკავია“. *ḋოგᳬ*, რომელიც ოთხხელიან ვიშᳬუზე ფიქრობს, ერთგულების ექსტაზში იძირება და ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებს. ზოგჯერ ტირის, ზოგჯერ კი განშორებას განიცდის. ამგვარად იგი ტრანსცენდენტულ ნეტარებაში ეფლობა. ყოველივე ამის შედეგი ის გახლავთ, რომ იგი თევზივით ებმება ბადეში.

საგარბჰა და *ნიგარბჰა ḋოგები* შეიძლება კიდევ სამ კატეგორიად დაიყონ: დამწყები, აღმავალი და ის, ვინც უკვე

სრულყოფილებას მიაღწია. ეს *დოგები* „ბჰაგავად-გიტას“ მეექვსე თავში არიან აღწერილნი. მათ, ვინც მისტიკური *დოგას* გზაზე შედგომას ცდილობენ, *პრურუკშუ* ეწოდებათ. *პრურუკშუ დოგაში* სრულდება სხვადასხვა სახის დოგური პოზები და ხორციელდება ჭკუის კონცენტრაცია. მაგრამ როდესაც ადამიანი უკვე შედგება *დოგას* გზაზე, მიზნად მედიტაცია და განჯაჭვულობა იქცევა და გრძნობათა დაკმაყოფილებისთვის გაწეული შრომისაგან ჩამოშორების შემდეგ თანდათანობით თავისუფლდება. ამ დროს აღწევს ექსტაზის მდგომარეობასაც, რომელსაც *დოგა პრუდჰა* ეწოდება. თუკი ეს მისტიკოსი *დოგები* როგორმე წმინდანთან შეხვედრას შეძლებენ, კრშნას ერთგულები გახდებიან. სიტყვა „ურუკრამა“ უზენაეს უფალს ნიშნავს. ყოველი *პტმპრპმა ურუკრამას* ერთგულ სამსახურს ეწევა. ერთგულ სამსახურში ჩაბმამდე ასეთ ტრანსცენდენტალისტებს *შანტები*, ანუ დამშვიდებული ერთგულები ჰქვიათ. სიტყვა „პტმ“ ანუ „მეობა“, ზოგჯერ ჭკუის მნიშვნელობით ითარგმნება. ზოგჯერ სპეკულაციური მოაზროვნეები სხვადასხვა სახით წარმოადგენენ ფილოსოფიურ თეორიებს, მაგრამ ერთგული სამსახურით დაკავებულ წმინდანთან ურთიერთობის შემდეგ, ისინიც ერთგულები გახდებიან.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.87.18) *დოგთა* ორი კლასი (*საგარბჰა* და *ნიგარბჰა*) ასეა აღწერილი: „*დოგები დოგას* პრაქტიკას მუცლის თაყვანისცემით იწყებენ, შემდეგ კი ნაწლავებზე ცდილობენ ყურადღების კონცენტრაციას. თანდათანობით მათი მედიტაცია გულამდე აღწევს და ჭკუასა და გულზე ფოკუსირდება. შემდეგ მათი ყურადღება თავის წვეროზე ადის და ითვლება, რომ ამ მდგომარეობამდე აღმართული ადამიანი სრულყოფილია და აღარ ექვემდებარება დაბადებასა და სიკვდილს“. წმინდა ერთგულებთან ურთიერთობის შემთხვევაში ასეთი *დოგებიც* კი უფლის უმიზეზო ერთგულ სამსახურს იწყებენ.

სიტყვა „ჰტმჯ“ ნიშნავს „ძალისხმევის გაწევასაც“. ყოველი პრაქტიკა გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს და ყველაზე დიდი ძალისხმევა ისაა, როდესაც ადამიანი ერთგული სამსახურის უმაღლესი სრულყოფილების საფეხურის მიღწევას ცდილობს. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (1.5.18) ნათქვამია, რომ ადამიანმა უნდა სცადოს უმაღლესი მიზნის მიღწევა, რაც დაბალსა თუ მაღალ პლანეტარულ სისტემებში შეუძლებელია. ამაში ის აზრია ჩაქსოვილი, რომ მატერიალური ბედნიერება და უბედურება დროთა ვითარებაში ყოველ პლანეტარულ სისტემაში გვხვდება, მაგრამ უმაღლესი მონაპოვარი, ერთგული სამსახურის მიღწევა შეუძლებელია ძალისხმევის გარეშე. ამიტომ „ბრჰანნარადიია პურანაში“ ნათქვამია, რომ ვისაც სერიოზულად სურს ერთგული სამსახურის სრულყოფილების უმაღლესი საფეხურის გაგება, უბრალოდ მის მიერ გაწეული ძალისხმევის წყალობით ყველაფერში წარმატებას მიაღწევს. პირადი ძალისხმევის გარეშე ერთგული სამსახურის სრულყოფილების უმაღლესი საფეხურის მიღწევა შეუძლებელია. როგორც კრშნა ამბობს „ბჰაგავად-გიტაში“:

ტეშამ სატატა-იუკტანამ
ბჰაჯატამ პრიტი-პურვაკამ
დადამი বুদ্ধি-იოგამ ტამ
იენა მამ უპაიანტი ტე

„მათ, ვინც მუდამ თავდადებულნი არიან ჩემთვის და სიყვარულით მცემენ თაყვანს, მე ვაძლევ გაგებას, რომლის საშუალებითაც ისინი ჩემთან მოდიან“ (ბ.გ. 10.10).

სიტყვა „ჰტმჯ“ მოთმინებასა და დაჟინებასაც ნიშნავს. პრაქტიკითა და დაჟინებული მცდელობით ერთგული სამსახურის უმაღლესი საფეხურის მიღწევა შეიძლება.

რაც შეეხება სიტყვას „მუნი“, მას დამატებითი მნიშვნელობები აქვს. ეს სიტყვა ნიშნავს აგრეთვე „ჩიტს“ და

„დიდ შავ ფუტკარს“. სიტყვა „ნირგრანთჰას“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა „სულელი პიროვნება“. ამრიგად, ჩიტები, ფუტკრები და სულელებიც კი უზენაესი უფლის ერთგულ სამსახურს იწყებენ, როდესაც წმინდა ერთგული წყალობას მოჰფენს მათ. მართლაც „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.21.14) ნათქვამია, რომ ჩიტები უზენაესი უფლის სამსახურს უძღვნიან თავს. იქვე (10.15.6) ნათქვამია ისიც, რომ შავი ფუტკრები მუდამ დაჰყვებიან კრშნასა და ბალარამას. ამასთან დაკავშირებით შრი კრშნამ ისიც კი აღწერა, თუ როგორ ეწეოდნენ ღმრთეების უზენაესი პიროვნების ერთგულ სამსახურს ფუტკრები და კრაზანები. უფალმა კრშნამ თქვა:

ეტე 'ლინას ტავა დაშო 'ქჰილა-ლოკა-ტირთჰამ
გამანტა ადიპურუშანუპადამ ბჰაჯანტე
პრამო ამი მუნი-განა ბჰავადიდა-მუქჰან
გუდჰამ ვანე 'პი ნა ჯაჰატა ანაგჰატმა-დაივამ

„ო სათნოების განსახიერებავ, ო ღმრთეების პიროვნებავ [ბალარამა], ხედავ, როგორ მოგყვებიან ეს ფუტკრები და კრაზანები, აქებენ შენს ტრანსცენდენტულ დიდებას და თაყვანს გცემენ. სინამდვილეში ისინი ფუტკრები და კრაზანები კი არ არიან, არამედ დიადი ბრძენები, რომელთაც ამ შემთხვევით ისარგებლეს, რომ თაყვანი ეცათ უმაღლესი სულისთვის. თუმცა უბრალო ადამიანები ვერ გიცნობენ, ამათ იციან ვინა ხარ, ამიტომაც მოგყვებიან და ხოტბას გასხამენ“. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.15.7) მსგავს ლექსს ვხვდებით, სადაც აღწერილია, როგორ მიიღეს ბალარამა და კრშნა ვრინდავანის ფარშევანგებმა. „ო სათაყვანებელო, ხედავ, როგორი სიამოვნებით გიღებენ ეს ფარშევანგები, რომლებიც თავიანთ ბუდეებს უბრუნდებიან. ეს ფარშევანგები ვრაჯას ქალწულებს ჰგვანან. ტოტებზე მჯდარი გუგულებიც ასევე გხვდებიან. ვრინდავანის

მაცხოვრებლები იმდენად დიდებულნი არიან, რომ ყველა მზადაა, ერთგული სამსახური გაუწიოს უფალს". „შრიმად-ბჰაგავატამის" კიდევ ერთ ლექსში (10.35.11) ნათქვამია: „ხედავ როგორ მღერიან წყალში წეროები და გედები უფლის დიდებას! მართლაც, ისინი წყალში დგანან, მედიტაციას ეწევიან და თაყვანს სცემენ მას". სხვაგან „შრიმად-ბჰაგავატამში" (2.4.18) ნათქვამია: „ველურები და არაცივილიზებული ადამიანებიც კი, როგორებიც არიან კირატები, ჰუნები, ანდჰრები, პულინდები, პულკაშები, აბჰირები, შუმბჰები, ჯავანები და ქჰასები, აგრეთვე სიცოცხლის დაბალ სახეობებში მყოფი მრავალი სხვა ადამიანი, განიწმინდებიან, თუკი წმინდა ერთგულთა თავშესაფარს ჰპოვებენ". ამიტომ შუკადევა გოსვამი მოწიწებით სცემს თაყვანს უფალ ვიშნუს, ვისი ერთგულებიც ასე საოცრად მოქმედებენ.

სიტყვა „ჰრიტის" კიდევ ერთი მნიშვნელობაა „საკუთარი თავის ამაღლებულად შეცნობა". როდესაც ადამიანი საკუთარ ამაღლებას მიხვდება, გრძნობს, რომ თავისუფალია ყოველგვარი გაჭირვებისაგან და სიცოცხლის უმაღლეს საფეხურზეა ასული. კრიშნას სრულ ცნობიერებაში მყოფი კრიშნას ყოველი ერთგული თავისუფალია ნებისმიერი მატერიალური სიამოვნებისა და გაჭირვებისაგან. ისინი ბოლომდე არიან ჩაფლული უფლის სამსახურში და მუდამ ახარებთ უფლის ტრანსცენდენტულ სამსახურში თავიანთი დასაქმების მადლი. მათ ბედნიერება გამოცდილი აქვთ. სინამდვილეში, ისინი იმდენად ბედნიერნი არიან, რომ არც კი სურთ სულიერ პლანეტებზე აღმართვა, რადგან სიცოცხლის ნებისმიერ მდგომარეობაში ბედნიერად გრძნობენ თავს. უფლის ტრანსცენდენტულ სამსახურში თავიანთი სისრულის გამო მათ არც მატერიალური საგნები და არც მატერიალურ გრძნობათა დაკმაყოფილება სურთ. როგორც გოსვამები ამბობენ: „მათ, ვინც განმტკიცებულნი არიან უზენაესი უფლის სამსახურში, შეიძლება მშვიდობიანები ეწოდოთ".

ამრიგად სიტყვა „პტმპრპმა“ გულისხმობს იმას, რომ კრშნას ტრანსცენდენტულმა თვისებებმა შეიძლება ჩიტები, ცხოველები და სულელებიც კი — მოკლედ, ყველა მიიზიდოს — და ისინი მის სამსახურს მიეცენ და განთავისუფლდნენ.

სიტყვა „პტმს“ კიდევ ერთი მნიშვნელობაა „გონება“. მას, ვისაც განსაკუთრებული გონება აქვს, *პტმპრპმა* ჰქვია. განსაკუთრებული გონების მქონე ორი სახის *პტმპრპმები* არსებობენ. ერთია სწავლული ბრძენი, მეორე კი — სულელი, რომელსაც წიგნის ცოდნა არ გააჩნია. ორივე მათგანს შეუძლია წმინდა ერთგულთან ურთიერთობის საშუალება ჰქონდეს. სულელ *პტმპრპმებსაც* შეუძლიათ ყველაფერი მიატოვონ და კრშნას ცნობიერებაში წმინდა ერთგულ სამსახურში ჩაერთონ. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ნათქვამია, რომ უფალი წარმოადგენს ყველაფრის საწყისს და რომ ყველაფერი მისგან მომდინარეობს. ნებისმიერ გონიერ ადამიანს შეუძლია გაიგოს, რომ უზენაესი უფალი კრშნა ყველაფრის წყაროა და ამით ჩაებას მის სამსახურში. როგორც „შრიმად-ბჰაგავატამშია“ ნათქვამი (2.7.45): „ნაკლებად გონიერ ადამიანებსაც კი, როგორებიც ქალები, მუშები, *ჰუნები*, *შაბარები*, ჩიტები და ცხოველები არიან, შეუძლიათ სიცოცხლეში უმაღლესი სრულყოფილების საფეხურის მიღწევა და რაღა გვეთქმის ისეთ გონიერ პირებზე, რომელთაც *ვედების* შესწავლა შეუძლიათ“. აქამდე მოყვანილი ციტატის მსგავსად, „ბჰაგავად-გიტაც“ (10.10) გვასწავლის, რომ როდესაც ადამიანი მართლა გონიერი ხდება და კრშნას ცნობიერებას უძღვნის თავს, კრშნა პასუხობს მას იმით, რომ აძლევს გონებას, რომლითაც იგი უზენაესი უფლის სავანემდე ასვლას შეძლებს.

შემდეგ უფალმა უთხრა სანპტანა გოსვამის, რომ კარგ ერთგულებთან ურთიერთობა, უფლის ტრანსცენდენტულ სამსახურში დასაქმება, „შრიმად-ბჰაგავატამის“ გაგება, უფლის წმინდა სახელის გალობა და ვრნდავანის ან მათჰურას მსგავს წმინდა ადგილას ცხოვრება, უაღრესად მნი-

შვნელოვანია ტრანსცენდენტულ დონეზე ამაღლებისათვის. ყოველი ამ მუხლის შესრულება საჭირო არ არის; თუკი ადამიანს ერთ-ერთი მათგანი მაინც ეხერხება, აუცილებლად აღიმართება ღმრთეების სიყვარულის საფეხურზე. ჭეშმარიტად გონიერი ადამიანი უარს ამბობს მატერიალურ სურვილებზე და კრშნას ტრანსცენდენტულ სამსახურში ებმება. ერთგული სამსახურის გავლენა ისეთია, რომ მასში ჩაბმული უარს ამბობს ყოველ მატერიალურ სურვილზე და უფლის ტრანსცენდენტული თვისებებით შთაგონებული კრშნას ეჯაჭვება. ასეთია უფლის მშვენება მისი ერთგულის თვალში.

სიტყვა „ატმას“ კიდევ ერთი მნიშვნელობა „ბუნება“ გახლავთ. ამ შემთხვევაში სიტყვა „ატმარამა“ ნიშნავს იმას, რომ ყველა მის მიერ შეძენილი ბუნებით ტკბება. მაგრამ ცოცხალი არსების უმაღლესი ბუნება, ანუ განუწყვეტელი მარადიული ბუნება უზენაესი უფლის მსახურებაში მდგომარეობს. ის, ვინც სრულყოფილად ხვდება, რომ თავისი ბუნებით უფლის მარადიული მსახურია, უარს ამბობს სიცოცხლეზე მატერიალისტურ, ანუ სხეულისეულ შეხედულებაზე, რომელიც დასახელებაზეა დამყარებული. ეს ჭეშმარიტ ცოდნას წარმოადგენს. ისინიც, ვინც ცოდნას ეძებენ და ვისაც წმინდა ერთგულთან ურთიერთობის საშუალება ეძლევათ, უფლის ერთგულ სამსახურში ებმებიან. ოთხი კუმარას მსგავს ბრძენებს, აგრეთვე სულელებსა და ჩიტებს, უფლის ტრანსცენდენტულ სამსახურში ჩაბმა შეუძლიათ. კრშნას ცნობიერების საფეხურზე აღმართვა კრშნას უმიზეზო წყალობით ყველას შეუძლია.

კრშნას ტრანსცენდენტულ თვისებებს მიჯაჭვული ადამიანი ერთგულ სამსახურს იწყებს. „შრიმად-ბჰაგავატამი“ (10.15.8) ასე ადიდებს ვრნდავანის მიწას:

დჰანიეამ ადია დჰარანი ტრნა-ვირუდჰას ტვატ-
პადა-სპრშო დრუმა-ლატაჰ კარაჯაბჰიმრშტაჰ

ნადია 'დრაჲაჴ ქჰაგა-მრგუჴ სადაჲვალოკაირ
გოპჲო 'ნტარენა ბჰუჯაჲორ აპი ჲატ-სპრჰუ შრიჴ

„ვრაჯაბჰუმის ეს მიწა შენი ტერფების შეხებით არის დიდებული. შენი თითების შეხების გამო ლიანებიც ხოტბას გასხამენ. როდესაც მთებს, მდინარეებსა და დაბალ ცხოველებს შეჰყურებ, ყოველი მათგანი დიდებული ხდება და შენი ტრანსცენდენტული ხელების მოხვევის გამო, *გოპებიც* დიდებულნი ხდებიან“. *გოპები* (მენახირე გოგონები) ასე ადიდებდნენ ვრნდავანს: „ძვირფასო მეგობრებო, ვრაჯაბჰუმის ყოველი მაცხოვრებელი — ჩიტების, ცხოველებისა და ხეების ჩათვლით — დიდებულია, როდესაც ხედავს, რომ უფალი კრშნა საძოვრებზე მიდის თავის მეგობრებთან და ბალარამასთან ერთად“.

სიტყვა „ატმა“ „ამ სხეულსაც“ ნიშნავს. *ადოგები*, რომლებიც სხეულის ვარჯიშებს ასრულებენ და საკუთარ თავს სხეულად მიიჩნევენ, აგრეთვე შეძლებენ უფლის ტრანსცენდენტული სამსახურის საფეხურზე ამაღლებას, თუ წმინდა ერთგულებთან დაამყარებენ ურთიერთობას. მრავალ ადამიანს სჯერა, რომ სხეულს წარმოადგენს და ათასგვარ კარმიულ საქმიანობას ეწევა, განბანის რიტუალებისა და უბრალო ამქვეყნიური საქმეების ჩათვლით. მაგრამ წმინდა ერთგულთან ურთიერთობის შედეგად ისინიც უფლის ტრანსცენდენტულ სამსახურს იწყებენ.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ (1.18.12) ნათქვამია: „ო ჩემო ძვირფასო სუტა გოსვამი, თუმცა კარმიულ საქმიანობათა სამსხვერპლო კვამლმა დაგვაბნელა, შენ კრშნას ლოტოსის ტერფთა ნექტარი მოგვეცი“. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (4.21.31) ნათქვამია აგრეთვე, რომ: „განგის წყალი კრშნას ლოტოსის ფეხის თითის წვერიდან მოედინება და მასში განბანით, ყველა — მათ შორის კარმიული მოღვაწეებიც და მთელი ბრძენებიც — სიბინძურისგან იწმინდავენ ჭკუას“.

ისინიც კი, ვისაც თავი სხეულად მიაჩნიათ, ან მატერი-

ალური სურვილებით სავსენი არიან, გარკვეული მნიშვნელობით *ᳬმᳬრᳬმას* წარმოადგენენ. უფლის წმინდა ერთგულებთან ურთიერთობის შედეგად ისინი უარს ამბობენ თავიანთ მატერიალურ სურვილებზე და უფლის სრულყოფილი მსახურები ხდებიან. ამის საუკეთესო მაგალითი მოცემულია „ჰარი-ბჰაკტი-სუდჰოდაᲫაში“ (7.28), სადაც დჰრუვა მაჰᳬრᳬჯა ამბობს:

სთჰᳬნᳬბჰილᳬშᳬ ტაᲪასი სთჰიტო 'ჰამ̇
*ტᳬᳬმ̇ პრᳬᲪᲪᳬᳬᳬ

და მიწაზე ისრით განგმირული ჩიტი დაინახა. ჩიტი კიდევ ცოცხალი იყო და საბრალოდ კვნესოდა. ცოტა მოშორებით ნარადამ სულთმობრძავი ირემი იხილა, კიდევ მოშორებით — დატანჯული ტახი, სხვაგან კი — ტკივილით დაკრუნჩხული კურდღელი. ამის შემყურეს გული აუჩუყდა და ფიქრი დაიწყო: „ვინ არის ასეთი ცოდვების ჩამდენი სულელი?“ როგორც წესი, უფლის ერთგულებს ებრალებათ საცოდავი ცოცხალი არსებები და რაღა უნდა ვთქვათ დიად ბრძენ ნარადაზე? ასეთმა სანახაობამ იგი ძლიერ დაამწუხრა და რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ იხილა მონადირე, რომელიც მშვილდ-ისრით ნადირობდა. მონადირე ძალიან შავი იყო და წითელი თვალები ჰქონდა. იგი მშვილდ-ისრით იდგა და ბამარუჯას, სიკვდილის მხლებელს ჰგავდა. მისი დანახვაც კი შიშს ჰგვრიდა კაცს. მასთან მისასვლელად ნარადა მუნი ღრმად შევიდა ტყეში. როდესაც ნარადა მუნი ტყეში გადიოდა, მონადირის მახეებში გაბმული ცხოველები გაიქცნენ. ამან განარისხა მონადირე და მისი გალანძღვა დააპირა, მაგრამ წმინდანი ნარადას ზეგავლენის გამო, ცუდი სიტყვები ვერ წარმოთქვა. პირიქით, თავაზიანად ჰკითხა ნარადას: „ჩემო ბატონო, რატომ მოხვედი აქ, როცა მე ვნადირობ? გზას ხომ არ აცდენილხარ? შენი მოსვლის გამო ჩემს ხაფანგში გაბმული მთელი ცხოველები გაიქცნენ“.

— ბოდიშს ვიხდი, — უპასუხა ნარადამ. — შენთან გზის სასწავლად მოვედი და თანაც რაღაცის კითხვა მინდა. გზაზე ბევრი ტახი, ირემი და კურდღელია. ისინი ნახევრად მკვდრები აგდიან ტყეში და ფართხალებენ. ვინ ჩაიდინა ეს ცოდვები?

— რაც ნახე, ჩემი ნამოქმედარია, — უპასუხა მონადირემ, — და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— თუკი ამ საბრალო ცხოველებზე ნადირობ, რატომ ერთბაშად არ ჰკლავ? — იკითხა ნარადამ. — შენ მათ სანახევროდ ხოცავ და ისინი სიკვდილის ტკივილებით იტანჯებიან. ეს დიდი ცოდვაა. თუკი ცხოველის მოკვლა

გსურს, რატომ ბოლოს არ უღებ? რატომ ტოვებ ნახევრად მოკლულებს, რათა ტკივილებით იტანჯონ?

— უფალო ჩემო, — მიუგო მონადირემ, — მე მრგვარი, ცხოველთა მტერი მქვია. მე უბრალოდ მამაჩემის დარიგებებს მივყვები, რომელმაც მასწავლა, სანახევროდ დამეხოცა ცხოველები და სატანჯველად დამეტოვებინა ისინი. ძალიან მიხარია, როდესაც ნახევრად მოკლული ცხოველი იტანჯება.

— მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ. — შეეხვეწა ნარადა. — გემუდარები, უარს ნუ მეტყვი.

— რა თქმა უნდა, ბატონო, რასაც გინდა, იმას მოგცემ. — თქვა მონადირემ. — თუკი რომელიმე ცხოველის ტყავი გსურს, მესტუმრე სახლში. მრავალი ცხოველის ტყავი მაქვს, მათ შორის ვეფხვისა და ირმისაც. რაც გინდა, იმას მოგცემ.

— მე ეს არ მინდა, — უპასუხა ნარადამ, — სხვა რამე მსურს. თუკი ამისრულებ, გეტყვი. გთხოვ, როცა ხვალიდან ცხოველს მოკლავ, ბოლომდე მოკალი. ნუ დატოვებ ნახევრად მკვდარს.

— ჩემო ბატონო, ამას რას მთხოვ? რა განსხვავებაა ცხოველის ნახევრად მოკვლასა და ბოლომდე მოკვლას შორის?

— თუკი ნახევრად მოკლავ ცხოველებს, ისინი დიდი ტკივილით იტანჯებიან, — აუხსნა ნარადამ. — სხვა ცოცხალი არსებებისთვის ამდენი ტკივილის მიყენება დიდი ცოდვაა. ცხოველების ბოლომდე მოკვლით დიდ დანაშაულს ჩადიხარ, მაგრამ როდესაც სანახევროდ კლავ, ეს უფრო დიდი დანაშაულია. მართლაც, ტკივილი, რომელსაც ნახევრად განგმირულ ცხოველებს აყენებ, მომავალში შენ მოგიბრუნდება.

თუმცა მონადირე უაღრესად ცოდვილი იყო, გული მოულბა და დიად ერთგულ ნარადასთან ურთიერთობის გამო შეაშინა მის მიერ ჩადენილმა ცოდვებმა. დიდად ცოდვილ ხალხს ცოდვების ჩადენის არ ეშინია, მაგრამ ამ

შემთხვევაში, რადგან დიად ერთგულთან, ნარადასთან ურთიერთობაში განიწმინდა, შეეშინდა თავისი ცოდვების გამო. ამიტომ მონადირემ მიუგო: „ჩემო ძვირფასო ბატონო, ბავშვობაში ცხოველთა ასე ხოცვა მასწავლეს. გთხოვ, მითხარი, როგორ განვთავისუფლდე ჩემს მიერ დაგროვილი დანაშაულებისა და ცოდვებისაგან. გადამარჩინე, გეთაყვა, ცოდვათა ყოველი საპასუხო რეაქციისაგან, რომელიც წარსულში ჩამიდენია და გთხოვ, წამიყვანე სწორი გზით, რათა თავისუფლებას მივაღწიო“.

— თუკი მართლა გსურს ჩემი დარიგებების გაყოლა, გასწავლი გზას, რომელიც ცოდვათა საპასუხო შედეგებისგან გაგანთავისუფლებს.

— ულაპარაკოდ შევასრულებ ყველაფერს, რასაც მეტყვი. — დაეთანხმა მონადირე.

მაშინ ნარადამ უთხრა, მშვილდი გაეტეხა; მხოლოდ ამის შემდეგ აუხსნიდა იგი განთავისუფლების გზას.

— მშვილდის გატეხვას მთხოვ, — შეეწინააღმდეგა მონადირე, — მაგრამ თუკი გავტეხავ, სარჩო როგორღა ვიშოვნო?

— სარჩოზე ნუ იდარდებ. — უპასუხა ნარადამ. — მე საკმარის ხორბალს გამოგიგზავნი.

მონადირემაც გატეხა თავისი მშვილდი და ნარადას ტერფებთან დაემხო. ნარადამ ააყენა და ასეთი რამ ასწავლა: „წადი სახლში და რა ფულიც და ძვირფასეულობაც გაგაჩნია, ერთგულებსა და *ბრაჰმანებს* დაურიგე. შემდეგ მხოლოდ ერთი ხელი ტანსაცმელი აიღე და მე გამომყევი. აიშენე პატარა ჩალით გადახურული სახლი და სახლთან მცენარე *ტულასი* დარგე. უბრალოდ *ტულასის* გარშემო იარე და ყოველ დღე ერთი ჩამოვარდნილი ფოთოლი იგემე. რაც ყველაზე მთავარია, ყოველთვის იგალობე ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე. რაც შეეხება შენს სარჩოს, ხორბალს გამოგიგზავნი, მაგრამ აიღე მხოლოდ იმდენი, რამდენიც შენ და შენს ცოლს გჭირდებათ“.

ამის შემდეგ ნარადამ ნახევრად მოკლული ცხოველები საშინელი მდგომარეობიდან დაიხსნა და ისინი გაიქცნენ. ნარადას მიერ ჩადენილი ამ სასწაულის შემყურე მონადირე გაოგნებული დარჩა. მან ნარადა სახლში წაიყვანა და კვლავ დაუჩოქა მის ტერფებს.

ნარადა თავისთან დაბრუნდა, სახლში მისულმა მონადირემ კი ნარადას მიერ მიცემული დარიგებების შესრულება დაიწყო. ამ დროს სოფლებში ხმა გავარდა, მონადირე ერთგული გახდაო. ამიტომ სოფლის მაცხოვრებლები ახალი ვაიშნავის სანახავად მივიდნენ. ვედური წესის თანახმად, წმინდანის სანახავად კაცმა მარცვლეული და ხილი უნდა წაიღოს და რაკი სოფლელებმა იხილეს, რომ მონადირე დიდი ერთგული გამხდარიყო, საჭმელი წაიღეს თან. ასე რომ, ყოველ დღე იმდენ მარცვლეულსა და ხილს აძლევდნენ, ყველაზე ცოტა, ოც კაცს რომ ეყოფოდა. ნარადას დარიგების თანახმად, იგი საკუთარი თავისა და ცოლისთვის საკმარზე მეტს არ იღებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნარადამ უთხრა თავის მეგობარ პარვატა მუნის: „მე ერთი მოწაფე მყავს. წავიდეთ, მოვინახულოთ“.

როდესაც ორი ბრძენი, ნარადა და პარვატა, მონადირის სახლისაკენ გაეშურნენ, მონადირემ შორიდან შეამჩნია თავისი სულიერი მოძღვარი და დიდი მოწიწებით გაემართა მის შესახვედრად. დიადი ბრძენებისაკენ მიმავალმა მონადირემ თავის წინ მიწაზე ჭიანჭველები დაინახა. ჭიანჭველები გზას არ უთმობდნენ. ბრძენებს რომ მიუახლოვდა, მათ წინაშე დაჩოქვას შეეცადა, მაგრამ მიწაზე იმდენი ჭიანჭველა იყო, დაჩოქვისას გაჭყლეტდა. ამიტომ თავისი სამოსით ფრთხილად გაწმინდა გზა ჭიანჭველებისაგან. როდესაც ნარადამ იხილა, რომ მონადირე ჭიანჭველების ხსნას ცდილობდა, გაახსენდა ლექსი „სკანდა პურანდან“: „საკვირველი არ არის, რომ უფლის ერთგულს არავისადმი არავითარი ტკივილის მიყენება არ სურს, ჭიანჭველასადმიც კი?“

თუმცა მონადირე უწინ დიდი სიამოვნებით ხოცავდა ცხოველებს, რადგან უფლის დიადი ერთგული გახდა, ჭიანჭველასაც კი არ აყენებდა ტკივილს. მონადირემ სახლში მიიღო ორი ბრძენი და დასაჯდომი ადგილი შესთავაზა, სასმელი წყალი მიართვა, მოიტანა წყალი, ტერფები დაბანა და ბოლოს მან და მისმა ცოლმა თავზე ისხურეს ეს წყალი. ამის შემდეგ მათ ექსტაზი იგრძნეს და დაიწყეს ცეკვა და სიმღერა ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე. მათ ხელები აწიეს და აფრიალებული ტანსაცმლით ცეკვავდნენ. როდესაც ორმა დიადმა ბრძენმა მონადირის სხეულში გამოვლენილი ღმრთეების სიყვარულის ექსტაზი იხილა, პარვატა მუნიმ უთხრა ნარადას: „შენ ფილოსოფიური ქვა ხარ, რადგან შენთან ურთიერთობით დიდი მონადირეც კი დიდ ერთგულად გადაიქცევა“.

„სკანდა პურანაში“ არის ლექსი, სადაც ნათქვამია: „ჩემო ძვირფასო დევარში [ნარადა], შენ დიდებული ხარ და შენი წყალობით მდაბიო არსება, ცხოველებზე მონადირეც კი ერთგულების გზას დაადგა და კრშნას ტრანსცენდენტულ სასიყვარულო მიჯაჭვულობას მიაღწია“.

ბოლოს, ნარადამ ჰკითხა ერთგულ მონადირეს: „ყოველდღიურად ღებულობ სარჩოს?“

— შენ იმდენ ხალხს მიგზავნი, — მიუგო მონადირემ, — და მათ იმდენი საჭმელი მოაქვთ, რომ ამდენს ვერც კი მივირთმევთ.

— ძალიან კარგი, — უპასუხა ნარადამ, — რასაც ღებულობ, კარგია. ასე გააგრძელე შენი ერთგული სამსახური.

ამის თქმის შემდეგ ნარადა და პარვატა მუნი გაქრნენ მონადირის სახლიდან. უფალი ჩაიტანდა ამ ამბავს მოყვა, რათა ეჩვენებინა, რომ წმინდა ერთგულის გავლენით შეიძლება მონადირემაც კი ერთგული სამსახური დაიწყოს.

უფალმა ჩაიტანდამ გააგრძელა განმარტება ლექსისა *პტმპარამ* და თქვა, რომ სიტყვა „პტმპ“ ღმრთეების ყოველ პიროვნებასაც ნიშნავს. როგორც წესი, თავად

ღმრთეების პიროვნებას, კრშნასა და მის სხვადასხვა ექსპანსიებს, ყველას ღმრთეების პიროვნება ჰქვიათ.

აგრეთვე ნებისმიერი, ვინც ღმრთეების ნებისმიერი ფორმის ან ექსპანსიის ერთგული სამსახურითაა დაკავებული, *ჯტმპრაპმადაა* წოდებული. ყოველი ასეთი ერთგული ან ერთგული სამსახურის მარეგულირებელი პრინციპებით, ან ტრანსცენდენტულ სიყვარულში ერთგული სამსახურითაა დაკავებული. მსგავსი ერთგულები, თავის მხრივ, სამ კატეგორიად იყოფიან: თანამგზავრები, ისინი, ვინც ერთგულ სამსახურში სრულყოფილებას მიაღწიეს და ისინი, ვინც ახლახან დაიწყეს ერთგული სამსახური. ახალი ერთგულები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყონ: ისინი, ვისაც უფლისადმი მიჯაჭვულობა აქვთ განვითარებული და ისინი, ვისაც ასეთი მიჯაჭვულობისათვის არ მიუღწევიათ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ერთგული სამსახურის ორი განაყოფი არსებობს (სახელდობრ, დანაწესების შესრულებაზე დამყარებული და ტრანსცენდენტულ სასიყვარულო მიჯაჭვულობაზე დამყარებული), ერთგულთა ამ კლასების რიცხვი რვა ხდება. ერთგული სამსახურის მარეგულირებელი პრინციპების შესრულებით უფლის სრულყოფილი თანამგზავრები შემდგომ ოთხ კლასად იყოფიან: მსახურები, მეგობრები, მშობლების რანგის უფროსები და საცოლეები.

ისევე, როგორც ზოგიერთ ერთგულს ერთგული სამსახურის შესრულებით აქვს სრულყოფილებისთვის მიღწეული, ზოგიერთი მათგანი მარადიულად სრულყოფილია. მათ შორის, ვინც ერთგული სამსახურის მარეგულირებელ პრინციპებს იცავენ, არიან დაწინაურებულნი და დამწყებები; უფლის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურში კი ერთგულთა თექვსმეტი სახე გამოირჩევა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს *ჯტმპრაპმათა* ოცდათორმეტი განაყოფი. თუკი სიტყვებს „მუნი“, „ნირგრანთჰა“, „ჩა“ და „აპი“ ოცდათორმეტი კლასის მიმართ გამოვიყენებთ, მაშინ ერთგულთა ორმოცდათვრამეტი

კლასი გვექნება. ყოველი ასეთი ერთგული ხასიათდება ერთი სიტყვით: „პტმპრპმა“. ტყეში ათასგვარი ხე დგას, მაგრამ ყოველ მათგანს ახასიათებს ერთი სიტყვა „ხე“.

ამრიგად, უფალმა სიტყვა „პტმპრპმას“ სამოცდაოთხი მნიშვნელობა მოგვცა. ამასთან ერთად, მან თქვა, რომ *პტმპ* ნიშნავს „ცოცხალ არსებას, დაწყებული პირველი შექმნილი არსება ბრაჰმპთი, დამთავრებული ჭიანჭველით“. მან მოიყვანა ლექსი „ვიშ̇ნუ პურაპ̇ნას“ მეექვსე თავიდან, სადაც ნათქვამია, რომ უფლის ყოველი ენერგია სულიერია. თუმცა ეს ასეა, ენერგიას, რომელიც ცოცხალი არსების წყაროდ არის ცნობილი, ეწოდება სულიერი, მაგრამ მეორე ენერგიას, რომელიც უგუნურებითაა სავსე და მატერიალური საქმიანობების სახით ვლინდება, მატერიალური ბუნება ჰქვია. მატერიალურ ქმნილებაშიაც კი ურიცხვი ცოცხალი არსება არსებობს. თუკი შემთხვევით მატერიალურ სამყაროში მყოფი ცოცხალი არსება წმინდა ერთგულთან ურთიერთობას შეძლებს, იგი კრ̇შ̇ნას წმინდა ერთგულ სამსახურში ჩაებმება. „უწინ სიტყვა „პტმპრპმას“ სამოცდაოთხ მნიშვნელობაზე ვფიქრობდი“, — უთხრა უფალმა სანპტანა გოსვპმის, „მაგრამ ახლა შენთან ურთიერთობის გამო კიდევ ერთი მნიშვნელობა მომაფიქრდა“.

სიტყვა „პტმპრპმას“ მრავალგვარი განმარტების მოსმენის შემდეგ სანპტანა გოსვპმი განცვიფრდა და ერთგულებით აღვსილი უფალი ჩაიტანდას ტერფებთან დაემხო. „მე მესმის, რომ შენ ხარ თავად ღმრთეების უზენაესი პიროვნება, კრ̇შ̇ნა“, — თქვა სანპტანამ, „და შენი სუნთქვის შედეგად ათასგვარი ვედური ნაწარმოები ვლინდება. შენ ხარ „შ̇რ̇იმად-ბჰპგავატამის“ მასწავლებელი და შენ იცი ყველაზე უკეთ „შ̇რ̇იმად-ბჰპგავატამის“ ლექსების მნიშვნელობა. არავის ძალუძს შენი წყალობის გარეშე „შ̇რ̇იმად-ბჰპგავატამის“ საკრალურ მნიშვნელობათა გაგება“.

„ნუ ცდილობ ასე ჩემს შექებას“, — უთხრა უფალმა სანპტანას. „უბრალოდ „შ̇რ̇იმად-ბჰპგავატამის“ ჭეშმარიტი ბუნების გაგება სცადე. „შ̇რ̇იმად-ბჰპგავატამი“ უზენაესი

უფალი კṛშṇას ბგერითი განსახიერებაა; ამიტომ „შṛმად-ბჰაგავატამი“ არ განსხვავდება კṛშṇასაგან. კṛშṇა უსასრულოა და სწორედ ასევე, „შṛმად-ბჰაგავატამის“ ყოველ სიტყვასა და ასოსაც უსასრულო მნიშვნელობები აქვს. ამ მნიშვნელობათა გაგება ერთგულებთან ურთიერთობაში შეიძლება. მაშ, ნუ იტყვი, რომ „ბჰაგავატამი“ უბრალოდ კითხვებზე პასუხების კრებულია“.

ნაიმიშარანḍას ბრძენებმა სუტა გოსვამის ექვსი კითხვა დაუსვეს და სუტა გოსვამიმ „შṛმად-ბჰაგავატამში“ ამ კითხვების განმარტება და პასუხები მისცა. ვედურ ლიტერატურაში არის ლექსი, სადაც უფალი შივა ამბობს: „რაც შეეხება „ბჰაგავატამს“, მე შეიძლება ვიცოდე იგი, ან შუკადევამ ან ვიასადევამ იცოდეს — ჩვენ შეიძლება ვიცოდეთ ან არ ვიცოდეთ, მაგრამ სინამდვილეში „შṛმად-ბჰაგავატამის“ გაგება საჭიროა ერთგული სამსახურით და ერთგულისაგან, და არა საკუთარი გონებით ან აკადემიური კომენტარებით“. „შṛმად-ბჰაგავატამის“ დასაწყისში (1.1.23) ნაიმიშარანḍას ბრძენებმა იკითხეს:

ბრუჰი ḍოგეშვარე კṛშṇე
ბრაჰმანḍე დჰარმა-ვარმანი
სვამ კაშṭჰამ ადჰუნოპეტე
დჰარმაჰ კამ შარანამ გატაჰ

„ჩვენო ძვირფასო ბატონო, გთხოვ, მოგვიყევი, გაჰყვა თუ არა უფალს რელიგიის პრინციპები, როდესაც უფალი თავის სავანეში გაემგზავრა. სად მივაგნოთ ამ პრინციპებს უფლის წასვლის შემდეგ?“

პასუხი ასეთი იყო (1.3.43):

კṛშṇე სვადჰამოპაგატე
დჰარმა-ჯṇანადიბჰიჰ საჰა

კალაუ ნაშტა-დრშპმ ეშა
პურაჟვრკო 'დჰუნოდიტაჰ

„მას შემდეგ, რაც კრშნა მთელ რელიგიურ პრინციპებთან ერთად თავის სავანეში წავიდა, მისი წარმომადგენელი, „შრიმად-ბჰაგავატამი“ — *მაჰპ-პურაჟნა*, მანათობელი, კაშკაშა მზესავით დარჩა“.

შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ უთხრა სანპტანა გოსვპმის: „ამ ლექს *ატმარამს* სხვადასხვა სახით განმარტებისას გიჟივით ვიყავი. ნუ მიაქცევ ყურადღებას, თუკი რაიმე სიგიჟე ვთქვი. მაგრამ თუკი ვინმე ჩემსავით გიჟი გახდება, იგი ისე გაიგებს „შრიმად-ბჰაგავატამის“ მნიშვნელობას, როგორც მე განვმარტე“.

შემდეგ ხელებდაკრეფილი სანპტანა გოსვპმი უფლის ტერფებთან დაეცა და შეევედრა: „ჩემო ძვირფასო უფალო,“ — თქვა მან, „შენ მთხოვე ერთგული სამსახურის მარეგულირებელი პრინციპების შესახებ დამეწერა, მაგრამ მე დაბალ კასტას მივეკუთვნები. არავითარი ცოდნა არა მაქვს. არ ვიცი, როგორ შევასრულო ასეთი მნიშვნელოვანი დავალება. თუკი მიმანიშნებ, როგორ დავწერო ასეთი წიგნი ერთგული სამსახურის შესახებ, იქნებ შევძლო“.

უფალმა დალოცა იგი და უთხრა: „რასაც დაწერ, კრშნას წყალობით შენი გულიდან ამოვა და ისე იქნება მიღებული, როგორც შენ მოითხოვ. გარკვეულ შენიშვნებს მოგცემ, რომლებიც შეგიძლია გაითვალისწინო. პირველი და უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის მიღებაა. ამით იწყება სულიერი ცხოვრება“. შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ სთხოვა სანპტანა გოსვპმის *გურუსა* და ჭეშმარიტი ერთგულის ნიშნების შესახებ დაეწერა. ერთგულის ნიშნები აღწერილია „პადმა პურაჟნაში“: პიროვნება, რომელიც *ბრაჰმანის* თვისებებს ფლობს და ამავე დროს ერთგულის ყველა ნიშანს ატარებს, შეიძლება

ადამიანთა ყოველი კლასის სულიერი მოძღვარი გახდეს. ასეთ ერთგულსა და სულიერ მოძღვარს ისეთივე თაყვანი უნდა ვცეთ, როგორც თავად ღმერთს. თუ ადამიანი უფლის ერთგული არ არის, სულიერი მოძღვარი ვერ გახდება, დიდად პატივცემული *ბრაჰმანის* ოჯახშიც რომ იყოს დაბადებული. შეცდომით არ უნდა გვეგონოს, რომ ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი ეგრეთ წოდებულ *ბრაჰმანთა* ოჯახიდან უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ სულიერი მოძღვარი *ბრაჰმანის* თვისებებს უნდა ფლობდეს; ე.ი. მასზე მისი საქციელის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ.

ეს დამტკიცებულია „შრიმად-ბჰაგავატამში", როდესაც ნარადა საზოგადოებრივი ცხოვრების ოთხი განაყოფის სხვადასხვა დამახასიათებელ ნიშნებზე საუბრობს. იქ ნარადა ამბობს, რომ *ბრაჰმანები, კშატრიიები, ვაიშიები* და *შუდრები* თავიანთი ინდივიდუალური თვისებების საფუძველზე უნდა იქნან ამორჩეულნი. თავის კომენტარებში შრიდჰარა სვამი აღნიშნავს, რომ *ბრაჰმანის* ოჯახში დაბადება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი *ბრაჰმანია*. მას *ბრაჰმანის* თვისებები უნდა გააჩნდეს, რომლებიც *შასტრებშია* აღწერილი. გაუდიჰა ვაიშნავთა *სამპრადაიის* მოწაფეობრივ თანმიმდევრობაში ვხვდებით ორ დიად *აჩარიას* (ფჰაკურა ნაროტტამასა და შიამანანდა გოსვამის), რომლებიც *ბრაჰმანთა* ოჯახებში არ შობილან, მაგრამ რომელთაც მრავალი სახელგანთქმული *ბრაჰმანი* ცნობდა სულიერ მოძღვრებად, მათ შორის განგანარაიანა, რამაკრშნა და სხვ.

ამგვარად, არსებობს ნიშნები, რომელთაც მომავალი ერთგული ავლენს და მოწაფეც და სულიერი მოძღვარიც დარწმუნებულნი უნდა იყვნენ იმაში, რომ ღირსნი არიან, ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი, ან ჭეშმარიტი მოწაფე გახდნენ. მაშინ ადამიანმა უნდა გაიგოს, რომ თაყვანისცემის ერთადერთი ობიექტი არის ღმრთეების უზენაესი პიროვნება და შეისწავლოს სხვადასხვა *მანტრები* და წმინდა სიმღერები.

შემდეგ უფალმა დაავალა სანპტანა გოსვპმის, დაეხასიათებინა *მანტრის* მიღების ღირსი პიროვნებების ნიშნები და განემარტა, როგორ უნდა გავიგოთ *მანტრები* და სრულვყოთ რიტუალური ცერემონიებით. შემდეგ უფალმა აღწერა ინიციაცია, დილის მოვალეობანი და სისუფთავის წესები — პირის დაბანა და კბილების გამოხეხვა — შრომის პროცესი და დილაობითა და საღამოობით წარმოსათქმელი ლოცვანი. უფალმა დაახასიათა ისიც, თუ როგორ უნდა ვცეთ თაყვანი სულიერ მოძღვარს და სხეულზე *გოპი-ჩანდანას* ნიშნები დავისვათ. აღწერა ისიც, თუ როგორ შევაგროვოთ *ტულასის* ფოთლები და მოვრეცხოთ ოთახი და უფლის ტაძარი, აგრეთვე როგორ გამოვაღვიძოთ კრშნა. უფალმა ჩაიტანიამ აღწერა აგრეთვე უფლის თაყვანისცემის სხვადასხვა მეთოდებიც, რომლებიც ხუთი სახის ატრიბუტებისა და ორმოცდაათი სახის ატრიბუტებისაგან შემდგარ პროცესებს წარმოადგენს. მან განმარტა დღეში ხუთჯერ *პრატის* შეთავაზებით უფლის თაყვანისცემა და კრშნასათვის საჭმლის შეთავაზება და მისი დასაძინებლად დაწვენა. უფალმა ჩაიტანიამ ილაპარაკა აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა შედეგები აქვს წმინდა ადგილებში წასვლას, სადაც უფლის ტაძრები იმყოფება და ტაძარში ღმერთის ფორმის ნახვის შესახებ. იგი მოჰყვა უფლის ტრანსცენდენტული სახელის ხოტბის შესხმის შესახებაც და თაყვანისცემის დროს შესაძლო შეურაცხყოფების შესახებ. უფლის თაყვანისცემისას გამოიყენება გარკვეული ატრიბუტები, როგორიცაა ნიჟარა, წყალი, სურნელოვანი ყვავილები, ლოცვანი და ჰიმნები, აგრეთვე გარს შემოვლა და ქედის მოხრაც. საჭიროა *პურაშჩარანას* მარეგულირებელი პრინციპების დაცვა და კრშნას *პრასადის* მიღება იმ საჭმელზე უარის თქმით, რომელიც კრშნასადმი არ არის შეთავაზებული. უფალმა ჩაიტანიამ გაგვაფრთხილა აგრეთვე, რომ არ შეიძლება იმ ერთგულის ცილისწამება, რომელსაც ჭეშმარიტი ერთგულის ნიშნები ახასიათებს.

უფალმა ჩაიტანäამ განმარტა წმინდანის ნიშნებიც და ბრძენის დაკმაყოფილების გზა და არასასურველ პირთა წრის მიტოვება. უფალმა გამუდმებით „შრიმად-ბჰაგავატამის“ მოსმენაც ურჩია. საჭიროა ყოველდღიური მოვალეობების და ორი კვირის მოვალეობის შესრულება, აგრეთვე მარხულობა ეკäდäშის დღეს. საჭიროა თვის მოვალეობების შესრულებაც და ისეთი ცერემონიების დაცვა, როგორიცაა უფლის დაბადების დღე, მარხვის სამი განსაკუთრებული დღე, ეკäდäშ, ჯანმäშტäმ, ვäმანადვäდäშ, შრ räმანავამ და ნრსიმჰა-ჩატურდäშ. როდესაც მარხვის დღეები სხვა მნიშვნელოვან დღეებს დაემთხვევა (*ვიდდჰä*), ეს ერთგულ სამსახურში წინსვლისთვის სასარგებლოა. შემდეგ უფალმა ჩაიტანäამ სანäტანა გოსვäმის დაუბარა ყოველ საკითხზე დოკუმენტური განაცხადი მოეყვანა *პურäნებიდან*. მან ისიც აღნიშნა, თუ როგორ უნდა ავაგოთ უფლის ტაძრები და დაახასიათა ვაიშნავის საერთო ქცევა, ნიშნები, მოვალეობები და საქმიანობები. ამგვარად, უფალმა განმარტა ყოველი წვრილმანი, რომელიც ვაიშნავთა მარეგულირებელი პრინციპების შესახებ წიგნის დასაწერად არის საჭირო.

სანäტანა გოსვäმ უფლის დიადი ერთგული იყო და მას უშუალოდ დაევალა, მრავალი ნაწარმოების შექმნის გზით *ბჰაკტის* კულტი გაევრცელებინა. „ჩაიტანäა-ჩანდროდääაში“ აღწერილია სანäტანა და ნათქვამია, რომ სანäტანა გოსვäმ ნავაბ ჰუსეინის მთავრობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირი იყო. მისი ძმა, რუპა გოსვäმიც, მთავრობის მინისტრი გახლდათ, მაგრამ ორივემ მიატოვა თავისი სარფიანი მთავრობის თანამდებობა, რათა მწირები გამხდარიყვნენ და უზენაესი უფლისათვის ემსახურათ. გარეგნულად ძმები უბრალო მწირებს ჰგავდნენ, მაგრამ მათი გულები ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურითა და ვრნდäვანის მენახირე ბიჭისადმი დიადი

სიყვარულით იყო აღსავსე. მართლაც, სანპტანა გოსვამი თავისი დროის ყოველი წმინდა ერთგულის თვალისჩინი გახლდათ.

თავი მეჩვიდმეტე

უფალი ჩაიტანდა, ღმრთეების უზენაესი პიროვნება

მივყვებით რა კავირაჯა კრშნადასა გოსვამის ნაკვალევს, მოწიწებით ვეთაყვანებით უფალი ჩაიტანდას ლოტოსის ტერფებს.

უფალი ჩაიტანდა ასეა აღწერილი: ის გახლავთ უბედოთა, ყველაზე დაცემულთა ერთადერთი თავშესაფარი და სულიერ ცოდნას მოკლებულთა ერთადერთი იმედი. მოდით, განვიხილოთ მისი უდიდესი წვლილი ერთგულ სამსახურში.

უმაღლესი ძლევამოსილების მფლობელი უფალი კრშნა ხუთ სხვადასხვა პოტენციაში ვლინდება. თუმცა იგი ერთი და განუმეორებელია, ხუთი სხვადასხვა სულიერი მიზნის განსახორციელებლად ხუთი სახით ავლენს თავს. ასეთი მრავალფეროვნება ერთფეროვანი ერთიანობის კონცეფციისაგან განსხვავებით მარადიული და ნეტარია. ვედური ლიტერატურიდან ვგებულობთ, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება, ღმრთეების უზენაესი პიროვნება, მარადიულად არსებობს თავის მრავალფეროვან ენერგიებთან ერთად. უფალი ჩაიტანდა მოევლინა სრულ მრავალფეროვან ენერგიებთან ერთად, რომელთა რიცხვიც ხუთს შეადგენს; ამიტომ ამბობენ, რომ უფალი ჩაიტანდა არის კრშნა მრავალფეროვან ენერგიებთან ერთად.

რაც შეეხება უფლის მოვლინებას შრი̄ ჩაიტანდა მა-ჰჯპრაბჰუსა და მისი ოთხი თანამგზავრის — ნიტდჯანანდა პრაბჰუს, ადვაიტა პრაბჰუს, გადაჯდჰარასა და შრივასას სახით, ამ შემთხვევაში ენერგიასა და ენერგიის წყაროს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. უზენაესი უფლის ეს ხუთი სხვადასხვა სახის გამოვლინება (თავად უფალი და მისი ინკარნაცია, ექსპანსია და ენერგიები) სულიერად არაფრით განსხვავდება. ისინი ხუთნი არიან ერთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში. აბსოლუტური ჭეშმარიტების ტრანსცენდენტული სურნელით დასატკბობად ხუთი სხვადასხვა გამოვლინება არსებობს. მათ ერთგულის ფორმა, ერთგულის ექსპანსია, ერთგულის ინკარნაცია, წმინდა ერთგული და ერთგულების ენერგია ჰქვიათ.

აბსოლუტური ჭეშმარიტების ხუთ მრავალფეროვნებას შორის უფალი ჩაიტანდას ფორმა ღმრთეების თავდაპირველი პიროვნების, კრშნას ფორმა გახლავთ. უფალი ნიტდჯანანდა უზენაესი უფლის პირველი ექსპანსიის გამოვლინებაა. სწორედ ასევე, ადვაიტა პრაბჰუ უზენაესი უფლის ინკარნაციას წარმოადგენს. ეს სამნი — ჩაიტანდა, ნიტდჯანანდა და ადვაიტა — *ვიშნუ-ტატტვას*, ანუ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების კატეგორიას მიეკუთვნებიან. შრივასა წმინდა ერთგულს განასახიერებს, გადაჯდჰარა კი — წმინდა ერთგულ სამსახურში წინსვლისათვის საჭირო უფლის შინაგან ენერგიას. ამიტომ თუმცა გადაჯდჰარა და შრივასა *ვიშნუ-ტატტვას* კატეგორიას მიეკუთვნებიან, ისინი უზენაესი უფლისაგან დამოკიდებული, სხვადასხვა ენერგიები არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი არ განსხვავდებიან ენერგიის წყაროსგან, მაგრამ ტრანსცენდენტული ურთიერთობებით დასატკბობად სხვადასხვა სახით ვლინდებიან. ერთგული სამსახურის მთელი პროცესი თაყვანისმცემელსა და სათაყვანებელს შორის ტრანსცენდენტული ორმხრივი ურთიერთობებისგან შედგება. ტრანსცენდენტულ გემოთა ასეთი გაცვლის გარეშე ერთგულ სამსახურს აზრი არა აქვს.

ვედურ ლიტერატურაში („კათჰა უპანიშადი“) ნათქვამია, რომ უზენაესი უფალი უმაღლესი ცოცხალი არსებაა ცოცხალ არსებათა შორის. უამრავი ცოცხალი არსება არსებობს, მაგრამ მხოლოდ ერთი ცოცხალი არსება წარმოადგენს ღმრთეების აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. განსხვავება ერთ ცოცხალ არსებასა და მრავალ ცოცხალ არსებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ცოცხალი არსება ყველას უფალია. უფალი ჩაიტანḍა უმაღლესი ცოცხალი არსებაა და იგი ამ ქვეყანაში დაეშვა, რათა ურიცხვი დაცემული ცოცხალი არსება მოეხმო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფალი ჩაიტანḍას მოვლენის განსაკუთრებული მიზანი გახლდათ იმ ვედური ჭეშმარიტების დამტკიცება, რომ არსებობს ერთი ღმრთეების უზენაესი პიროვნება, რომელიც ყველას განაგებს და ურიცხვ პიროვნებას, ცოცხალ არსებებს ასულდგმულებს. რადგან იმპერსონალისტებს (მაḍავაḍებს) ეს არ ესმით, უფალი ჩაიტანḍა თავად მოევლინა, რათა ხალხისათვის უზენაესსა და მრავალ ცოცხალ არსებას შორის არსებული ურთიერთობის ჭეშმარიტი ბუნების შესახებ ცოდნა მიეცა.

„ბჰაგავად-გიტაში“ კრშნას საბოლოო დარიგება ის გახლავთ, რომ თითოეულმა უნდა მიატოვოს ყოველი სხვა საქმიანობა და ერთგულად ემსახუროს მას. მაგრამ კრშნას წასვლის შემდეგ სულელმა ხალხმა ეს არასწორად გაიგო. ისინი შეიბილწნენ მაḍავაḍთა ფილოსოფიით, რამაც იმდენ აზრობრივ სპეკულაციას მისცა დასაბამი, რომ ხალხმა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და ცოცხალი არსების ჭეშმარიტი მდგომარეობა დაივიწყა. ამიტომ უფალი ჩაიტანḍას სახით, თავად უფალი შრი კრშნა კვლავ მოევლინა, რათა ამ მატერიალური სამყაროს დაცემული სულებისთვის უფალ კრშნასთან მიახლოების საშუალება ესწავლებინა. „ბჰაგავად-გიტა“ გვასწავლის, რომ ადამიანმა ყველაფერი უნდა მიატოვოს და გაწყვიტოს ყოველგვარი კავშირი

ამ მატერიალური მიჯაჭვულობის სამყაროსთან. უფალი კრშნას წმინდა ერთგული და უფალი ჩაიტანდას ფილოსოფიის მიმდევარი ერთი და იგივეა. ჩაიტანდას ფილოსოფია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა ყველაფერი უნდა მიატოვოს და ღმერთს, კრშნას ეთაყვანოს. კრშნა როგორც უზენაესი უფალი, ღმრთეების პიროვნება, იგივეს ამბობდა, გვიჩვენებდა რა, რომ იგი უზენაესი უფალია. მაგრამ მაჰავაჰდმა ფილოსოფოსებმა ეს არასწორად გაიგეს. ამიტომ, ვითარების გასარკვევად, უფალმა ჩაიტანდამ უფალი კრშნას ეპისტოლე გაიმეორა: არავინ უნდა განაცხადოს, რომ კრშნას ტოლია, არამედ თაყვანი უნდა სცეს კრშნას, როგორც უზენაეს უფალს.

დიდ შეცდომას დავუშვებთ, თუკი უფალ ჩაიტანდას განპირობებულ სულად ჩავთვლით. უნდა გვესმოდეს, რომ იგი არის უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება, ღმრთეების პიროვნება, თავად შრი კრშნა. ამიტომ „ჩაიტანდა-ჩარიტამრტაში“ უფალი ჩაიტანდას შესახებ ნათქვამია: „ამჟამად კრშნა თავის ხუთ სხვადასხვა სახის გამოვლინებაშია მოსული“. სანამ ცოცხალი არსება შეუბილწავ სათნოებას არ მიაღწევს, ძალიან გაუჭირდება იმის გაგება, რომ უფალი ჩაიტანდა თავად ღმრთეების უზენაესი პიროვნებაა. ამიტომ უფალი ჩაიტანდას გასაგებად, მისი უშუალო მოსწავლეების — ექვსი გოსვამის, განსაკუთრებით კი შრილა ჯივა გოსვამის მიერ მოხაზულ გზას უნდა გავყვეთ.

ყველაზე განსაცვიფრებელი ფაქტი ის გახლავთ, რომ თუმცა უფალი ჩაიტანდა ღმრთეების უზენაესი პიროვნება, კრშნაა, იგი არასოდეს ავლენდა საკუთარ თავს კრშნას სახით. პირიქით, როდესაც გონიერი ერთგულები ხვდებოდნენ, რომ ის უფალი კრშნა იყო და მიმართავდნენ მას, როგორც კრშნას, იგი უარყოფდა ამას. ზოგჯერ ყურებზე ხელებს იფარებდა, რითაც პროტესტს აცხადებდა, რომ

არ შეიძლებოდა მისთვის ღმრთეების უზენაესი პიროვნების წოდება. არაუშუალოდ იგი მაḍავად ფილოსოფოსებს ასწავლიდა, რომ ადამიანმა არ უნდა მოაჩვენოს სხვებს თავი უზენაეს უფლად და ამით ხალხი არ უნდა მოატყუოს. არც მიმდევრები უნდა იყვნენ იმდენად სულელნი, რომ ნებისმიერი ვინმე ღმრთეების უზენაეს პიროვნებად აღიარონ. ადამიანი წმინდა წერილების დახმარებით უნდა დააკვირდეს შესასწავლი პიროვნების მოქმედებებს. მაგრამ უფალი ჩაიტანḍა და მისი ხუთი სხვადასხვა სახის გამოვლინება უბრალო ადამიანებად არ უნდა ჩავთვალოთ. უფალი ჩაიტანḍა თავად ღმრთეების უზენაესი პიროვნება, კრშṇა გახლავთ. უფალი ჩაიტანḍას მშვენიერება იმაში მდგომარეობს, რომ თუმცა უზენაესი უფალია, დიადი ერთგულის სახით მოევლინა, რათა ყოველი განპირობებული სულისთვის ერთგული სამსახურის გაწევა ესწავლებინა. ერთგული სამსახურით დაინტერესებული განპირობებული სულები უფალი ჩაიტანḍას მაგალითს უნდა გაჰყვნენ, რათა ერთგული სამსახურით კრშṇას მიღწევა ისწავლონ. ამრიგად, თავად უზენაესი უფალი ასწავლის განპირობებულ სულებს, როგორ მიუახლოვდნენ მას ერთგული სამსახურით.

უზენაესი უფლის ხუთი განსხვავებული გამოვლინების ანალიტიკურ შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ უფალი შრī ჩაიტანḍა მაჰაპრაბჰუ უზენაესი აბსოლუტია და რომ უფალი ნიტḍანანდა უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების უშუალო ექსპანსიას წარმოადგენს. ვხვდებით აგრეთვე, რომ ადვაიტა პრაბჰუც ღმრთეების უზენაესი პიროვნების კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ უფალ ჩაიტანḍასა და ნიტḍანანდა პრაბჰუს ექვემდებარება. ღმრთეების უზენაეს პიროვნებას და უშუალოდ მასზე დაქვემდებარებულ ექსპანსიებს დანარჩენი ორნი — სახელდობრ, შინაგანი ენერგიის წარმომადგენელი და მოსაზღვრე ენ-

ერგიის წარმომადგენელი სცემენ თაყვანს. შინაგანი პოტენციის წარმომადგენელი, გადაჯდჰარა, ინტიმურ ერთგულს განასახიერებს, მოსაზღვრე პოტენციის წარმომადგენელი კი წმინდა ერთგული გახლავთ. ორივენი დანარჩენი სამი კატეგორიის თაყვანისმცემლები არიან, მაგრამ თითოეული მათგანი ღმრთეების უზენაესი პიროვნების, შრი ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს ტრანსცენდენტული სამსახურით არის დაკავებული.

ინტიმურ ერთგულსა და წმინდა ერთგულს შორის განსაკუთრებული განსხვავება არსებობს. უზენაესი უფლის სხვადასხვა პოტენციები სხვადასხვა ტრანსცენდენტულ ურთიერთობებში სამსახურით არიან დაკავებულნი, როგორიც არის სატრფიალო სიყვარული, მშობლიური სიყვარული, მეგობრობა და მსახურება. მიუკერძოებელი განსჯის საფუძველზე ვხვდებით, რომ უფალთან სატრფიალო სიყვარულით დაკავებული უზენაესი უფლის შინაგანი პოტენციები საუკეთესო ერთგულებს წარმოადგენენ. ამრიგად, შინაგან ერთგულებსაც და ინტიმურ ერთგულებსაც უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების სატრფიალო სიყვარული იზიდავთ. ისინი უფალი ჩაიტანდას ყველაზე ინტიმური ერთგულები არიან. დანარჩენ წმინდა ერთგულებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ნიტდანანდა პრაბჰუსა და ადვაიტა პრაბჰუს არიან მიჯაჭვულნი, სხვა ტრანსცენდენტული ურთიერთობები იზიდავთ, როგორიცაა მშობლიური სიყვარული, მეგობრობა და მსახურება. უფალი ჩაიტანდას საქმიანობებზე მიჯაჭვისთანავე ასეთი ერთგულები ინტიმური ერთგულები ხდებიან, რომელთაც უზენაეს უფალთან სატრფიალო სიყვარული აკავშირებთ.

უფალი ჩაიტანდას მოწაფეობრივი თანმიმდევრობის დიად ერთგულსა და *ეჩარდას*, შრი ნაროტტამა დასა ფჰაკურას აქვს მშვენიერი სიმღერა. ნაროტტამა დასა მღერის: „როდის დამივლის ტანზე ტრანსცენდენტული

ჟრუანტელი უბრალოდ უფალი გაურᲜ̆ᲒᲐᲡ სახელის გაგონებაზე? როდის წამსკდება ცრემლთა უწყვეტი ნაკადი უბრალოდ უფლის სახელთა გალობისას? როდის მომფენს წყალობას უფალი ნიტᲫᲐᲜᲜᲐᲜᲓᲐ და მთლიანად როდის გამიქრება მატერიალური სიამოვნების სურვილები? როდის განვიწმინდები მატერიალურ სიამოვნებათა სიბინძურისაგან? და როდის ვიხილავ ტრანსცენდენტულ სავანეს, ვრᲜ̆ᲓᲐᲕᲐᲜᲡ? როდის გამიჩნდება წყურვილი ექვსი გოსვᲐ̆ᲛᲘ ჩემს მთავარ წინამძღვრებად ვაღიარო? და როდის გავიგებ კრᲨ̆ᲜᲐᲡ სატრფიალო სიყვარულს?“ ვრᲜ̆ᲓᲐᲕᲐᲜᲘᲡ ექვსი გოსვᲐ̆ᲛᲘᲡ ხელმძღვანელობით მოწაფეობრივი წვრთნის გავლის გარეშე კრᲨ̆ᲜᲐᲡ სატრფიალო სიყვარულის გაგება არავის უნდა სურდეს.

უფალი ჩაიტანდას მიერ დაწყებული მოძრაობა *სანᲚ̆ᲚᲘᲠᲢᲐᲜᲐ* უფლის ტრანსცენდენტულ გართობას წარმოადგენს. „ამით ერთსა და იმავე დროს ვიქადაგებ და გავავრცელებ ამ მოძრაობას მატერიალურ სამყაროში“. უფალი ჩაიტანდას ამ *სანᲚ̆ᲚᲘᲠᲢᲐᲜᲘᲡ* მოძრაობაში ნიტᲫᲐᲜᲜᲐᲜᲓᲐ და ადვაიტა ექსპანსიები არიან, გადᲐ̆ᲓᲰᲐᲠᲐ და ᲨᲠᲘᲕᲐ̆ᲡᲐ კი — მისი შინაგანი და მოსაზღვრე პოტენციები. ცოცხალ არსებებსაც მოსაზღვრე პოტენცია ეწოდებათ, რადგან პოტენციურად ორი მიდრეკილება გააჩნიათ, კერძოდ, კრᲨ̆ᲜᲐᲡᲐᲓᲛᲘ მინდობისა და მისგან დამოუკიდებლად გახდომის ტენდენცია. მატერიალური სიამოვნებისადმი მიდრეკილების გამო ცოცხალი არსება მატერიალურ სამყაროში იბილწება. როდესაც ცოცხალ არსებაზე მატერიალური სიამოვნების სურვილი ბატონობს, მატერიალურ ცხოვრებაში გახლართული იგი მატერიალური ყოფიერების სამგვარი ტანჯვების გავლენის ქვეშ ექცევა. იგი მიწაში ჩათესილ თესლს ჰგავს. თუკი თესლს ზედმეტ წყალს დავასხამთ, არ გაიხარებს. სწორედ ასევე, ადამიანს მატერიალური სიამოვნება რომც ატყვევებდეს და ამის თესლი განპირობებული სულის გულშიც რომ იყოს, ღმერთის

სიყვარულში გაწეული ტრანსცენდენტული საქმიანობების წყალდიდობას მისი ჩაძირვა მაინც შეუძლია. მაშინ მატერიალური სიამოვნების გაუხარელი თესლი მატერიალური ყოფიერების განპირობებულ სიცოცხლეში გადაზრდას ვერ შეძლებს. განპირობებული სულები მატერიალურ სამყაროში, განსაკუთრებით კი ამჟამინდელ კალის ეპოქაში, უფალი ჩაიტანიას და მისი თანამგზავრების მიერ წამოწყებულ ღმერთის სიყვარულის მორევში არიან ჩაძირულნი.

ამასთან დაკავშირებით მისი უწმინდესობის, პრაბოდჰანანდა სარასვატის წიგნში „შრი ჩაიტანია-ჩანდრამრტა" არის ლექსი, სადაც ნათქვამია, რომ მატერიალისტები დიდად მოწადინებულნი არიან, თავიანთი ოჯახის წევრების, ცოლისა და შვილების რჩენას და რომ მრავალი მისტიკოსი სპეკულატორიც არსებობს, მატერიალური სიცოცხლის ტანჯვებიდან განთავისუფლებაზე რომ მსჯელობს და ამიტომაც ათასგვარ ასკეზებსა და ეპითიმიებს გადის. მაგრამ მათ, ვინც უდიდეს ტრანსცენდენტულ სურნელს მიაგნეს უფალი ჩაიტანია მაჰაპრაბჰუს მოძრაობაში, აღარ იზიდავთ ასეთი საქმიანობები.

მათ, ვისაც ჰგონიათ, რომ ღმრთეების უზენაეს პიროვნებასა და მის ერთგულ სამსახურს მატერიალური სიბინძურე ეხება, მაგავადები ეწოდებათ. მათი არასრულყოფილი სპეკულაციის თანახმად, კოსმოსურ გამოვლინებაში ერთადერთ ყოფიერებად ითვლება უპიროვნო ბრაჰმანი. რაც შეეხება ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, ისინი თვლიან, რომ მისი პიროვნება *მაგას*, ანუ გარეგანი მატერიალური ენერგიისაგან აღმოცენდება. ასეთ პიროვნებებს უზენაესი უფლის ყოველი ინკარნაცია მატერიალური ბუნებით გაბინძურებული ჰგონიათ. მათი აზრით, მატერიალური სხეული და მატერიის ქმედებები, რომლებიც ცოცხალი არსების გაიგივებას იწვევს, მატერიალურ გამოვლინებებს წარმოადგენს. მათი აზრით, განთავისუფლება

ინდივიდუალობის, ანუ წმინდა ცოცხალი არსების დასასრულს ნიშნავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაჰაკვადები ამტკიცებენ, რომ განთავისუფლების შემდეგ ცოცხალი არსება უპიროვნო ბრაჰმანს უერთდება. ასეთი მაჰაკვადი ფილოსოფოსების აზრით, ღმრთეების პიროვნება, მისი სავანე, მის ერთგული სამსახური და მისი ემოციური ერთგულები — ყველანი *მაჰათი* არიან მოჯადოებულნი და ამიტომ მატერიალურ პირობებს ექვემდებარებიან. ისინი, ვინც ივიწყებენ უზენაესი უფლის ტრანსცენდენტულ ბუნებას, მის სავანეს, მის ერთგულ სამსახურსა და მის ერთგულებს, ყოველივე ამას მატერიალური საქმიანობის გამოვლინებად თვლიან. როდესაც ადამიანი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ტრანსცენდენციის შესახებ კამათი, მას აგნოსტიკოსი ეწოდება, ხოლო როდესაც ფიქრობს, რომ შესაძლებელია ტრანსცენდენციის კრიტიკა, მას ათეისტი ჰქვია. უფალ ჩაიტანდას მთელი აგნოსტიკოსების, ათეისტების, სკეპტიკოსებისა და ურწმუნოების მიღება და მათი ღმერთის სიყვარულის წარღვნით წალეკვა სურდა. ამიტომ, მათ მისაზიდად, განდეგილის ცხოვრების წესი მიიღო.

უფალი ჩაიტანდა ოცდაოთხი წელი დარჩა მეოჯახედ და ცხოვრების ოცდამეხუთე წელს განდეგილი გახდა. განდეგილის ცხოვრების წესის (*სანნდასას*) მიღების შემდეგ მან მრავალი სხვა *სანნდასი* მიიზიდა. როდესაც მეოჯახედ ყოფნისას *სანკირტანას* მოძრაობას ავრცელებდა, მრავალი მაჰაკვადი *სანნდასი* სერიოზულად არ ღებულობდა მის მოძრაობას, მაგრამ *სანნდასად* გახდომის შემდეგ უფალმა გაანთავისუფლა სპეკულაციური ფილოსოფიის შემსწავლელები, ათეისტები და ისინი, ვინც კარმიულ საქმიანობებსა და უსარგებლო კრიტიკას ეწეოდნენ. უფალი იმდენად კეთილი იყო, რომ ეს ხალხი მიიღო და მისცა ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: ღმერთის სიყვარული.

იმისათვის, რომ შეესრულებინა თავისი მისია — განპირობებული სულებისთვის ღმერთის სიყვარული მიენიჭებინა, ღმერთის სიყვარულის არმქონე ხალხის მისაზიდად უფალმა ჩაიტანდამ მრავალი ხერხი მოიგონა. განდეგილის ცხოვრების წესის მიღების შემდეგ მთელი აგნოსტიკოსები, კრიტიკოსები, ათეისტები და სპეკულაციური მოაზროვნეები მისი მოწაფეები და მიმდევრები გახდნენ. უფალ ჩაიტანდას უმაღლეს მოძღვრად აღიარებდა მრავალი ისეთი პირიც, რომელიც ინდუისტი არ იყო და ვედურ პრინციპებს არ მიჰყვებოდა. შრī ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს წყალობა აირიდეს მხოლოდ იმ *სანნდასებმა*, რომლებიც ბენარესის მაადავადī ფილოსოფოსების სახელით იყვნენ ცნობილნი. ამ მაადავადī ფილოსოფოსების საკალალო მდგომარეობა შრī ბჰაკტისიდდჰანტა სარასვატī გოსვამīმ ასე აღწერა: „ბენარესელი მაადავადī ფილოსოფოსები ნაკლებად გონიერნი იყვნენ, რადგან ყველაფრის უშუალო აღქმით გაზომვა სურდათ. მაგრამ ყველაფერი, რასაც აღვიქვამთ, მატერიალური გრძნობებით აღიქმება. აბსოლუტური ჭეშმარიტება ტრანსცენდენციაა, მაგრამ, მათი აზრით, ტრანსცენდენციაში მრავალფეროვნება არ არსებობს, რადგან ამბობენ, ყველაფერი, რასაც მრავალფეროვნება ახასიათებს, *მაადს* წარმოადგენსო“.

ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს დროს სარანგათჰას მაადავად ფილოსოფოსებად წოდებული სხვა იმპერსონალისტი ფილოსოფოსებიც იყვნენ. სარანგათჰა ბენარესთან ახლოს მდებარე ადგილია, სადაც ბუდისტი ფილოსოფოსები ცხოვრობდნენ და იქ დღესაც კი ბუდისტ მაადავადთა მრავალი *სტუპა* გვხვდება. სარანგათჰას მაადავადī *სანნდასები* განსხვავდებიან იმპერსონალისტებისაგან, რომელთაც ბრაჰმანის უპიროვნო გამოვლინების სწამთ. სარანგათჰას ფილოსოფოსთა აზრით, სულიერი ყოფიერება საერთოდ არ არსებობს. ფაქტია, რომ ბენარესელი მაადავადī ფილოსოფოსებიცა და სარანგათჰელი ფილოსოფოსებიც მატერიალუ-

რი ბუნების ხაფანგში არიან მოქცეულნი. სინამდვილეში აბსოლუტური ტრანსცენდენციის ბუნება არც ერთმა მათგანმა არ იცის. თუმცა ზედაპირულად აღიარებენ ვედურ პრინციპებს და საკუთარ თავს ტრანსცენდენტალისტებად თვლიან, ბენარესელი ფილოსოფოსები არ ცნობენ სულიერ მრავალფეროვნებას. რადგან მათ ერთგული სამსახურის შესახებ არაფერი გაეგებათ, ჰქვიათ არაერთგულები, ანუ უფალი კრშნას ერთგული სამსახურის მოწინააღმდეგეები.

იმპერსონალისტები ღმრთეების უზენაესი პიროვნებისა და მისი ერთგულების შესახებ სპეკულაციებს ეწევიან და უშუალო აღქმით ლამობენ მათ გამოკვლევას. მაგრამ უფალი, მისი ერთგული და მისი ერთგული სამსახური უშუალო აღქმას არ ექვემდებარებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაჲავადების ფილოსოფიისთვის უცნობია სულიერი მრავალფეროვნება; ამიტომ მთელი მაჲავადი ფილოსოფოსები და *სანნჲასები* აკრიტიკებდნენ უფალ ჩაიტანდას, როდესაც იგი თავის *სანკირტანა* მოძრაობას ეწეოდა. მათ უკვირდათ, რომ უფალმა ჩაიტანდამ *სანნჲასა* კეშავა ბჰარატისგან მიიღო, რადგან კეშავა ბჰარატი მაჲავადი *სანნჲასების* სკოლის წარმომადგენელი იყო. ამიტომ, რაკი უფალი ჩაიტანდა მაჲავადების სექტას მიეკუთვნებოდა, მაჲავადებს უკვირდათ, რომ ჩვეულებისამებრ „ვედანტას“ მოსმენის ან კითხვის ნაცვლად იგი ცეკვავდა და გალობდა. მაჲავად ფილოსოფოსებს ძალიან უყვართ „ვედანტა“ და ისინი მის არასწორ ინტერპრეტაციას იძლევიან. თავიანთი მდგომარეობის გაგების ნაცვლად, ისინი აკრიტიკებდნენ უფალ ჩაიტანდას, როგორც არაავტორიტეტულ *სანნჲასის* და ამბობდნენ, რომ რადგან სენტიმენტალისტი იყო, ჭეშმარიტი *სანნჲასი* ვერ იქნებოდა.

როდესაც უფალი ჩაიტანდა ბენარესში იმყოფებოდა, ეს კრიტიკა მის ყურამდე მივიდა, მაგრამ სრულიადაც არ

გაკვირვებია. როდესაც ეს ამბავი შეატყობინეს, გაეღიმა კიდეც. იგი არ ამყარებდა კავშირს მაჲაკაᲡდ *სანნდაᲡებთან*, არამედ მარტო რჩებოდა და თავის მისიას ასრულებდა. მან ბენარესში რამოდენიმე დღე დაჰყო და შემდეგ მათჰურაᲡს გაეშურა.

თავი მეთვრამეტე

საუბრები პრაკაშანანდასთან

მაჰავადი *სანნიასების* პრინციპების თანახმად, სიმღერა, ცეკვა და მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა ცოდვად ითვლება, ამიტომ ეს სასტიკად აკრძალულია. მაჰავადი *სანნიასმა* წესით *ვედანტა* უნდა შეისწავლოს მხოლოდ. ამიტომ, როდესაც ბენარესში მაჰავადმა *სანნიასებმა* იხილეს, რომ უფალი ჩაიტანია მღეროდა, ცეკვავდა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავდა და მუდამ გალობდა ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს, დაასკვნეს, რომ იგი სრულიად გაუნათლებელი იყო და, სენტიმენტალიზმის გამო, შეცდომაში შეჰყავდა თავისი მიმდევრები. შანკარაჩარიას დანაწესი იმაში მდგომარეობდა, რომ *სანნიასი* მუდამ *ვედანტას* უნდა სწავლობდეს და მხოლოდ ერთი ხელი ტანსაცმლით იყოს კმაყოფილი. რადგან უფალი ჩაიტანია გარეგნულად არც *ვედანტას* სწავლობდა და განუწყვეტლივ მღეროდა და ცეკვავდა, მას ბენარესის მთელი *სანნიასები* და მათი მეოჯახე მიმდევრებიც აკრიტიკებდნენ.

როდესაც უფალმა ჩაიტანიამ შეიტყო, რომ მას და მის მოწაფეებს კილავდნენ, უბრალოდ გაელიმა და მათჰურაჯასა და ვრნდავანში გაემგზავრა. მათჰურადან ჯაგანათჰა

პურიში სვლისას იგი ბენარესში დაბრუნდა და გაჩერდა ჩანდრაშექჰარას სახლში, რომელიც შუდრად ითვლებოდა, რადგან მოხელე იყო. მიუხედავად ამისა, უფალი ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუ მის სახლში გაჩერდა. უფალი ჩაიტანდა არ ანსხვავებდა *ბრაჰმანებსა* და *შუდრებს*; ღებულობდა ყველას, ვინც კი ერთგული იყო. წესია, რომ *სანნიასინმ ბრაჰმანის* სახლს უნდა შეაფაროს თავი და იქ ჭამოს, მაგრამ ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუმ, როგორც ღმრთეების დამოუკიდებელმა უზენაესმა პიროვნებამ, კეთილგონიერება გამოიჩინა და გადაწყვიტა ჩანდრაშექჰარას სახლში დარჩენილიყო.

იმ დროისათვის, თავიანთი ბრაჰმანული წარმოშობის არამართებულად გამოყენების გამო, *ბრაჰმანებმა* გამოსცეს კანონი, რომ ვინც კი *ბრაჰმანის* ოჯახში არ იყო დაბადებული, *შუდრად* ითვლებოდა. ამიტომ *კშატრიიებიცა* და *ვაიდიებიც შუდრებად* ითვლებოდნენ. რადგან *ვაიდიები ბრაჰმანი* მამებისა და *შუდრა* დედების შთამომავლები იყვნენ, ზოგჯერ მათ *შუდრები* ერქვათ. ამრიგად, ჩანდრაშექჰარა აჩარიას, რომელიც *ვაიდიას* ოჯახში იყო შობილი, ბენარესში მაინც *შუდრას* უწოდებდნენ. ბენარესში ყოფნისას უფალი ჩაიტანდა ჩანდრაშექჰარას სახლში გაჩერდა და საჭმელს ტაპანამიშრას სახლში მიირთმევდა.

ბენარესში უფალ ჩაიტანდასთან შეხვედრის შემდეგ სანატანა გოსვამიმ ორი თვის განმავლობაში განუწყვეტელი სწავლების შედეგად აითვისა ერთგული სამსახურის პროცესი და პრინციპები. სანატანა გოსვამისადმი უფალი ჩაიტანდას მიერ მიცემული დარიგებები ამ წიგნის პირველ ნაწილში განვიხილეთ. ამ დარიგებათა მიღების შემდეგ, სანატანა გოსვამი უფლებამოსილი გახდა გაევრცელებინა ერთგული სამსახურისა და „შრიმად-ბჰაგავატამის“ პრინციპები. სწორედ ამ დროს ტაპანამიშრა და ჩანდრაშექჰარა აჩარიაა დიდად დამწუხრებულნი იყვნენ უფალი ჩაიტა-

ნდა მაჰპრაბჰუს ასეთი კრიტიკის გამო. ისინი უფალთან მივიდნენ და შეევედრენ, შეხვედროდა მაჯავადი *სანნდასებს*.

„ჩვენ გულს გვიკლავს მაჯავადი *სანნდასების* მიერ შენი კრიტიკა“, — უთხრეს მათ უფალ ჩაიტანდას. „ამის ატანა აღარ შეგვიძლია“. მათ სთხოვეს უფალს, რაიმე მოემოქმედა ამ კრიტიკის შესაჩერებლად. როდესაც ისინი ამ საკითხზე საუბრობდნენ, უფალ ჩაიტანდასთან ერთი *ბრაჰმანი* მოვიდა და სახლში მიიპატიჟა. ჩაიტანდა მაჰპრაბჰუს გარდა მთელი *სანნდასები* მოეწვიათ და ახლა *ბრაჰმანი* მის დასაპატიჟებლადაც მოვიდა. იცოდა რა, რომ უფალი არ ურთიერთობდა მაჯავადი *სანნდასებთან*, *ბრაჰმანი* მიწაზე დაემხო ჩაიტანდა მაჰპრაბჰუს ტერფებთან და სთხოვა: „მე ვიცი, რომ მოწვევებს არ ღებულობ, მაგრამ მაინც გთხოვ, წამოდი და ჩემს სახლში სხვა *სანნდასებთან* ერთად მიირთვი *პრასადი*. თუკი მოწვევაზე დამთანხმდები, ამას განსაკუთრებულ წყალობად ჩავთვლი“.

უფალმა ისარგებლა ამ შემთხვევით და მიიღო *ბრაჰმანის* მოწვევა, რათა მაჯავადი *სანნდასებს* შეხვედროდა. სინამდვილეში ეს ყველაფერი თავად უფლის მიერ იყო მოწყობილი. თუმცა მასპინძელმა *ბრაჰმანმა* იცოდა, რომ უფალი არავითარ მოწვევას არ იღებდა, მაინც ძალიან სურდა მისი დაპატიჟება.

მომდევნო დღეს უფალი ჩაიტანდა *ბრაჰმანის* სახლისკენ გაეშურა და იხილა, რომ იქ მთელი *სანნდასები* შეკრებილიყვნენ. ჩვეულებისამებრ, თაყვანი სცა *სანნდასებს* და ტერფების დასაბანად წავიდა. დაბანის შემდეგ, იგი *სანნდასებისგან* ოდნავ მოშორებით ფეხის საბან აუზთან დაჯდა. როდესაც იქ იჯდა, *სანნდასებმა* დაინახეს, რომ მისი სხეული თვალისმომჭრელად კაშკაშებდა. ამ თვალისმომჭრელი სიკაშკაშით მოხიბლული მაჯავადი *სანნდასები* ფეხზე წამოდგნენ და პატივისცემა გამოხატეს. მათ

შორის იყო ერთი *სანნიასი*, სახელად პრაკაშანანდა სარასვატი. იგი იმპერსონალისტი *სანნიასების* მეთაური გახლდათ და დიდი მოკრძალებით სთხოვა უფალ ჩაიტანიას, მათ შორის დამჯდარიყო.

— ჩემო ძვირფასო ბატონო, რატომ ზიხარ ბინძურ ადგილას? — იკითხა მან. — გთხოვ, ჩვენთან დაბრძანდი.

— მე *სანნიასების* დაბალ სექტას მივეკუთვნები, — უპასუხა უფალმა ჩაიტანიამ. — ამიტომ თქვენთან ჯდომის ღირსი არა ვარ. ნება მიბოძეთ, აქ დავრჩე.

პრაკაშანანდას გაუკვირდა ასეთი სწავლული ადამიანისგან ამის მოსმენა, ხელი მოჰკიდა უფალს და სთხოვა, მასთან ერთად დამჯდარიყო. როდესაც საბოლოოდ უფალი ჩაიტანია მათ შორის დაჯდა, პრაკაშანანდა სარასვატიმ თქვა: „მე მგონი, შენი სახელია შრი კრშნა ჩაიტანია და ვხედავ, რომ მაიავადების სექტას მიეკუთვნები, რადგან *სანნიასა* კეშავა ბჰარატისგან მიგიღია, რომელიც შანკარაჩარიას *სამპრადაიას* მიეკუთვნება“.

შანკარას სექტის მიხედვით, *სანნიასის* ათი სახელი არსებობს. მათგან სამი — ტირთჰა, აშრამა და სარასვატი — ეძლევათ *სანნიასებს*, რომლებიც ყველაზე გასხივოსნებულად და დახვეწილებად ითვლებიან. რადგან უფალი ჩაიტანია ვაიშნავი იყო, ბუნებით თავმდაბალი და მოკრძალებული გახლდათ და სურდა უკეთესი დასაჯდომი ადგილი პრაკაშანანდასთვის დაეთმო, რომელიც სარასვატის *სამპრადაიას* მიეკუთვნებოდა. შანკარას პრინციპების თანახმად, ბჰარატის სკოლის *ბრაჰმაჩარის* სახელი ჩაიტანია ეძლევა. მაგრამ თუმცა *სანნიასა* მიიღო, შრი კრშნა ჩაიტანია მაჰაპრაბჰუმ, თავისი *ბრაჰმაჩარული* სახელი დაიტოვა და არ მიიღო ბჰარატის წოდება.

— კარგი, ბატონო ჩემო, — გააგრძელა პრაკაშანანდა სარასვატიმ, — შენ ჩვენს შანკარას სექტას მიეკუთვნები და ბენარესში ცხოვრობ — რატომ არ მოდიხარ ჩვენთან?

რა არის ამის მიზეზი? და კიდევ ერთი რამ — შენ *სანნḍაპსრ̄* ხარ და შენი ვალია, უბრალოდ *ვედანტა* შეისწავლო, მაგრამ ამის ნაცვლად მუდამ გალობ, ცეკვავ და მუსიკას უკრავ. რა არის ამის მიზეზი? ეს ემოციური და სენტიმენტალური ხალხის საქმეა, მაგრამ შენ ღირსეული *სანნḍპსრ̄* ხარ. რატომ არ სწავლობ *ვედანტას*? შენი სიკაშკაშის გამო, ვფიქრობთ, რომ უზენაეს ნარāḍას, ღმრთეების პიროვნებას ჰგავხარ, მაგრამ შენი საქციელი სხვა რამეზე მეტყველებს. ამიტომაც გეკითხებით, რატომ იქცევი ასე?

— ჩემო ძვირფასო ბატონო, ჩემი სულიერი მოძღვარი დიდ სულელად მთვლიდა, — მიუგო უფალმა ჩაიტანḍამ. — ამიტომ, რამენაირად რომ დავესაჯე მითხრა, რომ რადგან სულელი ვარ, *ვედანტას* შესწავლის უნარი არ შემწევს. ამის ნაცვლად მან ჰარე კრ̄შṇა, ჰარე კრ̄შṇა, კრ̄შṇა კრ̄შṇა, ჰარე ჰარე / ჰარე რāმა, ჰარე რāმა, რāმა რāმა, ჰარე ჰარეს გალობა მასწავლა. ჩემმა სულიერმა მოძღვარმა მითხრა: „უბრალოდ იგალობე ეს ჰარე კრ̄შṇა *მანტრა;* იგი მთელ სრულყოფილებას მოგიტანს.

სინამდვილეში უფალი ჩაიტანḍა არც სულელია და არც *ვედანტას* პრინციპებში გაურკვეველი. მისი მიზანი იყო, ეჩვენებინა თანამედროვე საზოგადოებისთვის, რომ სულელებმა, რომელთაც წარსულში არავითარი ეპითიმიები და ასკეზები არ გაუვლიათ, უბრალოდ თავშექცევის მიზნით არ უნდა სცადონ *ვედანტას* შესწავლა. თავის „შიკშāშṭაკაში“ უფალმა ჩაიტანḍამ თქვა, რომ ადამიანს მორჩილი გონება უნდა ჰქონდეს, საკუთარი თავი ქუჩაში დაგდებულ ბალახზე მდაბლად ჩათვალოს, ხეზე მომთმენი და პრესტიჟის ყოველგვარ შეგრძნებას მოკლებული უნდა იყოს და მზად იყოს, ყოველმხრივ პატივი სცეს სხვებს. ასეთი ცნობიერებით მას შეუძლია განუწყვეტლივ იგალობოს *ვედანტას* ფილოსოფია ან ღმერთის წმინდა სახელი. უფალს იმის სწავლებაც სურდა, რომ ტრანსცენდენტული მეცნიერების სერიოზული მოსწავლე თავისი სულიერი მოძღვრის სიტყვებს უნდა გაჰყვეს. თავისი სულიერი

მოძღვრის თვალში უფალი ჩაიტანდა სულელი ჩანდა; ამიტომ უთხრა, არ შეესწავლა *ვედანტა*, არამედ ჰარე კრშნა *მანტრა* ეგალობა. უფალი ჩაიტანდა უსიტყვოდ დაემორჩილა მის ბრძანებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, უფალმა ჩაიტანდამ უჩვენა მაგალითებს, რომ ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის სიტყვებს მკაცრად უნდა გავყვეთ. მათი გაყოლით ადამიანი ყოველმხრივ სრულყოფილი გახდება.

„ვედანტა“ გვიჩვენებს, რომ ვედური ცოდნის არსი კრშნას გაგებაა. *ვედაიშ ჩა სარვაირ აჰამ ევა ვედიო ვედანტა-კრდ ვედა-ვიდ ევა ჩაჰამ:* „მთელი *ვედების* შესწავლის მიზანი ჩემს შეცნობაში მდგომაროებს; სინამდვილეში, მე ვარ „ვედანტას“ შემდგენელი და მე ვარ *ვედების* მცოდნე“ (ბ.გ. 15.7). როდესაც ადამიანი ჭეშმარიტად ხვდება *ვედანტას*, იგი შეიცნობს კრშნას და თავის ურთიერთობას კრშნასთან. ვისაც კრშნა ესმის, ყველაფერი ესმის. კრშნას მცოდნე მუდამ კრშნას ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურითაა დაკავებული. ამას თავად უფალი ადასტურებს „ბჰაგავად-გიტაში“:

აჰამ სარვასია პრაბჰავო
მატტაჰ სარვამ პრავარტატე
იტი მატვა ბჰაჯანტე მამ
ბუდჰა ბჰავა-სამანვიტაჰ

„მე ვარ ყოველი სულიერი და მატერიალური სამყაროების დასაბამი. ყველაფერი ჩემგან მომდინარეობს. ბრძენები, რომელთაც ეს სრულყოფილად იციან, ჩემს ერთგულ სამსახურს ეწევიან და მთელი გულით მცემენ თაყვანს“ (ბ.გ. 10.8).

ცოცხალი არსება მარადიულად დაკავშირებულია კრშნასთან ბატონისა და მსახურის ურთიერთობით. უნდა გვესმოდეს, რომ თუ ადამიანი არ ეწევა ამ სამსახურს — ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ცოცხალი არსება კრშნას ცნობიერებაში არ იმყოფება — *ვედანტას*

შესწავლა საკმარისი არ არის. როდესაც ადამიანს არ ესმის კრშნა ან მის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურს არ ეწევა, გასაგები უნდა იყოს, რომ იგი ეწინააღმდეგება *ვედანტას* შესწავლას და ღმრთეების უზენაესი პიროვნების გაგებას. ყველა უფალი ჩაიტანდას მიერ ნაჩვენებ *ვედანტას* შესწავლის გზას უნდა გაჰყვეს. ადამიანი, რომელიც ეგრეთ წოდებული აკადემიური განათლებითაა გაყოყოჩებული და არავითარი თავმდაბლობა არ გააჩნია, არ ეძებს ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის მფარველობას. იგი თვლის, რომ სულიერი მოძღვარი არ ესაჭიროება და საკუთარი ძალისხმევით შეუძლია უმაღლესი სრულყოფილების მიღწევა. ასეთი პიროვნებები არ გამოდგებიან „ვედანტა-სუტრას“ შესასწავლად. მატერიალური ენერგიით მოჯადოებულნი არ მიჰყვებიან მოწაფეობრივი თანმიმდევრობის სწავლებებს, არამედ საკუთარი რამის გამოგონებას ცდილობენ და ამით გამოდიან *ვედანტას* შესწავლის სფეროდან. ჭეშმარიტმა სულიერმა მოძღვარმა ყოველთვის უნდა გაკიცხოს ასეთი თვითნებური სპეკულაციური მოაზროვნეები. თუკი ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი უშუალოდ მიუთითებს მოწაფეს მის სისულელეზე, ეს სწორად უნდა იქნას გაგებული.

ღმერთის მეცნიერებაში სრულიად გაუთვითცნობიერებელი ადამიანი მცოდნედ არ უნდა ჩავთვალოთ. ყველა, ვინც კი კრშნას ცნობიერებაში არ იმყოფება, მეტ-ნაკლებად სულელია. ზოგჯერ სისულელეს ვიჩენთ და ვაღიარებთ მას, ვისაც სრულიად არა აქვს მიღებული სულიერი მოძღვრის განათლება. ჩვენი ვალია, გავიგოთ ღმრთეების უზენაესი პიროვნება, ვისი ლოტოსის ტერფების თაყვანისცემასაც მთელი *ვედები* გვასწავლის. ვისაც უფალი არ ესმის და „ვედანტას“ არასწორი გაგება ეამაყება, სინამდვილეში სულელია. აკადემიური ცოდნის შეძენის საერო მცდელობები სისულელის კიდევ ერთი სახეა მხოლოდ.

სანამ კაცს არ ესმის, რომ კოსმოსური გამოვლინება მატერიალური ბუნების სამი მოდუსის ერთობლიობას წარმოადგენს, უნდა ჩაითვალოს, რომ იგი უგონობის წყვდიადში იმყოფება და ამ მატერიალური სამყაროს ორმაგობით არის დატყვევებული. ის, ვისაც *ვედანტას* სრულყოფილი ცოდნა აქვს, მსახური ხდება უზენაესი უფლისა, რომელიც მთელი კოსმოსური გამოვლინების მპყრობელი და მასულდგმულებელია. შეზღუდული სამსახურის გადაულახავად ადამიანი *ვედანტას* ცოდნას ვერ შეიძენს.

სანამ ადამიანი კარმიული საქმიანობების შეზღუდულ განმგებლობაში იმყოფება ან მენთალური სპეკულაციით არის დაკავებული, იქნებ შეძლოს „ვედანტა-სუტრას" თეორიული ცოდნის ათვისება ან სხვებისათვის სწავლება, მაგრამ ვერ გაიგებს უმაღლეს, მარადიულ, ტრანსცენდენტულ (სრულიად განთავისუფლებულ) ვიბრაციას: ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე. მას, ვინც ტრანსცენდენტული ჰარე კრშნას ვიბრაციის გალობაში მიაღწია სრულყოფილებას, არ სჭირდება ცალკე „ვედანტა-სუტრას" ფილოსოფიის შესწავლა. ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის, ჩაიტანიჲა მაჰაპრაბჰუს სწავლებათა თანახმად, ისინი, ვისაც არ ესმით, რომ ტრანსცენდენტული ვიბრაცია უზენაესისგან არ განსხვავდება და ვინც ცდილობენ მაჲავადი ფილოსოფოსები ან „ვედანტა-სუტრას" მცოდნეები გახდნენ, სულელები არიან. საკუთარი ძალისხმევით „ვედანტა-სუტრას" შესწავლა (ცოდნის მიღების აღმავალი პროცესი) სისულელის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს. მაგრამ ის, ვინც ტრანსცენდენტული ვიბრაციის გალობის გემო გაიგო, ჭეშმარიტად გებულობს „ვედანტას" დასკვნას. ამასთან დაკავშირებით „შრიმად-ბჰაგავატამში" მეტად ჭკუისსასწავლებელია ორი ლექსი. პირველის შინაარსი ის გახლავთ, რომ თუკი დაბალი კასტის ადამია-

ნი ტრანსცენდენტულ ვიბრაციას გალობს, უნდა გვესმოდეს, რომ მან ყოველი სახის განდეგილობა, ასკეზა და მსხვერპლშეწირვა შეასრულა და მთელი „ბრაჰმა-სუტრები“ შეისწავლა. ამრიგად მას შეუძლია იგალობოს ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე. მეორე ლექსის შინაარსი კი ისაა, რომ უნდა ჩაითვალოს, რომ მან, ვინც გალობს ორ მარცვალს „ჰა-რი“, უკვე შეისწავლა მთელი *ვედები*: „რგ ვედა“, „ათჰარვა ვედა“, „დაჯურ ვედა“ და „სამა ვედა“.

მეორეს მხრივ, არიან ეგრეთ წოდებული ერთგულები, რომლებიც თვლიან, რომ „ვედანტა“ ერთგულებისთვის არ არის განკუთვნილი. ასეთ ხალხს არ ესმის ის ფაქტი, რომ წმინდა ერთგულები მხოლოდ „ვედანტას“ ეყრდნობიან. ვაიშნავთა ოთხი *სამპრადაჯას* ყოველმა დიადმა *აჩარდამ* დაწერა კომენტარები „ვედანტა-სუტრაზე“, მაგრამ ეგრეთ წოდებული ერთგულები, რომელთაც *პრაკრტა-საჰაჯიდები* ეწოდებათ, ყოველმხრივ არიდებენ თავს „ვედანტა-სუტრას“ შესწავლას. *პრაკრტა-საჰაჯიდები* შეცდომით მიიჩნევენ წმინდა ერთგულებსა და ვაიშნავ *აჩარდებს* სპეკულაციურ მოაზროვნეებად ან კარმიულ მოღვაწეებად. ამიტომ თავად ხდებიან მაჯავადები და ტოვებენ უზენაესი უფლის სამსახურს.

„ვედანტა-სუტრას“ აკადემიური ცოდნის საფუძველზე შესწავლით ადამიანი ვერასოდეს გაიგებს ტრანსცენდენტული ბგერის ფასს. აკადემიურ ცოდნაში გახლართული ადამიანები განპირობებული სულები არიან, რომლებიც სრულიად აცდნენ გზას და არ ესმით მნიშვნელობა სიტყვებისა „მე“, „ჩემთვის“ და „ჩემი“. ამიტომაც არ შეუძლიათ თავიანთი ჭკუის გარეგანი ენერგიისაგან ჩამოცილება. ტრანსცენდენტული ცოდნის ჭეშმარიტად მიღწევის შემდეგ პიროვნება თავისუფლდება ამ ორმაგობისაგან და

უზენაესი უფლის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურს იწყებს. უფლის სამსახური მატერიალური საქმიანობებისგან ჩამოცილების ერთადერთ გზას წარმოადგენს. პიროვნება, რომელიც ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის მიერ ჯეროვნად არის ინიცირებული და ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს გალობს, თანდათანობით თავისუფლდება წარმოდგენებისაგან „მე“ და „ჩემი“ და ერთ-ერთ ტრანსცენდენტულ ურთიერთობაში უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურის მიჯაჭვულობას ივითარებს. ასეთ ტრანსცენდენტულ სამსახურს არაფერი აქვს საერთო უხეშ და ნატიფ სხეულებთან. ადამიანი მხოლოდ მაშინ იმყოფება კრშნას ცნობიერებაში, როდესაც ხვდება, რომ უზენაესსა და მის სახელს შორის განსხვავება არ არსებობს. ამ დროს მას აღარ სჭირდება გრამატიკული შეთანხმებების გამოგონება. პირიქით, მას უფრო აინტერესებს უფლისადმი ლოცვა: „ჰარე კრშნა — ო ჩემო უფალო, ო უფლის ენერგიავ, გთხოვ, დამასაქმე შენს სამსახურში!“

უფალმა ჩაიტანდამ აუხსნა ეს პრაკაშანანდა სარასვატის და უთხრა, რომ ეს ყველაფერი თავისი სულიერი მოძღვრისაგან ჰქონდა მოსმენილი. პრაკაშანანდა სარასვატის ისიც ამცნო, რომ „შრიმად-ბჰაგავატამი“ არის „ვედანტა-სუტრას“ ჭეშმარიტი კომენტარი, რასაც „შრიმად-ბჰაგავატამში“ ვგასადევა, „ვედანტა-სუტრას“ ავტორი აცხადებს.

მოწაფე სრულყოფილად მაშინ ითვლება, როდესაც ესმის, რომ წმინდა სახელი არ განსხვავდება უზენაესი უფლისაგან. სისულელეა თუკი ადამიანი, რომელიც რეალიზებული სულიერი მოძღვრის თავშესაფარში არ იმყოფება, თვლის, რომ რაიმე ესმის უზენაესი უფლის შესახებ. მაგრამ ტრანსცენდენტული უფლის გაგება სამსახურითა

და ერთგულებით შეიძლება. როდესაც უფალმა ჩაიტანიამ შეურაცხყოფების გარეშე იგალობა ჰარე კრ̣შ̣ნა *მანტრა*, განაცხადა, რომ *მანტრას* შეუძლია უმალვე გაანთავისუფლოს განპირობებული სული მატერიალური სიბინძურისაგან. კალის ამ ეპოქაში არ არსებობს სხვა გზა ამ *მაჰა-მანტრის* გალობის გარდა. ნათქვამია, რომ მთელი ვედური ლიტერატურის არსი კრ̣შ̣ნას წმინდა სახელის გალობაში მდგომარეობს: ჰარე კრ̣შ̣ნა, ჰარე კრ̣შ̣ნა, კრ̣შ̣ნა კრ̣შ̣ნა, ჰარე ჰარე / ჰარე რ̣ა̄მა, ჰარე რ̣ა̄მა, რ̣ა̄მა რ̣ა̄მა, ჰარე ჰარე. უფალმა ჩაიტანიამ ესეც უთხრა პრაკ̣ა̄შ̣ა̄ნანდა სარასვატ̣ი̄ს: „იმისათვის, რომ დავერწმუნებინე ვედური ცოდნის ამ ძირითად ფაქტში, ჩემმა სულიერმა მოძღვარმა მასწავლა ლექსი „ბრ̣ჰან-ნ̣ა̄რადი̄ია პურ̣ა̄ნ̣ადან“ [38.126]: *ჰარერ ნ̣ა̄მა ჰარერ ნ̣ა̄მა ჰარერ ნ̣ა̄მაივა კევალამ / კალაუ ნ̣ასტ̣ი̄ ევა ნ̣ასტ̣ი̄ ევა ნ̣ასტ̣ი̄ ევა გატ̣ირ ანი̄ათჰ̣ა̄:* — ჩხუბისა და პირმოთნეობის ამ ეპოქაში განთავისუფლების ერთადერთი გზა უფლის წმინდა სახელის გალობაა. არ არსებობს სხვა გზა. არ არსებობს სხვა გზა. არ არსებობს სხვა გზა“.

ოთხი ეპოქიდან სამში (სახელდობრ, სატ̣ია-ი̄უგაში, ტ̣რეტ̣ა̄-ი̄უგასა და დვ̣ა̄პ̣არა-ი̄უგაში) ხალხს იმდენი ღირსებები გააჩნდა, რომ მოწაფეობრივი თანმიმდევრობის გზით ტრანსცენდენციის გაგება შეეძლო. მაგრამ ახლანდელ ეპოქაში ხალხს არავითარი ინტერესი არა აქვს მოწაფეობრივი თანმიმდევრობის მიმართ. ამის ნაცვლად მათ ლოგიკისა და არგუმენტების არაერთი გზა გამოიგონეს. უმაღლესი ტრანსცენდენციის გაგების ეს ინდივიდუალური გზა (აღმავალ გზად წოდებული) *ვედებში* არ არის გამართლებული. აბსოლუტური ჭეშმარიტება აბსოლუტური საფეხურიდან უნდა დაეშვას. აღმავალი პროცესით მისი გაგება არ შეიძლება. უფლის წმინდა სახელი — ჰარე კრ̣შ̣ნა, ჰარე კრ̣შ̣ნა, კრ̣შ̣ნა კრ̣შ̣ნა, ჰარე ჰარე / ჰარე რ̣ა̄მა, ჰარე რ̣ა̄მა, რ̣ა̄მა რ̣ა̄მა, ჰარე ჰარე — ტრანსცენდენ-

ტული ვიბრაციაა, რადგან ტრანსცენდენტული საფეხურიდან, კრშნას უმაღლესი სავანიდან მოდის. რადგან არ არსებობს განსხვავება კრშნასა და მის სახელს შორის, კრშნას წმინდა სახელი ისეთივე წმინდა, სრულყოფილი და განთავისუფლებულია, როგორც თავად კრშნა. აკადემიურ მეცნიერებს არ შეუძლიათ ლოგიკისა და არგუმენტაციის საშუალებით ღმერთის წმინდა სახელის ბუნების შეცნობა. ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს ტრანსცენდენტული ბუნების გაგების ერთადერთ გზას ამ სახელთა რწმენითა და თავდადებით გალობა წარმოადგენს. ასეთი გალობა გაანთავისუფლებს ცოცხალ არსებას დასახელებათა ტყვეობიდან, რომელიც უხეში და ნატიფი სხეულებიდან აღმოცენდება.

ლოგიკის, არგუმენტებისა და უთანხმოების ამ ეპოქაში თვითრეალიზაციის ერთადერთი საშუალება ჰარე კრშნას გალობა გახლავთ. რადგან მხოლოდ ამ ტრანსცენდენტულ ვიბრაციას შეუძლია განპირობებული სულის განთავისუფლება, იგი „ვედანტა-სუტრას" არსად ითვლება. მატერიალური კონცეფციის თანახმად, პიროვნების სახელს, ფორმას, თვისებას, ემოციებს, მოქმედებებსა და თავად პიროვნებას შორის განსხვავება არსებობს, მაგრამ ტრანსცენდენტულ ვიბრაციას არ ახასიათებს ასეთი შეზღუდულობა, რადგან იგი სულიერი სამყაროდან ეშვება. სულიერ სამყაროში არ არსებობს განსხვავება პიროვნების სახელსა და პიროვნების თვისებას შორის. ცხადია, მატერიალურ სამყაროში ასეთი განსხვავება გვხვდება. რადგან მაგავად ფილოსოფოსებს ეს არ ესმით, მათ არ შეუძლიათ ტრანსცენდენტული ვიბრაციის წარმოთქმა.

უფალმა ჩაიტანიამ შემდეგ უთხრა პრაკაშანანდა სარასვატის, რომ რადგან სულიერი მოძღვრისგან მიიღო განკარგულება, განუწყვეტლივ გალობდა ჰარე კრშნა,

ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე/ ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს. „ამ გალობის შედეგად", — თქვა უფალმა, „ზოგჯერ მეტად მოუსვენარი ვხდებოდი და ვერ ვიკავებდი თავს ცეკვისა და სიცილისაგან, ტირილისა და სიმღერისაგან. მართლაც გიჟს დავემსგავსე. როდესაც პირველად დავფიქრდი, მართლა გავგიჟდი თუ არა ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს გალობით, მივმართე ჩემს სულიერ მოძღვარს და ვუთხარი, რომ გავგიჟდი ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს გალობით".

ნარადა-პანჩარატრაში ნათქვამია:

ეშო ვედაჰ შად-ანგანი
ჩჰანდამსი ვივიდჰაჰ სურაჰ
სარვამ აშტაკშარანტაჰსთჰამ
დაჩ ჩანდად აპი ვანმადამ
სარვა-ვედანტა-სარართჰაჰ
სამსარარნავა-ტარანაჰ

„მთელი ვედური რიტუალები, *მანტრები* და ცოდნა თავმოყრილია ამ რვა სიტყვაში: ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე". სწორედ ასევე, „*კალისანტარანა უპანიშადში*" ნათქვამია:

ჰარე კრშნა ჰარე კრშნა
კრშნა კრშნა ჰარე ჰარე
ჰარე რამა ჰარე რამა
რამა რამა ჰარე ჰარე
იტი შოდაშაკამ ნამნამ
კალი-კალმაშა-ნაშანამ
ნატაჰ პარატაროპადაჰ
სარვა-ვედეშუ დრშადატე

„თექვსმეტი სიტყვა — ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე — განსაკუთრებით განკუთვნილია კალის სიბინძურის გასაბათილებლად. კალის სიბილწისაგან თავის დასაღწევად ამ თექვსმეტი სახელის გალობის გარდა სხვა გზა არ არსებობს“.

უფალმა ჩაიტანდამ უთხრა პრაკაშანანდა სარასვატის, რომ როდესაც მისმა სულიერმა მოძღვარმა გაუგო მას, თქვა: „წმინდა სახელთა — ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე — ტრანსცენდენტული ბუნებაც იმაში მდგომარეობს, რომ სულიერ სიგიჟემდე მიჰყავს კაცი. ვინც კი გულწრფელად გალობს ამ წმინდა სახელს, ძალიან მალე მიაღწევს ღმერთის სიყვარულის საფეხურს და გაგიჟდება ღმერთის გამო. ეს სიგიჟე, რომელიც ღმერთის სიყვარულისგან აღმოცენდება, სრულყოფილების პირველი საფეხურია ადამიანისთვის“.

როგორც წესი, ადამიანებს რელიგია, ეკონომიკური განვითარება, გრძნობათა დაკმაყოფილება და განთავისუფლება აინტერესებთ, მაგრამ ღმერთის სიყვარული ყოველ მათგანზე მაღლა დგას. ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი გალობს წმინდა სახელებს — ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე — და ტრანსცენდენტული ბგერითი ვიბრაცია მოწაფის ყურში შედის. თუკი მოწაფე თავისი სულიერი მოძღვრის ნაკვალევს გაჰყვება და ასეთივე მოწიწებით იგალობებს წმინდა სახელს, სინამდვილეში დაიწყებს ტრანსცენდენტული სახელის თაყვანისცემას. როდესაც ერთგული ტრანსცენდენტულ სახელს ეთაყვანება, თავად სახელი ავრცელებს თავის დიდებას ერთგულის გულში. როდესაც ერთგული წმინდა სახელის ტრანსცენდენტული ვიბრაციის გალობაში სრულყოფილებას აღწევს, სავსებით ღირსია, გახდეს სულიერი მოძღვარი და

გაანთავისუფლოს მთელი მსოფლიო. წმინდა სახელის გალობა იმდენად ძლევამოსილია, რომ თანდათანობით მთელი სამყარო ხვდება მის აღმატებულებას ყველაფერზე. ერთგული, რომელიც გალობს, ტრანსცენდენტულ ექსტაზში იძირება და თავის ექსტაზში ზოგჯერ იცინის, ტირის და ცეკვავს. ზოგჯერ უგუნური ადამიანები დაბრკოლებებს უქმნიან ამ *მაჰა-მანტრის* გალობას, მაგრამ ღმრთეების სიყვარულში მყოფი ერთგული ხმამაღლა გალობს წმინდა სახელს ყველასათვის, ვისაც იგი ესაჭიროება. ამის შედეგად ყველა ეზიარება წმინდა სახელთა გალობას — ჰარე კრ̣შ̣ნ̣ა, ჰარე კრ̣შ̣ნ̣ა, კრ̣შ̣ნ̣ა კრ̣შ̣ნ̣ა, ჰარე ჰარე/ ჰარე რ̄ამ̣ა, ჰარე რ̄ამ̣ა, რ̄ამ̣ა რ̄ამ̣ა, ჰარე ჰარე. კრ̣შ̣ნ̣ას წმინდა სახელთა გალობითა და მოსმენით ადამიანს კრ̣შ̣ნ̣ას ფორმებისა და თვისებების გახსენება შეუძლია.

თავი მეცხრამეტე

შემდგომი საუბრები პრაკაშანანდასთან

კრშ̣ნას პიროვნებისა და მისი სახელის იდენტურობის გაგების შედეგად აღმოცენებულ კრშ̣ნასადმი ტრანსცენდენტულ ექსტაზურ მიჯაჭვულობას *ბჰავა* ეწოდება. უეჭველია, რომ *ბჰავას* დონემდე მიღწეული პიროვნება არ არის მატერიალური ბუნებით გაბინძურებული. იგი ნამდვილად ტკბება *ბჰავასგან* მიღებული ტრანსცენდენტული სიამოვნებით და როდესაც *ბჰავა* უფრო ინტენსიური ხდება, მას ღმრთეების სიყვარული ჰქვია. უფალმა ჩაიტანდამ უთხრა პრაკაშანანდა სარასვატის, რომ კრშ̣ნას წმინდა სახელი, რომელსაც *მაჰა-მანტრა* (დიადი საგალობელი) ჰქვია, ღმრთეების სიყვარულის, ანუ უფრო ინტენსიური *ბჰავას* მიღწევის უნარს აძლევს ნებისმიერს, ვინც მას გალობს. ეს ღმრთეების სიყვარული ადამიანის უმაღლესი მოთხოვნილებაა, რადგან სხვა მოთხოვნილებებთან (სახელდობრ, რელიგიასთან, ეკონომიკურ განვითარებასთან, გრძნობათა დაკმაყოფილებასთან და განთავისუფლებასთან) შედარებისას ეს ეგრეთ წოდებული მოთხოვნილებები უმნიშვნელოდ მოგვეჩვენება. წარმავალ დასახელებათა ყოფიერებაში ჩაფლული ადამიანი გრძნობათა დაკმაყოფილებასა და განთავისუფლებას ელტვის. მაგრამ ღმრთეების სიყვარული სულის მარადიულ ბუნებას წარმოადგენს; იგი უცვლელი, დაუსაბამო და უსასრულოა. ამიტომ წარმავალი გრძნობათა დაკმაყოფილება ან გან-

თავისუფლების სურვილი ვერ შეედრება ღმერთის სიყვარულის ტრანსცენდენტულ ბუნებას. ღმერთის სიყვარული ადამიანის ძალისხმევის მეხუთე განზომილება გახლავთ. ტრანსცენდენტული სიამოვნების სიყვარულის ოკეანესთან შედარებით უპიროვნო ბრაჰმანის კონცეფცია წყლის წვეთსაც კი არ აღემატება.

შემდეგ უფალმა ჩაიტანđამ განმარტა, რომ მისმა სულიერმა მოძღვარმა დაადასტურა მისი (უფალი ჩაიტანđას) ექსტაზის ჭეშმარიტება, რომელიც ღმერთის წმინდა სახელის გალობით იყო გამოწვეული; დაადასტურა ისიც, რომ მთელი ვედური ლიტერატურის არსს ღმრთეების სიყვარულის მიღწევა წარმოადგენს. უფალი ჩაიტანđას სულიერი მოძღვრის სიტყვების თანახმად, უფალი ჩაიტანđა იმდენად იღბლიანი იყო, რომ ღმრთეების სიყვარულს მიაღწია. ასეთი ტრანსცენდენტული სიყვარულის მიღწევის შედეგად ადამიანის გულს ძლიერ სურს უფალთან უშუალო ურთიერთობის მიღწევა. ამგვარი ტრანსცენდენტული გრძნობის განცდის შედეგად ადამიანი ზოგჯერ იცინის და ზოგჯერ ტირის, მღერის და გიჟივით ცეკვავს, ზოგჯერ კი აქეთ-იქით დაეხეტება. ამგვარად ვლინდება ექსტაზის სხვადასხვა სიმპტომები: ტირილი, სხეულის ფერის ცვლილება, სიგიჟე, დანაკლისის გრძნობა, სიჩუმე, სიამაყე, ექსტაზი და სინაზე. ხშირად ღმერთის სიყვარულის მქონე პიროვნება ცეკვავს და ამით კრშნას სიყვარულის ნექტარულ ოკეანეში იძირება.

უფალმა ჩაიტანđამ თქვა, რომ მისი სულიერი მოძღვარი ეუბნებოდა: „ძალიან კარგია, რომ ღმრთეების სიყვარულის ასეთ სრულყოფილ საფეხურს მიაღწიე. ამის გამო შენი დიდად მადლობელი ვარ“. მამას ძალიან ახარებს, როდესაც შვილი ჯობნის. სწორედ ასევე, სულიერ მოძღვარს საკუთარ წინსვლაზე მეტად მოწაფის წინსვლა უხარია. ამრიგად, უფალი ჩაიტანđას სულიერმა მოძღვარმა

დალოცა იგი და უთხრა: „იცეკვე, იმღერე, გაავრცელე *სანკირტანის* ეს მოძრაობა, ასწავლე ხალხს კრშნას შესახებ და ამით ეცადე მათი უმეცრებიდან გამოყვანას“. ამასთან ერთად, უფალი ჩაიტანიას სულიერმა მოძღვარმა ასწავლა მას ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (11.2.40):

ევამვრატაჰ სვაპრიია-ნამა-კირტიან
ჯატანურაგო დრუტა-ჩიტტა უჩჩაიჰ
ჰასატი ათჰო როდიტი რაუტი განიატი
უნმადავან ნრტიატი ლოკა-ბაჰიაჰ

„მას, ვინც გამუდმებით კრშნას ერთგული სამსახურითაა დაკავებული და მის წმინდა სახელს გალობს, ისეთი ძლიერი ტრანსცენდენტული მიჯაჭვულობა უჩნდება გალობის მიმართ, რომ გული გარეგანი ძალისხმევის გარეშე ულბება. ამ დროს იგი ტრანსცენდენტულ ექსტაზს ავლენს და ზოგჯერ იცინის, ზოგჯერ ტირის, მღერის და ცეკვავს — არა მსახიობივით, არამედ გიჟივით“.

შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ პრაკაშანანდა სარასვატის უთხრა: „რადგან ბოლომდე მწამს ჩემი სულიერი მოძღვრის სიტყვებისა, მუდამ ვგალობ ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს. არ ვიცი, რამ გამაგიჟა, მაგრამ მჯერა, რომ ეს კრშნას სახელმა გამოიწვია. მე ვხვდები, რომ ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს გალობით მიღებული ტრანსცენდენტული სიამოვნება ოკეანეს ჰგავს. მასთან შედარებით ყოველი სხვა სიამოვნება, იმპერსონალური რეალიზაციის სიამოვნების ჩათვლითაც, წყალმარჩხი წყაროების მსგავსია“.

უფალი ჩაიტანიას სიტყვებიდან ჩანს, რომ ის, ვისაც არა სწამს სულიერი მოძღვრის სიტყვებისა და ვინც და-

მოუკიდებლად მოქმედებს, ვერ მიაღწევს წარმატებას ჰარე კრშṇას გალობაში. ვედურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ მთელი ტრანსცენდენტული ლიტერატურის შინაარსი მას ემხილება, ვისაც უსიტყვო რწმენა აქვს უზენაესი უფლისა და სულიერი მოძღვრისა. უფალ ჩაიტანḍას მტკიცედ სწამდა თავისი სულიერი მოძღვრის ნათქვამის და არასოდეს უგულვებელყოფდა მის დარიგებებს, ამიტომ არასოდეს წყვეტდა *სანკირტანის* მოძრაობას. ამრიგად, წმინდა სახელის ტრანსცენდენტული ძალა უფრო და უფრო შთააგონებდა მას ჰარე კრშṇა *მაჰა-მანტრას* გალობას.

აქვე უფალმა ჩაიტანḍამ ამცნო პრაკაშანანდას, რომ თანამედროვე ეპოქაში ხალხთა მასები მეტ-ნაკლებად მოკლებულია ყოველგვარ სულიერ გონიერებას. როდესაც ასეთი პიროვნებები ყველაზე საკრალური „ვედანტა-სუტრას“ შესწავლის დაწყებისას შანკარაჩარḍას იმპერსონალისტური (მაḍავადური) ფილოსოფიის გავლენაში ექცევიან, ეკარგებათ უზენაესისადმი ბუნებრივი მორჩილება. ცხადია, ყველა ყველაფრის უმაღლეს წყაროს სცემს თაყვანს, მაგრამ ამ ბუნებრივ მიდრეკილებას ხელი ეშლება, როდესაც ადამიანი შანკარას იმპერსონალისტურ კონცეფციებს იზიარებს. ამიტომ უფალი ჩაიტანḍას სულიერმა მოძღვარმა თქვა, რომ კაცს უჯობს არ ისწავლოს შანკარაჩარḍას „შარირაკა-ბჰაშია“, რადგან მას დიდი ზიანი მოაქვს ხალხთა მასებისთვის. მართლაც, უბრალო ადამიანს იმდენი გონებაც კი არა აქვს, რომ სიტყვათა თამაშში გაერკვეს. ჯობს იგალობოს *მაჰა-მანტრა:* ჰარე კრშṇა, ჰარე კრშṇა, კრშṇა კრშṇა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე. კალის ამ ეპოქაში, რომელიც ჩხუბით ხასიათდება, თვითრეალიზაციის სხვა გზა არ არსებობს.

ჩაიტანḍა მაჰაპრაბჰუს არგუმენტებისა და საუბრის მოსმენის შემდეგ, იქ შეკრებილი მაḍავადი *სანნḍასები*

დაწყნარდნენ და ასე ტკბილად მიუგეს: „ბატონო ჩვენო, მართალი ხარ. ღმრთეების სიყვარულს მიღწეული, მეტად იღბლიანია და უეჭველია, რომ შენ მეტად იღბლიანი ხარ, რამეთუ ამ საფეხურს მიაღწიე. მაგრამ რა ნაკლი აქვს „ვედანტას“? „ვედანტას“ კითხვა და გაგება *სანნიასინ* ვალია. რატომ არ სწავლობ მას?“

მაჰავადი ფილოსოფოსების აზრით, „ვედანტა“ შანკარაჩარიას „შარირაკა“ კომენტარებს ნიშნავს. როდესაც იმპერსონალისტი ფილოსოფოსები „ვედანტასა“ და *უპანიშადებზე* საუბრობენ, სინამდვილეში შანკარაჩარიას, მაჰავადთა ფილოსოფიის უდიდესი მასწავლებლის კომენტარები აქვთ მხედველობაში. შანკარაჩარიას შემდეგ იყო სადანანდა-იოგი, რომელიც აცხადებდა, რომ „ვედანტა“ და *უპანიშადები* შანკარაჩარიას კომენტარების საშუალებით უნდა იქნას გაგებული. სინამდვილეში ეს ასე არ არის. არსებობს ვაიშნავ *აჩარიათა* მრავალი კომენტარი „ვედანტასა“ და *უპანიშადებზე*, რომლებიც შანკარაჩარიას კომენტარებს სჯობია. მაგრამ შანკარაჩარიას გავლენის ქვეშ მყოფი მაჰავადი ფილოსოფოსები არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ ვაიშნავთა გაგებას.

ვაიშნავი *აჩარიების* ოთხი სხვადასხვა სკოლა არსებობს — შუდდჰადვაიტა, ვიშიშტადვაიტა, დვაიტადვაიტა და აჩინტია-ბჰედაბჰედა. ამ სკოლების წარმომადგენელმა ყოველმა ვაიშნავმა *აჩარიამ* თავისი კომენტარები დაწერა „ვედანტა-სუტრაზე“, მაგრამ მაჰავადი ფილოსოფოსები არ აღიარებენ მათ. მაჰავადები ანსხვავებენ ერთმანეთისგან კრშნასა და კრშნას სხეულს, ამიტომაც არ ცნობენ ვაიშნავ ფილოსოფოსთა მიერ კრშნას თაყვანისცემას. ამდენად, მაჰავადი *სანნიასების* კითხვაზე, თუ რატომ არ სწავლობდა იგი „ვედანტა-სუტრას“, უფალმა ჩაიტანიამ უპასუხა: „ძვირფასო ბატონებო, თქვენ მკითხეთ, რატომ არ ვსწავლობ *ვედანტას* და პასუხის გაცემა მსურს, მაგრამ ვშიშობ, ამის მოსმენა არ გეწყინოთ“.

— ჩვენ ძალიან გაგვიხარდება შენი მოსმენა, — ერთბაშად მიუგეს *სანნდასებმა*. — შენ ნარანდას ჰგავხარ და შენი მშვენიერი საუბარი სიამოვნებას გვანიჭებს. დიდად გმადლობთ, რომ გხედავთ და გვესმის შენი. ამიტომ ძალიან გაგვიხარდება შენი მოთმინებით მოსმენა და ყოველი შენი ნათქვამის აღიარება.

შემდეგ უფალმა დაიწყო საუბარი *ვედანტას* ფილოსოფიაზე: „ვედანტა-სუტრა“ თავად უზენაესი უფლის მიერ არის მოყოლილი. ეს დიადი ფილოსოფიური ტრაქტატი უზენაესმა უფალმა შეადგინა თავის ინკარნაციაში ვიასადევას სახით. რადგან ვიასადევა უზენაესი უფლის ინკარნაციაა, არ შეიძლება მისი უბრალო ადამიანთან შედარება, რომელსაც მატერიალურ ყოფიერებასთან კავშირის გამო ოთხი სახის ნაკლოვანება ახასიათებს. განპირობებული სულის ნაკლოვანებები შემდეგში მდგომარეობს: (1) იძულებულია დაუშვას შეცდომები; (2) ილუზიაში უნდა მოექცეს; (3) უნდა გააჩნდეს სხვათა მოტყუების მიდრეკილება; და (4) მისი გრძნობები არასრულყოფილი უნდა იყოს. უნდა გვესმოდეს, რომ ღმერთის ინკარნაცია ყოველ ამ ნაკლოვანებაზე მაღლა დგას. ამრიგად, ყველაფერი, რაც ვიასადევას მიერ არის ნათქვამი და დაწერილი, სრულყოფილად უნდა ჩავთვალოთ. *უპანიშადებისა* და „ვედანტა-სუტრას“ მიზანი ერთი და იგივეა: უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება. როდესაც პირდაპირი, ჭეშმარიტი სახით ვაღიარებთ „ვედანტა-სუტრასა“ და *უპანიშადების* შინაარსს, მაშინ სახელს ვიხვეჭთ. მაგრამ შანკარაჩარიას მიერ შედგენილი კომენტარები არაპირდაპირია და ძალიან სახიფათოა უბრალო ადამიანისთვის, რადგან *უპანიშადების* შინაარსის ასეთი არაპირდაპირი, დამანგრეველი სახით გაგებით ადამიანი პრაქტიკულად იღობავს სულიერი შემეცნების გზას.

„სკანდა“ და „ვიდუ“ *პურანების* თანახმად, სიტყვა

„სუტრა“ ნიშნავს ნაწარმოებს, რომელშიც შეჯამებულადაა გადმოცემული შეცდომას ან ნაკლს მოკლებული უდიდესი ძალის შინაარსი და მნიშვნელობა. სიტყვა „ვედანტა“ „ცოდნის ბოლოს“ ნიშნავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერ წიგნს, რომელიც მთელ *ვედებში* გადმოცემულ თემას ეხება, ეწოდება *ვედანტა*. მაგალითად, „ბჰაგავად-გიტა“ *ვედანტაა*, რადგან „ბჰაგავად-გიტაში“ უფალი ამბობს, რომ მთელი ვედური კვლევა-ძიების საბოლოო მიზანს კრიშნა წარმოადგენს. ამრიგად, „ბჰაგავად-გიტა“ და „შრიმად-ბჰაგავატამი“, რომელთა ერთადერთი მიზანიც კრიშნა გახლავთ, *ვედანტად* ითვლება.

ტრანსცენდენტული რეალიზაციის გზაზე *პრასთჰანატრაადად* წოდებული ცოდნის სამი განაყოფი არსებობს. ცოდნის იმ განყოფილებას, რომელიც ვედური დარიგების (მაგალითად, *უპანიშადების*) მიერ არის აღიარებული, ეწოდება *შრუტი-პრასთჰანა*. ავტორიტეტული წიგნები, რომლებიც საბოლოო მიზანზე მიგვითითებს და დაწერილია ისეთი განთავისუფლებული სულების მიერ, როგორიცაა ვიასადევა (მაგალითად, „ბჰაგავად-გიტა“, „მაჰაბჰარატა“ და *პურანები*, განსაკუთრებით კი „შრიმად-ბჰაგავატამი“ — *მაჰა პურანა*) ეწოდება *სმრიტი-პრასთჰანა*. ვედური ლიტერატურიდან ვგებულობთ, რომ *ვედები* ნარაიანას სუნთქვიდან იღებს დასაბამს. ვიასადევამ, რომელიც ნარაიანას ძალის ინკარნაციას წარმოადგენს, შეადგინა „ვედანტა-სუტრა“ (ნიაია-პრასთჰანა), მაგრამ შანკარას კომენტარების თანახმად, „ვედანტა-სუტრას“ კოდექსების შედგენაში აპანტარატამა რიშიც მონაწილეობდა. უფალი ჩაიტანიას თანახმად, „პანჩარატრას“ აფორიზმები და „ვედანტას“ აფორიზმები ერთი და იგივეა. რადგან „ვედანტა-სუტრა“ ვიასადევამ შეადგინა, უნდა გვესმოდეს, რომ იგი თავად ნარაიანას მიერ არის მოყოლილი. „ვედანტა-სუტრასთან“ დაკავშირებული მთელი აღწერილობითი ვე-

დური ლიტერატურიდან ჩანს, რომ ვḍასადევას თანამედროვე ბევრი სხვა *ṛში* ასევე მსჯელობდა *ვედანტაზე*. ეს ბრძენები არიან ᳬტრეḍა, ᳬშმარათჰḍა, აუდულომი, კᳬრშნᳬᳫინი, კᳬშაკṛტსნა, ᳫᳫაიმინი, ბᳬდარᳬ და სხვა ბრძენები, როგორებიც არიან ᳬᳬრᳬშარᳬ და კარმანდᳬ.

მართლაც, „ვედᳬნტა-სᳬტრას“ პირველ და მეორე თავში აღწერილია ცოცხალ არსებათა და უზენაესი უფლის ურთიერთობა, მესამე თავში კი — ერთგული სამსახურის წარმოება. მეოთხე თავი ერთგული სამსახურის შედეგად დამყარებულ ურთიერთობას ეხება. „ვედᳬნტა-სᳬტრას“ ბუნებრივ კომენტარს „შრᳬმად-ბჰᳬგავატამი“ წარმოადგენს. ვაიშᳬᳫავთა ოთხი ერთობის ოთხმა დიადმა *ᳬჩᳬრḍამაც* — სახელდობრ, რᳬმᳬნუჯᳬჩᳬრḍამ, მადჰვᳬჩᳬრḍამ, ვიშᳬᳫუსᳬᳬმᳬმ და ნიმბᳬრკამ — „შრᳬმად-ბჰᳬგავატამის“ პრინციპების შესაბამისად კომენტარები დაურთეს „ვედᳬნტა-სᳬტრას“. ამჟამად ყოველი *ᳬჩᳬრḍას* მიმდევარმა „შრᳬმად-ბჰᳬგავატამის“ პრინციპების დაცვით „ვედᳬნტას“ კომენტარების სახით არაერთი წიგნი დაწერა. იმპერსონალისტთა სკოლას ძალიან მოსწონს „შᳬრᳬრაკა-ბჰᳬშḍას“ სახელით ცნობილი შᳬᳫკარას კომენტარები „ვედᳬნტა-სᳬტრაზე“, მაგრამ მატერიალისტური თვალთახედვიდან დაწერილი *ვედᳬნტას* კომენტარები სრულიად ეწინააღმდეგება უფლის ტრანსცენდენტულ სამსახურს. ამიტომაც უფალმა ჩაიტანḍამ თქვა, რომ *უპანიშადებისა* და „ვედᳬნტას“ კომენტარები დიდებულია, მაგრამ შᳬᳫკარᳬჩᳬრḍას „შᳬრᳬრაკა-ბჰᳬშḍას“ არაპირდაპირი გზის მიმდევარი აუცილებლად გაიწირება.

უფალმა ჩაიტანḍამ შᳬᳫკარᳬჩᳬრḍა უფალი შივას ინკარნაციად აღიარა და ცნობილია, რომ უფალი შივა არის „ბჰᳬგავატას“ სკოლის ერთ-ერთი უდიდესი ერთგული (*მაჰᳬჯანა*). ერთგული სამსახურის თორმეტი დიადი ავტორიტეტი არსებობს და უფალი შივა ერთ-ერთი მათგანი

გახლავთ. მაშ რატომ მიიღო მან მაჲავადის ფილოსოფიის პროცესი? პასუხი მოცემულია „პადმა პურანაში“, სადაც უფალი შივა ამბობს:

მაჲავადამ ასაჩ-ჩჰასტრამ
პრაჩჩანნამ ბაუდდჰამ უჩიატე
მაჲაივა კალპიტამ დევი
კალაუ ბრაჰმანა-რუპინუ

„მაჲავადთა ფილოსოფია დაფარული ბუდიზმია“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუდას ვოიდისტური ფილოსოფია მეტ-ნაკლებად მაჲავადთა იმპერსონალიზმის ფილოსოფიაში მეორდება, თუმცა მაჲავადთა ფილოსოფიის განცხადების თანახმად, თვითონ ვედური დასკვნებით ხელმძღვანელობს. მაგრამ უფალი შივა აღიარებს, რომ ეს ფილოსოფია მან კალის ეპოქაში ათეისტების დასაბნევად გამოიგონა. „სინამდვილეში ღმრთეების უზენაეს პიროვნებას თავისი ტრანსცენდენტული სხეული აქვს“, — აცხადებს უფალი შივა. „მაგრამ მე უზენაესს იმპერსონალურად დავახასიათებ. მე აგრეთვე განვმარტავ „ვედანტა-სუტრას“ იგივე მაჲავადთა ფილოსოფიის მიხედვით“.

„შივა პურანაში“ უზენაესი უფალი ამბობს:

დვაპარადაუ ჲუგე ბჰუტვა
კალაჲა მანუშადიშუ
სვაგამაიჰ კალპიტაის ტვამ ჩა
ჯანან მად-ვიმუქჰან კურუ

„ჩემი ბრძანებით, დვაპარა-ჲუგას დასაწყისში მრავალი ბრძენი შეცდომაში შეიყვანს ხალხს მაჲავადთა ფილოსოფიით“. „პადმა პურანაში“ უფალი შივა თავად ეუბნება *ბჰაგავატიდევის:*

შრṇუ დევი პარაკშდპმი
ტპმასპნი დათჰპ-კრამამ
ჯეშპმ შრავაṇა-მპტრეṇა
პპტიტდამ ჯṇპნინპმ აპი

აპპრთჰამ შრუტი-ვპკდპნპმ
დარშადალ ლოკა-გარჰიტამ
კარმა-სვარუპა-ტდპჯდატვამ
ატრა ჩა პრატიპპდდატე

სარვა-კარმა-პარიბჰრამშპნ
ნაიშკარმდამ ტატრა ჩოჩდატე
პარპტმა-ჯṇვადორ აიკდამ
მადპტრა პრატიპპდდატე

„ჩემო ძვირფასო დევო, ზოგჯერ უგუნურების მოდუსში შთანთქმულებს მპდპვპდთა ფილოსოფიას ვასწავლი. მაგრამ მპდპვპდთა ამ ფილოსოფიის მოსმენით სათნოების მოდუსში მყოფი პიროვნებაც კი დაეცემა, რადგან მპდპვპდთა ფილოსოფიის სწავლებისას მე ვამბობ, რომ ცოცხალი არსება და უზენაესი უფალი ერთი და იგივე არიან“.

სადპნანდა-დოგი, ერთ-ერთი უდიდესი მპდპვპდი *პჩპრდა*, წერს თავის წიგნში „ვედპნტა-სპრა“: „მარადისობის, ცოდნისა და ნეტარების აბსოლუტური ჭეშმარიტება არის ბრაჰმანი. უგუნურება და უგუნურების ყოველი პროდუქტი არა-ბრაჰმანია. მატერიალური ბუნების სამივე მოდუსი უგუნურებითაა დაფარული და ყოველი მათგანი უმაღლესი მიზეზისა და შედეგის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენს. ეს უგუნურება ჯგუფური და ინდივიდუალური მნიშვნელობით ვლინდება. ჯგუფურ უგუნურებას ეწოდება *ვიშუდდჰა-სატტვა-პრადჰპნა*. მატერიალური ბუნების უგუნურებაში გამოვლენისას ამ *ვიშუდდჰა-სატტვა-პრადჰპნას* უფალი ეწოდება და უფალი ათასგვარ უგუნურებას ავლენს. ამიტომ იგი ცნობილია როგორც *სარვაჯṇა*“. ამდენად, მპდპვპდთა ფილოსოფიის თანახმად, უფალი ამ

მატერიალური ბუნების პროდუქტია და ცოცხალი არსება უგუნურების უმდაბლეს საფეხურზე დგას. ასეთია მაჰაკავდთა ფილოსოფიის მთელი არსი.

მაგრამ თუკი პირდაპირი მნიშვნელობით ვაღიარებთ *უპანიშადების* შინაარსს, ნათელი ხდება, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება უსასრულო ძლევამოსილების მფლობელი პიროვნებაა. მაგალითად, „შვეტაშვატარა უპანიშადში“ ნათქვამია, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება ყველაფრის საწყისია და რომ მას მრავალრიცხოვანი პოტენცია გააჩნია. ღმრთეების უზენაესი პიროვნება ტრანსცენდენტულია კოსმოსური გამოვლინების მიმართ. იგია ყოველი რელიგიის სათავე, უმაღლესი მხსნელი და მთელი სიდიადეების მფლობელი. ღმრთეების უზენაესი პიროვნება, რომელიც მზეს ჰგავს, უხვად ავრცელებს თავის ენერგიებს და თანაც ამ მატერიალური კოსმოსური გამოვლინების ღრუბლის მიღმა დგას. იგია მეუფეთა მეუფე და იგია უმაღლესი უმაღლესთა შორის. იგი ცნობილია უდიდეს უფლად, ღმრთეების პიროვნებად. მისი ენერგიები და პოტენციები მრავალრიცხოვანია და ათასგვარი სახით არის გავრცელებული. ნათქვამია ისიც, რომ ვიშნუ უზენაესია და რომ წმინდანებს მუდამ სწყურიათ მისი ლოტოსის ტერფების ხილვა („რგ ვედა“ 1.22.20). „აიტარეჲა უპანიშადშიც“ ნათქვამია, რომ კოსმოსური გამოვლინება მაშინ გამოჩნდა, როდესაც უფალმა თვალი მოავლო მატერიალურ ბუნებას (1.1.1-2). ეს დადასტურებულია „პრაშნა უპანიშადშიც“ (6.3).

უფლის უარყოფით აღწერილობებში, რომლებიც ვედურ ლიტერატურაში გვხვდება (როგორიცაა „აპანი-პადჰ“), მინიშნებულია, რომ უფალს მატერიალური სხეული და მატერიალური ფორმა არ გააჩნია. მაგრამ მას აქვს თავისი სულიერი ტრანსცენდენტული სხეული და თავისი ტრანსცენდენტული ფორმა. მაჰაკავად ფილოსოფოსებს შეცდომით აქვთ გაგებული მისი ტრანსცენდენტული ბუნება და ამიტომ უპიროვნოდ ახასიათებენ უფალს.

უფლის სახელი, ფორმა, თვისება, გარემოცვა და სავანე — ყველაფერი ეს ტრანსცენდენტულ სამყაროში იმყოფება. როგორ შეიძლება იგი ამ მატერიალური ბუნების გარდაქმნის პროდუქტი იყოს? ყველაფერი, რაც უზენაეს უფალთან არის დაკავშირებული, მარადიული, ნეტარი და ცოდნით აღსავსეა.

არსებითად, გარკვეული სახის ათეისტების გასაბრიყვებლად შანკარაჩარდა მადავადთა ფილოსოფიას ქადაგებდა. სინამდვილეში იგი არასოდეს თვლიდა, რომ უზენაესი უფალი, ღმრთეების პიროვნება, უპიროვნოა ან სხეული ან ფორმა არ გააჩნია. გონიერმა ადამიანმა თავი უნდა აარიდოს მადავადთა ფილოსოფიის მოსმენას. უნდა გვესმოდეს, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება, ვიშ̣ნუ უპიროვნო არ არის. იგი ტრანსცენდენტული პიროვნებაა და კოსმოსური გამოვლინების ძირითადი პრინციპი მისი ენერგია გახლავთ. მადავადი ფილოსოფოსები ვერ აღიქვამენ უზენაესი უფლის ენერგიას, მაგრამ ვედური ლიტერატურა მოწმობს იმას, რომ უზენაეს უფალს ენერგიის ათასგვარი გამოვლინება გააჩნია. ვიშ̣ნუ კი არ არის მატერიალური ბუნების პროდუქტი, მატერიალური ბუნებაა ვიშ̣ნუს პოტენცია. მადავად ფილოსოფოსებს ჰგონიათ, რომ ვიშ̣ნუ მატერიალური ბუნების ნაწარმს წარმოადგენს, მაგრამ თუკი ეს ასეა, იგი მხოლოდ ნახევარღმერთთა რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ. ის, ვინც ვიშ̣ნუს ნახევარღმერთად მიიჩნევს, უდაოდ მოტყუებული და გზააბნეულია. ეს განმარტებულია „ბჰაგავად-გიტაში“: „სამი მოდუსით მოტყუებული, მთელი სამყარო არ მიცნობს მე, მოდუსებზე მაღლა მდგომსა და უშრეტს. ეს ჩემი ღვთაებრივი ენერგია, რომელიც მატერიალური ბუნების სამი მოდუსისგან შედგება, ძნელი გადასალახავია, მაგრამ ჩემზედ მონდიბილები ადვილად გადალახავენ მას“ (ბ.გ. 7.13-14).

თავი მეოცე

ვედანტას შესწავლის მიზანი

დასკვნა ის გახლავთ, რომ უფალი კრშნა, ანუ ვიშნუ, არ ეკუთვნის ამ მატერიალურ სამყაროს. იგი სულიერ სამყაროს მიეკუთვნება. ის, ვინც მას მატერიალურ ნახევარღმერთად თვლის, დიდი შეურაცხმყოფელი და მკრეხელია. უფალი ვიშნუ არ არის მატერიალურ გრძნობათა აღქმის საგანი და არც სპეკულაციური მსჯელობით შეიცნობა. არ არსებობს განსხვავება უზენაესი უფალი ვიშნუს სხეულსა და სულს შორის, თუმცა მატერიალურ სამყაროში ყოველ სხეულსა და სულს შორის განსხვავებას ვხვდებით.

ცოცხალი არსებები ტკბებიან მატერიალური საგნებით, რადგან ისინი მაღალი, მატერიალური ბუნება კი დაბალი თვისობრიობით ხასიათდება. ამრიგად, მაღალ თვისობრიობას, ცოცხალ არსებებს, დაბალი თვისებით, მატერიით ტკბობა შეუძლიათ. რადგან უფალ ვიშნუს მატერია სრულიად ვერ ეხება, ცოცხალი არსებებისგან განსხვავებით იგი არ ექცევა მატერიალური ბუნებით განცხრომის გავლენაში. ცოცხალ არსებებს არ შეუძლიათ ვიშნუს შესახებ ცოდნის შეძენა სპეკულაციური მსჯელობის ჩვევებით. უმცირესი ცოცხალი არსებები კი არ ტკბებიან ვიშნუთი, არამედ ვიშნუ ტკბება მათით. მხოლოდ უდიდესი

მკრეხელი თუ ჩათვლის ვიშ̌ნუს განცხრომის ობიექტად. უდიდესი შეურაცხყოფაა იმის მიჩნევა, რომ ვიშ̌ნუ და ცოცხალი არსება ერთსა და იმავე დონეზე იმყოფებიან.

უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება, ღმრთეების პიროვნება, შედარებულია მოგიზგიზე ცეცხლს, ურიცხვი ცოცხალი არსებები კი — ამ ცეცხლისგან მომავალ ნაპერწკლებს. თუმცა უზენაესი უფალიცა და ცოცხალი არსებებიც თვისობრივად ერთნი — ცეცხლი არიან, განსხვავება მაინც არსებობს. ვიშ̌ნუ, უზენაესი, უსასრულოა, მაშინ როდესაც ცოცხალი არსებები, რომლებიც მხოლოდ ნაპერწკლებს წარმოადგენენ, უმცირესები არიან. უსასრულოდ მცირე ცოცხალი არსებები არიან უსასრულო სულის თავდაპირველი ცეცხლისგან წარმომავალი ნაპერწკლები. უმცირესი სულების თავდაპირველ მდგომარეობაში მატერიის კვალიც არ არსებობს.

ცოცხალი არსებები სიდიდით ვერ შეედრებიან ნარაჰ̌ანას, ვიშ̌ნუს, რომელიც ამ მატერიალური ქმნილების მიღმა დგას. შანკარაჩარიაც კი აღიარებს, რომ ნარაჰ̌ანა მატერიალური ქმნილების მიღმა იმყოფება. რადგან არც ვიშ̌ნუ მიეკუთვნება მატერიალურ ქმნილებას და არც ცოცხალი არსება, ვინმემ შეიძლება იკითხოს: „საერთოდ რატომ შეიქმნენ სულის მცირე ნაწილაკები?“ პასუხი ის გახლავთ, რომ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება სრულია თავის სრულყოფილებაში მაშინ, როდესაც უსასრულოცაა და უსასრულოდ მცირეც. იგი რომ უბრალოდ უსასრულო იყოს და უსასრულოდ მცირე არა, სრულყოფილი არ იქნებოდა. უსასრულო ნაწილს *ვიშ̌ნუ-ტატტვა*, ანუ ღმრთეების უზენაესი პიროვნება წარმოადგენს, უსასრულოდ მცირე ნაწილს კი — ცოცხალი არსება.

ღმრთეების უზენაესი პიროვნების უსასრულო სურვილების გამო არის ყოფიერება სულიერ სამყაროში, ცოცხალ არსებათა უსასრულოდ მცირე სურვილების გამო

კი არის ყოფიერება მატერიალურ სამყაროში. მატერიალური სიამოვნების თავიანთი უსასრულოდ მცირე სურვილებით დაკავებული უსასრულოდ მცირე ცოცხალ არსებებს *ჯივა-შაკტი* ჰქვიათ, მაგრამ როდესაც ისინი უსასრულოს უკავშირდებიან, განთავისუფლებული სულები ეწოდებათ. ამიტომ არ არის საჭირო იმის კითხვა, რატომ შექმნა ღმერთმა უსასრულოდ მცირე ნაწილები; ისინი უბრალოდ უზენაესის დამატებას წარმოადგენენ. უსასრულოსთვის უეჭველად არსებითია, იქონიოს უსასრულოდ მცირე ნაწილები, რომლებიც უმაღლესი სულის განუყოფელ ნაწილაკებს წარმოადგენენ. რადგან ცოცხალი არსებები უზენაესის უსასრულოდ მცირე განუყოფელი ნაწილაკები არიან, უსასრულოსა და უსასრულოდ მცირეს შორის გრძნობათა გაცვლა-გამოცვლას აქვს ადგილი. უსასრულოდ მცირე ცოცხალი არსებები რომ არა, უზენაესი უფალი უმოქმედო იქნებოდა და სულიერ სიცოცლეში მრავალფეროვნება არ იარსებებდა. ქვეშევრდომების გარეშე მეფეს აზრი არა აქვს და უსასრულოდ მცირე ცოცხალი არსებების გარეშე უზენაესი ღმერთიც აზრს მოკლებულია. რა მნიშვნელობა ექნება სიტყვა „უფალს“, თუ კი არავინ იქნება, ვისზედაც უფლობას შეძლებს? დასკვნა ის გახლავთ, რომ ცოცხალი არსებები უზენაესი უფლის ენერგიის ექსპანსიებად ითვლებიან და უზენაესი უფალი, ღმრთეების პიროვნება, კრშნა არის ენერგიის წყარო.

მთელ ვედურ ლიტერატურაში, „ბჰაგავად-გიტასა“ და „ვიშნუ პურანას“ ჩათვლით, მრავალი მტკიცება მოყვანილი ენერგიასა და ენერგიის წყაროს შორის არსებული განსხვავების საჩვენებლად. „ბჰაგავად-გიტაში“ (ბ.გ. 7.4) გარკვევით არის ნათქვამი, რომ მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი და ეთერი მატერიალური სამყაროს ხუთ ძირითად უხეშ ელემენტს წარმოადგენს და რომ ჭკუა, გონება და ცრუ ეგო სამი ნატიფი ელემენტი გახლავთ. მთელი მატე-

რიალური ბუნება უფლის უმდაბლესი ბუნების ანუ ენერგიის შემადგენელ ამ რვა ელემენტად იყოფა. ამ უმდაბლესი ბუნების კიდევ ერთი სახელი არის *მაია* ანუ ილუზია. ამ რვა უმდაბლესი ელემენტის მიღმა არის უმაღლესი ენერგია, რომელსაც *პარა-პრაკრტი* ეწოდება. ეს *პარა-პრაკრტი* ცოცხალი არსებაა, რომელიც ურიცხვი რაოდენობით გვხვდება მთელ მატერიალურ სამყაროში. „ბჰაგავად-გიტაში“ (7.5) მას *ჯივა-ბჰუტამ* ეწოდება. ეს იმას ნიშნავს, რომ უზენაესი უფალი აბსოლუტური ჭეშმარიტება, ენერგიის წყაროა და როგორც ასეთს, მას თავისი ენერგიები აქვს. როდესაც მისი ენერგია სწორი სახით არ ვლინდება ან გარკვეული ჩრდილით არის დაფარული, მას *მაია-შაკტი* ჰქვია. მატერიალური კოსმოსური გამოვლინება ამ დაფარული *მაია-შაკტის* პროდუქტს წარმოადგენს.

ცოცხალი არსებები სინამდვილეში ამ დაფარული უმდაბლესი ენერგიის მიღმა იმყოფებიან. მათ თავიანთი სულიერი ყოფიერება და წმინდა პიროვნულობა აქვთ, აგრეთვე წმინდა აზრობრივი ქმედებები გააჩნიათ. ყოველი მათგანი ამ მატერიალური კოსმოსის გამოვლინების მიღმა დგას. თუმცა ცოცხალი არსების ჭკუა, გონება და პიროვნულობა ამ მატერიალური სამყაროს საზღვრებს მიღმაა, მატერიაზე ბატონობის სურვილის გამო ამ მატერიალურ სამყაროში შემოსვლისას, მისი თავდაპირველი ჭკუა, გონება და სხეული მატერიალური ენერგიით იფარება. როდესაც კვლავ ჩამოიშორებს ამ მატერიალური, ანუ უმდაბლესი ენერგიების საფარველს, მას განთავისუფლებული ეწოდება. განთავისუფლებული ცრუ ეგოს კარგავს, მისი ჭეშმარიტი ეგო კი კვლავ არსებობას იწყებს. სულელი სპეკულაციური მოაზროვნეები თვლიან, რომ განთავისუფლების შემდეგ იკარგება ცოცხალი არსების პიროვნულობა, მაგრამ ეს ასე არ არის. რადგან ცოცხალი არსება სამარადისოდ ღმერთის განუყოფელი ნაწილაკია, განთავისუფლების შემდეგ იგი აღიდგენს თავის

თავდაპირველ, მარადიულ, განუყოფელი ნაწილაკის სახეს. *აჰამ ბრაჰმასმი*-ს („მე არა ვარ ეს სხეული“) შეცნობა იმას როდი ნიშნავს, რომ ცოცხალი არსება კარგავს თავის პიროვნულობას. ამჟამად პიროვნებამ შეიძლება იფიქროს, რომ მატერიას წარმოადგენს, მაგრამ განთავისუფლებულ მდგომარეობაში მიხვდება, რომ მატერია კი არა, სულია, უსასრულოს ნაწილი. *კრშნას* ცნობიერებაში ან სულიერ ცნობიერებაში მოსვლა და *კრშნას* ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურში დასაქმება განთავისუფლებული საფეხურისთვის დამახასიათებელი ნიშნები გახლავთ. „ვიშნუ პურანაში“ (6.7.61) გარკვევითაა ნათქვამი:

ვიშნუ-შაკტიჰ პარა პროკტა
კშეტრა-ჯნა-ქჰა ტათჰაპარა
ავიდა-კარმა-სამჯნანდა
ტრტიდა შაკტირ იშადტე

„უზენაესი უფლის ენერგია იყოფა სამად: *პარა*, *კშეტრაჯნა* და *ავიდა*“. ენერგია *პარა* სინამდვილეში თავად უზენაესი უფლის ენერგია გახლავთ; ენერგია *კშეტრაჯნა* ცოცხალ არსებას წარმოადგენს; და ენერგია *ავიდა* არის მატერიალური სამყარო, ანუ *მადა*. მას *ავიდა*, ანუ უგუნურება ეწოდება, რადგან ამ მატერიალური ენერგიით მოჯადოებული ცოცხალი არსება ივიწყებს თავის ჭეშმარიტ მდგომარეობას და ურთიერთობას უზენაეს უფალთან. დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი არსებები უზენაესი უფლის ერთ-ერთ ენერგიას წარმოადგენენ და როგორც უზენაესის უსასრულოდ მცირე განუყოფელ ნაწილაკებს მათ *ჯივები* ეწოდებათ. თუკი *ჯივები* ხელოვნურად დგებიან უსასრულო უზენაესის დონეზე — რადგან ორივე ბრაჰმანი, ანუ სულია — ამას აუცილებლად მათი გაბრიყვება მოჰყვება შედეგად.

როგორც წესი, მაჰაკვადი ფილოსოფოსები იბნევიან განსწავლული ვაიშნავის წინაშე, რადგან მაჰაკვადებს არ შეუძლიათ ცოცხალ არსებათა ტყვეობის მიზეზთა ახსნა. ისინი უბრალოდ ამბობენ: „ეს უგუნურების ბრალია", მაგრამ ვერ ხსნიან, რატომ დაიფარნენ ცოცხალი არსებები უგუნურებით, თუკი უზენაესი არიან. ჭეშმარიტი მიზეზი ის გახლავთ, რომ ცოცხალი არსებები, თუმცა თვისობრივად უზენაესის ტოლნი გახლავან, უსასრულოდ მცირენი არიან და არა უსასრულოები. ისინი რომ უსასრულონი ყოფილიყვნენ, მათი უგუნურებით დაფარვა შეუძლებელი იქნებოდა. რადგან ცოცხალი არსება უსასრულოდ მცირეა, იგი უმდაბლესი ენერგიით არის დაფარული. მაჰაკვადების სისულელე და უგუნურება აშკარა ხდება, როდესაც ისინი იმის განმარტებას ცდილობენ, თუ როგორ დაიფარა უსასრულო უგუნურებით. უსასრულოსათვის უგუნურების გავლენის ქვეშ მოქცევის თვისების მიწერის მცდელობა შეურაცხყოფას წარმოადგენს.

თუმცა შანკარა თავისი მაჰაკვადური ფილოსოფიით უზენაესი უფლის დაფარვას ცდილობდა, იგი უბრალოდ უზენაესი უფლის ბრძანებას ასრულებდა. უნდა გვესმოდეს, რომ მისი ქადაგება იმ დროისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა და არა მარადიულ ფაქტს. „ვედანტა-სუტრაში" თავიდანვეა აღიარებული განსხვავება ენერგიასა და ენერგიის წყაროს შორის. „ვედანტა-სუტრაში" პირველი აფორიზმი (*ჯანმადი ასია*) გარკვევით განმარტავს, რომ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება ყოველი ემანაციის სათავე ან წყაროა. მაშასადამე, ეს ემანაციები უზენაესის ენერგიაა, თავად უზენაესი კი ენერგიის წყაროს წარმოადგენს. შანკარას მოჰყავდა მცდარი არგუმენტი, რომ თუკი ენერგიის გარდაქმნას ვაღიარებთ, უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება უცვლელი ვერ იქნება. მაგრამ ეს მართალი არ არის. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ენერგია მუდამ დაუსრულებლად მოედინება, უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება ყოველთვის ერთი და

იგივე რჩება. მასზე არ მოქმედებს ენერგიათა უსასრულო ემანაცია. ამიტომ შანკარაჩარიამ არამართებულად დაასაბუთა თავისი ილუზიის თეორია.

რამანუჯაჩარიამ მშვენივრად განიხილა ეს საკითხი: „თუკი ამტკიცებთ, რომ ამ მატერიალური სამყაროს შექმნამდე მხოლოდ ერთი აბსოლუტური ჭეშმარიტება არსებობდა, მაშინ როგორღა წამოვიდა მისგან ცოცხალი არსება? თუკი იგი მარტო იყო, როგორ შექმნა ან წარმოქმნა უსასრულოდ მცირე ცოცხალი არსებები?“ ამ კითხვაზე *ვედები* პასუხობს, რომ ყველაფერი აბსოლუტური ჭეშმარიტებისგან წარმოიქმნა, ყველაფერს აბსოლუტური ჭეშმარიტება ასულდგმულებს და განადგურების შემდეგ ყველაფერი აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში შედის. ამ განაცხადიდან ნათელი ხდება, რომ განთავისუფლების მიღწევის შემდეგ ცოცხალი არსებები უზენაეს ყოფიერებაში შედიან და არ იცვლიან თავიანთ თავდაპირველ კონსტიტუციურ მდგომარეობას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ უზენაეს უფალს თავისი შემოქმედებითი ფუნქცია აქვს და რომ უსასრულოდ მცირე ცოცხალ არსებებსაც თავიანთი შემოქმედებითი ფუნქციაც გააჩნიათ. არ არის მართალი, რომ განთავისუფლების შემდეგ ისინი თავიანთ შემოქმედებით ფუნქციას კარგავენ და მატერიალური სხეულის მოსპობის შემდეგ უზენაესში შედიან. პირიქით, ცოცხალი არსების შემოქმედებითი ფუნქცია განთავისუფლებულ მდგომარეობაში სწორად მჟღავნდება. თუკი ცოცხალი არსებების მოქმედებები მატერიალურ განპირობებულ მდგომარეობაში ვლინდება, მაშინ როგორ შეწყდება მისი მოქმედებები განთავისუფლების მიღწევის შემდეგ? ცოცხალი არსების განთავისუფლებულ მდგომარეობაში შესვლა შეიძლება შევადაროთ ჩიტის ხეში შეფრენას, ცხოველის ტყეში შესვლას, ან თვითმფრინავის ცაში აფრენას. პიროვნულობა არც ერთ შემთხვევაში არ იკარგება.

„ვედანტა-სუტრას“ პირველი აფორიზმის განხილვისას

შანკარამ უაღრესად უცერემონიოდ სცადა განემარტა, რომ ბრაჰმანი, ანუ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება უპიროვნოა. იგი აგრეთვე ეშმაკურად ეცადა თანაპროდუქტის მოძღვრების ცვლილების მოძღვრებად შეცვლას. უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტებისთვის ცვლილება არ არსებობს. უბრალოდ მოქმედების მისი წარმოუდგენელი ძალები თანაპროდუქტის წარმოქმნას იწვევენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფარდობითი ჭეშმარიტება უზენაესი ჭეშმარიტებისგან წარმოიქმნება. როდესაც დაუმუშავებელი შეშისგან კეთდება სკამი, ამბობენ, რომ თანაპროდუქტი წარმოიქმნა. უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება, ბრაჰმანი, უცვლელია და როდესაც თანაპროდუქტს ვპოულობთ — ცოცხალ არსებას ან ამ კოსმოსურ გამოვლინებას — ეს უზენაესის გარდაქმნა, ანუ თანაპროდუქტი გახლავთ. ეს რძის ჟოგურტად გარდაქმნას ჰგავს. ამგვარად, თუკი კოსმოსურ გამოვლინებაში ცოცხალ არსებებს შევისწავლით, აღმოვაჩენთ, რომ ისინი არ განსხვავდებიან თავდაპირველი აბსოლუტური ჭეშმარიტებისგან, მაგრამ ვედური ლიტერატურიდან ვხვდებით, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მრავალფეროვანი ენერგიები აქვს და რომ ცოცხალი არსებები და კოსმოსური გამოვლინება მისი ენერგიების გამომჟღავნებაა მხოლოდ. ენერგიები არ არის ენერგიის წყაროსგან განცალკევებული; ამიტომ ცოცხალი არსება და კოსმოსური გამოვლინება განუყოფელი ჭეშმარიტებებია, აბსოლუტური ჭეშმარიტების ნაწილები. ყოველმა საღად მოაზროვნე ადამიანმა უნდა აღიაროს ეს დასკვნა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და ფარდობითი ჭეშმარიტების შესახებ.

უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას თავისი წარმოუდგენელი პოტენცია აქვს, რომლისგანაც ეს კოსმოსი ვლინდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება ინგრედიენტია, ცოცხალი არსება და კოსმოსური გამოვლინება კი — თანაპროდუქტები. „ტაიტტირიჲა უპანიშადში“ გარკვევითაა ნათქვამი: ჲატო

ვა იმანი ბჰუტანი ჯანანტე — „აბსოლუტური ჭეშმარიტება ყოველი ინგრედიენტის თავდაპირველი საცავია და ეს მატერიალური სამყარო და მისი ცოცხალი არსებები ამ ინგრედიენტებისგან არის წარმოქმნილი“.

უგუნური ადამიანები, რომელთაც არ ესმით თანაპროდუქტის ეს მოძღვრება, ვერ ხვდებიან, როგორ არიან კოსმოსური გამოვლინება და ცოცხალი არსება ერთდროულად აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან ერთიანი და ამავე დროს განსხვავებული. რადგან ადამიანს ამის გაგების უნარი არ შესწევს, შიშის გამო მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს კოსმოსური გამოვლინება და ცოცხალი არსებები ილუზორულია. შანკარაჩარიას მოჰყავს მაგალითი, რომ ადამიანს თოკი გველში ეშლება, ზოგჯერ კი ხამანწკას ნიჟარის ოქროში შეშლის მაგალითი არის მოყვანილი, მაგრამ ცხადია, ასეთი არგუმენტები მოტყუების საშუალებებს წარმოადგენს. როგორც „მანდუკია უპანიშადშია“ ნათქვამი, თოკის გველში და ხამანწკას ნიჟარის ოქროში შეშლის მაგალითებს თავიანთი დანიშნულება აქვს და ასე უნდა იქნას გაგებული. როდესაც ადამიანი საკუთარ თავს მატერიალურ სხეულთან აიგივებს, შეიძლება ითქვას, რომ მას თოკი გველში, ან ხამანწკა ოქროში ეშლება. გარდაქმნის მოძღვრება მაშინ მიიღება, როდესაც ერთი საგანი ნიჟარა მეორე საგანში გვეშლება. სინამდვილეში სხეული ცოცხალი არსება არ არის, მაგრამ გარდაქმნის მოძღვრება სხეულს ცოცხალ არსებად აღიარებს. ყოველი განპირობებული სული უდაოდ გაბინძურებულია გარდაქმნის ამ მოძღვრებით.

ცოცხალი არსების განპირობებული მდგომარეობა მის ავადმყოფურ მდგომარეობას წარმოადგენს. თავდაპირველად, ცოცხალი არსება და ამ კოსმოსური გამოვლინების თავდაპირველი მიზეზი გარდაქმნის მდგომარეობის მიღმა იმყოფება. მაგრამ როდესაც იგი უზენაესი უფლის წარმოუდგენელ ენერგიებს ივიწყებს, შეიძლება მცდარმა აზრებმა და არგუმენტებმა შეიპყროს. ამის მრავალი მაგალი-

თი არსებობს მატერიალურ სამყაროშიც. მზე უხსოვარი დროიდან უსასრულო ენერგიას ასხივებს და ამდენი თანაპროდუქტი მზისგან წარმოიქმნება; მიუხედავად ამისა, თავად მზის სითბო და ტემპერატურა არ იცვლება. მართალია, მზე მატერიალური თანაპროდუქტია, მას მაინც შეუძლია თავისი თავდაპირველი ტემპერატურის შენარჩუნება და მაინც ამდენი თანანაწარმის წარმოქმნა. მაშ განა გაუჭირდება უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას უცვლელად დარჩენა, მიუხედავად იმისა, რომ მისი წარმოუდგენელი ენერგიით ამდენი თანაპროდუქტი წარმოიქმნება? ამრიგად, როდესაც უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ვსაუბრობთ, გარდაქმნაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ვედურ ლიტერატურაში მოცემულია ცნობები „ფილოსოფიურ ქვად“ წოდებული მატერიალური პროდუქტის შესახებ, რომლის შეხებითაც კი რკინა ოქროდ გარდაიქმნება. ფილოსოფიურ ქვას შეუძლია ურიცხვი ოდენობით ოქრო წარმოქმნას და მაინც უცვლელი დარჩეს. მხოლოდ უგუნურების გამო შეიძლება მაჲავაჲდთა დასკვნის აღიარება იმის თაობაზე, რომ ეს კოსმოსური გამოვლინება და ცოცხალი არსებები ყალბი ან ილუზორულია. არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ მიაწერს უგუნურებასა და ილუზიას უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც ყველაფერში აბსოლუტურია. მასში ცვლილების, უგუნურებისა ან ილუზიის არსებობა გამორიცხულია. უზენაესი ბრაჰმანი ტრანსცენდენტულია და სრულიად განსხვავდება ყოველგვარი მატერიალური წარმოდგენებისაგან. უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში ყოველგვარი წარმოუდგენელი ენერგია არსებობს. „შვეტაშვატარა უპანიშადში“ ნათქვამია, რომ ღმრთეების უზენაესი აბსოლუტური პიროვნება აღსავსეა წარმოუდგენელი ენერგიებით და რომ ასეთი ენერგიები სხვას არავის გააჩნია.

უზენაესის წარმოუდგენელი ენერგიების არასწორად გაგების გამო ადამიანმა შეიძლება მცდარად დაასკვნას, რომ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება უპიროვნოა.

ასეთ მცდარ დასკვნას ცოცხალი არსება ავადმყოფობის მწვავე სტადიაში განიცდის. „შრიმად-ბჰაგავატამშიც“ დამტკიცებულია, რომ უზენაეს *ატმას*, უფალს, წარმოუდგენელი და ურიცხვი ენერგიები აქვს (ბჰაგ. 3.33.3). „ბრაჰმა-სუტრაშიც“ ნათქვამია, რომ უზენაეს სულს უსასრულოდ მრავალფეროვანი და წარმოუდგენელი ენერგიები გააჩნია. არც ის უნდა იფიქროს ვინმემ, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში რაიმე უგუნურება შეიძლება არსებობდეს. უგუნურება და ცოდნა ამ ორმაგობის სამყაროს კატეგორიებია, მაგრამ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში არავითარი ორმაგობა არ არსებობს. უბრალოდ სისულელეა იმის ფიქრი, რომ აბსოლუტი უგუნურებითაა დაფარული. თუკი აბსოლუტური ჭეშმარიტება შეიძლება უგუნურებით დაიფაროს, როგორ უნდა ვთქვათ, რომ იგი აბსოლუტია? აბსოლუტის წარმოუდგენლობის გაგება ორმაგობის საკითხის ერთადერთი ამოხსნა გახლავთ. ამის მიზეზი ისაა, რომ ორმაგობა აბსოლუტის წარმოუდგენელი ენერგიისგან აღმოცენდება. თავისი წარმოუდგენელი ენერგიებით უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას შეუძლია უცვლელი დარჩეს და მაინც წარმოქმნას ეს კოსმოსური გამოვლინება მთელ ცოცხალ არსებებთან ერთად, ისევე, როგორც ფილოსოფიურ ქვას შეუძლია უსასრულო ოდენობით ოქროს წარმოქმნა და მაინც უცვლელად დარჩენა. რადგან აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ასეთი წარმოუდგენელი ენერგიები აქვს, უგუნურების მატერიალური თვისება ვერ ეხება მას. აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში არსებული ჭეშმარიტი მრავალფეროვნება მისი წარმოუდგენელი ენერგიის პროდუქტი გახლავთ. სინამდვილეში დარწმუნებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეს კოსმოსური გამოვლინება მისი წარმოუდგენელი ენერგიების თანაპროდუქტია მხოლოდ. თუკი უზენაესი უფლის წარმოუდგენელ ენერგიებს ვაღიარებთ, ვნახავთ, რომ საერთოდ არავითარი ორმაგობა არ არსებობს. უზენაესი უფლის ენერგიის ექსპანსია ისევე ჭეშმარიტია, როგორც უზენაესი უფალი.

რაც შეეხება სულიერი ენერგიის გამოვლინებას, გარდაქმნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეიძლება იგივე მაგალითის მოყვანა: ურიცხვი ოდენობის ოქროს წარმოქმნის მიუხედავად ფილოსოფიური ქვა მაინც იგივე რჩება. ამიტომ ბრძენებს უთქვამთ, უზენაესი ამ კოსმოსური გამოვლინების ინგრედიენტი ან მიზეზიაო.

სინამდვილეში თოკისა და გველის მაგალითი მთლად არამართებული არ არის. როდესაც თოკს გველად მივიჩნევთ, უნდა გვესმოდეს, რომ უწინ გველის არსებობაც გამოგვიცდია. თუ არა და, როგორ შეიძლება თოკის გველში შეშლა? მაშასადამე, წარმოდგენა გველის შესახებ თავისთავად მცდარი ან არარეალური არ არის. არამართალი ან არარეალური მხოლოდ ცრუ გაიგივებაა. თოკის გველად მიჩნევა ჩვენი უგუნურების ბრალია. მაგრამ თავად გველის არსებობის იდეა უგუნურება არ არის. როდესაც უდაბნოში მირაჟს წყლად მივიჩნევთ, ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ წყლის ცნება მცდარია. წყლის არსებობა ფაქტს წარმოადგენს, მაგრამ შეცდომა იქნება, თუკი ვიფიქრებთ, რომ უდაბნოში წყალი არსებობს.

ამრიგად, შანკარაჩარიას მტკიცებების საწინააღმდეგოდ, კოსმოსური გამოვლინება ყალბი არ არის. სინამდვილეში აქ არაფერია ყალბი. მაჰაკავადები თავიანთი უგუნურების გამო ამბობენ, ეს სამყარო ყალბიაო. ვაიშნავთა ფილოსოფიის დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ეს კოსმოსური გამოვლინება არის უზენაესი უფლის წარმოუდგენელი ენერგიების თანაპროდუქტი.

ძირითადი სიტყვა *ვედებში* — „პრანავა ომკარა“, უზენაესი უფლის ბგერითი განსახიერებაა. ამიტომ *ომკარა* უმაღლეს ბგერად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ შანკარაჩარია მცდარად ქადაგებდა, რომ უმაღლესი ვიბრაციები არის *ტატ ტვამ ასი*. *ომკარა* უზენაესი უფლის მთელი ენერგიების წყაროა. შანკარა მცდარად ამტკიცებს, რომ

ვედების უმაღლესი ვიბრაციები არის სიტყვები „ტატ ტვამ ასი“, რადგან *ტატ ტვამ ასი* მხოლოდ მეორეხარისხოვანი სიტყვები გახლავთ. *ტატ ტვამ ასი* მხოლოდ ნაწილობრივ განსახიერებას გულისხმობს. „ბჰაგავად-გიტაში“ (ბ.გ. 8.13, 9.17, 17.24) უფალი მრავალ ადგილას აღნიშნავს *ომკარას* მნიშვნელობას. სწორედ ასევე, *ომკარას* მნიშვნელობა ხაზგასმულია „ათჰარვა ვედასა“ და „მანდუკია უპანიშადში“. „ბჰაგავატ-სანდარბჰაში“ შრილა ჯივა გოსვამი ამბობს: „*ომკარა* უზენაესი უფლის ყველაზე საკრალური ბგერითი განსახიერებაა“. უზენაესი უფლის ბგერითი განსახიერება ან სახელი არ განსხვავდება თავად უფლისაგან. ბგერა *ომკარას* ან ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე ვიბრაციის წარმოთქმით ცოცხალ არსებას ამ მატერიალური სამყაროს სიბინძურისაგან განთავისუფლება შეუძლია. რადგან ტრანსცენდენტულ ბგერათა ასეთ ვიბრაციებს განპირობებული სულის განთავისუფლება ძალუძს, მას *ტარა*, ანუ განმანთავისუფლებელი ჰქვია.

ფაქტია ის, რომ უზენაესი უფლის ბგერითი ვიბრაცია და უზენაესი უფალი იდენტურნი არიან. ეს დადასტურებულია „ნარადა-პანჩარატრაში“:

ვადაკტამ ჰი ბჰაგავან ევა
საკშან-ნარადანჯ სვადამ
აშტაკშარა-სვარუპენა
მუქჰეშუ პარივარტატე

„როდესაც განპირობებული სული ტრანსცენდენტული ბგერის ვიბრაციის პრაქტიკას ეწევა, უზენაესი უფალი მის ენაზე იმყოფება“. „მანდუკია უპანიშადში“ ნათქვამია, რომ *ომკარას* გალობისას ყველაფერი, რაც მატერიალური ჩანს, სრულყოფილად სულიერად აღიქმება. სულიერ

სამყაროში ან სულიერ ხედვაში არაფერია *ომ̇კარას* გარდა, ანუ არსებობს მხოლოდ ერთი *ომ*. სამწუხაროდ, შანკარამ დაკარგა ეს მთავარი სიტყვა „ომ̇კარა“ და თვითნებურად აღიარა *ტატ ტვამ ასი ვედების* უმაღლეს ვიბრაციად. ასეთი მეორეხარისხოვანი სიტყვის აღიარებით და ძირითადი ვიბრაციის უგულვებელყოფით მან უარი თქვა წმინდა წერილთა პირდაპირი მნიშვნელობით განმარტებაზე, რათა თავისი, არაპირდაპირი განმარტება მოეცა.

შრიპადა შანკარაჩარიამ უცერემონიოდ დაფარა „პურუშა-ვედანტა-სუტრაში“ აღწერილი კრშნას ცნობიერება იმით, რომ გამოიგონა არაპირდაპირი და უგულვებელყო პირდაპირი განმარტება. თუკი „ვედანტა-სუტრას“ ყოველ დებულებას მტკიცე ჭეშმარიტებად არ ვაღიარებთ, „ვედანტა-სუტრას“ შესწავლას აზრი არა აქვს. საკუთარი ნებით „ვედანტა-სუტრას“ ლექსების განმარტება უდიდესი ბოროტი სამსახურია *ვედებისა*, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს.

რაც შეეხება *ომ̇კარა პრანავას*, იგი ღმრთეების უზენაესი პიროვნების ბგერით განსახიერებად ითვლება. როგორც ასეთი, *ომ̇კარა* მარადიული, უსასრულო, ტრანსცენდენტული, უზენაესი და ურღვევია. იგი (*ომ̇კარა*) არის დასაწყისი, შუა და დასასრული და იგი დაუსაბამოცაა. როდესაც ადამიანს ასე ესმის *ომ̇კარა*, იგი უკვდავი ხდება. ამრიგად, უნდა ვიცოდეთ, რომ *ომ̇კარა* ყველას გულში მყოფი უზენაესის განსახიერებას წარმოადგენს. ვისაც ესმის, რომ ვიშნუ და *ომ̇კარა* ერთი და იგივე დონეზე იმყოფებიან და ყოვლისგამჭოლნი არიან, არასოდეს გლოვობს მატერიალურ სამყაროში და არც შუდრად რჩება.

თუმცა მას (*ომ̇კარას*) მატერიალური ფორმა არა აქვს, იგი უსასრულოდ ვრცელდება და უსასრულო ფორმა გაჩნია. *ომ̇კარას* გაგებით ადამიანი შეიძლება განთავისუფლდეს მატერიალური სამყაროს ორმაგობისაგან და აბსოლუტურ ცოდნას მიაღწიოს. ამიტომ *ომ̇კარა* უზენაესი უფლის ყველაზე სასიკეთო განსახიერება გახლავთ.

ასეთი აღწერილობა „მანდუკიას უპანიშადშია“ მოცემული. არ შეიძლება უპანიშადში მოცემული აღწერილობის სულელური განმარტება და იმის თქმა, რომ რადგან ღმრთეების უზენაეს პიროვნებას „არ შეუძლია“ ამ მატერიალურ სამყაროში თავისი ფორმით მოსვლა, იგი მის ნაცვლად თავის ბგერით განსახიერებას (*ომკარას*) აგზავნის. ასეთი მცდარი განმარტების გამო *ომკარას* მატერიალურად თვლიან და შესაბამისად არასწორად ესმით *ომკარა* და თაყვანს სცემენ, როგორც უბრალოდ უფლის გამოვლინებას ან სიმბოლოს. სინამდვილეში *ომკარა* უზენაესი უფლის არც ერთი სხვა ინკარნაციისაგან არ განსხვავდება.

უფალს ურიცხვი ინკარნაცია აქვს და *ომკარა* ერთ-ერთი მათგანია. როგორც კრშნა ამბობს „ბჰაგავად-გიტაში“: „ვიბრაციათა შორის მე ვარ მარცვალი *ომ* (ბ.გ. 9.17). ეს იმას ნიშნავს, რომ *ომკარა* არ განსხვავდება კრშნასაგან. მაგრამ იმპერსონალისტები მეტ ყურადღებას უთმობენ *ომკარას*, ვიდრე ღმრთეების პიროვნებას, კრშნას. მაგრამ ფაქტია, რომ უზენაესი უფლის ნებისმიერი ინკარნაცია არ განსხვავდება მისგან. ასეთი ინკარნაცია ან განსახიერება ისევე სულიერია, როგორც უზენაესი უფალი. ამიტომ *ომკარა* მთელი *ვედების* საბოლოო განსახიერებას წარმოადგენს. სინამდვილეში ვედურ *მანტრებს* ან ჰიმნებს ტრანსცენდენტული ფასი იმიტომ აქვთ, რომ ისინი იწყება მარცვლით *ომ*. ვაიშნავები ასე განმარტავენ *ომკარას:* ასო „ა“, მიუთითებს კრშნაზე, ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე; ასო „უ“ მიუთითებს კრშნას მარადიულ მეუღლე შრიმატი რადჰარანიზე; და ასო „მ“ მიუთითებს უზენაესი უფლის მარადიულ მსახურზე, ცოცხალ არსებაზე. შანკარას ამდენი ყურადღება არ დაუთმია *ომკარასთვის*. მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება *ვედებში*, „რამაიანაში“, *პურანებში* და „მაჰაბჰარატაში“. ასეა გამოცხადებული ღმრთეების უზენაესი პიროვნების სიდიადე.

თავი ოცდამეერთე

მაჯავადი ფილოსოფოსების მოქცევა

ამრიგად, უფალმა ჩაიტანჯამ დაგმო „ვედანტა-სუტრას“ არაპირდაპირი ინტერპრეტაციის მცდელობები და იქ მყოფი ყოველი *სანნჯასი* განაცვიფრა მის მიერ მოცემულმა ახსნა-განმარტებამ. პირდაპირი განმარტების მოსმენის შემდეგ ერთ-ერთმა *სანნჯასიმ* მაშინათვე განაცხადა: „ო შრიპადა ჩაიტანჯა, ყველაფერი, რაც შენ გვითხარი *ომკარას* არაპირდაპირი მნიშვნელობით ახსნის შესახებ, უაღრესად სასარგებლოა. მხოლოდ იღბლიან ადამიანს შეუძლია აღიაროს, რომ შენი ახსნა სწორი ახსნაა. სინამდვილეში ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შანკარას მიერ მოცემული ახსნა ხელოვნური და წარმოსახვითია, მაგრამ რადგან შანკარაჩარიას სექტას მივეკუთვნებით, თავისთავად ვაღიარებთ მისი ახსნის სისწორეს. სიხარულით ვისმენთ შენგან პირდაპირი მნიშვნელობით ახსნის გზით „ვედანტა-სუტრას“ შემდგომ განმარტებას“.

ამ თხოვნის შემდეგ, უფალმა ჩაიტანჯამ პირდაპირი მნიშვნელობით განმარტა „ვედანტა-სუტრას“ ყოველი ლექსი. მან განმარტა აგრეთვე სიტყვა ბრაჰმანის მნიშვნელობაც, რომ ბრაჰმანი უდიდესს, ღმრთეების უზენაეს პიროვნებას ნიშნავს. ბრაჰმანი მიუთითებს იმაზე, რომ უდიდესი ექვსი სიდიადით არის აღსავსე: ღმრთეების

უზენაესი პიროვნება მთელი სიმდიდრის, მთელი სახელმოხვეჭილობის, მთელი ძალის, მთელი სილამაზის, მთელი ცოდნისა და მთელი განდეგილობის წყაროა. დედამიწაზე პირადად ყოფნისას უფალმა კრშნამ სრულად გამოავლინა ეს ექვსი სიდიადე. არავინ იყო უფალ კრშნაზე მდიდარი, არავინ იყო მასზე სწავლული, მასზე ლამაზი, მასზე ძლიერი, მასზე სახელმოხვეჭილი და მასზე განდეგილი. ამიტომ უზენაესი პიროვნება, კრშნა უზენაესი ბრაჰმანია. ამას ადასტურებს არჯუნა „ბჰაგავად-გიტაში“ (ბ.გ. 10.12). *პარამ ბრაჰმა პარამ დჰამა* — „შენ ხარ უზენაესი ბრაჰმანი, საბოლოო, უმაღლესი სავანე“. ამიტომ ბრაჰმანი მიუთითებს უდიადესზე, უდიადესი კი ღმრთეების უზენაესი პიროვნება, კრშნა გახლავთ. იგია აბსოლუტური ჭეშმარიტების (*პარა-ტატტვას*) თავშესაფარი, რადგან იგია *პარამ ბრაჰმა*. მის სიდიადეში და სიმდიდრის, სახელმოხვეჭილობის, ძალის, სილამაზის, ცოდნისა და განდეგილობის გამოვლინებებში არაფერია მატერიალური. მთელი ვედური ლექსები და ჰიმნები იმაზე მიუთითებს, რომ მასთან დაკავშირებული ყველაფერი სულიერი და ტრანსცენდენტულია. როდესაც *ვედებში* გვხვდება სიტყვა ბრაჰმანი, უნდა გვესმოდეს, რომ იგულისხმება კრშნა, ღმრთეების უზენაესი პიროვნება. გონიერი ადამიანი მაშინათვე ჩაანაცვლებს სიტყვა ბრაჰმანს სახელით კრშნა.

ღმრთეების უზენაესი პიროვნება ტრანსცენდენტულია მატერიალური ბუნების მოდუსების მიმართ, მაგრამ იგი მთელ ტრანსცენდენტულ ატრიბუტებს ფლობს. უზენაესის უპიროვნოდ აღიარება მისი სულიერი ენერგიების გამოვლინებათა უარყოფას ნიშნავს. თუკი ვინმე ღმრთეების უზენაესი პიროვნების უარყოფის ხარჯზე უბრალოდ სულიერი ენერგიის უპიროვნო გამოვლინებას აღიარებს, სრულად არ იღებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. უზენაესის სრულად აღიარება ნიშნავს აღიარებას სულიერი

მრავალფეროვნებისა, რომელიც ტრანსცენდენტულია მატერიალური ბუნების მოდუსების მიმართ. რადგან იმპერსონალისტებს არ შეუძლიათ ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე ლაპარაკი, მათი კონცეფცია არასრულია.

ღმრთეების უზენაესი პიროვნების, კრშნას შეცნობის აღიარებული მეთოდი არის ერთგული სამსახურის გზა, რაც ყოველ ვედურ წმინდა წერილშია დამტკიცებული. უფლის ერთგული სამსახური მის შესახებ მოსმენით იწყება. ერთგულ სამსახურში ცხრა სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რომელთაგან მთავარი მოსმენა გახლავთ. მოსმენა, გალობა, გახსენება და თაყვანისცემა — ყველაფერი ეს ღმრთეების უზენაესი პიროვნების გაგების გზით უმაღლესი სრულყოფილების მისაღწევად გამოიყენება. ამ პროცესს, რომლის საშუალებითაც ღმრთეების უზენაესი პიროვნების შეცნობა ხდება, ეწოდება *აბჰიდჰედა*, განპირობებულ ცხოვრებაში ერთგული სამსახურის პრაქტიკა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კრშნას ცნობიერების დაწყებისას ადამიანს არ მოსწონს სხვა სახის ცნობიერებაში გადასვლა. კრშნას ცნობიერება კრშნას, ღმრთეების უზენაესი პიროვნების სიყვარულის განვითარებაა და ეს ადამიანის ინტერესის მეხუთე განზომილებას წარმოადგენს. როდესაც ადამიანი ჭეშმარიტად მოჰკიდებს ხელს ტრანსცენდენტული სამსახურის ამ პროცესს, იგი უშუალოდ დაუკავშირდება კრშნასთან თავისი ურთიერთობით. კრშნასთან ორმხრივი ტრანსცენდენტული ურთიერთობის დამყარებისას, თანდათანობით კრშნა ერთგულის პირადი თანამგზავრი ხდება. მაშინ ერთგული მარადიულად ტკბება ნეტარი სიცოცხლით. ამიტომ „ვედანტა-სუტრას“ დანიშნულებაა, აღადგინოს ცოცხალი არსების დაკარგული ურთიერთობა უზენაეს უფალთან და საშუალება მისცეს, შეასრულოს ერთგული სამსახური და საბოლოოდ სიცოცხლის საბოლოო მიზანს, ღმრთეების სიყვარულს

მიაღწიოს. ასეთია „ვედანტა-სუტრას“ ჭეშმარიტი დანიშნულება.

მას შემდეგ რაც უფალმა ჩაიტანიამ ლექსთა პირდაპირი მნიშვნელობით ახსნის გზით განმარტა „ვედანტა-სუტრა“, თავყრილობაში პრაკაშანანდა სარასვატის მთავარი მოწაფე წამოდგა და აქებდა უფალ ჩაიტანიას, როგორც ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, ნარაიანას. მან არა მხოლოდ ძალიან მოიწონა უფალი ჩაიტანიას მიერ „ვედანტა-სუტრას“ განმარტება, არამედ საჯაროდ განაცხადა, *უპანიშადებისა* და „ვედანტა-სუტრას“ პირდაპირი ახსნა-განმარტებები იმდენად ტკბილია, რომ თავი დავივიწყეთ და დაგვავიწყდა, რომ მაჰავიდთა სექტას მივეკუთვნებითო. ამრიგად, აქ აღიარებულია, რომ *უპანიშადებისა* და „ვედანტა-სუტრას“ შანკარაჩარიასეული ყოველი განმარტება წარმოსახვითია. სექტანტური შუღლის გამო შეიძლება ზოგჯერ ვაღიაროთ ასეთი წარმოსახვითი განმარტებები, მაგრამ სინამდვილეში ისინი არ მოგვწონს. უბრალოდ *სანნიასას* მიღებით ადამიანი არ განთავისუფლდება მატერიალური ხლართებისაგან. მიუხედავად ამისა, თუკი ჭეშმარიტად გავიგებთ უფალი ჩაიტანიას მიერ მოცემულ განმარტებებს, ეს დიდად დაგვეხმარება. მაგალითად, როდესაც უფალი ჩაიტანია განმარტავს სიტყვებს *ჰარერ ნამა ჰარერ ნამა ჰარერ ნამაივა კევალამ*, ყველა კმაყოფილია, რადგან ფაქტია, რომ ერთგულ სამსახურს ვერაფერი შეედრება. ერთგული სამსახურის გარეშე ვერავინ განთავისუფლდება მატერიის კლანჭებისაგან. უბრალოდ ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს გალობით უმაღლესი განთავისუფლება მიიღწევა, განსაკუთრებით კი ამ ეპოქაში. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.14.4) ნათქვამია, რომ როდესაც პიროვნება ტოვებს ერთგული სამსახურის გზას და უბრალოდ ცოდნის შესაძენად შრომობს, ვერაფერს

იღებს, გარდა იმ უსიამოვნებისა, რომელსაც მატერიასა და სულს შორის არსებული განსხვავების შესწავლისას განიცდის. ცარიელი თავთავებისგან ხორბლის მიღების მცდელობა ფუჭი გახლავთ. ამრიგად, „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.2.32) ნათქვამია, რომ ვინც უზენაესი უფლის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურს ტოვებს და ზედაპირულად თვლის საკუთარ თავს განთავისუფლებულად, ვერასოდეს აღწევს განთავისუფლებას. დიდი შრომის, ასკეტიზმისა და ეპითიმიის წყალობით, იგი შეიძლება განთავისუფლების უმაღლეს საფეხურზე ავიდეს, მაგრამ უზენაესი უფლის ლოტოსის ტერფთა თავშესაფრის უქონლობის გამო კვლავ მატერიალურ სიბინძურეში ვარდება.

უზენაესი ბრაჰმანის უპიროვნოდ აღიარება შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ღმრთეების უზენაესი პიროვნების კუთვნილ ექვს სიდიადეს ბრაჰმანს ვერ მივაწერთ. მთელი *ვედები* და *პურანები* ადასტურებს იმას, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება სულიერი ენერგიებით სავსეა, მაგრამ სულელი ხალხი უბრალოდ უარყოფს ამას და დასცინის მის საქმიანობებს. ისინი არასწორად განმარტავენ კრშნას ტრანსცენდენტულ სხეულს როგორც მატერიალური ბუნების ქმნილებას, რაც უდიდეს შეურაცხყოფად და უდიდეს ცოდვად ითვლება. ადამიანმა უბრალოდ უნდა აღიაროს უფალი ჩაიტანიას სიტყვები, რომლითაც მან პრაკაშანანდა სარასვატისა და სხვა მაჰაკავად *სანნიასებს* მიმართა.

უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების ინდივიდუალური პიროვნება დახასიათებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“ (3.9.3–4): „ო უზენაესო უფალო, ტრანსცენდენტული ფორმა, რომელსაც მე ვხედავ, ტრანსცენდენტული სიამოვნების განსახიერებაა. იგი მარადიულია და მატერიალურ მოდუსთა სიბინძურეს მოკლებული. იგი აბსოლუტური ჭეშმარიტების უდიდესი გამოვლინებაა და სიკაშკაშითაა სავსე. ო სამყაროს სულო, შენ ხარ ამ კოსმოსური გამოვლინებისა და მთელი მატერიალური ელემენტების

შემოქმედი. მე ვენდობი შენს ტრანსცენდენტულ ფორმას, ო კრშნ! სამყაროს კეთილისმოსურნევ! შენს თავდაპირველ პიროვნულ ფორმაში მოეევლინე, რათა ჩვენ თაყვანი გცეთ და მედიტაციით ან უშუალო თაყვანისცემით აღგიქვათ. მატერიალური ბუნებით გაბინძურებული სულელი ადამიანები ყურადღებას არ აქცევენ შენს ტრანსცენდენტულ ფორმას და ამიტომაც ჯოჯოხეთში ეშვებიან".

ეს დადასტურებულია „ბჰაგავად-გიტაშიც":

ავაჯანანტი მამ მუდჰა
მანუშიმ ტანუმ აშრიტამ
პარამ ბჰავამ აჯანანტო
მამა ბჰუტა-მაჰეშვარამ

„სულელები დამცინიან, როდესაც ადამიანის სახით ვეშვები. მათ არ იციან ჩემი ტრანსცენდენტული ბუნება და ჩემი უმაღლესი განმგებლობა ყოველივე არსებულზე" (ბ.გ. 9.11).

სულელი და დემონური ხალხი რომ ჯოჯოხეთის პლანეტებზე მიემგზავრება „ბჰაგავად-გიტაში" ესეც დადასტურებულია:

ტან აჰამ დვიშატაჰ კრურან
სამსარეშუ ნარადჰამან
კშიპამი აჯასრამ აშუბჰან
ასურიშვ ევა ჯონიშუ

„შურიანებსა და ბოროტებს, რომელნიც უმდაბლესნი არიან ადამიანთა შორის, მატერიალური ყოფიერების ოკეანეში, სხვადასხვა სახის დემონურ სახეობებში ვაგდებ" (ბ.გ. 16.19).

თანაპროდუქტების, *პარიჭამა-ვადას* მოძღვრება „ვედანტა-სუტრას" დასაწყისშივე დასტურდება, მავრამ შანკარაჩარიამ ზედაპირულად სცადა ამის დამალვა და გარდაქმნის თავისი მოძღვრების, *ვივარტა-ვადას* დამყარება.

იმის გამბედაობაც ეყო, განეცხადებინა, ვიშსა შეცდომას უშვებსო. მთელი ვედური ლიტერატურა, მათ შორის *პურანები*, ამტკიცებს, რომ უზენაესი უფალი მთელი სულიერი ენერგიებისა და მრავალფეროვნების ამომავალი ცენტრია. გაყოყოჩებული და არაკომპეტენტური მაჰავიდ ფილოსოფოსი ვერ ხვდება მრავალფეროვნებას სულიერ ენერგიაში. ამიტომაც მცდარად ჯერა, რომ სულიერი მრავალფეროვნება არაფრით განსხვავდება მატერიალური მრავალფეროვნებისგან. ამ მცდარი რწმენით მოტყუებული მაჰავიდები დასცინიან ღმრთეების უზენაესი პიროვნების გართობებს. ასეთი სულელი ხალხი, რომელსაც არ ესმის უზენაესი უფლის სულიერი საქმიანობები, კრშნას ამ მატერიალური ბუნების პროდუქტად მიიჩნევს. ეს უდიდესი შეურაცხყოფაა, რომელიც ადამიანმა შეიძლება დაუშვას. ამიტომ უფალმა ჩაიტანდამ დაასაბუთა, რომ კრშნა არის *საჩ-ჩიდ-ანანდა-ვიგრაჰა*, — მარადისობის, ცოდნისა და ნეტარების ფორმა და რომ იგი მუდამ დაკავებულია თავისი ტრანსცენდენტული გართობებით, რომელშიც ყოველგვარ სულიერ მრავალფეროვნებას ვხვდებით.

პრაკაშანანდას მოწაფემ შეაჯამა უფალი ჩაიტანდას ახსნა-განმარტებები და დაასკვნა: „ფაქტიურად ჩვენ მივატოვეთ სულიერი შემეცნების გზა. უბრალოდ უაზრო საუბრებს ვეწევით. მაჰავიდი ფილოსოფოსები, რომელთაც სერიოზულად სურთ წარმატების მიღწევა, ერთგულად უნდა ემსახურონ კრშნას, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ უსარგებლო არგუმენტებით ერთობიან. ჩვენ ვაღიარებთ, რომ შანკარაჩარიას ახსნა-განმარტებები კარგავს ვედური ლიტერატურის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. მხოლოდ უფალი ჩაიტანდას მიერ მოცემული ახსნა-განმარტებებია მისაღები. ყოველი სხვა ინტერპრეტაცია უსარგებლოა“.

საკუთარი შეხედულების გამოთქმის შემდეგ პრაკაშანანდა სარასვატის მთავარმა მოწაფემ დაიწყო გალობა: ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე

რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე. ამის მხილველმა პრაკაშანანდა სარასვატიმ აღიარა შანკარაჩარიას ნაკლი და თქვა: „რადგან შანკარაჩარიას მონიზმის მოძღვრების დამყარება სურდა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, განსხვავებული სახით უნდა განემარტა „ვედანტა-სუტრა“. თუკი ადამიანი ღმრთეების უზენაეს პიროვნებას აღიარებს, მონიზმის მოძღვრების დამყარება გამოირიცხება. ამიტომ საერო განათლების მეშვეობით შანკარაჩარიამ „ვედანტა-სუტრას“ ჭეშმარიტი მნიშვნელობის დამალვა სცადა. არა მხოლოდ შანკარაჩარია, არამედ ყოველი ავტორიც, საკუთარი შეხედულების გამოხატვას რომ ცდილობს, „ვედანტა-სუტრას“ არასწორ ინტერპრეტაციას იძლევა“.

ამრიგად, უფალმა ჩაიტანიამ „ვედანტა-სუტრას“ პირდაპირი მნიშვნელობა მოგვცა. არაპირდაპირი მსჯელობებისთვის არც ერთი ვედური ნაწარმოების გამოყენება არ შეიძლება. შანკარაჩარიას გარდა თავიანთი ათასგვარი ფილოსოფიური სპეკულაციები სხვა მატერიალისტმა ფილოსოფოსებმაც წამოაყენეს, როგორებიც არიან კაპილა, გაუტამა, აშტავაკრა და პატანჯალი. მართლაც, ფილოსოფოსმა ჯაიმინიმ და მისმა მიმდევრებმა, რომლებიც მეტნაკლებად ლოგიკოსები არიან, დაივიწყეს *ვედების* ჭეშმარიტი მნიშვნელობა (ერთგული სამსახური) და სცადეს დაემყარებინათ აზრი, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება მატერიალურ სამყაროზეა დამოკიდებული. სწორედ მათ გამოთქვეს იდეა, რომ თუკი ღმერთი არსებობს, იგი კმაყოფილი უნდა იყოს ადამიანით და ყოველი სასურველი შედეგი მისცეს მას იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი უბრალოდ კარგად შეასრულებს თავის მატერიალურ საქმიანობებს. სწორედ ასევე, ათეისტი კაპილაც ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ არ არსებობს ღმერთი, რომელმაც მატერიალური სამყარო შექმნა. კაპილამ იმის დადასტურებაც სცადა, რომ სამყარო მატერიალურ ელემენტთა კომბინაციამ შექმნა. სწორედ ასევე, გაუტამამ და კანადამაც ყურადღება გაამახვილეს თეორიაზე, რომლის

თანახმადაც სამყარო მატერიალურ ელემენტთა იღბლიანი კომბინაციის შედეგად შეიქმნა და სცადეს იმის დამტკიცება, რომ სამყაროს შექმნის საწყისს ატომური ენერგია წარმოადგენს. სწორედ ასევე, იმპერსონალისტებმა და მონისტებმა, როგორიცაა აშტავაკრა, სცადეს დაესაბუთებინათ, უზენაესი იმპერსონალურ სიკაშკაშეს (*ბრაჰმაჯიოტის*) წარმოადგენსო. პატანჯალიმ, *იოგას* სისტემის ერთ-ერთმა უდიდესმა ავტორიტეტმა, უზენაესი უფლის წარმოსახვითი ფორმის წარმოდგენა სცადა.

საბოლოო ჯამში, უნდა გვესმოდეს, რომ თავიანთი გამოგონილი ფილოსოფიების წამოყენებით ყოველი მატერიალისტი ფილოსოფოსი ცდილობდა ღმრთეების უზენაესი პიროვნებისათვის გვერდის ავლას. მაგრამ ვიშსადევამ, დიადმა ბრძენმა და ღმრთეების ინკარნაციამ, ბოლომდე შეისწავლა მთელი ეს ფილოსოფიური სპეკულაციები და საპასუხოდ შეადგინა „ვედანტა-სუტრა“, რომელიც ადასტურებს ცოცხალ არსებასა და ღმრთეების უზენაეს პიროვნებას შორის ურთიერთობას, იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ერთგული სამსახური საბოლოო ჯამში ღმრთეების სიყვარულის მისაღწევად. ლექსი *ჯანმადი ასია ბატაჰ*, რომელიც „ვედანტა-სუტრას“ დასაწყისში გვხვდება, განმარტებულია ვიშსადევას „შრიმად-ბჰაგავატამში“. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ვიშსადევა თავიდანვე ამტკიცებს, რომ ყველაფრის უმაღლესი წყარო არის ცნობიერი, ტრანსცენდენტული პიროვნება.

იმპერსონალისტი ცდილობს ახსნას, რომ უზენაესი უფლის უპიროვნო სიკაშკაშე (*ბრაჰმაჯიოტი*) მატერიალური ბუნების ამ მოდუსებს მიღმა იმყოფება, მაგრამ ამავე დროს იმის დამტკიცებასაც ცდილობს, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება მატერიალური ბუნების მოდუსებით არის გაბინძურებული. „ვედანტა-სუტრა“ ამტკიცებს, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება არა მხოლოდ

ტრანსცენდენტულია მატერიალური ბუნების მოდუსთა მიმართ, არამედ ურიცხვი ტრანსცენდენტული თვისება და ენერგიაც აქვს. ამ ათასგვარ სპეკულაციურ ფილოსოფოსს ის აერთიანებს, რომ ისინი უარყოფენ უზენაესი უფლის, ვიშნუს არსებობას და ძლიერ სწადიათ საკუთარი თეორიების გავრცელება და ხალხის მიერ აღიარების მოპოვება. უიღბლო ხალხს ხიბლავენ ეს ათეისტი ფილოსოფოსები, ამიტომაც ისინი ვერასოდეს ხვდებიან აბსოლუტური ჭეშმარიტების ნამდვილ ბუნებას. გაცილებით უკეთესია დიადი სულების (*მაჰაჯანების*) ნაკვალევის გაყოლა. „შრიმად-ბჰაგავატამის“ თანახმად, არსებობს თორმეტი *მაჰაჯანა*, ანუ დიადი სული. აი ისინიც: (1) ბრაჰმა, (2) უფალი შივა, (3) ნარადა, (4) ვაივასვატა მანუ, (5) კაპილა (არა ათეისტი, არამედ თავდაპირველი კაპილა), (6) კუმარები, (7) პრაჰლადა, (8) ბჰიშმა, (9) ჯანაკა, (10) ბალი, (11) შუკადევა გოსვამი, და (12) ადამარაჯა. „მაჰაბჰარატას“ მიხედვით, აბსოლუტური ჭეშმარიტების თაობაზე კამათს აზრი არა აქვს, რადგან იმდენი ვედური წმინდა წერილი და ფილოსოფიური გაგება არსებობს, რომ ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ ეთანხმება მეორეს. რადგან ყველა საკუთარი შეხედულების წამოყენებასა და სხვისი შეხედულების უარყოფას ცდილობს, რელიგიურ პრინციპთა აუცილებლობის გაგება ძალიან ძნელია. ამიტომ ჯობს გავყვეთ დიადი *მაჰაჯანების*, დიადი სულების ნაკვალევს; მაშინ სასურველი წარმატების მიღწევას შევძლებთ. უფალი ჩაიტანიას მოძღვრება ნექტარს ჰგავს და ყოველივე საჭიროს მოიცავს. ყველაზე უკეთესია, ამ გზას დავადგეთ და გავყვეთ.

თავი ოცდამეორე

„შრიმად-ბჰაგავატამი“

მაჯავადი *სანნიასების* ჩაიტანია მაჰაპრაბჰუს გზაზე მოქცევის შემდეგ არა ერთი მეცნიერი და დაინტერესებული ადამიანი ეწვია უფალს ბენარესში. რადგან ჩაიტანია მაჰაპრაბჰუს სახლში სტუმრობა ყველას არ შეეძლო, ხალხი რიგში იყო ჩამწკრივებული, როდესაც იგი ვიშვანათჰასა და ბინდუმადჰავას ტაძარს მიეშურებოდა. ერთ დღეს, როდესაც უფალი თავის თანამგზავრებთან: ჩანდრაშექჰარა აჩარიას, პარამანანდას, ტაპანამიშრას, სანატანა გოსვამისა და სხვებთან ერთად ტაძარს ესტუმრა, იგი მღეროდა:

ჰარაიე ნამაჰ კრშნა იადავაია ნამაჰ
გოპალა გოვინდა რამა შრი-მადჰუსუდანა

სიმღერის, გალობისა და ცეკვის დროს უფალს ათასობით ადამიანი ერტყა გარს და როდესაც უფალი გალობდა, ხალხი ქუხდა. ვიბრაცია იმდენად დამაყრუებელი იყო, რომ სიახლოვეს მჯდომი პრაკაშანანდა სარასვატი თავის მოწაფეებთან ერთად მაშინათვე შეუერთდა ხალხს. როგორც კი უფალი ჩაიტანიას მშვენიერი სხეული და თანამგზავრებთან ერთად მოცეკვავე უფალი იხილა, პრაკაშანანდა სარასვატიც შემოუერთდა და დაიწყო სიმღერა: „ჰარი! ჰარი!“ უფალი ჩაიტანიას ექსტაზური ცეკვის შემყურე ბენარესის ყოველი მაცხოვრებელი სახტად დარჩა. მაგრამ როდესაც მაჯავადი *სანნიასები* იხილა, უფალმა ჩაიტანიამ შეაჩერა თავისი გამუდმებული ექსტაზი და

ცეკვა შეწყვიტა. როგორც კი უფალმა გალობა და ცეკვა შეწყვიტა, პრაკაშანანდა სარასვატი მის ტერფებთან დაემხო. უფალი ჩაიტანდა მის შეკავებას ცდილობდა და თქვა: „ოჰ, შენ მთელი მსოფლიოს სულიერი მოძღვარი, ჯაგადგურუ ხარ, მე კი შენს მოწაფეებსაც კი ვერ შევედრები. ამიტომ ჩემნაირ უმცროსს არ უნდა ეთაყვანებოდე. შენ სწორედ უზენაეს ბრაჰმანს ჰგავხარ და ჩემი ტერფების თაყვანისცემის უფლება რომ მოგცე, დიდ შეურაცხყოფას ჩავიდენ. თუმცა შენ ორმაგობას ვერ ხედავ, ხალხისათვის მაგალითის საჩვენებლად ეს არ უნდა გააკეთო“.

„უწინ შენზე ბევრი ცუდი რამ მითქვამს“, — უპასუხა პრაკაშანანდა სარასვატიმ. „ახლა ჩემი შეურაცხყოფებისგან განთავისუფლების მიზნით შენს ტერფებს ვემთხვევი“. შემდეგ მან მოიყვანა ლექსი ვედური ლიტერატურიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ განთავისუფლებულმა სულმაც კი რომ შეურაცხყოს უზენაესი უფალი, იგი კვლავ მატერიალური უწმინდურების მსხვერპლი გახდება. შემდეგ პრაკაშანანდა სარასვატიმ მოიყვანა კიდევ ერთი ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (10.34.9). ლექსში ნათქვამი იყო, რომ ნანდა მაჰარაჯას შეუტია გველმა, რომელიც უწინ ვიდჰადჰარაჩიტა იყო. როდესაც გველს კრშნას ლოტოსის ტერფები შეეხო, მან თავისი უწინდელი სხეული აღიდგინა და განთავისუფლდა ცოდვითი საქმიანობების შედეგებისგან. როდესაც უფალმა ჩაიტანდამ გაიგონა, რომ მას კრშნას უტოლებდნენ, მაშინათვე უარი განაცხადა. მას ხალხის მასების იმის თაობაზე გაეფრთხილებინა სურდა, რომ არ შეედარებინათ უზენაესი უფალი რომელიმე ცოცხალ არსებას და თუმცა იგი თავად უზენაესი უფალი იყო, ჩვენთვის მაგალითის მოსაცემად პროტესტი გამოთქვა ამ შედარებაზე. ამრიგად, მან თქვა, რომ ვინმეს უზენაეს უფალ კრშნასთან შედარება უდიდესი შეურაცხყოფაა. უფალი ჩაიტანდა მუდამ იმას ადასტურებდა, რომ ვიშნუ, ღმრთეების უზენაესი პიროვნება, დიადია და ცოცხალი არსება რაც არ უნდა დიადი იყოს,

მაინც უსასრულოდ მცირე იქნება. ამასთან დაკავშირებით, მან მოიყვანა ლექსი „პადმა პურაჿადან“, რომელიც მოცემულია ვაიშḥავურ *ტანტრაში* („ჰარი-ბჰაკტი-ვილაჿსა“ 1.73): „პიროვნება, რომელიც უზენაეს უფალს ადარებს უდიდეს ნახევარღმერთებს, როგორებიც ბრაჰმა და შივა არიან, უპირველეს ათეისტად უნდა ჩაითვალოს“.

— მე მესმის, რომ შენ ღმრთეების უზენაესი პიროვნება, კრშḥა ხარ, — გააგრძელა პრაკაშანდა სარასვატიმ, — და თუმცა ერთგულის სახით გვევლინები, მაინც სათაყვანებელი ხარ, რადგან განათლებასა და რეალიზაციაში ყოველ ჩვენგანზე მაღლა იმყოფები. ამიტომ შენი გალანძღვით უდიდესი შეურაცხყოფა ჩავიდინეთ. გთხოვ, გვაპატიე.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ (6.14.5) ნათქვამია, თუ როგორ ხდება ერთგული უდიდესი ტრანსცენდენტალისტი:

მუკტაჿნამ აპი სიდდჰაჿნამ
ნარაḍაḥა-პარაḍაḥ
სუდურლაბჰაḥ პრაშანტატმა
კოტიშუ აპი მაჰამუნე

„არსებობს მრავალი განთავისუფლებული სული და სრულყოფილი სული, მაგრამ ყველა მათგანს შორის საუკეთესო ღმრთეების უზენაესი პიროვნების ერთგული გახლავთ. უზენაესი უფლის ერთგულები მუდამ წყნარები და მშვიდები არიან და მათი სრულყოფილება ძალიან იშვიათად მოიძებნება, მილიონობით პიროვნებას შორისაც კი“. პრაკაშანდამ მოიყვანა კიდევ ერთი ლექსი (ბჰაგ. 10.4.46), სადაც ნათქვამია, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, კეთილდღეობა, დიდება, რელიგია და მაღალი ხელისუფლების მქონეთა წყალობა — ერთგულის შეურაცხყოფით ყველაფერი იკარგება. პრაკაშანდამ მოიყვანა აგრეთვე ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (7.5.32), სადაც ნათქვამია, რომ განპირობებული სულის

ყოველი ეჭვი ღმრთეების უზენაესი პიროვნების ლოტოსის ტერფთა შეხებისთანავე ქრება. მაგრამ ღმრთეების უზენაესი პიროვნების ლოტოსის ტერფთა შეხება შეუძლებელია, თუკი ცოცხალი არსება უფლის წმინდა ერთგულის ლოტოსის ტერფთა მტვერით არ იქნა დალოცვილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი ვერ გახდება ღმრთეების უზენაესი პიროვნების წმინდა ერთგული, თუკი უფლის რომელიმე წმინდა ერთგული არ მოჰფენს წყალობას.

— ახლა მე თავს ვაფარებ შენს ლოტოსის ტერფებს, — თქვა პრაკაშანანდა სარასვატიმ, — რადგან უზენაესი უფლის ერთგულის მდგომარეობამდე ამაღლება მსურს.

ამის თქმის შემდეგ პრაკაშანანდა სარასვატიცა და უფალი ჩაიტანიაც ერთად დასხდნენ. „რაც შენ თქვი მაჰაბავადის ფილოსოფიის ნაკლოვანებათა შესახებ, ჩვენთვისაც ცნობილია, — თქვა პრაკაშანანდამ. „სინამდვილეში ჩვენ ვიცით, რომ ვედური წმინდა წერილების ყოველი მაჰაბავადური კომენტარი მცდარია, განსაკუთრებით კი შანკარაჩარიასი. „ვედანტა-სუტრას“ შანკარაჩარიასეული ინტერპრეტაციები მთლიანად მისი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. შენ „ვედანტა-სუტრასა“ და *უპანიშადების* აფორიზმები საკუთარი შეხედულების თანახმად კი არ განგიმარტავს, არამედ ჭეშმარიტი სახით მოგვეცი. ამიტომ შენი ახსნა-განმარტების მოსმენა ყველას გვესიამოვნა. ასეთნაირად „ვედანტა-სუტრასა“ და *უპანიშადების* აფორიზმებს ღმრთეების უზენაესი პიროვნების გარდა ვერავინ განმარტავს. რადგან შენ უზენაესი უფლის ყოველი პოტენცია გაქვს, გთხოვ, განგვიმარტე „ვედანტა-სუტრა“, რათა სიკეთე ვპოვოთ“.

უფალმა ჩაიტანიამ პროტესტი განაცხადა იმაზე, რომ უზენაეს უფალს უწოდებდნენ და თქვა: „ჩემო ბატონო, მე უბრალო ცოცხალი არსება ვარ. განა შემიძლია „ვედანტა-სუტრას“ ჭეშმარიტი მნიშვნელობის ცოდნა, მაგრამ

მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა იცის ვḍასადევამ, რომელიც ნარაḍაṇას ინკარნაციას წარმოადგენს. საერო კონცეფციების საფუძველზე „ვედანტა-სუტრას“ განმარტება არც ერთ უბრალო ცოცხალ არსებას არ შეუძლია. უსინდისო პიროვნებათა მიერ „ვედანტა-სუტრას“ კომენტარების ნაკადის შესაჩერებლად თავად ავტორმა, ვḍასადევამ უკვე მოგვცა „ვედანტა-სუტრას“ კომენტარები, „შრიმად-ბჰაგავატამი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წიგნის საუკეთესო განმარტება თავად ავტორის მიერ არის დაწერილი. შეუძლებელია ავტორის ჩანაფიქრის გაგება, თუკი თავად ავტორი არ გაგვინდობს მის ნაწერებში ჩაქსოვილ აზრს. ამიტომ „ვედანტა-სუტრა“ უნდა გავიგოთ „შრიმად-ბჰაგავატამის“ საშუალებით, რომელიც „ვედანტა-სუტრას“ ავტორის მიერ დაწერილი კომენტარებია.

პრაṇავა ანუ *ომკარა* მთელი *ვედების* ღვთაებრივ არსს წარმოადგენს. *ომკარა* უფრო დაწვრილებით განმარტებულია *გაḍატრი მანტრაში*, სწორედ ისევე, როგორც „შრიმად-ბჰაგავატამში“. ამასთან დაკავშირებით დაწერილია ოთხი ლექსი, რომელიც თავად უფალმა კრშṇამ განუმარტა ბრაჰმას. თავის მხრივ, ბრაჰმამ იგივე აუხსნა ნარადას, ნარადამ კი — ვḍასადევას. ამრიგად, „შრიმად-ბჰაგავატამის“ ლექსთა შინაარსი მოწაფეობრივი თანმიმდევრობის გზით გადაეცემა. ყველას არ შეუძლია „ვედანტა-სუტრაზე“ საკუთარი სულელური კომენტარების დაწერა და მკითხველის შეცდომაში შეყვანა. ვისაც „ვედანტა-სუტრას“ გაგება სურს, გულდასმით უნდა იკითხოს „შრიმად-ბჰაგავატამი“. ნარადა მუნის დარიგებით ვḍასადევამ „ვედანტა-სუტრას“ განმარტებისათვის „შრიმად-ბჰაგავატამი“ შეადგინა. „შრიმად-ბჰაგავატამის“ წერისას ვḍასადევამ შეკრიბა მთელი *უპანიშადების* არსი, რომლის მნიშვნელობაც „ვედანტა-სუტრაში“ იყო განმარტებული. მაშასადამე, „შრიმად-ბჰაგავატამი“ არის მთელი ვედური

ცოდნის არსი. იმას, რაც განცხადებულია *უპანიშადებში* და ხელმეორედ დადასტურებულია „ვედანტა-სუტრაში“, მშვენივრად განმარტავს „შრიმად-ბჰაგავატამი“.

„იშოპანიშადში“ ვხვდებით „შრიმად-ბჰაგავატამის“ ლექსის (8.1.10) მსგავს ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ რასაც ადამიანი კოსმოსურ გამოვლინებაში ხედავს, მხოლოდ უფლის ენერგიაა და არ განსხვავდება უფლისგან. ამიტომაც უფალი ყოველი ცოცხალი არსების განმგებელი, მეგობარი და ყოვლის მასულდგმულებელია. ჩვენ ღმერთის წყალობით უნდა ვიცხოვროთ და ავიღოთ მხოლოდ ის, რაც ჩვენთვის არის განკუთვნილი. ამრიგად, თუკი სხვის ქონებას არ მივისაკუთრებთ, ცხოვრებაში ბედნიერები ვიქნებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *უპანიშადების*, „ვედანტა-სუტრასა“ და „შრიმად-ბჰაგავატამის“ დანიშნულება ერთსა და იმავეში მდგომარეობს. თუკი ადამიანი გულდასმით შეისწავლის „შრიმად-ბჰაგავატამს“, აღმოაჩენს, რომ მასში მშვენივრად არის განმარტებული ყველაფერი, *რასაც უპანიშადებსა* და „ვედანტა-სუტრაში“ ვხვდებით. „შრიმად-ბჰაგავატამი“ გვასწავლის, როგორ აღვიდგინოთ ჩვენი მარადიული ურთიერთობა უზენაეს უფალთან, როგორ ვიმოქმედოთ ამ ურთიერთობით და, საბოლოო ჯამში, როგორ მივიღოთ მისგან უმაღლესი სიკეთე.

ოთხი ლექსი, დაწყებული სიტყვებით „აჰამ ევა“ მთელი „ბჰაგავატამის“ არსი გახლავთ. ესენია: „ყოველი ცოცხალი არსების ყოველგვარი ურთიერთობა ჩემთან არის დაკავშირებული და ჩემი ცოდნა უმაღლესი ცოდნაა. პროცესს, რომლითაც ცოცხალ არსებას შეუძლია ჩემთან მოღწევა, *აბჰიდჰეა* ეწოდება. მისი საშუალებით სიცოცხლეში უმაღლესი სრულყოფილების, ღმრთეების სიყვარულის მიღწევა შეიძლება. როდესაც ცოცხალი არსება ღმრთეების სიყვარულს აღწევს, მისი სიცოცხლე სრულ-

ყოფილი ხდება“. ეს ოთხი ლექსი განმარტებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“ და უფალმა ჩაიტანḍამ მოკლედ აღწერა ამ ლექსთა პრინციპები. მან თქვა, რომ არავის ძალუძს უზენაესი უფლის კონსტიტუციური მდგომარეობის — მისი ადგილსამყოფელის, მისი ტრანსცენდენტული თვისებების, მისი ტრანსცენდენტული საქმიანობებისა და მისი ექვსი სიდიადის გაგება. მათი გაგება შეუძლებელია სპეკულაციური მსჯელობით ან აკადემიური განათლებით; მათი გაგება მხოლოდ უფლის წყალობით ხდება. როგორც „ბჰაგავად-გიტაშია“ დამტკიცებული, იღბლიანი ადამიანი ღებულობს უფლის მადლს, რათა უფლის წყალობით მთელი ეს განმარტებანი გაიგოს.

უფალი მატერიალური სამყაროს შექმნამდე არსებობდა; ამიტომ მატერიალური შემადგენელი ნაწილები, ბუნება და ცოცხალი არსებები მისგან მომდინარეობენ და სამყაროს განადგურების შემდეგ უფალში განისვენებენ. როდესაც ქმნილება გამოვლენილია, უფალი არსებობას უნარჩუნებს მას; მართლაც, რა გამოვლინებასაც კი ვხედავთ, უფლის გარეგანი ენერგიის სახეცვლილებაა მხოლოდ. როდესაც უზენაეს უფალს თავის თავში შეაქვს საკუთარი გარეგანი ენერგია, ყველაფერი მასში შედის. ოთხი ლექსიდან პირველში სიტყვა *აჰამ* სამჯერ არის ნახმარი იმის აღსანიშნავად, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება მთელი სიდიადეებითაა აღსავსე. *აჰამ* სამჯერ არის გამეორებული მხოლოდ იმის დასაგმობად, ვისაც არ ესმის ან არ სწამს უზენაესი უფლის ტრანსცენდენტული ბუნება და ფორმა.

უფალი ფლობს თავის შინაგან ენერგიას, თავის გარეგან, მოსაზღვრე და ფარდობით ენერგიებს, კოსმოსური სამყაროს გამოვლინებას და ცოცხალ არსებებს. გარეგანი ენერგია ვლინდება მატერიალური ბუნების სამი თვისობრივი მოდუსით (*გუნ̣ებით*). ვისაც სულიერ სამყაროში ცოცხალი არსების ბუნება ესმის, მართლა შეუძლია გაიგოს *ვედამ*, ანუ სრულყოფილი ცოდნა. უზენაესი

უფლის გაგება მატერიალური ენერგიისა და განპირობებული სულის ხილვის საფუძველზე შეუძლებელია, მაგრამ როდესაც ადამიანი სრულყოფილ ცოდნას შეიძენს, იგი თავისუფლდება გარეგანი ენერგიის ზეგავლენისაგან. მთვარე მზის შუქს ირეკლავს, მზის გარეშე კი მთვარე ვერაფერს გაანათებს. სწორედ ასევე, ეს მატერიალური კოსმოსური გამოვლინება სულიერი სამყაროს ანარეკლია მხოლოდ. როდესაც ცოცხალი არსება რეალურად თავისუფლდება გარეგანი ენერგიის ჯადოსაგან, იგი უზენაესი უფლის კონსტიტუციურ ბუნებას ხვდება. უფლის ერთგული სამსახური ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც უფლის მიღწევა შეიძლება და ამ ერთგული სამსახურის მიღება შეუძლია ყველას, ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერ პირობებში. ერთგული სამსახური რელიგიის ოთხ პრინციპსა და განთავისუფლებისგან მიღებულ ცოდნაზე მაღლა დგას. ერთგული სამსახურის მოსამზადებელი საფეხურებიც კი ტრანსცენდენტულია განთავისუფლებისგან მიღებული ცოდნისა და უბრალო რელიგიით მიღებული ცოდნის მიმართ.

ამიტომ ადამიანმა ჭეშმარიტ სულიერ მოძღვარს უნდა მიმართოს — კასტის, კანის ფერის, ქვეყნისა და სხვ. მიუხედავად — და მოისმინოს მისგან ყველაფერი ერთგული სამსახურის შესახებ. სიცოცხლის ჭეშმარიტი დანიშნულება ღმერთისადმი ჩვენი მიძინებული სიყვარულის გამოცოცხლებაში მდგომარეობს. მართლაც, ეს ჩვენი უმთავრესი აუცილებლობაა. ამ სიყვარულის მიღწევის გზა განმარტებულია „შრიმად-ბჰაგავატამში“. არსებობს თეორიული ცოდნა და სპეციფიური, ანუ რეალიზებული ცოდნა, სრულყოფილი ცოდნა კი მაშინ მიიღწევა, როდესაც ადამიანი სულიერი მოძღვრისგან მიღებული ცოდნის რეალიზაციას მოახერხებს.

თავი ოცდამესამე

რატომ უნდა შევისწავლოთ „ვედანტა-სუტრა“?

ცოდნა წმინდა წერილებიდან მიღებულ ინფორმაციას წარმოადგენს, მეცნიერება კი — ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ცოდნა მაშინაა მეცნიერული, როდესაც ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის საშუალებით წმინდა წერილებიდან მიიღება, მაგრამ როდესაც მისი განმარტება სპეკულაციის მეშვეობით ხდება, იგი მენთალურ მონაჭორს წარმოადგენს. ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის დახმარებით წმინდა წერილთა ინფორმაციის მეცნიერული გაგების საფუძველზე, საკუთარი რეალიზაციის მეშვეობით ადამიანი ღმრთეების უზენაესი პიროვნების ჭეშმარიტ მდგომარეობას სწავლობს. ღმრთეების უზენაესი პიროვნების ტრანსცენდენტული ფორმა განსხვავდება მატერიალური გამოვლინებებისგან და იგი მატერიის რეაქციებზე მაღლა დგას. თუკი ადამიანს მეცნიერულად არ ესმის ღმრთეების პიროვნების სულიერი ფორმა, იგი იმპერსონალისტი ხდება. მზის შუქი, თავისთავად, სინათლეა, მაგრამ ეს სინათლე განსხვავდება მზისაგან. მიუხედავად ამისა, მზესა და მზის შუქს სხვადასხვა ადგილი არ უკავია, რადგან მზის შუქი მზის გარეშე ვერ იარსებებდა და მზის შუქის გარეშე აზრი არ ექნებოდა სიტყვას „მზე“.

თუკი ადამიანი თავს არ დააღწევს მატერიალური ენერგიის ზეგავლენას, ვერ გაიგებს უზენაეს უფალს და მის სხვადასხვა ენერგიებს. მატერიალური ენერგიით მოჯადოებული ადამიანი ვერც უზენაესი უფლის სულიერ ფორმას მიხვდება. ღმრთეების უზენაესი პიროვნების ტრანსცენდენტული ფორმის შეცნობის გარეშე ღმერთის სიყვარულზე ლაპარაკიც ზედმეტია. თუკი ადამიანს უზენაესი უფლის ტრანსცენდენტული ფორმის გაგება არ ძალუძს, იგი ჭეშმარიტად ვერ მიაღწევს ღმერთის სიყვარულს და ღმერთის სიყვარულის გარეშე, ადამიანის სიცოცხლეში არავითარი სრულყოფილება არ არსებობს. ისევე როგორც ბუნების ხუთი უხეში ელემენტი — სახელდობრ, მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი და ეთერი — ცოცხალი არსებების შიგნითაც და გარეთაც არის ამ სამყაროში, უზენაესი უფალიც ამ ყოფიერების გარეთაც და შიგნითაც იმყოფება და ამის შეცნობა უფლის ერთგულებს შეუძლიათ.

წმინდა ერთგულებმა იციან, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნების სამსახურისთვის არიან განკუთვნილნი და რომ ყველაფერი უზენაესის სამსახურის საშუალებად შეიძლება იქნას გამოყენებული. რადგან ერთგული გულიდან არის უზენაესის მიერ დალოცვილი, სადაც არ უნდა გაიხედოს, ყველგან უზენაესს ხედავს. მართლაც, იგი სხვას ვერაფერს ხედავს. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (11.2.55) ერთგულსა და უზენაეს უფალს შორის ურთიერთობა ასეა დადასტურებული:

ვისრ̣ჯატი ჰრ̣დაḍაḍ ნა ḍასḍა სვეშად
დჰარირ ავაშაბჰიჰიტო 'პი აგჰაუგჰა-ნაშაჰ
პრაḍ̣ḍა-რაშანაḍ დჰრ̣ტანგჰრი-პადმაჰ
სა ბჰავატი ბჰაგავატა-პრადჰანა უკტაჰ

„თუკი ადამიანის გული სიყვარულის თოკით მუდამ უზე-

ნაესი უფლის ლოტოსის ტერფებს არის მიბმული, უფალი არ მიატოვებს მას. მართლაც, ერთგულს სრულყოფილი მეხსიერებაც რომ არ გააჩნდეს, იგი უმაღლესი კლასის ერთგულად უნდა ჩაითვალოს". ამის მაგალითი განხილულია „შრიმად-ბჰაგავატამში", „დაშა-სკანდჰაში" (10.30.4). *როდესაც გოპები კრშნასთან რასა* ცეკვისთვის შეიკრიბნენ, *კრშნამ* მიატოვა ისინი. ამიტომ *გოპებმა კრშნას* წმინდა სახელის გალობა დაიწყეს და სიგიჟით შეპყრობილები ტყის ყვავილებსა და ლიანებს ეკითხებოდნენ *კრშნას* შესახებ. *კრშნა* ცას ჰგავს; იგი ყველგან იმყოფება.

„შრიმად-ბჰაგავატამის" შესწავლის შედეგად ვღებულობთ ცნობებს უზენაეს უფალთან ჩვენი მარადიული ურთიერთობის შესახებ, ვხვდებით გზას, რომლითაც უფლის მიღწევა შეიძლება და მივდივართ საბოლოო რეალიზაციამდე, რომელიც ღმრთეების სიყვარულს წარმოადგენს. როდესაც *პრაკაშანანდა* სარასვატი უხსნიდა ღმრთეების უზენაესი პიროვნების ერთგული სამსახურის მეშვეობით მიღწევას, უფალმა ჩაიტანიამ მოიყვანა ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან" (11.14.21), სადაც უფალი ამბობს, რომ მისი შეცნობა მხოლოდ რწმენითა და სიყვარულით შესრულებული ერთგული სამსახურითაა შესაძლებელი. მართლაც, მხოლოდ ერთგული სამსახური ასპეტაკებს ერთგულის გულს და აჰყავს იგი უმაღლეს შემეცნებამდე, რის გამოც რწმენაში განმტკიცებული, უზენაეს უფალს ემსახურება. *ჩანდალების* (ძაღლისმჭამელების) ოჯახში დაბადებული ადამიანიც კი ღმრთეების სიყვარულის უმაღლესი საფეხურის რეალიზაციის საშუალებით ყველა ტრანსცენდენტულ ნიშანს ავლენს. ეს ტრანსცენდენტული ნიშნები აღწერილია „შრიმად-ბჰაგავატამში" (11.3.31):

სმარანტაჰ სმარაიანტაშ ჩა
მითჰო 'გჰაუგჰა-ჰარაშ ჰარიმ

ბჰაკტიან სამჯატიან ბჰაკტიან
ბიბჰრატი უტპულაკამ ტანუმ

„როდესაც ერთგულები მსჯელობენ უზენაეს უფალთან დაკავშირებულ საკითხებზე, ყოველგვარი ცოდვითი რეაქციისგან რომ წმენდს მისი ერთგულის გულს, მათ ექსტაზი იპყრობთ და თავიანთი ერთგული სამსახურის გამო ისინი სხვადასხვა ნიშნებს ავლენენ“. შემდეგ „ბჰაგავატამი“ აცხადებს: „უფლისადმი სპონტანური სასიყვარულო მიჯაჭვულობის გამო უფლის წმინდა სახელთა გალობისას ისინი ხან ტირიან, ხან იცინიან, ცეკვავენ, მღერიან და ა.შ., არ აღელვებთ რა არავითარი სოციალური პირობითობა“ (ბჰაგ. 11.2.40).

უნდა გვესმოდეს, რომ „შრიმად-ბჰაგავატამი“ „ბრაჰმა-სუტრას“ ჭეშმარიტ ახსნა-განმარტებას წარმოადგენს და შედგენილია თავად ვიასადევას მიერ. „გარუდა პურანაში“ ნათქვამია:

ართჰო 'ამ ბრაჰმა-სუტრანამ
ბჰარატართჰა-ვინირნაიჰ
გაიატრი-ბჰაშია-რუპო 'საუ
ვედართჰა-პარიბრმჰიტაჰ

გრანთჰო 'მტიადაშა-საჰასრაჰ
შრიმად-ბჰაგავატაბჰიდჰაჰ

„შრიმად-ბჰაგავატამი“ „ბრაჰმა-სუტრას“ ავტორიტეტული ახსნა-განმარტება და „მაჰაბჰარატას“ უფრო დაწვრილებითი განმარტება გახლავთ. იგია *გაიატრი მანტრის* ექსპანსია და მთელი ვედური ცოდნის არსი. ეს „შრიმად-ბჰაგავატამი“, რომელიც თვრამეტ ათას ლექსს მოიცავს, მთელი ვედური ლიტერატურის ახსნა-განმარტებად

არის ცნობილი“. „შრიმად-ბჰაგავატამის“ პირველივე სიმღერაში ნაიმიშარანიას ბრძენებმა ჰკითხეს სუტა გოსვამის, როგორ უნდა ჩაწვდეს კაცი ვედური ლიტერატურის ძირითად არსს. პასუხად სუტა გოსვამიმ „შრიმად-ბჰაგავატამი“ მთელი *ვედების*, ისტორიებისა და დანარჩენი ვედური ლიტერატურის არსად წარმოადგინა. სხვაგან „შრიმად-ბჰაგავატამში“ (12.13.15) გარკვევითაა ნათქვამი, რომ „შრიმად-ბჰაგავატამი“ *ვედანტას* მთელი ცოდნის არსია და რომ მას, ვინც „შრიმად-ბჰაგავატამის“ ცოდნით ტკბება, არ იზიდავს არავითარი სხვა ლიტერატურის შესწავლა. „შრიმად-ბჰაგავატამის“ დასაწყისშივე აღწერილია *გაიატრი მანტრის* მნიშვნელობაც და მიზანიც: „მე თაყვანს ვცემ უზენაეს ჭეშმარიტებას“. ეს არის პირველი შესავალი ლექსი. იგი ეხება უზენაეს ჭეშმარიტებას, რომელიც „შრიმად-ბჰაგავატამში“ აღწერილია როგორც კოსმოსური გამოვლინების შექმნის, არსებობის შენარჩუნებისა და განადგურების წყარო. ღმრთეების პიროვნების, ვასუდევას თაყვანისცემა (*ომ ნამო ბჰაგავატე ვასუდევაია*) უშუალოდ მიუთითებს უფალ შრი კრშნაზე, რომელიც ვასუდევასა და დევაკის ღვთაებრივი შვილი გახლავთ. მოგვიანებით ეს ფაქტი უფრო დაწვრილებით „შრიმად-ბჰაგავატამშია“ წარმოდგენილი. ვასუდევა ამტკიცებს, რომ შრი კრშნა არის ღმრთეების თავდაპირველი პიროვნება და რომ სხვა ყველანი მის უშუალო ან არაუშუალო სრულ ნაწილებს ან ამ ნაწილების ნაწილებს წარმოადგენენ. მოგვიანებით შრილა ჯივა გოსვამიმ უფრო დაზუსტებით განავრცო ეს თემა თავის „კრშნა-სანდარბჰაში“, ბრაჰმამ კი, თავდაპირველმა ცოცხალმა არსებამ, არსებითად დაახასიათა შრი კრშნა თავის ტრაქტატში „ბრაჰმა-სამჰიტაში“. „სამა ვედაც“ აღასტურებს იმ ფაქტს, რომ უფალი შრი კრშნა არის დევაკის ღვთაებრივი შვილი.

თავის ლოცვაში „შრიმად-ბჰაგავატამის“ ავტორი თავიდან იმას აცხადებს, რომ უფალი შრი კრშნა თავდაპირველი უფალია და რომ თუკი ღმრთეების აბსოლუტური პიროვნებისთვის რაიმე ტრანსცენდენტული სახელის მიწერა შეიძლება, ეს სახელი უნდა იყოს კრშნა, ყოვლისმიმზიდველი. „ბჰაგავად-გიტაში“ უფალი მრავალგან ამტკიცებს, რომ იგი ღმრთეების თავდაპირველი პიროვნებაა და ამასვე აცხადებს არჯუნაც, რომელიც იმოწმებს დიად ბრძენებს — ნარადას, ვიასასა და მრავალ სხვას. „პადმა პურანაშიც“ ნათქვამია, რომ უფლის ურიცხვ სახელს შორის მთავარი სახელი კრშნა გახლავთ. თუმცა ვასუდევა ღმრთეების პიროვნების სრულ ნაწილს აღნიშნავს და თუმცა უფლის ყოველი სხვადასხვა ფორმა არ განსხვავდება ვასუდევასგან, ამ ტექსტში ვასუდევა ძირითადად ვასუდევასა და დევაკის ღვთაებრივ შვილზე მიუთითებს. შრი კრშნაზე მუდამ ახდენენ მედიტაციას ისინი, ვინც სრულყოფილებას მიაღწიეს განდეგილის ცხოვრების წესში. ვასუდევა, ანუ უფალი შრი კრშნა ყოველ მიზეზთა მიზეზია და ყოველივე არსებული მისგან მომდინარეობს. ეს „შრიმად-ბჰაგავატამის“ მომდევნო თავებშია განმარტებული.

ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ „შრიმად-ბჰაგავატამს“ უნაკლო *პურანას* უწოდებს, რადგან იგი ღმრთეების უზენაესი პიროვნების, შრი კრშნას გარითობათა ტრანსცენდენტულ მოთხრობებს შეიცავს. „შრიმად-ბჰაგავატამის“ ისტორიაც მეტად დიდებულია. იგი შეადგინა ვიასადევამ, რომელმაც ტრანსცენდენტული ცოდნის თავისი მომწიფებული გამოცდილებით დაწერა შრი ნარადა მუნის, თავისი სულიერი მოძღვრის დარიგებით. ვიასადევამ შეადგინა მთელი ვედური ლიტერატურა — ოთხი *ვედა*, „ვედანტა-სუტრა“, ანუ „ბრაჰმა-სუტრა“, *პურანები* და „მაჰაბჰარატა“. მიუხედავად ამისა, ვერ დაკმაყოფილდა, სანამ არ დაწერა

„შრიმად-ბჰაგავატამი“. სულიერმა მოძღვარმა მისი უკმაყოფილება შეამჩნია, ამიტომაც ნარადამ ურჩია, დაეწერა უფალი შრი კრშნას ტრანსცენდენტული საქმიანობების შესახებ. შრი კრშნას ტრანსცენდენტული საქმიანობები აღწერილია „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეათე სიმღერაში, სიმღერაში, რომელიც მთელი ნაშრომის არსის მომცველად ითვლება. მეათე სიმღერას უმალვე არ უნდა მივმართოთ, მას თავიდან წარმოდგენილი საკითხების შესწავლით თანდათანობით უნდა მივუახლოვდეთ.

როგორც წესი, ფილოსოფიურ ჭკუას მთელი სამყაროების სათავის შესახებ გაგება სურს. როდესაც ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანი ღამის ცას უმზერს, მას ბუნებრივად უჩნდება კითხვები ვარსკვლავთა შესახებ, როგორ არიან ისინი განლაგებული, ვინ ცხოვრობს მათზე და სხვ. ასეთი შეკითხვები სავსებით ბუნებრივია ადამიანისათვის, რადგან მას ცხოველებზე მეტად განვითარებული ცნობიერება აქვს. ამ კითხვაზე „შრიმად-ბჰაგავატამის“ ავტორი პასუხობს, რომ უფალი არის მთელი სამყაროების სათავე. იგი არა მხოლოდ შემქმნელი, არამედ მასულდგმულებელი და გამანადგურებელიც გახლავთ. გამოვლენილი კოსმოსური სამყარო უფლის ნებით გარკვეულ მომენტში იქმნება, გარკვეულ ხანს აგრძელებს არსებობას და საბოლოოდ უფლის ნებით ნადგურდება. მაშასადამე, ყოველი საქმიანობა მისი უზენაესი ნებით ხდება.

ცხადია, არსებობენ ათასგვარი ათეისტები, რომელთაც არა სწამთ შემოქმედის არსებობა, მაგრამ ამის მიზეზი მათი ცოდნის მცირე მარაგია მხოლოდ. თანამედროვე მეცნიერი რაკეტებს ქმნის და ახერხებს მის კოსმოსში გაშვებას, სადაც ის შორს მყოფი მეცნიერების მეთვალყურეობის ქვეშ დაფრინავს. მთელი სამყაროები და მათში არსებული ურიცხვი პლანეტა ასეთივე რაკეტებია და მათ ღმრთეების პიროვნება უწევს კონტროლს.

ვედურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება, ღმრთეების პიროვნება, უმაღლესი პიროვნებაა ყოველ ცოცხალ პიროვნებას შორის. თითოეული ცოცხალი არსება, დაწყებული პირველი შექმნილი არსება ბრაჰმაᲜდან დამთავრებული პატარა ჭიანჭველათი, ინდივიდუალური ცოცხალი არსებები არიან. ბრაჰმაᲜზე მაღლაც კი მრავალ სხვა ცოცხალ არსებასაც ახასიათებს ინდივიდუალობა. თავად ღმრთეების პიროვნებაც ცოცხალი არსებაა და ისევე ინდივიდუალურია, როგორც სხვა ცოცხალი არსებები. მაგრამ უზენაესი უფალი არის უმაღლესი ცოცხალი არსება. მას უდიდესი გონება აქვს და უაღრესად მრავალფეროვან წარმოუდგენელ ენერგიებს ფლობს. თუკი ადამიანის ჭკუას რაკეტებისა და ხელოვნური თანამგზავრების წარმოქმნა შეუძლია, ადვილი წარმოსადგენია, რომ ადამიანის ჭკუაზე მაღლა მდგომი აზროვნება უფრო მაღალს ქმნის. გონიერი ადამიანი დაეთანხმება ამ არგუმენტს, მაგრამ ჯიუტი სულელები არ აღიარებენ ამას.

შრილა ვიᲜსადევა უმალვე აღიარებს უზენაეს გონებას როგორც *პარამეშვარას*, უმაღლეს მაკონტროლებელს. როგორც „ბჰაგავად-გიტაᲜსა“ და შრილა ვიᲜსადევას მიერ დაწერილ სხვა წმინდა წერილებშია ნათქვამი, ეს *პარამეშვარა* თავად უფალი შრი კრშᲜაა. ეს ხაზგასმულია „შრიმად-ბჰაგავატამში“. „ბჰაგავად-გიტაᲜშიც“ უფალი თავად ამბობს, რომ არ არსებობს მასზე მაღალი *პარატატტვა* (*სუმმუმ ბონუმ*). ამიტომ ავტორი მაშინათვე ეთაყვანება *პარატატტვას*, შრი კრშᲜას, ვისი ტრანსცენდენტული საქმიანობებიც მეათე სიმღერაშია აღწერილი.

უსინდისო პიროვნებები უმალვე მეათე სიმღერას მიმართავენ, განსაკუთრებით კი იმ ხუთ თავს, რომლებშიც უფლის რაᲜსა ცეკვაა აღწერილი. მაგრამ „შრიმად-ბჰაᲜგავატამის“ ეს ნაწილი ამ დიადი ნაწარმოების ყველაზე საკ-

რალური ნაწილი გახლავთ. თუკი ადამიანი ბოლომდე არ არის გარკვეული უფლის ტრანსცენდენტულ ცოდნაში, აუცილებლად არასწორად გაიგებს უფლის სათაყვანებელ ტრანსცენდენტულ გართობებს *რასა* ცეკვაში და უფლის სასიყვარულო ურთიერთობას *გოპებთან*. ეს საკითხი უაღრესად სულიერი და ტექნიკურია და სათაყვანებელი *რასა* ცეკვით დატკბობა შეუძლიათ მხოლოდ განთავისუფლებულ პიროვნებებს, რომელთაც თანდათანობით მიაღწიეს *პარამაჰამსას* საფეხურს.

ამიტომ უფლის გართობათა არსით ჭეშმარიტად დატკბობამდე შრილა ვიშსადევა მკითხველს სულიერ რეალიზაციაში თანდათანობით განვითარების საშუალებას აძლევს. ვიშსადევა განგებ წარმოთქვამს *გაიატრი მანტრას: დჰიმაჰი*. ეს *გაიატრი მანტრა* საგანგებოდ სულიერად განვითარებული ხალხისთვის არის განკუთვნილი. როდესაც ადამიანი *გაიატრი მანტრის* გალობაში წარმატებას აღწევს, მას უფლის ტრანსცენდენტული მდგომარეობის გაგება შეუძლია. მაგრამ ამისათვის ჯერ მან ბრაჰმანული თვისებები უნდა შეიძინოს და სრულყოფილად დამკვიდრდეს სათნოების მოდუსში, რათა წარმატებით იგალობოს *გაიატრი მანტრა*. ამის შემდეგ მას ტრანსცენდენტულად შეუძლია უფლის, მისი სახელის, მისი დიდების, მისი თვისებებისა და სხვ. შეცნობა. „შრიმად-ბჰაგავატამი“ არის მოთხრობა უფლის *სვარუპას* (ფორმის) შესახებ, რომელიც მისი შინაგანი პოტენციით ვლინდება. ეს პოტენცია განსხვავდება გარეგანი პოტენციისაგან, რომელიც ჩვენი გამოცდილების ფარგლებში არსებულ კოსმოსურ სამყაროს ავლენს. „შრიმად-ბჰაგავატამის“ პირველივე ლექსში შრილა ვიშსადევა მკვეთრად ანსხვავებს შინაგანსა და გარეგან პოტენციებს. ამ ლექსში იგი ამბობს, რომ შინაგანი პოტენცია ფაქტიური რეალობაა, მატერიალური ყოფიერების სახით არსებული გარეგანი გამოვლენილი ენერგია კი წარმავალი და ილუზორულია. იგი ისევე არარეალურია, როგორც მირაჟი უდაბნოში. შეიძლება უდაბნოში

წყალი მოგვეჩვენოს, მაგრამ ჭეშმარიტი წყალი სხვაგან არის. სწორედ ასევე, გამოვლენილი კოსმოსური სამყარო რეალობას ჰგავს, მაგრამ იგი უბრალოდ ანარეკლია სულიერ სამყაროში არსებული ჭეშმარიტი რეალობისა. სულიერ სამყაროში მირაჟები არ გვხვდება. აბსოლუტური ჭეშმარიტება იქ იმყოფება; იგი მატერიალურ სამყაროში არ არის. აქ ყველაფერი ფარდობით ჭეშმარიტებას წარმოადგენს; ერთი ჭეშმარიტება თითქოს მეორეზეა დამოკიდებული. ეს კოსმოსური ქმნილება მატერიალური ბუნების სამი მოდუსის ურთიერთქმედებით არის გამოწვეული. წარმავალი გამოვლინება ისეა შექმნილი, რომ განპირობებული სულის შეცბუნებულ ჭკუას ილუზია რეალობად წარმოუდგინოს. მაშასადამე, გვხვდება ამდენი მრავალრიცხოვანი სახეობა, ისეთი მაღალი ნახევარღმერთების ჩათვლით, როგორებიც არიან ბრაჰმა, ინდრა, ჩანდრა და სხვ. სინამდვილეში, გამოვლენილ სამყაროში რეალობა არ არსებობს, მაგრამ გვეჩვენება, თითქოს მასში არის რეალობა, რადგან ჭეშმარიტი რეალობა არსებობს სულიერ სამყაროში, სადაც ღმრთეების პიროვნება მარადიულად ცხოვრობს თავის ტრანსცენდენტულ გარემოცვასთან ერთად.

რთული მშენებლობის მთავარი ინჟინერი მშენებლობაში პირადად არ მონაწილეობს, მაგრამ მხოლოდ მან იცის მშენებლობის ყოველი კუთხე-კუნჭული, რადგან ყველაფერი მხოლოდ მისი განკარგულების თანახმად სრულდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უშუალოდ და არაუშუალოდ მან ყველაფერი იცის მშენებლობის შესახებ. სწორედ ასევე, ღმრთეების პიროვნებამ, რომელიც ამ კოსმოსური ქმნილების უმაღლესი ინჟინერია, მშვენივრად იცის ყველაფერი, რაც კოსმოსური ქმნილების თითოეულ კუთხე-კუნჭულში ხდება, თუმცა გვეჩვენება, რომ ვიღაც სხვა მოქმედებს. სინამდვილეში არავინაა მატერიალური ქმნილებისგან დამოუკიდებელი; ყველგან უზენაესი უფლის ხელი ურევია. მთელი მატერიალური ელემენტე-

ბი, აგრეთვე მთელი სულიერი ნაპერწკლებიც მხოლოდ მისგან გამოდის. რაც კი ამ მატერიალურ სამყაროში იქმნება, იქმნება მისი ორი ენერგიის, მატერიალურისა და სულიერის ურთიერთქმედებით. ეს ენერგიები აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, შრი კრშნას ეკუთვნის.

ქიმიკოსს ლაბორატორიაში ჟანგბადისა და წყალბადის შერევით წყლის შექმნა შეუძლია, მაგრამ სინამდვილეში ცოცხალ არსებას მხოლოდ უზენაესი უფლის ხელმძღვანელობით შეუძლია შრომა. მართლაც, ყოველ ნივთიერებას, რომელსაც ქიმიკოსი იყენებს, უფალი გვაძლევს. უფალმა უშუალოდ ან არაუშუალოდ ყველაფერი იცის და მას ყოველი უმცირესი წვრილმანი გაცნობიერებული აქვს. იგი სრულიად დამოუკიდებელიცაა. იგი შეიძლება შევადაროთ ოქროს საბადოს, კოსმოსური ქმნილებები კი — ოქროსგან დამზადებულ სამკაულებს — ოქროს ბეჭდებს, ძეწკვებს და სხვ. ოქროს ბეჭედი და ყელსაბამი თვისობრივად ერთიანი არის ოქროს საბადოსთან, მაგრამ საბადოში, საყურესა თუ ძეწკვში ოქრო სხვადასხვა რაოდენობითაა წარმოდგენილი. აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ უფალი ჩაიტანიას ფილოსოფიის ბირთვს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უზენაესი უფალი ერთსა და იმავე დროს ერთიანია და განსხვავდება თავისი ქმნილებისგან. არაფერია უზენაესი უფლის აბსოლუტურად თანასწორი, მაგრამ ამავე დროს მისგან დამოუკიდებელიც არაფერი შეიძლება იყოს.

განპირობებული სულები, დაწყებული ბრაჰმჯთი, მოცემული სამყაროს ინჟინრით, დამთავრებული უმნიშვნელო ჭიანჭველათი, ყველანი რაღაცას ქმნიან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დამოუკიდებელი უზენაესი უფლისაგან. მატერიალისტს არასწორად მიაჩნია, რომ მას გარდა სხვა შემოქმედი არ არსებობს და ამას ეწოდება

მაია ანუ ილუზია. ცოდნის მცირე მარაგის გამო მატერიალისტი ვერ იხედება თავისი არასრულყოფილი გრძნობების მოქმედების სფეროს მიღმა; ამრიგად, იგი ფიქრობს, რომ მატერია მის მიღმა მდგარი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად თავისთავად ღებულობს ფორმას. *შრიმა* ვიანსადევა „*შრიმად-ბჰაგავატამის*“ პირველსავე ლექსში უარყოფს ამას. როგორც უკვე ვთქვით, ვიანსადევა განთავისუფლებული სულია და ეს ავტორიტეტული წიგნი სულიერი სრულყოფილების მიღწევის შემდეგ შეადგინა. რადგან სრული მთელი, ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტება, ყველაფრის საწყისია, არაფერია მისგან დამოუკიდებელი. ყველაფერი აბსოლუტური ჭეშმარიტების სხეულში არსებობს. სხეულის ნებისმიერი ნაწილის ქმედება თუ უკუქმედება მასში განსხეულებული მთელისთვის გაცნობიერებული ფაქტი ხდება. სწორედ ასევე, თუკი შექმნა აბსოლუტური ჭეშმარიტების სხეულში მიმდინარეობს, მაშინ უშუალოდ თუ არაუშუალოდ აბსოლუტისთვის უცნობი არაფერი რჩება.

შრუტი-მანტრაში ნათქვამია, რომ აბსოლუტური მთელი, ანუ ბრაჰმანი, ყველაფრის შექმნის უმაღლეს სათავეს წარმოადგენს. ყველაფერი მისგან მოედინება, ყველაფერს იგი უნარჩუნებს არსებობას და ბოლოს ყველაფერი კვლავ მასში შედის. ასეთია ბუნების კანონი. ეს დადასტურებულია *სმრტი-მანტრაშიც*. მასში ნათქვამია, რომ წყარო, რომლისგანაც ბრაჰმას ეპოქის დასაწყისში ყველაფერი მომდინარეობს, აბსოლუტური ჭეშმარიტება, ანუ ბრაჰმანია და საცავს, რომელშიაც ამ ეპოქის მიწურულს ყველაფერი შედის, იგივე აბსოლუტურს ჭეშმარიტებას წარმოადგენს. მატერიალისტი მეცნიერები ალალ-ბედობაზე აღიარებენ ჭეშმარიტებად იმას, რომ ამ პლანეტარული სისტემის სათავე მზეა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მზის წყაროს ახსნა. ვედური ლიტერატურა კი განმარტავს

თავდაპირველ წყაროს; ბრაჰმა ამ სამყაროს შემოქმედია, მაგრამ რადგან მან სამყაროს შექმნისათვის შთაგონების მისაღებად მედიტაცია უნდა შეასრულოს, იგი თავდაპირველ შემოქმედს არ წარმოადგენს. როგორც „შრიმად-ბჰაგავატამის“ პირველ ლექსშია ნათქვამი, ვედური ცოდნა ბრაჰმას ღმრთეების პიროვნებამ ასწავლა. „შრიმად-ბჰაგავატამის“ პირველ ლექსში ნათქვამია, რომ უზენაესმა უფალმა შთააგონა მეორადი შემოქმედი, ბრაჰმა და შემოქმედებითი ფუნქციის შესასრულებელი უნარი მიანიჭა. ამგვარად, უზენაესი უფალი ზეგანმგებელი ინჟინერია; ჭეშმარიტი აზროვნება ყოველი შემოქმედებითი საშუალების მიღმა არის ღმრთეების აბსოლუტური პიროვნება, შრი კრშნა. „ბჰაგავად-გიტაში“ შრი კრშნა პირადად აღიარებს, რომ მხოლოდ იგია შემოქმედებითი ენერგიის (*პრაკრტის*), მთელი მატერიის ერთობლიობის ზეგანმგებელი. ამრიგად, შრი ვიშსადევა არც ბრაჰმას სცემს თაყვანს და არც მზეს, არამედ უზენაეს უფალს, რომელიც ბრაჰმასა და მზის შემოქმედებით საქმიანობასაც მიუძღვება.

სანსკრიტული სიტყვები „აბჰიჯნა“ და „სვარაჯტ“, რომლებიც „შრიმად-ბჰაგავატამის“ პირველ ლექსში გვხვდება, მეტად მნიშვნელოვანია. ეს ორი სიტყვა განასხვავებს უფალს ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისაგან. ღმრთეების აბსოლუტური პიროვნების გარდა, არც ერთი ცოცხალი არსება არ არის არც *აბჰიჯნა* და არც *სვარაჯტ* — ე.ი. არც ერთი მათგანი არ არის ბოლომდე ცნობიერი და სრულიად დამოუკიდებელი. ცოდნა ყველამ უფროსისგან უნდა მიიღოს; ბრაჰმაც კი, რომელიც ამ მატერიალურ სამყაროში პირველი შექმნილი ცოცხალი არსება გახლავთ, უზენაეს უფალზე უნდა შეასრულოს მედიტაცია და შექმნისთვის დაიხმაროს იგი. თუკი ბრაჰმა ან მზე ვერაფერს ქმნიან უფროსისგან ცოდნის მიღების გარეშე, მაშინ რაღა გვეთქმის მატერიალისტ მეცნიერებზე, რომლებიც ამდენ რამეზე არიან დამოკიდებულნი? თანამედროვე

მეცნიერები, როგორებიც არიან ჯაგადიშა ჩანდრა ბოუ-ზი, ისააკ ნიუტონი, ალბერტ აინშტაინი და სხვ., შეიძლე-ბა ძალიან ამაყობდნენ თავიანთი შემოქმედებითი უნარით, მაგრამ ყოველი მათგანი უამრავ რამეში უზენაეს უფალ-ზეა დამოკიდებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ჯენტლემენთა უაღრესად ინტელექტუალური ტვინე-ბი ადამიანთა მიერ არ არის შექმნილი. ტვინი რომელი-ღაც სხვა საშუალებამ შექმნა. ადამიანს აინშტაინისა ან ნიუტონის ტვინის შექმნა რომ შეეძლოს, მათი გარდაცვა-ლების დატირების ნაცვლად კაცობრიობა უამრავ ტვინს შექმნიდა. თუკი ასეთ მეცნიერებსაც კი არ შეუძლიათ მსგავსი ტვინის შექმნა, რაღა გვეთქმის სულელ ათეის-ტებზე, რომლებიც უფლის ავტორიტეტს უგულებელყო-ფენ?

მაჰავადი იმპერსონალისტებიც კი, რომლებიც საკუ-თარ თავს ეპირფერებიან და სჯერათ, რომ თავად გახდნენ უფალი, არ არიან *აბჰიჯნა* ან *სვარატ*, ბოლომდე ცნო-ბიერნი ან ბოლომდე დამოუკიდებელნი. მაჰავადი მონის-ტები მკაცრ ეპითიმიებსა და ასკეზებს გადიან, რათა ის ცოდნა შეიძინონ, რომ ერთიანი გახდნენ უფალთან, მაგ-რამ საბოლოო ჯამში ისინი დამოკიდებულნი ხდებიან რო-მელიღაც მდიდარი მიმდევრის წყალობაზე, რომელიც მათ დიდი მონასტრებისა და ტაძრების მშენებლობისათვის აუ-ცილებელი სახსრებით უზრუნველყოფს. რავანასა და ჰი-რანდაკაშიპუს მსგავს ათეისტებს მკაცრი ასკეზები უნდა გაევლოთ, სანამ უფლის ავტორიტეტის აბუჩად აგდებას შეძლებდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში იმდენად უმწეონი აღმოჩნდნენ, რომ თავსაც ვერ უშველეს, როდესაც უფა-ლი ულმობელი სიკვდილის სახით გამოეცხადა. ეს ეხებათ თანამედროვე ათეისტებსაც, რომლებიც უფლის ავტორი-ტეტის აბუჩად აგდებას ბედავენ. ასეთი ათეისტები იგივე საზღაურს მიიღებენ, რაც წარსულში დიდმა ათეისტებმა, რავანამ და ჰირანდაკაშიპუმ მიიღეს. ისტორია მეორდება

და საჭიროების შემთხვევაში წარსულში მომხდარი კვლავ და კვლავ განმეორდება. როდესაც ხალხი უფლის ავტორიტეტს უგულვებელყოფს, თავს იჩენს ბუნების კანონების სასჯელიც.

ის, რომ უზენაესი უფალი, ღმრთეების პიროვნება, ყოვლად სრულყოფილია, ყველა *შრუტი-მანტრაშია* დამტკიცებული. *შრუტი-მანტრებში* ნათქვამია, რომ ყოვლად სრულყოფილმა უფალმა მზერა მოავლო მატერიას და ასე შექმნა ყოველი ცოცხალი არსება. ცოცხალი არსებები უფლის განუყოფელი ნაწილაკები არიან და უფალი სულიერ ნაპერწკალთა თესლებით ჩასახავს ვრცელ მატერიალურ ბუნებას. ამრიგად, შემოქმედებითი ენერგიები უამრავი საოცარი მოქმედების შესასრულებლად იწყებს მოძრაობას. როდესაც ერთი ათეისტი დაობდა, ღმერთი მესაათეზე მარჯვე არ არისო, ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ღმერთი მესაათეზე დიდი მექანიკოსია, რადგან იგი უბრალოდ ერთ მანქანას ქმნის მამრობით და მდედრობით ფორმებში, მამრობითი და მდედრობითი ფორმები კი მომავალში ღმერთის ჩაურევლად ურიცხვი მსგავსი ფორმების წარმოქმნას აგრძელებენ. ადამიანს რომ ისეთი მანქანების შექმნა შეძლებოდა, რომლებიც მისი შემდგომი ჩარევის გარეშე სხვა მანქანებს შექმნიდნენ, მაშინ შეეძლო იმის თქმა, რომ ღმერთის დარ გონებას ფლობს. რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია. ადამიანის ყოველი არასრულყოფილი მანქანა მექანიკოსმა ინდივიდუალურად უნდა მართოს. რადგან ღმერთს გონებით ვერავინ გაუტოლდება, მისი ერთ-ერთი სახელია *ასამაურდჰვა*, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არავინ არის უფალზე დიადი ან მისი თანასწორი. ყველას მოეძებნება ინტელექტუალურად მისი თანასწორი ან მასზე მაღლა მდგომი ვინმე და ამას ვერავინ უარყოფს. მაგრამ ეს უფალს არ ეხება. „შრუტი-მანტრები“ მიუთითებს იმაზე, რომ უფალი მატერიალური

სამყაროს შექმნამდე არსებობდა და იგი ყველას მბრძანებელი იყო. სწორედ უფალმა ასწავლა ბრაჰმას ვედური ცოდნა. ღმრთეების ამ პიროვნებას ყოველი მიმართებით უნდა დავემორჩილოთ. ვისაც მატერიალური ხლართებიდან განთავისუფლება სურს, მას უნდა მიენდოს, რაც დადასტურებულია „ბჰაგავად-გიტაში“.

თუკი ადამიანი ღმრთეების პიროვნების ლოტოსის ტერფებს არ მიენდობა, უდაოა, დიდი ჭკუაც რომ ჰქონდეს, მაინც გაბრიყვდება. მხოლოდ მაშინ, როცა დიადი ჭკუები ვასუდევას ლოტოსის ტერფებს მიენდობიან და ბოლომდე მიხვდებიან, რომ ვასუდევა ყოველ მიზეზთა მიზეზია, როგორც ეს „ბჰაგავად-გიტაშია“ (7.19) დამტკიცებული, ისინი *მაჰატმები*, ანუ ჭეშმარიტად ფართო თვალთახედვის მქონენი გახდებიან. მაგრამ ასეთი ფართო თვალთახედვის *მაჰატმები* იშვიათად გვხვდებიან. მხოლოდ მათ ესმით, რომ უზენაესი უფალი არის ღმრთეების აბსოლუტური პიროვნება, ყოველი ქმნილების თავდაპირველი მიზეზი. იგია *პარამა*, საბოლოო ჭეშმარიტება, რადგან ყოველი სხვა ჭეშმარიტება მასზეა დამოკიდებული. რადგან მთელი ცოდნის სათავეა, ყოვლისმცოდნეა; ფარდობითი ცოდნის მქონისაგან განსხვავებით მასზე ილუზია ვერ მოქმედებს.

ზოგიერთი მაჰავადი მეცნიერი დაობს, „შრიმად-ბჰაგავატამი“ შრილა ვჰასადევას მიერ არ არის დაწერილიო და სხვები ვარაუდობენ, ეს წიგნი ვინმე ვოპადევას თანამედროვე ნაშრომიაო. ასეთი უაზრო არგუმენტის გასაქარწყლებლად შრილა შრიდჰარა სვამი მიუთითებს, რომ არსებობს მრავალი უძველესი *პურანა*, რომლებშიც მოყვანილია ადგილები „შრიმად-ბჰაგავატამიდან“. „შრიმად-ბჰაგავატამის“ პირველი *შლოკა*, ანუ ლექსი, *გაჰატრი მანტრით* იწყება და მასზე ლაპარაკია „მატსჰა პურანაში“ (*უძველეს პურანაში*). ამ *პურანაში* „შრიმად-ბჰაგავატამ-

ში“ მოცემული *გაიატრი მანტრის* კონტექსტის დამოწმებით ნათქვამია: „ის, რაც მოიცავს სულიერ დარიგებათა მრავალ მოთხრობას და აგრეთვე ისტორიას ვრტრასურას შესახებ, „შრიმად-ბჰაგავატამის“ სახელით არის ცნობილი. ვინც სავსე მთვარის დღეს ამ დიად ნაშრომს გააჩუქებს, სიცოცხლის უმაღლეს სრულყოფილებას მიაღწევს და ღმრთეებასთან დაბრუნდება“. „შრიმად-ბჰაგავატამი“ მოხსენიებულია სხვა *პურანებშიც*, სადაც ისიც კი მინიშნებულია, რომ ნაშრომი თორმეტი სიმღერისა და თვრამეტი ათასი *შლოკასგან* შედგება. „შრიმად-ბჰაგავატამი“ მოხსენიებულია „პადმა პურანაშიც“ გაუტამასა და მაჰარაჯა ამბარიშას საუბრისას. მაჰარაჯა ამბარიშას ურჩიეს რეგულარულად ეკითხა „შრიმად-ბჰაგავატამი“, თუკი საერთოდ მატერიალური ტყვეობიდან განთავისუფლება სურდა. ამიტომ „შრიმად-ბჰაგავატამის“ ავტორიტეტის შესახებ ეჭვი არ არსებობს. წარსული ხუთი ათასი წლის მანძილზე მრავალმა მეცნიერმა დაწერა „შრიმად-ბჰაგავატამის“ დაწვრილებითი კომენტარები და ამით შეუდარებელი განსწავლულობა გამოავლინა. სერიოზული მოსწავლე მათ შესასწავლად ყველაფერს იღონებს, რათა უფრო ბედნიერად დატკბეს „ბჰაგავატამის“ ტრანსცენდენტული ეპისტოლით.

შრილა ვიშვანათჰა ჩაკრავარტი თჰაკურა განსაკუთრებით იხილავს თავდაპირველ და წმინდა სქესობრივ ფსიქოლოგიას (*ადი-რასას*), რომელსაც არავითარი მატერიალური გაბრუებულობა არ ახასიათებს. მთელი მატერიალური სამყარო სქესობრივი ცხოვრების ძირითადი პრინციპის გამო ტრიალებს. თანამედროვე ადამიანთა ცივილიზაციაში სქესობრივი ცხოვრება მთელი საქმიანობების ცენტრს წარმოადგენს; მართლაც, საითაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან სექსი ბატონობს. ამიტომაც სქესობრივი ცხოვრება არარეალური არ არის; იგი რეალობაა,

რომელიც სულიერ სამყაროშიც განიცდება. მატერიალური სექსი უბრალოდ დამახინჯებული ანარეკლია თავდაპირველისა; თავდაპირველი აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში გვხვდება. ეს ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება პიროვნებაა, რადგან შეუძლებელია, აბსოლუტური ჭეშმარიტება უპიროვნო იყოს და თანაც წმინდა სქესობრივი ცხოვრების გრძნობა ჰქონდეს. იმპერსონალისტური მონისტური ფილოსოფია არაპირდაპირ სტიმულს აძლევს საზიზღარ მიწიერ სექსს, რადგან მასში მეტისმეტად არის გამახვილებული ყურადღება საბოლოო ჭეშმარიტების უპიროვნობაზე. ამის შედეგი ის გახლავთ, რომ ცოდნას მოკლებულმა ადამიანებმა დამახინჯებული მატერიალური სქესობრივი ცხოვრება ნეტარების მწვერვალად აღიარეს, რადგან მათ არაფერი იციან ნამდვილი სულიერი სექსის შესახებ. მატერიალური ცხოვრების დაავადებულ მდგომარეობაში არსებული სექსი და სულიერ ყოფიერებაში არსებული სექსი განსხვავდება ერთმანეთისგან. „შრიმად-ბჰაგავატამს“ თანდათანობით აჰყავს მიუკერძოებელი მკითხველი ტრანსცენდენციის უმაღლესი სრულყოფილების საფეხურზე, რომელიც მატერიალური საქმიანობების, კარმიული მოქმედებების, სპეკულაციური ფილოსოფიისა და *ვედებში* მოხსენიებული ფუნქციონალური ღვთაებების თაყვანისცემის სამ მოდუსზე მაღლა დგას. „შრიმად-ბჰაგავატამი“ ღმრთეების უზენაესი პიროვნების, კრშნას ერთგული სამსახურის განსახიერებაა და ამიტომაც მას დანარჩენ ვედურ ნაწარმოებებზე მაღალი მდგომარეობა უკავია.

რელიგია მოიცავს ოთხ მოსამზადებელ საკითხს: (1) ღვთისმოსავ საქმიანობებს, (2) ეკონომიკურ განვითარებას, (3) გრძნობათა დაკმაყოფილებას და (4) მატერიალური ტყვეობიდან განთავისუფლებას. რელიგიური ცხოვრება განსხვავდება ბარბაროსული არარელიგიური

ცხოვრებისგან. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სიცოცხლე რელიგიით იწყება. ცხოველური ცხოვრების ოთხი პრინციპი — ჭამა, ძილი, თავდაცვა და გამრავლება — საერთოა ცხოველებისა და ადამიანებისთვის, მაგრამ რელიგია ადამიანთა განსაკუთრებულ ინტერესს შეადგენს. რელიგიის გარეშე ადამიანის სიცოცხლე არაფრით სჯობია ცხოველის სიცოცხლეს, ამიტომ ჭეშმარიტ ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს გარკვეული სახის რელიგია, რომელიც თვითრეალიზაციისაკენ არის მიმართული და ცოცხალი არსების ღმერთთან მარადიული ურთიერთობის შესახებ გვასწავლის.

ადამიანთა ცივილიზაციის დაბალ საფეხურებზე მატერიალურ ბუნებაზე ბატონობის მცდელობისას ადამიანთა შორის მუდამ კონკურენციაა გაჩაღებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძნობათა დაკმაყოფილების მცდელობაში განუწყვეტელი მეტოქეობა არსებობს. ამრიგად, გრძნობათა დაკმაყოფილების ცნობიერებით ამოძრავებული ადამიანები რელიგიურ რიტუალებს ატარებენ. ამდენად, ღვთისმოსავი საქმიანობები და რელიგიური ცერემონიები გარკვეული მატერიალური მოგების მიზნით სრულდება და თუკი ასეთი მატერიალური მონაპოვრის მიღება რაიმე სხვა გზით ხდება შესაძლებელი, ხალხი ივიწყებს ამ ეგრეთ წოდებულ რელიგიას. ეს ნათლად ჩანს ადამიანთა თანამედროვე ცივილიზაციაში. რადგან ადამიანთა ეკონომიკური სურვილების დაკმაყოფილება სხვა გზით ხდება, ახლა რელიგია არავის აინტერესებს. ეკლესიები, მეჩეთები და ტაძრები პრაქტიკულად ცარიელია, რადგან ხალხს უფრო ქარხნები, მაღაზიები და კინო იზიდავს. ამით მათ დააცარიელეს თავიანთი წინაპრების მიერ აგებული წმინდა ადგილები. ეს მოწმობს იმაზე, რომ ძირითადად რელიგია ეკონომიკური განვითარების მიზნით გამოიყენება, ეკონომიკური განვითარება კი გრძნობათა

დაკმაყოფილებისთვის არის საჭირო. როდესაც გრძნობათა დაკმაყოფილების მცდელობისას ადამიანს გეგმები ეშლება, იგი ხსნის გზას ადგება, რათა უმაღლეს მთელთან გაერთიანდეს. ყოველ ამ საქმიანობას ერთი მიზანი აქვს — გრძნობათა დაკმაყოფილება.

ვედებში ზემოაღნიშნული ოთხი საკითხი დაწესებულია მოწესრიგებული სახით, რათა გრძნობათა დაკმაყოფილებისათვის არასასურველი კონკურენცია არ წარმოიშვას. მაგრამ „შრიმად-ბჰაგავატამი“ ტრანსცენდენტულია მატერიალური სამყაროს გრძნობათა დაკმაყოფილების ყოველი საქმიანობის მიმართ. იგი წმინდა ტრანსცენდენტული ნაწარმოებია, რომლის გაგებაც გრძნობათა დაკმაყოფილების კონკურენციაზე მაღლა მდგომ უფლის ერთგულებს შეუძლიათ. მატერიალურ სამყაროში გრძნობათა დაკმაყოფილებისას ცხოველებს, ადამიანებს, ერთობებსა და ეროვნებებს შორისაც კი მძაფრი კონკურენცია არსებობს, მაგრამ უფლის ერთგულები ყოველივე ამაზე მაღლა დგანან. ერთგულებს არ სჭირდებათ მატერიალისტებთან კონკურენცია, რადგან ისინი მიემართებიან ღმრთეებისკენ, შინ, სადაც ყველაფერი მარადიული, სრული და ნეტარია. ასეთი ტრანსცენდენტალისტები ასი პროცენტით უბოროტონი არიან და ამიტომაც წმინდა გული აქვთ. რადგან მატერიალურ სამყაროში ყველა შურიანია, ადგილი აქვს კონკურენციასაც. უფლის ერთგულები არა მხოლოდ მოკლებულნი არიან მატერიალურ შურსა და მტრობას, არამედ კეთილ დამოკიდებულებას იჩენენ ყველასადმი, რაც გამოიხატება მათ მცდელობაში, შექმნან კონკურენციასა და პაექრობას მოკლებული საზოგადოება, რომლის ცენტრშიც ღმერთი იქნება.

სოციალისტების იდეა კონკურენციას მოკლებული საზოგადოების შესახებ არასრულყოფილია, რადგან სოციალისტურ ქვეყნებშიც კი ძალაუფლებაზე კონკურენციაა

გამართული. ფაქტია, რომ გრძნობათა დაკმაყოფილების პრინციპი მატერიალისტური ცხოვრების ძირითად პრინციპს წარმოადგენს და ამის მიხვედრა შეიძლება *ვედების* კითხვით ან უბრალოდ ადამიანთა საქმიანობების შესწავლით. *ვედებში* რეკომენდირებულია კარმიული საქმიანობები, რომლითაც ადამიანებს მაღალ პლანეტებზე აღმართვა შეუძლიათ. მათ აგრეთვე სხვადასხვა ნახევარღმერთების თაყვანისცემასაც ურჩევენ მათი პლანეტების მისაღწევად. საბოლოოდ, *ვედებში* რეკომენდირებულია საქმიანობები, რომლითაც შეიძლება აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევა და მასთან გაერთიანების მიზნით მისი უპიროვნო ასპექტის შეცნობა. მაგრამ აბსოლუტური ჭეშმარიტების უპიროვნო ასპექტი ბოლო სიტყვა არ არის. უპიროვნო ნიშან-თვისებაზე მაღლა დგას პარამჰატმა, ანუ ზესული, მასზე მაღლა კი უზენაესი პიროვნებაა. „შრიმად-ბჰაგავატამი“ გვაძლევს ცოდნას აბსოლუტური ჭეშმარიტების პიროვნული თვისებების შესახებ, თვისებებისა, რომლებიც უპიროვნო ასპექტის მიღმა დგას. ამ თვისებებთან დაკავშირებული საკითხები იმპერსონალისტურ ფილოსოფიურ სპეკულაციებზე მაღალია; ამიტომაც „შრიმად-ბჰაგავატამს“ უფრო მაღალი სტატუსი ენიჭება, ვიდრე *ვედების* ნაწილს *ჯ̣ნ̣ანა-კა̣ნ̣დ̣ა*. „შრიმად-ბჰაგავატამი“ უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნაწილები *კარმა-კა̣ნ̣დ̣ა* და *უპანიშა̣დ-კა̣ნ̣დ̣ა*, რადგან მასში რეკომენდირებულია ღმრთეების უზენაესი პიროვნების, შრი კრშ̣ნ̣ას, ვასუდევას ღვთაებრივი შვილის თაყვანისცემა. *ვედების* ნაწილი *კარმა-კა̣ნ̣დ̣ა* საესეა გრძნობათა უკეთესი დაკმაყოფილებისთვის ზეციურ პლანეტათა მიღწევის კონკურენციით და ეს კონკურენცია გვხვდება აგრეთვე ნაწილებში *ჯ̣ნ̣ანა-კა̣ნ̣დ̣ა* და *უპანიშა̣დ-კა̣ნ̣დ̣ა*. „შრიმად-ბჰაგავატამი“ ყველაფერ ამაზე მაღლა დგას, რადგან მისი ერთადერთი მიზანი არის უმაღლესი ჭეშმარიტება, ყოველი კატეგორიის არსი ან ფესვი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ არსიცა და ფარდობითობებიც თავიანთ ჭეშმარიტ სახესა და პერსპექტივაში. არსი არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, ღმრთეების უზენაესი პიროვნება, ფარდობითობები კი იმ ენერგიის სხვადასხვა ფორმებია, რომელიც მისგან მომდინარეობს. რადგან ცოცხალი არსებებიც დაკავშირებულნი არიან მის ენერგიებთან, სინამდვილეში არაფერია არსისაგან განსხვავებული. ამავე დროს, ენერგიები განსხვავდება არსისგან. მატერიალური თვალსაზრისით ეს კონცეფცია თვითგამომრიცხავია, მაგრამ „შრიმად-ბჰაგავატამი“ დაწვრილებით იხილავს ერთდროული ერთიანობისა და განსხვავების ამ ასპექტს. ეს ფილოსოფია გვხვდება „ვედანტა-სუტრაშიც“, დაწყებული სიტყვებით *ჯანმადი ასია ატა*ჰ. აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში არსებული ერთიანობისა და ორმაგობის ცოდნა გადმოცემულია ყველას სასიკეთოდ. სპეკულაციურ მოაზროვნეებს შეცდომაში შეჰყავთ ხალხი იმით, რომ უფლის ენერგიას აბსოლუტურს უწოდებენ, მაგრამ როდესაც ადამიანი ერთდროული ერთიანობისა და განსხვავების ჭეშმარიტებას მიხვდება, მონიზმისა და დუალიზმის არასრულყოფილი მოძღვრება მას ვეღარ დააკმაყოფილებს. უფლისა და მისი ქმნილების ერთდროული ერთიანობისა და განსხვავების გაგების შედეგად ცოცხალი არსება უმალვე თავისუფლდება სამგვარი გაჭირვებებისგან, რომელთაც სხეული და ჭკუა, სხვა ცოცხალი არსებები და ბუნების ქმედებანი გვაყენებს.

„შრიმად-ბჰაგავატამი“ ცოცხალი არსების აბსოლუტური პიროვნებისადმი მინდობით იწყება. ეს მინდობა ხორციელდება წმინდა ცნობიერებით და იმით, რომ ერთგულს ესმის თავისი ერთიანობა აბსოლუტთან და ამავე დროს მსახურის მარადიული მდგომარეობა. მატერიალისტური შეხედულების მქონე ადამიანი ფიქრობს, რომ იგი უფალია ყოვლისა, რასაც მისი თვალი სწვდება; ამიტომაც მუ-

დამ იტანჯება ცხოვრების სამგვარი გაჭირვებებით. როგორც კი ტრანსცენდენტულ სამსახურში თავის ჭეშმარიტ მდგომარეობას გაიგებს, უმალვე განთავისუფლდება ყოველგვარი ტანჯვისაგან. სიცოცხლეზე მატერიალისტური შეხედულების დროს მსახურის მდგომარეობა არასწორადაა გამოყენებული. მატერიალურ ბუნებაზე ბატონობის მცდელობისას ცოცხალი არსება იძულებულია ემსახუროს ფარდობით მატერიალურ ენერგიას. როდესაც ეს სამსახური საკუთარი სულიერი ვინაობის წმინდა ცნობიერებით უფალზე გადაინაცვლებს, ცოცხალი არსება უმალვე თავისუფლდება დაბრკოლებებისაგან, რომელთაც მატერიისადმი მიჯაჭვულობა უქმნის.

გარდა ამისა, „შრიმად-ბჰაგავატამი“ „ვედანტა-სუტრას“ კომენტარებია, დაწერილი პირადად ვჲასადევას მიერ, როდესაც მან სულიერ რეალიზაციაში სიმწიფეს მიაღწია. მან იგი ნარადას წყალობით დაწერა. ამავე დროს ვჲასადევა წარმოადგენს ნარაჲანას, ღმრთეების პიროვნების ინკარნაციას; ამიტომ მის ავტორიტეტულობაში ეჭვიც არ არსებობს. თუმცა იგი მთელი ვედური ლიტერატურის ავტორია, განსაკუთრებით „შრიმად-ბჰაგავატამის“ შესწავლას გვირჩევს. სხვა *პურანებში* ნახსენებია ნახევარღმერთთა თაყვანისცემის სხვადასხვა მეთოდები, მაგრამ „შრიმად-ბჰაგავატამში“ მხოლოდ ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზეა საუბარი. უზენაესი უფალი მთელი სხეულია, ნახევარღმერთები კი ამ სხეულის სხვადასხვა ნაწილები არიან. მაშასადამე, თუკი ვინმე უზენაეს უფალს თაყვანს სცემს, მას არ სჭირდება ნახევარღმერთთა თაყვანისცემა, რადგან უზენაესი უფალი ყოველი ნახევარღმერთის გულში იმყოფება. უფალი ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუ იმით ანსხვავებდა „შრიმად-ბჰაგავატამს“ სხვა დანარჩენი *პურანებისგან*, რომ უნაკლო *პურანას* უწოდებდა მას.

ტრანსცენდენტული ეპისტოლეს მიღების მეთოდს

მორჩილებით მოსმენა წარმოადგენს. კრიტიკული და უნ-დობლური დამოკიდებულება ვერ დაეხმარება ადამიანს ტრანსცენდენტული ეპისტოლეს მოსმენასა თუ შემეცნე-ბაში; ამიტომ „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეორე ლექსში ნახ-მარია სიტყვა „შუშრუშუ“. ეს სიტყვა მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანს უნდა სწყუროდეს ტრანსცენდენტული ეპისტოლეს მოსმენა. მოსმენის სურვილი ტრანსცენდენ-ტული ცოდნის შეძენისათვის საჭირო მთავარი მოთხოვ-ნილება გახლავთ. სამწუხაროდ, ბევრს არ იზიდავს „შრი-მად-ბჰაგავატამის“ ეპისტოლეს მოთმინებით მოსმენა. პროცესი იოლია, მაგრამ მისი გამოყენებაა ძნელი. უილბ-ლო ადამიანები დროს გამონახავენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხების მოსასმენად, მაგრამ როდესაც „შრიმად-ბჰაგავატამის“ მოსასმენად თავყრილობაზე იწვე-ვენ, დასწრების დიდ სურვილს არ იჩენენ. ზოგჯერ ადა-მიანები ისმენენ „შრიმად-ბჰაგავატამის“ ისეთ ნაწილებს, რომელთა მოსასმენადაც მზად არ არიან. „ბჰაგავატამის“ პროფესიონალური მთხრობელები კითხულობენ უზენაე-სი უფლის გართობებთან დაკავშირებულ საკრალურ ნაწი-ლებს. ეს ნაწილები მათთვის ეროტიკულ ლიტერატურა-სავით იკითხება. მაგრამ „შრიმად-ბჰაგავატამის“ კითხვა საჭიროა თავიდან და დასაწყისშივეა (ბჰაგ. 1.1.2) მოხსე-ნიებული, თუ რა თვისებებს უნდა ფლობდეს მკითხველი, „ბჰაგავატამის“ ეპისტოლეს ათვისება რომ შეძლოს: მრა-ვალი ღვთისმოსავი საქმის ჩადენის შემდეგ ადამიანი „შრიმად-ბჰაგავატამის“ მოსმენის შესაფერისი ჭეშმარი-ტი მსმენელი ხდება. ინტელექტუალურ პიროვნებას სჯე-რა ვიჯსადევასი და მოთმინებით ისმენს „შრიმად-ბჰაგავა-ტამის“ ეპისტოლეს, რათა უშუალოდ შეიცნოს ღმრთეების უზენაესი პიროვნება. შემეცნების სხვადასხვა საფეხურებ-ზე ბრძოლა არ არის საჭირო, რადგან „შრიმად-ბჰაგავა-ტამის“ ეპისტოლეს მოთმინებით მოსმენაზე თანხმობითაც

კი შეუძლია *პარამაჰამსას* მდგომარეობამდე აღმართვა. ნაიმიშარანḍას ბრძენებმა უთხრეს სუტა გოსვამის, რომ უაღრესად სწყუროდათ „შრიმად-ბჰაგავატამის“ გაგება. ისინი სუტა გოსვამისგან კრშნას, ღმრთეების უზენაესი პიროვნების შესახებ ისმენდნენ და ვერ ძღებოდნენ ასეთი საუბრებით. მათ, ვინც მართლაც მიჯაჭვულნი არიან კრშნაზე, არასოდეს სურთ მის შესახებ მოსმენის შეწყვეტა.

ამიტომ უფალმა ჩაიტანḍამ ურჩია პრაკაშანანდა სარასვატის: „მუდამ იკითხე „შრიმად-ბჰაგავატამი“ და სცადე თითოეული ლექსის გაგება. მაშინ ჯეშმარიტად ჩაწვდები „ბრაჰმა-სუტრას“. შენ ამბობ, რომ ძალიან გინდა „ვედანტა-სუტრას“ შესწავლა, მაგრამ „შრიმად-ბჰაგავატამის“ გარეშე „ვედანტა-სუტრას“ ვერ გაიგებ“. მან პრაკაშანანდა სარასვატის ურჩია აგრეთვე, მუდამ ეგალობა ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე. „და თუ ამას იზამ, ძალიან ადვილად განთავისუფლდები. განთავისუფლების შემდეგ სიცოცხლის უმაღლესი მიზნის, ღმრთეების სიყვარულის მიღწევის ღირსი გახდები“.

შემდეგ უფალმა მოიყვანა არაერთი ლექსი ისეთი ავტორიტეტული წმინდა წერილებიდან, როგორიცაა „შრიმად-ბჰაგავატამი“, „ბჰაგავად-გიტა“ და „ნრსიმჰა-ტაპანი“. კერძოდ, მან მოიყვანა ეს ლექსი „ბჰაგავად-გიტადან“:

ბრაჰმა-ბჰუტაჰ პრასანნატმა
ნა შოჩატი ნა კანკშატი
სამაჰ სარვეშუ ბჰუტეშუ
მად-ბჰაკტიმ ლაბჰატე პარამ

„ის, ვინც ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში იმყოფება, უმალვე შეიცნობს უზენაეს ბრაჰმანს. იგი არასოდეს მისტირის რაიმეს და არასოდეს არაფერი სურს; ერთნაირად არის განწყობილი ყოველი ცოცხალი არსების მიმართ. ამ

მდგომარეობაში იგი ჩემს წმინდა ერთგულ სამსახურს აღწევს“ (ბ.გ. 18.54).

ბრაჰმა-ბჰუტას ამ საფეხურს მიღწეული პიროვნება ყოველ ცოცხალ არსებას თანაბრად ხედავს და უზენაესი უფლის წმინდა ერთგული ხდება. „ნრსიმჰა-ტაპანიში“ (2.5.16) ნათქვამია, რომ ჭეშმარიტად განთავისუფლებული პიროვნება ხვდება უზენაესი უფლის ტრანსცენდენტულ გართობებს და მის ერთგულ სამსახურს იწყებს. უფალმა ჩაიტანიამ მოიყვანა აგრეთვე ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამის“ მეორე სიმღერიდან (2.1.9), სადაც შუკადევა გოსვამი აღიარებს, რომ თუმცა იგი განთავისუფლების საფეხურამდე იყო ამაღლებული და თავი *მაჰამს* კლანჭებიდან დაღწეული ჰქონდა, მაინც მიიზიდა კრშნას ტრანსცენდენტულმა გართობებმა. ამიტომაც თავისი დიადი მამის, ვიასადევასგან შეისწავლა „შრიმად-ბჰაგავატამი“.

უფალმა ჩაიტანიამ მოიყვანა კიდევ ერთი *შლოკა* „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (3.15.43), რომელიც კუმარებთან არის დაკავშირებული. როდესაც კუმარები უფლის ტაძარში შევიდნენ, ისინი უფლის ლოტოსის ტერფებისათვის სანდალის ხის ნელსაცხებელთან ერთად მირთმეული ყვავილებისა და *ტულასის* ფოთლების სურნელმა მიიზიდა. უბრალოდ ამ არომატის ყნოსვით კუმარების აზროვნება უზენაესი უფლის სამსახურისკენ შემოტრიალდა, მიუხედავად იმისა, რომ კუმარები უკვე განთავისუფლებული სულები იყვნენ. სხვაგან „ბჰაგავატამში“ (1.7.10) ნათქვამია, რომ პიროვნება განთავისუფლებული სული და მატერიალური უწმინდურობისაგან მართლა განწმენდილიც რომ იყოს, შეიძლება მაინც ყოველგვარი მიზეზის გარეშე უზენაესი უფლის ერთგულმა სამსახურმა მიიზიდოს. ამრიგად, ღმერთი უაღრესად მიმზიდველია. რადგან იგი ამდენად მიმზიდველია, მას კრშნა ჰქვია.

ასე განიხილა უფალმა ჩაიტანიამ პრაკაშანანდა სარასვატისთან „შრიმად-ბჰაგავატამის“ ლექსი *ატმარამა*. უფალი ჩაიტანიას თაყვანისმცემელი, მაჰარაშტრიელმა

ბრაჰმანმა მოჰყვა, რომ უფალმა ეს ლექსი სამოცდაერთი სხვადასხვა სახით განმარტა. ყოველ იქ შეკრებილთ ძალიან სწყუროდათ *ჯტმპრაპმა შლოკას* სხვადასხვა ვერსიების კვლავ მოსმენა, ამიტომ მათ ასე ძლიერ სურდათ, უფალ ჩაიტანიას კიდევ ერთხელ განემარტა ეს *შლოკა* იმ სახით, რომლითაც სანჯტანა გოსვამის აუხსნა. ყველა, ვინც *ჯტმპრაპმა შლოკას* ახსნა-განმარტება მოისმინა, გაოცებული იყო. მართლაც, ყველამ ჩათვალა, რომ უფალი ჩაიტანია თავად შრი კრშნა გახლდათ.

თავი ოცდამეოთხე

საუბრები სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარიასთან

როდესაც ჯაგანნათჰა პურიში უფალი ჩაიტანდა სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარიას შეხვდა, ბჰატტაჩარიამ, როგორც იმ დროის უდიდესმა ლოგიკოსმა, უფლისთვის *ვედანტას* სწავლება მოისურვა. რადგან ბჰატტაჩარია მოხუცი იყო, დაახლოებით უფალი ჩაიტანდას მამის ხნისა, მას შეებრალა ახალგაზრდა *სანნიასი* და მისგან „ვედანტა-სუტრას“ შესწავლა შესთავაზა. ბჰატტაჩარია ამბობდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში უფალ ჩაიტანდას გაუჭირდებოდა *სანნიასას* შენარჩუნება. როდესაც უფალმა საბოლოოდ თანხმობა განუცხადა, ბჰატტაჩარიამ ჯაგანნათჰას ტაძარში მისი სწავლება დაიწყო. შვიდი დღის განმავლობაში ბჰატტაჩარია განუწყვეტლივ განმარტავდა „ვედანტა-სუტრას“, უფალი კი ხმის ამოუღებლად უსმენდა. მერვე დღეს ბჰატტაჩარიამ თქვა: „შენ ერთი კვირა ისმენ ჩემგან „ვედანტა-სუტრას“, მაგრამ კითხვა არ დაგისვამს და არც ჩემი განმარტებების მოწონება გამოგიხატავს. ამიტომ არ ვიცი, გაიგე თუ არა“.

„მე სულელი ვარ“, — უპასუხა უფალმა. „*ვედანტას* შესწავლის უნარი არ შემწევს, მაგრამ რაკი მოსმენა მთხოვე, ვცდილობ, გისმინო. მე უბრალოდ გისმენ, რადგან შენ თქვი, რომ „ვედანტა-სუტრას“ მოსმენა ყოველი *სანნიასის* ვალია. მაგრამ რაც შეეხება შენს მიერ გადმოცემულ მნიშვნელობას — მე არ მესმის იგი“. ამით უფალმა

მიუთითა იმაზე, რომ მაჲავადთა *სამპრადაჲაში* მრავლად არიან ეგრეთ წოდებული *სანნჲასები*, რომელთაც თუმცა წერა-კითხვა არ იციან და უგუნურები არიან, უბრალოდ ფორმალობის მიზნით თავიანთი სულიერი მოძღვრისგან მაინც ისმენენ „ვედანტა-სუტრას“. თუმცა ისმენენ, არაფერი ესმით. რაც შეეხება უფალ ჩაიტანიას, მან თქვა, რომ არ ესმოდა ბჰატტჯჩარიას ახსნა-განმარტება არა იმიტომ, რომ გაგება უჭირდა, არამედ იმიტომ, რომ არ აღიარებდა მაჲავადების ინტერპრეტაციას.

როდესაც უფალმა თქვა, რომ გაუნათლებელი სულელი იყო და ახსნა-განმარტებას ვერ ხვდებოდა, ბჰატტჯჩარიამ მიუგო: „თუკი ვერ ხვდები ჩემს ნათქვამს, რატომ არაფერს მეკითხები? ჩუმად რატომ ზიხარ? ალბათ რაღაცა გაქვს სათქმელი ჩემი ახსნა-განმარტების შესახებ“.

— ჩემო ბატონო, — უპასუხა უფალმა. — „ვედანტა-სუტრასა“, ანუ *ვედანტას* აფორიზმების მნიშვნელობა კარგად მესმის. მაგრამ შენ განმარტებებს ვერ ვხვდები. „ვედანტა-სუტრას“ პირველადი სახით გაგებაში რთული მართლაც არაფერია, მაგრამ „ვედანტა-სუტრას“ განმარტებისას შენ მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას ფარავ. შენ არ ხსნი პირდაპირ მნიშვნელობას, არამედ რაღაცას იგონებ, ამიტომაც ჭეშმარიტი მნიშვნელობა იფარება. ჩემი აზრით, შენ გარკვეული მოძღვრება გაქვს, რომლის გადმოცემასაც „ვედანტა-სუტრას“ აფორიზმებით ცდილობ.

„მუკტიკა უპანიშადის“ თანახმად, არსებობს 108 „უპანიშადი“. მათ შორის არის: (1) „ᲘშᲐ“, (2) „კენა“, (3) „კაᲗჰა“, (4) „პრაშნა“, (5) „მუნდაკა“, (6) „მანდუკიᲐ“, (7) „ტიტტირი“, (8) „აიტარეᲐ“, (9) „ჩჰანდოგიᲐ“, (10) „ბრჰად-არანᲗაკა“, (11) „ბრაჰმა“, (12) „კაივალიᲐ“, (13) „ჯავალა“, (14) „შვეტაშვა“, (15) „ჰამსა“, (16) „არუნი“, (17) „გარბჰა“, (18) „ნარაᲐანა“. 108 *უპანიშადი* მოიცავს მთელ ცოდნას აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ. კრიალოსანის 108 მძივი, რომლებზედაც ვაიშნავები გალობენ, აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე სრული ცოდნის

მომცველ 108 *უპანიშადს* გამოხატავს. ზოგიერთი ტრანსცენდენტალისტი იმასაც თვლის, რომ 108 მძიეი უფალი *კრშნას რაჯა* ცეკვაში მონაწილე 108 თანამგზავრს გამოხატავს.

უფალმა ჩაიტანიამ პროტესტი გამოთქვა *უპანიშადების* არასწორი ინტერპრეტაციის გამო და უარყო ნებისმიერი ახსნა-განმარტება, რომელიც *უპანიშადების* პირდაპირ მნიშვნელობას არ იძლევა. პირდაპირ განმარტებას ეწოდება *აბჰიდჰა-ვრტტი*, მაშინ როდესაც არაპირდაპირ ინტერპრეტაციას *ლაკშანა-ვრტტი* ჰქვია. არაპირდაპირი ინტერპრეტაცია არაფერს იძლევა. არსებობს ოთხი სახის შემეცნება, რომელთაც ეწოდება: (1) უშუალო შემეცნება (*პრატიაკშა*), (2) ჰიპოთეზური შემეცნება (*ანუმანა*), (3) ისტორიული შემეცნება (*აიტიჰია*) და (4) შემეცნება ბგერის საშუალებით (*შაბდა*). ამ ოთხიდან საუკეთესო მეთოდი არის შემეცნება ვედური წმინდა წერილებიდან (რომელიც აბსოლუტური ჭეშმარიტების ბგერითი განსახიერება გახლავთ). *ვედების* ტრადიციული გზით შემსწავლელი პიროვნებები ბგერით შემეცნებას საუკეთესო გზად აღიარებენ.

ვედური ლიტერატურის თანახმად ნებისმიერი ცოცხალი არსების განავალი და ძვალი ბინძურად ითვლება, მიუხედავად ამისა, ვედური ლიტერატურა ამტკიცებს, რომ ძროხის ნაკელი და ზღვის ნიჟარა წმინდაა. ეს განაცხადები თითქოს ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ რადგან *ვედებში* ძროხის ნაკელი და ზღვის ნიჟარა სუფთად ითვლება, *ვედების* მიმდევრები აღიარებენ მათ სისუფთავეს. თუკი დებულებების არაპირდაპირი ინტერპრეტაციით გაგება გვსურს, მაშინ ვედური დებულებების ეჭვის ქვეშ დაყენება მოგვიწევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვედური დებულებების მიღება ჩვენი არასრულყოფილი ინტერპრეტაციებით შეუძლებელია; *ისინი იმავე სახით უნდა ვაღიაროთ, რომლითაც მოცემულია*. თუკი ასე არ მოვიქცევით, ვედურ განაცხადებს ავტორიტეტი არ ჰქონია.

უფალი ჩაიტანიას აზრით, ისინი, ვინც ვედური დებულებების პირად ინტერპრეტაციას ცდილობენ, უგუნურები არიან. ისინი საკუთარ ინტერპრეტაციებს იგონებენ და ამით შეცდომაში შეჰყავთ თავიანთი მიმდევრები. ინდოეთში არის ადამიანთა კლასი, რომელთაც *პრიჰა-სამჯა* ეწოდებათ. ისინი თავდაპირველ *ვედებს* აღიარებენ და უარყოფენ დანარჩენ ვედურ ლიტერატურას. მაგრამ ამ ხალხის მიზანი საკუთარი ინტერპრეტაციების მოცემაში მდგომარეობს. უფალი ჩაიტანიას თანახმად ასეთი ინტერპრეტაციები მიუღებელია. ისინი უბრალოდ არავედურია. უფალმა ჩაიტანიამ თქვა, რომ *უპანიშადების* ვედური დებულებები მზის შუქს ჰგავს. მზის შუქში ყველაფერი ნათლად და გარკვევით ჩანს; *ვედების* დებულებებიც სწორედ ასევე ნათელი და გასაგებია. მაჰაკავიდი ფილოსოფოსები უბრალოდ არასწორი ინტერპრეტაციის ღრუბლით ფარავენ მზის შუქს.

შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ განაცხადა, რომ *უპანიშადების* ყოველი ვედური დებულება მიმართულია საბოლოო ჭეშმარიტებისაკენ, რომელსაც ბრაჰმანი ეწოდება. სიტყვა „ბრაჰმანი“ ნიშნავს „უდიადესს“ და როდესაც უდიადესზე ვსაუბრობთ, უმალვე ვგულისხმობთ ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, ყოველივე ემანაციის სათავეს. თუკი უდიდესი სრულად არ ფლობს ექვს სიდიადეს, მას არ შეიძლება უდიადესი ეწოდოს. ექვსი სიდიადით აღსავსე უდიადესი ღმრთეების უზენაესი პიროვნება გახლავთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უზენაესი ბრაჰმანი ღმრთეების უზენაესი პიროვნებაცაა. „ბჰაგავად-გიტაში“ (10.12) არჯუნა კრიშნას უზენაეს ბრაჰმანად აღიარებს (*პარამ ბრაჰმა*). უპიროვნო ბრაჰმანისა და ლოკალიზებული ზესულის კონცეფციები ღმრთეების უზენაესი პიროვნების გაგებაში შედის.

ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე საუბრისას ვუმატებთ სიტყვა „შრი“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი

ექვსი სიდიადითაა აღსავსე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი მუდამ პიროვნებაა; პიროვნება რომ არ ყოფილიყო, ექვსი სიდიადე სრულად არ იქნებოდა მასში წარმოდგენილი. როდესაც ვამბობთ, რომ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება უპიროვნოა, ვგულისხმობთ იმას, რომ მისი პიროვნება მატერიალური არ არის. მაშასადამე, მისი ტრანსცენდენტული სხეულის უბრალო მატერიალური სხეულებისგან გამოსარჩევად ზოგიერთმა ფილოსოფოსმა იგი მატერიალური თვალთახედვიდან უპიროვნოდ დაახასიათა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უარყოფილია მატერიალური პიროვნება და აღიარებულია სულიერი პიროვნება. „შვეტაშვატარა უპანიშადში“ (3.19) გარკვევითაა განმარტებული, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მატერიალური ფეხები და ხელები არა აქვს, მაგრამ ეს წმინდა წერილი მიგვანიშნებს, რომ მას აქვს სულიერი ხელები, რომლითაც ყველაფერს ღებულობს, რასაც შესთავაზებენ. სწორედ ასევე, მას მატერიალური თვალები არა აქვს, მაგრამ აქვს სულიერი თვალები, რომლითაც ყველასა და ყველაფერს ხედავს. თუმცა მატერიალური ყურები არ გააჩნია, ყველაფერი ესმის. რაკი სრულყოფილი გრძნობები აქვს, იცის წარსული, აწმყო და მომავალი. მართლაც, მან ყველაფერი იცის, მაგრამ მას არავინ იცნობს, რადგან მატერიალური გრძნობებით მისი გაგება შეუძლებელია. როგორც ყოველი ემანაციის სათავე, იგია უზენაესი, უდიადესი, ღმრთეების პიროვნება.

მრავალი მსგავსი ვედური ჰიმნი უდაოდ ადასტურებს იმას, რომ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება არის პიროვნება, რომელიც ამ მატერიალურ სამყაროს არ მიეკუთვნება. მაგალითად, „ჰადაშირშა-პანჩარატრაში“ განმარტებულია, რომ თუმცა ყოველ *უპანიშადში* უზენაესი ბრაჰმანი თავიდან უპიროვნო სახით განიხილება, ბოლოს აღიარებულია უზენაესი უფლის პიროვნული ფორმა. მსგავს ლექსს ვხვდებით „შრი ნიშოპანიშადშიც“:

ჰირაṇმაᲫენა პუᲫრენა
სატᲫასᲫუპეჰიტაṁ მუქჰაṁ
ტატ ტვაṁ პუშუნნ-აპუვრṇუ
სატᲫა-ᲫჰარმუᲫა დრშტᲫᲫე

„ო ჩემო უფალო, ყოველი სულიერის მასულდგმულებელო, შენი ჭეშმარიტი სახე შენივე თვალისმომჭრელი სიკაშკაშითაა დაფარული. გთხოვ, მოიცილე ეს საფარველი და ეჩვენე შენს წმინდა ერთგულს“ (ᲨᲨ. 15).

ეს ლექსი გვასწავლის, რომ ყველა ერთგულად უნდა ემსახუროს უზენაეს უფალს, რომელიც მთელი სამყაროს მასულდგმულებელია. ყველა მისი წყალობით არსებობს; ამიტომ მისი ერთგული სამსახური ჭეშმარიტ რელიგიას წარმოადგენს. ღმრთეების უზენაესი პიროვნება არის *საჩ-ჩიდ-ᲨᲜᲜᲫᲫᲫ* მარადიული ფორმა და მისი სიკაშკაშე მთელს სამყაროშია მოფენილი, ისევე როგორც მზის შუქი ვრცელდება მთელ მზის სისტემაში. და როგორც მზის დისკოს ფარავს მზის შუქის თვალისმომჭრელი სიკაშკაშე, უფლის ტრანსცენდენტული ფორმაც *ბრაჰმაჯᲫოტიᲫ* წოდებული თვალისმომჭრელი სიკაშკაშითაა დაფარული. მართლაც, ამ ლექსში გარკვევით არის ნათქვამი, რომ უზენაესი უფლის მარადიული, ნეტარი, ცნობიერი ფორმა იმყოფება *ბრაჰმაჯიოტის* თვალისმომჭრელ სიკაშკაშეში, რომელიც უზენაესი უფლის სხეულიდან მომდინარეობს. მაშასადამე, უფლის პიროვნული ფორმა *ბრაჰმაჯᲫოტის* წყაროს წარმოადგენს, როგორც „Ბჰაგავად-გᲨᲨᲨᲨია“ (ბ.გ. 14.27) დამტკიცებული. ის, რომ უპიროვნო ბრაჰმანი ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზეა დამოკიდებული, ნათქვამია „ᲰᲐᲫᲨᲨᲨᲨ

პანიშადი“ გვასწავლის, უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტება უპიროვნოცაა და პიროვნულიც, მაგრამ მისი პიროვნული ასპექტი უპიროვნოზე მნიშვნელოვანია.

„ტაიტტირიიჲა უპანიშადის“ *მანტრის* თანახმად (*ჲატო ვა იმანი ბჰუტანი ჯაჲანტე*), ეს კოსმოსური გამოვლინება უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების ემანაციაა მხოლოდ და უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე განისვენებს. აბსოლუტური ჭეშმარიტება წოდებულია მოქმედების, მიზეზობრივ და ადგილობრივ შემსრულებლად. ამრიგად, როგორც შემსრულებელი, იგი ღმრთეების უზენაესი პიროვნებაა, რადგან ყოველი ეს ნიშანი პიროვნებას ახასიათებს. როგორც ამ კოსმოსური გამოვლინების მოქმედებითი შემსრულებლისაგან, მისგან მომდინარეობს მთელი ფიქრი, გრძნობა და ნება. ფიქრის, გრძნობისა და ნების გარეშე გამორიცხულია კოსმოსური გამოვლინების მოწყობა და დაგეგმვა. გარდა ამისა, იგი მიზეზია, რადგან იგია კოსმოსის თავდაპირველი შემქმნელი. და იგია ადგილობრივი საწყისი: ე.ი. ყველაფერი მის ენერგიაში განისვენებს. ყოველი ეს ატრიბუტი უდაოდ პიროვნების ატრიბუტები გახლავთ.

„ჩჰანდოგჲა უპანიშადში“ (5.2.3) ნათქვამია, რომ როდესაც ღმრთეების უზენაეს პიროვნებას სურს მრავლად გახდომა, იგი მატერიალურ ბუნებას ავლებს მზერას. „აიტარეჲა უპანიშადში“ (1.1) დადასტურებულია აგრეთვე, *სა აიკშატა:* „უფალმა მზერა მოავლო მატერიალურ ბუნებას“. კოსმოსური გამოვლინება არ არსებობდა მისი მზერის მოვლებამდე; ამიტომ მისი მზერა მოკლებულია მატერიალურ უწმინდურებას. უფლის მხედველობის უნარი მატერიალური სამყაროს შექმნამდე არსებობდა; ამიტომ მისი სხეული მატერიალური არ არის. მისი ფიქრი, გრძნობა და მოქმედება — ყველაფერი ტრანსცენდენტულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა დავასკვნათ, რომ

ჭკუა, რომლითაც უფალი ფიქრობს, გრძნობს და სურს, ტრანსცენდენტულია და ასევე ტრანსცენდენტულია თვალებიც, რომლითაც იგი მატერიალურ ბუნებას მზერას ავლებს. რადგან მისი ტრანსცენდენტული სხეული და ყოველი მისი გრძნობა მატერიალური სამყაროს შექმნამდე არსებობდა, უფალს ჭკუაც ტრანსცენდენტული აქვს და მისი ფიქრი, გრძნობა და ნებაც ტრანსცენდენტულია. ასეთია მთელი ვედური ლიტერატურის დასკვნა.

სიტყვა ბრაჰმანი *უპანიშადებში* ყველგან გვხვდება. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ბრაჰმანი, პარამატმა და ბჰაგავანი, ღმრთეების უზენაესი პიროვნება, აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ერთად არის წარმოდგენილი. ბრაჰმანისა და პარამატმას შემეცნება საბოლოო შემეცნებისკენ მიმავალი გზის საფეხურებად ითვლება, რომელიც ღმრთეების უზენაესი პიროვნების შემეცნებას წარმოადგენს. ეს არის მთელი ვედური ლიტერატურის ჭეშმარიტი დასკვნა.

ამრიგად, სხვადასხვა ვედური წმინდა წერილების მოწმობის საფუძველზე, უზენაესი უფალი კრშნა ბრაჰმანის შემეცნების საბოლოო მიზნად არის აღიარებული. „ბჰაგავად-გიტაშიც“ (7.7) დადასტურებულია, რომ კრშნაზე მაღალი არაფერი არსებობს. მადჰვაჩარია, ბრაჰმას მოწაფეობრივი თანმიმდევრობის ერთ-ერთმა უდიდესმა *აჩარია*, „ვედანტა-სუტრას“ თავის ახსნა-განმარტებაში განაცხადა, რომ წმინდა წერილთა ავტორიტეტის საშუალებით ყველაფრის დანახვა შეიძლება. მან მოიყვანა ლექსი „სკანდა პურანადან“, სადაც ნათქვამია, რომ „რგ ვედა“, „სამა ვედა“, „ათჰარვა ვედა“, „მაჰაბჰარატა“, „პანჩარატრა“ და თავდაპირველი „რამაია“ სინამდვილეში ვედურ მოწმობებს წარმოადგენს. *პურანებიც*, რომლებსაც ვაიშნავები აღიარებენ, ვედურ მოწმობად ითვლება. მართლაც, რაც კი ამ ლიტერატურაშია მოცემული, კამათის გარეშე უნდა ვაღიაროთ საბოლოო დასკვნად და მთელი ეს ლიტერატურა აცხადებს, რომ კრშნა არის ღმრთეების უზენაესი პიროვნება.

თავი ოცდამეხუთე

პიროვნული და უპიროვნო რეალიზაცია

პურანებს ვედური ლიტერატურის დამატებები ეწოდება. რადგან ზოგჯერ უბრალო ადამიანისთვის ძალიან ძნელია იმის გაგება, თუ რაზეა ლაპარაკი თავდაპირველ *ვედებში*, ამიტომ *პურანებში* იგივე საკითხები ამბებისა და ისტორიული შემთხვევების საშუალებით არის განმარტებული. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.14.32) ნათქვამია, რომ მაჰარაჯა ნანდა, მენახირე ბიჭები და ვრინდავანის მაცხოვრებლები ძალიან იღბლიანები არიან, რადგან უზენაესი ბრაჰმანი, ნეტარებით აღსავსე ღმრთეების პიროვნება, მათთან ერთად მათი მეგობარივით ეწევა მარადიულ გართობებს.

„შვეტაშვატარა უპანიშადის“ თანახმად, *მანტრა აპანი-პადო ჯავანო გრაჰიტა* ამტკიცებს, რომ თუმცა ბრაჰმანს მატერიალური ხელები და ფეხები არა აქვს, იგი მაინც დიდებულად დააბიჯებს და ღებულობს ყველაფერს, რასაც შესთავაზებენ. ეს გულისხმობს იმას, რომ მას ტრანსცენდენტული კიდურები აქვს და რომ იგი უპიროვნო არ არის. ის, ვისაც არ ესმის ვედური პრინციპები, უბრალოდ ხაზს უსვამს უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების უპიროვნო მატერიალურ ნიშან-თვისებებს და ამის გამო არასწორად უწოდებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას

უპიროვნოს. იმპერსონალისტ მაḍავად ფილოსოფოსებს სურთ იმის დადასტურება, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება არის რაღაც უპიროვნო, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ვედურ ლიტერატურას. თუმცა ვედური ლიტერატურა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უზენაეს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას მრავალრიცხოვანი ენერგიები აქვს, მაḍავადი იმპერსონალისტები მაინც ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ენერგია არ გააჩნია. მაგრამ ფაქტია, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება მთელ ენერგიებს ფლობს და ამასთანავე პიროვნებაცაა. მისი უპიროვნობის დამტკიცება შეუძლებელია.

„ვიშṇუ პურაṇას“ თანახმად (6.7.61-3), ცოცხალი არსებები *კშეტრაჯṇა* ენერგიად ითვლებიან. თუმცა ცოცხალი არსება უზენაესი უფლის განუყოფელი ნაწილაკია და ბოლომდე ცნობიერია, მაინც მატერიალური უწმინდურობის ხაფანგში ექცევა და იტანჯება მატერიალური ცხოვრების გაჭირვებებით. მატერიალურ ბუნებაში მათი ტყვეობის ხარისხის მიხედვით ასეთი ცოცხალი არსებები სხვადასხვა დონეზე ცხოვრობენ. უზენაესი უფლის თავდაპირველი ენერგია სულიერია და არ განსხვავდება ღმრთეების აბსოლუტური უზენაესი პიროვნებისაგან. ცოცხალ არსებას ეწოდება უზენაესი უფლის მოსაზღვრე ენერგია, მატერიალურ ენერგიას კი — უმდაბლესი ენერგია. მოსაზღვრე მდგომარეობაში მყოფი მატერიით გაბრუებული ცოცხალი არსება უმდაბლეს ენერგიაში, მატერიაში იხლართება. ამ დროს იგი ივიწყებს თავის სულიერ მნიშვნელობას, აიგივებს თავს მატერიალურ ენერგიასთან და ამის გამო სამგვარ გაჭირვებას ემორჩილება. მხოლოდ ასეთი მატერიალური უწმინდურობისაგან განთავისუფლების შემდეგ დაიკავებს თავის სწორ მდგომარეობას.

ვედების მოძღვრების მიხედვით უნდა გავარკვიოთ ცოცხალი არსების კონსტიტუციური მდგომარეობა, უფლის მდგომარეობა და მატერიალური ენერგიის მდგომარეობა

მათთან ურთიერთკავშირში. უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა უზენაესი უფლის, ღმრთეების პიროვნების არსის გაგება უნდა სცადოს. ამ უზენაეს უფალს მარადიული, ცნობიერი, ნეტარი სხეული აქვს და მისი სულიერი ენერგია მოფენილია მარადისობის, ცოდნისა და ნეტარების სახით. მისი ნეტარი საწყისი შეიცავს ნეტარების მომნიჭებელ პოტენციას, მისი მარადისობის საწყისი კი შეიძლება ყველაფრის მიზეზად იქნას განხილული. თავის ცნობიერ საწყისში იგი უმაღლესი ცოდნა გახლავთ. მართლაც, სიტყვა „კრშნა" ამ უმაღლეს ცოდნაზე მიუთითებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უზენაესი პიროვნება, კრშნა, მთელი ცოდნის, ნეტარებისა და მარადისობის წყაროა. კრშნას უმაღლესი ცოდნა ვლინდება სამი ენერგიის — შინაგანი, მოსაზღვრე და გარეგანი ენერგიის სახით. შინაგანი ენერგიის მეშვეობით იგი თავის სულიერ გარემოცვასთან ერთად არსებობს; მოსაზღვრე ენერგიის საშუალებით იგი ცოცხალი არსებების სახით ჩნდება, ხოლო გარეგანი ენერგიის საშუალებით იგი მატერიალური ენერგიის სახით ავლენს თავს. ენერგიის თითოეული გამოვლინების მიღმა არის მარადისობა, ნეტარება, ძლევამოსილება და სრული ცნობიერება.

განპირობებული სული გარეგანი პოტენციის მიერ შეპყრობილ მოსაზღვრე ენერგიას წარმოადგენს. მაგრამ სულიერი პოტენციის განმგებლობაში მოქცეული მოსაზღვრე პოტენცია ღმრთეების სიყვარულის რჩეული ხდება. უზენაესი უფალი ტკბება ექვსი სახის სიდიადით და არავის ძალუძს იმის დასაბუთება, რომ იგი უფორმოა ან ენერგია არ გააჩნია. თუკი ვინმე ამას აცხადებს, მისი არგუმენტები სრულიად ეწინააღმდეგება ვედურ სწავლებებს. სინამდვილეში ღმრთეების უზენაესი პიროვნება ყოველი ენერგიის მბრძანებელია. მატერიალური ენერგიის განმგებლობაში მხოლოდ ცოცხალი არსება, უფლის უმცირესი განუყოფელი ნაწილაკი ექცევა.

„მუნდაკა უპანიშადში“ ნათქვამია, რომ ერთ ხეზე ორი ჩიტი ზის და ერთ-ერთი მათგანი ხის ნაყოფებს ჭამს, მეორე კი უბრალოდ მოწმეა მისი საქმიანობისა. ნაყოფის მჭამელი ჩიტი მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება ყოველგვარი მღელვარებისაგან, როდესაც მეორე ჩიტს შეხედავს. უმცირესი ცოცხალი არსება ასეთ მდგომარეობაში იმყოფება. სანამ დავიწყებული ჰყავს მისი ყოველი საქმიანობის მოწმე ღმრთეების უზენაესი პიროვნება, სამგვარ გაჭირვებას ექვემდებარება. მაგრამ როდესაც უზენაეს უფალს შეხედავს და მისი ერთგული გახდება, ყოველგვარი მღელვარებისა და მატერიალური გაჭირვებისაგან განთავისუფლებას აღწევს. ცოცხალი არსება მარად უზენაეს უფალზეა დაქვემდებარებული; უზენაესი უფალი მუდამ მთელი ენერგიების მბრძანებელია, ცოცხალი არსება კი ყოველთვის უფლის ენერგიების განმგებლობის ქვეშ იმყოფება. თუმცა ცოცხალი არსება თვისობრივად უზენაესი უფლის ტოლფასია, მას მატერიალურ ბუნებაზე ბატონობის მიდრეკილება ახასიათებს; მაგრამ მას, როგორც უმცირესს, მატერიალური ბუნება განაგებს. ამიტომ ცოცხალ არსებას უფლის მოსაზღვრე პოტენცია ეწოდება.

რადგან ცოცხალ არსებას მატერიალური ბუნების კონტროლის ქვეშ მოქცევის მიდრეკილება ახასიათებს, იგი ვერც ერთ საფეხურზე ვერ გაერთიანდება უზენაეს უფალთან. ცოცხალი არსება უზენაესი უფლის ტოლი რომ ყოფილიყო, მატერიალური ენერგიის კონტროლის ქვეშ არ მოექცეოდა. „ბჰაგავად-გიტაში“ ცოცხალი არსება დახასიათებულია როგორც უზენაესი უფლის ერთ-ერთი ენერგია. თუმცა ენერგია განუყოფელია ენერგიის წყაროსგან, ენერგია მაინც ენერგიაა და ვერ გახდება ენერგიის წყაროს თანასწორი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოცხალი არსება ერთდროულად განსხვავდება და არ განსხვავდება უზენაესი უფლისგან. „ბჰაგავად-გიტაში“

(7.4-5) გარკვევითაა ნათქვამი, რომ მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი, ეთერი, ჭკუა, გონება და ცრუ ეგო უზენაესი უფლის რვა ელემენტარულ ენერგიას წარმოადგენს და უმდაბლესი თვისობრიობით ხასიათდება, მაშინ როდესაც ცოცხალი არსება უმაღლესი თვისობრიობის მატარებელია. ვედური ლიტერატურა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უზენაესი უფლის ტრანსცენდენტული ფორმა არის მარადიული, ნეტარი და ცოდნით სავსე.

უზენაესი უფლის ფორმა, რომელიც მატერიალური ბუნების მოდუსებს მიღმა იმყოფება, ამ მატერიალური სამყაროს ფორმებს არ ჰგავს. მისი ფორმა სრულიად სულიერია და მას ვერც ერთი მატერიალური ფორმა ვერ შეედრება. ვედური ლიტერატურის თანახმად, მას, ვინც უზენაესი უფლის სულიერ ფორმას არ აღიარებს, ათეისტი ეწოდება. რადგან უფალი ბუდა არ აღიარებდა ამ ვედურ პრინციპებს, ვედური მასწავლებლები მას ათეისტად მიიჩნევენ. თუმცა მაჰაკვადი ფილოსოფოსები თავს გვაჩვენებენ, რომ ვედურ პრინციპებს აღიარებენ, ისინი არაპირდაპირ ქადაგებენ ბუდისტურ ან ათეისტურ ფილოსოფიას და არ ცნობენ ღმრთეების უზენაეს პიროვნებას. მაჰაკვადთა ფილოსოფია უფრო დაბლა დგას, ვიდრე ბუდისტთა ფილოსოფია, რომელიც პირდაპირ უარყოფს *ვედების* ავტორიტეტს. მაჰაკვადთა ფილოსოფია *ვედანტას* ფილოსოფიის ნიღაბს არის ამოფარებული და ამიტომ ბუდიზმზე ან ათეიზმზე სახიფათოა.

„ვედანტა-სუტრა“ ყველა ცოცხალი არსების სასიკეთოდ ვაჰსადევამ შეადგინა. სწორედ „ვედანტა-სუტრას“ საშუალებით შეიძლება *ბჰაკტი-ადოგას* ფილოსოფიის გაგება. სამწუხაროდ, მაჰაკვადების კომენტარებში „შარირაკა-ბჰაშია“, პრაქტიკულად განადგურებულია „ვედანტა-სუტრას“ მიზანი. მაჰაკვადების კომენტარები უარყოფს ღმრთეების უზენაესი პიროვნების სულიერ, ტრანსცენდენტულ

ფორმას, უზენაესი ბრაჰმანი კი ინდივიდუალური ბრაჰ-მანის, ცოცხალი არსების დონემდე არის ჩამოყვანილი. უარყოფილია უზენაესი ბრაჰმანისა და ინდივიდუალური ბრაჰმანის სულიერი ფორმა და ინდივიდუალობა, თუმცა გარკვევითაა ნათქვამი, რომ უზენაესი უფალი წარმოადგენს ერთ უმაღლეს ცოცხალ არსებას, დანარჩენი ცოცხალი არსებები კი მრავალი დაქვემდებარებული ცოცხალი არსებები არიან. ამიტომ „ვედანტა-სუტრაზე" მადავადების კომენტარების კითხვა ყოველთვის სახიფათოა. მთავარი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ამ კომენტარების კითხვის შედეგად ადამიანმა ცოცხალი არსება შეიძლება უზენაეს უფალს გაუტოლოს. განპირობებული ცოცხალი არსების ამ გზაზე გადაცდენა სირთულეს არ წარმოადგენს და თუკი იგი ამ გზაზე გადაუხვევს, ვეღარასოდეს დაუბრუნდება თავის ნამდვილ მდგომარეობას და ვერ დატკბება თავისი მარადიული საქმიანობით *ბჰაკტი-დოგაში*. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მადავადის ფილოსოფიამ უდიდესი ბოროტი სამსახური გაუწია კაცობრიობას, წამოაყენა რა იმპერსონალისტური შეხედულება უზენაეს უფალზე. ამით მადავადმა ფილოსოფოსებმა ადამიანთა საზოგადოებას „ვედანტა-სუტრას" ჭეშმარიტი არსი დაუკარგეს.

„ვედანტა-სუტრას" დასაწყისშივე აღიარებულია, რომ კოსმოსური გამოვლინება უზენაესი უფლის ენერგიის გამომჟღავნებაა მხოლოდ. პირველი აფორიზმიც (*ჯანმადი ასია*) აღწერს უზენაეს უფალს როგორც მას, ვისგანაც ყველაფერი მომდინარეობს. ყველაფერს იგი უნარჩუნებს არსებობას და ყველაფერი მასში შედის. მაშასადამე, აბსოლუტური ჭეშმარიტება შექმნის, არსებობის შენარჩუნებისა და განადგურების მიზეზია. ხილის ნაყოფის მიზეზი ხე გახლავთ; როდესაც ხე ნაყოფს იძლევა, ვერ ვიტყვით, რომ ხე უპიროვნოა. ხეს შეუძლია ასობით და ათასობით ნაყოფი მოისხას, მაგრამ იგი მაინც თავის საბეს ინარჩუნებს. ნაყოფი წარმოიქმნება, იზრდება და ერთ ხანს არსებობს; შემდეგ ლპება და კვდება. ეს იმას როდი

ნიშნავს, რომ მასთან ერთად ხეც კვდება. ამრიგად, „ვედანტა-სუტრა“ დასაწყისშივე განმარტავს თანაპროდუქტთა მოძღვრებას. წარმოქმნას, არსებობის შენარჩუნებასა და განადგურებას უზენაესი უფლის წარმოუდგენელი ენერგია ასრულებს. კოსმოსური გამოვლინება უზენაესი უფლის ენერგიის ტრანსფორმაციაა, თუმცა უზენაესი უფლის ენერგია და თავად უზენაესი უფალი არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან და განუყოფელნი არიან. ფილოსოფიურ ქვას რკინასთან რეაქციაში დიდძალი ოქროს წარმოქმნა შეუძლია, მაგრამ ფილოსოფიური ქვა მაინც იგივე რჩება. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესმა უფალმა უზარმაზარი მატერიალური კოსმოსური გამოვლინება შექმნა, იგი მუდამ თავის ტრანსცენდენტულ ფორმას ინარჩუნებს.

მადავადთა ფილოსოფიას იმის გამბედაობა ჰყოფნის, რომ უარყოფს „ვედანტა-სუტრაში“ განმარტებულ ვადასადევას ჩანაფიქრს და ცდილობს გარდაქმნის მოძღვრების დამყარებას, რომელიც მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფს წარმოადგენს. მადავადის ფილოსოფიის თანახმად, კოსმოსური გამოვლინება აბსოლუტური ჭეშმარიტების სახეცვლილებაა მხოლოდ და აბსოლუტური ჭეშმარიტება კოსმოსური გამოვლინებისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. ეს არ არის „ვედანტა-სუტრას“ არსი. მადავადმა ფილოსოფოსებმა გარდაქმნის ფაქტი სიყალბედ მიიჩნიეს, მაგრამ იგი ყალბი არ არის. წარმავალია მხოლოდ. მადავადი ფილოსოფოსები ამტკიცებენ, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება ერთადერთი ჭეშმარიტებაა და რომ სამყაროს სახელით ცნობილი მატერიალური გამოვლინება რეალური არ არის. სინამდვილეში ეს შეცდომაა. მატერიალური უწმინდურება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ილუზორული არ არის, რადგან ფარდობით ჭეშმარიტებას წარმოადგენს, წარმავალი გახლავთ. წარმავალსა და ილუზორულს შორის განსხვავება არსებობს.

პრანავა, ანუ *ომკარა* ვედურ ჰიმნებში მოცემული მთა-

ვარი ვიბრაციაა და *ომკარა* უზენაესი უფლის ბგერით ფორმად ითვლება. მთელი ვედური ჰიმნები *ომკარადან* იღებს დასაბამს და თავად სამყაროც ამ ბგერა *ომკარადან* მომდინარეობს. სიტყვები *ტატ ტვამ ასი*, რომლებიც ვედურ ჰიმნებშიც გვხვდება, არ არის მთავარი ვიბრაციები, არამედ ცოცხალი არსების კონსტიტუციურ მდგომარეობას განმარტავს. *ტატ ტვამ ასი* ნიშნავს იმას, რომ ცოცხალი არსება უმაღლესი სულის სულიერი ნაწილაკია, მაგრამ ეს არ არის *ვედანტას* ან ვედური ლიტერატურის ძირითადი მოტივი. უზენაესის ძირითად ბგერით განსახიერებას *ომკარა* წარმოადგენს.

„ვედანტა-სუტრას" ყოველი ეს მცდარი ახსნა-განმარტება ათეისტურად ითვლება. რადგან მადავადი ფილოსოფოსები არ აღიარებენ უზენაესი უფლის მარადიულ ტრანსცენდენტულ ფორმას, მათ ჭეშმარიტ ერთგულ სამსახურში დასაქმება არ შეუძლიათ. ამიტომ მადავადი ფილოსოფოსი სამუდამოდ მოკლებულია კრშნას ცნობიერებას და კრშნას ერთგულ სამსახურს. ღმრთეების პიროვნების წმინდა ერთგული მადავადთა ფილოსოფიას არასოდეს აღიარებს ტრანსცენდენტული შემეცნების რეალურ გზად. მადავადი ფილოსოფოსები კოსმოსური სამყაროს ზნეობრივ და უზნეო მატერიალურ ატმოსფეროში ლივლივებენ, ამიტომ მუდამ მატერიალური სიამოვნების მიღებითა და უარყოფით არიან დაკავებულნი. ისინი შეცდომით აღიარებენ არასულიერს სულიერად და ამის შედეგად დაივიწყეს ღმრთეების უზენაესი პიროვნების მარადიული სულიერი ფორმა, მისი სახელი, თვისება და გარემოცვა. მათ უზენაესის ტრანსცენდენტული გართობები, სახელი, ფორმა და თვისებები მატერიალური ბუნების პროდუქტებად მიაჩნიათ. მატერიალური სიამოვნებისა და გაჭირვების მიღებისა და უარყოფის გამო მადავადი ფილოსოფოსები სამარადისოდ ექვემდებარებიან მატერიალურ ტანჯვებს.

უფლის ჭეშმარიტი ერთგულები არასოდეს ეთანხმებიან მპჲპვპდ ფილოსოფოსებს. იმპერსონალიზმის საფუძველზე შეუძლებელია მარადისობის, ნეტარებისა და ცოდნის დახასიათება. განთავისუფლების შესახებ მათი არასრულყოფილი ცოდნის გამო, მპჲპვპდები დასცინიან მარადისობას, ცოდნასა და ნეტარებას როგორც მატერიალურს. რადგან ერთგულ სამსახურს უარყოფენ, უგუნურები არიან და არ ესმით, თუ რას იძლევა ერთგული სამსახური. მათ უგუნურებას ააშკარავებს სიტყვათა თამაში, რომლითაც ისინი ცოდნას, ცოდნის საგანსა და მცოდნეს შორის არსებული განსხვავების წაშლას ცდილობენ. „ვედანტა-სუტრას“ დასაწყისის ჭეშმარიტი მნიშვნელობა თანაპროდუქტის მოძღვრებაში მდგომარეობს. უფალი აღჭურვილია უთვალავი უსასრულო ენერგიით და ამიტომაც სხვადასხვა სახით ავლენს ამ ენერგიათა თანაპროდუქტებს. ყველაფერი მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება. უზენაესი უფალი უზენაესი მაკონტროლებელიცაა და ურიცხვი ენერგიისა და ექსპანსიის სახით ვლინდება.

თავი ოცდამეექვსე

ბჰატტაჩარჯას მოქცევა

იმპერსონალისტი და ვოიდისტი ფილოსოფოსებისთვის იმქვეყნიური სამყარო აზრს მოკლებული მარადისობისა და ნეტარების სამყაროა. ვოიდისტ ფილოსოფოსებს სურთ იმის დამტკიცება, რომ იმქვეყნად საბოლოო ჯამში ყველაფერი უაზროა, იმპერსონალისტებს კი სურთ დაამტკიცონ, რომ იქ მხოლოდ მოქმედებას მოკლებული ცოდნა არსებობს. ამიტომ ხსნის მაძიებელი* ნაკლებად გონიერი ხალხი, ცდილობს არასრულყოფილი ცოდნა სრულყოფილ სულიერ საქმიანობას მიაწეროს. რადგან იმპერსონალისტი ხედავს, რომ მატერიალურ საქმიანობას ტანჯვა მოაქვს, სურს იმის დამტკიცება, რომ სულიერ სიცოცხლეში საქმიანობა არ არსებობს. მას საერთოდ არ ესმის ერთგულ სამსახურში შესრულებული ქმედებები. მართლაც ერთგული სამსახურით შესრულებული სულიერი საქმიანობა შეუცნობადია ვოიდისტი ფილოსოფოსებისა და იმპერსონალისტებისათვის. ვაიშნავმა ფილოსოფოსებმა მშვენივრად იციან, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება, ღმრთეების უზენაესი პიროვნება, ვერასოდეს იქნება უპიროვნო ან ცარიელი, რადგან უსაზღვრო პოტენციებს ფლობს. თავისი ურიცხვი ენერგიის საშუალებით მას შეუძლია მრავალრიცხოვანი სახით იყოს წარმოდგენილი იყოს და მაინც ღმრთეების აბსოლუტურ უზენაეს პიროვნებად დარჩეს. ე.ი. თუმცა მრავალრიცხოვანი სახით

---

*იგულისხმებიან იმპერსონალისტები, რომლებიც უზენაესთან შერწყმას ცდილობენ.

ვრცელდება და ავრცელებს თავის ურიცხვ ენერგიებს, მაინც თავის ტრანსცენდენტულ მდგომარეობას ინარჩუნებს.

ამრიგად, უფალმა ჩაიტანიამ მაიავადთა ფილოსოფიის მრავალი ნაკლოვანება ამხილა და თუმცა ბჰატტაჩარია ლოგიკისა და სიტყვათა თამაშის ხარჯზე ცდილობდა საკუთარი სწავლების დამტკიცებას, უფალმა ჩაიტანიამ შეძლო მისი შეტევისაგან თავდაცვა. უფალმა დაასაბუთა, რომ ვედური ლიტერატურა ისახავს სამ მიზანს: ღმრთეების აბსოლუტურ უზენაეს პიროვნებასთან ჩვენი ურთიერთობის გაგებას, ამ გაგების მიხედვით მოქმედებასა და სიცოცხლის უმაღლესი სრულყოფილების საფეხურის, ღმრთეების სიყვარულის მიღწევას. ვინც იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ ვედურ ლიტერატურას რაიმე სხვა მიზანი გააჩნია, უდაოდ საკუთარი ფანტაზიის მსხვერპლი გახლავთ.

შემდეგ უფალმა მოიყვანა ლექსები *პურანებიდან*, რითაც დაადასტურა, რომ შანკარაჩარია ღმრთეების უზენაესი პიროვნების მიერ იყო გამოგზავნილი ხალხისათვის ცოდნის მისაცემად. მან მოიყვანა ლექსი „პადმა პურანადან“ (62.31), სადაც ნათქვამია, რომ უფალმა უბრძანა მაჰადევას, უფალ შივას, მიეცა ხალხისთვის ვედური ლიტერატურის გარკვეული წარმოსახვითი განმარტება, რათა ადამიანები *ვედების* ჭეშმარიტი მიზნისაგან გადაეცდინა. „ამით მათ ათეისტებად გარდაქმნას შეეცადე“, — თქვა უფალმა. „ამის შემდეგ ისინი მოსახლეობას გაამრავლებენ“. „პადმა პურანაში“ (25.9) ნათქვამია ისიც, რომ უფალმა შივამ აუხსნა თავის მეუღლეს, პარვატის, რომ კალის ეპოქაში მოევლინება *ბრაჰმანის* სახით, რათა *ვედების* არასრულყოფილი ინტერპრეტაცია, მაიავადიზმი, ათეისტური ბუდისტური ფილოსოფიის სახესხვაობა იქადაგოს.

ბჰატტაჩარია გააოგნა უფალი ჩაიტანიას ამ ახსნა-განმარტებამ. უფალი ჩაიტანიას მიერ მაიავადთა ფილოსოფიის განმარტების მოსმენის შემდეგ მას ენა წაერთვა.

გარკვეული ხნის სიჩუმის შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ ჰკითხა: „ჩემო ძვირფასო ბჰატტაჩარია, არ დაიბნე ამ განმარტების გამო. გთხოვ მერწმუნე, რომ უზენაესი უფლის ერთგული სამსახური შემეცნების უმაღლესი სრულყოფილების გზას წარმოადგენს. მართლაც, იგი იმდენად მიმზიდველია, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნების წარმოუდგენელი ძლევამოსილებით უკვე განთავისუფლებული სულებიც კი ერთგულები ხდებიან“. ვედურ ლიტერატურაში შეხედულებათა ასეთი გამოცვლის არა ერთ მაგალითს ვხვდებით. სახელდობრ, „შრიმად-ბჰაგავატამში“ (1.7.10) ცნობილი ლექსი *ატმარამა* საგანგებოდ განკუთვნილია მათთვის, ვისაც თვითრეალიზაცია იზიდავს და ვინც განთავისუფლებულია ყოველგვარი მატერიალური მიჯაჭვულობისაგან. მსგავსი განთავისუფლებული იმპერსონალისტები უფალი კრშნას ათასგვარი საქმიანობების გამო ერთგული სამსახურით იხიბლებიან. ასეთ ტრანსცენდენტულ თვისებებს ფლობს ღმრთეების უზენაესი პიროვნება.

სინამდვილეში წმინდა ცნობიერებაში ყოფნისას ცოცხალ არსებას ესმის, რომ იგი უზენაესი უფლის მსახურია. ილუზიით მოჯადოებული პიროვნება საკუთარ თავს უხეშ და ნატიფ სხეულებთან აიგივებს; ეს კონცეფცია გადანაცვლების თეორიის საფუძველს წარმოადგენს. უზენაესის განუყოფელი ნაწილაკი სამუდამოდ არ არის მოქცეული უხეშ და ნატიფ სხეულებში. უხეში და ნატიფი საფარველი არ წარმოადგენს ცოცხალი არსების ჭეშმარიტ სახეს; ისინი იცვლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოცხალი არსება, რომელიც თავდაპირველი სახით წმინდა სულია, შეიძლება უხეშ და ნატიფ სხეულებში მოექცეს და უხეში და ნატიფი სახის განპირობებისგან თავის დაღწევის შედეგად იგი თავის მდგომარეობას — წმინდა სულის მდგომარეობას აღწევს. მაჰავადი ფილოსოფოსები

სარგებლობენ ამ გადანაცვლების მოძღვრებით და ამბობენ, რომ როდესაც ცოცხალი არსება საკუთარ თავს უზენაესის განუყოფელ ნაწილაკად თვლის, ეს შეხედულება მცდარიაო. ისინი ამბობენ, რომ ცოცხალი არსება თავად არის უზენაესი. მაგრამ ამ თეორიას გონივრულად ვერ ვაღიარებთ.

შემდეგ ბჰატტაჩარიამ სთხოვა უფალ ჩაიტანიას, აეხსნა მისთვის ცნობილი ლექსი *ატმარამა*, რადგან თავად უფლისგან სურდა მისი მოსმენა. უფალმა ჩაიტანიამ სთხოვა ჯერ ბჰატტაჩარიას განემარტა საკუთარი გაგების საფუძველზე, შემდეგ კი უფალი ჩაიტანია განმარტავდა. ბჰატტაჩარიამაც ლოგიკისა და გრამატიკის ხერხებით დაიწყო *ატმარამა შლოკას* განმარტება. მან ცხრა სხვადასხვა სახით განმარტა *ატმარამა შლოკა*. უფალმა შეაქო მისი აკადემიური განსწავლულობა, რომელიც ლექსის განმარტებისას გამოავლინა და თქვა: „ჩემო ძვირფასო ბჰატტაჩარია, ვიცი, რომ შენ სწავლული მეცნიერი ბრჰასპატის წარმომადგენელი ხარ და მშვენივრად შეგიძლია *შასტრების* ნებისმიერი ნაწილის განმარტება. მაგრამ შენი განმარტებები ძირითადად მხოლოდ აკადემიურ განათლებაზეა დაფუძნებული. ამ აკადემიური განმარტების გარდა სხვა განმარტებაც არსებობს“.

შემდეგ, ბჰატტაჩარიას თხოვნით, უფალმა ჩაიტანიამ *ატმარამა შლოკა* განმარტა. ამ ლექსის სიტყვები შეიძლება ასე განვიხილოთ: (1) *ატმარამაჰ*, (2) *ჩა*, (3) *მუნიაჰ*, (4) *ნირგრანთაჰ*, (5) *აპი*, (6) *ურუკრამე*, (7) *კურვანტი*, (8) *აჰაიტუკიმ*, (9) *ბჰაკტიმ*, (10) *იტთჰამბჰუტა-გუნაჰ*, (11) *ჰარიჰ*. უფალმა უკვე განმარტა ეს ლექსი სანატანა გოსვამის დამოძღვრისას. უფალი ჩაიტანია არ შეეხო ბჰატტაჩარიას ცხრა სხვადასხვა განმარტებას, არამედ ლექსი ამ თერთმეტი სიტყვის ანალიზის საშუალებით განმარტა. ამით მან ლექსის სამოცდაერთი სხვადასხვა განმარტება

მოგვცა. საბოლოო ჯამში, თქვა, რომ ღმრთეების უზენაესი პიროვნება ურიცხვი პოტენციითაა აღსავსე; ვერავინ გამოითვლის უფლის ტრანსცენდენტულ თვისებებს. მისი თვისებები მუდამ წარმოუდგენელია და თვითრეალიზაციის ყოველი პროცესის შესწავლის საგანი ღმრთეების უზენაესი პიროვნების პოტენციები, ენერგიები და თვისებები გახლავთ. მაგრამ უფლის ერთგულები თავიდანვე აღიარებენ უფლის წარმოუდგენელ მდგომარეობას. უფალმა ჩაიტანḍამ განმარტა, რომ უზენაესი უფლის ტრანსცენდენტულმა თვისებებმა კუმარების მსგავსი დიადი განთავისუფლებული სულებიც კი მიიზიდა. ბჰატტაჩარḍას ძლიერ მოეწონა უფალი ჩაიტანḍას განმარტება და დაასკვნა, რომ უფალი ჩაიტანḍა თავად კრშნა იყო. შემდეგ ბჰატტაჩარḍამ დაიწყო საკუთარი შეხედულების დაგმობა და თქვა, რომ შეურაცხყოფა ჩაიდინა, რადგან თავიდან უფალი ჩაიტანḍა უბრალო ადამიანი ეგონა. შემდეგ გმობდა რა საკუთარ თავს, უფალი კრშნას ლოტოსის ტერფებთან დაეცა და სთხოვა უფალს, უმიზეზო წყალობა გამოეჩინა მისადმი. უფალ ჩაიტანḍას მოეწონა ამ დიდი მეცნიერის თავმდაბლობა და ამიტომაც ჯერ თავისი ოთხხელიანი, შემდეგ კი ექვსხელიანი ფორმა (შადბჰუჯა) უჩვენა. შემდეგ სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარḍა კვლავ და კვლავ დაემხო უფლის ლოტოსის ტერფებთან და მისი სადიდებელი ლოცვანი შეთხზა. იგი უდაოდ დიდი მეცნიერი იყო და უფლის უმიზეზო წყალობით უფლის საქმიანობების ათასგვარად დახასიათების უნარი მიიღო. მართლაც, იგი გახლდათ ის ადამიანი, რომელმაც აღწერა მეთოდი გალობისა: ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე.

ამბობენ, რომ უფლის საქმიანობათა სადიდებლად სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარḍამ ასი ლექსი დაწერა და ეს ლექსები იმდენად ამაღლებული იყო, რომ ბრჰასპატიც, ზეციური პლანეტების უდიადესი სწავლულიც კი ვერ შეთხზავდა მათზე უკეთესს. უფალს ძალიან ესიამოვნა ამ ასი

ლექსის მოსმენა და მოეხვია ბჰატტაჩარიას. უფლის შეხებისაგან ბჰატტაჩარია ექსტაზმა შეიპყრო და უგონოდ დაეცა. იგი ტიროდა, ცახცახებდა, კანკალებდა და ოფლი სდიოდა, ზოგჯერ ცეკვავდა, მღეროდა და უფალი ჩაიტანდას ლოტოსის ტერფებთან ეცემოდა. ბჰატტაჩარიას სიძე, გოპინათჰა აჩარია და უფლის ერთგულები განცვიფრდნენ, რომ ბჰატტაჩარია დიდ ერთგულად გადაიქცა.

შემდეგ გოპინათჰა აჩარიამ მადლობა გადაუხადა უფალს: „მხოლოდ შენი წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ ქვის მსგავსი ბჰატტაჩარია ასეთ ერთგულად გადაიქცა“. ამაზე უფალმა ჩაიტანდამ გოპინათჰა აჩარიას მიუგო, რომ სწორედ ერთგულის წყალობით გადაიქცა ქვასავით კაცი რბილ, ყვავილის მსგავს ერთგულად. მართლაც, გოპინათჰა აჩარიას გულით უნდოდა, რომ მისი ცოლისძმა, ბჰატტაჩარია, უფლის ერთგული გამხდარიყო. მას გულწრფელად ეწადა, უფალს წყალობა გამოეჩინა ბჰატტაჩარიას მიმართ და გახარებული იყო, როდესაც უფალმა ჩაიტანდამ სურვილი შეუსრულა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფლის ერთგული თავად უფალზე მოწყალეა. როდესაც ერთგულს სურს, რომ უფალმა წყალობა გამოიჩინოს გარკვეული პიროვნების მიმართ, უფალი ასრულებს ამას და უფლის წყალობით, ის პიროვნება ერთგული ხდება.

უფალმა ჩაიტანდამ დააწყნარა ბჰატტაჩარია და სთხოვა, სახლში წასულიყო. ბჰატტაჩარიამ კვლავ უფლის ქება-დიდება დაიწყო და თქვა: „ამ მატერიალური სამყაროს ყოველი დაცემული სულის გასანთავისუფლებლად მოევლინე. ასეთი საქმე შენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ შენ ჩემნაირი გულქვა კაცი ერთგულად აქციე და ნამდვილი საოცრებაც ეს არის. თუმცა *ვედების* ლოგიკურ არგუმენტებსა და გრამატიკულ ახსნა-განმარტებებში გაწაფული გახლდით, რკინასავით მაგარი ვიყავი. მაგრამ შენი გავლენა და სიმხურვალე იმდენად დიდია, რომ ჩემნაირი რკინის კაცი გაადნე“.

ამის შემდეგ უფალი ჩაიტანდა სახლში დაბრუნდა. ბჰატტაჩარდამ მასთან გოპინათჰა აჩარდა გააგზავნა და ჯაგანნათჰას ტაძრიდან ათასგვარი *პრასადი* გაატანა. მეორე დღეს, დილაადრიანად, უფალი ჯაგანნათჰას ტაძარში გაეშურა დილის *მანგალა არატიზე* დასასწრებად. ტაძრის მღვდელთმსახურებმა მას ღვთაებისგან ყვავილწნული და ათასგვარი *პრასადი* მიართვეს. უფალს ძალიან გაუხარდა მათი მიღება, უმალვე ბჰატტაჩარდასთან წავიდა და *პრასადი* და ყვავილები წაიღო თან. თუმცა ადრიანი დილა იყო, ბჰატტაჩარდა მიხვდა, რომ უფალი მოვიდა მასთან და კარებზე აკაკუნებდა. მაშინათვე წამოდგა საწოლიდან და წარმოთქვა: „კრშნა! კრშნა!“ ეს გაიგონა უფალმა ჩაიტანდამ. როდესაც ბჰატტაჩარდამ კარები გამოაღო, მან უფალი იხილა და იმდენად გაუხარდა მისი დილაადრიან ნახვა, რომ უდიდესი ყურადღებით სცადა მისი გამასპინძლება. მშვენიერი დასაჯდომი ადგილი შესთავაზა და ორივე ჩამოსხდნენ. მერე უფალმა ჩაიტანდამ მიართვა მას *პრასადი*, რომელიც ჯაგანნათჰას ტაძარში მისცეს და ბჰატტაჩარდას ძლიერ გაუხარდა უფალი ჩაიტანდას ხელიდან *პრასადის* მიღება. მართლაც, ტანის დაბანისა და ყოველდღიური მოვალეობების ან კბილის გამოხეხვის გარეშეც კი, უმალვე მიირთვა *პრასადი*. ამით იგი ყოველგვარი მატერიალური ჭუჭყისა და მიჯაჭვულობისაგან განიწმინდა. *პრასადის* ჭამისას წარმოთქვა ლექსი „პადმა პურანადან“. „პადმა პურანაში“ ნათქვამია, რომ როდესაც *პრასადი* მოაქვთ ან როცა კაცი მიიღებს მას, მაშინათვე უნდა შეიჭამოს, მიუხედავად იმისა, გამხმარია თუ ძველი, შორიდან არის მოტანილი და დასრულებული აქვს კაცს თავისი ყოველდღიური მოვალეობები თუ არა. რაკი *შასტრებში* დაწესებულია, რომ *პრასადი* უმალვე უნდა შევჭამოთ, დროისა და ადგილის მხრივ არავითარი შეზღუდვა არ არსებობს; ღმრთეების უზენაესი პიროვნების ბრძანება უნდა შესრულდეს. არსებობს შეზღუდვები

სხვადასხვა სახის ხალხისგან საჭმლის მიღების თაობაზე, მაგრამ *პრასადის* მიღება ყველასგან შეიძლება და ამასთან დაკავშირებით არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. *პრასადი* მუდამ ტრანსცენდენტულია და მისი მიღება ნებისმიერ პირობებში შეიძლება. უფალ ჩაიტანიას ძალიან ესიამოვნა, რომ ბჰატ̣ტ̣აჩარიამ, რომელიც მკაცრად იცავდა წესებსა და შეზღუდვებს, ყოველგვარი წესისა თუ შეზღუდვის გარეშე მიირთვა *პრასადი*. უფალი ჩაიტანია იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ მოეხვია ბჰატ̣ტ̣აჩარიას და ორივემ ტრანსცენდენტულ ექსტაზში ცეკვა დაიწყო. ამ ექსტაზში უფალ ჩაიტანიას აღმოხდა: „ჩემი მისია ჯაგანნათჰა პურიში უკვე შესრულებულია! მე სარვაბჰაუმა ბჰატ̣ტ̣აჩარიასთანა კაცი მოვაქციე. ახლა უკვე უეჭველად მივაღწევ ვაიკუნ̣ṭ̣ჰას“.

ერთგულის მისიონერული მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ადამიანი მაინც გახადოს წმინდა ერთგული. ამგვარად მას განაღდებული ექნება სულიერ სასუფეველში შეღწევა. ბჰატ̣ტ̣აჩარიამ იმდენად ასიამოვნა უფალს, რომ უფალი კვლავ და კვლავ ლოცავდა მას: „ძვირფასო ბჰატ̣ტ̣აჩარია, ახლა შენ კრ̣შ̣ნ̣ას სრულიად წმინდა ერთგული ხარ და კრ̣შ̣ნ̣აც ძალიან კმაყოფილია შენით. დღეიდან შენ თავისუფალი ხარ ამ მატერიალური სხეულის უწმინდურობისა და მატერიალური ენერგიის ტყვეობისაგან. ახლა ღირსი ხარ წახვიდე შინ, ღმრთეებასთან“. შემდეგ უფალმა მოიყვანა ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (2.7.42):

ḍეშამ̇ სა ევა ბჰაგავან დადადედ ანანტაჰ̣
სარვატმანაშრიტა-პადო ადი ნირვადალიკამ
ტე დუსტარამ ატიტარანტი ჩა დევა-მადამ̇
ნაიშამ̇ მამაჰამ-იტი დჰიჰ̣ შვა-შრ̣გალა-ბჰაკშადე

„უზენაესი უფალი, რომელსაც უსასრულო ეწოდება, მო-

წყალია მის მიმართ, ვინც მისი ლოტოსის ტერფების სრულ თავშესაფარს ჰპოვებს. ასეთ პიროვნებას უმეცრების ოკეანის გადალახვის უფლებაც ეძლევა. მაგრამ ვისაც ეს მატერიალური სხეული საკუთარი თავი ჰგონია, ვერ მიაღწევს ღმრთეების უზენაესი პიროვნების უმიზეზო წყალობას".

ამ ამბის შემდეგ უფალი ჩაიტანია სახლში დაბრუნდა და ბჰატტაჩარია წმინდა და უნაკლო ერთგული გახდა. უწინ დიდი აკადემიური მეცნიერის მოქცევა მხოლოდ ჩაიტანია მაჰაპრაბჰუს წყალობით იყო შესაძლებელი. იმ დღიდან მოყოლებული, ბჰატტაჩარიას არასოდეს აუხსნია ვედური ლიტერატურა ერთგული სამსახურის განმარტების გარეშე. გოპინათჰა აჩარია, მისი სიძე, იმდენად კმაყოფილი იყო ბჰატტაჩარიას მდგომარეობით, რომ ექსტაზში ცეკვა დაიწყო და გალობდა ტრანსცენდენტულ ბგერებს ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე.

მეორე დღეს, დილაადრიან ჯაგანნათჰას ტაძარში სტუმრობის შემდეგ, ბჰატტაჩარია უფალ ჩაიტანიასთან მივიდა და თაყვანი სცა, დაემხო რა მიწაზე უფლის წინაშე. შემდეგ თავისი წარსული არასასურველი ქცევის განმარტება დაიწყო. როდესაც მან სთხოვა უფალს, ეთქვა რაიმე ერთგული სამსახურის შესახებ, უფალმა დაიწყო დაწვრილებით განმარტება „ბრჰან-ნარადია პურანაში" მოცემული ლექსისა, *ჰარერ ნამა ჰარერ ნამა*. ამ განმარტების მოსმენის შემდეგ ბჰატტაჩარია უფრო და უფრო შეიჭრა ექსტაზში. თავისი ცოლისძმის მდგომარეობის შემყურე, გოპინათჰა აჩარიამ თქვა: „ჩემო ძვირფასო ბჰატტაჩარია, უწინ ვთქვი, რომ როდესაც უზენაესი უფალი მადლს მოჰფენს ვინმეს, იგი ერთგული სამსახურის ხერხებს გაიგებს. დღეს ამ სიტყვებს აღსრულებულს ვხედავ".

ბჰატტაჩარიამ ჯეროვანი პატივი სცა მას და უპასუხა: „ჩემო ძვირფასო გოპინათჰა აჩარია, ეს შენი მადლით მივიღე უზენაესი უფლის წყალობა“. ღმრთეების უზენაესი პიროვნების წყალობის მიღება წმინდა ერთგულის წყალობით შეიძლება. უფალმა ჩაიტანიამ ბჰატტაჩარიას გოპინათჰა აჩარიას მონდომების გამო მოჰფინა წყალობა. „შენ უფლის დიდი ერთგული ხარ“, — გააგრძელა ბჰატტაჩარიამ, „მე კი ჩემი აკადემიური განათლებით ვიყავი დაბრმავებული. დიახ, უფლის წყალობა მხოლოდ შენი საშუალებით მივიღე“. თავად უფალ ჩაიტანიასაც ძლიერ გაუხარდა ბჰატტაჩარიასგან იმის მოსმენა, რომ ადამიანმა უფლის წყალობა ერთგულის საშუალებით შეიძლება მიიღოს. მას მოეწონა ეს სიტყვები და ამ განაცხადის დასადასტურებლად, ბჰატტაჩარიას მოეხვია.

შემდეგ უფალმა სთხოვა ბჰატტაჩარიას, კვლავ ჯაგანნათჰას ტაძარში წასულიყო და ბჰატტაჩარია ჯაგადანანდასა და დამოდარას, უფალი ჩაიტანიას ორი მთავარი თანამგზავრის თანხლებით გაეშურა. ჯაგანნათჰას ტაძრის ნახვის შემდეგ ბჰატტაჩარია სახლში დაბრუნდა და ტაძარში შეძენილი *პრასადი* მოიტანა თან. მთელი *პრასადი ბრაჰმანი* მსახურის საშუალებით უფალ ჩაიტანიას გაუგზავნა.

მან გააგზავნა აგრეთვე პალმის ფოთოლზე დაწერილი ორი ლექსი და სთხოვა ჯაგადანანდას, გადაეცა ისინი. უფალმა ჩაიტანიამ *პრასადი* და პალმის ფოთლებზე დაწერილი ლექსები მიიღო. მაგრამ სანამ უფალს მიაღწევდა, მუკუნდა დატტამ, რომელიც ასევე მონაწილეობდა ლექსების გაგზავნაში, თავის წიგნში გადაიწერა ისინი. როდესაც უფალმა ჩაიტანიამ პალმის ფოთლებზე დაწერილი ლექსები წაიკითხა, ნაკუწ-ნაკუწ დახია, რადგან არასოდეს მოსწონდა, როცა ვინმე აქებდა. ლექსები მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ მუკუნდა დატტამ გადაიწერა. ეს

ლექსები აქებდა უფალს, ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, რომელიც უფალი ჩაიტანიას სახით მოევლინა, რათა ხალხთა მასებისთვის განჯაჭვულობა, ტრანსცენდენტული ცოდნა და ერთგული სამსახური ექადაგა. უფალ ჩაიტანიას ადიდებდნენ როგორც ღმრთეების თავდაპირველ პიროვნებას და იგი წყალობის ოკეანეს იყო შედარებული. „დაე მივენდო უფალ ჩაიტანიას მაჰაპრაბჰუს", — ნათქვამია ამ ლექსებში. „რაკი უფალმა იხილა, რომ ქვეყნად ერთგული სამსახური გამქრალიყო, თავად მოევლინა ჩაიტანიას მაჰაპრაბჰუს სახით, ერთგული სამსახურის საქადაგოდ. ყველანი მივენდოთ მის ლოტოსის ტერფებს და ვისწავლოთ მისგან, რა არის სინამდვილეში ერთგული სამსახური". უფლის ერთგულები, რომლებიც მოწაფეობრივ თანმიმდევრობას მიეკუთვნებიან, ამ ლექსებს უძვირფასეს თვალ-მარგალიტად თვლიან და ამ სახელგანთქმული ლექსების მადლით სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარია ერთგულთა შორის უდიდეს ერთგულად გახდა ცნობილი.

ასე მოექცა სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარია უფლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ერთგულად და მას უფლის სამსახურის გარდა სხვა საზრუნავი არ გააჩნდა. განუწყვეტლივ უფალ ჩაიტანიაზე ფიქრობდა, მედიტაცია და გალობა კი მთავარ მიზნად იქცა მის სიცოცხლეში.

ერთხელ სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარია უფალთან მივიდა, თაყვანი სცა და დაიწყო „შრიმად-ბჰაგავატამიდან" ერთი ლექსის კითხვა (10.14.8). ეს იყო უფალი ბრაჰმას მიერ უფლისადმი აღვლენილი ლოცვა. ლექსში ნათქვამი იყო:

ტატ ტე 'ნუკამპამ სუ-სამიკშამანო
ბჰუნჯანა ევატმა-კრტამ ვიპაკამ
ჰრდ-ვაგ-ვაპურბჰირ ვიდადჰან ნამას ტე
ჯივეტა მო მუკტი-პადე სა დაია-ბჰაკ

„პიროვნებას, რომელიც საკუთარ ჭკუას, სხეულსა და

მეტყველებას უფლის სამსახურს უძღვნის, მაშინაც კი, როცა ბოროტმოქმედებებით აღსავსე წარსულის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება, განთავისუფლება განაღდებული აქვს". ბჰატტაჩარიამ სიტყვა „მუკტი" (განთავისუფლება) შეცვალა სიტყვით „ბჰაკტი" (ერთგული სამსახური).

„რატომ შეცვალე ლექსის ორიგინალი?" — ჰკითხა უფალმა ბჰატტაჩარიას. „სწორი სიტყვა „მუკტია", შენ კი იგი „ბჰაკტით" შეცვალე". მაშინ ბჰატტაჩარიამ უპასუხა, რომ სიტყვა „მუკტი" „ბჰაკტიზე" ნაკლებ მნიშვნელოვანია და რომ სინამდვილეში *მუკტი* გარკვეულად სასჯელია წმინდა ერთგულისთვის. ამ მოსაზრებით მან სიტყვა „მუკტი" შეცვალა სიტყვით „ბჰაკტი". შემდეგ ბჰატტაჩარიამ დაიწყო იმის განმარტება, თუ როგორ ესმის მას *ბჰაკტი*. „ვინც ღმრთეების ტრანსცენდენტულ პიროვნებას და მის ტრანსცენდენტულ ფორმას არ აღიარებს, ვერ შეიცნობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას". — თქვა მან.

ვისაც კრშნას სხეულის ტრანსცენდენტული ბუნება არ ესმის, კრშნას მტერი ხდება და ბრძოლაში იწვევს ან ბრძოლობს მასთან. მტრები საბოლოოდ უფლის ბრაჰმანის სიკაშკაშეს ერწყმიან. ასეთი *მუკტი*, ანუ ბრაჰმანის სიკაშკაშეში განთავისუფლება არასოდეს სურთ უფლის წმინდა ერთგულებს. არსებობს ხუთი სახის განთავისუფლება: (1) იმ პლანეტის მიღწევა, სადაც უფალი ცხოვრობს, (2) უფალთან ურთიერთობა, (3) უფლის სხეულის მსგავსი ტრანსცენდენტული სხეულის მიღება, (4) უფლის სადარი სიდიადეების მიღება და (5) უფლის ყოფიერებასთან შერწყმა. ერთგულს განსაკუთრებულად არ აინტერესებს რომელიმე სახის განთავისუფლება. იგი უბრალოდ იმითაც კმაყოფილია, რომ უფლის ტრანსცენდენტულ სასიყვარულო სამსახურს ასრულებს. ერთგულს განსაკუთრებით სძულს უფლის ყოფიერებასთან შერწყმა და საკუთარი ინდივიდუალური პიროვნების დაკარგვა. სინამდვილეში, უფალთან ერთიანობა ერთგულისთვის ჯოჯოხეთის

ტოლფასია. მაგრამ იგი დათანხმდება ოთხი სახის განთავისუფლებიდან რომელიმეზე, თუკი უფლის სამსახურით იქნება დაკავებული. ტრანსცენდენციასთან შერწყმის ორი შესაძლებლობიდან — სახელდობრ, უპიროვნო ბრაჰმანის სიკაშკაშესთან შერწყმასა და ღმრთეების პიროვნებასთან ერთიანობის მიღწევას შორის — უკანასკნელი უფრო შემზარავია ერთგულისთვის. ერთგულს უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურის გარდა სხვა არაფერი სურს.

ამის მოსმენის შემდეგ უფალმა ჩაიტანდამ ამცნო ბჰატტაჩარდას, რომ სიტყვა „მუკტის“ სხვა მნიშვნელობაც აქვს. სიტყვა „მუკტი-პადე“ პირდაპირ ღმრთეების პიროვნებაზე მიუთითებს. ღმრთეების პიროვნებას მისი სასიყვარულო სამსახურით დაკავებული ურიცხვი განთავისუფლებული სული ჰყავს და იგი განთავისუფლების საბოლოო საშუალებაა. ნებისმიერ შემთხვევაში, კრშნა საბოლოო თავშესაფარს წარმოადგენს.

— ასეთი მნიშვნელობის მიუხედავად, — უპასუხა სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარდამ, — *მუკტის ბჰაკტი* მირჩევნია. თუმცა შენ თვლი, რომ სიტყვა „მუკტის“ ორი მნიშვნელობა აქვს, მაინც, რადგან ეს სიტყვა ორაზროვანია, *ბჰაკტი* მირჩევნია *მუკტის*, რადგან როცა ადამიანს სიტყვა „მუკტი“ ესმის, იგი უმალვე უზენაესთან შერწყმაზე ფიქრობს. ამიტომ *მუკტის* წარმოთქმაც კი მძულს. მაგრამ მე ძლიერ მსურს *ბჰაკტიზე* საუბარი.

ამაზე უფალ ჩაიტანდას ხმამაღლა გაეცინა და დიდი სიყვარულით მოეხვია ბჰატტაჩარდას.

ამრიგად, ბჰატტაჩარდა, რომელსაც მადავადთა ფილოსოფიის განმარტება სიამოვნებდა, ისეთი თავდადებული ერთგული გახდა, რომ სიტყვა „მუკტის“ წარმოთქმაც კი შესძულდა. ეს მხოლოდ უფალი შრი ჩაიტანდას წყალობით არის შესაძლებელი. უფალი ფილოსოფიურ ქვას

ჰგავს, რადგან მისი წყალობით რკინა ოქროდ იქცევა. მოქცევის შემდეგ ყველამ შეამჩნია ბჰატტაჩარიას დიდი ცვლილება და დაასკვნა, რომ ეს ცვლილება მხოლოდ უფალი ჩაიტანიას წარმოუდგენელი სიძლიერით მოხდა. ამდენად, ყველამ ჭეშმარიტებად აღიარა, რომ უფალი ჩაიტანია თავად უფალი კრშნა იყო.

თავი ოცდამეშვიდე

უფალი ჩაიტანჲა და რაშმანანდა რაჲა

„ჩაიტანჲა-ჩარიტაშმრტას“ ავტორმა უფალი ჩაიტანჲა მაჰაპრაბჰუ შეადარა ტრანსცენდენტული ცოდნის ოკეანეს, რაშმანანდა რაჲა კი — ამ ოკეანედან წარმოქმნილ ღრუბელს. რაშმანანდა რაჲა ერთგული სამსახურის დიდი მეცნიერი იყო და უფალი ჩაიტანჲას წყალობით მან ისევე შეაგროვა მთელი ტრანსცენდენტული დასკვნები, როგორც ღრუბელი აგროვებს წყალს ოკეანედან. როგორც ღრუბელი ჩნდება ოკეანედან, მთელ მსოფლიოს წყალს ასხურებს და ოკეანეს უბრუნდება, ასევე, უფალი ჩაიტანჲას წყალობით, რაშმანანდა რაჲამ ერთგული სამსახურის მაღალი ცოდნა მიიღო და სახელმწიფო სამსახურის მიტოვების შემდეგ პურიში უფალი ჩაიტანჲას მონახულება გადაწყვიტა.

როდესაც უფალი ჩაიტანჲა ინდოეთის სამხრეთ ნაწილს ესტუმრა, თავიდან გაეშურა დიდ ტაძარში, რომელსაც ჯიჲარა-ნრსიმჰა-კშეტრა ჰქვია. ეს ტაძარი სიმჰაჩალად წოდებულ ადგილას იმყოფება, ვიშაქჰაპატტანას რკინიგზის სადგურიდან ხუთი მილის მოშორებით. ტაძარი მთის წვერზე დგას. იმ მხარეში ბევრი ტაძარია, მაგრამ ჯიჲარა-ნრსიმჰა-კშეტრა ყველაზე დიდია. იგი სავსეა მშვენიერი ჩუქურთმებით, რომელიც მრავალი მოწაფის

ყურადღებას იზიდავს და თავისი სახელგანთქმულობის გამო ძალიან მდიდარი ტაძარი გახლავთ. ტაძრის წარწერა მოგვითხრობს, რომ უწინ ვიჯაჯანაგარას მეფემ იგი ოქროთი მორთო და ღვთაების სხეულსაც კი ოქრო წაუსვა. სტუმრობის გასაადვილებლად ტაძარში სტუმრებისთვის უფასო ოთახები არსებობს. ტაძარს რამანუჯაჩარჯას სექტის მღვდელთმსახურები მართავენ.

როდესაც უფალი ჩაიტანდა ამ ტაძარს ესტუმრა, მან შეაქო ღვთაება და მოიყვანა ლექსი შრიდჰარა სვამის კომენტარებიდან „შრიმად-ბჰაგავატამზე“ (7.9.1):

უგრო 'ჰჲ ანუგრა ევაჲამ
სვა-ბჰაკტანამ ნრკეშარი
კეშარივა სვაპოტანამ
ანჲეშამ უგრა-ვიკრამაჰ

„თუმცა უფალი ნრსიმჰა სასტიკია დემონებისა და არაერთგულების მიმართ, მეტად კეთილია მისი მორჩილი ერთგულებისათვის, როგორიც პრაჰლადა გახლავთ“. უფალი ნრსიმჰა ნახევრად ადამიანისა და ნახევრად ლომის კრშნას ინკარნაციის სახით მოევლინა, როდესაც უფლის ერთგული ბიჭი, პრაჰლადა, მამამისმა შეაწუხა. როგორც ლომია მეტად მძვინვარე სხვა ცხოველების მიმართ, მაგრამ კეთილი და მორჩილი თავისი ბოკვერებისათვის, ასევე უფალი ნრსიმჰაც ჰირანჲაკაშიპუს მეტად მძვინვარედ მოეჩვენა, თავის ერთგულ პრაჰლადას კი — მეტად კეთილად.

ჯიჯარა-ნრსიმჰას ტაძარში სტუმრობის შემდეგ უფალი ინდოეთის უფრო სამხრეთისაკენ გაეშურა და ბოლოს გოდავარის ნაპირზე მიაღწია. ამ მდინარის ნაპირას უფალს ვრნდავანის მდინარე ჯამუნა გაახსენდა და ნაპირზე მდგარი ხეები ვრნდავანის ტყედ ჩათვალა. ამიტომ იგი

ექსტაზში იმყოფებოდა. გოდავარიში განბანის შემდეგ უფალი მდინარის ნაპირას ჩამოჯდა და დაიწყო გალობა ჰარე კრშṇა, ჰარე კრშṇა, კრშṇა კრშṇა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარე. გალობისას უფალმა იხილა, რომ მდინარის ნაპირს მიუახლოვდა პროვინციის მმართველი, შრი რამანანდა რაḍა, თავისი თანამგზავრების თანხლებით, რომელთა რიცხვშიც არაერთი *ბრაჰმაṇი* ერია. უწინ სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარḍამ სთხოვა უფალს, კაბურს დიადი ერთგულის, რამანანდა რაḍას სანახავად სტუმრობდა. უფალი მიხვდა, რომ ნაპირისკენ მომავალი კაცი რამანანდა რაḍა იყო და უმალვე მისი ნახვა მოისურვა. მაგრამ რაკი განდეგილის ცხოვრების წესში იყო, პოლიტიკური მოღვაწის ნახვისაგან თავი შეიკავა. როგორც დიადი ერთგული, რამანანდა რაḍა მიიზიდა უფალი ჩაიტანḍას გარეგნობამ, რომელიც *სანნḍასის* სახით გამოჩნდა, და თავად მივიდა უფლის სანახავად. ჩაიტანḍა მაჰაპრაბჰუსთან მიახლოებისას რამანანდა რაḍა მიწაზე დაემხო, თაყვანი სცა და პატივისცემა გამოხატა. უფალმა იგი ჰარე კრშṇა, ჰარე კრშṇა, კრშṇა კრშṇა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს კითხვისას მიიღო.

როდესაც რამანანდა რაḍამ უფალს თავისი ვინაობა ამცნო, უფალი ჩაიტანḍა მოეხვია და ორივე ექსტაზმა შეიპყრო. რამანანდა რაḍას თანმხლები *ბრაჰმაṇები*, სახტად დარჩნენ, რომ ისინი ტრანსცენდენტულ ექსტაზში ეხვეოდნენ ერთმანეთს. *ბრაჰმაṇები* რიტუალების განუხრელი მიმდევრები იყვნენ და არ ესმოდათ ერთგულების ასეთი ნიშნების მნიშვნელობა. მართლაც, მათ ძლიერ გაუკვირდათ, რომ ასეთი დიდი *სანნḍასი შუდრას* ეხებოდა და ისიც ვერ გაეგოთ, რომ რამანანდა რაḍა, რომელიც იმ პროვინციის მმართველი და პრაქტიკულად მეფე იყო, უბრალოდ *სანნḍასის* შეხების გამო ტიროდა. უფალი ჩაიტანḍა მიხვდა *ბრაჰმაṇების* ფიქრებს და გაითვალისწინა რა არასასურველი ვითარება, დაწყნარდა.

ამის შემდეგ უფალი ჩაიტანია და რამანანდა რაჯა ერთად ჩამოსხდნენ. „სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარია დიდად გაქებდა“, — უთხრა მას უფალმა ჩაიტანიამ, „ამიტომაც შენს სანახავად მოვედი“.

— სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარია მე მის ერთ-ერთ ერთგულად მთვლის, — მიუგო რამანანდა რაჯამ. — ამიტომ მან კეთილი ინება და ჩემი ნახვა გირჩია.

რამანანდა რაჯამ დიდად დააფასა ის, რომ უფალი მდიდარ ადამიანს შეეხო. მეფე, გუბერნატორი ან ნებისმიერი პოლიტიკოსი მუდამ პოლიტიკაზე ფიქრობს და ფულადი საქმეებითაა დაკავებული; ამიტომ *სანნიასები* ყოველთვის ერიდებიან მათ. მაგრამ უფალმა ჩაიტანიამ იცოდა, რომ რამანანდა რაჯა დიდი ერთგული იყო, ამიტომ დაუფიქრებლად შეეხო და მოეხვია. რამანანდა რაჯას გაუკვირდა უფალი ჩაიტანიას საქციელი და მოიყვანა ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (10.8.4): „დიადი პიროვნებები და ბრძენები ამქვეყნიური ხალხის სახლებში მოდიან, რათა მადლი მოჰფინონ მათ“.

რამანანდა რაჯასადმი უფალი ჩაიტანიას განსაკუთრებული მოპყრობა იმაზე მიუთითებს, რომ თუმცა არაბრაჰმანულ ოჯახში შობილი, რამანანდა რაჯა სულიერ ცოდნასა და საქმიანობაში ძალიან, ძალიან წინწასული იყო, ამიტომ მეტ პატივს იმსახურებდა, ვიდრე უბრალოდ ბრაჰმანულ ოჯახში დაბადებული. თუმცა თავისი თავმდაბალი და კეთილშობილური ქცევის გამო რამანანდა რაჯა, საკუთარ თავს *შუდრას* ოჯახში შობილად თვლიდა, უფალ ჩაიტანიას მაინც მიაჩნდა, რომ იგი ერთგულების უმაღლეს ტრანსცენდენტულ საფეხურზე იმყოფებოდა. ერთგულები არასოდეს აცხადებენ, რომ დიადნი არიან, მაგრამ უფალს ძალიან სურს ქვეყნად თავისი ერთგულების გავრცელება. იმ დილით გოდავარის ნაპირას პირველი შეხვედრის შემდეგ რამანანდა რაჯა და უფალი ჩაიტანია ერთმანეთს იმ თანხმობით დაშორდნენ, რომ საღამოს რამანანდა რაჯა უფლის სანახავად მოვიდოდა.

იმ საღამოს, მას მერე, რაც უფალმა განიბანა, რაშანდა რაჯაც მოვიდა მის სანახავად მსახურთან ერთად. მან თაყვანი სცა უფალს და მასთან დაჯდა. რაშანდა რაჯამ ვერც კი მოასწრო უფალისათვის სულიერ ცოდნაში წინსვლის შესახებ კითხვა, რომ უფალმა თავად თქვა: „მითხარი, გეთაყვა რაიმე ლექსები წმინდა წერილებიდან, რომლებშიც ადამიანის სიცოცხლის საბოლოო მიზნის შესახებ არის საუბარი“.

შრი რაშანდა რაჯამ უმალვე უპასუხა: „პიროვნება, რომელიც გულწრფელად ასრულებს მასზედ დაწესებულ მოვალეობას, თანდათანობით ღმერთის ცნობიერებას ივითარებს“. ამასთანავე მან მოიყვანა ლექსი „ვიშნუ პურანადან“ (3.8.9), სადაც ნათქვამია, რომ უზენაეს უფალს დაწესებული მოვალეობის შესრულებით სცემენ თაყვანს და რომ მისი დაკმაყოფილების სხვა გზა არ არსებობს. ამის მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ ადამიანის სიცოცხლის დანიშნულებას უზენაეს უფალთან საკუთარი ურთიერთობის გაგება წარმოადგენს და ამგვარი მოქმედებით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მასზე დაწესებული მოვალეობების შესრულებით უფლის სამსახურში უფალთან დაკავშირება. ამ მიზნით ადამიანთა საზოგადოება ოთხ კლასად იყოფა: ინტელექტუალები *(ბრაჰმანები)*, მმართველები *(კშატრიიები)*, ვაჭრები *(ვაიშიები)* და მუშები *(შუდრები)*. თითოეული კლასისთვის მოცემულია წესები, რეგულაციები და პროფესიონალური მითითებები. ოთხი კლასისთვის დაწესებული მოვალეობები და თვისებები ნახსენებია „ბჰაგავად-გიტაში“ (18.41-44). ცივილიზებულმა და ორგანიზებულმა საზოგადოებამ უნდა დაიცვას კონკრეტული კლასებისათვის მოცემული წესები და რეგულაციები. ამავე დროს, სულიერი განვითარების მიზნით, საჭიროა ოთხი საფეხურის *აშრამის* გავლაც: მოწაფეობრივი ხანა *(ბრაჰმაჩარია)*, მეოჯახეობა *(გრჰასთჰა)*, საქმეებს ჩამოშორება *(ვანაპრასთჰა)* და განდეგილობა *(სანნიასა)*.

რამანანდა რაჯამ თქვა, რომ მათ, ვინც ჭეშმარიტად იცავენ საზოგადოების ამ რვა დანაყოფების წესებსა და რეგულაციებს, ჭეშმარიტად შეუძლიათ უზენაესი უფლის დაკმაყოფილება, ისინი კი, ვინც არ ასრულებენ მათ, უდაოდ ფუჭად კარგავენ ადამიანის სიცოცხლეს და ჯოჯოხეთში ეშვებიან. თუკი ადამიანი უბრალოდ დაიცავს მისთვის განკუთვნილ წესებსა და რეგულაციებს, ამით მშვიდობიანად მიაღწევს ადამიანის სიცოცხლის მიზანს. თითოეული პიროვნების ხასიათი დაბადების, ურთიერთობის წრისა და განათლების შესაბამისი მარეგულირებელი პრინციპების დაცვით ყალიბდება. საზოგადოება ისეა დაყოფილი, რომ მისი მშვიდობიანი მმართველობისა და სულიერი წინსვლის მიზნითაც კი, სხვადასხვა ხასიათის ხალხი მოწესრიგებული იქნას. საზოგადოების კლასები შეიძლება ასე დავახასიათოთ: (1) მას, ვის მიზანსაც უზენაესი უფლის, ღმრთეების პიროვნების შეცნობა და *ვედებისა* და მსგავსი ლიტერატურის შესწავლა წარმოადგენს, *ბრაჰმანა* ეწოდება. (2) მას, ვისაც ძალის გამომჟღავნება და მმართველობაში მონაწილეობა ჩვევია, *კშატრიჯა* ჰქვია. (3) ის, ვინც მიწათმოქმედებით, ძროხების მწყემსვითა და ვაჭრობით ან საქმოსნობით არის დაკავებული, *ვაიშჯად* არის წოდებული. (4) მას, ვისაც განსაკუთრებული ცოდნა არა აქვს, მაგრამ კმაყოფილია დანარჩენი სამი კლასის მსახურებით, ჰქვია *შუდრა*. თუკი ადამიანი პირნათლად ასრულებს მასზედ დაწესებულ მოვალეობებს, იგი აუცილებლად წინ წაიწევს სრულყოფილებისაკენ. ამრიგად, მოწესრიგებულ სიცოცხლეს ყველასათვის სრულყოფილება მოაქვს. როდესაც მოწესრიგებული ცხოვრება ერთგული სამსახურით დაგვირგვინდება, ადამიანი საკუთარ სრულყოფილებას აღწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი რეგულაციები უბრალოდ დროის კარგვაა და სხვა არაფერი.

რამანანდა რაჯასგან მოწესრიგებული სიცოცხლის სწორი წარმართვის შესახებ მოსმენის შემდეგ, უფალმა

ჩაიტანდამ თქვა, რომ ასეთი რეგულაციები მხოლოდ გარეგნულია. მან ირიბად სთხოვა რამანანდას, განემარტა ასეთ გარეგნულ გამოვლინებაზე მაღალი რამ. რიტუალებისა და რელიგიის ფორმალური შესრულება უსარგებლოა, თუკი იგი ერთგული სამსახურით არ დაგვირგვინდება. უფალი ვიშნუ არ კმაყოფილდება უბრალოდ ვედური დანაწესების რიტუალური შესრულებით; სინამდვილეში იგი მაშინაა ნასიამოვნები, როცა ადამიანი ერთგული სამსახურის საფეხურს აღწევს.

რამანანდა რაჯას მიერ მოყვანილი ლექსის მიხედვით, რიტუალური ცერემონიების შესრულებით ადამიანს ერთგული სამსახურის საფეხურის მიღწევა შეუძლია. „ბჰაგავად-გიტაში" შრი კრშნა, რომელიც ადამიანთა ყოველი კლასის გასანთავისუფლებლად მოვიდა, ამბობს, რომ დაწესებული მოვალეობის შესრულებით უზენაესი უფლის თაყვანისცემის შედეგად ადამიანს სიცოცხლეში სრულყოფილების უმაღლესი საფეხურის მიღწევა შეუძლია.

სვე სვე კარმანდ აბჰირატაჰ
სამსიდდჰიმ ლაბჰატე ნარაჰ
სვაკარმა-ნირატაჰ სიდდჰიმ
დათჰა ვინდატი ტაჩ ჩჰრნუ

დატაჰ პრავრტტირ ბჰუტანამ
ჯენა სარვამ იდამ ტატამ
სვაკარმანა ტამ აბჰარჩჯა
სიდდჰიმ ვინდატი მანავაჰ

„საკუთარი შრომის შესრულებით ყოველ ადამიანს შეუძლია სრულყოფილების მიღწევა. ახლა მისმინე, გეთაყვა, როგორ შეიძლება ამის გაკეთება. უფლის თაყვანისცემით, რომელიც ყოველი არსების სათავე და ყოვლისგამჭოლია, ადამიანს, თავისი მოვალეობის შესრულებით, შეუძლია

სრულყოფილების მიღწევა“ (ბ.გ. 18.45-46). სრულყოფილების ამ პროცესს ასრულებენ ისეთი დიადი ერთგულები, როგორებიც არიან ბოდჰანანა, ტანკა, დრამიდა, გუჰადევა, კაპარდი და ბჰარუჩი. თითოეული ეს დიადი პიროვნება სრულყოფილების საკუთარ კონკრეტულ გზას მიჰყვებოდა. ვედური დანაწესებიც იგივე მიმართულებას ისახავს მიზნად. რამანანდა რაიას სურდა ეს ფაქტები უფლისთვის წარედგინა, მაგრამ, როგორც ჩანს, რიტუალური მოვალეობების შესრულება საკმარისი არ გახლდათ, რადგან უფალმა ჩაიტანიამ თქვა, რომ ისინი გარეგნულია. უფალი ჩაიტანია მიუთითებდა იმაზე, რომ თუკი ადამიანს მატერიალისტური შეხედულება აქვს სიცოცხლეზე, ყოველ რიტუალურ რეგულაციასაც რომ იცავდეს, მაინც ვერ მიაღწევს უმაღლეს სრულყოფილებას.

თავი ოცდამერვე

უზენაესთან ურთიერთობა

უფალმა ჩაიტანდამ უარყო რამანანდა რაჯას მიერ „ვიშნუ პურანადან“ მოყვანილი განცხადება, რადგან უფალს *კარმა-მიმამსას* სახელით ცნობილ ფილოსოფოსთა კლასის უარყოფა სურდა. *კარმა-მიმამსას* მიმდევრები თვლიან, რომ ღმერთი ადამიანის შრომას ემორჩილება. მათი დასკვნა ის გახლავთ, რომ თუკი ადამიანი გამრჯედ შრომობს, ღმერთი იძულებული იქნება, მას კარგი შედეგები მისცეს. ამრიგად, „ვიშნუ პურანადან“ შეიძლება გვეგონოს, რომ ვიშნუ, უზენაესი უფალი, დამოუკიდებელი არ არის, არამედ ვალდებულია, მშრომელს გარკვეული შედეგი მიანიჭოს. ამით თაყვანისცემის ობიექტი დამოკიდებული ხდება თაყვანისმცემელზე, რომელსაც თვითნებურად შეუძლია უზენაესი უფალი პიროვნულად ან უპიროვნოდ მიიჩნიოს. სინამდვილეში ეს ფილოსოფია უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების უპიროვნო ნიშან-თვისებას უსვამს ხაზს. უფალ ჩაიტანდას არ მოსწონდა ასეთი იმპერსონალიზმი და ამიტომ მან უარყო იგი.

— მითხარი, თუკი იცი რაიმე უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების ამ წარმოდგენაზე მაღალი. — თქვა ბოლოს უფალმა ჩაიტანდამ.

რამანანდა რაჯა მიხვდა უფლის ჩანაფიქრს და თქვა, რომ უმჯობესია კარმიულ ნაყოფებზე უარის თქმა. მან შემდეგი ლექსი მოიყვანა „ბჰაგავად-გიტადან“:

ᲓᲐᲢ ᲙᲐᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲓ ᲐᲨᲜᲐᲡᲘ
ᲓᲐᲯ ᲯᲣᲰᲝᲨᲘ ᲓᲐᲓᲐᲡᲘ ᲓᲐᲢ
ᲓᲐᲢ ᲢᲐᲰᲐᲡᲓᲐᲡᲘ ᲙᲐᲣᲜᲢᲔᲓᲐ
ᲢᲐᲢ ᲙᲣᲠᲣᲨᲕᲐ ᲛᲐᲓ-ᲐᲠᲰᲐᲜᲐᲛ

„ო კუნტის შვილო, ყველაფერი, რასაც აკეთებ, ყველაფერი, რასაც ჭამ, ყველაფერი, რასაც თავაზობ და გასცემ, აგრეთვე ყოველი ასკეზა მე უნდა მომართვა ძღვენად“ (ბ.გ. 9.27). მსგავსი ადგილი არის „შრიმად-ბჰაგავატამ-შიც“ (11.2.36), სადაც ნათქვამია, რომ ადამიანმა ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, ნარაᲜᲐᲜᲐს უნდა მიუძღვნას ყველაფერი — თავისი კარმიული საქმიანობები, სხეული, მეტყველება, ჭკუა, გრძნობები, გონება, სული და ბუნების მოდუსები.

მაგრამ უფალმა ჩაიტანᲓᲐᲛ უარყო მეორე განცხადებაც და მიუგო: „თუკი უფრო მაღალი იცი რამე, თქვი“.

ᲯᲝᲑᲡ ყველაფერი ღმრთეების უზენაეს პიროვნებას შევწიროთ, როგორც ეს „ბჰაგავად-გიტასა“ და „შრიმად-ბჰაგავატამშია“ დაწესებული, ვიდრე, იმპერსონალისტების მსგავსად, ჩვენ შრომას დავუქვემდებაროთ უფალი. მაგრამ ეს კიდევ არ წარმოადგენს უზენაესი უფლისადმი საკუთარი საქმიანობების მინდობას. ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ გარეშე მშრომელის მატერიალურ ყოფიერებასთან გაიგივება არ შეიცვლება. ასეთი კარმიული საქმიანობა ადამიანის მატერიალურ ყოფიერების გაგრძელების მიზეზი იქნება. აქ მშრომელს უბრალოდ ურჩევენ უზენაეს უფალს მისცეს საკუთარი შრომის შედეგები, მაგრამ მატერიალური ტყვეობიდან თავის დაღწევის შესაძლებლობის ცოდნა არ ეძლევა. ამიტომ უფალმა ჩაიტანᲓᲐᲛ უარყო ეს წინადადება.

იმის შემდეგ, რაც მისი ორივე წინადადება უარყოფილი იქნა, რᲨᲜᲐᲜᲓᲐ რᲐᲓᲐᲛ გამოთქვა აზრი, რომ ადამიანმა მთლიანად უნდა გასწიროს თავისი პროფესიული საქმიანობები და განჯაჭვულობის ძალით ტრანსცენდენტულ

დონეს მიაღწიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან საერო ცხოვრებისაგან სრული განდგომის რჩევა მისცა და თავისი სიტყვები დაიმოწმა „შრიმად-ბჰაგავატამით“ (11.11.32), სადაც უფალი ამბობს: „წმინდა წერილებში რიტუალური წესები და ერთგული სამსახურის მიღწევის გზა აღვწერე. ეს არის რელიგიის უმაღლესი სრულყოფილება“. რამანანდამ მოიყვანა აგრეთვე უფალი კრშნას რჩევა „ბჰაგავად-გიტადან:“

სარვა-დჰარმან პარიტჯაჯა
მამ ეკამ შარანამ ვრაჯა
აჰამ ტვამ სარვა-პაპებჰიო
მოკშაიშიამი მა შუჩაჰ

„მიატოვე ყოველგვარი რელიგია და უბრალოდ მომენდე. მე გაგანთავისუფლებ ყოველგვარი ცოდვითი რეაქციისაგან. ნუ გეშინია“ (ბ.გ. 18.66).

უფალმა ჩაიტანიამ უარყო მესამე წინადადებაც, რადგან იმის ჩვენება სურდა, რომ მხოლოდ განდეგილობა საკმარისი არ არის. საჭირო საქმიანობაც უნდა შესრულდეს. საჭირო საქმიანობის შესრულების გარეშე, სრულყოფილების უმაღლესი საფეხურის მიღწევა შეუძლებელი გახლავთ. საზოგადოდ, განდეგილის ცხოვრების წესში ორი სახის ფილოსოფოსები იმყოფებიან. ერთის მიზანს *ნირვანა* წარმოადგენს, მეორეს მიზანს კი — ბრაჰმანის უპიროვნო სიკაშკაშე. ასეთ ფილოსოფოსებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ *ნირვანასა* და ბრაჰმანის სიკაშკაშის მიღმა სულიერ ზეცაზე არსებული ვაიკუნტჰა პლანეტების მიღწევა შეიძლება. მხოლოდ განდეგილობას სულიერი პლანეტებისა და სულიერი საქმიანობების შესახებ ცოდნა არ მოაქვს, ამიტომ უფალმა ჩაიტანიამ ეს მესამე წინადადებაც უარყო.

შემდეგ რამანანდა რაჯამ უფრო მეტი მოწმობები მოიყვანა „ბჰაგავად-გიტაიდან“:

ბრაჰმა-ბჰუტაჰ პრასანნატმა
ნა შოჩატი ნა კანკშატი
სამაჰ სარვეშუ ბჰუტეშუ
მად-ბჰაკტიმ ლაბჰატე პარამ

„ამ ტრანსცენდენტულ საფეხურზე მყოფი, უმალვე შეიცნობს უზენაეს ბრაჰმანს. იგი არასოდეს გლოვობს და არც რაიმეს შეძენა სურს; თანაბრად არის განწყობილი ყოველი ცოცხალი არსების მიმართ. ასეთ მდგომარეობაში იგი ჩემს წმინდა ერთგულ სამსახურს აღწევს“ (ბ.გ. 18.54). თავიდან რამანანდა რაჯამ კარმიულ შედეგებზე უარის თქმით შესრულებული ერთგული სამსახური წამოაყენა, მაგრამ აქ იგი აცხადებს, რომ მასზე მაღლა დგას ერთგული სამსახური, რომელსაც სრული ცოდნა და სულიერი რეალიზაცია ახლავს.

უფალმა ჩაიტანჯამ ეს წინადადებაც უარყო, რადგან ბრაჰმანის შემეცნების გზაზე მხოლოდ მატერიალურ შედეგებზე უარის თქმით ადამიანი ვერ შეიცნობს სულიერ სამყაროსა და სულიერ საქმიანობას. თუმცა ბრაჰმანის შემეცნების საფეხურზე მატერიალური უწმინდურება არ არსებობს, ეს საფეხური სრულყოფილი არ არის, რადგან მასზე დადებითი სულიერი საქმიანობა არ წარმოებს. იგი მენთალურ დონეზე იმყოფება და ამიტომ გარეგნულია. წმინდა ცოცხალი არსება განთავისუფლებას ვერ აღწევს, თუკი ბოლომდე სულიერი საქმიანობით არ არის დაკავებული. სანამ ადამიანი იმპერსონალისტური აზროვნებით ან სიცარიელეზე ფიქრებით არის მოცული, ბოლომდე ვერ შეაღწევს ცოდნით აღსავსე მარადიულ ნეტარ სიცოცხლეში. სანამ სულიერი ცოდნა სრული არ არის,

ადამიანს მატერიალური მრავალფეროვნებისგან ჭკუის სრული განწმენდის მცდელობაში დაბრკოლებები შეხვდება. ამიტომ ხელოვნური მედიტაციით ჭკუის დაცარიელების მცდელობაში იმპერსონალისტები მარცხს განიცდიან. ჭკუის მატერიალური წარმოდგენებისაგან სრული დაცარიელება ძალიან ძნელია. როგორც „ბჰაგავად-გიტა“ გვირჩევს:

კლეშო 'დჰიკატარას ტეშამ
ავიკტასაკტა-ჩეტასამ
ავიკტა ჰი გატირ დუ:ჭ:ჰამ
დეჰავადბჰირ ავაპიატე

„მათთვის, ვის ჭკუასაც უზენაესის გამოუვლენელი, უპიროვნო ნიშან-თვისება იზიდავს, წინსვლა ძალიან ძნელია. ამ მეცნიერებაში პროგრესის მიღწევა ხორცშესხმულთ ძალიან უჭირთ“ (ბ.გ. 12.5). ასეთი იმპერსონალისტური მედიტაციით მიღწეული შედეგი სრული არ არის; ამიტომ უფალმა ჩაიტანდამ უარყო იგი.

მას შემდეგ, რაც მისი მეოთხე წინადადებაც უარყოფილი იქნა, რამანანდა რაიამ თქვა, რომ ცოდნის განვითარებისა ან სპეკულაციური მსჯელობების მცდელობის გარეშე შესრულებული ერთგული სამსახური უმაღლეს სრულყოფილებას წარმოადგენს. ამ შეხედულების დასასაბუთებლად მან დაიმოწმა „შრიმად-ბჰაგავატამი“ (10.14.3), სადაც უფალი ბრაჰმა ღმრთეების უზენაეს პიროვნებას ეუბნება:

ჯნანე პრაიასამ უდაპასია ნამანტა ევა
ჯივანტი სან-მუქჰარიტამ ბჰავადიაიარტამ
სთჰანე სთჰიტაჭ: შრუტი-გატამ ტანუ-ვან-მანობჰირ
იე პრაიაშო 'ჯიტა ჯიტო 'პი ასი ტაის ტრი-ლოკიამ

„ჩემო ძვირფასო უფალო, ადამიანმა მონისტური სპეკულაცია და ცოდნის განვითარება მთლიანად უნდა მიატოვოს. თავისი სულიერი სიცოცხლე მან უფლის რეალიზებული ერთგულისაგან უფლის საქმიანობათა შესახებ ცნობების მიღებით უნდა დაიწყოს. თუკი ადამიანი სულიერი სიცოცხლის ამ პრინციპებს გაჰყვება და სიცოცხლეში პატიოსნების გზას გააგრძელებს, მაშინ დაპყრობილი გახდები ამ პროცესით, თუმცა დაუპყრობელი ხარ“.

როდესაც რამანანდა რაჯამ ეს წინადადება წამოაყენა, უფალმა ჩაიტანჯამ უმალვე თქვა: „დიახ, ეს სწორია“. ამ ეპოქაში განდეგილობით, შერეული ერთგული სამსახურით, კარმიულ საქმიანობასთან შერეული ერთგული სამსახურით, ან ცოდნის განვითარებით სულიერი ცოდნის შეძენა შეუძლებელია. რადგან ადამიანთა უმრავლესობა დაცემულია და მათი თანდათანობითი პროცესით ამაღლებისათვის საკმარისი დრო არის, უფალი ჩაიტანჯას აზრით, საუკეთესო იქნება, თუკი მათ თავიანთ მდგომარეობაში დავტოვებთ, მაგრამ დავასაქმებთ უზენაესი უფლის საქმიანობათა შესახებ მოსმენით, როგორც „ბჰაგავად-გიტასა“ და „შრიმად-ბჰაგავატამშია“ აღწერილი. წმინდა წერილთა ტრანსცენდენტული ცნობა რეალიზებულ სულთა ბაგეებიდან უნდა იქნას მიღებული. ამგვარად ადამიანმა შეიძლება ნებისმიერ პირობებში გააგრძელოს ცხოვრება და მაინც სულიერ პროგრესს მიაღწიოს. ამრიგად ადამიანი აუცილებლად წინ წაიწევს და ბოლომდე შეიცნობს ღმრთეების უზენაეს პიროვნებას.

თუმცა უფალმა ჩაიტანჯამ აღიარა ეს პრინციპები, მაინც სთხოვა რამანანდა რაჯას, ერთგული სამსახურის უფრო მაღალი საფეხურები დაეხასიათებინა. ამით უფალმა ჩაიტანჯამ რამანანდა რაჯას შესაძლებლობა მისცა, *ვარნაშრამა-დჰარმადან* (ოთხი კასტა და ოთხი საფეხური სულიერ სიცოცხლეში) თანდათანობითი განვითარე-

ბის შესახებ ესაუბრა. უფალმა ჩაიტანდამ უარყო *ვარ-ნაშრამა-დჰარმა* და კარმიული ნაყოფების შეთავაზება, რადგან წმინდა ერთგული სამსახურის შესრულების სფეროში ამ პრინციპებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. თვითრეალიზაციის გარეშე ერთგული სამსახურის ხელოვნური მეთოდები არ მიიღება წმინდა ერთგულ სამსახურად. თვითრეალიზაციის საფეხურზე გაწეული წმინდა ერთგული სამსახური სრულიად განსხვავდება ყველა დანარჩენი სახის ტრანსცენდენტული საქმიანობისაგან. უმაღლესი საფეხურის ტრანსცენდენტული საქმიანობა მოკლებულია ყოველგვარ მატერიალურ სურვილებს, კარმიულ ძალისხმევებსა და შემეცნების სპეკულაციურ მცდელობებს. უმაღლესი საფეხური კონცენტრირებულია წმინდა ერთგული სამსახურის უბრალო, კეთილგანწყობილებით შესრულებაზე.

რამანანდა რაჰდას ესმოდა უფალი ჩაიტანდას ჩანაფიქრი; ამიტომ თქვა, რომ სრულყოფილების უმაღლეს საფეხურს ღმრთეების სიყვარულის მიღწევა წარმოადგენს. „პადდანვალიში“ არის ერთი მშვენიერი ლექსი. ამბობენ, რომ ეს ლექსი თავად რამანანდა რაჰდას მიერ არის დაწერილი. ამ ლექსის შინაარსი ასეთია: „თუკი კაცს შიმშილი აწუხებს და რაიმეს შეჭმა და დალევა უნდა, საჭმლის მიღება გააბედნიერებს. სწორედ ასევე, უზენაესი უფლის თაყვანისცემისთვის უამრავი ატრიბუტი არსებობს, მაგრამ როდესაც ღმრთეების წმინდა სიყვარული ემატება, ამას ჭეშმარიტი ტრანსცენდენტული ბედნიერება მოაქვს“. რამანანდა რაჰდამ დაწერა კიდევ ერთი ლექსი, რომელშიც ნათქვამია, რომ ერთგული სამსახურის გრძნობის განვითარება მილიონობით დაბადების შემდეგაც კი შეუძლებელია, მაგრამ თუკი ცოცხალ არსებას როგორღაც ერთგული სამსახურის მიღწევის სურვილი გაუჩნდება, წმინდა ერთგულთან ურთიერთობა მისცემს ამის შესაძლებლობას.

მაშასადამე, ადამიანს ერთგული სამსახურის შესრულების მტკიცე სურვილი უნდა ჰქონდეს. ამ ორ ლექსში რამანანდა რაჰამ მარეგულირებელი პრინციპები და ღმრთეების განვითარებული სიყვარული აღწერა. უფალ ჩაიტანიას მისი ღმრთეების განვითარებული სიყვარულის საფეხურამდე მიყვანა სურდა და უნდოდა, რომ რამანანდა რაჰას ამ საფეხურიდან ელაპარაკა. ამის შემდეგ მსჯელობა რამანანდა რაჰასა და უფალ ჩაიტანიას შორის ღმრთეების სიყვარულის საფუძველზე მიმდინარეობდა.

პიროვნულ საფეხურს მიღწეულ ღმრთეების სიყვარულს *პრემა-ბჰაკტი* ეწოდება. *პრემა-ბჰაკტის* დასაწყისში უზენაეს უფალსა და ერთგულს შორის გარკვეული ურთიერთობა არ არის დამყარებული, მაგრამ როდესაც *პრემა-ბჰაკტი* განვითარდება, უზენაეს უფალთან ურთიერთობა სხვადასხვა ტრანსცენდენტული გემოს სახით ვლინდება. პირველი საფეხურია მსახურება, რომელზედაც უზენაესი უფალი ბატონად არის მიჩნეული, ერთგული კი — მარადიულ მსახურად. უფალმა ჩაიტანიამ მოიწონა ეს პროცესი და რამანანდა რაჰამ აღწერა ურთიერთობა მსახურსა და ბატონს შორის. როგორც „შრიმად-ბჰაგავატამში“ აღწერილი (9.5.16), დურვასა მუნი, დიდი მისტიკოსი *ჯოგი*, რომელიც საკუთარ თავს ამაღლებულად თვლიდა, მტრობდა მაჰარაჯა ამბარიშს, რომელიც თავისი დროის უდიდეს ერთგულად იყო ცნობილი. მაჰარაჯა ამბარიშისადმი ვნების მოტანის მცდელობისას დურვასა მუნის უბედურება შეემთხვა და უფლის *სუდარშანა-ჩაკრამ* დაამარცხა. დურვასა მუნიმ აღიარა თავისი შეცდომა და თქვა: „მუდამ უფლის ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურით დაკავებული წმინდა ერთგულებისთვის არაფერია შეუძლებელი, რადგან ისინი ემსახურებიან უზენაეს უფალს, ვისი სახელიც კი საკმარისია განთავისუფლებისთვის“.

„სტოტრარატნაში“ (46) ჯამუნაჩარდა წერს: „ჩემო უფალო, ისინი, ვინც შენი სამსახურისგან დამოუკიდებლად რჩებიან, უმწეონი არიან. ისინი თავისი მოსაზრებით შრომობენ და არავითარ დახმარებას არ ღებულობენ მაღალი ავტორიტეტებისგან. ამიტომ მე შევნატრი იმ დროს, როდესაც მატერიალური სიამოვნების რაიმე სურვილის გარეშე ბოლომდე დავსაქმდები შენი ტრანსცენდენტული სასიყვარულო სამსახურით და მენთალურ საფეხურზე არ ვიქნები მიჯაჭვული. მხოლოდ ასეთი შეურეველი ერთგული სამსახურით დასაქმებული გავიხარებ ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრებით“.

ამის მოსმენის შემდეგ უფალმა ჩაიტანდამ სთხოვა რამანანდა რამდას გაეგრძელებინა.

თავი ოცდამეცხრე

კრშნას წმინდა სიყვარული

უფალმა ჩაიტანდამ ახსნის გასაგრძელებლად წააქეზა რამანანდა რაჯა, ამიტომაც რამანანდა რაჯამ თქვა, რომ მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო მაღალ ტრანსცენდენტულ საფეხურს მიეკუთვნება. ამით რამანანდა რაჯა მიგვითითებს იმაზე, რომ როდესაც კრშნასთან ურთიერთობა სიყვარულში გადაიზრდება, შიში და უზენაესი უფლის ზემდგომობის ცნობიერება მცირდება. ამ დროს რწმენა იზრდება და ამ რწმენას მეგობრობა ჰქვია. მეგობრულ ურთიერთობაში კრშნასა და მის მეგობრებს შორის თანასწორობის გრძნობა არსებობს.

ამასთან დაკავშირებით, რამანანდა რაჯამ მოიყვანა ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“(10.12.11), სადაც შუკადევა მეგობრებთან ერთად ტყეში უფალი კრშნას სადილობას აღწერს. უფალი კრშნა და მისი მეგობრები ტყეში ძროხებთან სათამაშოდ წავიდნენ და ნათქვამია, რომ კრშნას თანმხლები ბიჭები, ღმრთეების უზენაეს პიროვნებასთან მეგობრული ურთიერთობით ტკბებოდნენ. დიდი ბრძენები უზენაეს უფალს უპიროვნო ბრაჰმანად მიიჩნევენ, ერთგულები — ღმრთეების უზენაეს პიროვნებად, ჩვეულებრივი ხალხი კი — უბრალო ადამიანად.

უფალ ჩაიტანდას ძალიან მოეწონა ეს განაცხადი, მაგ-

რამ მაინც თქვა: „კიდევ გააგრძელე“. ამ თხოვნაზე რაᲜᲛᲐᲜᲓᲐ რაᲜᲐᲛ მიუგო, რომ კრᲨᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ურთიერთობა კიდევ უფრო მაღალ ტრანსცენდენტულ საფეხურს წარმოადგენს. მეგობრულ ურთიერთობაში გადაზრდილი სიყვარული აღწევს ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ურთიერთობას, რომელიც მამასა და შვილს შორის არსებობს. ამასთან დაკავშირებით რაᲜᲛᲐᲜᲓᲐ რაᲜᲐᲛ მოიყვანა ლექსი „ᲨᲠᲘᲛᲐᲓ-ᲑᲐᲰᲒᲐᲕᲐᲢᲐᲛᲘᲓᲐᲜ“ (10.8.46), სადაც მაᲰᲠᲐᲯᲐ ᲞᲐᲠᲘᲙᲨᲘᲢᲛᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲨᲣᲙᲐᲓᲔᲕᲐ ᲒᲝᲡᲕᲐᲜᲘᲡ, თუ რა ღვთისმოსავი საქმეები ᲰᲥᲝᲜᲓᲐ შესრულებული ᲓᲐᲨᲝᲓᲐᲜᲡ, კრᲨᲜᲐᲡ დედას, რომ იმის საშუალება მიეცა კრᲨᲜᲐᲡ „დედა“ ეწოდებინა მისთვის და ღმრთეების უზენაეს პიროვნებას მისი ძუძუ ეწოვა. მან მოიყვანა კიდევ ერთი ლექსი „ᲨᲠᲘᲛᲐᲓ-ᲑᲐᲰᲒᲐᲕᲐᲢᲐᲛᲘᲓᲐᲜ“ (10.9.20), სადაც ნათქვამია, რომ ᲓᲐᲨᲝᲓᲐᲜ ისეთი წყალობა მიიღო ღმრთეების უზენაესი პიროვნებისგან, რომლის შედარება არ შეიძლება წყალობასთან, რომელსაც იძლევა ᲑᲠᲐᲰᲛᲐ, პირველი შექმნილი ცოცხალი არსება, უფალი შივა, ან ბედის ქალღმერთი ლაᲙᲨᲛᲘ, რომელიც მუდამ უფალი ვიᲨᲜᲣᲡ მკერდზე განისვენებს.

შემდეგ უფალმა ჩაიტანḍამ სთხოვა რაᲜᲛᲐᲜᲓᲐ რაᲜᲐᲡ, კიდევ გაეგრძელებინა, რათა სატრფიალო სიყვარულისთვის მიეღწია. რაᲜᲛᲐᲜᲓᲐ რაᲜᲐ მიხვდა უფალი ჩაიტანḍას განწყობას და უმალვე უპასუხა, რომ კრᲨᲜᲐᲡᲗᲐᲜ უმაღლეს ურთიერთობას სწორედ სატრფიალო სიყვარული წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრᲨᲜᲐᲡᲗᲐᲜ ინტიმური ურთიერთობა იწყება ღმრთეების უზენაესი პიროვნების ჩვეულებრივი აღქმით და ვითარდება ბატონისა და მსახურის მდგომარეობის შეცნობამდე და როდესაც ეს ურთიერთობა ახლო ხდება, მეგობრულ ურთიერთობაში გადადის. შემდგომ განვითარებასთან ერთად, ეს ურთიერთობა გადაიზრდება ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ურთიერთობაში და სიყვარულისა და მიჯაჭვულობის უმაღლეს საფეხურს

მიღწეულს, უზენაეს უფალთან სატრფიალო სიყვარული ეწოდება. რამანანდა რაჲამ მოიყვანა კიდევ ერთი ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (10.47.60), სადაც ნათქვამია, *რომ რაჲა ცეკვისას გოპებსა* და კრშნას შორის გამოვლენილი ტრანსცენდენტული ექსტაზი არასოდეს განუცდია ბედის ქალღმერთსაც კი, რომელიც სულიერ სასუფეველში მუდამ უფლის მკერდზე განისვენებს. და რაღა უნდა ითქვას უბრალო ქალების შესახებ?

შემდეგ რამანანდა რაჲამ კრშნას სიყვარულის განვითარების თანდათანობითი პროცესი განმარტა. მან თქვა, რომ ცოცხალი არსება კრშნასთან მისთვის შესაფერისი ურთიერთობითაა დაკავშირებული. სინამდვილეში, უზენაეს უფალთან ურთიერთობა ბატონსა და მსახურს შორის ურთიერთობით იწყება და შემდეგ მეგობრულ, მშობლიურ და სატრფიალო სიყვარულში გადადის. როდესაც ვინმე ღმრთეების უზენაეს პიროვნებასთან თავის კონკრეტულ ურთიერთობას აღწევს, ითვლება, რომ მისთვის საუკეთესო ურთიერთობაში იმყოფება, მაგრამ თუკი ამ ტრანსცენდენტულ ურთიერთობებს შევისწავლით, ვნახავთ, რომ პირველ საფეხურს რეალიზაციის ნეიტრალური საფეხური წარმოადგენს *(ბრაჰმა-ბჰუტა)*. როდესაც ცოცხალი არსება უფალს ბატონად აღიარებს, საკუთარ თავს კი — მსახურად, ურთიერთობა ვითარდება. შემდგომ განვითარებას იგი მაშინ აღწევს, როდესაც ცოცხალი არსება უზენაესი უფლის მეგობარი ხდება და კიდევ უფრო მაშინ, როცა მამა ხდება. ამრიგად, ურთიერთობა მეგობრობიდან მშობლიურ სიყვარულამდე ვითარდება და საბოლოოდ აღწევს სატრფიალო სიყვარულს, რომელიც უფალთან უმაღლესი ურთიერთობა გახლავთ.

მსახურის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი თვითრეალიზაცია უდაოდ ტრანსცენდენტულია და როდესაც მას მეგობრობის გრძნობა ემატება, ურთიერთობა

ღრმავდება. სიყვარულის ზრდასთან ერთად ეს ურთიერთობა მშობლიურ და სატრფიალო სიყვარულში გადადის. რამანანდა რაჯამ მოიყვანა ლექსი „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუდან“ (2.5.38), სადაც ნათქვამია, რომ უზენაესი უფლისადმი სულიერი სასიყვარულო მიჯაჭვულობა ნებისმიერ შემთხვევაში ტრანსცენდენტულია, მაგრამ თითოეულ ერთგულს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს კონკრეტულ ურთიერთობასთან და ეს ურთიერთობა მისთვის სხვაზე უფრო სასიამოვნოა.

ცრუ ერთგულებს არ შეუძლიათ უზენაეს უფალთან ასეთი ტრანსცენდენტული ურთიერთობების გამოგონება. „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუში“ რუპა გოსვამიმ თქვა, რომ არ შეიძლება იმ ერთგული სამსახურის აღიარება, რომელიც ვედური წმინდა წერილებიდან ან ვედური ლიტერატურიდან არ არის დამოწმებული და არ მიჰყვება მათში დაწესებულ პრინციპებს. შრი ბჰაკტისიდდჰანტა სარასვატი გოსვამი მაჰარაჯამაც აღნიშნა, რომ პროფესიონალი სულიერი მოძღვრების, პროფესიონალი „ბჰაგავატამის“ მთხრობელების, *კირტანის* პროფესიონალური შემსრულებლებისა და გამოგონილი ერთგული სამსახურის აღიარება არ შეიძლება. ინდოეთში არსებობს სხვადასხვა პროფესიონალური ერთობები, რომელთაც აულა, ვაულა, კარტაბჰაჯა, ნედა დარავიშა, სნანი, ატიბადი, ჩუდადჰარი და გაურანგანაგარი ჰქვიათ. ვენტორ გოსვამის საზოგადოების, ან *გოსვამიდ* წოდებული კასტის წევრი არ შეიძლება ექვსი გოსვამის შთამომავლად ვაღიაროთ. არც იმათი აღიარება შეიძლება, ვინც უფალი ჩაიტანიას შესახებ სიმღერებს იგონებენ და არც მათი, ვინც პროფესიონალი მღვდელთმსახურები ან დაქირავებული მთხრობელები არიან. ვინც *პანჩარატრას* პრინციპებს არ მიჰყვება, ან იმპერსონალისტია ან სექსუალური ცხოვრებისაკენ მისწრაფება აქვს, ვერ შეედრება მათ, ვინც სიცოცხლე

კრ̣შ̣ნას სამსახურს მიუძღვნეს. მუდამ კრ̣შ̣ნას ცნობიერებით დაკავებულ წმინდა ერთგულს შეუძლია ყველაფერი შესწიროს უფლის სამსახურს. ის, ვინც სიცოცხლე უფალი ჩაიტანდას, კრ̣შ̣ნასა და სულიერი მოძღვრის სამსახურს შესწირა, ან ის, ვინც მეოჯახის ცხოვრების პრინციპებს იცავს, აგრეთვე ის, ვინც ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს განდეგილის ცხოვრების წესს მისდევს, ერთგულია და მისი პროფესიონალთან შედარება არ შეიძლება.

როდესაც ადამიანი ყოველგვარი მატერიალური სიბინძურისაგან არის გაწმენდილი, იგი ტრანსცენდენტულად ტკბება კრ̣შ̣ნასთან ნებისმიერი ურთიერთობით. სამწუხაროდ, მათ, ვინც არ არიან ტრანსცენდენტულ მეცნიერებაში გამოცდილნი, არ შეუძლიათ უზენაეს უფალთან სხვადასხვა ურთიერთობების შეფასება. ისინი ფიქრობენ, რომ ყოველი ასეთი ურთიერთობა *მაჲა*. „ჩაიტანდა-ჩარიტა-მრ̣ტაში“ ნათქვამია, რომ მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი და ეთერი (ხუთი უხეში ელემენტი) ნატიფი ფორმებიდან უხეშ ფორმებამდე ვითარდება. მაგალითად, ეთერში ბგერას ვხვდებით, მაგრამ ჰაერში არის ბგერა და შეხება. როდესაც ამას ცეცხლი ემატება, მასში არის ბგერა, შეხება და ფორმაც. როდესაც წყალი ემატება, მასში არის ბგერა, შეხება, ფორმა და გემო და როდესაც მიწა ემატება, მასში არის ბგერა, შეხება, ფორმა, გემო და სუნი. ისევე, როგორც თანდათანობით ვითარდება სხვადასხვა თვისებები ეთერიდან მიწამდე, ასევე ვითარდება ერთგული სამსახურის ხუთი დამახასიათებელი თვისება და ყოველი მათგანი სატრფიალო სიყვარულში გვხვდება. ამრიგად, კრ̣შ̣ნასთან სატრფიალო ურთიერთობა ღმერთის სიყვარულის უმაღლესი სრულყოფილების საფეხურად არის მიჩნეული.

როგორც ნათქვამია “შრ̄მად-ბჰ̄აგავატამში“ (10.87.44): „ღმრთეების უზენაესი პიროვნების ერთგული სამსახური

ყოველი ცოცხალი არსების სიცოცხლეა“. მართლაც, უფალმა უთხრა ვრაჯას ქალწულებს, რომ მათი სიყვარული მისდამი ერთადერთი მიზეზი იყო იმისა, რომ მათ უფალთან ურთიერთობას მიაღწიეს. ნათქვამია, რომ უფალი კრშნა თავისი ერთგულებისგან ისეთი სახის ერთგულ სამსახურს ღებულობს, რომელიც ერთგულის მიდრეკილებებს შეესაბამება. ამგვარად, კრშნა ერთგულის მოთხოვნილებებს პასუხობს. თუკი ვინმეს კრშნასთან ბატონისა და მსახურის ურთიერთობა სურს, კრშნა სრულყოფილი ბატონის როლს თამაშობს. მისთვის, ვისაც სურს მშობლიურ ურთიერთობაში კრშნა შვილად ჰყავდეს, კრშნა სრულყოფილი შვილის როლს თამაშობს. სწორედ ასევე, თუკი ერთგულს სატრფიალო სიყვარულში სურს კრშნას თაყვანისცემა, კრშნა სრულყოფილად თამაშობს ქმრის ან შეყვარებულის როლს. მაგრამ თავად კრშნა ალიარებს, რომ სატრფიალო ურთიერთობაში მისი სასიყვარულო ურთიერთობა ვრაჯას ქალწულებთან უმაღლესი სრულყოფილების საფეხურს წარმოადგენს. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.32.22) კრშნა ეუბნება *გოპებს:*

ნა პარაჲე ’ჰამ ნირავადჲა-სამჲუჯამ
სვა-სადჰუ-კრტჲამ ვიბუდჰაჲუშაპი ვაჰ
ჲა მაბჰაჯან დურჯაჲა-გეჰა-შრნ̇ქჰალაჰ
სამ̇ვრშჩჲა ტად ვაჰ პრატიჲატუ სადჰუნა

„თქვენი ურთიერთობა ჩემთან სრულიად ტრანსცენდენტულია და მე არ შემიძლია თქვენი სიყვარულის სანაცვლოდ რაიმეს შემოთავაზება, მრავალი დაბადების მანძილზეც კი. თქვენ მატერიალური სიამოვნებისადმი ყოველგვარი მიჯაჭვულობა მიატოვეთ და მე მეძებდით. რადგან თქვენს სიყვარულის ფასს ვერაფრით გადავიხდი, თქვენი მოქმედებით უნდა დაკმაყოფილდეთ“.

შრილა ბჰაკტისიდდჰანტა სარასვატი გოსვამი მაჰარაჯამ თქვა, რომ არსებობს უბრალო ადამიანთა კლასი, რომელიც აცხადებს, რომ ყველას შეუძლია თაყვანი სცეს უზენაეს უფალს თაყვანისცემის თავისი გამოგონილი მეთოდით და მაინც ღმრთეების უზენაეს პიროვნებას მიაღწიოს. ისინი აცხადებენ, რომ უზენაეს უფალთან მიახლოება შეიძლება კარმიული საქმიანობებით, სპეკულაციური შემეცნებით, მედიტაციით ან ასკეტიზმით და რომ ნებისმიერი მეთოდი წარმატებას მოიტანს. ისინი აცხადებენ, რომ ადამიანი შეიძლება მრავალი გზიდან ნებისმიერს დაადგეს და მაინც იგივე ადგილს მიაღწიოს. ისინი ამტკიცებენ, რომ უზენაესი აბსოლუტური ჭეშმარიტების თაყვანისცემა შეიძლება ქალღმერთ კალის, ან ქალღმერთ დურგას, ან უფალ შივას, განეშას, რამას, ჰარის, ან ბრაჰმას სახით. მოკლედ, ისინი ამტკიცებენ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, როგორ მივმართავთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რადგან ყოველი სახელი ერთი და იგივეა. მათ მოჰყავთ ადამიანის მაგალითი, რომელსაც მრავალი სახელი ჰქვია; ნებისმიერი სახელი რომ დავუძახოთ, იგი პასუხს გაგვცემს.

ასეთი შეხედულებები შეიძლება ძალიან სიამოვნებდეს უბრალო ადამიანს, მაგრამ ისინი არასწორია. მატერიალური ავხორცული მიზნით ნახევარღმერთების თაყვანისმცემელი, ვერ მიაღწევს ღმრთეების უზენაეს პიროვნებას. თუკი ადამიანი ნახევარღმერთებს სცემს თაყვანს, უფლის გარეგანი ენერგია გარკვეულ შედეგებს მისცემს მას, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთი თაყვანისცემით იგი უზენაეს უფალს მიაღწევს. მართლაც, ასეთი თაყვანისცემა დაგმობილია „ბჰაგავად-გიტაში“:

ანტავატ ტუ ფჰალამ ტეშამ
ტად ბჰავატი ალპა-მედჰასამ

დევან დევა-ბაჯო ბანტი
მად-ბჰაკტა ბანტი მამ აპი

„ნაკლებად გონიერი ხალხი ნახევარღმერთებს სცემენ თაყვანს და მათი ნაყოფები შეზღუდული და წარმავალია. ისინი, ვინც ნახევარღმერთებს ეთაყვანებიან, ნახევარღმერთების პლანეტებზე მიდიან, მაგრამ ჩემი ერთგულები საბოლოოდ ჩემს უმაღლეს პლანეტას აღწევენ“ (ბ.გ. 7.23). ამრიგად, უზენაესი უფალი მასთან ურთიერთობით მხოლოდ მათ აკურთხებს, ვინც მას სცემენ თაყვანს და არა მათ, ვინც ნახევარღმერთებს ეთაყვანებიან. არ არის მართალი, რომ მატერიალური ნახევარღმერთების თაყვანისცემით ყველას შეუძლია ღმრთეების უზენაესი პიროვნების მიღწევა. ამიტომ გასაკვირია, რომ ადამიანმა შეიძლება წარმოიდგინოს, თითქოს ნახევარღმერთთა თაყვანისცემით სრულყოფილებას მიაღწევს. არ შეიძლება სრული კრშნას ცნობიერებით წარმოებული ერთგული სამსახურის შედეგების ნახევარღმერთთა თაყვანისცემის, კარმიული საქმიანობის ან სპეკულაციური აზროვნების შედეგებთან შედარება. კარმიული საქმიანობების შედეგებით ცოცხალი არსება ან ზეციურ ან ჯოჯოხეთის პლანეტებზე წავა.

თავი ოცდამეათე

რᾱდჰᾱსა და კრᾱშṇას ტრანსცენდენტული გართობები

უბრალო რელიგიური საქმიანობების შესრულებასა და ერთგულ სამსახურს შორის დიდი განსხვავება არსებობს. რელიგიური რიტუალების შესრულებით ეკონომიკური განვითარების, გრძნობათა დაკმაყოფილების ან განთავისუფლების (უზენაესის ყოფიერებასთან შერწყმის) მიღწევა შეიძლება, მაგრამ ტრანსცენდენტული ერთგული სამსახურის შედეგები სრულიად განსხვავდება ასეთი წარმავალი შედეგებისაგან. უფლის ერთგული სამსახური უჭკნობია და მზარდ ტრანსცენდენტულ სიამოვნებას იძლევა. მაშასადამე, ერთგული სამსახურისგან და რელიგიური რიტუალებისგან მიღებულ შედეგებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. დიდი სულიერი ენერგია, რომელსაც *ჯადᾱდჰიშṭhᾱტრᾱ*, ანუ *მაჰᾱმᾱḍა*, მატერიალური სამყაროს ზეგანმგებელი ეწოდება, და ნახევარღმერთები, რომლებიც მატერიალური სამყაროს გარკვეულ სფეროებს წარმართავენ და უზენაესი უფლის გარეგანი ენერგიის პროდუქტები არიან, უბრალოდ უზენაესი უფლის სიდიადის დამახინჯებული ანარეკლები გახლავთ. სინამდვილეში ნახევარღმერთები უზენაესი უფლის განკარგულებებს

ასრულებენ და მატერიალური ქმნილების წარმართვაში ეხმარებიან მას. „ბრაჰმა-სამჰიტაში“ ნათქვამია, რომ უმაღლესი ძალის მქონე ზეგანმგებლის, დურგას საქმიანობები უზენაესი უფლის საქმიანობათა მხოლოდ აჩრდილისებური ანარეკლია. მზე უზენაესი უფლის თვალივით მოქმედებს, ბრაჰმა კი — უზენაესი უფლისგან არეკლილი სინათლის მსგავსად. ამრიგად, ყოველი ნახევარღმერთი და თავად გარეგანი ენერგიაც, დურგადევიც და სხვადასხვა სფეროთა მმართველები უზენაესი უფლის მსახურები არიან მატერიალურ სამყაროში.

სულიერ სამყაროში არსებობს სხვა უმაღლესი, ანუ შინაგანი ენერგია, რომელიც *დოგამაგას* ზედამხედველობით მოქმედებს. *დოგამაგა* უზენაესი უფლის შინაგანი ენერგია გახლავთ; იგიც უზენაესი უფლის ხელმძღვანელობით მოქმედებს, მაგრამ მოქმედებს სულიერ სამყაროში. როდესაც ცოცხალი არსება *მაჰამაგას* ნაცვლად *დოგამაგას* განკარგულებაში გადავა, თანდათანობით კრშნას ერთგული ხდება. მაგრამ მატერიალური სიმდიდრისა და მატერიალური ბედნიერების მაძიებლები, მატერიალური ენერგიის, *მაჰამაგას*, მატერიალური ნახევარღმერთების მფარველობაში გადადიან, როგორებიც არიან უფალი შივა და სხვები. „შრიმად-ბჰაგავატამში“ ნათქვამია, რომ როდესაც ვრინდავანის *გოპებს* კრშნას ქმრად ყოლა სურდათ, ამ სურვილის ასრულებას სულიერ ენერგიას, *დოგამაგას* ევედრებოდნენ. „საპტა-შატიში“ ნათქვამია, რომ მეფე სურათჰა და ღარიბი სამადჰი მატერიალური სიმდიდრისათვის ეთაყვანებოდნენ *მაჰამაგას*. ამიტომ შეცდომით არ უნდა გავაიგივოთ *მაჰამაგა დოგამაგასთან*.

რადგან უფალი აბსოლუტურ საფეხურზე იმყოფება, არ არსებობს განსხვავება უფლის წმინდა სახელსა და თავად უზენაეს უფალს შორის. არსებობს უზენაესი უფლის სხვადასხვა სახელი და მათ სხვადასხვა დანიშნულება და

მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, მას ჰქვია ზესული, პარამატმა. უზენაესი აბსოლუტი ცნობილია, როგორც ბრაჰმანი, შემოქმედი სრშტიკარტა, ტრანსცენდენტული უფალი ნარაიანა, რუკმინის ქმარი რუკმინირამანა, *გოპების* განმცხრომელი გოპინათჰა და კრშნა. ამრიგად, უფალს სხვადასხვა სახელი აქვს და ეს სახელები სხვადასხვა ფუნქციებზე მეტყველებს. უზენაესი უფლის შემოქმედებითი ასპექტი განსხვავდება უფლის ასპექტ ნარაიანასაგან. უფლის როგორც შემოქმედის ზოგიერთი ასპექტი მატერიალისტებსაც ესმით. ღმრთეების უზენაესი პიროვნების არსის ბოლომდე გაგება შეუძლებელია სახელით „შემოქმედი", რადგან მატერიალური სამყაროს შექმნა უზენაესი უფლის გარეგანი ენერგიის დანიშნულებაა. მაშასადამე, მოძღვრება ღმერთის როგორც შემოქმედის შესახებ მხოლოდ გარეგან ასპექტს მოიცავს. სწორედ ასევე, როდესაც უზენაეს უფალს ბრაჰმანს ვუწოდებთ, არავითარი წარმოდგენა არ გვექმნება უზენაესი უფლის ექვსი სიდიადის შესახებ. ბრაჰმანის შეცნობის შემთხვევაში ექვსი სიდიადე ბოლომდე არ შეიცნობა; ამიტომ ბრაჰმანის შემეცნება უზენაესი უფლის სრული შეცნობა არ გახლავთ. არც პარამატმის, ზესულის შემეცნებაა ღმრთეების უზენაესი პიროვნების სრული შეცნობა, რადგან უზენაესი უფლის ყოვლისგამჭოლი ბუნება მისი სიდიადის მხოლოდ ნაწილობრივ გამოხატულებას წარმოადგენს.

ის ტრანსცენდენტული ურთიერთობებიც კი, რომლებიც ნარაიანას ერთგულებს ვაიკუნთჰებზე აქვთ, არასრულია, რამდენადაც მასში ბოლომდე არ არის ხორცშესხმული კრშნასთან გოლოკა ვრნდავანაზე არსებული ურთიერთობა. კრშნას ერთგულებს არ სიამოვნებთ ნარაიანას ერთგული სამსახური, რადგან კრშნას ერთგული სამსახური იმდენად მიმზიდველია, რომ კრშნას ერთგულს არც ერთი სხვა ფორმის თაყვანისცემა არ სურს. ამიტომაც

ვრ̣ნდäვანის *გოპებს* არ მოსწონთ კრ̣შ̣ნას რუკმინ̣რ̄ის ქმრის სახით ხილვა და არც რუკმინ̣რ̄ირამანათი მიმართვა უნდათ. ვრ̣ნდäვანში კრ̣შ̣ნას უწოდებენ რäდჰäკრ̣შ̣ნას, ან კრ̣შ̣ნას, რäდჰäრäნ̣რ̄ის საკუთრებას. თუმცა რუკმინ̣რ̄ის ქმარი და რäდჰäს კრ̣შ̣ნა ჩვეულებრივი მნიშვნელობით ერთი და იგივე დონეზე იმყოფებიან, სულიერ სამყაროში სახელები კრ̣შ̣ნას ტრანსცენდენტული პიროვნების სხვადასხვა ასპექტთა განსხვავებულ გაგებაზე მეტყველებენ. ის, ვინც რუკმინ̣რ̄ირამანას, რäდჰäკრ̣შ̣ნას, ნäრäääნ̣ას ან უზენაესი უფლის სხვა სახელებს ერთმანეთს უტოლებს, უშვებს შეცდომას, რაც გემოვნებათა შერევაში გამოიხატება და ტერმინოლოგიურად *რასäბჰäსად* არის წოდებული. გამოცდილი ერთგულები არ აღიარებენ ისეთ შერევას, რომელიც წმინდა ერთგული სამსახურის დასკვნებს ეწინააღმდეგება.

თუმცა შრ̄ კრ̣შ̣ნა, ღმრთეების უზენაესი პიროვნება, აბსოლუტურ სრულყოფილებასა და სილამაზეს განასახიერებს, ვრäჯას ქალწულებთან ერთად ყოფნისას მას გოპ̄ჯანäვალლäბჰä ჰქვია. ერთგულებს არ შეუძლიათ ვრäჯას ქალწულებზე მეტად უზენაეს უფალთან სილამაზით დატკბობა. „შრ̄იმად-ბჰäგäვატäმში“ (10.33.7) ნათქვამია, რომ თუმცა კრ̣შ̣ნა, დევაკ̄ის შვილი, აბსოლუტური სრულყოფილებისა და სილამაზის გვირგვინია, *გოპებთან* ყოფნისას ოქროს ღვთაებრივ ნაკეთობაში ჩასმულ დიდებულ ძვირფას ქვას ჰგავს. მართალია, უფალმა ჩაიტანäამ უზენაეს უფალთან სატრფიალო ურთიერთობა უმაღლესად აღიარა, მაინც საუბრის გაგრძელება სთხოვა რäმäნანდა რääას.

ამ თხოვნაზე რäმäნანდა რääამ მიუგო, რომ აქამდე არავის უთხოვია მისთვის კრ̣შ̣ნას შეცნობის მცდელობაში *გოპების* დონეზე მაღალი რამის განმარტება. რäმäნანდამ აღნიშნა, რომ ვრäჯას ქალწულებსა და კრ̣შ̣ნას უდაოდ ტრანსცენდენტული სიახლოვე აკავშირებთ, მაგრამ

ყოველ ურთიერთობას შორის რადჰარანი̇ სა და კრშნას სატრფიალო ურთიერთობა ყველაზე სრულყოფილს წარმოადგენს. არც ერთ უბრალო ადამიანს არ შეუძლია რადჰარანი̇ სა და კრშნას ტრანსცენდენტული სიყვარულის ექსტაზის ან კრშნასა და *გოპების* ტრანსცენდენტული სიყვარულის გემოს გაგება. მიუხედავად ამისა, თუკი ადამიანი *გოპების* ნაკვალევს გაჰყვება, შეიძლება ტრანსცენდენტული სიყვარულის უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს. მაშასადამე, სრულყოფილების ტრანსცენდენტულ საფეხურამდე აღმართვის მსურველი, *გოპების* მოახლის სახით ვრაჯას ქალწულთა ნაკვალევს უნდა გაჰყვეს.

უფალმა ჩაიტანიამ გამოავლინა ისეთივე განწყობა, რომელიც შრი̇მატი̇ რადჰარანი̇ს ჰქონდა, როდესაც შრი̇ კრშნა დვარაკადან ჩამოვიდა მის შესახვედრად. ასეთი ტრანსცენდენტული სიყვარული ვერც ერთ უბრალო ადამიანს ვერ ექნება, ამიტომ არ შეიძლება ჩაიტანია მაჰაპრაბჰუს მიერ გამოვლენილი სრულყოფილების უმაღლესი საფეხურის მიბაძვა. მაგრამ თუკი ვინმეს ასეთი ურთიერთობის ქონა სურს, შეუძლია *გოპების* ნაკვალევს გაჰყვეს. „პადმა პურანაში“ ნათქვამია, რომ როგორც რადჰარანი̇ა ძვირფასი კრშნასათვის, ასევე ძვირფასია მისთვის *კუნდა*, რომელსაც რადჰაკუნდა ეწოდება. რადჰარანი̇ ერთადერთი *გოპია*, რომელიც ყველა დანარჩენ *გოპი̇ზე* მეტად ძვირფასია კრშნასათვის. „შრი̇მად-ბჰაგავატამში“ (10.30.28) ნათქვამია, რომ რადჰარანი̇ და *გოპები* ყველაზე სრულყოფილად ემსახურებიან უფალს და ისეთ სიამოვნებას ანიჭებენ მას, რომ უფალს არ სურს შრი̇მატი̇ რადჰარანი̇ სთან განშორება.

როდესაც უფალმა ჩაიტანიამ რამანანდა რაჰასგან კრშნასა და რადჰარანი̇ს სიყვარულის შესახებ მოისმინა, თქვა: „გააგრძელე, გეთაყვა. გაუთავებლად გააგრძელე“. უფალმა ისიც თქვა, რომ უაღრესად სიამოვნებდა კრშნასა და *გოპების* სასიყვარულო საქმიანობათა აღწე-

რილობის მოსმენა. „თითქოს ნექტარის მდინარე მოედინება შენი ბაგეებიდან“. — თქვა მან. რაშმანანდა რაჯამ გააგრძელა და თქვა, რომ როდესაც კრშნა *გოპებთან* ერთად ცეკვავდა, გაიფიქრა: „რადჰარანიათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია“. რადგან დანარჩენ *გოპებთან* ერთად რადჰარანის განსაკუთრებული სიყვარული არ შეხვედრია, კრშნამ მოიტაცა იგი ცეკვის ადგილიდან და განსაკუთრებული მადლი მოჰფინა. უფალი ჩაიტანḍასთვის ამის განმარტების შემდეგ რაშმანანდა რაჯამ თქვა: „ახლა კი, მოდი, დავტკბეთ კრშნასა და რადჰას ტრანსცენდენტული სასიყვარულო საქმეებით. მათ ბადალი არა აქვს მატერიალურ სამყაროში“.

რაშმანანდა რაჯამ საუბარი გააგრძელა. ერთხელ, *რასა* ცეკვის დროს, რადჰარანიმ მოულოდნელად დატოვა იქაურობა. თითქოს გაბრაზებული იყო, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ. კრშნას რადჰარანის ხილვა სურდა, რათა *რასა* ცეკვის მიზანი აესრულებინა, მაგრამ რადჰარანის გარეშე მოიწყინა და მის საძებნელად წავიდა. „გიტა-გოვინდაში“ არის ლექსი, სადაც ნათქვამია, რომ კამსას მტერს, კრშნას, ისიც სურდა, რომ ქალებთან სასიყვარულო ურთიერთობებში გახვეულიყო, ამიტომაც წაიყვანა რადჰარანი და მიატოვა ვრაჯას ქალწულები. კრშნა ძალიან დაღონდა რადჰარანის გარეშე და სევდიანმა ჯამუნას ნაპირზე დაიწყო მისი ძებნა. მან ვერ იპოვა იგი, ამიტომ ვრნდავანის ბუჩქებში ჩამოჯდა და დარდს მიეცა. რაშმანანდა რაჯამ თქვა, რომ „გიტა-გოვინდას“ ამ ორი განსაკუთრებული ლექსის (3.1-2) შინაარსის განხილვისას, კრშნასა და რადჰას სასიყვარულო საქმეების უმაღლესი ნექტარით დატკბობა შეიძლება. თუმცა კრშნას მრავალ სხვა *გოპისთან* შეეძლო ცეკვა, განსაკუთრებით უნდოდა რადჰარანისთან ცეკვა. *რასა* ცეკვის დროს კრშნამ თავი გაავრცელა და ყოველ ორ *გოპის* შორის იმყოფებოდა, მაგრამ განსაკუთრებით რადჰარანისთან იყო. რადჰარანის კი არ მოსწონდა კრშნას საქციელი. როგორც

„უჯჯვალა-ნილამანიშია“ აღწერილი: „სასიყვარულო საქმეთა გზა გველის მოძრაობას ჰგავს. ახალგაზრდა შეყვარებულთა შორის ორი სახის ცნობიერება არსებობს — უმიზეზო და მიზეზიანი“. მაშასადამე, როდესაც რადჰარანი განრისხდა და ცეკვის ადგილი მიატოვა, რადგან მას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ, კრშნა მისმა არყოფნამ მეტად დაამწუხრა. ითვლებოდა, რომ სწორედ რადჰარანის თანდასწრების გამო აღწევდა *რასა* ცეკვა აბსოლუტურ სრულყოფილებას და მის გარეშე კრშნა ცეკვას ჩაშლილად მიიჩნევდა. კრშნამ ვერ მიაგნო რადჰარანის, ამიტომ ძლიერ დანაღვლიანდა. მაშასადამე, მიჩნეულია, რომ კრშნა ყველა *გოპისთან* ერთადაც კი ვერ ტკბებოდა სიამოვნების მომნიჭებელი თავისი პოტენციით. მაგრამ რადჰარანის იქ ყოფნისას იგი კმაყოფილი იყო.

როდესაც რამანანდა რაჰამ რადჰარანისა და კრშნას ეს ტრანსცენდენტული სიყვარული განმარტა, უფალმა ჩაიტანდამ აღიარა: „მე კრშნასა და რადჰას სასიყვარულო საქმეების გასაგებად მოვედი შენთან, ახლა კი შენი მშვენიერი განმარტების გამო მეტად კმაყოფილი ვარ. შენი სიტყვებიდან მესმის, რომ ეს კრშნასა და რადჰას უმაღლესი სიყვარულია“. მაგრამ უფალმა ჩაიტანდამ მაინც სთხოვა რამანანდა რაჰას, კიდევ სხვა რამ განემარტა: „როგორი ტრანსცენდენტული ნიშან-თვისებები ახასიათებთ კრშნასა და რადჰარანის, როგორი ტრანსცენდენტული ნიშან-თვისებებით ხასიათდება მათი ურთიერთობა და რა სიყვარული აკავშირებთ მათ? თუკი ამას ამიხსნი, გეთაყვა, უზომოდ მადლიერი ვიქნები. შენს გარდა არავის შეუძლია ამის განმარტება“.

— მე არაფერი გამეგება, — სრული მორჩილებით თქვა რამანანდა რაჰამ. — მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც შენ მალაპარაკებ. მე ვიცი, რომ შენ თავად კრშნა ხარ, მაგრამ ჩემგან კრშნას შესახებ მოსმენით ტკბები. ამიტომ მომიტევე, გეთაყვა, ჩემი გამოხატვის გამო. მე უბრალოდ იმის გამოთქმას ვცდილობ, რასაც გამომათქმევინებ.

— მე მაგავადი *სანნდასი* ვარ, — შეედავა მას უფალი ჩაიტანდა. — არაფერი არ ვიცი ერთგული სამსახურის ტრანსცენდენტული ნიშან-თვისებების შესახებ. სარვაბ-ჰაუმა ბჰატტაჩარდას სიდიადემ გონება გამიწმინდა, ახლა კი უფალი კრშნას ერთგული სამსახურის ბუნების გაგებას ვცდილობ. ბჰატტაჩარდამ კრშნას გასაგებად შენი ნახვა მირჩია. მან მითხრა, მხოლოდ რამანანდა რადას გაეგებაო რაიმე კრშნას სიყვარულის შესახებ. ამიტომ სარვაბჰაუმა ბჰატტაჩარდას რჩევით შენ მოგმართე. მაშ, დაუყოვნებლივ მომიყევი რადჰასა და კრშნას საკრალური საქმეების შესახებ.

ამრიგად, უფალი ჩაიტანდა ჭეშმარიტად დაექვემდებარა რამანანდა რადას. ეს მეტად მნიშვნელოვანია. თუკი ადამიანს სერიოზულად სურს კრშნას ტრანსცენდენტული ბუნების გაგება, მას უნდა მიმართოს, ვინც კრშნას ცნობიერებით არის მომადლებული. კაცმა არ უნდა იამაყოს მატერიალური დაბადებით, მატერიალური სიმდიდრით, მატერიალური განათლებითა და სილამაზით და ამით არ უნდა სცადოს კრშნას ცნობიერი ადამიანის გულის მოგება. მას, ვინც ასეთი სულით მიმართავს კრშნას ცნობიერ პიროვნებას, იმ იმედით, რომ კეთილად განაწყობს მას, შეცდომით ესმის ეს მეცნიერება. ადამიანმა სრული მორჩილებით უნდა მიმართოს კრშნას ცნობიერ პიროვნებას და სათანადო კითხვები დაუსვას. თუკი საკამათოდ მიმართავს, ამაღლებული კრშნას ცნობიერი პიროვნება ვერაფრით დაეხმარება. გამომწვევი, მედიდური კაცი ვერავითარ დახმარებას ვერ მიიღებს კრშნას ცნობიერი ადამიანისაგან; იგი მატერიალურ ცნობიერებაში დარჩება მხოლოდ. თუმცა უფალი ჩაიტანდა *ბრაჰმანის* მაღალ ოჯახში იყო დაბადებული და *სანნდასის* უმაღლესი სრულყოფილების საფეხურზე იმყოფებოდა, საკუთარი ქცევით მაინც გვიჩვენა, რომ ამაღლებულმა ადამიანმაც კი დაუყოვნებლივ

უნდა ისწავლოს რამანანდა რაჯასგან, მიუხედავად იმისა, რომ რამანანდა რაჯა მეოჯახე იყო, *ბრაჰმანის* საფეხურზე დაბლა მდგომი.

ამით უფალმა ჩაიტანიამ გარკვევით გვიჩვენა, რომ გულწრფელი მოწაფე არასოდეს აქცევს ყურადღებას, რომელ ოჯახშია დაბადებული მისი სულიერი მოძღვარი, მაღალი *ბრაჰმანისა* თუ *კშატრიიასი*, არც იმას აქცევს ყურადღებას, *სანნიასია*, *ბრაჰმაჩარი* თუ სხვ., ვისაც კრშნას მეცნიერების სწავლება შეუძლია, *გურუდ* უნდა იქნას აღიარებული.

თავი ოცდამეთერთმეტე

უმაღლესი სრულყოფილება

როგორი მდგომარეობაც არ უნდა ეკავოს ადამიანს, თუ იგი სრულყოფილად იცნობს მეცნიერებას კრშნას შესახებ, კრშნას ცნობიერებას, შეუძლია გახდეს ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი, უფლებამოსილი მიიღოს მოწაფეები ან ამ მეცნიერების მასწავლებელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანს შეუძლია ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი გახდეს, თუ მას კრშნას მეცნიერების, კრშნას ცნობიერების შესახებ საკმარისი ცოდნა გააჩნია. ეს არ არის დამოკიდებული დაბადებასთან დაკავშირებულ ან საზოგადოებაში დაკავებულ გარკვეულ მდგომარეობასთან. ეს გახლავთ უფალი ჩაიტანია მაჰაპრაბჰუს დასკვნა და იგი ვედურ მითითებას შეესაბამება. ამ დასკვნის საფუძველზე მიიღო უფალმა ჩაიტანიამ, რომელიც უწინ ვიშვამბჰარად იყო ცნობილი, სულიერი მოძღვარი, ნიშვარა პური, რომელიც *სანნიასი* გახლდათ. მსგავსად ამისა, უფალმა ნიტიანანდა პრაბჰუმ და შრი ადვაიტა აჩარიამაც მიიღეს სხვა *სანნიასი* — მადჰავენდრა პური თავიანთ სულიერ მოძღვრად. მადჰავენდრა პური ცნობილია აგრეთვე როგორც ლაკშმიპატი ტირთჰა. სწორედ ასევე, კიდევ ერთმა დიადმა აჩარიამ, შრი რასიკანანდამ სულიერ მოძღვრად აღიარა შრი შიანანდა, თუმცა იგი *ბრაჰმანის* ოჯახში არ

იყო დაბადებული. ასევე მიიღო განგაშარაჯანა ჩაკრავარტინ ნაროტტამა დასა ფჰაკურა სულიერ მოძღვრად. დიდი ხნის წინათ იყო ერთი მონადირე სახელად დჰარმა, რომელიც მრავალთა სულიერი მოძღვარი გახდა. „მაჰაბჰარატასა“ და „შრიმად-ბჰაგავატამში“ (7.11.32) აშკარა მითითებები არსებობს, სადაც ნათქვამია, რომ პიროვნება, იქნება იგი *ბრაჰმანი, კშატრიჯა, ვაიშჯა* თუ *შუდრა* — მისი პიროვნული ღირსებების მიხედვით უნდა შეავფასოთ და არა დაბადების შესაბამისად.

პიროვნების მდგომარეობა პიროვნული ღირსებების თანახმად უნდა განისაზღვროს და არა დაბადებისა. მაგალითად, თუ ადამიანი *ბრაჰმანის* ოჯახშია დაბადებული, მაგრამ პიროვნული თვისებებით *შუდრას* ჰგავს, იგი *შუდრად* უნდა ჩაითვალოს. სწორედ ასევე, თუ პიროვნება *შუდრას* ოჯახშია დაბადებული, მაგრამ *ბრაჰმანის* ღირსებებით გამოირჩევა, *ბრაჰმანად* უნდა ვაღიაროთ. ყველა *შასტრას* მითითებები, აგრეთვე დიად ბრძენთა და ავტორიტეტების ვერსიები ამტკიცებს, რომ აუცილებელი არ არის ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი *ბრაჰმანი* იყოს. ერთადერთი მოთხოვნილება ისაა, რომ იგი კრშნას მეცნიერებას, კრშნას ცნობიერებას იცნობდეს. მხოლოდ ეს აძლევს პიროვნებას სულიერ მოძღვრად გახდომის სრულ უფლებას. ეს გახლავთ შრი ჩაიტანჯა მაჰაპრაბჰუს დასკვნა რამანანდა რაჯასთან მსჯელობისას.

„ჰარი-ბჰაკტი-ვილასაში“ ნათქვამია, რომ თუ ერთი ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი *ბრაჰმანის* ოჯახშია დაბადებული, ხოლო მეორე, აგრეთვე ღირსეული, *შუდრას* ოჯახს ეკუთვნის, ადამიანმა *ბრაჰმანის* ოჯახში დაბადებული უნდა მიიღოს. ეს ნათქვამი სოციალურ კომპრომისს წარმოადგენს, მაგრამ სულიერ შემეცნებასთან საერთო არაფერი აქვს. ეს მითითება მხოლოდ მათ ეხებათ, ვინც სოციალურ მდგომარეობას სულიერ მდგომარეობაზე

მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს არ ეხება სულიერ ცხოვრებასთან სერიოზული დამოკიდებულების მქონე ხალხს. სერიოზული პიროვნება მიიღებს ჩაიტანჲა მაჰპრაბჰუს მითითებას იმის თაობაზე, რომ ყველა — მიუხედავად მისი მდგომარეობისა, ვინც იცის მეცნიერება კრშნას შესახებ, მიღებული უნდა იქნას სულიერ მოძღვრად. „პადმა პურანაში“ მრავალი მითითებაა, სადაც ნათქვამია, რომ სულიერად ამაღლებული უფლის წინწასული ერთგული მუდამ ერთგულების უმაღლეს საფეხურზე იმყოფება, ამიტომ სულიერი მოძღვარი გახლავთ, მაგრამ *ბრაჰმანის* ოჯახში დაბადებული დიდად ამაღლებული პიროვნება ვერ იქნება სულიერი მოძღვარი, თუკი უფლის ერთგული არაა. *ბრაჰმანის* ოჯახში დაბადებულმა პიროვნებამ შეიძლება ვედური წმინდა წერილების ყველა რიტუალი იცოდეს, მაგრამ წმინდა ერთგულების მიღწევის გარეშე სულიერ მოძღვრად გახდომა მისთვის შეუძლებელია. მთელ *შასტრებში* ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის უმთავრეს ღირსებად მიჩნეულია ის, რომ იგი კრშნას მეცნიერებაში იყოს განსწავლული.

ამიტომ სთხოვა უფალმა ჩაიტანჲამ რამანანდა რაჲას დაუყოვნებლივ გაეგრძელებინა მისთვის სწავლება და არაფრად მიეჩნია უფალი ჩაიტანჲას *სანნჲასინის* მაღალი მდგომარეობა. ამდენად, უფალმა ჩაიტანჲამ დაჟინებით სთხოვა მას რაჲდჰასა და კრშნას გართობების შესახებ საუბრის გაგრძელება.

„იმის გამო, რომ რაჲდჰასა და კრშნას გართობების შესახებ საუბარს მთხოვ“, — განაცხადა რამანანდა რაჲამ, „მე დავემორჩილები შენს ბრძანებას. იმაზე ვისაუბრებ, რაც შენ გწადია“. ამდენად რამანანდა რაჲამ თავმდაბლად აღიარა თავი მარიონეტად უფალი ჩაიტანჲას, მარიონეტთა ბატონის წინაშე. მას მხოლოდ ჩაიტანჲა მაჰპრაბჰუს სურვილის თანახმად ცეკვა სურდა. თავისი ენა მან სიმე-

ბიან საკრავს შეადარა და თქვა: „შენ ხარ ამ ინსტრუმენტზე დამკვრელი“. ამრიგად, როგორც უფალი ჩაიტანდა დაუკრავდა, ისეთ ბგერას გამოსცემდა რაშანდა რაჲაც.

მან თქვა, რომ უფალი კრშნა ღმრთეების უზენაესი პიროვნებაა, ყოველგვარი ინკარნაციის წყარო და მიზეზი ყველა მიზეზისა. არსებობს აურაცხელი ვაიკუნ̣ṭჰა პლანეტა, უზენაესი უფლის აურაცხელი ინკარნაცია, ექსპანსია და უამრავი სამყაროც, მაგრამ უზენაესი უფალი კრშნა ყოველივე ამის ერთადერთი წყარო გახლავთ. მისი ტრანსცენდენტული სხეული შედგება მარადისობის, ნეტარებისა და ცოდნისაგან და იგი ცნობილია როგორც მაჰარაჯა ნანდას ვაჟი და გოლოკა ვრნდავანზე მცხოვრები. იგი სავსეა ექვსი სიდიადით — ყოველგვარი სიმდიდრით, ძალით, სახელით, სილამაზით, ცოდნითა და განდეგილობით. „ბრაჰმა-სამჰიტაში“ (5.1) დამტკიცებულია, რომ კრშნა უზენაესი უფალია, ყველა უფალთა უფალი და მისი ტრანსცენდენტული სხეული *საჩ-ჩიდ-ანანდა* გახლავთ. არავინაა კრშნას წყარო, არამედ კრშნა ბრძანდება წყარო ყოვლისა. იგია ყველა მიზეზთა უმაღლესი მიზეზი და ვრნდავანის მოსახლე. იგი ამავე დროს მეტად მიმზიდველია, მსგვასად კუპიდონისა. ადამიანს შეუძლია თაყვანი სცეს მას *კამა-გაჲატრეს მანტრის* გზით.

„ბრაჰმა-სამჰიტაში“ ვრნდავანის ტრანსცენდენტული მიწა აღწერილია როგორც მუდამ სულიერი. ეს სულიერი მიწა დასახლებულია ბედის ქალღმერთებით, რომელთაც *გოპები* ჰქვიათ. ისინი კრშნას სატრფოები არიან და კრშნა *გოპების* ერთადერთი სატრფოა. იმ მიწაზე ხეები *კალპა-ვრკშა*, ნატვრის ხეები გახლავთ და მათგან ნებისმიერი სასურველის მიღება შეიძლება. მიწა „ფილოსოფიური ქვისაა“ და წყალი ნექტარისა. იმ მიწაზე ყოველი სიტყვა სიმღერაა, ყოველი ნაბიჯი — ცეკვა, ფლეიტა კი — მუდმივი თანამგზავრი. ყველაფერი თვითმნათია, როგორც

მზე მატერიალურ სამყაროში. ადამიანის სიცოცხლის ეს ფორმა ვრ̣ნდავანის ამ ტრანსცენდენტული მიწის გასაგებად არსებობს და მან, ვისაც ბედი გაუღიმებს, უნდა განივითაროს ვრ̣ნდავანისა და მის მცხოვრებთა ცოდნა. იმ უმაღლეს სავანეში *სურაბჰი* ძროხები არიან, რომლებიც მიწას რძით ავსებენ. იქ წამიც კი არ იხარჯება ფუჭად, ამიტომ არ არსებობს წარსული, აწმყო და მომავალი. ექსპანსია ვრ̣ნდავანისა, რომელიც კრ̣შ̣ნას უმაღლეს სამყოფელს წარმოადგენს, ამ მიწაზეც არსებობს და ამაღლებული ერთგულები მას ეთაყვანებიან როგორც უზენაეს სავანეს. მაგრამ სულიერ ცოდნაში, კრ̣შ̣ნას ცნობიერებაში ამაღლების გარეშე ვრ̣ნდავანის შეფასება არავის ძალუძს. ჩვეულებრივ თვალს ვრ̣ნდავანი უბრალო სოფელი ჰგონია, მაგრამ ამაღლებული ერთგული მას თავდაპირველ ვრ̣ნდავანად აღიქვამს. ერთი დიადი წმინდანი *ჯჩარდა* ამბობს თავის სიმღერაში: „როდის გასუფთავდება ჩემი ჭკუა ყოველგვარი სიბილწისაგან, რათა ვრ̣ნდავანის ჭეშმარიტი სახით დანახვა შევძლო? და როდის შევძლებ გოსვამების მიერ დანატოვარ ნაწარმოებთა გაგებას, რათა რადჰასა და კრ̣შ̣ნას ტრანსცენდენტული გართობების შეცნობა შევძლო?“

ტრანსცენდენტულია აგრეთვე სასიყვარულო ურთიერთობა კრ̣შ̣ნასა და ვრ̣ნდავანის *გოპებს* შორის. ისინი ამ მატერიალური სამყაროს ჩვეულებრივ ვნებიან ურთიერთობებს გავს, მაგრამ მათ შორის უდიდესი განსხვავებაა. მატერიალურ სამყაროში შეიძლება დროებით გამოიღვიძოს ვნებამ, მაგრამ იგი ეგრეთ წოდებული დაკმაყოფილების შემდეგ ქრება. სულიერ სამყაროში გამუდმებით იზრდება სიყვარული *გოპებსა* და კრ̣შ̣ნას შორის. ეს განსხვავებაა ტრანსცენდენ̣ტულ სიყვარულსა და მატერიალურ ვნებას შორის. ვნება, ანუ ეგრეთ წოდებული სიყვარული, რომელიც ამ სხეულიდან მომდინარეობს, ისევე დროებითია როგორც თავად სხეული, მაგრამ სულიერ

სამყაროში მარადიული სულიდან წარმომავალი სიყვარული სულიერ საფეხურზე დგას და ეს სიყვარულიც მარადიულია. ამიტომ კრშნას მარად ნორჩ კუპიდონს უწოდებენ.

უფალ კრშნას ეთაყვანებიან *გაიატრი მანტრით* და განსაკუთრებულ *მანტრას*, რომლითაც მას თაყვანს სცემენ, *კამა-გაიატრი* ეწოდება. ვედური ლიტერატურა გვიხსნის, რომ ბგერით ვიბრაციას, რომელსაც ჭკუისმიერი მონაგონებისაგან განთავისუფლება შეუძლია, *გაიატრი* ეწოდება. *კამა-გაიატრი მანტრა* 24 1/2 მარცვლისაგან შედგება:

კლიმ კამა-დევაია ვიდმაჰე
პუშპა-ბანაია დჰიმაჰი
ტანნო ნანგაჭ პრაჩოდაიატ

კამა-გაიატრის სულიერი მოძღვრისაგან მაშინ ღებულობს მოწაფე, როდესაც წარმატებას აღწევს ჰარე კრშნა, ჰარე კრშნა, კრშნა კრშნა, ჰარე ჰარე / ჰარე რამა, ჰარე რამა, რამა რამა, ჰარე ჰარეს გალობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს *კამა-გაიატრი მანტრა* და *სამსკარა* ანუ სრულყოფილ *ბრაჰმანად* გარდაქმნა, ხდება სულიერი მოძღვრის მიერ, როდესაც იგი ხედავს, რომ მისმა მოწაფემ სულიერ ცოდნაში წარმატებას მიაღწია. მაშინაც კი *კამა-გაიატრი* არ წარმოითქმის განსაკუთრებულ ვითარებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ჰარე კრშნას გალობა საკმარისია უმაღლეს სულიერ საფეხურზე ასამაღლებლად.

„ბრაჰმა-სამჰიტაში“ კრშნას ფლეიტის მშვენიერი აღწერილობაა მოცემული: „როდესაც კრშნამ ფლეიტას ჩაჰბერა, ბგერითმა ვიბრაციამ ბრაჰმას ყურში ვედური *მანტრა ომ*-ის სახით შეაღწია“. ეს *ომ* სამი ასოსგან შედგება — ა, უ და მ — და იგი აღწერს ჩვენს ურთიერთობას უზენაეს უფალთან, ჩვენს მოქმედებებს, რომლითაც შეგვიძლია სიყვარულის უმაღლეს სრულყოფას მივაღწიოთ

და განმარტავს სულიერ საფეხურზე სიყვარულის ჭეშმარიტ მდგომარეობას. როდესაც კრშნას ფლეიტის ბგერითი ვიბრაცია ბრაჰმას პირიდან მომდინარეობს, იგი *გაიატრი* ხდება. ამდენად, კრშნას ფლეიტის ბგერითი ვიბრაციის მოქმედებით ბრაჰმა, უზენაესი არსება და ამ მატერიალური სამყაროს პირველი ცოცხალი არსება იქნა ინიცირებული. ბრაჰმამ რომ კრშნას ფლეიტით *ბრაჰმანის* ინიციაცია მიიღო, შრილა ჯივა გოსვამის მიერაა დადასტურებული. როდესაც ბრაჰმა კრშნას ფლეიტით *გაიატრი მანტრით* იქნა ინიცირებული, მან მთელი ვედური ცოდნა გაიგო. აღიარა რა კრშნას მიერ გაღებული მადლი, იგი ყველა ცოცხალი არსების თავდაპირველი სულიერი მოძღვარი გახდა.

„ბრაჰმა-სამჰიტაში“ *გაიატრი მანტრაზე* დამატებული სიტყვა „კლიმ“ განმარტებულია როგორც ღმრთეების სიყვარულის ტრანსცენდენტული თესლი, ანუ *კამა-გაიატრის* თესლი. ობიექტი კრშნაა, მუდამ ნორჩი კუპიდონი და *კლიმ მანტრას* წარმოთქმით კრშნას ვეთაყვანებით. „გოპალა-ტაპანი უპანიშადში“ ისიც ნათქვამია, რომ როდესაც კრშნას კუპიდონს ვუწოდებთ, მატერიალური სამყაროს კუპიდონად არ უნდა წარმოვიდგინოთ. როგორც უკვე განვმარტეთ, ვრნდავანი კრშნას სულიერი სამყოფელი გახლავთ და სიტყვა კუპიდონიც სულიერი და ტრანსცენდენტულია. ადამიანმა მატერიალური კუპიდონი და კრშნა არ უნდა გააიგივოს. მატერიალური კუპიდონი გარეგანი ხორცისა და სხეულის მიმზიდველობას წარმოადგენს, მაგრამ სულიერი კუპიდონი ის მიმზიდველობაა, რომლითაც ზესული ინდივიდუალურ სულს იზიდავს. სინამდვილეში, სულიერ ცხოვრებაში არსებობს ენება და სექსი, მაგრამ როდესაც სული მატერიალურ ელემენტებშია გახვეული, ეს სულიერი მოთხოვნილება მატერიალურ სხეულში წარმოჩინდება, ამიტომაც დამახინჯებულად აისახება. როდესაც ადამიანი ჭეშმარიტად განსწავლული ხდება კრშნას ცნობიერებაში, მას შეუძლია გაიგოს, რომ

სექსის მისი მატერიალური სურვილი საზიზღარია, მაშინ როცა სულიერი სექსი სასურველი გახლავთ.

სულიერი სექსი ორი სახისაა: ერთი პიროვნების კონსტიტუციური მდგომაროების შესაბამისი, მეორე კი ობიექტისა. როდესაც ადამიანს ესმის ჭეშმარიტება ამ ცხოვრების შესახებ, მაგრამ მთლიანად არ არის განწმენდილი მატერიალური სიბილწისაგან, იგი ჭეშმარიტად ტრანსცენდენტულ სავანეში, ვრნდავანში არ იმყოფება, თუმცა შეიძლება ესმოდეს სულიერი ცხოვრება. მაგრამ როდესაც პიროვნება მატერიალური სხეულის სექსუალური მოთხოვნილებისაგან თავისუფლდება, ამ დონეზე მყოფს შეუძლია *კამა-გამატრის* და *კამა-ბიჯა მანტრის* წარმოთქმა.

შემდეგ რამანანდა რამამ განმარტა, რომ კრშნა კაცებსაც იზიდავს და ქალებსაც, მოძრავსაც და უძრავსაც — მართლაც ყველა ცოცხალ არსებას. ამ მიზეზის გამო ეწოდება ტრანსცენდენტული კუპიდონი. შემდეგ რამანანდა რამამ წარმოთქვა ლექსი „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ (10.32.2), რომელშიც ნათქვამია, რომ როდესაც მომღიმარი კრშნა ფლეიტაზე დაკვრით ვრაჯას ქალწულების წინაშე გამოჩნდა, იგი კუპიდონს ჰგავდა.

სხვადასხვა ერთგულებს სხვადასხვა დამოკიდებულება და ურთიერთობა აქვთ უზენაეს უფალთან. უფალთან ნებისმიერი ურთიერთობა ერთნაირად სასიკეთოა, ვინაიდან მთავარი ფიგურა მათში კრშნაა. როგორც „ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუშია“ ნათქვამი: „*კრშნა ყოველგვარი სიამოვნების წყაროა და თავისი სხეულის სიკაშკაშით მუდამ იზიდავს გოპებს*. იგი განსაკუთრებით ტარაკას, პალის, შდამბას და ლალიტას ხიბლავს. *კრშნა ძალზე ძვირფასია* რადჰარანისთვის, *უმთავრესი გოპისთვის*“. *კრშნას* მსგავსად, *გოპები* *კრშნას* გართობებით არიან განდიდებულნი. *კრშნასთან* მრავალი სახის დამოკიდებულება არსებობს და ნებისმიერი, ვისაც *კრშნასთან* გარკვეული ურთიერთობა ხიბლავს, დიდებას იმსახურებს.

კრშნა ისე მშვენიერი, ტრანსცენდენტული და მიმზიდველია, რომ ზოგჯერ საკუთარ თავსაც ხიბლავს. ქვემოთ მოყვანილი ლექსი „გიტა-გოვინდაში“ (1.11) გვხვდება:

ვიშვეშამ ანურანჯანენა ჯანაჲანნ
ანანდამ ინდივარა-
შრენი-შჲამალა-კომალაირ უპანაჲანნ
ანგაირ ანანგოტსავამ
სვაჩჩანდამ ვრაჯა-სუნდარიბჰირ აბჰიტაჰ
პრატჲანგამ ალინგიტაჰ
შრნგარაჰ საქჰი მურტიმან ივა მადჰაუ
მუგდჰო ჰარიჰ კრიდატი

„ჩემო ძვირფასო მეგობარო, ერთი ნახე როგორ ტკბება კრშნა თავისი ტრანსცენდენტული გართობებით გაზაფხულზე, როცა იგი თავისი სხეულის სილამაზეს ყველგან ავრცელებს. მისი ნაზი ფეხები და ხელები, სწორედ უმშვენიერესი მთვარის მსგავსი, *გოპების* სხეულს ეხება. მათი სხეულების სხვადასხვა ნაწილის შეხებისას იგი ძალზე მომხიბვლელია. კრშნა იმდენად ლამაზია, რომ თვით ნარაჲანასაც იზიდავს, ასევე ბედის ქალღმერთსაც, რომელიც თან ახლავს ნარაჲანას“.

„შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.89.58) ბჰუმა-პურუშამ (მაჰა-ვიშნუმ) კრშნას უთხრა: „ჩემო ძვირფასო კრშნა და არჯუნა, *ბრაჰმანის* შვილები იმისათვის წამოვიყვანე, რომ თქვენ მენახეთ“. ერთხელ არჯუნა შეეცადა გადაერჩინა ყმაწვილები, რომლებიც უდროოდ გარდაიცვალნენ დვარაკაში და როდესაც არაფერი გამოუვიდა, კრშნამ იგი ბჰუმა-პურუშასთან წაიყვანა და როდესაც ბჰუმა-პურუშამ გაცოცხლებული მკვდარი სხეულები წარმოუდგინა მათ, თქვა: „ორივე თქვენგანი სამყაროში რელიგიური პრინციპების დასაცავად და დემონების გასანადგურებლად მოევლინეთ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბჰუმა-პურუშაც

დაატყვევა კრშნას სილამაზემ და ეს გართობა კრშნას ნახვის საბაბად გამოიყენა. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.16.36) წერია, რომ როდესაც კრშნამ გველი კალიდა დასაჯა, კალიდას ერთ-ერთმა ცოლმა უთხრა კრშნას: „ძვირფასო უფალო, ჩვენ არ გვესმის, როგორ მიეცა ამ დაცემულ გველს შენი ლოტოსის ტერფების ცემის შესაძლებლობა, როდესაც თვით ბედის ქალღმერთმა შენს სანახავად წლების მანძილზე ასკეზები გაიარა“.

თუ როგორ ხიბლავს კრშნას საკუთარი სილამაზე, აღწერილია „ლალიტა-მადჰავაში“ (8.34). საკუთარი სურათის დანახვაზე კრშნამ წამოიძახა: „რა დიდებულია ეს სურათი! იგი მეც ისე მხიბლავს, როგორც რადჰარანი“.

კრშნას სილამაზის აღწერის შემდეგ რამანანდა რაიამ საუბარი დაიწყო კრშნას სულიერი ენერგიის შესახებ, რომელსაც სათავეში შრიმატი რადჰარანი უდგას. კრშნას ენერგიებს უსაზღვრო ექსპანსიები გააჩნია. უმთავრესია სამი: შინაგანი, გარეგანი და მოსაზღვრე ენერგია. ეს დამტკიცებულია „ვიშნუ პურანას“ მეექვსე თავში, სადაც ნათქვამია, რომ ვიშნუს ერთი ენერგია აქვს, რომელსაც სულიერი ენერგია ეწოდება და იგი სამი გზით ვლინდება. როდესაც სულიერი ენერგია უმეცრებით იფარება, მას მოსაზღვრე ენერგია ეწოდება. რაც შეეხება თავად სულიერ ენერგიას, იგი სამ ფორმაში წარმოჩინდება, ვინაიდან კრშნაში იყრის თავს მარადისობა, ნეტარება და ცოდნა. რაც შეეხება მის ნეტარებას, მისი სულიერი ენერგია სიამოვნების მომტან ენერგიად ვლინდება. მისი მარადიულობა ენერგიად წარმოჩინდება, ხოლო ცოდნა — სულიერ სრულყოფილებად. როგორც „ვიშნუ პურანაშია“ (1.12.69) დამტკიცებული: „კრშნას სიამოვნების პოტენცია აძლევს კრშნას ტრანსცენდენტულ სიამოვნებასა და ნეტარებას“. ამდენად, როდესაც კრშნას სიამოვნებით ტკბობა სურს, იგი ავლენს თავის სულიერ ენერგიას, რომელსაც ჰლადინი ეწოდება.

თავის სულიერ ფორმაში კრშნა საკუთარი სულიერი ენერგიით ტკბება და ეს წარმოადგენს რაჲდჰა-კრშნას გართობების ძირითად არსს. მხოლოდ ამაღლებულ ერთგულებს შეუძლიათ ამ გართობების გაგება. ადამიანი არ უნდა ეცადოს რაჲდჰა-კრშნას ენერგიებისა და გართობების გაგებას მატერიალური საფეხურიდან. ჩვეულებრივ, ხალხი მათ არასწორად აიგივებს მატერიალურთან.

როდესაც სიამოვნების პოტენცია კიდევ უფრო კონდენსირდება, მას *მაჰაბჰავა* ეწოდება. შრიმატი რაჲდჰარანი, კრშნას მარადიული თანამგზავრი, ამ *მაჰაბჰავას* გაპიროვნებას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, „უჯჯვალა-ნილამანიში“ (4.3) რუპა გოსვამი ამბობს, რომ კრშნას სიყვარულში ორი მეტოქე არსებობს, რაჲდჰარანი და ჩანდრავალი. მათი შედარებისას რაჲდჰარანი უმაღლესია, ვინაიდან იგი *მაჰაბჰავა-სვარუპას* ფლობს. *მაჰაბჰავა-სვარუპა მაჰაბჰავას* გაპიროვნება, მხოლოდ რაჲდჰარანის ახასიათებს. *მაჰაბჰავა* სიყვარულის გამოვლინებას წარმოადგენს. ამიტომ მთელ სამყაროში კრშნასათვის რაჲდჰარანი ყველაზე საყვარელია და მისი სახელი მუდამ კრშნასთანაა დაკავშირებული — რაჲდჰა-კრშნა.

„ბრაჰმა-სამჰიტაშიც“ (5.37) დადასტურებულია, რომ სულიერ სამყაროში კრშნა თავისი სიამოვნების ენერგიით ვრცელდება და ეს ენერგიები არ განსხვავდება კრშნასაგან. თუმცა კრშნა მუდამ ტკბება თავისი სიამოვნების ენერგიის ექსპანსიებთან ურთიერთობით, იგი ყოვლისგამჭოლია. ამიტომ ბრაჰმა მოწიწებით თავს ხრის გოვინდას, ყოველი მიზეზის მიზეზის წინაშე.

როგორც კრშნაა სულიერი სრულყოფილების უმაღლესი სიმბოლო, ასევეა რაჲდჰარანი იმ სულიერი სიამოვნების ენერგიის უმაღლესი სიმბოლო, რითაც კრშნა კმაყოფილდება. ვინაიდან კრშნა უსაზღვროა, იმისათვის, რომ იგი დააკმაყოფილოს, რაჲდჰარანიც უსაზღვრო გახლავთ. კრშნას რაჲდჰარანის მარტო დანახვაც კი აკმაყოფილებს, მაგრამ რაჲდჰარანი ისეთნაირად ვრცელდება, რომ

კრშნას მის მიმართ მეტი ტკბობის სურვილი აქვს. იმის გამო, რომ კრშნას არ შეეძლო რადჰარანის სიამოვნების შეფასება, გადაწყვიტა რადჰარანის როლი მიეღო და ამ შეერთებას შრი ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუ წარმოადგენს.

შემდეგ რამანანდა რაიამ განმარტა რადჰარანი როგორც კრშნას სიამოვნების ენერგიის სიმბოლო. რადჰარანი სხვადასხვა ფორმებად ვრცელდება, როგორიცაა ლალიტა, ვიშაქჰა და სხვა საკრალური თანამგზავრები. თავის წიგნში „უჯჯვალა-ნილამანი“ რუპა გოსვამი განმარტავს შრიმატი რადჰარანის თვისებებს. იგი მიუთითებს, რომ რადჰარანის სხეული თავისთავად ტრანსცენდენტული სიამოვნების ჭეშმარიტ განვითარებას წარმოადგენს. მისი სხეული მორთულია ყვავილებით, სურნელოვანია და კრშნასადმი ტრანსცენდენტული სიყვარულით სავსე. იგი გახლავთ მისი სიამოვნების პოტენციის გაპიროვნება. ეს ტრანსცენდენტული სხეული სამჯერ ბანაობს: პირველად წყალობის წყალში, მეორედ ყმაწვილური სილამაზის წყალში, მესამედ კი ახალგაზრდული ბრწყინვალების წყალში. ამგვარად, სამჯერ განბანვის შემდეგ მის სხეულს ბრჭყვიალა სამოსელი ამშვენებს და კრშნას პიროვნული სილამაზითაა მორთული, რომელიც კოსმეტიკური ხელოვნების გამოხატულებას წარმოადგენს. მის სხეულს ამშვენებს აგრეთვე სულიერი ექსტაზის ორნამენტები — კანკალი, ცრემლები, გახევება, ოფლი, სულის შეკვრა, სხეულის ყველა ფუნქციის შეწყვეტა — რაც ტრანსცენდენტული სიამოვნებისგან მომდინარეობს, ენის ბორძიკი, სისხლის მაღალი წნევა და შეშლილობა.

ტრანსცენდენტული სიამოვნების ენერგიის მორთულობა ცხრა ნიშანს ავლენს. ამათგან ხუთი, ყვავილწნულით შემკული მისი პირადი სილამაზის გავრცელებით წარმოჩინდება. მისი მორჩილი სიმშვიდე ქაფურით განწმენდილ ტანსაცმელთანაა შედარებული. კრშნას გამო მისი იდუმალი ტანჯვა ნასკვია მის თმაში, ხოლო შუბლზე *ტილაკას* ნიშანი — მისი ბედი. რადჰარანის სმენის გრძნო-

ბა მუდამ კრშნას სახელსა და დიდებაზეა მიპყრობილი. ბეტელის კაკლის ღეჭვა ტუჩებს აწითლებს. სწორედ ასევე, რადჰარანის თვალის უპეები კრშნასადმი სრული მიჯაჭვულობის შედეგად ჩაშავებულია. ეს სიმუქე შეიძლება ბუნების მიერ გამოყენებულ მალამოს შევადაროთ, როდესაც ბუნება რადჰასა და კრშნასთან ხუმრობს. რადჰარანის ღიმილი ქაფურის გემოს ჰგავს. განშორების ყვავილწნული ირხევა მის სხეულზე, როცა სურნელის ოთახში სიამაყის საწოლზე წვება. კრშნასადმი ექსტაზური სიყვარულის გამო მკერდს ბრაზის კოფთა უფარავს. კრშნას მეგობარ გოგონებს შორის საუკეთესოდ მიჩნეული, სიმებიან საკრავზე უკრავს. ყმაწვილურ პოზაში მდგომ კრშნას იგი მხარზე ხელს აყრდნობს. თუმცა ამდენ ტრანსცენდენტულ თვისებას ფლობს, მუდამ კრშნას სამსახურითაა დაკავებული.

შრიმატი რადჰარანის *სუდდიპტა-სატტვიკა* ემოციები ამშვენებს, რომლებიც ზოგჯერ მწუხარებასა და ზოგჯერ დამშვიდებას მოიცავს. შრიმატი რადჰარანის სხეულში გამოვლენილია ყველა ტრანსცენდენტული ექსტაზი. *სუდდიპტა-სატტვიკა* ემოციები მაშინ ვლინდება, როდესაც სატრფოს გარკვეული გრძნობები იპყრობს, რომელთა შეკავება ქალს ან კაცს არ შეუძლია. რადჰარანის კიდევ ერთი ემოცია *კილაკინჩიტა* ახასიათებს, რომელიც ოცი სხვადასხვა გზით ვლინდება. ეს ემოციები წარმოჩინდება ნაწილობრივ სხეულიდან, ჭკუიდან და ჩვევიდან გამომდინარე. რაც შეეხება სხეულის ემოციებს, ისინი პოზებსა და მოძრაობაში ვლინდება. რაც შეეხება ჭკუის ემოციებს, ისინი ვლინდება როგორც სილამაზე, ბრწყინვალება, პირისახის ფერი, საუბარი, სულგრძელობა და მოთმინება. რაც შეეხება ჩვეულებასთან დაკავშირებულ ემოციებს, ისინი ვლინდება როგორც გართობები, სიამოვნება, მომზადება და დავიწყება.

შრიმატი რადჰარანის შუბლზე ბედის ტილაკა აჩნია, მას *პრემა-ვაიჩიტტადას* მედალიონიც აქვს. *პრემა-ვაიჩიტ-ტადა* ვლინდება მაშინ, როდესაც სატრფოები ერთმანეთს ხვდებიან და განშორებისა ეშინიათ.

შრიმატი რადჰარანი კრშნაზე თხუთმეტი დღით უმცროსია. მას მუდამ მეგობრების მხარზე აქვს ხელი დაყრდნობილი და განუწყვეტლივ კრშნასთან ერთად გართობებზე საუბრობს და ფიქრობს. თავის ტკბილი საუბრით ყოველთვის აბრუებს კრშნას და რადჰარანი მუდამ მზად არის კრშნას სურვილების შესასრულებლად. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი შრი კრშნას ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს და ამისათვის განუმეორებელი და უჩვეულო თვისებებს ფლობს.

„გოვინდა-ლილამრტაში“ არის ერთი ლექსი, სადაც ნათქვამია: „ვინ არის კრშნას სიყვარულის საფუძველი? პასუხი ასეთია: მხოლოდ შრიმატი რადჰიკა. ვინ არის კრშნას უდიდესი სიყვარულის საგანი? პასუხი ის გახლავთ, რომ ერთადერთი შრიმატი რადჰიკა და მეტი არავინ“. თმის ბრწყინვალება, წყლიანი თვალები და მკერივი მკერდი — ყველა ეს ნიშანი ახასიათებს შრიმატი რადჰიკას. მხოლოდ შრიმატი რადჰიკას შეუძლია კრშნას ყველა სურვილის ასრულება. ამას სხვა ვერავინ გააკეთებს.

საჰაბჰამ შრიმატი რადჰარანის კიდევ ერთი მეტოქეა, მაგრამ იგი მუდამ იმის ცდაშია, შრიმატი რადჰარანის დონეს მიუახლოვდეს. რადჰარანი ისე გამოცდილია ყოველგვარ საქმეში, რომ ვრაჯას ქალწულები მასთან მიდიან ხელოვნებათა სასწავლად. იგი იმდენად არაჩვეულებრივი სილამაზით გამოირჩევა, რომ თვით ბედის ქალღმერთს და პარვატის, უფალი შივას მეუღლესაც სურთ მასსავით მშვენიერი გახდნენ. არუნდჰუტის, რომელიც სამყაროში ყველაზე უბიწო ქალბატონად არის ცნობილი, უბიწოების სწავლა სწადია შრიმატი რადჰა-

რაჸ̣ნისგან. ვინაიდან თვით უფალ კრ̣შ̣ნასაც არ ძალუძს რაჸდჰარაჸ̣ნის მაღალი ტრანსცენდენტული თვისებების შეფასება, ჩვეულებრივი ადამიანი მათ შეფასებას ვერ შეძლებს.

რამანანდა რაჸასგან რაჸდჰა-კრ̣შ̣ნას თვისებების მოსმენის შემდეგ უფალმა ჩაიტანჲამ მათ შორის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ გაგონების სურვილი გამოთქვა. რამანანდა რაჸამ *კრ̣შ̣ნა* დაახასიათა როგორც *დჰირა-ლალიტა*. ეს სიტყვა აღწერს პიროვნებას, რომელიც ძალზე ეშმაკია და ჭაბუკური, რომელიც მუდამ მშვენიერად ხუმრობს, ვისთვისაც უცხოა მღელვარება და ვინც მუდამ თავის მეგობარ გოგონებს ეხმარება. კრ̣შ̣ნა განუწყვეტლივ რაჸდჰარაჸ̣ნისთან სასიყვარულო საქმეებითაა დაკავებული და ვრ̣ნდავანის ბუჩქებში მასთან ერთად ვნებათა განცხრომით ტკბება. ამგვარად, იგი წარმატებით იკმაყოფილებს თავის ვნებიან ინსტინქტებს. „ბჰაკტი-რასამრ̣ტასინდჰუში“ ნათქვამია: „სქესობრივი სურვილების დაკმაყოფილების შესახებ მოურიდებელი და თამამი საუბრებით, კრ̣შ̣ნამ შრ̣იმატ̣ი რაჸდჰარაჸ̣ნის თვალები დაახუჭვინა, ისარგებლა ამით და მკერდი მრავალგვარად მოუხატა. ეს სურათი რაჸდჰარაჸ̣ნის მეგობრების სახუმარო საგნად იქცა. ამდენად, კრ̣შ̣ნა მუდამ ვნებიანი მოქმედებებით იყო დაკავებული და ამით ყმაწვილურ სიცოცხლეს იხალისებდა“.

ამ ტრანსცენდენტული მოქმედებების მოსმენის შემდეგ უფალმა ჩაიტანჲამ თქვა: „ჩემო ძვირფასო რამანანდა რაჸა, რაც შენ ამიხსენი შრ̣ი რაჸდჰასა და კრ̣შ̣ნას ტრანსცენდენტული გართობების შესახებ სავსებით სწორეა, თუმცა მაინც არის რაღაც მეტი, რის მოსმენასაც შენგან ვისურვებდი“.

„ძალიან მიჭირს ამაზე მეტის გამოხატვა“, — უპასუხა რამანანდა რაჸამ. „მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არსებობს *პრემა-ვილასა-ვივარტად* წოდებული ემოციური მოქმედებები, რომლის განმარტებასაც იქნებ შევეცადო,

მაგრამ არ ვიცი გაგაბედნიერებს თუ არა მისი მოსმენა“. „პრემა-ვილასაში“ ორი სახის ემოციური მოქმედებაა — განშორება და შეხვედრა. ეს ტრანსცენდენტული განშორება იმდენად განმგმირავია, რომ სინამდვილეში შეხვედრაზე მეტად ძლიერი გახლავთ. რამანანდა რაჰას რადჰასა და კრშნას ამ ამაღლებული ურთიერთობის მოსმენის დიდი გამოცდილება ჰქონდა და მან შეთხზა მშვენიერი სიმღერა, რომელიც უფალს მოუთხრო. სიმღერის შინაარსი ის გახლავთ, რომ მიჯნურების შეხვედრამდე ორივე მხარეს ტრანსცენდენტული მოქმედებების შედეგად გარკვეული ემოციები აღეძვრება. ამ ემოციას ეწოდება რაგა, ანუ მიმზიდველობა. შრიმატი რადჰარანი გამოხატა სურვილი, რომ „ჩვენს შორის ამ სინაზემ და სიყვარულმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს“, მაგრამ ამ სინაზის მიზეზი თავად რადჰარანი გახლავთ. „როგორი მიზეზიც არ უნდა იყოს“, — თქვა რადჰარანიმ, „ჩვენ შენსა და ჩემს შორის სიყვარულის გრძნობამ გაგვაერთიანა. ახლა განშორების დროა და მე იმასაც ვერ ვხვდები, როგორ დაიწყო და განვითარდა ეს სიყვარული. ჩვენს სიყვარულში არ არსებობდა მიზეზი ან მაყურებელი თავად ჩვენი შეხვედრის სიყვარულით სავსე მზერის გარდა“.

ვიდრე ადამიანი წმინდა სათნოების საფეხურს არ მიაღწევს, ძალზე ძნელია კრშნასა და რადჰარანის შორის არსებული ურთიერგრძნობების გაგება. ამგვარი ტრანსცენდენტული ურთიერთობის გაგება მატერიალური სათნოების საფეხურიდანაც კი რთულია. ამის გასაგებად ადამიანი ნამდვილად უნდა დადგეს მატერიალურ სათნოებაზე მაღლა. ეს იმიტომ, რომ გრძნობების მონაცვლეობა რადჰასა და კრშნას შორის მატერიალურ სამყაროს არ ეხება. თვით უდიადეს სპეკულაციურ მოაზროვნესაც არ ძალუძს ამის გაგება, უშუალოდ იქნება ეს თუ არაუშუალოდ. მატერიალური მოქმედებები ვლინდება ამ უხეში სხეულისათვის ან ნატიფი ჭკუისათვის, მაგრამ რადჰასა

და კრშნას შორის გრძნობების გაცვლა ამგვარი გამოვლინებებისა და ინტელექტუალური მსჯელობების მიღმა იმყოფება. ამის გაგება შესაძლებელია მხოლოდ მატერიალური სამყაროს ყოველგვარი დასახელებებისაგან განწმენდილი გრძნობებით. ვისაც წმინდა გრძნობები აქვთ, მიხვდებიან ამ ტრანსცენდენტულ თვისებებსა და ურთიერთობებს, მაგრამ იმპერსონალისტებსა და სულიერი გრძნობების შესახებ უმეცართა მხედველობა მატერიალურ გრძნობებს ვერ ცდება და ამდენად მათ სულიერი ურთიერთობების ან სულიერ გრძნობებთან დაკავშირებული მოქმედებების გაგება არ ძალუძთ. ექსპერიმენტული ცოდნის ძალით ამაღლებულებს, მხოლოდ თავიანთი დაჩლუნგებული მატერიალური გრძნობების დაკმაყოფილება შეუძლიათ ან უხეში სხეულის მოქმედებებით ან სპეკულაციური მსჯელობებით. სხეულიდან ან ჭკუიდან გამომდინარე ყველაფერი ყოველთვის არასრულყოფილია და არამტკიცე, მაგრამ ტრანსცენდენტული სულიერი მოქმედებები მუდამ ნათელი და საოცარია. წმინდა სიყვარული ტრანსცენდენტულ საფეხურზე მატერიალური მომხიბვლელობისაგან თავისუფალი სიწმინდის ნიმუშია და მთლიანად სულიერია. მატერიის სიყვარული წარმავალია, როგორც ამაზე მიუთითებს მატერიალურ სამყაროში სექსით გაბრუებულობა. მაგრამ სულიერი განშორებისას არც გაბრუებულობა არსებობს და არც უშედეგობა, როგორც ამას მატერიალური განშორების დროს ვხვდებით.

უფალი ჩაიტანäა დაეთანხმა, რომ ეს გახლავთ ტრანსცენდენტული სასიყვარულო ურთიერთობის უმაღლესი მდგომარეობა: „მხოლოდ შენი წყალობით შევძელი ასე მაღალი ტრანსცენდენტული მდგომარეობის გაგება. მისი მიღწევა ტრანსცენდენტული მოქმედებების შესრულების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ხომ ვერ ამიხსნიდი, როგორ შემიძლია ამ საფეხურამდე ამაღლება?“

— ჩემთვისაც ძნელია გაგაგებინო, — უპასუხა რäმäნანდამ. — რაც შემეხება მე, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია,

რაც შენ გსურს. ვერავინ გაექცევა შენს უზენაეს ნებას. და თუმცა თითქოს მე ვლაპარაკობ, სინამდვილეში მე არა ვარ მოლაპარაკე. შენ ლაპარაკობ. ამიტომ შენვე ხარ მოსაუბრეცა და მსმენელიც. ამდენად ნება მომეცი ვთქვა ის, რაც შენ გსურს იმის შესრულების შესახებ, ტრანსცენდენტული მდგომარეობის მიღწევისათვის რომ არის საჭირო.

შემდეგ რაშმანანდა რაჲამ რადჰასა და კრშნას საკრალური და ტრანსცენდენტული მოქმედებების შესახებ საუბარი დაიწყო. ამ მოქმედებების გაგება შეუძლებელია უზენაეს უფალთან ემოციებზე დაფუძნებული ურთიერთობის გზით როგორც ბატონსა და მსახურს, მეგობარსა და მეგობარს ან მშობელსა და შვილს შორის. ამ საკრალური საკითხის გაგება მხოლოდ ვრაჯას ქალწულებთან ურთიერთობით შეიძლება, რამეთუ საკრალური მოქმედებები იმ ქალწულთა გრძნობებისა და ემოციებისაგან აღმოცენდება. ვრაჯას ქალწულების ურთიერთობის გარეშე ადამიანი ვერ ასაზრდოებს ან გაზრდის ამგვარ ტრანსცენდენტულ შეცნობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, რადჰასა და კრშნას ეს საკრალური გართობები ქალწულების წყალობით გავრცელდა. მათი გაგება შეუძლებელია. ამის შესაცნობად ადამიანი ვრაჯას ქალწულებს უნდა მიჰყვეს ფეხდაფეხ.

როდესაც ადამიანი ჭეშმარიტად აღწევს ამ საფეხურს, მას რადჰასა და კრშნას საკრალურ გართობებში შესვლის უფლება ეძლევა. არ არსებობს არჩევანი მათი საკრალური გართობების გასაგებად. ეს დამტკიცებულია „გოვინდა-ლილამრტაში“ (10.17): „თუმცა რადჰასა და კრშნას ურთიერთ გრძნობები გამოვლენილი, ბედნიერი, ნათელი, ვრცელი და უსაზღვროა, მათი გაგება მხოლოდ ვრაჯას ქალწულებს ან მათ მიმდევრებს შეუძლიათ“. ისევე როგორც არავის შეუძლია უზენაესი უფლის სულიერი ენერგიის შეცნობა მისი უმიზეზო წყალობის გარეშე, ვრაჯას ქალწულების ფეხდაფეხ მიყოლის გარეშე ვერავინ შეიცნობს რადჰასა და კრშნას შორის არსებულ სქესობრივ

ურთიერთობას. რადჰარანის პირად თანამგზავრებს *საქმენი* ეწოდებათ, ხოლო მის ახლობელ თანაშემწეებს — *მანჯარები*. ძალიან ძნელია კრშნასთან მათი ურთიერთობის გამოხატვა, ვინაიდან მათ კრშნასთან შერევისა თუ მასთან პირადი ტკბობის არავითარი სურვილი არ გააჩნიათ. პირიქით, ისინი მუდამ მზად არიან დაეხმარონ რადჰარანის კრშნასთან ურთიერთობაში. იმდენად წმინდაა მათი სიყვარული კრშნასა და რადჰარანისადმი, რომ ისინი უბრალოდ კმაყოფილნი არიან მათი ერთად ყოფნით. მართლაც, მათ ტრანსცენდენტულ სიამოვნებას ანიჭებთ, როცა რადჰა და კრშნა ერთად არიან. რადჰარანის ჭეშმარიტი სახე კრშნას ხელზე შემოხვეულ ლიანას ჰგავს, ხოლო ვრაჯას ქალწულები — რადჰარანის თანამგზავრები, იმ ლიანას ფოთლებსა და ყვავილებს. ხეს ლიანასთან ერთად თავისთავად მისი ფოთლები და ყვავილებიც ეხვევა. „გოვინდა-ლილამრტაში“ (10.16) დამტკიცებულია, რომ რადჰარანი კრშნას სიამოვნების პოტენციის ექსპანსიას წარმოადგენს და იგი ლიანასთანაა შედარებული, ხოლო მისი თანამგზავრები, ვრაჯას ქალწულები, იმ ლიანას ყვავილებსა და ფოთლებთან. რადჰარანისა და კრშნას ტკბობისას, ვრაჯას ქალწულნი თავად რადჰარანიზე მეტ სიამოვნებას განიცდიან.

თუმცა რადჰარანის თანამგზავრები კრშნასაგან არავითარ ყურადღებას არ მოელიან, რადჰარანი იმდენად ნასიამოვნებია მათით, რომ პირადად ახვედრებს კრშნასა და ვრაჯას ქალწულებს. მართლაც რადჰარანი მრავალი ტრანსცენდენტული ხერხით ცდილობს თავისი თანამგზავრების კრშნასთან დაკავშირებას, ანუ შეერთებას და ამ შეხვედრებით მეტ სიამოვნებას განიცდის, ვიდრე კრშნასთან საკუთარი შეხვედრებისას. კრშნას მეტ კმაყოფილებას ანიჭებს როცა ხედავს, რომ რადჰარანიცა და მისი თანამგზავრებიც კმაყოფილნი არიან მასთან ყოფნით. როდესაც

კრშნა ხედავს, რომ რადჰარანნიცა და მისი თანამგზავრებიც ნასიამოვნები არიან, იგი უფრო მეტ კმაყოფილებას განიცდის. ამგვარ კავშირსა და სასიყვარულო ურთიერთობას, თუმცა იგი კაცსა და ქალს შორის მატერიალურ კავშირს ჰგავს, მატერიალურ ვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მხოლოდ ასეთი მსგავსების გამოა ამ სასიყვარულო ურთიერთობას ზოგჯერ ტრანსცენდენტულ ენაზე ტრანსცენდენტულ ვნებას რომ უწოდებენ. როგორც „გაუტამიდა-ტანტრაშია“ (ბ.რ.ს. 1.2.285) განმარტებული: „ვნება ნიშნავს საკუთარ გრძნობათა დაკმაყოფილებასთან მიჯაჭვულობას. მაგრამ რაც შეეხება რადჰარანნისა და მის თანამგზავრებს, მათ საკუთარ გრძნობათა დაკმაყოფილება არ სურთ. მათ მხოლოდ კრშნას დაკმაყოფილება სწადიათ“. ეს შემდგომ „შრიმად-ბჰაგავატამშია“ (10.31.19) დადასტურებული, სადაც ერთ-ერთი *გოპი* ამბობს:

დატ ტე სუჯატა-ჩარანამბურუჰამ სტანეშუ
ბჰიტჯ შანაიჰ პრიდა დადჰიმაჰი კარკაშეშუ
ტენატავიმ ატასი ტად ვდათჰატე ნა კიმ სვიტ
კურპადიბჰირ ბჰრამატი დჰირ ბჰავად-ადუშამ ნაჰ

„ჩემო ძვირფასო მეგობარო კრშნა, შენ ახლა ტყეში დახეტიალობ ფეხშიშველი, რომელთაც ზოგჯერ ჩვენ გვაწყობ მკერდზე. როცა შენი ნაზი ტერფები მკერდზე გვილაგია, მათთვის ჩვენი მკერდი მაგარი გვეჩვენება. ახლა ტყეში ხეტიალობ, ქვებზე დადიხარ და არ ვიცით როგორ გრძნობ თავს. რადგან შენ ჩვენი სიცოცხლე და სული ხარ, ის უსიამოვნება, რასაც მაგარ ქვებზე სიარულით განიცდი, დიდ ტანჯვას გვაყენებს“. ვრაჯას ქალწულების მიერ გამოხატული ამგვარი გრძნობები კრშნას ცნობიერების უმაღლეს ემოციებს წარმოადგენს. ნებისმიერი, ვისაც ჭეშმარიტად ატყვევებს კრშნას ცნობიერება, *გოპე-*

ბის ამ დონეს აღწევს. არსებობს ერთგული სამსახურის სამოცდაოთხი კატეგორია, რომელთა შესრულებით ადამიანს შეუძლია *გოპების* განუპირობებელი ერთგულების საფეხურამდე ამაღლდეს. *გოპების* დონეზე კრ̣შ̣ნასადმი სიყვარულს *რაგანუგა*, სპონტანური სიყვარული ეწოდება. როდესაც ადამიანი კრ̣შ̣ნასთან სპონტანურ ურთიერთობაში შედის, ვედური წესებისა და რეგულაციების შესრულება საჭიროებას აღარ წარმოადგენს.

ტრანსცენდენტულ სავანეში უფალ კრ̣შ̣ნას პირად ერთგულთა უამრავი სახე არსებობს. მაგალითად, არიან კრ̣შ̣ნას მსახურები მსგავსად რაკტაკასა და პატრაკასი და კრ̣შ̣ნას მეგობრები, როგორიცაა შრიდამა. არიან აგრეთვე კრ̣შ̣ნას მშობლები — ნანდა და ᲐᲐშოდა, რომლებიც აგრეთვე კრ̣შ̣ნას ემსახურებიან მათთვის შესაფერისი ტრანსცენდენტული გრძნობებით. ვისაც კრ̣შ̣ნას უმაღლეს სავანეში შესვლა სურს, შეუძლია ერთ-ერთ ამგვარ ტრანსცენდენტულ მსახურს შეაფაროს თავი. შემდგომ, სასიყვარულო სამსახურის შესრულების გზით ადამიანს შეუძლია კრ̣შ̣ნასადმი ტრანსცენდენტული სიყვარულის მიღწევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მატერიალურ სამყაროში ერთგული, რომელიც კრ̣შ̣ნას მარადიული თანამგზავრის მოქმედებების თანახმად ასრულებს სასიყვარულო მსახურებას, სრულქმნის შემდგომ იგივე მდგომარეობას აღწევს.

უპანიშადებსა და *შრუტიში* მოხსენიებულ ბრძენებსაც *გოპების* მდგომარეობის მიღწევა სურთ და ისინიც *გოპებს* მიჰყვებიან ფეხდაფეხ, რათა სიცოცხლის უმაღლეს მიზანს მიაღწიონ. ამას ამტკიცებს „შრიმად-ბჰაგავატამი“ (10.87.23), სადაც ნათქვამია, რომ ბრძენები *პრანაᲐᲐმას* (ტრანსის) მისტიკური ᲐᲐოგას პრაქტიკის გზით სუნთქვის პროცესის, ჭკუისა და გრძნობების კონტროლს ანხორციელებენ. ამდენად, ისინი უზენაეს ბრაჰმანში შერწყმას ცდილობენ. იგივე მიზანს აღწევენ ათეისტები, რომლებიც ღმერთის არსებობას უარყოფენ. ასეთი ათეისტების

ღმრთეების უზენაესი პიროვნების ინკარნაციის მიერ მოკვლის შემთხვევაში, ისინიც უზენაესი უფლის ბრაჰმანის ყოფიერებას ერწყმიან. მაგრამ, ვრ̣ნდავანის ქალწულების მიერ შრ̄ კრ̣შ̣ნას თაყვანისცემა გველის კბენას ჰგავს, რამეთუ კრ̣შ̣ნას სხეული გველის სხეულთანაა შედარებული. გველის სხეული სწორი არასოდესაა, ყოველთვის დაგრეხილია. სწორედ ასევე, კრ̣შ̣ნაც ხშირად დგას სამად გადახრილ პოზაში და მან დაკბინა *გოპები* ტრანსცენდენტული სიყვარულით. რასაკვირველია, *გოპები* უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე მისტიკოსი *ჯოგები* და უზენაეს ბრაჰმანთან შერწყმის სხვა მოსურნენი. დან̣დაკარან̣ას ბრძენებიც ფეხდაფეხ მიჰყვებიან ვრაჯას ქალწულებს, რათა მსგავს მდგომარეობას მიაღწიონ. მარტო მარეგულირებელი პრინციპების შესრულებით ამ მდგომარეობის მიღწევა შეუძლებელია. ადამიანი სერიოზულად უნდა მიჰყვებოდეს *გოპების* პრინციპებს. ეს დამტკიცებულია „შრ̄მად-ბჰაგავატამში“ (10.9.21), სადაც ნათქვამია, რომ უფალი შრ̄ კრ̣შ̣ნა, შრ̄მატ̄ ჯაშოდან̣ ვაჟი ადვილად მოსაპოვებელი არ არის მათთვის, ვინც მენთალური სპეკულაციებით არის დაკავებული, მაგრამ იოლი მისაწვდომია ერთგული სამსახურის გზაზე მდგომი ყველა ცოცხალი არსებისათვის.

მრავალი ფსევდო-ერთგული არსებობს, რომლებიც აცხადებენ, რომ უფალი ჩაიტან̣ია მაჰაპრაბჰუს მიმდევართა ჯგუფს ეკუთვნიან, რომლებიც ხელოვნურად იცვამენ ვრაჯას ქალწულების მსგავსად და ამას წინწასული ტრანსცენდენტალისტები ანუ ერთგული სამსახურის წინწასული მოწაფეები არ ამართლებენ. ამგვარი ადამიანები გარეთა მატერიალურ სხეულს იმოსავენ, ვინაიდან სულელურად აიგივებენ სხეულს სულთან, ცდებიან როცა ფიქრობენ, რომ კრ̣შ̣ნას, რან̣ჰარან̣ის და მათ თანამგზავრთა, ვრაჯას ქალწულთა სულიერი სხეულები მატერიალური ბუნებისგან შედგება. ადამიანმა სრულყოფილად უნდა იცოდეს, რომ ყველა ასეთი გამოვლინება

ტრანსცენდენტულ სამყაროში მარადიული ნეტარებისა და ცოდნის გამოვლინებას წარმოადგენს. მათ არაფერი ესაქმებათ ამ მატერიალურ სხეულებთან; ამდენად ვრ̣ნდჳ-ვანის ქალწულთა სხეულები, სამოსელი, მორთულობები და მოქმედებები ამ მატერიალურ კოსმიურ გამოვლინებას არ ეკუთვნის. ვრ̣ნდჳვანის ქალწულები არ არიან მატერი-ალურ სამყაროში მყოფთა მოხიბლვის საგანი; ისინი ყოვ-ლისმიმზიდველი კრ̣შ̣ნას ტრანსცენდენტულ მოჯადოებას წარმოადგენენ. იმის გამო, რომ უფალი ყოვლისგამჭოლია, მას კრ̣შ̣ნა ჰქვია, მაგრამ ვრ̣ნდჳვანის ქალწულები თვით კრ̣შ̣ნასაც ხიბლავენ. ამიტომ ამ მატერიალურ სამყაროს არ ეკუთვნიან.

თუ ადამიანი არასწორად თვლის მატერიალურ სხე-ულს ისევე სრულყოფილად, როგორც სულიერ სხეულს და ვრ̣ნდჳვანის ქალწულთა მიბაძვას იწყებს, იგი მჳდჳ-ვჳდთა იმპერსონალისტური ფილოსოფიის გარემოცვაში ვარდება. იმპერსონალისტები გვირჩევენ *აჰამ გრაჰოპჳ-სანჳ* პროცესს, რომლის მიხედვითაც პიროვნება ისევე ეთაყვანება საკუთარ სხეულს, როგორც უზენაესს. ფიქრო-ბენ რა ამგვარად, ასეთი ფსევდო-ტრანსცენდენტალისტე-ბი ვრაჯას ქალწულების სამოსელით იმოსებიან. მსგავსი მოქმედებები ერთგულ სამსახურში მიღებული არ არის. შ̄რ̄ილა ჯ̄ივა გოსვჳმ̄ი, გაუდ̄ი̄ჲა-*სამპრადჳჲს* ყველაზე ავტორიტეტულმა *ჳ̄ჩ̄ჳრ̄ჲამ* კი დაგმო ამგვარი მიბაძვე-ლობები. ტრანსცენდენტული რეალიზაცია ნიშნავს უზე-ნაესი უფლის თანამგზავრების ფეხდაფეხ გაყოლას; თუ ადამიანი თავს უზენაესი უფლის უშუალო თანამგზავრად თვლის, იგი გაკიცხვის ღირსია. ვაიშ̣ნავთა ავტორიტეტუ-ლი პრინციპების მიხედვით, ადამიანი გარკვეულ ერთ-გულს უნდა მიჰყვეს და თავი კრ̣შ̣ნას თანამგზავრად არ წარმოიდგინოს.

ასე განმარტა რჳმ̄ჳნანდა რ̄ჳ̄ჲამ, რომ ადამიანმა ვრა-ჯას ქალწულების განწყობილებით უნდა იმოქმედოს. „ჩაიტანჲა-ჩ̄არ̄იტ̄ჳმ̄რ̄ტ̄ა̄ში“ ნათლად არის ნათქვამი, რომ

ადამიანმა ემოციური მოქმედებები უნდა მიიღოს და არა კრშნას თანამგზავრებს მიბაძოს გარეგნულად. ერთგული ტრანსცენდენტულ სამყაროში რადჰასა და კრშნას საქმეებზე უნდა ფიქრობდეს. დღეში ოცდაოთხი საათის მანძილზე რადჰა კრშნაზე უნდა ფიქრობდეს და მუდამ მათი სამსახურით იყოს დაკავებული. გარეგნულად სამოსელის გამოცვლა საჭირო არ არის. რადჰარანის თანამგზავრებისა და მეგობრების განწყობილების გაყოლით შეუძლია საბოლოოდ სრულყოფილ საფეხურს მიაღწიოს და გოლოკა ვრნდავანზე, კრშნას ტრანსცენდენტულ სავანეში გადაინაცვლოს.

გოპების ემოციური საქმიანობების განწყობას *სიდდჰა-დეჰა* ეწოდება. ეს სიტყვა გრძნობების, ჭკუისა და გონების მიღმა არსებულ წმინდა სულიერ სხეულზე მიუთითებს. *სიდდჰა-დეჰა* წმინდა სულია, რომელსაც უზენაესი უფლის მსახურება შეუძლია. ვერავინ მოემსახურება უზენაეს უფალს თანამგზავრის სახით, თუ წმინდა სულიერი სახე არ ექნება. ეს სახე სრულიად თავისუფალია ყოველგვარი მატერიალური სიბინძურისაგან. როგორც „ბჰაგავად-გიტაშია“ ნათქვამი, მატერიით გაბინძურებული პიროვნება მატერიალური ცნობიერების გამო სხვა მატერიალურ სხეულში გადაინაცვლებს. სიკვდილის ჟამს იგი მატერიალურად ფიქრობს და ამიტომაც სხვა მატერიალურ სხეულში გადაინაცვლებს. სწორედ ასევე, როდესაც პიროვნება თავის წმინდა სულიერ ინდივიდუალობას აღწევს და უზენაესი უფლისადმი შესრულებულ სულიერ სასიყვარულო სამსახურზე ფიქრობს, იგი სულიერ სამეფოში გადადის, რათა კრშნასთან ურთიერთობა იქონიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სულიერი ვინაობის მიღწევითა და კრშნას თანამგზავრებზე ფიქრით, ადამიანს სულიერ სასუფეველში გადანაცვლების დამსახურება შეუძლია. არავის ძალუძს სულიერი სამეფოს განჭვრეტა და მასზე ფიქრი წმინდა, სულიერი ინდივიდუალობის (*სიდდჰას*) მიღწევის გარეშე. ამრიგად, რამანანდა რაჲამ

განმარტა, რომ *სიდდჰა-დეჰას* მიღწევის გარეშე, ადამიანს არც ქალწულთა თანამგზავრად გახდომა შეუძლია და არც უშუალოდ ღმრთეების უზენაესი პიროვნების, კრშნასათვის და მისი მარადიული თანამგზავრის, რადჰარანის სამსახურის შესრულება. ამასთან დაკავშირებით რამანანდამ „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.47.60) თქვა:

ნაჲამ შრიჲო 'ნგა უ ნიტანტარატეჰ პრასადაჰ
სვარ-ჲოშიტამ ნალინა-განდჰა-რუჩამ კუტო 'ნჲაჰ
რასოტსაივე 'ჲა ბჰუჯადანდა-გრჰიტა-კანთჰა-
ლაბდჰაშიშამ ჲა უდაგად ვრაჯა-ვალლავინამ

„არც ბედის ქალღმერთს — ლაკშმისა და არც თვით ზეციური სამეფოს ქალწულებს არ ძალუძთ იმის მიღწევა, რასაც ვრაჯაბჰუმის ქალწულები აღწევენ, და სხვებზე რაღა უნდა ვთქვათ?“

უფალ ჩაიტანდას ძალიან ესიამოვნა რამანანდა რაჲას ნათქვამი და გადაეხვია მას. შემდეგ ტრანსცენდენტული რეალიზაციის ექსტაზმა ორივე აატირა. ასე განიხილავდნენ უფალი და რამანანდა რაჲა რადჰასა და კრშნას ტრანსცენდენტულ გართობებს მთელი ღამის განმავლობაში და დილით გაიყარნენ. რამანანდა თავისთან წავიდა, უფალი კი — განსაბანად. განშორებისას რამანანდა დაეცა უფალი ჩაიტანდას ტერფებთან და შეევედრა: „ჩემო ძვირფასო უფალო, შენ ხომ ჩემი უმეცრების ჭაობიდან გასანთავისუფლებლად მოხვედი. ამიტომ გევედრები, დარჩე აქ ათი დღე მაინც და ჭკუა მატერიალური სიბინძურისგან გამიწმინდო. სხვას არავის შეუძლია ღმერთის ამგვარი ტრანსცენდენტული სიყვარულის მოცემა“.

— შენთან იმისათვის მოვედი, რომ შენგან რადჰასა და კრშნას ტრანსცენდენტული გართობები მოვისმინო და განვიწმინდო, — უპასუხა უფალმა. — მე ძალზე გამიღიმა ბედმა, ვინაიდან შენ ამგვარი ტრანსცენდენტული გართობების ერთადერთი მასწავლებელი ხარ. ქვეყნად სხვა

არავინ მომეძებნება, ვისაც რაადჰასა და კრშნას შორის ტრანსცენდენტული სასიყვარულო ურთიერთობის გაგება შეეძლოს. შენ აქ ათ დღეს დარჩენას მთხოვ, მაგრამ მთელი დარჩენილი ცხოვრება შენთან მინდა გავატარო. გთხოვ, ჯაგანნათჰა პურიში, ჩემს სამყოფელში ჩამოდი და მთელი ცხოვრება ერთად ვიყოთ. შენთან ურთიერთობით ჩემს დარჩენილ დღეებს კრშნასა და რაადჰას შეცნობაში გავლევ.

მეორე საღამოს შრიმან რამანანდა რაჲა ისევ მოვიდა უფლის სანახავად და მათ კვლავ გააგრძელეს ამ ტრანსცენდენტულ საკითხზე საუბარი.

„რომელია განათლების უმაღლესი სახე?“ — ჰკითხა რამანანდა რაჲას უფალმა ჩაიტანჲამ და რამანანდა რაჲამ მაშინვე უპასუხა, რომ განათლების უმაღლესი სახე კრშნას მეცნიერების ცოდნაა. მატერიალური განათლების სტანდარტი გრძნობათა დაკმაყოფილებაა, მაგრამ სულიერი განათლების უმაღლეს სახეს კრშნას მეცნიერების ცოდნა წარმოადგენს. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (4.29.50) ნათქვამია, რომ საქმე, რომელიც ღმრთეების უზენაეს პიროვნებას სიამოვნებას ანიჭებს, უმაღლესი მოქმედებაა და მეცნიერება ან ცოდნა, რომელსაც ადამიანი სრულ კრშნას ცნობიერებამდე მიყავს, უმაღლესი ცოდნა გახლავთ. მსგავსად ამისა, როცა პრაჰლადა მაჰარაჯა თავის მეგობარ ბავშვებს სკოლაში ასწავლიდა, თქვა, რომ უფლის შესახებ მოსმენა, გალობა, ხსოვნა, თაყვანისცემა, ლოცვა, სამსახური, კრშნასთან დამეგობრება და ყველაფრის მისთვის შეთავაზება უმაღლეს სულიერ ცოდნას შეადგენს.

„რა უმაღლესი სახელის მიღწევა შეუძლია ადამიანს?“ — უფალმა ჩაიტანჲამ ჰკითხა რამანანდა რაჲას და რამანანდამ დაუყოვნებლივ უპასუხა, რომ პიროვნება, რომელიც კრშნას ცნობიერების მქონედაა მიჩნეული, ყველაზე გამოჩენილ კაცად უნდა ჩაითვლოს.

თავი ოცდამეთორმეტე

დასკვნა

ის, ვინც კრშნას ცნობიერი პიროვნების სახელითაა განთქმული, მარადიული დიდებით ტკბება. მატერიალურ სამყაროში ყველა სამი რამისთვის იღწვის: სურს უკვდავყოს თავისი სახელი, მთელ ქვეყანას მოსდოს თავისი დიდება და მატერიალური საქმიანობებიდან მოგება მიიღოს. მაგრამ არავის ესმის, რომ მატერიალური სახელი, დიდება და მოგება წარმავალ მატერიალურ სხეულს მიეწერება და სხეულის სიკვდილთან ერთად სახელი, დიდება და მოგებაც ქრება. უგუნურება გახლავთ ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ყველა იმ სახელის, დიდებისა და მოგებისათვის იღწვის, რომელიც სხეულთან არის დაკავშირებული. ადამიანი საცოდავია, როდესაც სხეულის გამო ხდება სახელგანთქმული ან სულიერად ამაღლებული ცნობიერების მქონე კაცის სახელს იხვეჭს და არ იცის, ვინ არის უმაღლესი სული, ვიშნუ. ჭეშმარიტი სახელის მოხვეჭა მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ადამიანი კრშნას ცნობიერებას აღწევს.

„შრიმად-ბჰაგავატამის“ თანახმად, არსებობს თორმეტი ავტორიტეტი და ყოველ მათგანს უფლის დიდი ერთგულის სახელი აქვს განთქმული. ეს ავტორიტეტები არიან: ბრაჰმა, ნარადა, უფალი შივა, მანუ, კაპილა, პრაჰლადა, ჯანაკა, ბჰიშმა, შუკადევა გოსვამი, ბალი, ადამარაჯა და კუმარები. ისინი დღემდე ხალხის ხსოვნაში ცოცხლობენ, რადგან უფლის დიდი შეურყეველი ერთგულები იყვნენ. „გარუდა პურანაში“ ნათქვამია, რომ კალის ეპოქაში

უზენაესი უფლის სახელგანთქმული ერთგული გაცილებით იშვიათია, ვიდრე ისეთი ნახევარღმერთი, როგორებიც არიან ბრაჰმა ან უფალი შივა. ნარადასა და პუნდარიკას საუბრის შესახებ ჯუდჰიშთჰირამ თქვა: „ის, ვინც მრავალი, მრავალი დაბადების შემდეგ მიხვდა, რომ ვასუდევას მსახურია, ყველაზე სახელგანთქმულია და სხვების განთავისუფლებაც ძალუძს“. სწორედ ასევე, „ბჰაგავად-გიტაში“ (7.19) კრშნა ეუბნება არჯუნას:

ბაჰუნამ ჯანმანამ ანტე
ჯნანავან მამ პრაპადიატე
ვასუდევაჰ სარვამ იტი
სა მაჰატმა სუდურლაბჰაჰ

„მრავალი დაბადებისა და სიკვდილის შემდეგ, ის, ვინც ჭეშმარიტ ცოდნას ფლობს, მე მომენდობა, რადგან იცის, რომ მე ვარ ყოველ მიზეზთა და ყოველივე არსებულის მიზეზი. ასეთი დიადი სული მეტად იშვიათია“. „ადი პურანაში“ ნათქვამია, რომ განთავისუფლება და ტრანსცენდენტული სიცოცხლე ღმერთის ყოველ ერთგულს დაჰყვება. „ბრჰან-ნარადიია პურანა“ ამბობს, რომ ბრაჰმასა და სხვა ნახევარღმერთებსაც კი არ ესმით ღმრთეების უზენაესი პიროვნების ერთგულის ფასი. „გარუდა პურანაში“ ნათქვამია, რომ მრავალ ათასობით *ბრაჰმანს* შორის ერთი შეიძლება იყოს გაწაფული მსხვერპლშეწირვების შესრულებაში; ათასობით გამოცდილ *ბრაჰმანს* შორის ერთ *ბრაჰმანს* შეიძლება ჰქონდეს „ვედანტა-სუტრას“ ცოდნა; ათასობითა და ათასობით ასეთ ვედანტისტს შორის კი შეიძლება ერთი პიროვნება იყოს უფალი ვიშნუს ერთგული. უფალი ვიშნუს მრავალი ერთგული არსებობს და მათგან ის, ვინც შეურყეველი ერთგულებით გამოირჩევა, ღირსია ღმერთის სასუფეველში შეღწევისა. „შრიმადბჰაგავატამში“ (3.13.4) ნათქვამია ისიც, რომ *ვედებს* მრავალი ადამიანი სწავლობს, მაგრამ ის, ვინც გულში მუდამ

ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე ფიქრობს, საუკეთესოა. ლოცვებში, რომელთაც „ნარაḍანḍა-ვḍუჰა-სტავა“ ეწოდება, ნათქვამია, რომ დიადი ბრაჰმაც კი უფლის ერთგული რომ არ იყოს, უაღრესად უსახელო იქნება, მაგრამ თუკი მიკრობი უფლის ერთგულია, იგი ყველაზე სახელგანთქმულია.

შემდეგ უფალმა ჩაიტანḍამ ჰკითხა რამანანდა რაḍას: „რა არის ყველაზე ძვირფასი ქვეყნად?“ რამანანდა რაḍამ უპასუხა, რომ ის, ვისაც რადჰასა და კრშნას სიყვარული გააჩნია, ყველაზე ძვირფას თვალს და უდიდეს სიმდიდრეს ფლობს. ის, ვისაც მატერიალურ გრძნობათა დაკმაყოფილება ან მატერიალური სიმდიდრე უყვარს, მდიდრად არ უნდა ჩაითვალოს. როდესაც ადამიანი კრშნას ცნობიერების სულიერ საფეხურს აღწევს, მას ესმის, რომ არ არსებობს რადჰასა და კრშნას სიყვარულზე ძვირფასი რამ. „შრიმად-ბჰაგავატამში“ აღწერილია, რომ მაჰარაჯა დჰრუვა უზენაეს უფალს ეძებდა, რადგან გარკვეული სამეფოს მიღება სურდა, მაგრამ როდესაც კრშნა იხილა, თქვა: „მე იმდენად ბედნიერი ვარ, რომ სხვა არაფერი მსურს“. „ბჰაგავად-გიტაშიც“ ნათქვამია, რომ თუკი ადამიანი ღმრთეების უზენაეს პიროვნებას შეაფარებს თავს ან ღმრთეების სიყვარულის უმაღლეს საფეხურამდე ამაღლდება, სანატრელი არაფერი რჩება. თუმცა ასეთ ერთგულებს შეუძლიათ უფლისგან ყველაფერი მიიღონ, რასაც მოისურვებენ, მაინც არაფერს სთხოვენ მას.

როდესაც უფალმა ჩაიტანḍამ ჰკითხა რამანანდა რაḍას, რა ითვლება სიცოცხლეში ყველაზე მტკივნეულად, რამანანდა რაḍამ უპასუხა, რომ ყველაზე მტკივნეულ ყოფიერებას წმინდა ერთგულთან განშორება წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც საზოგადოებაში უფლის არც ერთი ერთგული არ იმყოფება, იქ დიდი ტანჯვა იწყება და სხვა ხალხთან ურთიერთობა მტკივნეული ხდება. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (3.30.7) ნათქვამია,

რომ თუკი ადამიანი, რომელსაც წმინდა ერთგულთან ურთიერთობა არა აქვს, კრშნას ცნობიერებას მოკლებული საზოგადოების, მეგობრებისა და სიყვარულის საშუალებით ცდილობს ბედნიერების მიღწევას, იგი ყველაზე გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. „ბრჰად-ბჰაგავატამრტას“ მეხუთე სიმღერაში (5.44) ნათქვამია, რომ წმინდა ერთგულთან ურთიერთობა ყველაზე სანატრელია სიცოცხლეში და რომ მის გარეშე ადამიანს წამითაც კი არ შეუძლია ბედნიერი იყოს.

შემდეგ უფალმა ჩაიტანიამ ჰკითხა რამანანდა რაიას: „მრავალ ეგრეთ წოდებულ განთავისუფლებულ სულს შორის ვინ არის ჭეშმარიტად განთავისუფლებული?“ რამანანდამ მიუგო, რომ ის, ვინც ბოლომდეა აღვსილი რადჰასა და კრშნას ერთგული სიყვარულით, საუკეთესოდ ითვლება ყოველ განთავისუფლებულ პიროვნებას შორის. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (6.14.4) ნათქვამია, რომ ნარაიანას ერთგული იმდენად იშვიათია, რომ მისი პოვნა მილიონობითა და მილიონობით ადამიანს შორისაც ძნელია.

„რომელი სიმღერა მიგაჩნია საუკეთესოდ სიმღერებს შორის?“ — ჰკითხა ჩაიტანია მაჰაპრაბჰუმ. რამანანდამ კი მიუგო, რომ ნებისმიერი სიმღერა, რომელიც რადჰასა და კრშნას გართობებს აღწერს, საუკეთესო სიმღერაა. განპირობებულ სიცოცხლეში სული სექსით არის დატყვევებული. მთელ მხატვრულ ლიტერატურაში — პიესებში, რომანებსა და მატერიალურ სიმღერებში — კაცისა და ქალის სიყვარულია აღწერილი. რადგან ხალხს ასეთი ლიტერატურა იზიდავს, კრშნა მატერიალურ სამყაროში მოევლინა და გვიჩვენა თავისი ტრანსცენდენტული სასიყვარულო საქმეები *გოპებთან. გოპებისა* და კრშნას ურთიერთობის შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს და ვინც ამ ლიტერატურას ან რადჰასა და კრშნას შესახებ ნაწარმოებებს შეაფარებს თავს, ჭეშმარიტ ბედნიერებას გამოცდის. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.33.36) ნათქვამია, რომ

უფალმა ვრ̣ნდავანის გართობები იმისათვის გამოავლინა, რომ თავისი ჭეშმარიტი ცხოვრება ეჩვენებინა. ნებისმიერი გონიერი ადამიანი, რომელიც რაḍჰაᳬსა და კრ̣შṇას გართობების გაგებას ცდილობს, ყველაზე იღბლიანია. ხოლო სიმღერები, რომლებშიც ეს გართობებია აღწერილი, მსოფლიოში საუკეთესო სიმღერები გახლავთ.

შემდეგ უფალმა ჩაიტანḍამ იკითხა: „რა არის ქვეყნად ყველაზე სასარგებლო, ყველა სასიკეთო შემთხვევის არსი?“ რაᳬმანანდა რაḍამ უპასუხა, რომ არაფერია უფრო სასარგებლო, ვიდრე წმინდა ერთგულებთან ურთიერთობა.

— და რას ურჩევ ადამიანს, რაზე იფიქროს? — იკითხა უფალმა ჩაიტანḍამ. რაᳬმანანდა რაḍამ უპასუხა, რომ ადამიანმა მუდამ კრ̣შṇას გართობებზე უნდა იფიქროს. ეს არის კრ̣შṇას ცნობიერება. კრ̣შṇას უამრავი გართობა აქვს და ისინი ვედურ წმინდა წერილებშია აღწერილი. ადამიანმა ამ გართობებზე მუდამ უნდა იფიქროს; ეს არის საუკეთესო მედიტაცია და უმაღლესი ექსტაზი. „შ̄რ̄იმად-ბჰაგავატამში“ (2.2.36) შუკადევა გოსვამ̄ ამტკიცებს, რომ ადამიანი მუდამ ღმრთეების უზენაეს პიროვნებაზე უნდა ფიქრობდეს — არა მხოლოდ ფიქრობდეს, არამედ აგრეთვე ესმოდეს და გალობდეს მის სახელსა და დიდებას.

— და რა არის საუკეთესო მედიტაცია? — იკითხა უფალმა ჩაიტანḍამ.

— ის, ვინც მუდამ რაḍჰაᳬსა და კრ̣შṇას ლოტოსის ტერფებზე მედიტირებს, საუკეთესოა მედიტაციის შემსრულებელთა შორის, — მიუგო რაᳬმანანდა რაḍამ. ეს დადასტურებულია „შ̄რ̄იმად-ბჰაგავატამშიც“ (1.2.14): „ღმრთეების უზენაესი პიროვნება არის ერთადერთი პიროვნება, რომელიც ყოველი ერთგულის მეუფეა, ვისი სახელიც მუდამ უნდა ვიგალობოთ, ვიფიქროთ მასზე და მუდამ თაყვანი ვცეთ“.

— სად უნდა იცხოვროს ადამიანმა, რომელმაც ყოველ

სხვა სიამოვნებაზე უარი თქვა? — იკითხა შემდგომ უფალმა ჩაიტანდამ. რამანანდამ უპასუხა, რომ ადამიანმა უარი უნდა თქვას ყოველგვარ სიამოვნებაზე და იცხოვროს ვრნდავანში, სადაც უფალი კრშნა უამრავ გართობას ასრულებდა. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.47.61) უდდჰავა ამბობს, რომ ყველაფერს ვრნდავანში ცხოვრება ჯობია მაშინაც კი, თუ ლიანად ან მცენარედ მოგვიწევს გაჩენა. სწორედ ვრნდავანში ცხოვრობდა უზენაესი უფალი და იქ ეთაყვანებოდნენ *გოპები* უზენაეს უფალს, მთელი ვედური ცოდნის საბოლოო მიზანს.

— და რა არის საუკეთესო მოსასმენი თემა? — იკითხა შემდეგ ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუმ.

— რადჰასა და კრშნას გართობები, — მიუგო რამანანდამ. მართლაც, როდესაც ადამიანი სწორი წყაროდან ისმენს რადჰასა და კრშნას გართობების შესახებ, უმალვე განთავისუფლებას აღწევს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ხალხი არარეალიზებული სულისგან ისმენს ამ გართობების შესახებ. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (10.33.40) ნათქვამია, რომ ის, ვინც *გოპებთან* კრშნას გართობების შესახებ ისმენს, ერთგული სამსახურის უმაღლეს საფეხურს მიაღწევს და განთავისუფლდება მატერიალური ავხორცობისგან, რომელსაც მატრიალურ სამყაროში ყველას გული აქვს შეპყრობილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რადჰასა და კრშნას გართობათა მოსმენის შედეგად ადამიანი სრულიად თავისუფლდება მატერიალური ავხორცობისგან. თუკი ადამიანი ასე არ არის განთავისუფლებული მატერიალური ავხორცობისგან, მან რადჰასა და კრშნას გართობების შესახებ არ უნდა ისმინოს. თუკი ადამიანი სწორი წყაროდან არ მოისმენს, არასწორად განმარტავს რადჰასა და კრშნას გართობებს და მათ უბრალო კაცისა და ქალის ურთიერთობად ჩათვლის. ამგვარად, იგი შეცდომაში იქნება შეყვანილი.

— და რომელია ყველაზე სათაყვანებელი ღვთაება? — იკითხა შემდეგ ჩაიტანḍა მაჰპრაბჰუმ. რუმანḍა რუḍამ უმალვე უპასუხა, რომ თაყვანისცემის უმაღლესი ობიექტი ტრანსცენდენტული წყვილი, შრი რუḍჰუ და კრშნა არის. არსებობს თაყვანისცემის მრავალი ობიექტი — მაგალითად, იმპერსონალისტები *ბრაჰმაჯḍოტის* ეთაყვანებიან — მაგრამ რუḍჰუსა და კრშნას გარდა სხვა ობიექტების თაყვანისცემით ადამიანი კარგავს სიცოცხლის ყოველ ნიშანს და ხედ ან სხვა უძრავ არსებად გადაიქცევა. ეგრეთ წოდებული სიცარიელის თაყვანისმცემლებიც, ასეთ შედეგებს აღწევენ. ისინი, ვინც მატერიალურ სიამოვნებას *(ბჰუკტის)* ელტვიან, ნახევარღმერთებს თაყვანს სცემენ და მათ პლანეტებს აღწევენ. ამგვარად, ისინი მატერიალური ბედნიერებით ტკბებიან. ამის შემდეგ უფალმა ჩაიტანḍამ მატერიალური ბედნიერებისა და მატერიალური ტყვეობიდან განთავისუფლების მაძიებლების შესახებ იკითხა. „ბოლოს სად მიდიან?“ — იკითხა მან. რუმანḍა რუḍამ უპასუხა, რომ საბოლოო ჯამში ზოგიერთი მათგანი ხედ იქცევა, სხვები კი ზეციურ პლანეტებს აღწევენ, სადაც მატერიალური ბედნიერებით ტკბებიან.

რუმანḍა რუḍამ გააგრძელა საუბარი და თქვა, რომ ისინი, ვისაც კრშნას ცნობიერების ან სულიერი სიცოცხლის გემო არ ესმით, ყვავებს ჰგვანან, რომლებიც *ნიმბათი*, მწარე ხილით ტკბებიან. პოეტური გუგული კი მანგოს კოკრებს ჭამს. უიღბლო ტრანსცენდენტალისტები უბრალოდ მშრალ ფილოსოფიაზე ბჭობენ, ის ტრანსცენდენტალისტები კი, რომელთაც რუḍჰუსა და კრშნას სიყვარული აქვთ, გუგულის მსგავსად ჭამენ ხილს. მაშასადამე, რუḍჰუსა და კრშნას ერთგულები ყველაზე იღბლიანები არიან. მწარე ხილი *ნიმბა* სრულიად არ არის გემრიელი; იგი უბრალოდ მშრალი სპეკულაციებით არის სავსე და მხოლოდ ყვავის მსგავსი ფილოსოფოსებისთვის გამოდგება. მაგრამ

მანგოს კოკრები ძალიან ტკბილია და რაჴდჰასა და კრშნ̣ას ერთგული სამსახურით დაკავებულნი ტკბებიან ამით.

ასე ისაუბრეს მთელი ღამის მანძილზე რამანანდა რაჴამ და ჩაიტანჴა მაჰაპრაბჰუმ. ისინი ხან ცეკვავდნენ, ხან მღეროდნენ და ხან ტიროდნენ. ღამის გათენების შემდეგ, რამანანდა რაჴა სახლში დაბრუნდა. მეორე საღამოს იგი ჩაიტანჴა მაჰაპრაბჰუს სანახავად წავიდა. კრშნ̣ას შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში მსჯელობის შემდეგ რამანანდა რაჴა უფლის ტერფებთან დაემხო და თქვა: „ჩემო ძვირფასო უფალო, შენ იმდენად კეთილი ხარ ჩემდამი, რომ კრშნ̣ასა და რაჴდჰარან̣ის მეცნიერების და მათი სასიყვარულო საქმეების შესახებ მიამბე. რას ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ამ საკითხებზე შევძლებდი საუბარს. შენ ისევე მასწავლე მე, როგორც უწინ ბრაჰმას ასწავლე *ვედები*“.

ასეთია ზესულისგან დარიგებათა მიღების სისტემა. გარეგნულად ზესული არ ჩანს, მაგრამ შიგნიდან იგი ერთგულს ელაპარაკება. ეს დამტკიცებულია „ბჰაგავად-გიტა-ში“. უფალი ისე კარნახობს მისი სამსახურით გულწრფელად დაკავებულ პიროვნებას და ისე მოქმედებს, რომ ასეთი პიროვნება საბოლოო ჯამში სიცოცხლის უმაღლეს მიზანს აღწევს. როდესაც ბრაჰმა დაიბადა, არავინ იყო, რომ მისთვის ცოდნა მიეცა; ამიტომ ვედური ცოდნა თავად უზენაესმა უფალმა ასწავლა ბრაჰმას გულში. „შრიმად-ბჰაგავატამში“ (2.4.22) შუკადევა გოსვამი ამტკიცებს, რომ *გაჴატრი მანტრა* ბრაჰმას პირველად გულში გადასცა უზენაესმა. შუკადევა გოსვამი დახმარებას სთხოვდა უფალს, რათა მაჰარაჯა პარიკშიტისთვის „შრიმად-ბჰაგავატამი მოეთხრო“.

„შრიმად-ბჰაგავატამის“ პირველი სიმღერის პირველ ლექსში საუბარია იმაზე, რომ აბსოლუტურმა ჭეშმარიტებამ გულიდან ასწავლა ბრაჰმას. ვაჴსადევა, „შრიმად-

ბჰაგავატამის“ ავტორი აცხადებს: „მე მოწიწებით ვცემ თაყვანს შრი კრშნას, ღმრთეების უზენაეს პიროვნებას, რომელიც კოსმოსური გამოვლინების და მისი არსებობის შენარჩუნებისა და განადგურების მიზეზია“. თუკი დაწვრილებით შევეცდებით უზენაესი ჭეშმარიტების გაგებას, მივხვდებით, რომ მან უშუალოდ და არაუშუალოდ ყველაფერი იცის. იგი ერთადერთი უზენაესი პიროვნებაა და მხოლოდ იგია სრულიად დამოუკიდებელი. მარტო მან ასწავლა ბრაჰმას, როგორც მის გულში მყოფმა ზესულმა. უდიდესი მეცნიერებიც კი საგონებელში ექცევიან, როდესაც უზენაესი ჭეშმარიტების გაგებას ცდილობენ, რადგან მთელი აღქმადი კოსმოსური გამოვლინება მასში იმყოფება. თუმცა ეს მატერიალური გამოვლინება ცეცხლის, წყლის, ჰაერისა და ეთერის თანაპროდუქტია, მაინც რეალურად გვეჩვენება. მაგრამ სულიერი და მატერიალური გამოვლინებები, აგრეთვე ცოცხალი არსებები მხოლოდ მასში განისვენებს. ამიტომ იგი უზენაესი ჭეშმარიტება გახლავთ.

რამანანდა რაჰამ უთხრა უფალ ჩაიტანდას: „პირველად *სანნჯასის* სახით გიხილე, შემდეგ კი — მენახირე ბიჭის სახით. შენს წინ ოქროს თოჯინას ვხედავ და ამის გამო შენი ფერი ოქროსფერი გახდა. მაგრამ ვხედავ, რომ მუქი ფერი გაქვს მენახირე ბიჭის მსგავსად, ამიხსენი, გეთაყვა, რატომ ვხედავ ასე? გთხოვ, ნურაფერს დამიმალავ“.

„ეს უაღრესად ამაღლებული ერთგულების ბუნებაა, რომ ყველაფერში კრშნას ხედავენ“. — მიუგო უფალმა ჩაიტანდამ. „სადაც კი რაიმეს იხილავენ, უმზერენ არა ამ კონკრეტულ საგანს. ისინი კრშნას ხედავენ“. ეს „შრიმადბჰაგავატამში“ (11.2.45) დამტკიცებულია:

სარვა-ბჰუტეშუ დაჭ პაშედ
ბჰაგავად-ბჰავამ ატმანაჭ
ბჰუტანი ბჰაგავატდ ატმანდ
ეშა ბჰაგავატოტტამაჭ

„ერთგულ სამსახურში უაღრესად ამაღლებული სული ხედავს ზესულს, კრშნას, რომელიც ყოველი ინდივიდუალური სულის სულია“. მსგავს ადგილს ვხვდებით მეათე სიმღერაშიც (10.35.9), სადაც ნათქვამია, რომ ყოველი ხვიარა, მცენარე და ხე, ყვავილებითა და ხილით დახუნძლული, კრშნას სიყვარულის ექსტაზში იხრება, რადგან კრშნა მათი სულის სულია. როდესაც კრშნამ დატოვა ისინი, ამ ხეებმა და მცენარეებმა ეკლები მოისხეს.

— შენ ყველაზე ამაღლებულად გესმის რადჰასა და კრშნას გართობები, — გააგრძელა უფალმა ჩაიტანდამ, — ამიტომ ყველგან რადჰასა და კრშნას ხედავ.

რამანანდა რაჯამ უპასუხა: „მე გთხოვე, არ დაგემალა ჩემთვის შენი თავი. მე მესმის, რომ შრიმატი რადჰარანის ფერი და განწყობა მიიღე და რადჰარანის თვალით ცდილობ საკუთარი თავის გაგებას. სინამდვილეში იმისათვის მოევლინე, რომ ასეთი თვალთახედვა მიგეღო. თუმცა ძირითადად საკუთარი თავის გასაგებად მოხვედი, ამავე დროს მთელ მსოფლიოში ავრცელებ კრშნას სიყვარულს. ახლა პირადად მობრძანდი აქ ჩემს გასანთავისუფლებლად. გთხოვ, ნუ ცდილობ ჩემს მოტყუებას, გემუდარები. ეს შენ არ შეგშვენის“.

ამან ძალიან ასიამოვნა უფალი ჩაიტანდა. მან გაიღიმა და უჩვენა რამანანდას თავისი ჭეშმარიტი სახე, რომელშიც შრი რადჰა და კრშნა იყვნენ გაერთიანებულნი. მაშასადამე, უფალი ჩაიტანდა თავად შრი კრშნაა, რომელსაც შრიმატი რადჰარანის გარეგნული ნიშნები აქვს მიღებული. რამანანდა რაჯას გაემხილა მისი ტრანსცენდენტული უნარი — გამხდარიყო ორი და შემდეგ კვლავ ერთი. იღბლიან სულებს, რომელთაც უფალი ჩაიტანდა და აგრეთვე რადჰასა და კრშნას ვრნდავანის გართობები ესმით, რუპა გოსვამის წყალობით შრი კრშნა ჩაიტანდას ჭეშმარიტი ვინაობის ცოდნა შეუძლიათ.

უფალი ჩაიტანდას ამ განუმეორებელი სახის ხილვისას რამანანდა რაჯას გული წაუვიდა და მიწაზე დაეცა.

შემდეგ უფალი ჩაიტანდა შეეხო მას და იგი გონს მოვიდა. რამანანდა რაჯას გაუკვირდა, რომ უფალი ჩაიტანდა კვლავ მწირის სამოსში იყო გამოწყობილი. უფალი ჩაიტანდა მოეხვია მას და დააწყნარა. მან უთხრა, რომ ეს ფორმა მხოლოდ მას ჰქონდა ნანახი. „რადგან ჩემი მოვლინების დანიშნულება გაიგე, უპირატესობა მოგენიჭა, ჩემი პიროვნების ეს თავისებურება გენახა“, — თქვა უფალმა. „ჩემო ძვირფასო რამანანდა, ლამაზი აღნაგობის გაურაპურუშას სახით მე სხვა ვინმე კი არა ვარ. მე იგივე კრშნა ვარ, მაჰარაჯა ნანდას შვილი და შრიმატი რადჰარანის სხეულთან კავშირის გამო ახლა ეს ფორმა მივიღე. შრიმატი რადჰარანი კრშნას გარდა არავის ეხება; ამიტომ მან თავისი გარეგნობით, ჭკუითა და სიტყვებით გავლენა მოახდინა ჩემზე. ამგვარად, მე უბრალოდ კრშნასთან მისი ურთიერთობის გემოს გაგებას ვცდილობ“.

ფაქტია, რომ კრშნაც და უფალი ჩაიტანდაც ღმრთეების თავდაპირველი პიროვნება არის. უფალი ჩაიტანდას შრი კრშნასგან ჩამოცილება არავინ უნდა სცადოს. შრი კრშნას სახით, იგი უმაღლესი განმცხრომელია და უფალი ჩაიტანდას სახით — განცხრომის უმაღლესი ობიექტი. ვერავინ იქნება შრი კრშნაზე მეტად ზებუნებრივად მიმზიდველი და შრი კრშნას გარდა ვერავინ დატკბება უმაღლესი ერთგულებით, შრიმატი რადჰარანით. შრი კრშნას გარდა, ეს უნარი ყოველ ვიშნუს ფორმა აკლია. ეს განმარტებულია „ჩაიტანდა-ჩარიტამრტაში“, გოვინდას აღწერილობისას. იქ ნათქვამია, რომ შრიმატი რადჰარანი ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც კრშნას ტრანსცენდენტული ნეტარებით აღვსება შეუძლია. ამრიგად, გოვინდას, ღმრთეების უზენაესი პიროვნების, შრი კრშნას სიყვარულში შრიმატი რადჰარანი ვრაჯას უმთავრესი ქალწულია.

— გთხოვ, დარწმუნებული იყავ, რომ არაფერი მაქვს შენგან დასამალი, — უთხრა უფალმა ჩაიტანდამ რამანანდას. — შენგან რაიმეს დამალვაც რომ მოვინდომო, ისეთი

ამაღლებული ერთგული ხარ, რომ მთელ ჩემს საიდუმლოებებს ხვდები. გთხოვ, საიდუმლოდ შეინახე ყოველივე ეს და ნურავის გაუნდობ. ეს რომ ვინმემ გაიგოს, ყველა გიჟად ჩამთვლის. იმას, რაც აგიხსენი, მატერიალისტი ხალხი ვერ მიხვდება. როდესაც მათ შესახებ ესმით, უბრალოდ დამცინიან. შენ შეგიძლია ეს თავად გაიგო და შენთვის დაიტოვე იგი. მატერიალისტური თვალსაზრისით, კრშნას სიყვარული აგიჟებს ერთგულს. შენც და მეც გიჟები ვართ. ამიტომ გთხოვ, ნუ გაუმხელ ამ ფაქტებს უბრალო ხალხს. თუკი ამას იზამ, ისინი აუცილებლად დამცინებენ.

შემდეგ უფალმა ჩაიტანდამ ათი ღამე გაატარა რამანანდა რაჰასთან, ტკბებოდა რა მასთან ურთიერთობით და კრშნასა და რადჰას გართობებზე საუბრობდა. მათი საუბრები კრშნას სიყვარულის უმაღლეს საფეხურზე მიმდინარეობდა. ზოგიერთი საუბარი აღწერილია, მაგრამ მათი უმრავლესობის აღწერა შეუძლებელია. „ჩაიტანდა-ჩარიტამრტაში“ ეს მეტალურგიულ გამოცდას არის შედარებული. არსებობს გარკვეული თანმიმდევრობა, რომლითაც ლითონების შედარებით თვისებებზე მსჯელობენ: პირველია სპილენძი, შემდეგ ბრინჯაო, შემდეგ ვერცხლი, ოქრო და ბოლოს ფილოსოფიური ქვა. უფალი ჩაიტანდასა და რამანანდა რაჰას პირველი საუბრები შედარებულია სპილენძს, უფრო ამაღლებული მსჯელობები კი ოქროს ჰგავს. მაგრამ მათი საუბრების მეხუთე განზომილება ფილოსოფიურ ქვად ითვლება. თუკი ადამიანს ძლიერ სურს უმაღლესი გაგების მიღწევა, უნდა დაიწყოს გამოკითხვა სპილენძსა და ბრინჯაოს შორის არსებული განსხვავების შესახებ, შემდეგ ვერცხლსა და ოქროს შორის არსებული განსხვავების შესახებ და ა.შ.

მომდევნო დღეს უფალმა ჩაიტანდამ ჯაგანნათჰა პურიში დაბრუნების ნებართვა სთხოვა: „ჩვენ შეგვიძლია სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი ჯაგანნათჰა პურიში ერ-

თად გავატაროთ და კრშნაზე ვისაუბროთ“. შემდეგ უფალი ჩაიტანდა მოეხვია რამანანდა რადას და სახლში გააგზავნა. დილით უფალმა მოგზაურობა გააგრძელა. მდინარის პირას, ჰანუმანის ტაძარში იგი რამანანდა რადას შეხვდა. ჰანუმანის ტაძრის სტუმრობის შემდეგ, გაემგზავრა. ჩაიტანდა მაჰაპრაბჰუს კარპურაში ყოფნისას, მის სანახავად ათასგვარი ხალხი მოდიოდა და მისი წყალობით ყველა უზენაესი უფლის ერთგული ხდებოდა.

უფალი ჩაიტანდას გამგზავრების შემდეგ რამანანდა რადა მასთან განშორების გრძნობით იყო შეპყრობილი და უმალვე გადაწყვიტა, მიეტოვებინა სახელმწიფო სამსახური და კვლავ შეხვედროდა უფალს ჯაგანნათჰა პურიში. რამანანდა რადასა და უფალი ჩაიტანდას საუბრები ერთგული სამსახურის ყველაზე საყურადღებო ფორმას ეხება. ამ საუბრების მოსმენის შედეგად ადამიანს შეუძლია გაიგოს შრი რადჰასა და კრშნას გართობები, აგრეთვე უფალი ჩაიტანდას საკრალური როლი. თუკი ადამიანი იმდენად იღბლიანია, რომ ამ საუბრებს ირწმუნებს, იგი რადჰასა და კრშნას ტრანსცენდენტულ ურთიერთობაში შეღწევას შეძლებს.

დანართი

ავტორი

მისი ღვთაებრივი მოწყალება ა.ჩ. ბჰაკტივედანტა სვამი პრაბჰუპაადა 1896 წ. კალკუტაში (ინდოეთში) მოევლინა ქვეყანას. თავის სულიერ მოძღვარს შრილა ბჰაკტისიდდჰანტა სარასვატი გოსვამის იგი პირველად 1922 წ. შეხვდა კალკუტაში. გამოჩენილ რელიგიურ მეცნიერსა და სამოცდაოთხი *გაუდიდა-მათჰის* (ვედური საზოგადოების) დამაარსებელს, ბჰაკტისიდდჰანტა სარასვატის მოეწონა განათლებული ახალგაზრდა კაცი და დაარწმუნა იგი, მთელი სიცოცხლე ვედური ცოდნის გავრცელებისთვის მიეძღვნა. ამგვარად, შრილა პრაბჰუპაადა მისი მოწაფე გახდა, თერთმეტი წლის შემდეგ კი (1933 წ.) ალაჰაბადში ოფიციალურადაც იქნა ინიცირებული.

მათი პირველივე შეხვედრისას, 1922 წელს შრილა ბჰაკტისიდდჰანტა სარასვატი ფჰაკურამ სთხოვა შრილა პრაბჰუპაადას ინგლისურ ენაზე გაევრცელებინა ვედური სიბრძნე. მომდევნო წლებში შრილა პრაბჰუპაადამ დაწერა კომენტარები „ბჰაგავად-გიტაზე", მუშაობაში ეხმარებოდა *გაუდიდა-მათჰებს*, 1944 წ. კი დამოუკიდებლად დაიწყო გამოცემა ინგლისური ორკვირეული ჟურნალისა „უკან ღმრთეებასთან". დღეისათვის მისი მოწაფეები დასავლეთში აგრძელებენ ამ ჟურნალის გამოცემას.

1947 წ. *გაუდიდა-ვაიშნავთა* საზოგადოებამ შრილა პრაბჰუპაადას ტიტული *ბჰაკტივედანტა* მიანიჭა, რითაც მისი განსწავლულობა და ღვთისადმი ერთგულება იქნა აღიარებული. მეცნიერული შრომისა და ლიტერატურული საქმიანობისათვის მეტი დრო რომ დაეთმო, 1950 წ. 50 წლის ასაკში შრილა პრაბჰუპაადამ მიატოვა ოჯახი და

მიიღო *ვანაპრასთჰას* ცხოვრების წესი. შრილა პრაბჰუპა-და დასახლდა წმინდა ქალაქ ვრნდავანში, სადაც შუასაუ-კუნეების რადჰა-დამოდარას ისტორიულ ტაძარში უბრა-ლო პირობებში ცხოვრობდა. რამოდენიმე წლის განმავ-ლობაში იგი მთლიანად სამეცნიერო და ლიტერატურული საქმიანობით იყო მოცული. 1959 წ. მან მიიღო განდეგი-ლის აღთქმა (*სანნიასა*). რადჰა-დამოდარას ტაძარში შრი-ლა პრაბჰუპადა შეუდგა მუშაობას თავის შედევრზე — „შრიმად-ბჰაგავატამის" მრავალტომეულ თარგმანზე, რო-მელიც თვრამეტ ათას ლექსსა და კომენტარს შეიცავს. მან დაწერა აგრეთვე „იოლი მოგზაურობა სხვა პლანეტებზე".

1965 წ. „შრიმად-ბჰაგავატამის" სამი ტომის გამოცე-მის შემდეგ შრილა პრაბჰუპადა გაემგზავრა შეერთებულ შტატებში, რათა თავისი სულიერი მოძღვრის მიერ და-კისრებული მისია შეესრულებინა. მომდევნო წლებში მან ინდური ფილოსოფიისა და რელიგიური კლასიკის სამოც ტომზე მეტი ავტორიტეტული თარგმანი, კომენტარები და მიმოხილვითი ნარკვევი გამოსცა.

1965 წ. შრილა პრაბჰუპადა სატვირთო გემით ჩამოვი-და ნიუ-იორკში. ამ დროს მას საარსებო სახსრები პრაქ-ტიკულად არ გააჩნდა. თითქმის ერთი წლის დიდი სირ-თულეების შემდეგ, 1966 წლის ივნისში მან დააარსა კრშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება. აქე-დან მოყოლებული 1977 წლის თოთხმეტ ნოემბრამდე, სა-ნამ ამ პლანეტას დატოვებდა, იგი ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოებას, რომელიც მის თვალწინ გაიზარდა მსოფ-ლიო გაერთიანებამდე ასზე მეტი *ეშრამით*, სკოლით, ტაძ-რით, ინსტიტუტითა და სასოფლო-სამეურნეო ერთობით.

გარდა ამისა, შრილა პრაბჰუპადამ დასავლეთში შე-მოიღო სწავლების ვედური სისტემა *გურუკულა*. შრილა პრაბჰუპადამ საფუძველი ჩაუდგა ინდოეთში რამოდენი-მე დიდი საერთაშორისო კულტურული ცენტრის მშენებ-ლობასაც. დასავლეთ ბენგალიაში, შრიდჰამა მაიაპურის

ცენტრის ირგვლივ დაგეგმილია უზარმაზარი სულიერი ქალაქის მშენებლობა. ამ გრანდიოზული გეგმის აღსრულებას ათ წელზე მეტი დასჭირდება. ვრინდავანში აშენდა კრშნა-ბალარამას მშვენიერი ტაძარი და საერთაშორისო სასტუმრო. საზოგადოებას ბომბეიშიც დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი აქვს, ხოლო ინდოეთის ნახევარკუნძულის ათობით სხვა მთავარ ქალაქში დაგეგმილია მათი მშენებლობა. მაგრამ შრილა პრაბჰუპადას წიგნები მაინც მისი უმნიშვნელოვანესი წვლილია. ამ წიგნებს, რომელთაც მათი ავტორიტეტულობის, შინაარსის სიღრმისა და სიწმინდის გამო დიდად აფასებენ აკადემიური მეცნიერები, სტანდარტულ სახელმძღვანელოებად იყენებენ მსოფლიოს მთავარ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. მისი შრომები 50-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი. მის ნაწარმოებთა პუბლიკაციისთვის 1972 წ. დაარსებული გამომცემლობა „ბჰაკტივედანტა ბუქ ტრასტი" მსოფლიოში პირველ ადგილზეა ვედური ფილოსოფიური და რელიგიური ნაწარმოებების გამომცემლობის მხრივ.

ასაკის მიუხედავად, შრილა პრაბჰუპადამ თორმეტი წლის განმავლობაში თოთხმეტჯერ შემოიარა დედამიწა. იგი კითხულობდა ლექციებს მსოფლიოს ყველა მხარეში. მიუხედავად ასეთი დასაქმებულობისა, შრილა პრაბჰუპადა მაინც აგრძელებდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი ნაწარმოებები ვედური ფილოსოფიის, რელიგიის, ლიტერატურისა და კულტურის მრავალფეროვანი ბიბლიოთეკაა.

მანტრა-მედიტაცია

ჰარე კრშნა *მაჰა-მანტრის* გალობისთვის რაიმე მკაცრი და რთული წესები არ არსებობს. *მანტრა*-მედიტაციასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი საოცრება ისაა, რომ მისი შესრულება შეიძლება ნებისმიერ დროს და ადგილას — სახლში, სამსახურში, ავტობუსში თუ მეტროში.

არსებობს გალობის ორი ძირითადი სახე. ინდივიდუალურ გალობას, როდესაც ერთგული *მანტრას* კრიალოსანზე კითხულობს, ჰქვია *ჯაპა*. როდესაც ერთგული სხვებთან ერთად მღერის, ამას *კირტანი* ეწოდება. *კირტანს*, როგორც წესი, თან ახლავს მუსიკალური ინსტრუმენტები და ტაში. ორივე სახის გალობა რეკომენდირებული და სასიკეთოა.

პირველი სახის მედიტაციის შესასრულებლად საჭიროა მხოლოდ *ჯაპის* მძივების (მედიტაციისათვის საჭირო კრიალოსნის) წრიული ასხმა. იგი შეგიძლიათ შეიძინოთ ან თავად გააკეთოთ. თუკი თავად გსურთ გაკეთება, ამისათვის:

1. შეიძინეთ ხის 109, გახვრეტილი მძივი (დაახლოებით, 1-2 სან. დიამეტრისა). შეიძინეთ 3-5 მ. სიგრძის გამძლე, აბრეშუმის მსხვილი ძაფი.

2. გაკვანძეთ ძაფი ბოლოდან დაახლოებით 15 სან-ის დაშორებით, წამოაცვით მასზე მძივები, ისე რომ თითოეული მძივის შემდეგ კვანძი იყოს. (სურ. 1)

3. 108-ე მძივის წამოცმის შემდეგ ძაფის ორივე ბოლო უკანასკნელ მძივში გაუყარეთ. (სურ. 2)

4. ეს მძივი კრშნას განასახიერებს და თუკი შესაძლებელია, იგი დანარჩენ მძივებზე უფრო დიდი უნდა იყოს. ძაფი მას შემდეგ გაკვანძეთ, როცა ორივე ბოლოს გაუყრით. ზედმეტი ძაფი მოჭერით. თქვენი *ჯაპა* მზადაა.

კრიალოსანზე მედიტაციისათვის კრშნას მძივის მომდევნო მძივი მარჯვენა ხელის დიდსა და შუა თითს შორის დაიჭირეთ (სურ. 3) და წარმოთქვით მთელი *მანტრა:* ჰარე კრშნა ჰარე კრშნა კრშნა კრშნა ჰარე ჰარე / ჰარე რამა ჰარე რამა რამა რამა ჰარე ჰარე. გადადით მომდევნო მძივზე, დაიკავეთ ისევე და ბოლომდე წარმოთქვით *მაჰა-მანტრა.* გადადით მომდევნო მძივზე და მთლიანად წარმოთქვით *მანტრა.* ასე გააგრძელეთ, სანამ არ წაიკითხავთ ყოველ (108) მძივზე და არ მიხვალთ კრშნას მძივთან. ეს *ჯაპის* კითხვის ერთ წრეს ნიშნავს. არ წაიკითხოთ კრშნას მძივზე, არამედ მოაბრუნეთ მძივები და განაგრძეთ საპირისპირო მიმართულებით. კრიალოსანზე კითხვა განსაკუთრებით სასარგებლოა, ვინაიდან ამ დროს დაკავებულია შეხების გრძნობაც, რაც კითხვისას კონცენტრაციაში დაგეხმარებათ.

ჯაპა შეგიძლიათ იკითხოთ შინაც და გარეთაც. შეგიძლიათ იკითხოთ ხმამაღლა ან ხმადაბლა, მაგრამ საჭიროა *მანტრის* გარკვევით და გასაგონად წარმოთქმა. *მანტრის* კითხვისას ჭკუა შეეცდება სხვა ფიქრებისაკენ გაქცევას, რადგან იგი მერყევი და მოუსვენარია და მუდამ ფიქრის საგანს ეძებს. ეცადეთ ყურადღებით იკითხოთ ჰარე კრშნა *მაჰა-მანტრა* და მოუსმინოთ მის ყოველ სიტყვას.

მანტრის კითხვა შეიძლება ნებისმიერ დროს, მაგრამ ვედურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ დღის გარკვეული მონაკვეთი განსაკუთრებით სასიკეთოა სულიერი საქმიანობისთვის. ადრიანი დილით გალობა ყველაზე მეტად უწყობს ხელს სულიერ განვითარებას. დაიწყეთ ერთი ან ორი წრით ყოველდღიურად და თანდათანობით მიაღწიეთ თექვსმეტ წრეს, რაც მოწოდებულია მათთვის, ვისაც სერიოზულად სურთ კრშნას ერთგულად გახდომა.

როგორ გავაუმჯობესოთ მედიტაციის ხარისხი

რა ვითარებაშიც არ უნდა იგალობოთ *მაჰა-მანტრა,*

დიდ სულიერ სიკეთეს მიიღებთ. დიადი წმინდანები და ბრძენები მოგვიწოდებენ დავიცვათ გარკვეული პრაქტიკული წესები, რომლებიც ამდიდრებს ჩვენს გალობას და სასურველი შედეგის სწრაფად მიღწევაში გვეხმარება.

რაც უფრო მეტს გალობს ადამიანი ჰარე კრშნას, მით უფრო უადვილდება მას ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპთა დაცვა, ვინაიდან გალობის პროცესში იგი სულიერ ძალას იღებს და უფრო მაღალი სიამოვნების გემოს ივითარებს. როდესაც ადამიანი უარს ამბობს ცუდ ჩვევებზე, რომლებიც აფერხებს განწმენდას და გალობით უმაღლეს გემოს გებულობს, მისი სულიერი პროგრესი გაცილებით იოლი ხდება.

მათთვის, ვისაც სერიოზულად და გულწრფელად სურთ სულიერი წინსვლა, რეკომენდირებულია ქვემოთ ჩამოთვლილი მარეგულირებელი პრინციპების დაცვა:

ა. არ შეიძლება ხორცის, თევზისა და კვერცხის ჭამა.

ბ. არ შეიძლება დამათრობელი და ამგზნები საშუალებების მიღება (სახელდობრ, ნარკოტიკები, ალკოჰოლი, თამბაქო, ჩაი, ყავა, კაკაო და შოკოლადიც კი).

გ. არ შეიძლება აზარტულ თამაშებში მონაწილეობა.

დ. არავითარი დაუშვებელი სქესობრივი კავშირი (არავითარი სქესობრივი ურთიერთობა ქორწინების გარეშე, ქორწინების შემთხვევაში კი — მხოლოდ ღმერთის ცნობიერი შვილების გაჩენის მიზნით).

ზემოაღნიშნული ოთხი მარეგულირებელი პრინციპის დაცვით სულიერ ცხოვრებაში პროგრესის მიღწევა სწრაფად შეიძლება. ამ პრინციპების დაცვის გარეშე პროგრესირება ძალიან ძნელია, ვინაიდან უფრო და უფრო მიჯაჭვული ვხდებით მატერიალურ საგნებზე. მაგრამ გალობა იმდენად ძლიერი პროცესია, რომ მისი დაწყება შეიძლება ნებისმიერ მდგომარეობაში და იგი დიდად გვეხმარება სულიერ წინსვლაში. გარდა ამისა, სავალდებულოა სხვა პრინციპებიც:

1. საჭიროა ვედური ლიტერატურის რეგულარული

კითხვა, განსაკუთრებით კი „ბჰაგავად-გიტაში“ და „შრიმად-ბჰაგავატამისა“. უბრალოდ იმით, თუკი მოვისმენთ კრშნას, მისი არაჩვეულებრივი საქმიანობებისა და მისი ტრანსცენდენტული გართობების შესახებ, მატერიალურ სამყაროსთან დიდი ხნის ურთიერთობის შედეგად გულში დაგროვილი უწმინდურება განიწმინდება. თუკი რეგულარულად მოვისმენთ კრშნასა და სულიერი სამყაროს შესახებ, სადაც კრშნა თავის ერთგულებთან ერთად მარადიული გართობებით ტკბება, ბოლომდე გავიგებთ სულის ბუნებას, ჭეშმარიტ სულიერ საქმიანობებს და სრულ გზას იმისა, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ამ მატერიალურ სამყაროს.

2. იმისათვის, რომ ბოლომდე დავიცვათ თავი მატერიალური უწმინდურებისაგან, უნდა მივირთვათ მხოლოდ ვეგეტარიანული საჭმელი განსულიერებული უზენაესი უფლის, კრშნასადმი შეთავაზებით. ნებისმიერი ცოცხალი არსების მოკვლას ცოდვითი რეაქცია მოსდევს, მცენარეთა მოკვლასაც კი. მაგრამ „ბჰაგავად-გიტაში“ უფალი კრშნა ამბობს, რომ თუკი ადამიანი შესთავაზებს მას ვეგეტარიანულ საკვებს, იგი გაანეიტრალებს ამ რეაქციას. (იხ. „როგორ მოვამზადოთ და შევთავაზოთ პრასადი“).

3. საჭიროა უზენაეს უფალს, კრშნას მივართვათ საკუთარი შრომის ნაყოფები. როცა ადამიანი საკუთარი სიამოვნებისთვის შრომობს, იგი საპასუხო კარმიულ რეაქციებს ღებულობს. მაგრამ მხოლოდ კრშნას დასაკმაყოფილებლად შრომას არავითარი კარმიული რეაქცია არ მოჰყვება. უფლის სამსახურში შესრულებული შრომა არა მარტო ათავისუფლებს ადამიანს *კარმისაგან*, არამედ უღვიძებს მას მიძინებულ სიყვარულს კრშნასადმი. კაცს შეუძლია აკეთოს საკუთარი საქმე, მაგრამ არსებობს გარკვეული სახის საქმიანობა, რომლის შესრულებაც დაუშვებელია. უნდა მიატოვოთ ის საქმიანობა, რომელიც არღვევს, ან რაიმენაირად ხელს უწყობს ზემოაღნიშნული მარეგულირებელი პრინციპების დარღვევას.

4. ვისაც სერიოზულად სურს ჰარე კრშნას გალობა, ურთიერთობა უნდა იქონიოს მსგავსი ცნობიერების ხალხთან. ეს სულიერ ძალას მისცემს მას. როგორც წესი, ადამიანი იძენს მათ თვისებებს, ვისთან ყოფნაც უხდება. თუკი ვინმეს სურს გახდეს ექიმი ან ადვოკატი, ურთიერთობა უნდა იქონიოს ამ პროფესიის ხალხთან. ამიტომ მეტად სერიოზულად უნდა ვერიდოთ ისეთ კავშირებს, რომელიც შეაფერხებს ჩვენს სულიერ წინსვლას. ასეთია, მაგალითად, ურთიერთობა მატერიალისტებთან ან მათთან, ვისაც არ აინტერესებთ სულიერი საკითხები, ხოლო ურთიერთობა მათთან, ვინც იღწვიან სულიერი პროგრესისათვის, ჰარე კრშნას გალობენ და მარეგულირებელ პრინციპებს იცავენ, საუკეთესო და ყველაზე სწრაფი გზაა შინ, ღმრთეებასთან დაბრუნებისთვის.

კვების ჯოგა

ბჰაკტი-ჯოგას, ანუ ღვთის ერთგულების *ჯოგას* პროცესის შეჯამებისას უფალი ამბობს: „ყველაფერი, რასაც აკეთებ, ყველაფერი, რასაც ჭამ, ყველაფერი, რასაც სთავაზობ და გასცემ, აგრეთვე ყოველი ასკეტიზმი, რომელსაც შენ ასრულებ, უნდა მომიძღვნა მე“ (ბ.გ. 9.27). ამიტომ საჭმლის კრშნასადმი შეთავაზება *ბჰაკტი-ჯოგას* სისტემის განუყოფელი ნაწილია.

უფალი გვეუბნება იმასაც, თუ რა სახის ძღვენს იღებს. „თუკი სიყვარულითა და ერთგულებით შემომთავაზებ ფოთოლს, ყვავილს, ნაყოფს ან წყალს, მე მივიღებ ამას“ (ბ.გ. 9.26). კრშნა საგანგებოდ არ ახსენებს ხორცს, თევზსა და კვერცხს, ამიტომ ერთგული ამას არ სთავაზობს კრშნას. სიყვარულის გამო იგი კრშნას მხოლოდ უწმინდეს და რჩეულ საჭმელს სთავაზობს, რომელთა სიაშიც ცხადია არ შედის დახოცილ ცხოველთა გვამები და მომავალ წიწილათა ჩანასახები.

„ბჰაგავად-გიტაში“ უფალი კრშნა ამბობს, რომ ყოველგვარი საჭმელი მატერიალური ბუნების სამი მოდუსის: სათნოების, ვნებისა და უგუნურების კლასებად შეიძლება დაიყოს. რძის ნაწარმი, შაქარი, ხილი, ბოსტნეული, ნიგოზი და მარცვლეული სათნოების მოდუსს მიეკუთვნება და შეიძლება მათი შეთავაზება კრშნასადმი. კრშნას არ ვთავაზობთ ვნებისა ან უგუნურების მოდუსის საკვებს. „ბჰაგავად-გიტაში“ (ბ.გ. 17.9) კრშნა ამბობს, რომ ასეთი საკვები იწვევს „ტკივილს, ტანჯვასა და ავადმყოფობებს“ და რომ ისინი „აყროლებული, ხრწნადი და ჭუჭყიანია“. ადვილი მისახვედრია, რომ ხორცი, თევზი და კვერცხი

(აგრეთვე ზოგიერთი მცენარეული საკვებიც, როგორიცაა ხახვი, ნიორი და სოკო) ასეთ პროდუქტებს განეკუთვნება. მათი შეთავაზება უფლისადმი არ შეიძლება. ყავა, კაკაო, შოკოლადი და კოფეინის შემცველი ჩაიც დაბალ მოდუსებს მიეკუთვნება. ჩაის ან ყავის ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ბალახის ჩაი და უკოფეინო ყავა.

პროდუქტების შეძენისას წაიკითხეთ ეტიკეტი, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი შეიცავს ხორცს, თევზს ან კვერცხს. თუ საჭიროა, ჰკითხეთ გამყიდველს ან მწარმოებელსაც კი, რათა დარწმუნებული იყოთ შემადგენლობაში. მაგალითად, ზოგჯერ მაწონი და არაჟანი მზადდება ჟელატინით, რომელიც სასაკლაოზე დახოცილ ცხოველთა რქების, ჩლიქებისა და ძვლებისაგან მიიღება. მრავალი სახეობის ყველი შეიცავს კვეთს, ანუ ენზიმს, რომელიც ძროხის ფაშვისაგან მზადდება.

უნდა ერიდოთ აგრეთვე საკვებს, განსაკუთრებით კი მარცვლეულს და ტკბილეულს, მომზადებულს მათ მიერ, ვინც კრშნას ერთგულები არ არიან. ბუნების ნატიფ კანონთა თანახმად, მზარეული საკვებზე გავლენას ახდენს არა მარტო ფიზიკურ დონეზე, არამედ ცნობიერების დონეზედაც. ამრიგად, ნატიფ დონეზე საკვები ცნობიერებაზეც მოქმედებს. მაგალითად, სურათი არა მარტო ტილოზე წასმული შტრიხების ერთობლიობაა, არამედ იგი გამოხატავს მხატვრის ფსიქიკურ მდგომარეობასაც, რაც მაყურებელსაც გადაეცემა. სწორედ ასევე, თუკი მივიღებთ სულიერ ცნობიერებას მოკლებულ ადამიანთა მიერ მომზადებულ საკვებს, ამით მატერიალისტურ გონებრივ ენერგიასაც ვშთანთქავთ. ამიტომ, შეძლებისდაგვარად, გამოიყენეთ მხოლოდ ახალი, ბუნებრივი პროდუქტები.

საჭმლის მომზადებისას მთავარია სისუფთავე. არ შეიძლება უფლისადმი ბინძური საჭმლის შეთავაზება, ამიტომ სამზარეულოში სისუფთავე და წესრიგი უნდა იყოს.

მომზადების წინ დაიბანეთ ხელები. კეთების პროცესში არ შეიძლება საჭმლის გასინჯვა. ეს მედიტაციის ნაწილია — საჭმელს ამზადებთ არა თქვენთვის, არამედ კრშნას სასიამოვნოდ, ამიტომ პირველად მან უნდა იგემოს და დატკბეს საჭმლით. როდესაც მომზადებას დაამთავრებთ, უკვე შეგიძლიათ მიართვათ იგი კრშნას.

კარგია, თუ გექნებათ ჭურჭელი, რომელსაც მხოლოდ კრშნასათვის საჭმლის მოსამზადებლად და შესათავაზებლად გამოიყენებთ. წესით, ჭურჭელი ახალი უნდა იყოს და სხვამ არავინ უნდა იხმაროს. როდესაც დაამთავრებთ მომზადებას, თითოეული კერძი ამ ჭურჭელზე გადმოიღეთ. შეთავაზების უმარტივესი სახეა უბრალოდ სთხოვოთ კრშნას: „ჩემო ძვირფასო უფალო კრშნა, გთხოვ, მიიღე ეს საჭმელი“. გახსოვდეთ, რომ ამ პროცედურის ნამდვილი მიზანია უფალისადმი თქვენი სიყვარულისა და ერთგულების ჩვენება; საკუთრივ შეთავაზებული საკვები მეორეხარისხოვანია. თუკი ასეთი ერთგულებით არ შეთავაზებთ უფალს კერძს, იგი არ მიიღებს მას. უფალს ყველაფერი აქვს; მას არაფერი სჭირდება. შეთავაზება უბრალოდ ჩვენი სიყვარულისა და მადლიერების გამოხატვის საშუალებაა. შეთავაზების შემდეგ რამოდენიმე წუთის მანძილზე იმღერეთ ჰარე კრშნა *მანტრა:* ჰარე კრშნა ჰარე კრშნა კრშნა კრშნა ჰარე ჰარე/ ჰარე რამა ჰარე რამა რამა რამა ჰარე ჰარე. შემდეგ მიირთვით *პრასადი.* სცადეთ ჩაწვდეთ *პრასადის* სულიერ თვისებებს, რომელიც *კარმის* ზემოქმედებისაგან გვანთავისუფლებს. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, დატკბით.

ციტირებული ლიტერატურის საძიებელი

ქვემოთ ჩამოთვლილი ვედური წმინდა წერილები ციტირებული ან მოხსენიებულია მოცემულ გვერდებზე.

აგნი პურანა 220
ადი პურანა 465
ათჰარვა ვედა 325, 380
აიტარეია უპანიშადი 311, 379
ბრაჰმა-სამჰიტა 53, 59, 127, 129, 141, 146, 148, 158, 162, 350,430, 441, 443, 448
ბრჰან-ნარადიია პურანა 254, 296, 398, 465
ბჰაგავად-გიტა*
ბჰაგავატ-სანდარბჰა 325
ბჰაკტი-რასამრტა-სინდჰუ 69-70, 90, 93, 200-201, 208, 210, 211-212, 217, 223-226, 424, 445, 452
გაუტამიია-ტანტრა 457
გიტა-გოვინდა 434-435, 446
გოვინდა-ლილამრტა 68-69, 451, 455
გოპალა-ტაპანი უპანიშადი 444
ვაიუ პურანა 306-307
ვედანტა-სუტრა*
ვიშვაპრაკაშა (ლექსიკონი) 237
ვიშნუ პურანა 112, 151-152, 231-232, 242, 267, 315, 317, 382, 408, 412
იშოპანიშადი 44, 343, 377-378
კათჰა უპანიშადი 35-36, 276
კალისანტარანა უპანიშადი 298-299
კატჰაკანა-სამჰიტა 193-194
კრშნა-კარნამრტა 172-173, 216, 217

კრშნ-სანდარბჰა 232, 350
ლაგჰუ-ბჰაგავატპურაṇა 232
ლალიტა-მადჰავა 134, 447
მანდუკიკა უპანიშადი 321, 325, 327
მარკანდეია პურაṇა 123
მატსია-პურაṇა 361-362
მაჰაბჰარატა 14, 231, 327, 337, 439
მუკტიკა უპანიშადი 374
მუნდაკა უპანიშადი 384
ნარადა-ბჰაკტი-სუტრა 108
ნარადა-პანჩარატრა 212, 298, 325
ნრსიმჰა-ტაპანი 371
პადმა პურაṇა 122, 215, 269-270, 309, 309-310, 340, 351, 362, 391, 433, 440
პადმოტტარა-ქჰანდა 163
პადიავალი 418
პრაშნა უპანიშადი 311
რამაიანა 181, 327
რგ ვედა 311
სამა ვედა 350
სიდდჰარტა-სამჰიტა 138
სმრტი-მანტრა 357
სტოტრარატნა 440
ტაიტტირიია უპანიშადი 320-321, 379
უჯჯვალა-ნილამანი 435, 448, 449
შვეტაშვატარა უპანიშადი 71, 311, 322, 377, 381
შივა პურაṇა 309
შრი ჩაიტანია ჩანდრამრტა 281
შრიმად-ბჰაგავატამი*
შრუტი-მანტრა 357, 360, 458
ჩაიტანია-ჩანდროდაია 272
ჩაიტანია-ჩარიტამრტა 39, 42, 211, 277, 425, 460-461
ჩჰანდოგია უპანიშადი 379
ჰარი-ბჰაკტი-ვილასა 340, 439-440
ჰარი-ბჰაკტი-სუდჰოდაია 102-103, 239, 250, 260
ჰარივამშა 230-231
ჰაიაშირშა-პანჩარატრა 139-140, 377

* „ბჰაგავად-გიტადან“, „შრიმად-ბჰაგავატამიდან“ და „ვედანტა-სუტრადან“ მოყვანილი მრავალრიცხოვანი შენიშვნების გამო ისინი აქ ჩამოთვლილი არ არის.

ლექსიკონი

ა

აბჰიდჰა-ვრტტი — წმინდა წერილების პირდაპირი განმარტება.

აბჰიდჰეჲა — ერთგული სამსახურის პრაქტიკა განპირობებულ სიცოცხლეში.

ადვაიტა — არაორმაგი.

ადი-რასა — სექსის თავდაპირველი და წმინდა ფსიქოლოგია.

ადჰიბჰაუტიკა — სხვა ცოცხალი არსებების მიერ გამოწვეული ტანჯვები.

ადჰიდაივიკა — ბუნებრივი კატასტროფები, რომელთა მიზეზს მაღალი პლანეტების ნახევარღმერთები წარმოადგენენ.

ადჰირუდჰა — ცოლქმრული სიყვარული, გამოვლენილი ვრაჯას ქალწულების მიერ.

ადჰიჲატმიკა — ჭკუითა და სხეულით გამოწვეული ტანჯვები.

ავატარა — ის, ვინც სულიერი ზეციდან ეშვება.

ავეშა-ავატარები — უზენაესი უფლის განსაკურთებული სიდიადით აღჭურვილი ცოცხალი არსებები.

ავეშა-რუპა — იხ. **შაკტიავეშა-ავატარა.**

ავიდიას ენერგია — მატერიალური სამყარო.

ავიაკტა — გამოუვლენელი.

აკამა — ის, ვისაც მატერიალური სურვილები არა აქვს.

ამრტა — უკვდავი.

ანუბჰავა — კრშნას ექსტაზურ სიყვარულში გამოვლენილი სხეულის ნიშნები.

ვრურუკშუ ḍოგა — მრავალგვარი ჯდომის პროცესისა და ჭკუის კონცენტრაციის პრაქტიკა.

ვრḍა — ისინი, ვისაც სულიერ ცხოვრებაში წინსვლა სწამთ.

ვრḍა-სამვჯა — ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველ *ვედებს* აღიარებენ და უარყოფენ სხვა ვედურ ლიტერატურას.

ასამაურდჰვა — უზენაესი უფალი, ვისზე დიადიც და ვისი თანასწორიც არავინაა.

ვშრაḍა-ტატტვა — აბსოლუტური ჭეშმარიტება, ყველა გამოვლინების თავშესაფარი.

ვჩვრḍა — სულიერი მოძღვარი, რომელიც მაგალითით ასწავლის.

აჩინტḍა — შეუცნობელი.

აჩḍუტა — ის, ვინც არასოდეს ეცემა; კრშნას სახელი.

აჰამ ბრაჰმვსმი — რეალიზაცია იმისა, რომ „მე არა ვარ ეს სხეული“.

აჰამ გრაჰოპვსანვ — საკუთარი სხეულის უზენაესის მსგავსად თაყვანისცემა.

ბ

ბვლḍა — კრშნას ბავშვობის ასპექტი.

ბრაჰმვნḍა — სამყარო.

ბრაჰმაჩვრი — მოწაფე, რომელიც სრულ სქესობრივ თავშეკავებას იცავს.

ბრაჰმაჯḍოტი — კრშნას სხეულის გამოსხივება.

ბჰვა — მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ღმერთის სიყვარულს.

ბჰაკტი-რასვმრტა-სინდჰუ — ერთგული სამსახურის წმინდა ნექტარის ოკეანე.

ბჰუკტი — მატერიალური სიამოვნება.

გ

გაურანგა — უფალი ჩაიტანდა, ოქროსფერი.

გოვინდა — თებერვლის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.

გოლოკა ვრნდავანა — კრშნას სავანე სულიერ ზეცაში.

გოპები — ვრნდავანის მენახირე გოგოები.

გოპინათჰა — *კრშნა, გოპების* საყვარელი ბატონი.

გოსვამები — უფალი ჩაიტანდას მთავარი მოწაფეები.

გრჰასთჰა — მეოჯახე.

გუნა-ავატარები — ინკარნაციები, რომლებიც ბუნების სამ მოდუსს აკონტროლებენ.

გუნები — ბუნების მოდუსები.

გურუ — სულიერი მოძღვარი.

დ

დამოდარა — ადრეული ოქტომბრის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.

დამოდარა — სახელი, რომელიც ეწოდა კრშნას, როცა დედამ თოკებით დააბა.

დანდა — ჯოხი, რომელსაც *სანნდასები* ატარებენ.

დასდა-რასა — უზენაეს უფალთან მსახურის მარადიული დამოკიდებულება.

დჰრტი — ენისა და გენიტალიების სურვილების კონტროლი.

დჰირა — სიმშვიდის საფეხური, როცა ადამიანი ენისა და გენიტალიებისაგან აგზნებას არ განიცდის.

ე

ეკადაში — მარხვის დღე სავსე მთვარის მეთერთმეტე დღესა და ახალი მთვარის მეთერთმეტე დღეს.

ენერგია ჰლადინი — კრშნას სიამოვნების ენერგია.

3

ვაიბჰავა-ვილასა — კრშნას ოცდაოთხი ოთხხელიანი ფორმა.

ვაიბჰავა-პრაკაშა — კრშნას „ემოციური“ ფორმები.

ვაიშნავაპარადჰა — უფლის წმინდა ერთგულის შეურაცხყოფა.

ვაიშნავები — უზენაესი უფლის ერთგულები.

ვაიშეები — მეწარმეები და ფერმერები.

ვამანა — ივნისის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.

ვანაპრასთჰა — განმარტოებული ცხოვრება.

ვარნაშრამა-დჰარმა — სულიერი ცხოვრების ოთხი კასტა და ოთხი წესი.

ვატსალეა-რასა — მარადიული მშობლიური დამოკიდებულება უზენაეს უფალთან.

ვიბჰავა — ის, რაც კრშნასადმი სიყვარულს ზრდის.

ვიბჰუტი — უზენაესი უფლის განსაკუთრებული კეთილგანწყობილება ცოცხალი არსებებისადმი.

ვიდჰი-ბჰაკტი — მარეგულირებელი პრინციპების შესაბამისი ერთგული სამსახური.

ვივარტავადა — ტრანსფორმაციის თეორია.

ვიშვამბჰარა — ის, ვინც მთელ სამყაროს ასულდგმულებს და ყველა ცოცხალ არსებას მიუძღვება.

ვიშნუ — მარტის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.

ვიშნუ-ტატტვა — კრშნას აურაცხელი თავდაპირველი ექსპანსია.

ვიშრამბჰა — უფალთან სასიყვარულო სიახლოვე, რომლის დროსაც არ არსებობს შიშისა და რიდის გრძნობა.

ვიშუდდჰა-სატტვა-პრადჰანა — მადჰვადთა ფილოსოფიის

ტერმინი, რომლითაც კოლექტიური უმეცრება აღინიშნება.

ვრაჯავასები — ვრ̣ნდავანის მცხოვრებლები.

კ

კალპა-ვრ̣კშა — ნატვრის ხეები სულიერ სამყაროში.

კამან̣დალუ — მწირის წყლის მათარა.

კარმა-კან̣ḍა — წმინდა რიტუალური მოქმედებები.

კარმა-მიმამსა — ფილოსოფია, რომლის მიხედვითაც უფალი ადამიანის მოქმედებაზეა დამოკიდებული.

კეშავა — გვიანი ნოემბერი ვაიშ̣ნავური კალენდრის მიხედვით.

კირტანა — უზენაესი უფლის დიდება.

კრ̣პა — წყალობა.

კრ̣შ̣ნა-ბჰაკტები — მთლიანად ერთგულ სამსახურში დაკავებული განთავისუფლებული სულები.

კრ̣შ̣ნა-ბჰაკტი-რასა — კრ̣შ̣ნასა და მის ერთგულებს შორის სასიყვარულო ურთიერთობა.

კრ̣შ̣ნალოკა — პლანეტა სულიერ სამყაროში, სადაც კრ̣შ̣ნა ცხოვრობს.

კშატრიიები — საზოგადოების ადმინისტრაციული კლასი.

კშეტრაჯ̣ნა — ცოცხალი არსება, როგორც მოქმედებათა ველის მცოდნე.

ლ

ლაკშანა-ვრ̣ტტი — წმინდა წერილების არაპირდაპირი ინტერპრეტაცია.

ლილა-ავატარები — ინკარნაციები, რომლებიც მატერია-

ლურ სამყაროში სულიერი გართობების გამოსავლენად ეშვებიან.

მ

მაḍანა — შეყვარებულთა შეხვედრა.
მადანა-მოჰანა — კრშნა, კუპიდონის მიმზიდველი.
მაḍჰავა — იანვრის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.
მადჰურა-რასა — უზენაეს უფალთან მარადიული ცოლქმრული სასიყვარულო დამოკიდებულება.
მადჰუსუḍანა — აპრილის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.
მანვანტარა-ავატარები — მანუს ინკარნაციები.
მანჯარები — რაḍჰარანის ახლო დამხმარეები.
მარგაშირშა — გვიანი ოქტომბერი და ადრეული ნოემბერი ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.
მაუშალა-ლილა — კრშნას გართობების ბოლო საფეხური მატერიალურ სამყაროში.
მაჰაბჰავა — ღმერთის სრულყოფილი სიყვარულის უმაღლესი საფეხური.
მაჰარაურავა — ჯოჯოხეთი ცხოველთა მკვლელებისათვის.
მაჰატმა — დიადი სული.
მაჰატ-ტატტვა — მთლიანი მატერიალური ენერგია.
მაḍა — კრშნასთან ურთიერთობის დავიწყება.
მაḍა-შაკტი — აბსოლუტური ჭეშმარიტების დაფარული ენერგია.
მოკშა-კამა — განთავისუფლების მაძიებელი.
მოჰანა — შეყვარებულთა განშორება.
მუკტა — განთავისუფლებული სული.
მუნები — დიადი მოაზროვნეები და სწავლული მეცნიერები.

ნ

ნარაჯანა — დეკემბრის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.

ნირგუნა — მატერიალური თვისებების არმქონე; კრშნას თვისება.

ნირვანა — მატერიალური ცხოვრების პროცესის დასასრული.

პ

პადმანაბჰა — სექტემბერი ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.

პარამეშვარა — უზენაესი მაკონტროლებელი, კრშნა.

პარამპარა — მოწაფეთა თანმიმდევრობის ჯაჭვი, რომელიც თავად კრშნასგან იწყება.

პარა-პრაკრტი — უმაღლესი ენერგია.

პარა-ტატტვა — აბსოლუტური ჭეშმარიტება.

პარინამა-ვადა — თანაპროდუქტების ოეორია.

პატიტაპავანა — უფალი ჩაიტანჲა, ყველაზე დაცემულ, განპირობებულ სულთა მხსნელი.

პაუგანდა — კრშნას ასაკი ექვსიდან ათ წლამდე.

პრაბჰავა-პრაკაშა — კრშნას ოთხხელიანი ფორმა.

პრადჰანა — მატერიალური გამოვლინების ელემენტები.

პრაკრტა-საჰაჯი� — კრშნას გართობებზე მიწიერი წარმოდგენის მქონე ფსევდო-ერთგულები.

პრასადა — კრშნასთვის შეთავაზებული საკვები, რომელთა ნარჩენებსაც ერთგულები იღებენ.

პრასთჰანა-ტრაჲა — ტრანსცენდენტული რეალიზაციის შესახებ ცოდნის სამი დანაყოფი.

პრემა — ღმერთის უანგარო სიყვარული.

პურუშა-ავატარები — ვიშṇუს ექსპანსიები, რომლებიც ქმნიან, ასულდგმულებენ და ანადგურებენ სამყაროს.

რ

რაგა-მარგა-ბჰაკტი — უფლის სამსახური მიჯაჭვულობაში.

რაგანუგა — ღმერთის სპონტანური სიყვარული.

რაგატმიკა — ღრმა მიჯაჭვულობა სიყვარულის ობიექტზე სრული ფიქრით.

რასა — ურთიერთობა უფალსა და ცოცხალ არსებებს შორის.

რასაბჰასა — ერთგულ სამსახურში ტრანსცენდენტულ გემოვნებათა შერევა.

რატი — მიჯაჭვულობა.

რუდჰა — დედოფალთა მიერ ḍვარაკაში გამოვლენილი ცოლქმრული სიყვარული.

რუკმიṇირამაṇა — კრშṇა, რუკმიṇის მეუღლე.

ს

სადჰანა-ბჰაკტი — თანამდებობრივი ერთგული სამსახური.

საკჰიḍა-რასა — მარადიული მეგობრული დამოკიდებულება უზენაეს უფალთან.

სამსკარა — განმწმენდი ცერემონიები ორჯერ დაბადებული კასტებისათვის.

სანკირტანა — უფლის დიდებათა ერთობლივი გალობა.

სანნიḍასა — განდეგილის ცხოვრების წესი.

სანნიḍასი — განდეგილობაში მცხოვრები ადამიანი.

სარვა-კამა — ის, ვისაც ტკბობის მატერიალური სურვილი აქვს.

საქჰები — რუდჰურუნის პირადი თანამგზავრები.

საჩ-ჩიდ-ანანდა-ვიგრაჰა — კრშნას მარადიულობის, ცოდნისა და ნეტარების ფორმა.

სვარუპა-შაკტი — კრშნას შინაგანი ენერგია.

სვაგამ-რუპა — კრშნას პიროვნული ფორმა.

სიდდჰა-დეჰა — განწმენდილი სული, რომელიც ღირსეულია კრშნას ემსახუროს.

სმრტი-პრასთჰანა — ავტორიტეტული წიგნები, რომლებიც საბოლოო მიზანზე მიუთითებს და განთავისუფლებული სულების მიერაა დაწერილი.

სრშტიკარტა — კრშნა, შემოქმედი.

სუდარშანა-ჩაკრა — უფალი ვიშნუს დისკოს ფორმის იარაღი.

სურაბჰი — ძროხები სულიერ ზეცაში, რომლებიც უსაზღვრო რძეს იძლევიან.

სუტრა — ლაკონური ნაწარმოები, რომელშიდაც განუსაზღვრელი ძალის უტყუარი აზრი და მნიშვნელობაა გადმოცემული.

ტ

ტადეკატმა-რუპა — ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს კრშნას პიროვნულ ფორმას, მაგრამ განსხვავდება სხეულის აღნაგობით.

ტილაკა — წმინდა თიხა, რომელიც ერთგულის სხეულის განსაწმენდად გამოიყენება.

ტიტიკშა — მზადყოფნა აიტანო ტანჯვა გრძნობების დასამორჩილებლად და ჭკუის მშვიდ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად.

ტრივიკრამა — მაისის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.

ტრḍადჰიშვარა — კრშნა, როგორც გოლოკას, მათჰურას და დვარაკას ბატონი.

უ

უდბჰასვარა — ერთგულების სხეულზე გამოვლენილი გარეგანი ნიშნები.

შ

შაბდა — ტრანსცენდენტული ბგერა.
შადბჰუჯა — უფალი ჩაიტანḍას ექვსხელიანი ფორმა.
შაკტḍავეშა-ავატარა — კრშნასგან უფლებამოსილი შესაფერისი ცოცხალი არსება წარმოადგენოს იგი.
შამა — ჭკუის კონტროლი მისი უზენაეს უფალზე მიპყრობით.
შანტა-რასა — ღმერთის სიყვარულის საწყისი საფეხური, როცა მატერიალური სიბინძურისაგან განთავისუფლებული პიროვნება უფლის სიდიადეს წვდება.
შაჩინანḍანა — ჩაიტანḍა მაჰაპრაბჰუ, დედა შაჩის შვილი.
შრიḍჰარა — ივლისის თვე ვაიშნავური კალენდრის მიხედვით.
შრუტი-პრასთჰანა — ვედური მითითებებით დამოწმებული ცოდნის ნაწილი.
შუḍრები — მუშები.

ჩ

ჩაიტანḍა — სასიცოცხლო ძალა.
ჩანḍალა — ძაღლისმჭამელი.

ჩარანᲮᲨრტა — ღვთაების განსაბანი წყალი.
ჩატურ-ᲫᲣᲭა — კრᲨᲮას თავდაპირველი ოთხხელიანი ფორმა.

Ჯ

Ჯაგად-გურუ — მთელი სამყაროს სულიერი მოძღვარი.
Ჯანგამა — მოძრავი არსებები.
Ჯივა-შაკტი — მატერიალური ტკბობის სურვილებში დაკავებული ცოცხალი არსებები.
ᲯᲬᲜა — ცოდნის განვითარება.
ᲯᲬᲜები — ემპირიული ფილოსოფოსები.

Ჰ

ᲰლᲐდინᲘ — იხ. **ენერგია ᲰლᲐდინᲘ**.
ᲰრᲨᲘკᲔშა — აგვისტოს თვე ვაიშᲮავური კალენდრის მიხედვით.

Ω

ᲫაᲯᲬა — მსხვერპლშეწირვა.
ᲫაᲯᲬᲔშვარა — ვიშᲮუ, მსხვერპლშეწირვათა უფალი.
Ძუგა-ავატᲐრები — ინკარნაციები, რომლებიც მიუთითებენ ყოველი ეპოქისათვის განკუთვნილ სულიერი თვითრეალიზაციის გზაზე.

როგორ გამოითქმის სანსკრიტი

ამ წიგნში გამოყენებული ტრანსლიტერაციული სისტემა შეესაბამება იმ სისტემას, რომელსაც ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე იყენებენ მეცნიერები სანსკრიტის გამოთქმის ჩასაწერად.

ხმოვანი **ऋ** გამოითქმის როგორც ინგლისურ სიტყვაში rim. დანარჩენი ხმოვნები გამოითქმის ქართულის შესაბამისად. *ანუსვარა* (**ं**) წმინდა ცხვირისმიერი ბგერაა და გამოითქმის როგორც ფრანგულ სიტყვაში bon, *ვისარგა* (**ः**) კი ძლიერი ასპირაციული ბგერაა და გამოითქმის როგორც საბოლოო ჰ. სტრიქონის ბოლოს **अः** გამოითქმის როგორც **अहः**, **इः** — როგორც **इहि**.

უკანასასიმიერი თანხმოვნები — **क्**, **क्ह्**, **ग्**, **ग्ह्** და **ङ्** — გამოითქმის ყელიდან. **क्** გამოითქმის როგორც ინგლისურ სიტყვაში kite, **ङ्** — როგორც ინგლისურ სიტყვაში sing.

სასისმიერები — **च्**, **च्ह्**, **ज्**, **ज्ह्** და **ञ्** — გამოითქმის ენის შუა ნაწილით სასაზე. **ञ्** გამოითქმის როგორც ინგლისურ სიტყვაში canyon.

ცერებრული თანხმოვნების — **ट्**, **ट्ह्**, **ड्**, **ड्ह्** და **ण्** — გამოთქმისას ენის წვერი სასაზეა მიბჯენილი. **ण्** გამოითქმის როგორც ინგლისურ სიტყვაში nut. კბილისმიერი თანხმოვნები — **त्**, **त्ह्**, **द्**, **द्ह्** და **न्** — ცერებრალურების მსგავსად გამოითქმის, მაგრამ ამ დროს ენის წვერი კბილებზეა მიბჯენილი.

ბაგისმიერი თანხმოვნები — **प्**, **फ्ह्**, **ब्**, **ब्ह्** და **म्** — ბაგეებით გამოითქმის.

ნახევრადთანხმოვნებია — ჲ, რ, ლ და ვ. ჲ გამოითქმის როგორც ინგლისურ სიტყვაში yes. შიშინა ბგერებია — **შ, შ** და **ს. შ** გამოითქმის როგორც გერმანულ სიტყვაში sprechen, **შ** კი — როგორც ინგლისურ სიტყვაში shine. ბგერა **ჰ** გამოითქმის ჩვეულებრივ.

Подписано в печать 06.06.91. Зак. 1227. Тираж 56 000 экз. Издательско-полиграфический центр «Реверс» 191040, Ленинград, Лиговский пр., 56.
ЛПТО «Печатный Двор». 197136, Ленинград, Чкаловский пр., 15